ქართული ემიგრაცია

1(4) / 2013

სარედაქციო
კოლეგია:

ოთარ ჯანელიძე
რედაქტორი

ლაშა ბაქრაძე
რუსუდან დაუშვილი
მალხაზ მაცაბერიძე
პაატა ნაცვლიშვილი

© ქართული ემიგრაცია

სარედაქციო კოლეგიისაგან

კრებული „ქართული ემიგრაცია“ სახეცვლილი და განახლებული ფორმატით გამოდის. ეს სიახლე რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით არის განპირობებული:

გამოცემის დამფუძნებელს, გიორგი მაჩაბლის ფონდს გამოუჩნდა ისეთი სტაბილური პარტნიორი, როგორიც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტია (რექტორი – პროფესორი მამუკა თავხელიძე). 2012 წლის შემოდგომაზე სწორედ ამ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ახალი სამეცნიერო ცენტრი – ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის კვლევითი ინსტიტუტი (დირექტორი – პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი), რომელიც მოწოდებულია გაშალოს კვლევა-ძიებითი საქმიანობა და გააფართოოს ჩვენი ემიგრაციის შესწავლის არა მხოლოდ არეალი, არამედ ქრონოლოგიური ჩარჩოც. ამასთან, ინსტიტუტმა ქართული ემიგრაციის წარსულისა და თანამედროვე პრობლემატიკის კვლევაში ჩართული სამეცნიერო ძალების კოორდინაციაც იტვირთა. ეს პოტენციალი კი შედარებით მასშტაბური ამოცანების დასახვის საფუძველს გვიქმნის.

წინანდელ კრებულს ჟურნალის სახე მიეცა, გაიზარდა მისი მოცულობა და ნაწილობრივ შეიცვალა პროფილიც. ემიგრაციის წარსულზე საისტორიო სტატიების პარალელურად მასში ამიერიდან სხვა ტიპის პუბლიკაციებიც დაიბეჭდება, მათ შორის – საზღვარგარეთ მოღვაწე თანამემამულეთა კვლევითი ნაშრომები მეცნიერების სხვადასხვა სფეროდან. სოლიდური ადგილი დაეთმობა ქართულ ემიგრაციასთან დაკავშირებული პირველწყაროების, დოკუმენტური და საარქივო მასალების პუბლიკაციას, წერილებს ქართული დიასპორების

თანამედროვე ცხოვრების ავ-კარგზე და სხვა. გამოცემის ინტერესის საგნად იქცევა ასევე უცხოელთა ცხოვრება-მოღვაწეობის ასახვა საქართველოში. გაჩნდება შესაბამისი რუბრიკებიც.

სარედაქციო კოლეგია წელიწადში ჟურნალის ორი ნომრის გამოცემას გეგმავს. განზრახული გვაქვს, გამოცემაში სათანამშრომლოდ მოვიწვიოთ ავტორები საქართველოს სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტებიდან, ჰუმანიტარული მიმართულების კვლევითი დაწესებულებებიდან, მუზეუმებიდან და არქივებიდან. ასპარეზს მივცემთ ემიგრაციის პრობლემატიკით დაინტერესებულ ახალგაზრდა თაობას – მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.

ვფიქრობთ ახლო მომავალში ჟურნალი გავხადოთ რეფერირებადი, რაც ხელს შეუწყობს მისი ხელმისაწვდომობის გაზრდას საქართველოსა და უცხოეთშიც, ასევე ქართველ ავტორთა ნაშრომების საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოებას და კვლევის შედეგების პოპულარიზაციას.

შინაარსი

ქართული ემიგრაციის ისტორია

რუსუდან დაუშვილი
ქართველი ემიგრანტები უცხოურ ლეგიონში 9

მანანა დარჩაშვილი
სხვაგვარად მოაზროვნე ქართველი სოციალ-დემოკრატი 19

ლალი ზაქარაძე
ფილოსოფიისა და პოეზიის დიალოგი: შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტრადიცია და ნოსტალგიით გამსჭვალული გურამიშვილის პოეტური შემოქმედება 26

დოდო ლაბუჩიძე
დავით ბატონიშვილი – ემიგრაციაში ქართული კულტურის ამაგდარი მოღვაწე 35

ელდარ მამისთვალიშვილი
ელენე ათაბაგი და დონ ქრისტოფორო დე კასტელი 41

შორენა მურუსიძე
კონსტანტინე კანდელაკის მიმოწერა - მასალები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის 50

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ქართული პრესის ისტორიიდან ამერიკაში: „ქართველი ერი“ და „კრებული“ 71

რუსუდან ნიშნიანიძე
ქართველი გენერლების ლიტერატურული ტექსტები 89

ოთარ ჯანელიძე
გიორგი მაჩაბელი დიპლომატიურ ასპარეზზე 98

ქართული ემიგარციის გეოგრაფია

ბადრი ქუთელია
პარადოქსული პოსტმოდერნულობა, დიასპორა და ჩვენ 111

ქართველ ემიგრანტთა ნაშრომები

იოსებ ჟორდანია
ქართველები და ქართული მუსიკა ემიგრაციაში 123

ქართველ ემიგრანტთა მოგონებები

გიორგი კერესელიძე
საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.)
(პუბლიკაცია გიორგი მამულიასი) 141

ელიზბარ მაყაშვილი
გაქცევა
(პუბლიკაცია ბიძინა მაყაშვილისა) 176

თამარ პაპავა
ჩემი კრიალოსანი
(პუბლიკაცია პაატა ნაცვლიშვილისა) 193

ახალი წიგნები ქართულ ემიგრაციაზე

ზაზა შათირიშვილი
უხერხული კლასიკოსი? 219

ემიგრანტული ლიტერატურა, 2012 წლის ბიბლიოგრაფია 224
ჟურნალის ავტორები 225

ქრონიკა

შეიქმნა ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი 227

რუსუდან დაუშვილი

ქართველი ემიგრანტები უცხოურ ლეგიონში

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის შემოდგომაზე, სტამბოლში გახიზნული 80-მდე ქართველი ოფიცერი და იუნკერი პოლონეთმა მიიღო, 13 იუნკერი – ათენის სამხედრო სკოლამ, 5 იუნკერი კი – საფრანგეთის სენ-მიქსენის სამხედრო სკოლამ (კვინიტაძე 1999: 119-120). ქართველ ლტოლვილთა უმრავლესობა საფრანგეთში დასახლდა. თითქმის ყველამ დაიტოვა საქართველოს პასპორტი, ლტოლვილის სტატუსი და არ მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა.

1928 წლიდან, საფრანგეთის სამხედრო სამინისტროს დადგენილებით, ქვეყანაში მცხოვრები ჯარში გასაწვევი ასაკის უცხოელი ლტოლვილები, მათ შორის ქართველებიც, ვალდებულნი იყვნენ მოეხადათ სამხედრო სამსახური. 1731 წელს საფრანგეთში შექმნილი „უცხოური ლეგიონი“ დარსების დღიდან მონაწილეობდა პლანეტის თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში. ლეგიონში იღებდნენ 18-40 წლის უცხოელ მამაკაცებს. 5-წლიანი კონტრაქტის დამთავრების შემდეგ ლეგიონერი საფრანგეთის მოქალაქეობას იღებდა. ხელფასიც მაღალი იყო. ამიტომ ქართველ ლტოლვილთაგან ბევრმა მიაშურა უცხოურ ლეგიონს და მალე გაითქვა სახელი, როგორც საუკეთესო მეომარმა. მათგან ნაწილმა ოფიცრის მაღალ ჩინსაც მიაღწია.

უცხოური ლეგიონის ოფიცერთაგან ჩვენ ვიცნობთ საფრანგეთის გმირს დიმიტრი (ბაზორკა) ამილახვარს, მაგრამ არანაკლები პატივისცემით სარგებლობდნენ სხვა ქართველი ოფიცრები – სენ-მიქსენის სამხედრო სკოლის ზემოთ ნახსენები 5 კურსანტი: გიორგი ოდიშელიძე, ნიკოლოზ (კუკური) თოხაძე, ივანე ვაჩნაძე, ალექსანდრე ჯინჭარაძე, ალექსანდრე კინწურაშვილი, სენ-სირის სახელგანთქმული სამხედრო სკოლის კურსდამთავრებულები: დიმიტრი (ბაზორკა), კონსტანტინე და ნიკოლოზ ამილახვრები, ალექსი ჩხენკელი, ირაკლი და მერაბ ჯორჯაძეები, ლეო (ლულუ) კერესელიძე, დავით შალიკაშვილი, ალექსანდრე ბერაძე, ირაკლი ჯაფარიძე, პეტრე ხვედელიძე და სხვები.

ყოფილი ემიგრანტი შოთა ბერეჟიანი იხსენებდა: „კარგად მახსოვს 1939 წლის 14 ივლისი, საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული, ბასტილიის აღების აღსანიშნავად გამართული აღლუმი. ამ წელს, სხვა დიპლომატებთან ერთად, დაპატიჟებული იყო ინგლისის მეფე გეორგ VI ცოლითა და შვილებით. ახლანდელი დედოფალი სულ პატარა გოგონა იყო. აღლუმზე უცხოური ლეგიონის 2 ასეულის მეთაურები იყვნენ დიმიტრი ამილახვარი და ნიკოლოზ თოხაძე – ორი ულამაზესი ვაჟკაცი. შანზელიზეზე

დიდი ტაშისკვრის თანხლებით ჩაიარეს. ქართველები ბევრნი ვიდექით იქ და ძალიან ბედნიერები ვიყავით, რომ სწორედ ქართველები შეერჩიათ ასეულების წინამძღოლებად. აფრიკიდან მათ გენერალი მიქელი ჩამოჰყვათ. „რაღა ეს უცხოელი ოფიცრები დანიშნეთ მეთაურებადო“, – უსაყვედურა მიქელს პარიზის კომენდანტმა გურომ. „მაგათზე უკეთესი არ გვყავსო“, – თავი იმართლა გურომ (ბერეჟიანი 1999:31).

1939 წლის სექტემბერში, როცა საფრანგეთი მეორე მსოფლიო ომში ჩაება, სამოქალაქო პირები, მათ შორის 170 ქართველი ემიგრანტიც, მობილიზაციის წესით გაიწვიეს. თავდაპირველად ქართველი ჯარისკაცები მსახურობდნენ სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში. საქართველოს ლტოლვილი მთავრობის და ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის წყალობით, რომელიც მეგობრობდა საფრანგეთის მინისტრ გი მოლესთან და ჟან პოლ ბონკურთან, 1940 წლის მარტში მთავარსარდლობის ბრძანებით შეიქმნა სამხედრო ნაწილი „Unite Georgienne“. ნაწილი მხოლოდ ქართველებისაგან შედგებოდა. ქართული „უნიტესა“ და საფრანგეთის სარდლობას შორის შუამავალი იყო ფრანგი ოფიცერი პოლკოვნიკი პიო, რომელსაც ძალიან უყვარდა ქართველები. „მე მოვხვდი უცხოელების ლეგიონში, 22-ე ნაწილში, – იხსენებდა შ. ბერეჟიანი, ჩემთან იყო შოთა თაქთაქიშვლი. ეს იყო ასეულის მე-4 ჯგუფი. გვასწავლეს იარაღის ხმარება... ასეულის უფროსად დაინიშნა კაპიტანი გიორგი ოდიშელიძე, რომელიც უცხოელთა ლეგიონში მსახურობდა. აფრიკიდან მას ჩამოყვნენ კოტე ამილახვარი, ლეო კერესელიძე, არჩილ ვალტორნისი; სულ 22 ქართველი. სერჟანტები: ლეო (ლულუ) კერესელიძე, ალექსანდრე ბერაძე, პეტრე ოდიშარია, ანდრო რეხვიაშვილი, გრიგოლ აბულაძე, შალვა ხიზანიშვილი, მთიელი რუფატ ხალილოვი, ნიკოლოზ ელიავა, ალექსანდრე ფარეშვილი; კაპრალები: ვასილ ბარკალაია, იასონ მამულაშვილი, შოთა თაქთაქიშვილი, გიორგი (გოგლიკა) ვაჩნაძე, სერგო დონდუა, გიორგი ბერიძე, ნიკოლოზ ამილახვარი, ალექსანდრე დონდუა; ჯარისკაცები: შალვა კაკიტელაშვილი, შოთა ბერეჟიანი, ვლადიმერ ზუბალაშვილი, ალექსანდრე ალანია, აკაკი ამირეჯიბი, დავით სხირტლაძე, ფილიპე პეტრიაშვილი, ალექსანდრე ტარასაშვილი, ვლადიმერ დარაშვილი, ზურაბ აბაშიძე, ელიზბარ მაყაშვილი, კუკური ჯაყელი, ირაკლი ზედგინიძე, ბიძინა სიდამონ-ერისთავი, ევტიხი აბულაძე, ზურაბ ციციშვილი, ნიკოლოზ ამილახვარი, ირაკლი ჯაფარიძე, მიხეილ ხუდადაშვილი (ხუდადოვი) და სხვები“ (ბერეჟიანი 2000: 38).

ნაწილის შესავსებად ქართველები არ ეყოთ, ამიტომ ფრანგი და ესპანელი ლტოლვილებიც შეიყვანეს. მაგრამ სანამ ნაწილი გაწვრთნეს, საფრანგეთის წინაღმდეგ დაწყებული ომი ერთ თვეში დამთავრდა. ორი დღის შემდეგ მარშალმა პეტენმა კომპიენის ტყეში, მარშალ ფოშის სალონ-ვაგონში ხელი კაპიტულაციას მოაწერა. საფრანგეთი გერმანელებმა ორ ნაწილად გაყვეს: ჩრდილოეთი ოკუპირებულ იქნა, სამხრეთში კი შენარჩუნდა მცირე არმია და საფრანგეთის მთავრობის ხელისუფლება, მარშალ პეტენის მთავრობა, რომელიც პატარა ქალაქ ვიშიში გადავიდა და პროგერმანულ პოლიტიკას ატარებდა. ლეგიონიდან ჩამოსული ქართველები, ოდიშელიძესთან ერთად, აფრიკაში დაბრუნდნენ. დანარჩენები, ვინც თავისუფალ ნაწილში აღმოჩნდნენ – საფრანგეთის ჯარიდან გაუშვეს. ფრანგულ ჯარში მყოფ ქართველთა ნაწილი შემდეგ გერმანულ არმიაში ჩაეწერა, რათა მათი დახმარებით გაენთავისუფლებინა სამშობლო, ნაწილი კი ფრანგ პარტიზანებს შეუერთდა, საფრანგეთის წინააღმდეგობაში მიიღო მონაწილეობა და კი გენერალ დე გოლის ხელმძღვანეობით განაგრძო ბრძოლა საფრანგეთის გასანთავისუფლებლად.

ფრანგების დიდი ნაწილი დამარცხებას არ შეურიგდა. 1940 წლის 18 ივნისს გენერალმა შარლ დე გოლმა ინგლისის რადიოთი მათ დაუმორჩილებლობისაკენ

მოუწოდა. 1940 წლის ბოლოს საფრანგეთში „ეროვნული ფრონტი“ შეიქმნა. მისი წევრები დღისით მუშაობდნენ, ღამე ობსტრუქციებით, გაფიცვებით, პროკლამაციებით, დივერსიებით ხელს უშლიდნენ გერმანელთა საფრანგეთში დამკვიდრებას. 1942 წლის 11 ნოემბერს გერმანელებმა სადემარკაციო ხაზი გადალახეს, ქვეყნის სამხრეთ, თავისუფალ ზონაში შეიჭრნენ და მთელი საფრანგეთი დაიკავეს. ფრონტი საერთო-სახალხო გამოსვლებით აპროტესტებდა საფრანგეთიდან მუშახელის გერმანიაში გარეკვას, სახელმწიფოს ძარცვას.

იატაკქვეშა წინააღმდეგობაში ქართველი ემიგრანტებიც იყვნენ. საქართველოს ლტოლვილმა მთავრობამ საფრანგეთის პრძოლას ოკუპანტებთან 1940 წელს მხარი ნოე ჟორდანიას დეკლარაციით დაუჭირა. როცა გერმანელებმა პარიზიდან ებრაელთა დეპორტაცია დაიწყეს, ქართველებმა ისინი ეთნიკურად ქართველებად გამოაცხადეს და ყალბი დოკუმენტების შექმნით სიკვდილს გადაარჩინეს როგორც ქართველი, ისე ბევრი ევროპელი ებრაელიც. მათ შორის იყო ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ქართველ ებრაელთა თავკაცი იოსებ ელიგულაშვილი. საქმეში ჩაერია მიხეილ კედია. მან მანამდე დოკუმენტურად დაუსაბუთა გერმანელებს, რომ ქართველი მაჰმადიანები ეთნიკურად ქართველები არიან. გერმანიამ გაითვალისწინა რა თავისი მოკავშირე თურქეთის ინტერესებიც, ეს არგუმენტები მიიღო. მ. კედიამ შეძლო ბანაკებიდან ქართველი მუსლიმების გათავისუფლება. ამის შემდეგ მან ახალი, მაგრამ ყალბი საბუთები წარუდგინა გერმანელებს, რომ ქართველი ებრაელებიც წარმომავლობით და ანთროპოლოგიურად ქართველები არიან, მაგრამ მოსეს რჯულის მიმდევრები, ამიტომაც განსხვავდებიან ისინი ებრაელებისაგან ზნე-ჩვეულებებითა და გარეგნობით. ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა კონსტანტინე კანდელაკმა, საქართველოს მთავრობის სახელით, შეადგინა შესაბამისი დოკუმენტები, თუმცა ეს დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ეს მანევრი ქართველებმა პოლონეთშიც წარმატებით გამოიყენეს, ამ გზით 1000-ზე მეტი ქართველი და ევროპელი ებრაელი გადაარჩინეს სიკვდილს, რამაც ერთი ორად აამაღლა ქართველთა ავტორიტეტი და მრავალი ახალი მეგობარი შესძინა მათ. ამ კამპანიაში მონაწილეობდნენ იოსებ ელიგულაშვილი, ალექსანდრე ცომაია, გიორგი მაღალაშვილი, ალექსანდრე ქორქია და სხვები. ანტისემიტიზმისა და საერთო ისტერიის ფონზე ეს იყო იმდენად უნიკალური მოვლენა, რომ მ. კედიამ და ნ. ჟორდანიამ პარიზის დიდი რაბინის ვაისის და ებრაული საზოგადოების პრეზიდენტის მოსერის მადლობის წერილები მიიღეს (გაბლიანი 2000: 171-172).

საფრანგეთის გასათავისუფლებლად 1943 წლის ივლისში ალჟირში დე გოლის მეთაურობით შეიქმნა „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი“. მის საქმიანობაში აქტიურად ჩაებნენ სხვადასხვა ფრონტებზე მყოფი ოფიცრები. მათ შორის იყვნენ გერმანელთა წინააღმდეგ ჩრდილო აფრიკაში უცხოელთა ლეგიონის შემადგენლობაში მებრძოლი ქართველები.

ლეგიონში ყოფილი ტყვეებიც ჩაეწერნენ, მათ შორის – პეტრე ხვედელიძე, რომელიც ჯერ გერმანიის არმიაში ბრანდენბურგის პოლკში იბრძოდა, შემდეგ – სამხრეთ საფრანგეთში, ტულუზის მახლობლად კასტრში დისლოცირებულ ქართულ ლეგიონში ჩაეწერა. როცა გერმანელები დარწმუნდნენ, რომ დამარცხება გარდაუვალი იყო, კავკასიური ნაწილების მოშორება გადაწყვიტეს – ომის დასასრულს საფრანგეთში გადაისროლეს. „1944 წელს საფრანგეთში ვიყავი, – წერდა პეტრე ხვედელიძე, აგვისტოში ჩავბარდით. ჩვენი დივიზიის მეთაურს პოლკოვნიკ მახტს საშინლად სძულდა ჰიტლერი. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ პოლკოვნიკ ვლადიმერ შარაბიძესთან, რომელიც ჩემი უფროსი ძმის თანაკლასელი იყო და სა-

მხედრო სამსახურიც ერთად ჰქონდათ გავლილი. მახტსმა ფარული მოლაპარაკება გამართა დეგოლისტებთან, რომ მის დაქვემდებერებაში მყოფი ქართველები და გერმანელები დე გოლის ჯარის ნაწილებისათვის მიეერთებინათ. ამით ის, ქართველებთან ერთად გერმანელების გადარჩენასაც ცდილობდა“ (ჯერვალიძე 2004: 18). ქართველთა ერთმა ნაწილმა, დე გოლის მოწინააღმდეგე ფრანგ კომუნისტთა პროპაგანდის წყალობით, სტალინის რისხვის თავიდან ასაცილებლად პარტიზანებთან მიერთება გადაწყვიტა. მახტსის რჩევით, შარაბიძემ ლეგიონის იარაღი ფრანგებს გადასცა და დაპირისპირება ქართველთა შორის თავიდან აიცილა. შემდეგ ქართველებს არჩევანი შესთავაზეს – მსურველებს შეეძლოთ ან სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ ან პარიზში საქართველოს ყოფილი მთავრობისათვის მიემართათ. პ. ხვედელიძე დარჩა და ფრანგულ უცხოურ ლეგიონში ჩაეწერა. გერმანული წყალქვეშა გემების გამო საფრანგეთი ერთბაშად ვერ ახერხებდა ჯარის გადასროლას აფრიკაში, მარსელიდან ეტაპებად გადაჰყავდათ. ხვედელიძესთან ერთად 4 ქართველი ექიმი იყო. აფრიკაში იგი პოლკოვნიკ ლამბერის მექანიზებულ კავალერიის პოლკში ჩარიცხეს. ყველა ყოფილი საბჭოელი შეკრიბეს და რამდენიმე ასეული ჩამოაყალიბეს. ესკადრონს ყოფილი იუნკერი ალექსანდრე ჯინჭარაძე მეთაურობდა, ქვეითებს – რუსი ოფიცერი.

1943 წლის აგვისტოში მოკავშირეებმა ცნეს „საფრანგეთის ეროვნული განთავისუფლების კომიტეტი“. კომიტეტის ბრძოლა, წინააღმდეგობის მთელ მოძრაობასთან ერთად, წარმატებით დასრულდა. 1944 წლის ივნისში დაწყებული აჯანყება 40 დეპარტამენტს მოედო, რაც აგვისტოში პარიზის კომენდანტის, ფონ ჰოლტიცის კაპიტულაციით დამთავრდა, რომლის შემდეგ მთელი საფრანგეთის გათავისუფლება დაიწყო.

რაც შეეხება უცხოური ლეგიონის ქართველ ოფიცრებს, მათი ღვაწლი ქართული საზოგადოებისათვის ნაკლებადაა ცნობილი. სტატიაში წარმოდგენილი 10 ოფიცრიდან უკეთაა ცნობილი საფრანგეთის ეროვნულ გმირი, პოლკოვნიკი დიმიტრი (ბაზორკა) გიორგის ძე ამილახვარი. დიმიტრი დაიბადა 1906 წელს ჩრდილო კავკასიის სოფელ ბაზორკინოში, სადაც იმჟამად ცხოვრობდა მისი ოჯახი. 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ამილახვრების ოჯახი პარიზში დასახლდა. 1926 წელს დიმიტრიმ წარჩინებით დაამთავრა სენ-სირის სამხედრო სკოლა და ჩაირიცხა უცხოური ლეგიონის მე-4 პოლკში, მოგვიანებით – კაპიტან კენიგის ასეულში. მონაწილეობდა ჩრდილოეთ აფრიკის მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციებში. საფრანგეთისათვის ომის გამოცხადებისთანავე დიმიტრი ამილახვარმა მიიღო საფრანგეთის მოქალაქეობა. უცხოური ლეგიონის მე-13 ნახევარბრიგადის შემადგენლობაში ნორვეგიაში ბიერვიკთან ებრძოდა გერმანელებს. მონაწილეობდა ქალაქ ნარვიკის აღებაში. დე გოლის მოწოდების შემდეგ სხვა 1100 მეომართან ერთად ინგლისში ჩავიდა. სწორედ მათ შეადგინეს „თავისუფალი საფრანგეთის შეიარაღებული ძალების“ (FFC – Forees Francaises Combattantes) ბირთვი. მის ბაზაზე ახალი ნახევარბრიგადა შეიქმნა. დე გოლის არმიასთან შეერთების გამო ამილახვარს ვიშის რეჟიმმა სიკვდილი დაუსწრებლად მიუსაჯა. უცხოური ლეგიონის ნახევარბრიგადამ კი მთელ აფრიკას შემოუარა. ბრძოლა მოუწია სხვა ფრანგულ შენაერთთან, ვინც ბრიტანელებს და გოლისტებს ეწინააღმდეგებოდა. სხვა ბანაკში მყოფ ლეგიონერებთან შეტაკების ასაცილებლად ამილახვარმა დიდი წინდახედულება გამოიჩინა. ამით უცხოური ლეგიონის საუკეთესო ოფიცრის სახელი, დამასკოს აღებისათვის კი – პოლკოვნიკის ჩინი დაიმსახურა. 1941 წელს სენ-ჟან დაკრის კონვენციით ლეგიონერები გაერთიანდნენ. 1942 წელს I თავისუფალი ბრიგადა გენერალ კენიგის და

მისი მოადგილის ამილახვრის მეთაურობით პირამიდებიდან ფეხდაფეხ მისდევდნენ იტალია-გერმანიის ძალებს. მათ დაიკავეს უდაბნოს გამაგრებული ადგილი ბირ-ჰაქეიმირი, რისთვისაც დე გოლმა ამილახვარი „თავისუფლების ჯვრით“ დააჯილდოვა. იმეიმატის პლატოზე გამარჯვების შემდეგ, 4 ნოემბერს ამილახვარი ჭურვის აფეთქების შედეგად დაიღუპა. დაკრძალულია ელ-ალამეინის გმირთა სასაფლაოზე. დე გოლმა თავის მემუარებში პატივი მიაგო „მამაც ამილახვარს“ და სიკვდილის შემდეგ „საპატიო ლეგიონის“ უმაღლესი ორდენით დააჯილდოვა. 2006 წელს საფრანგეთში ფართოდ აღინიშნა მისი დაბადებიდან მე-100 წლისთავი: პარიზის ერთ-ერთ ქუჩას და სენ-სირის სამხედრო აკადემიის იმ წლის გამოშვებას ეწოდა დიმიტრი ამილახვარის სახელი. მის მშობლიურ ქალაქ გორში მემორიალის გახსნას დაესწრო დიმიტრის ქალიშვილი გრაფინია თამარ ამილახვარი-კინსკი. 2010 წელს დაბა წყნეთში არსებულ სტალინის ქუჩას კი მისი სახელი ეწოდა. 1955 წელს დიმიტრი ამილახვრის გმირული სიცოცხლე და სიკვდილი აღწერა მაიორმა ალექსი ჩხენკელმა ქართულ ემიგრანტულ ინგლისურენოვან ჟურნალში „თავისუფალი საქართველოს ხმა“ (ჩხენკელი 1955: 17-30). ფრანგმა ავტორებმაც არაერთხელ უძღვნეს წერილები ამილხვრის ხსოვნას. პიერ დიუფორმა 1977 წელს გამოცემულ წიგნში, რომელიც უცხოური ლეგიონის 1939-1945 წლების ბრძოლებს ეხება (დიუფორი 1977) და ალენ გარდმა 1985 წელს გამოქვეყნებულ დოკუმენტურ ნაშრომში, რომელიც უცხური ლეგიონის კავალერისტებს ეძღვნება, დიდი ადგილი დაუთმეს დიმიტრი ამილახვრის ბრძოლასა და გმირობას (გარდი 1985). პოეტმა მორის როსტნმა კი „თავადიშვილს შორეული საქართველოდნ“ და მის „არაკადქცეულ გმირობას“ ლექსი უძღვნა.

ნიკოლოზ აფხაზი დაიბადა 1899 წელს თბილისში, ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის, დამკომის სამხედრო ცენტრის წევრის, გენერალ კონსტანტინე (კოტე) აფხაზის ოჯახში. 1918 წელს დაამთავრა სათავადაზნაურო გიმნაზია. 1918-1921 წლებში ოფიცრის წოდებით მსახურობდა ქართულ ჯარში. 1921 წელს, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, დედასთან ერთად საფრანგეთში გაიხიზნა. 1926 წელს დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მიიღო დოქტორის ხარისხი, ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. 1927-1937 წლებში მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1930-იანი წლების ბოლოს გახდა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონის ოფიცრი. მეორე მსოფლიო ომის წლებში ებრძოდა გერმანელებს, საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ გაერთიანდა საფრანგეთის წინააღმდეგობის მოძრაობაში, იბრძოდა ალჟირსა და ლიბიაში. გამოჩენილი მამაცობისათვის დაჯილდოებული იყო საფრანგეთის რამდენიმე პრესტიჟული სამხედრო ჯილდოთი, მათ შორის, „საპატიო ლეგიონის ორდენით“. ერთ-ერთი ოპერაციის დროს ტყვედ ჩავარდა. 1944 წელს გერმანული საკონცენტრაციო ბანაკიდან ამერიკელებმა გაათავისუფლეს. 1946 წელს კანადაში კუნძულ ვანკუვერის ქალაქ ვიქტორიაში გადასახლდა. ეწეოდა საადვოკატო საქმიანობას. მეუღლე მარჯორი (პეგი) ჰემბერტონ-კარტერთან ერთად გააშენა ულამაზესი ბაღი — „Abkhazi Garden“, რომელიც დღესაც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ბოტანიკური ბაღია. როდოდენდრონების უნიკალური კოლექციაში ზოგი აფხაზების გამოყვანილია. ნიკოლოზი გარდაიცვალა 1987 წელის, პეგი – 1994 წელს („გუშაგი“ 1988: 84-85). ანდერძის მიხედვით, კრემაციის შემდეგ, მათი ფერფლი საყვარელ ბაღში მოაბნიეს, ცოლ-ქმრის თავგადასავალი კი კატარინა გორდონმა აღწერა წიგნში „უცნაური ცხოვრება“ (გორდონი 2001).

ალექსანდრე გიორგის ძე ბერაძე დაიბადა 1905 წელს. დაამთავრა თბილისის გიმნაზია. 1924 წლის აჯანყების შემდეგ მამა და უფროსი ძმა, ქაქუცა ჩოლოყაშვი-

ლის თანამებრძოლი იოსები, დახვრიტეს. მომდევნო ძმა, სამხედრო პირი მიხეილი უგზოუკვლოდ დაიკარგა, სამხედრო მფრინავი ვლადიმერი სამხედრო დავალების შემდეგ გაქრა, 19 წლის ალექსანდრე კი, რომელიც პროკლამაციებს აკრავდა, დააბეზღეს და უთვალთვალებდნენ, ამიტომ, დედის რჩევით, საზღვარგარეთ წავიდა. პარიზში ალექსანდრე ელექტრიკოსად მუშაობდა. 1930-იან წლებში უცხოურ ლეგიონში ჩაეწერა და აფრიკაში წავიდა. მიიღო კაპრალის ჩინი. დიმიტრი ამილახვართან ერთად იბრძოდა მაროკოში. 5 წლის შემდეგ დაბრუნდა პარიზში და ქარხანაში დაიწყო მუშაობა. მეორე მსოფლიო ომის დროს ქართულ ნაწილში „Unite Georgiens"-ში ჩაწერეს. საფრანგეთმა კაპიტულაციის შემდეგ პარიზში დაბრუნდა და სამშობლოს გასათავისუფლებლად გერმანელთა შექმნილ ქართულ ბატალიონში გაერთიანდა. კავკასიაში გერმანელთა წარუმატებლობისა და უკანდახევის შემდეგ ალექსანდრე პარიზში დაბრუნდა. იბრძოდა იატაკქვეშა წინააღმდეგობა „რეზისტანტში". ომის შემდეგ სამოქალაქო ცხოვრებას დაუბრუნდა. გარდაიცვალა 1969 წელს კლამარში. დაკრძალული ლევილში (დაუშვილი 2000: 13).

საფრანგეთის ეროვნული გმირი, გენერალი ივანე ასლანის ძე ვაჩნაძე დაიბადა 1899 წელს კახეთში. სწავლობდა ვორონეჟის კადეტთა კორპუსში. 1917 წლის რუსეთის რევოლუციის შემდეგ ჩამოვიდა საქართველოში. სწავლობდა იუნკერთა სკოლაში. იბრძოდა კოჯორ-ტაბახმელასთან. ოკუპაციის შემდეგ ემიგრაციაში წავიდა. 4 იუნკერთან ერთად სტამბოლიდან საფრანგეთის სენ-მიქსენის სამხედრო სასწავლებელში გაგზავნეს. დაამთავრა სომიურის კავალერისტთა სკოლა. უმცროს ლეიტენანტად მსახურობდა ტუნისში უცხოური ლეგიონის I პოლკის კავალერიაში. 1940 წელს საფრანგეთში გერმანიის შეჭრის შემდეგ, იბრძოდა სომის ფრონტზე, იყო მცირერიცხოვან გადარჩენილთა შორის. გადაურჩა ტყვეობასაც. ოკუპირებულ პარიზში სამხედრო ფორმა სამოქალაქო ტანსაცმელზე გაცვალა და ველოსიპედით თავისუფალ ზონაში ჩააღწია, იქიდან კი ჩრდილო აფრიკაში გადავიდა და უცხოურ ლეგიონს შეუერთდა. გერმანელთა წინააღმდეგ მეთაურობდა უცხოური ლეგიონის დივიზიის სადაზვერვო ასეულის ესკადრონს. 1944 წლის სექტემბერში თავის შენაერთთან ერთად გადმოსხდა საფრანგეთში, ბრძოლაში ჩაება ალზასში და გამარჯვება მთელ საფრანგეთთან ერთად იზეიმა. ვაჩნაძეს მიღებული აქვს ფრანგული ჯილდოები, მათ შორის, საბრძოლო ჯვარი და „საპატიო ლეგიონის" 2 ორდენი. 1951 წელს სამხედრო სამსახურიდან გადადგომის მერე ვაჩნაძე ასწავლიდა მშობლიურ სომიურის კავალერისტთა სკოლაში, აღზარდა ბევრი ცნობილი მოღვაწე. უცხური ლეგიონის კავალერისტებისადმი მიძღვნილ დოკუმენტურ ნაშრომში ალენ გარდმა დიდი ადგილი დაუთმო ვაჩნაძის გმირობას (გარდი 1985). პოლკოვნიკი ივანე ვაჩნაძე გარდაიცვალა 1976 წლის 23 აპრილს. სომიურის სამხედრო სკოლის დარბაზს, საიდანაც გამოასვენეს, ეწოდა მისი სახელი. დაკრძალულია ლევილში („მხედარი" 1991: 55).

პოლკოვნიკი ნიკოლოზ (კუკური) თოხაძე დაიბადა 1901 წელს გურიაში. თბილისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ შევიდა იუნკერთა სკოლაში. 1921 წლის ოკუპაციის შემდეგ სტამბოლიდან 4 იუნკერთან ერთად საფრანგეთში სენ-მიქსენის სამხედრო სკოლაში გაემგზავრა. 1929 წელს ლეიტენანტის წოდებით გადავიდა მე-5 ესკადრილიაში და ისტრის საავიაციო სკოლაში პილოტის პროფესიას დაეუფლა. 1932-1937 წლებში იბრძოდა მაროკოსა და ალჟირში. 1937 წელს თოხაძე საფრანგეთის უცხოურ ლეგიონის კაპიტანი გახდა. 1939 წლის 14 ივლისს საფრანგეთის ეროვნულ დღესასწაულზე ელისეს მინდვრებზე გამართულ სამხედრო აღლუმზე დიმიტრი ამილახვართან ერთად მიუძღვოდა „თეთრი ბერეტების" ბატალიონს, როგორც საუკეთესო ოფიცერი. 1941 წელს გაგზავნეს ინდოჩინეთში, სადაც

ბატალიონის მეთაურად დანიშნეს. მონაწილეობდა ალჟირისა და მაროკოს ომებში, 1950-1952 წლებში მსახურობდა კუნძულ მადაგასკარზე, ალჟირში. 1954 წელს ნიკოლოზ თოხაძეს მიენიჭა ვიცე-პოლკოვნიკის წოდება და დაინიშნა უცხოური ლეგიონის უფროსის მოადგილედ, იმავე წელს საპატიო კომანდორად დასახელდა. 1956-1957 წლებში თოხაძე მაროკოში, კაზბა-ტადლაში მეთაურობდა ლეგიონის ნაწილს. განვლილი საბრძოლო გზით დაიმსახურა საპატიო კომანდორის ჯვრები და სხვადასხვა მაღალი ჯილდოები. სამხედრო სამსახურის დატოვების შემდეგ პოლკოვნიკი თოხაძე ცხოვრობდა პარიზში და აქტიურად მონაწილეობდა ქართული სათვისტომოს ცხოვრებაში. დიდი როლი შეასრულა ქართული ოფისის დაარსებაში, რომელსაც ომგადატანილ საფრანგეთში უნდა დაეცვა ქართველთა ინტერესები. იყო ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და სხვა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრი. 1967 წელს აირჩიეს საქართველოს ყოფილ მხედართა საზოგადოების თავმჯდომარედ. აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „მხედართან“ და სხვა ემიგრანტულ პრესასთან. გარდაიცვალა 1975 წელს, დაკრძალულია ლევილში (ჯაფარიძე 1976: 20).

კაპიტანი გიორგი ოდიშელიძე დაიბადა 1899 წელს კახეთში. 1917 წელს დაამთავრა თბილისის გიმნაზია. 1919 წელს გახდა იუნკერთა სკოლის კურსანტი. კოჯორ-ტაბახმელაში ებრძოდა წითელ არმიას. ოკუპაციის შემდეგ სტამბოლიდან 4 იუნკერთან ერთად გაგზავნეს საფრანგეთის სენ-მიქსენის სამხედრო სკოლაში. 1922 წელს უმცროსი ლეიტენანტი გიორგი ოდიშელიძე ჩაირიცხა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში, 1926 წელს გაემგზავრა სირიაში. 1929 წლიდან მსახურობდა ალჟირში. 1935 წელს კაპიტნის წოდება მიანიჭეს და ბატალიონის მეთაურად დანიშნეს. გერმანია-საფრანგეთის ომის დაწყების დროს მსახურობდა უცხოური ლეგიონის ქვეითთა პოლკში. 1940 წლის აპრილში მას დაავალეს საფრანგეთში, ბარკარესის ბანაკში ქართული ნაწილის, „Unite Georgien“-ს შექმნა, აფრიკიდან ოდიშელიძეს ჩამოყვა 22 ქართველ ლეგიონერი. სანამ ნაწილი გაწვრთნეს, საფრანგეთის წინაღმდეგ დაწყებული ომი დამთავრდა. ლეგიონერები აფრიკაში დაბრუნდნენ. ბატალიონის მეთაური გიორგი ოდიშელიძე 1943 წელს იბრძოდა ტუნისში, მონაწილეობდა საფრანგეთის გათავისუფლების სამხედრო ოპერაციებში. 1945 წლიდან იმყოფებოდა პარიზში სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში, 1947 წელს თადარიგში გავიდა და მოღვაწეობა სამოქალაქო სექტორში დაიწყო (დაუშვილი 2012: 51).

პოლკოვნიკი დავით იოსების ძე შალიკაშვილი დაიბადა 1886 წელს კახეთში. 1906 წელს დაამთავრა გიმნაზია. მსახურობდა პეტერბურგის საკავალერიო გვარდიულ პოლკში. პირველი მსოფლიო ომში იბრძოდა რუსეთ-გერმანიის ფრონტზე. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ მაიორი შალიკაშვილი თავის ლეგიონთან ერთად, რომელიც ჩრდილო ირანში იბრძოდა თურქების წინააღმდეგ, საქართველოში დაბრუნდა, დაინიშნა პოლკის მეთაურად და მიიღო პოლკოვნიკის წოდება. 1921 წლის საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, შალიკაშვილი ქართველ ოფიცრებთან ერთად სტამბოლში გაემგზავრა. მაგრამ უცხოეთში დიდხანს ვერ გაძლო და საქართველოში დაბრუნდა. საგანგებო კომისიამ დააპატიმრა. წელიწადნახევარი გაატარა ЧК-ს საპატიმროში. 1922 წლის ნოემბერში, სხვა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად, ხელსუფლებამ საზღვარგარეთ გაასახლა. 3 წელი ცხოვრობდა სტამბოლში, თავმჯდომარეობდა ქართულ კოლონიას. 1924 წლის აჯანყების შემდეგ დახვდა ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და მის მებრძოლებს და მათთან ერთად გაემგზავრა საფრანგეთში. 1925 წელს ჩაირიცხა საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში და გაემგზავრა ჩრდილო აფრიკაში. მეორე მსოფლიო ომის წინ დავით შალიკაშ-

ვილი კაპიტნის წოდებით თადარიგში გავიდა. 1940 წლის მაისში, როცა გერმანია თავს დაესხა საფრანგეთს, 53 წლის თადარიგის ოფიცერმა კვლავ ჩაიცვა სამხედრო ფორმა და საფრანგეთის დამცველთა რიგებში ჩადგა. საუკეთესო პიროვნული თვისებების გამო ლეგიონის მებრძოლები აღმერთებდნენ მეთაურს და სიყვარულით „ჩვენ შალის“ ეძახდნენ. 1940 წლის ნოემბერში დავით შალიკაშვილი უეცრად გარდაიცვალა ქალაქ კანში, დაკრძალულია ნისის სასაფლაოზე (დაუშვილი 2012: 51).

პოლკოვნიკი ალექსი ჩხენკელი დაიბადა 1905 წელს დამოუკიდებელი საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის აკაკი ჩხენკელის ოჯახში. სენ-სირის სამხედრო სკოლის დამთავრების შემდეგ მიავლინეს ალჟირში, შემდეგ – შორეულ აღმოსავლეთში. 1939-1940 წლების ომის დროს ალექსი საიდუმლო მისიით გაგზავნეს ნორვეგიაში, საიდანაც ჩრდილო აფრიკაში დაბრუნდა. მონაწილეობდა ნარვიკის სამხედრო-საზღვაო ექსპედიციაში. საფრანგეთის დამარცხების შემდეგ, ალჟირიდან პარიზში დაბრუნებული ალექსი ჩხენკელი, ლეგიტიმისტ ოფიცრებთან კონფლიქტის გამო, რომლებიც დე გოლს არ შეუერთდნენ, გადავიდა მაროკოში, შემდეგ ტანჟერში. გიბრალტარის გავლით ლონდონს მიაღწია და „თავისუფალი საფრანგეთის სამხედრო ძალებს“ შეუერთდა. 1942 წელს ჩაირიცხა ბრიგადაში, რომელმაც განსაკუთრებით ისახელა თავი ეგვიპტესა და ლიბიაში გენერალ რომელის წინააღმდეგ ბრძოლებში. შემდეგ მიავლინეს მოკავშირე ოფიცრად ამერიკის არმიაში. 1943 წლის ზაფხულში მონაწილეობდა სადესანტო ოპერაციებში კორსიკაზე და იტალიაში. იყო ერიტრეის, ლიბიის, ჩრდილო აფრიკის, იტალიის კამპანიისა მონაწილე, „საპატიო ლეგიონის ორდენის“, სამხედრო ჯვრის, ამერიკის, დიდი ბრიტანეთის და სხვა მრავალი ჯილდოს მფლობელი. საფრანგეთის გათავისუფლებაში მეთაურობდა დივიზიას. 1946 წელს დანიშნეს მოკავშირეთა წარმომადგენლად კუბაში, იუგოსლავიაში, მერე – გერმანიაში. 1946-1952 წლებში ალექსი პარიზში ცხოვრობდა. 1952 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დანიშნეს თავისუფალ ფრანგულ ძალთა პრეზიდენტად. აქტიურად ჩაება ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ საქმიანობაში. ქართველებს წარმოადგენდა „ბოლშევიზმისაგან გათავისუფლების ამერიკულ კომიტეტსა“ (ანტიბოლშევიკური ბლოკი) და „ანტიკომუნისტურ ინტერნაციონალში“. იყო 1952-1955 წლებში ნიუ-იორკში შექმნილ „ქართველთა დემოკრატიული კავშირისა“ და „ქართველთა ეროვნული ერთობის“ წევრი, რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართული რედაქციის ნიუ-იორკელი კორესპონდენტი. გარდაიცვალა 1985 წელს საფრანგეთში (ნიკოლაძეები 2009: 41-42).

ოთარ ჯაყელი დაიბადა 1920 წელს ქალაქ ჭიათურაში, ქართველი მწერლის, საქციო საზოგადოება „ჩემოს“ პრეზიდენტის, ალექსანდრე ჯაყელის ოჯახში. ოკუპაციისთანავე ოჯახი სტამბოლში გადასახლდა. „ნეპის“ პერიოდში ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ჯაყელს დაბრუნება და საქმის გაგრძელება სთხოვა. 1926 წელს საბჭოთა ხელისუფლებისთვის სააქციო საზოგადოების საკუთრების გადაცემაზე უარის გამო, ჯაყელი დააპატიმრეს, მაგრამ მის გარეშე მარგანეცის გაყიდვა ვერ შეძლეს და ამერიკაში გაგზავნეს მოსალაპარაკებლად. პრეზიდენტ ჰუვერთან შეხვედრისას ჯაყელმა ობიექტური ინფორმაცია მიაწოდა მას ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შესახებ. 1929 წელს 9 წლის ოთარი და დედამისი ნინო ხუჯაძე მალულად გადავიდნენ თურქეთში. მერე პარიზში ჩავიდნენ, იქიდან კი ბელგიაში და ბრიუსელში გადასახლდნენ. კოლეჯის დამთავრების შემდეგ ოთარმა სწავლა გააგრძელა ბრიუსელში არქიტექტურის ფაკულტეტზე. დიპლომის დაცვა ვერ მოასწრო – მეორე მსოფლიო ომი დაიწყო. მისი თანაკურსელები ჯარში გაიწვიეს. ოთარს როგორც უცხოელს, არ შეეძლო ბელგიის არმიაში სამსახური, ამიტომ საფრანგეთის „უცხოურ ლეგიონში“ ჩაეწერა. სადესანტო-მოიერიშე „ფანტომის“ ერთ-ერთი

მეთაურის დავით შალიკაშვილის თხოვნით, ოთარი ერთ ჯარისკაცს მეურვეობდა, რომელიც პარიზის გრაფი, პრინცი ანრი ორლეანელი აღმოჩნდა. მას, როგორც სამეფო გვარის წარმომადგენელს, აკრძალული ჰქონდა საფრანგეთის ტერიტორიაზე ყოფნა და იძულებული იყო შეცვლილი გვარით ჩაწერილიყო „უცხოურ ლეგიონში“. ჯაყელმა უმძიმესი ბრძოლები გადაიტანა, მეომრული მოვალეობა და შალიკაშვილის თხოვნა პირნათლად შეასრულა. ოთარი და მისი ძმა კუკური მონაწილეობდნენ 1940 წლის 5-17 ივნისს სედანთან გამართულ სისხლისმღვრელ ბრძოლაში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჯაყელი ბელგიაში დაბრუნდა. იყო ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე. 1955 წელს ოჯახით გაემგზავრა კონგოში, სადაც დიდ მშენებლობებს ხელმძღვანელობდა. 1960 წელს ლუმუმბას რევოლუციის შემდეგ ძლივს გამოაღწია კონგოდან. ბრიუსელში შექმნა არქიტექტურული სახელოსნო, რომელიც ემსახურებოდა ცნობილი პარიზელი არქიტექტორის, დელაჟის ყველაზე პრესტიჟულ სახელოსნოს (ნიკოლაძეები 2009: 30-33). 1968 წელს ოთარ ჯაყელი ცოლთან, პიანისტ ეთერ რუხაძესთან და 3 შვილთან ერთად სამშობლოში დაბრუნდა. მუშაობდა წამყვან არქიტექტორად საპროექტო ინსტიტუტში. დიდი გაჭირვების მიუხედავად, ჯაყელებმა არ მიიღეს სამთავრობო შეთავაზებები, არც ემიგრაციაში დაბრუნდნენ, სამშობელოში დარჩნენ. ოთარ ჯაყელი გარდაიცვალა 2000 წელს თბილისში.

მაიორი ალექსანდრე დავითის ძე ჯინჭარაძე დაიბადა 1897 წელს. სწავლობდა სათავადაზნაურო გიმნაზიაში. პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა კავკასიის ფრონტზე. დაიმსახურა წმ. გიორგის ჯვარი. რუსეთის რევოლუციის შემდეგ დაბრუნდა თბილისში და ჩაირიცხა იუნკერთა სკოლაში. 1921 წლის თებერვალ-მარტში ებრძოდა საქართველოში შემოჭრილ წითელ არმიას. იყო იმ 5 იუნკერს შორის, რომლებიც საფრანგეთში, სენ-მექსენის სამხედრო სკოლაში გაგზავნეს. ჯინჭარაძე ფონტენბლოს სკოლაში გადავიდა და 1926 წელს კავალერიის ოფიცრის წოდებით დაამთავრა. ჩაირიცხა უცხოურ ლეგიონში I პოლკში უმცროსი ლეიტენანტის ჩინით. 1927-1929 წლებში მსახურობდა უცხოური ლეგიონის IV ცხენოსან პოლკში მარაკეშში, დეკორტას ათასეულში აგადირში, 1930-1940 წლებში II ცხენოსანი პოლკის შემადგენლობაში მაროკოსა და ალჟირში. 1935 წელს მიენიჭა „საპატიო ლეგიონის ორდენი“. ფლობდა მრავალ ჯილდოს. 1940 წლიდან ერთმანეთს უთავსებს მებრძოლისა და მშენებლის საქმიანობას: აშენებს გზებს, ხიდებს, საავადმყოფოებს. მეორე მსოფლიო ომის დროს იბრძოდა დივიზიის სადაზვერვო ასეულში. 1940 წლის ივნისში ნორუაისთან ბრძოლაში დაიჭრა და ტყვედ ჩავარდა. 1945 წელს ტყვეობიდან გათავისუფლდა. დაბრუნდა უცხოელთა ლეგიონში მაროკოში. 1946 წლის 1 მაისს ჯარიდან გათავისუფლდა. 1948 წელს ჯინჭარაძე გაეროს სამხედრო დამკვირვებლად ახლო აღმოსავლეთში გაგზავნეს. მსახურობდა კაიროში, ბეირუთსა და იერუსალიმში. 1952-1954 წლებში გენერალ ბეტუარის განკარგულებაში გაგზავნეს ავსტრიაში ჩრდილოაფრიკული ათასეულის მეთაურად. 1954 წელს ჯინჭარაძე სამხედრო სამსახურიდან გადადგა და საცხოვრებლად გადავიდა ამერიკაში. 1955-1962 წლებში მუშაობდა ნიუ-იორკში ლუი დრეიფუსის ასოციაციაში. იყო ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს მდივანი, იყო იუნკერთა წარმომადგენელი შეერთებულ შტატებში, აგრეთვე უცხოური ლეგიონის ამხანაგობისა და კამერუნის ლეგიონერთა კომიტეტის ხელმძღვანელი. 1963 წელს ლეგიონის 100 წლის იუბილეზე მეხიკოში გაგზავნეს დელეგატად. მატერიალურად ეხმარებოდა ქართულ ორგანიზაციებსა და პრესას. ალექსანდრე ჯინჭარაძე გარდაიცვალა 1970 წელს. მისი ქალიშვილი ქეთევან ჯინჭარაძე ომის წლებში ფრანგული წინააღმდეგობის წევრი იყო.

დამოწმებანი

1. ბერეჟიანი შ. „თეთრი გიორგი“ მეორე მსოფლიო ომში – ჟურნ „ომეგა“, 2000, №3.
2. ბერეჟიანი შ. მოგონებები, 1999, პირადი არქივი.
3. გაბლიანი გ. ჩემი მოგონებანი, თბ., 2000.
4. დაუშვილი რ. FAMUS GEORGIANS ალექსანდრე ჯინჭარაძე – გაზ. Prime Time, 2012, №18, 7 V.
5. დაუშვილი რ. FAMUS GEORGIANS გიორგი ოდიშელიძე – გაზ. Prime Time, 2012, №25, 25 VI.
6. დაუშვილი რ. FAMUS GEORGIANS დავით და დიმიტრი შალიკაშვილები – გაზ. Prime Time, 2012, №15, 16 IV.
7. დაუშვილი რ. „სისხლმა გამაკეთებინა ყველაფერი“ – გაზ. „ახალი ეპოქა“, 2000, №16, 25-28 VIII.
8. კვინიტაძე გ. მოგონებები, ტ. II, თბ., 1999.
9. ნიკოლაძეები ფ. და რ. ქართველები საფრანგეთისათვის ბრძოლებში 1939-1945 წლებში, თბ., 2009.
10. ნიკოლოზ აფხაზის გარდაცვალება – ჟურნ. „გუშაგი“, პარიზი, 1988, №15.
11. ქართველი იუნკერი – საქართველოს გმირი – ჟურნ. „მხედარი“, 1991, №2.
12. ჯაფარიძე ი. გარდაცვალების ერთი წლის გამო – ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, №14-15.
13. ჯერვალიძე ს. ვეამბორები ქართულ მიწას და ავტირდები ტარიელივით – გაზ. „კვირის პალიტრა“, 2004, 12-18 VII.
14. Gardy A. Royal Etranger, legionaires cavaliers au combat 1921-1984, Presses de la Cite, 1985
15. Gordon K. A Curious Life - The Biography of Princess Peggy Abkhazi, Sononis Press, Canada, 2002.
16. Dufour P. La Legion au combat 1939-1945, Paris, 1977.
17. Tchenkeli A. Death of a Hero - The Voice of Free Georgia, 1955, N8.

RUSUDAN DAUSHVILI

Georgian emigrants in foreign legion

Summary

The article is about refugees (who had gone to France after the occupation of Georgia), the first wave emmigrants and their participation in the foreign legion. Out of them many became famous as a successful warior and have reached high rank of the officer as well. Many became decorated with a French highest order, "cavalier of order of the legion of honor" and owner of different awards and established themselves in the books of Alan Gardis and Pier Diuphoris and others that are devoted to legion.

In the article we read about 10 Georgian officer's short biography and their merit in front of foreign legion and France. These are : national hero of France colonel Dimitri (Bazorka) Amilakhvari, captain Nikoloz Apkhazi, corporal Alexander Beradze, national hero of France and general Ivane Vachnadze, colonel Nikoloz (Kukuri) Tokhadze, captain Giorgi Odishelidze, corporal David Shalikashvili, corporal Alexsi Chkhenkeli, captain Otar Jakeli and major Alexander Jincharadze.

მანანა დარჩაშვილი

სხვაგვარად მოაზროვნე ქართველი სოციალ-დემოკრატი

XX საუკუნის დასაწისში, საქართველოში ავტონომიის მოპოვებისათვის ბრძოლა გააქტიურდა. ქართული სოციალ-დემოკრატია, იზიარებდა რა რსდმპ მეორე ყრილობაზე მიღებულ ეროვნულ პროგრამას, მთელი რიგი პუბლიკაციებით აკრიტიკებდა საქართველოს ეროვნული ავტონომიის მიმდევრებს.

აღსანიშნავია, რომ სოციალ-დემოკრატიის მცირე ნაწილმა (ვლ. დარჩიაშვილმა, ივ. გომართელმა, პ. საყვარელიძემ, ნ. ეგვიტიშვილმა და სხვ.) აღიარა საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის საჭიროება. პრესის ფურცლებიდან საზოგადოებისათვის აშკარა გახდა სოციალ-დემოკრატთა ბანაკში ეროვნულ ნიადაგზე მომხდარი განხეთქილება.

ქართველ სოციალ-დემოკრატ ავტონომისტთა ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა ვლადიმერ დარჩიაშვილი იყო.

ვლადიმერ დარჩიაშვილი[1] 1894 წლის 8 მაისს ეგნატე ნინოშვილის დასაფლავებაზე „მესამე დასის" ახალგაზრდობასთან ერთად გამოვიდა. ამის შესახებ „დამსწრე" აღნიშნავდა: „მათში თითო ოროლა ფრიად ნიჭიერები არიან და მათი დიდი იმედი უნდა გვქონდეს მომავლისათვისო". გასვენებაზე ვლ. დარჩიაშილის მიერ წარმოთქმული დასელთა საპროგრამო სიტყვა მისი სადებიუტო გამოსვლა იყო. დარჩიაშვილის შესახებ მაშინვე აღნიშნავდნენ, რომ „დარჩია-ქიზიყელი ახალგაზრდა წლოვანების შესაფერად კარგად მომზადებულია თავის პროგრამისთვისო", რომ მისი გამოსვლა „ეს იყო (ჩვენში) მარქსისტის პირველი საჯაროდ წარმოთქმული სიტყვა". თუმცა, მისი თანამედროვეებისაგან ცნობილია, რომ „მართალია, ლადო აქ დაენახა საზოგადოებას", მაგრამ მისი მესამედასელობა აქ არ დაწყებულა, ის თბილისში, მიხეილის პროსპექტზე არსებულ სარდაფში ეგნატეს გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდობასთან ერთად იყო".

ვლ. დარჩიაშვილი 1898-1905 წლებში საზღვარგარეთ სწავლობდა, დაამთავრა ბრიუსელის უნივერსიტეტი. იყო სამართლისა და ეკონომიკის დოქტორი. იგი უცხოეთიდან თანამშრომლობდა ქართულ პრესაში, სამშობლოში დაბრუნებისთანავე კი აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას ეწეოდა. მან მთელი რიგი პუბლიკაციები მიუძღვნა ეროვნული საკითხის შესწავლა-განხილვას. დიდ ყურადღებას უთმობდა ეროვნულ ურთიერთობათა პრობლემის სწორად გადაჭრას.

ვლ. დარჩიაშვილი საკუთარი მოსაზრებების დასაცავად ხშირად ეკამათებოდა სოციალ-დემოკრატთა ორივე მიმართულების წარმომადგენლებს. კერძოდ, თავის წერილზე „კიდევ ავტონომია" გამოხმაურებულ ფ. მახარაძეს, განუმარტავდა, რომ

---

1 ვლ. დარჩიაშვილი ცნობილი ეროვნული მოღვაწე, ფილოსოფოსი, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, დაიბადა 1872 წელს კახეთში სოფ. ანაგაში. 1914 წლის ზაფხულში ახლად დაქორწინებული დარჩიაშილი მეუღლესთან ელენე გეგელაშვილთან ერთად (მანამდე მათ საზღვარგარეთ გაიცნეს ერთმანეთი) ევროპაში, გერმანიაში გაემგზავრა. ომის დაწყების შემდეგ ვლ. დარჩიაშილი, როგორც „რუს-ქვეშევრდომი და პირველი კატეგორიის პატიმარი" დატოვეს ქ. ლაიპციგში. ის ყოველდღე უნდა გამოცხადებულიყო აღრიცხვაზე. გარდაიცვალა 1916 წლის 7 მაისს. დაკრძალულია გრიმმაში, ლაიპციგის მახლობლად.

მის პოლიტიკურ მოთხოვნათა შორის ერთ-ერთი მთავარი იყო: „საკანონმდებლო თვითმმართველობა დაჩაგრულ ეროვნებათა, თანახმად ამავე ეროვნებათა სურვილებისა". ეყრდნობოდა რა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამას ეროვნულ საკითხში („დაჩაგრულ ეროვნებათ უნდა მიენიჭოს სრული უფლება ეროვნული თვითგამორკვევისა"), დარჩიაშვილი მოკამათისათვის აზუსტებდა, რომ ეს ნიშნავდა, სოციალ-დემოკრატიული პარტიიის მხრიდან ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დამორჩილებას თვითონ ერის სურვილისადმი. კერძოდ, თუ ერის სურვილი იყო საკანონმდებლო თვითმმართველობა (ავტონომია), სოციალ-დემოკრატია მხარს დაუჭერდა ავტონომიას და ან, თუ ერი მოითხოვდა სრულ განცალკევებას სახელმწიფოსაგან, პარტიისათვის ეს სურვილი იქნებოდა კანონი. „როცა ჩემს ფელეტონს ვწერდი, არ ვიცოდი, როგორი იყო ეროვნულ საკითხზე ხალხის სურვილი და ამიტომ არ დავასახელე არც საქართველოს ავტონომია, არც კავკასიის ავტონომია. ერის სურვილი დაბეჯითებით არც დღეს არის გამორკვეული, რადგან ჯერ არ მომხდარა ამ საკითხზე რეფერენდუმი (ხალხის შეკითხვა და ხმების შეკრება). მაგრამ თუ ჯერ მათემატიკურად არ გამოკვლეულა, როგორი არის ხალხის სურვილი, ეს კიდევ საბუთი არ არის იმისა, რომ თითოეულ ჩვენგანმა აზრი და შეხედულება არ იქონიოს ამ საკითხებზე, რაც ცხოვრებამ წამოაყენა, რაზედაც თათბირობენ საზოგადოებაში, კრებებზე, პრესაში. აი, ამიტომ მე არ შევუშინდი ბ-ნ მახარაძეებს და როცა გარემოებამ მოიტანა, ჯერ საერობო კრებებზე და მერე პრესაში საქვეყნოდ გამოვთქვი, რომ პრინციპიალურად ვემხრობი კავკასიის საერთო ავტონომიას," არნიშნავდა ვლ. დარჩიაშვილი (1: №211).

როგორც ცნობილია, პარიზში გამომავალი გაზეთ „საქართველოს" ჯგუფმა ავტონომიის მომხრეთა გაერთიანების მიზნით, 1904 წლის 1 აპრილს ჟენევაში ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენცია მოიწვია. კონფერენციას „ოქმების" (ოქმები 1904: 11) მიხედვით, თავდაპირველად 26 კაცი ესწრებოდა, ხუთმა სოციალ-დემოკრატმა დატოვა კრება, ხოლო ერთ-ერთმა მონაწილემ „ბ-ზ"-მ ითხოვა ნებართვა კრებაზე დარჩენისათვის. ვფიქრობთ, პროფესორი დიმიტრი შველიძე „ბ-ზ"-ს მართებულად მიიჩნევს ვლადიმერ დარჩიაშვილად, რადგან ამ პერიოდში ის ქართველი სოციალ-დემოკრატებისაგან განსხვავებით, აღიარებდა ავტონომიის მოთხოვნას. ამასთან, თავისი პოზიციის გამო, პირველი სახალხო რევოლუციის პერიოდში კავკასიის ჟანდარმერიის ერთ-ერთ ცნობაში ის პირდაპირ იყო დასახელებული "საქართველოისტთა" კომიტეტის შემადგენლობაში (შველიძე 1993: 148).

ვლადიმერ დარჩიაშვილისათვის ეროვნული საკითხი იმდენად უზენაესი იყო, რომ შეეძლო ეთანამშრომლა ეროვნულ ნიადაგზე მდგომ, თუნდაც ყველა სხვა ნიშნით განსხვავებულ მოღვაწეებთან, გაგებით მოკიდებოდა და პატივი ეცა მათი ნააზრევისათვის. სწორედ ამიტომ იყო იგი ასეთი გამორჩეული თავისი პარტიიდან. წერილში „პარტიული ეთიკა" ამის შესახებ წერდა: „ბ-ნი მახარაძე განრისხებულია, რომ მე თანამშრომელი შევიქმენი „ივერიისა", იმ „ივერიის", რომელიც ვიწრო ნაციონალიზმის გზას ადგას, რომელიც ქართულ ბურჟუაზიას და ქართველ მემამულეებს ესარჩლება, რომელიც ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიასთან ერთად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასაც თხოულობს. რა არსი ეს? როგორ თავსდება ერთად „ივერია", თუნდაც განახლებული, და სოციალ-დემოკრატიული მოძღვრება? როგორ მოხდა, რომ იმ ორგანოში, რომელიც პირდაპირ ლანძღვა-გინებით იხსენიებს სოციალ-დემოკრატიას, თავშესაფარი იშოვა ისეთმა პირმა (ე.ი. თვითონ, მ. დ.), რომელიც თავის თავს მუშათა პარტიის წევრად სთვლის" (1: №208.).

ვლ. დარჩიაშვილმა თავის თანამოაზრეებთან ერთად 1908 წელს ჟურნალი „ალიონი" დაარსა (სწორედ ამიტომ მათ იცნობდნენ, როგორც „ალიონისტებს"), თანამშრომლობდნენ: ვლ. დარჩიაშვილი (ფსევდონიმებით: ლ. დ.; ონ.; ონი; ო; დ-ლ), ივ. გომართელი, ს. პართენაშვილი, ვ. ობჩელი (ვ. ბურჯანაძე), პ. საყვარელიძე. ჟურნალის დახურვის შემდეგ მათ მოღვაწეობა ყოველკვირეულ გაზეთ „ჩვენს კვალში" გააგრძელეს, ხოლო ბოლოს 1917-1918 წლებში კვლავ გაზეთი „ალიონი" დაარსეს.

„ალიონი" 1908 წლის 11 მაისს გამოვიდა. ამ ორგანოს გამოსვლა არაჩვეულებრივი მოვლენა იყო საზოგადოებრივ ცხოვრებაში. პირველი ნომრის გამოსვლისთანავე აშკარა გახდა, რომ სოციალ-დემოკრატთა ბანაკში განხეთქილება სუფევდა. გაზეთის სარედაქციო წერილში ვკითხულობთ: „ჩვენ ვადგევართ მტკიცედ განსაზღვრულ სოციალურ-პოლიტიკურ მიმართულებას. ეს სხვათა შორის იმას ნიშნავს, რომ ცხოვრებისაგან წამოყენებულ ყოველ საჭირბოროტო საკითხს, ყოველ საყურადღებო მოვლენას ჩვენ გავცემთ მკაფიო, გარკვეულ და გადაჭრილ პასუხს, რასაკვირველია რამდენადაც ეს შესაძლებებლი იქნება პრესის დღევანდელ პირობებში. ამ უკანასკნელი გარემოების მხრივ ჩვენი მდგომარეობა ისეთივეა, როგორც ყველა პროგრესულ გამოცემათა...

ჩვენ ვადგავართ მტკიცედ განსაზღვრულ სოციალურ-პოლიტიკურ მიმართულებას, ეს მოასწავებს იმასაც, რომ ჩვენ უეჭველად ანგარიშს გავუწევთ ყველა სხვა მოწინააღმდეგე მიმართულებათ. ჩვენ ამათ არაერთხელ და ორჯერ შევხვდებით პირისპირ, არა ერთხელ და ორჯერ მოგვიხდება მათთან შეტაკება. მაგრამ შეტაკებას და კამათს ვერ ავცდებით თვით ჩვენი მიმართულების მიმდევრებთანაც... ჩვენ შეურიგებელი მტერი ვართ იმ ხელოვნური პირობების, რომელნიც ქმნიან ერთგვარ იდეურ მონასტერს, რომლის ზღუდეთა შორის ჭკნება შემოქმედებითი ნიჭი, კვდება თავისუფალი აზრი და გაბედული ინიციატივა. ერთი სიტყვით, ჩვენ ვდგავართ კრიტიკის ნიადაგზე, ჩვენი სამთავროა მეტი იდეური რესპუბლიკა და დევიზათა გვაქვს: მეტი სინათლე..." (4: №1).

ამგვარად, გარკვეულ პოზიციაზე მყარად მდგარი ჟურნალის თანამშრომლები აცხადებდნენ თავიანთ მოსაზრებებს და სოციალ-დემოკრატებს უკიჟინებდნენ კიდეც ეროვნული საკითხის უყურადღებოდ მიტოვების გამო. წერილის ბოლოს რედაქცია აცნობებდა მკითხველს: „ჩვენ მთელი მნიშვნელობით წამოვაყენებთ შესასწავლად და გადასაჭრელად იმ საკითხს, რომელიც მუშათა პარტიაში დღემდის ერთიანად დაჩრდილული და გვერდზე მიგდებული იყო, ჩვენ ვამბობთ ნაციონალურ პრობლემაზე. ეს პრობლემა თვით ამ პარტიის ცხოვრებაში უკვე დიდმნიშვნელოვანი და საჭირბოროტო საკითხი არის. ეს პრობლემა კი ჩვენში დღემდე თითქმის სრულიად შეუსწავლელია და რა თქმა უნდა მისი გადაჭრაც პარტიის მიერ ვერ იქნებოდა სათანადო. დროა ეს დეფექტიც თავიდან მოვიშოროთ და ამით უზრუნველყოთ მუშათა საქმის ზრდა, განვითარება და ძლევამოსილება" (4: №1).

აშკარა იყო, რომ სოციალ-დემოკრატიულ წრეებში სწორედ ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის ნიადაგზე წარმოიშვა განხეთქილება, რამაც, რა თქმა უნდა, საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია. ფაქტი იყო, რომ სოციალ-დემოკრატების ცნობიერებაში ხდებოდა რაღაც ცვლილება და ამ ცვლილებამ თავი იჩინა თავდაპირველად მათსავე პრესაში. ეს არ იყო, როგორც არ. ჯორჯაძე ამბობდა, „ბოლშევიკებ-მენშევიკების" დავა და შეტაკება. ეს იყო წამოწყებული ბრძოლა სოციალ-დემოკრატთა შორის. ეს იყო საშინაო მწვავე საკითხი, რომლის გადაწყვეტაში ვერ თანხმდებოდნენ ერთი პარტიის წევრები (ჯორჯაძე 1911: 247).

ვლ. დარჩიაშვილი ბრალს სდებდა თავისი პარტიის წევრებს, რომ ისინი ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში რუსი ამხანაგების გავლენას დამორჩილდნენ. კერძოდ, ნოე ჟორდანიას მისამართით იგი აცხადებდა: „ანი ერთმა ჯგუფმა თავიდანვე ხელში აიტაცა საგოგმანებლად და და მაგრად შებოჭა გულუბრყვილო კოსმოპოლიტიზმის არტახებითო.“ ალბათ საჭიროა აღინიშნოს, რომ თანაპარტიელების მიმართ ასეთი განწყობა გამოწვეული იყო მათი პირვანდელი საერთო სურვილისაგან - ამიერკავკასიის ავტონომია პარლამენტით თბილისში, დარჩიაშვილის განდგომის გამო.

ამდენად, ამ ყველაფრის აღიარებამ და სააშკაროზე გამოტანამ, რა თქმა უნდა, გამოიწვია დიდი გამოხმაურება და კამათი პრესაში, რომელიც ჯეროვან ნათელს ჰფენდა, როგორც განხეთქილების მიზეზს, ისე მოპირდაპირე ბანაკთა პოზიციას ეროვნული საკითხის გადაწყვეტაში.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საყურადღებოა ვლ. დარჩიაშვილის წერილი „მორიგი საკითხები“, სადაც ავტორი სიზუსტით აღწერდა არსებულ რეალობას და ეროვნული საკითხის მოგვარების გზებსაც სახავდა. მისი აზრით, საჭირო იყო სოციალ-დემოკრატების მიერ ეროვნული საკითხისადმი განსაკუთრებული მიდგომა, ის საყურადღებო რჩევით მიმართავდა თავისი პარტიის წევრებს, რომ რაც იყო რევოლუციური მოძრაობის პირველ ხანებში, ის აღარ განმეორდებოდა, ხოლო თუ პარტია „კვლავ იმავ ავლა-დიდებით გამოვა და ისევე გადასჭრის ნაციონალურ საკითხს, როგორც მაშინ, ეს ეხლა თქმა არ უნდა გამოიწვევს ჩვენივე ძალების დაქსაქსვას, მოძრაობის დასუსტებას და ამით მოამზადებს ხალხის უსასტიკეს დამარცხებას“ (6: №2). ამას ის იმთ ხსნიდა, რომ ადრე თუ თვითონ მოუმზადებლები იყვნენ, შესაბამისად ნაციონალუირი პარტიებიც და ხალხიც მოუმზადებელი იყო, გულგრილად ეკიდებოდნენ ეროვნულ საკითხს, მაგრამ არსებულ ეტაპზე სიტუაცია შეცვლილი იყო და, როგორც თვითონ აღნიშნავდა: „დრო აღარ იცდის და გაღიზიანებული ეროვნული ჭრილობანი მალამოს გვნუკავს. დღეს აღარ მოხერხდება საკითხის გადაფუჩოჩება და ისეთი ზოგადი ფრაზებით დაკმაყოფილება, როგორიც არის: ეროვნული თვითგამორკვევის უფლება და სხვა. დღეს ჩვენი მიუცილებელი, წმინდა ვალია შევიმუშავოთ განსაზღვრული ნაციონალური პროგრამა და მთელი წყება იმ კონკრეტულ მოთხოვნათა, რომელთა განხორციელება უნდა აკმაყოფილებდეს ჩვენი ქვეყნის განვითარების ინტერესებს და ამავე დროს უზრუნველყოფდეს აქ მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნებათა მუშა ხალხის ერთობლივ, შეთანხმებულ და სოლიდარულ მოქმედებას“ (6: №2).

მნიშვნელოვანია, რომ თვითონ ავტორი აქ გადაჭრით აღნიშნავს რა ნაციონალური საკითხის განხილვის საჭიროებას ავტონომიის პრობლემასთან ერთად, ასევე აყენებს ნაციონალური კულტურული ავტონომიის საჭიროებასაც და შენიშნავს, რომ ისინი, ვინც არსებულ ეტაპზეც ისევ ისე უყურებენ ავტონომიას, როგორც წინათ „და რა მშვენიერი ხონჩითაც არ უნდა მიუტანო - ისინი მას ხონჩიანათ შორს აგდებენ“, აი ეს ამხანაგები სასტიკად ივიწყებენ თვით სოციალ-დემოკრატიულ პრინციპებსო (6: №2).

ვლადიმერ დარჩიაშვილი ასე აშკარად გამოდიოდა თავის თანაპარტიელთა წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მართლაც არასწორად დაყენებული ეროვნული საკითხის გამო. არ ერიდებოდა ამხანაგთა მხილებასაც არასწორი, გაურკვეველი პოზიციისათვის. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი „ნაციონალიზმი და ინტერნაციონალიზმი“, სადავ ავტორი ცდილობდა ამ ცნებების ახსნას და მათი ურთიერთმიმართების გაშუქებას. მისი აზრით, საკითხის ასე დაყენება მეტად აქტუალური იყო, ვინაიდან მათ სხვადასხვა მნიშვნელობას აძლევდნენ.

ვლ. დარჩიაშვილი აკრიტიკებდა არაერთ პოლიტიკურ განცხადებას აღნიშნულ საკითხზე, მათ შორის ნოე ჟორდანიასაც, რომელიც წერდა: „საქართველო ორ ბანაკად არის გაყოფილი, რომელთა შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომია, ერთ ბანაკს შეადგენს სოციალ-დემოკრატია, მეორეს მხრით დგანან სოციალისტ-ფედერალისტები, ანარქისტები, პროგრესისტ-დემოკრატები და კადეტები, ერთი სიტყვით ყველანი და ყველაფერი გარდა სოციალ-დემოკრატიისა, მათი საერთო თვისებაა ნაციონალური ავტონომია და ამ ბაირაღით მოდიან ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველათ... ეს ერთი დიდი რეაქციული მასაა, მათთან საერთო არარა გვაქვს რა და ის დროა შეიგნონ ყველა ამხანაგებმა, ბრძოლა, ბრძოლა სასტიკი“. ამ ბრძოლის ჟინით გატაცებულ ანს (ნ. ჟორდანია) ვლ. დარჩიაშვილი ერთ „უბრალო კითხვაზე“ პასუხის გაცემას სთხოვდა: „დაჩაგრული ერის და გაბატონებული ერის ნაციონალიზმი ერთიმეორისაგან განსხვავდება რითიმე თუ არა?“ და დასძენდა: „ყველა თანამედროვე ჭკუით მყოფელმა ადამიანმა იცის, რომ თუ გაბატონებული ერის ბურჟუაზია აწარმოებს სხვის დაპყრობის, მოსპობისა და განადგურების პოლიტიკას, დაჩაგრული ერის, ყოველ უფლებებს აყრილი ერის ბურჟუაზიას, ძალიანაც რომ უნდოდეს, არ შეუძლია ასეთი პოლიტიკის ამუშავება, ეს პირიქით, ზოგჯერ იძულებული ხდება წამოაყენოს პირდაპირ რევოლუციონური მოთხოვნა და თითქმის ყოველთვის გამოდის ეროვნული თავისუფლების მოსარჩლეთ, რაც, თქმა არ უნდა, სრული თანაგრძნობის ღირსია დაჩაგრული და გაყვლეფილი კლასის მხრივაც“. ამასთან მიმართებაში ავტორი იმოწმებს პოლონეთის მაგალითს. სადაც ბურჟუაზიას თავის მოთოვნად გამოჰქონდა პოლონელი სოციალ-დემოკრატიის ეროვნული მოთხოვნები (7: №1).

ვლ. დარჩიაშვილი გადაჭრით აღნიშნავდა, რომ სინამდვილეში არცერთ თანამედროვე ქვეყანაში ხალხი ნაციონალური საკითხის გამო პარტიებად არ იყოფოდა. ის მთლიანად მცდარად მიიჩნევდა ნ. ჟორდანიას ხსენებულ მოსაზრებას, რადგან ვერ წარმოედგინა, რომელიმე ისეთი პარტია, რომელსაც მხოლოდ ერთი განკერძოებული საგანი შეიძლება ჰქონოდა მოქმედების მიზნად. მისი აზრით, პოლიტიკური პარტია, ბურჟუაზიული იქნებოდა ის თუ პროლეტარული, მუდამ იძულებული იყო ანგარიში გაეწია მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების რთული და მრავალფეროვანი მოთხოვნებისა თუ საკითხებისათვის.

ნადვილი ერის საზოგადო, მუდმივი და საბოლოო ინტერესები ერთნაირად ჰფარავენ და ჰარმონიულად ეთანხმებიან მუშათა კლასის ინტერესებს, მიიჩნევდა ვლ. დარჩიაშვილი. მისი აზრით, ამიტომაც ყველა დაწინაურებული ქვეყნის მუშათა პარტია აუცილებლად დგას ეროვნულ ნიადაგზე: „სოციალისტური პოლიტიკა უეჭველად ატარებს ნაციონალურ ხასიათს და მთელი მოქმედება გაცნობიერებულ მუშა ხალხისა მიმართულია სამშობლოს საკეთილდღეოდ“ (7: №2). დარჩიაშვილის შეხედულებით, სოციალიზმის დამყარებისას ერის მთელი, როგორც ნივთიერი, ისე სულიერი სიმდიდრე გადაიქცეოდა ერის შემადგენელ ყველა ადამიანთა საერთო კუთვნილებად და ყველასათვის თანასწორ კეთილდღეობის მიმნიჭებლად. ამასთანავე, ეროვნება მხოლოდ ასეთ წეს-წყობილებაში მიაღწევდა განვთარების უმაღლეს საფეხურს, რისი განხორციელება მხოლოდ ყველა ერის თანხმობით და სოლიდარობით შეიძლებოდა (7: №2).

პრესის ფურცლებიდან საზოგადოება იცნობდა ვლ. დარჩიაშილის მიდგომებს ერისა და ქვეყნისთვის ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიც ეროვნულ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები იყო. სწორედ ამიტომ, მასზედ არჩილ ჯორჯაძე ამბობდა: „ლ. დ-მა გაბედა და შესდგა პოლიტიკური ავტონომიის ნიადაგზე და მისმა ამხა-

ნაგებმა ამ „თავხედობისთვის“ ჯვარს აცვეს იგი“-ო. (ჯორჯაძე 1911: 269). გაზეთი „სახალხო ფურცელი“ (სოციალისტ-ფედერალისტები ორგანო) კი წერდა: „ვლ. დარჩიაშვილი სოციალისტ-ფედერალისტების მეგობარი არ იყო, მაგრამ ამისდა მიუხედავად, ჩვენ მაინც არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ, რომ იგი ისეთი ადამიანი იყო, რომელიც ღრმად განიცდიდა ეროვნულ ტკივილებს და საჭიროდ მიაჩნდა ამის თაობაზე საჯაროდ ლაპარაკი... ვლ. დარჩიაშვილს, როგორც კეთილშობილ მამულიშვილსა და ჭეშმარიტ დემოკრატს ვერცკი წარმოედგინა სიცოცხლე უსაქართველოდ“ (8: №577).

ამრიგად, ვლადიმერ დარჩიაშვილი თავის წერილებში უმთავრეს ყურადღებას ეროვნული პრობლემის შესწავლას და გადწყვეტას აქცევდა. სწორედ ამიტომ, ის ქართველ სოციალ-დემოკრატიაში განსხვავებულად მოაზროვნე, ამ ნიშნით ყველასგან გამოკვეთილი ფიგურაა. ამასთან, ეროვნულ ნიადგზე მდგომ თანამედროვეთა დამოკიდებულება ვლადიმერ დარჩიაშვილისადმი შესაბამისი იყო.

დამოწმებანი

1. გაზ. „ივერია“, 1905 წ.
2. ოქმები ქართველ რევოლუციონერთა პირველი კონფერენციისა, პარიზი, 1904.
3. შველიძე დ. პოლიტიკური პარტიების წარმოშობა საქართველოში, ნაკვეთი1, თბ., 1993.
4. გაზ. „ალიონი“, 1908 წ.
5. არ. ჯორჯაძე, შეთანხმების იმედი, თხზ. ტ. 1, თბ., 1911.
6. გაზ. „ალიონი“, 1908 წ.
7. გაზ. „ჩვენი კვალი“, 1908.
8. გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წ.

MANANA DARCHASHVILI

Differently Thinking Georgian Social-Democrat

Summary

The present article is to introduce thoughts of V. Darchiashvili-one of the public figures among Social-Democrats having the autonomist ideas.

At the turn of the XX century, when demand of autonomy of Georgia became active, Vladimer Darchiashvili was the first person among Social-Democrats who gave essential importance to the demand of territorial autonomy for Georgia.

In 1898-1905 V. Darchiashvili studied abroad. He graduated from the University of Brussels. From there he cooperated with the Georgian media.

He dedicated several publications to the studies and discussions about the issues of nation and national relations.

One of the main among political demands of V. Darchiashvili was arrangement of juridical self governance of discriminated nationalities according to the desires of the nationalities themselves.

National issue for him had such a supreme priority that he could cooperate with any nationally oriented, even though very different in opinions public figures, both understanding and respecting their ideas.

In 1908 V. Darchiashvili together with like-minded people founded the journal "Alioni". From the moment of publication it became clear to the society that there existed controversies in visions inside the camp of Social-Democrats.

Employees of the journal who took the autonomist position boldly declared their ideas and accused Social-Democrats of neglecting national issues that became the reason for splitting between them.

V. Darchiashvili blamed his party members for being influenced by their Russian colleagues in the matters of national issues. He pointed fairly that the issue of nations being in double joke in the struggle for independence was not prepared properly. In particular he found it necessary to adopt a special approach to the national issue.

According to V. Darchiashvili in the given time "superficial approach" of the national issue with such general phrases as national identification, arouse lots of due questions for the nations established within their territorial entities for millennia.

While discussing national program V. Darchiashvili underlined that among specific demands, realization of which were significant to meet the interests of our country, it was necessary to give special attention also to the different nations living there to make "joint, agreed and consolidated actions" possible.

It is important to note that his national program coming out from multi nationality of Georgia envisaged the issues of "autonomy of national cultures" too.

V. Darchiashvili sharply criticized existing in Georgia circumstances and said with great pain that nowhere else on earth besides Georgia the society was divided into classes because of the national issue.

In the summer of 1914 newly married V. Darchiashvili together with his wife Elene Gegelashvili went to Germany.

After the beginning of the World War I V. Darchiashvili was kept in Leipzig as a "person of Russian subordination and prisoner of the first category". On the 7th of May, 1916 he died (after illness) and is buried in Grimma, near Leipzig.

ლალი ზაქარაძე

ფილოსოფიისა და პოეზიის დიალოგი: შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტრადიცია და ნოსტალგიით გამსჭვალული გურამიშვილის პოეტური შემოქმედება

დავით გურამიშვილი (1705-1792) XVII-XVIII საუკუნეების ე.წ. აღორძინების ხანის ქართული მწერლობის გამორჩეული პოეტი და მოაზროვნეა. ეს შეფასება სრულიადაც არა არის გადაჭარბებული. მისი პოეტური აზროვნების ფილოსოფიური სიღრმე, პრობლემათა მრავალფეროვნება, მსოფლმხედველობრივი შეხედულებების აქტუალობა, მისი ლექსის სადა სტილი და გასაგები ენა ამის ნათელი დადასტურებაა.

რელიგიური, ფილოსოფიური, პედაგოგიური თუ განმანათლებლური იდეები გურამიშვილის შემოქმედებაში პირველად იყრის თავს რუსთაველის შემდეგ (თვარაძე 1985: 287) და, ძირითადად, შუა საუკუნეების ქართული აზროვნებიდან იღებს დასაბამს.

დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობაში ცხადად ჩანს ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მოძღვრების კვალი. გარდა ამისა, მის ფილოსოფიურ პოეზიაზე გავლენა იქონია ანტიკური ხანის ბერძენმა მოაზროვნეებმა (მაგ., თალესი, ეპიკურე), რომელთა შეხედულებები, სავარაუდოდ, ვახტანგ VI-ის პოეზიის ზეგავლენით შემოდის მის შემოქმედებაში. ვახტანგ VI-ის „სიბრძნე მალალობელს“, რომელშიც თავმოყრილია პლატონის, არისტოტელეს, ეპიკურეს, ძენონის, ანაქსაგორას და სხვა ფილოსოფოსთა შეხედულებები, „შთამაგონებელი“ გავლენა მოუხდენია გურამიშვილის მსოფლმხედველობაზე (ვახტანგ VI: 1947). როგორც ჩანს, სამეფო კარის კულტურულმა გარემოცვამ განაპირობა დავითის ინტერესი ანტიკური ფილოსოფიისადმი.

დავით გურამიშვილის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გარკვევა, მისი მხატვრულ-ესთეტიკური სამყაროს ნათლად წარმოჩენა, უწინარეს ყოვლისა, იმ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტრადიციის დადგენასაც გულისხმობს, რომელსაც ამ დიდი ქართველი შემოქმედის მდიდარი პოეტური მემკვიდრეობა ეფუძნება.

ეს პრობლემატიკა – მისი აქტუალობის გამო – მომავალშიც მიიქცევს მკვლევართა ყურადღებას.

დავით გურამიშვილის პოეტურ სამყაროზე განსაკუთრებული გავლენა შუა საუკუნეების რელიგიურ-ფილოსოფიურმა აზროვნებამ მოახდინა. უფრო მეტიც, იგი ხშირად ფილოსოფოსის როლშიც კი გვევლინება. გურამიშვილის პოეზიაში მაღალ მხატვრულობასთან ერთად, ღრმა ფილოსოფიური განსჯა იგრძნობა. იგი ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტი იყო. ალბათ, სწორედ ამიტომ მოიხსენიებს „დავითიანის“ პირველი მკვლევარი, მარი ბროსე დავით გურამიშვილს არა მხოლოდ პოეტად, არამედ ისტორიკოსად და ფილოსოფოსად: „ჩვენ დავით გურამიშვილს განვიხილავთ უპირველეს ყოვლისა როგორც ისტორიკოსს, შემდეგ პოეტსა და ფილოსოფოსს“ (Бросе 1838: 322).

აღსანიშნავია, რომ ფილოსოფიისა და პოეზიის დიალოგი აზროვნების ისტორიისათვის უცხო არ არის (ზაქარაძე 2008: 8-14). ფილოსოფიური იდეები და ფილოსოფიური მსოფლმხედველობა პოეზიაში ყოველთვის პოეტური აზროვნების თავისებურეათა ჩარჩოში თავსდება. ამ შემთხვევაში, Gდავით გურამიშვილის პოეტური აზროვნება დაკავ-

შირებულია როგორც კლასიკურ ხანაში ათვისებულ ანტიკურ ფილოსოფიასთან, ასევე ქრისტიანულ და შუა საუკუნეების თეოლოგიურ-ფილოსოფიურ პრობლემატიკასთან (ზაქარაძე 2001: 35).

* * *

დავით გურამიშვილი დაინტერესებული იყო ეპიკურეს (341-270 ჩვ.წ.ა) შეხედულებებით და ცდილობდა მისი ეთიკური მოძღვრების ინტერპრეტაციას. აღსანიშნავია, რომ ქართული ფილოსოფიური ტრადიცია ეპიკურელთა მოძღვრებას „უღვთო" ფილოსოფიად მიიჩნევდა! ამიტომ ბუნებრივად ჩნდება კითხვა, თუ რამ განაპირობა გურამიშვილის ინტერესი ეპიკურეს მიმართ. ეპიკურეს მოძღვრება ორიგინალურად აისახა „დავითიანში" და ერთგვარი დიდაქტიკური თეორიის სახე მიიღო. ცნობილია, რომ ეპიკურეს ფილოსოფიის მიზანი იყო შემეცნება, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს უვიცობისაგან და ცრუ რწმენებისაგან; ეთიკაში კი იგი გონივრულ სიამოვნებას ასაბუთებდა, რომლის გარეშეც ადამიანის ბედნიერება შეუძლებელი იქნებოდა.

ეპიკურეს მოძღვრება აზროვნების ისტორიაში, ზოგადად, ჰედონიზმის და უხეშ ხორციელ ვნებათა ღელვის სინონიმად იქცა (Hossenfelder 2009: 187-188).

ეს მოსაზრება, როგორც უკვე აღინიშნა, შუა საუკუნეების ქართულ ფილოსოფიაშიც გვხვდება. იოანე პეტრინი აკრიტიკებდა „უგანგებო" და „ღმრთისადმი უმსახურებელ" ეპიკურელებს (იოანე პეტრინი 1937: 211). მას პროკლე დიადოხოსის დამსახურებად ისიც მიაჩნდა, რომ მან მყარი საბუთებით უარყო ეპიკურელთა *უღვთო მოძღვრება*. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პეტრინი თავის „განმარტება"-ში არსად აკრიტიკებს თვითონ ეპიკურეს, მის აუთენტურ მოძღვრებას გონივრული ბედნიერების შესახებ!

შალვა ნუცუბიძის აზრით, პეტრინის მიერ ეპიკურელთა წინააღმდეგ გამოთქმული ფრაზა, გარკვეულწილად, „სიყალბის" შთაბეჭდილებას ახდენს; იგი პეტრინის გალაშქრებას ეპიკურელთა წინააღმდეგ მიიჩნევს არაარსებით, შემთხვევით მომენტად ქართველი ფილოსოფოსის აზროვნებაში (ნუცუბიძე 1958: 47).

საინტერესოა, რომ ქრისტიანი პოეტი დავით გურამიშვილი იმოწმებს ანტიკური ეპოქის „უღმრთო ფილოსოფოსს", გარკვეულწილად, იზიარებს მის შეხედულებებს და სხვასაც ურჩევს, ისე მოიქცეს და იცხოვროს, როგორც ანტიკური ხანის ეს დიდი განმანათლებელი ქადაგებდა.

საქმეც ისაა, რომ ეპიკურე სინამდვილეში არ გახლდათ ხორციელ ვნებათა ტკბობის დიდი ქადაგი. მისი მოძღვრების ამგვარი შეფასება მცდარი იქნებოდა! ეპიკურე ე.წ. „უარყოფითი" ჰედონიზმის მიმდევარი იყო; მისი აზრით, ბედნიერება სიამოვნებისადმი ლტოლვაში კი არ არის, არამედ ტანჯვისა და უსიამოვნების თავიდან არიდებაში. ყოველი სიამოვნება კი არ არის ბედნიერების საფუძველი, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც გონივრულადაა გამართლებული. უმაღლესი ბედნიერება კი სიბრძნით მიიღწევა, რადგან მხოლოდ ბრძენს შეუძლია *სულიერი სიმშვიდის* („ატარაქსიის") მიღწევა („ბრძენსა აქვს თავის უფლება სოფელში ყოფნა ნებისა; / ბრძენი სადაც არს დარჩების, საუნჯე თან ექნებისა." (გურამიშვილი 1989: 354).

როგორც ჩანს, დავით გურამიშვილს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ეპიკურეს მოძღვრების ეს განმანათლებლური ასპექტი. შესაძლოა, იგი ეპიკურესა და ეპიკურეიზმს შორის განსხვავებასაც კი ახდენდა, ანუ ბედნიერების თეორიის შემქმნელ დიდ ბერძენ ფილოსოფოსს მისი რადიკალი მიმდევრებისაგან განასხვავებდა კიდეც?! ასეა თუ ისე, გურამიშვილი იმოწმებს ეპიკურეს, როგორც გონების აპოლოგეტს და ამბობს, რომ ადამიანს მხოლოდ გონების მეშვეობით შეუძლია ვნებათა მოთოკვა. შემეცნების ნამდვილ სურათს მხოლოდ გონება იძლევა. გრძნობა, ნდომა და სურვილი მოჩვენებითია:

„ნდომა ბნელს ნათლად აჩვენებს, დანაბრმობს ნათლად მხედველსა;
ნდომა მხრდალს გაჰხდის მამაცად, შებედავს ძნელს საბედველსა;
ნდომა სხვის სწავლას მიიკრავს ეგრეთ, ვით ცერცვი კედელსა!
ნდომა მიიყვანს მიმყოლსა შესარცხვენს, წარსაწყმენდელსა.“

(გურამიშვილი 1989: 359)

* * *

„ფილასოფოსი ეპიკურ გვაუწყებს, ამას გვპირდება:
აგებულობით მყოფელი აროდეს გაღარიბდება.
თუ კაცი ნდომას მიჰყვების, მიდღეში არ გამდიდრდება [...]“

(გურამიშვილი 1989: 359)

ნდომას აყოლილ საზოგადოებაში დაისადგურებს ანგარება, ადამიანის ღირსების უპატივცემულობა, ასეთი საზოგადოება შერცხვენილი და წარწყმედილია, ნდომის გზას საზოგადოება ზნეობრივი ნორმების დარღვევამდე და ღირებულებათა გადაფასებამდე მიჰყავს. საბოლოო ჯამში, ამგვარ საზოგადოებაში ადამიანიც იკარგება:

„ახლა ვსთქვა ჩემი სათქმელი, რაც მაქვნდეს ჭკუვა, გაგება:
უგვანათ დიდთა მძებნელთა პატარაც დაეკარგება;
სულ რომ არა ვსთქვა არარა, ის უფრო არ ევარგება.
მეც მრევენ მერანთ ჯოგშიგან, თუ შევსძელ გაჯაგჯაგება.“

(გურამიშვილი 1989: 360)

ნდომას დამორჩილებული ადამიანისა და საზოგადოების გადარჩენას დავით გურამიშვილი სწავლა-განათლებასა და ზნეობრივ აღზრდაში ხედავს. XVIII საუკუნის ევროპელ განმანათლებელთა მსგავსად, გურამიშვილის აზრითაც, საზოგადოებრივი პროგრესის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის სწავლა-განათლება („ვსძებნე და ვერა ვჰპოვე რა მჯობნი ამ სწავლა-მცნებისა“).

„დავითიანში“ სიბრძნე და ცოდნა უმაღლეს ზნეობრივ ღირებულებადაა გამოცხადებული. გურამიშვილის ბრძენის იდეალი ასეთი სახისაა:

„აწ ბრძენი უნდა სოფელში ეგრეთ, ვით წმინდა ბერია.
ცხოვრობდეს, ერთ ასწავლიდეს, გახადოს მეცნიერია;
ბრძენმან არ უნდა იკადროს ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია“

(გურამიშვილი 1989: 356)

სიბრძნე ცხოვრებისეული სიკეთის საფუძველია, ცხოვრების წყაროა მშვენიერებასთან ერთად („ქაცვია მწყემსში“ მშვენიერება უმაღლესი ესთეტიკური ღირებულებაა), რომლის შედეგადაც გურამიშვილთან ყალიბდება ღირებულებათა შემდეგი სისტემა: სიბრძნე/ჭეშმარიტება, სიკეთე/მშვენიერება. *როგორც ვხედავთ, სიკეთე, მშვენიერება, სიბრძნე და ჭეშმარიტება უმაღლეს ღირებულებებადაა მიჩნეული, რაც ფილოსოფიის ისტორიაში, უწინარეს ყოვლისა, პლატონის, ხოლო შემდგომ კი ნეოპლატონურ და არეოპაგიტულ ტრადიციას უკავშირდება.*

დავით გურამიშვილის დიდაქტიკის საფუძველია ცოდნის (გონებრივი სრულყოფის) გზით ზნეობრივი განწმენდა. ამ დებულების დასასაბუთებლად იგი კვლავ ანტიკურ მოაზროვნეს ეპიკურეს მოიხმობს. გიორგი ნატროშვილს მოჰყავს XVIII საუკუნის უკრაინელი პოეტის, გრიგოლ სკოვოროდას სიტყვები ეპიკურეს შესახებ და მიუთითებს გურამიშვილისა და ზემოაღნიშნული პოეტის შესაძლო იდეურ ერთიანობაზეც, რადგან იგი ცხოვრობდა პოლტავის იმავე მიდამოებში, სადაც გურამიშვილი იმყოფებოდა

(შესაძლოა, ისინი იცნობდნენ კიდევაც ერთმანეთს). ამ ორ დიდ პოეტს შორის ჩანს გარკვეული სიახლოვე, იდეური ნათესაობა. კერძოდ, ისინი დაახლოებით ერთნაირ კონტექსტში მოიხსენიებენ ეპიკურეს: „მისი სიტყვის ძალა ადამიანებმა ვერ იგემეს, ყველა საუკუნესა და ყველა ხალხში დაამცირეს ეპიკურე სიამოვნების ქადაგებისათვის და თვითონ ის მიიჩნიეს ღორების მწყემსად. [...] მაგრამ როცა სიცოცხლე გულითადი სიხარულისგანაა, ხოლო სიხარული სიამოვნებისაგან, მაშინ რაზეა დამყარებული სიამოვნება, რომელიც გულს ატკბობს? ამას გვიხსნის ღვთაებრივი პლატონი: ჭეშმარიტება ყველაზე ტკბილიაო. ჩვენ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ მხოლოდ ჭეშმარიტებაში ცოცხლობს ნამდვილი სიამოვნება და მხოლოდ ის ერთი აცოცხლებს გულს, განმგებელს ჩვენი სხეულისას. არ შემცდარა ბრძენი, რომელმაც ცოდნასა და უვიცობას შორის იგივე საზღვარი დასდო, რაც სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის. [...] ჩანს, რომ სიცოცხლე ჩვენი ღვივის მაშინ, როცა ჩვენი აზრი შეიყვარებს ჭეშმარიტებას, გაჰყვება მის ბილიკებს, ჩაჰხედავს მას თვალებში და ზეიმობს, მხიარულებს ამ წარუვალი ნათელით“ (Сковорода 1912: 360).

თუკი ამ სიტყვებს დავით გურამიშვილის ლექსს შევადარებთ, მაშინ ამ ორ მოაზროვნეს შორის მსგავსებას ნათლად დავინახავთ. მაგ., გურამიშვილი ამბობს: „თქმულა სიბრძნესთან სიგიჟე, ვითა ცოცხალთან მკვდარია“ (გურამიშვილი 1989: 350)

* * *

დავით გურამიშვილის შემოქმედების სიღმისეული გაგება და ურთულესი პრობლემატიკის შესწავლა რელიგიურ-მისტიკური (ნათაძე 1973: 214-237) მოტივის ანალიზსაც მოითხოვს. შუა საუკუნეების, მოგვიანებით კი, აღორძინების ხანის ქართული მწერლობისთვის უცხო არ იყო რელიგიურ-ფილოსოფიური (ასკეტური, დიდაქტიკური, ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის მიმართების და ა.შ.) მოტივები.

კ. კეკელიძის აზრით, რელიგიურ-ფილოსოფიური მოტივები, ძირითადად, განსაზღვრავდა აღორძინების ხანის პოეზიას (თეიმურაზი, არჩილი, ვახტანგ VI, დავით გურამიშვილი). გურამიშვილთან მისტიკური მოტივი ღვთისადმი სიყვარულით, ანუ „ტრფიალით“ და „საღვთო მიჯნურობით“ გამოიხატა. აღსანიშნავია, რომ ამ მოტივის ერთ-ერთ წყაროდ სუფიზმი მიიჩნევა. ამ გზით განხორციელდა „სინთეზი სპარსული ლიტერატურული ტრადიციებისა და ქართული სინამდვილისა ... მიზანი ამ პოეზიისა არის ღვთაებასთან მისტიკური გართიანება, რომლის მიღწევას ის ლამობდა ღვინო-სიყვარულისა და ასკეტიზმის რელიგიური გზით“ (კეკელიძე 1941: 518, 553.). ზემოაღნიშნულ პოეტებთან „ისმის სუფისტური პოეზიის ნოტები“.

თუმცა, „.... ქართულ პოეზიას აკლია ყველაზე მთავარი, რაც სუფიზმის არსს შეადგენს, როგორც მისი წარმოშობის ხანაში (VIII-XIX სს.), ისე XVII-XVIII საუკუნეში: ეს არის თავდავიწყების, თვითმოსპობის, საკუთარ მეობაზე ხელის აღების იდეა, ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით“ (ნათაძე 1973: 216). სუფიზმის (VIII ს.) თანახმად, ღმერთი არის ნამდვილი არსი, მყოფი, რომლისგანაც გამომდინარეობს მთელი სამყარო; სამყარო და ადამიანი არის ღმერთის ემანაციის შედეგი. ამქვეყნიური ცხოვრება არის ტანჯვა, რომელიც ღვთაებისაგან დაშორებით არის გამოწვეული. აქედან გამომდინარე, ადამიანის უმთავრესი დანიშნულება და მისი ცხოვრების მიზანი უნდა იყოს ღმერთში, პირველმიზეზში უკუდაუბრუნება, გაერთიანება.

სუფისტური მისტიკისაგან განსხვავდება არეოპაგიტული (ქრისტიანული) მისტიკა, რომლის მიზანი არ არის მხოლოდ ღვთაების წვდომა და მასში დაკარგვა-გაერთიანება. მისტიკურ ექსტაზში ღმერთის წვდომა არ გულისხმობს ადამიანის მიერ მეობის და ინდივიდუალობის დაკარგვას. პირიქით, ყოველივე ეს გონების აქტიურობას მოითხოვს.

ამასთანავე, მისტიკურ ჭვრეტაში კმაყოფილდება გონების მისწრაფება მიუწვდომლისადმი. ადამიანის მისწრაფება ღმერთისაკენ მისტიკური ჭვრეტის მოსამზადებელი საფეხურია. თავად ღმერთი კი მხოლოდ ჭვრეტის აქტში გვეძლევა. გონების მოქმედების გარეშე „ნეტარი ჭვრეტა" ვერ განხორციელდება. გონება კი, თავის მხრივ, მისტიკურ ჭვრეტაში ჰპოვებს სიმშვიდეს. სწორედ გონებასა და მისტიკურ ჭვრეტას შორის არსებული ეს ჰარმონიული კავშირი განაპირობებს არეოპაგელის მისტიკური მოძღვრების თავისებურებას, კერძოდ კი, მის ინტელექტუალურ ხასიათს.

სუფისტურ მისტიკაში ღვთისადმი ტრფობის ერთ-ერთ საფეხურად ქალისადმი ტრფობა მიიჩნევა. ქალისადმი ტრფობა იწვევს თავდავიწყებას, ხშირად საკუთარ მე-ზე ხელის აღებას. ე.ი. ის ტრფობის და თავდავიწყების განსაკუთრებულ სახედ არის აღიარებული. ხშირად სუფისტურ ლექსში „შეუძლებელია გარჩევა, რაღაა მისი ნამდვილი თემა – ღმერთი თუ ქალი" (ნათაძე 1973: 218). ასეთ გაურკვევლობას ქრისტიანულ მისტიკაში არ ვხვდებით. პირველყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ღმერთის ტრფობა არ ნიშნავს ქალისადმი ტრფობას. ქრისტიანულ მისტიკაში, მაგალითად, არეოპაგიტიკაში, ღვთისადმი ტრფობის გამოსახატავად გვხვდება „ეროსი" (ბერძნ. სიტყვაა და ნიშნავს სიყვარულს), მაგრამ არა მისი თავდაპირველი მნიშვნელობით. ძველ ქართულში ის თარგმნეს, როგორც „ტრფიალება" (ეფრემ მცირე). ფილოსოფიის ისტორიაში ეს ტერმინი „ფილოსოფოსობის მეტაფორად" იქცა. ეროსი, როგორც აბსოლუტისადმი ნოსტალგიის მოტივი, მისკენ სწრაფვა, შუალედურია ღმერთსა და სამყაროს შორის. არეოპაგიტიკაში ის ყოველივეს მოძრაობაში მომყვანი, ღმერთიდან მომდინარე და მასშივე უკუდამაბრუნებელი „ექსტატიკური სიყვარულია". „ ... ვითარცა ძალსა თანად მძრველსა და აღმყვანებელსა მისსა მიმართ ... კეთილისა და სახიერებისა" (პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) 1961: 42). ღვთაებრივი ტრფიალება, ამავე დროს, წარმოადგენს ერთგვარ საფუძველს წრებრუნვისა, რაც ვლინდება სიკეთიდან (ღმერთიდან) არსებების გამომდინარეობასა და მასშივე უკუდაბრუნებაში; ის ღმერთის მიერ არის მინიჭებული არსებებისადმი; რადგან ამ მოძრაობის დასაწყისი და დასასრული თავად ღმერთშია, ამდენად, ეს პროცესი, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის აზრით, მარადიულია. ღვთისადმი ტრფიალი საფუძვლად დაედო პოეზიაში მიჯნურობის „საღვთო თქმას" (ასე მაგ., „ვეფხისტყაოსანში", მამუკა ბარათაშვილთან, არჩილთან). ე.ი. რეალური სიყვარულის უკან ღვთისადმი სიყვარული იგულისხმება და მიჯნურობის ამგვარი გააზრება დავით გურამიშვილის პოეზიაშიც გვხვდება.

ვინ არის მიჯნური „დავითიანში"? „სწავლა მოსწავლეთა"-ში ვკითხულობთ:

„ზოგი ხომ ძოლან გაჩვენე შვიდიოდ სარჩოს ძიროობა;
მერვე – ხელმწიფე დარჩების, ვისაც აქვს ქვეყნის მჭიროობა.
მეცხრეა – არჩენთ მწყემსობა, უქნიათ მენახიროობა,
მეათე – მიჯნურთ სურვილი, ტრფიალი შენამზიროობა"

(გურამიშვილი 1989: 354)

ხელმწიფეს წინ უსწრებს მწყემსი, მენახირე ანუ სულიერი მამა, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა ენიჭება: „მწყემსობა უნდა სიფრთხილით, აქვნდეს მცირედი ძილია: / მუდამ მხნედ სამწყსოს უვლიდეს, დღე ყინული თუ თბილია". მწყემსზე, სულიერ მამაზე წინ დგას მისტიკოსი, „ღვთის მიჯნური", რომელიც ღმერთის წვდომისაკენ მიილტვის. როგორც ვხედავთ, დავით გურამიშვილთან გარკვეული იერარქიაა – მეფე, მწყემსი და მიჯნური. აქედან გამომდინარე, გურამიშვილის პოეზიაში მისტიკურ მოტივებზე მსჯელობა უსაფუძვლო არ არის.

ტრადიციულად, მისტიკის წყაროდ პლატონური ფილოსოფია, კერძოდ კი, ანტიკური ნეოპლატონიზმისა (მაგ., პლოტინი) და ქრისტიანული ფილოსოფიის

(მაგ., ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) მისტიკური შეხედულებები მიიჩნევა. მისტიკური ნაკადი განსაკუთრებით თავს იჩენდა რელიგიურ ფილოსოფიაში. ამ თვალსაზრისით, მისი გავლენებიდან გამომდინარე, არეოპაგიტიკა, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლია შუა საუკუნეების ფილოსოფიაში. ცნობილი გერმანელი ფილოსოფიის ისტორიკოსი კურტ ფლაში, მიუხედავად იმისა, რომ მკვეთრად სკეპტიკურ პოზიციას ავითარებს ფილოსოფიური მისტიკუს მიმართ, საგანგებოდ აფასებს ფსევდო-დიონისეს როლსა და მნიშვნელობას ფილოსოფიური მისტიკის სფეროში: **„ამისათვის ხომ დიონისე არეოპაგელის აღმატებული ავტორიტეტიც საკმარისი იყო“** (Flasch 1986: 77).

გურამიშვილის მისტიკის წყაროდ შეიძლება ქართული ფილოსოფიურ-მისტიკური ტრადიციები მივიჩნიოთ, უპირველეს ყოვლისა კი, არეოპაგიტული მისტიციზმი.

ფსევდო-დიონისეს მოძღვრებაში ღმერთის ონტო-ნოეტური სტატუსი ორგვარადაა გაგებული:

- *„[...] ყოველთა შორის ჲყოველ არს და არცა ერთსა რას შორის არარა“.*
- *„[...] ყოველთა მიერ ყოვლითურთ იცნობების და არცა ერთსა რას შორის არარაჲთ“ (პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) 1961: 72).*

ამ შემაჯამებელი დებულებებით ფსევდო-დიონისე ასაბუთებს და ამართლებს პირველსაწყისის – ღმერთის – დადებით და უარყოფით განსაზღვრებებს. ღმერთი მაღლა დგას ყოველგვარ დადებით და უარყოფით პრედიკატებზე, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფითი პრედიკატები უფრო მეტად შეესაბამება ღმერთის ბუნებას. რადგან უმაღლესი სრულყოფილება ვერ გამოვლინდება არასრულყოფილში, მის შესახებ უნდა ითქვას, რომ ის არსად და არაფერში შეიცნობა. ამგვარად, აღმოჩნდება, რომ ღმერთი ყოველგვარ დადებით და უარყოფით დახასიათებაზე მეტია და რაციონალური ცოდნის შესაძლებლობის ფარგლებს სცილდება. შესაბამისად, ადამიანიც თავის მზერას ღვთაების მისტიკური ჭვრეტისაკენ მიმართავს. მაშასადამე, იწყება ახალი გზის ძიება, დგება საკითხი ახალი მეთოდის შესახებ. ეს მეთოდი არის „მესაიდუმლოებითი“ და ის სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის წვდომა მისტიკის გზით. ეს არის ღმერთის ხედვა არა ცოდნის საფუძველზე, არამედ „უსწავლელი მესაიდუმლოების“ მეშვეობით.

ღმერთის **დადებითი** და **უარყოფითი** დახასიათების მეთოდები განეკუთვნება ფილოსოფიის სფეროს, რადგან აქ ღმერთი ცოდნა-არცოდნის კატეგორიებით განიხილება. მაშასადამე, დიონისე არეოპაგელის აზრით, ფილოსოფიური კატეგორიებით ღმერთის შემეცნება შეუძლებელია, რადგან აქ საქმე ეხება ზეგონიერს. ზეგონიერის წვდომა კი – ყოველგვარი ცოდნის უარყოფის გზით და შემმეცნებელის თავისი თავისაგან განდგომით – მხოლოდ მისტიკური ჭვრეტითაა შესაძლებელი. ეს კი, თავის მხრივ, არის ღვთაებრივი სიბრძნე, ანუ არცოდნა, რომელიც ცოდნაზე მეტია. ეს არის ღმერთთან ზეგონიერი შეერთება.

„დავითიანში“ არეოპაგიტიკის გავლენები იკვეთება ღმერთის ფილოსოფიურ-პოეტური დახასიათებისას, კერძოდ, ღმერთისა და მზის ანალოგიების, ღმერთის შემეცნების, „საღვთო ნისლის“, „საცნაური მზის“ გამოხატვისას.

„დავითიანში“ ტერმინ „საცნაურის“ ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც შესაბამისი ეპოქის ქართული ენის ლიტერატურული, ისე შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური ტრადიცია. გურამიშვილი, როგორც ჩანს ორივე ტრადიციას იცნობს, და ამდენად, „საცნაური“ ორი მნიშვნელობით გვხვდება:

(1) „ჭირს საცნაურის მზისაცა სწორედ გამართვა თვალისა, არამ-თუ უცნაურისა ცნობა გზისა და კვალისა“ (გურამიშვილი 1989: 400). საცნაური ნიშნავს შეუცნობელის

ანუ „უცნაურის“ საპირისპიროს. საცნაური მზე არის ხილული მზე, რომელსაც თვალს ვერ გავუმართავთ, მით უფრო ვერ მივწვდებით „უცნაურს“ ანუ შეუცნობელს.

(2) მეორე მნიშვნელობით „საცნაური“ ნიშნავს უხილავს, გრძნობადი ორგანოებისათვის მიუწვდომელს, რომლის შეცნობა მხოლოდ გონებით ხდება. „შენ გევედრები, სისკარო საიდუმლოსა დღისაო, ნათელო შარავანდედო საცნაურისა მზისაო...“ „საცნაური მზე“ ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ღმერთი, რომელიც წარმოდგენილია ინტელიგიბელურ მზედ და არა ხილულ ანუ მატერიალურ მზედ, რაც ქრისტიანული მსოფლმხედველობისათვის მიღებული იყო.

ძველი ქართული ფილოსოფიური ტრადიციის მიხედვით „საცნაური“ ნიშნავს გონითს, რომელიც უპირისპირდება გრძნობადს, მატერიალურს და არა უცნაურს, როგორც გურამიშვილის ეპოქაში. ამ ცნებას მეორე მნიშვნელობით მოიხმარს ეფრემ მცირე „არეოპაგიტიკის“ თარგმანში; შესაძლოა, მას მისდევს გურამიშვილიც. ეს ცნება გვხვდება იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ არსენ იყალთოელისეულ თარგმანშიც, მაგრამ იგი მოიხსენიება არა როგორც „საცნაური“, არამედ „გონიერი“, როგორც გრძნობადის საპირისპირო. ასევეა იოანე პეტრიწთან და დავით აღმაშენებელთან. ამდენად, აქ დავით გურამიშვილის წყარო შესაძლოა ფსევდო-დიონისეს მოძღვრებაცაა; ერთი რამ კი ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მისი კვალი „დავითიანში“ ნათელია.

დავით გურამიშვილის შემოქმედებაში თვალში საცემია ქრისტიანულ თეოლოგიაში დამკვიდრებული ღმერთის ატრიბუტები. კერძოდ, ნათელი წარუვალი, უცნაური, უთქმელი (შეუცნობელი), უფალი უფლებათა, მყოფი და ა.შ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მასთან რეალური ამქვეყნიური სამყარო დაკავშირებულია ღვთაების სამყაროსთან.

„მზევ, მზისა მამზეველო, მე შენსას ვერას ვზაროობა,
***მიუწდომელო ნათელო,** სად პირად მთვარობ, სად მზობა,*
შენის ვერ ხილვის სევდითა სულსა რასთვისა მაძროობა?“

(გურამიშვილი 1989: 401)

ეს სტრიქონები ხაზს უსვამს ღმერთის შემეცნების თავისებურებას: ღმერთის შემეცნება შეუძლებელია. იქვე პოეტი აზუსტებს თავის აზრს: „საწუთროს მზის ტრფიალობა მისთან არ განიხსენება“ (გურამიშვილი 1989: 402); ე.ი. ხილული მზის ღვთაებასთან შედარებაც არ შეიძლება და არც არის მოსახსენებელი. აქ ჩანს არეოპაგიტული მოძღვრების კვალი, განსაკუთრებით, ღმერთის აპოფატიკური დახასიათებისას. ერთი მხრივ, ამგვარად გაგებული მზე ღვთაებაა, ხოლო, მეორე მხრივ, „ძე-მზე“ („ძისა მოგითხრან მზეობა“) არის ქრისტიანული ღმერთი, რომელსაც მიმართავს პოეტი; სიმბოლიკა, რომელსაც იყენებს გურამიშვილი ძალიან ჰგავს ღვთაების მიმართ უარყოფით თეოლოგიაში დამკვიდრებულ ატრიბუტებს: *მიუწვდომელო ნათელო, უბერებელო, უკვდაო, მყოფო, შეურყეო, დაუსაბამო* („მამახარ დაუსაბამო, არა გაქვს დასასრულია“) (გურამიშვილი 1989: 413) და ა.შ.

როგორც ვხედავთ, კომპოზიტები არეოპაგიტული მოძღვრებიდან – „ღვთაებრივი სიბნელე“, „მიუწვდომელი ნათელი“ – საოცრად პროდუქტიულად იქნა ათვისებული არა მხოლოდ ფილოსოფიაში, არამედ პოეზიაშიც. ასე მაგალითად, ფილოსოფიაში ფსევდო-დიონისეს მისტიკური კონცეფცია ადექვატურად აითვისა და თანმიმდევრულად განავითარა ანტიკური ნეოპლატონიზმის უბადლო მცოდნემ, ფსევდო-დიონისეს დიდმა დამფასებელმა, ბერთოლდ მოსბურგელმა (XIV ს.). მისი აზრით, „მიუწვდომელი ნათელი“, რომელშიც ღმერთი მყოფობს, არის ისეთი „სიბნელე“, რომელიც, თავისი ზე-აღმატებული სიცხადის გამო, როგორც დაფარული, ისე არსებობს (Berthold von Moosburg 2003: prop. 162 F).

ბერთოლდის მიხედვით, საჭიროა ვიცოდეთ, რომ, დიონისეს თანახმად, ეს აღმატებული „ზეშთა-ერთი“, პირველი სიკეთე, იწოდება, როგორც „შემმეცნებელი ნათელი“, კერძოდ კი, იმ აზრით, რომ ის ყოველი კეთილი სინათლის მიღმა არსებობს, როგორც რაღაც სინათლის გამოსხივება, რითაც ის ყოველ „ზეშთა-გონებას“, თავისი სისავსიდან გამომდინარე ანათებს, მის ინტელექტუალურ ძალებს განაახლებს და ყველა არსებულს იმგვარად შეიმეცნებს და მოიცავს, რომ ის მის მიღმა გადის (Berhold von Moosburg, 2003: prop. 162 G).

ღმერთი არეოპაგიტიკაში, როგორც უკვე აღინიშნა, ამ დახასიათებებზე მაღლა დგას და მისი გამოხატვისათვის ყველაზე შესაფერისი „ბრძენი დუმილის“ ცნებაა. ასევე შეუცნობელია მზე (ღვთაება) დავით გურამიშვილისათვის:

„მზევ, საცნობლად შენსა მჭვრეტსა
თავბრუს ასხამ, შეაქ რეტსა.
გიმართავს ვერ მართლა თვალსა,
ვერ სცნობს შენს გზასა და კვალსა!“

(გურამიშვილი 1989: 404)

ყველაზე მჭევრმეტყველი ადამიანიც დუმილს ამჯობინებს: „შენ საქებრად რიტორიცა არს, ვით თევზი, უხმო, უტყვი...“

ადამიანი „საღვთო ნისლში“ იძირება და ღმერთთან ერთიანდება. „საღვთო ნისლის“ მიღმა არსებული ღმერთი თვალს გვჭრის, „თავბრუსა და რეტს“ გვასხამს. მაგრამ „დავითიანში“ არაფერია ნათქვამი ექსტაზზე, რაც გულისხმობს ყოველივე ადამიანურზე ამაღლებას, განწმენდას, ლოცვას, მიწიერ-ადამიანურის დათმობას არა მხოლოდ სიტყვით, არამედ ცხოვრებით. ყოველივე ამის მისაღწევი გზაც თავად ფსევდო-დიონისეს მიერ არის დასახული. დავით გურამიშვილს კი როგორც პოეტს, მამულიშვილს, თავის ქვეყანაზე და საწუთროზე შეყვარებულ ადამიანს, ენანება „საწუთროს“ დათმობა. იგი ადამიანურს, ცხოვრებისეულს ვერ თმობს.

ამდენად, დავით გურამიშვილი თავის „დავითიანში“ განვითარებული ღრმა რელიგიურ-ფილოსოფიური და დიდაქტიკური იდეებით, ფიქრისა და განაზრებისათვის საინტერესო მასალას გვაწვდის. დავით გურამიშვილის ბოლო პერიოდის ლექსებში პოეტური სახეები და ღრმა რელიგიურ-ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ერთად იყრის თავს. შუა საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრის გავლენა ყველაზე მკაფიოდ და ნათლად დავით გურამიშვილის პოეტურ შემოქმედებაშიც იგრძნობა. გარდა ამისა, ქართველმა პოეტმა თავისი ეპოქის სულიერ განწყობებს, განცდებსა და ტკივილს საოცრად ადეკვატური ფილოსოფიურ-ლიტერატურული ფორმა შესძინა. ქართული ლიტერატურულ-ფილოსოფიური ტრადიციითა და თავისი სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გამსჭვალული გურამიშვილის პოეტური შემოქმედება, ამ გენიალურ ქართველ პოეტს დიდ მოაზროვნეთა გვერდით მიუჩენს ღირსეულ ადგილს.

დამოწმებანი

1. თვარაძე რ. დავით გურამიშვილთან მიახლოება // თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ., 1985.
2. ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, წინასიტყვაობა ალ. ბარამიძის, თბ., 1947.
3. Броссе М. Взгляд на историю и литературу Грузии // (ЖМНП), СПб -1838, VIII.
4. ზაქარაძე ლ. გერმანული რომანტიზმი და ქართველი რომანტიკოსები, თბ., 2008.
5. ზაქარაძე ლ. რელიგიურ-ფილოსოფიური იდეების წარმომავლობისათვის „დავითიანში“ // გაერთიანებული სამეცნიერო კონფერენციის მასალები, 2000 წლის 24 ნოემბერი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.

6. M. Hossenfelder, Epikur // Philosophenlexikon, hrsg. von St. Jordan, B. Mojsisch, Stuttgart, 2009.
7. იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II: განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, ტფილისი, 1937.
8. ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბ., 1958.
9. დავით გურამიშვილი, დავითიანი // ქართული მწერლობა, ტ. 7, თბ., 1989.
10. Г. С. Сковорода, соч., т.1, М. 1912.
11. ნათაძე ნ. „დავითიანის" დიდი საიდუმლო // ნ. ნათაძე, ლიტერატურული წერილები, თბ., 1973.
12. კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1941.
13. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ენუქაშვილის გამოცემა, თბ., 1961.
14. Flasch K. Das philosophische Denken im Mittelalter. Von Augustin zu Machiavelli, Stuttgart, 1986.
15. Berthold von Moosburg, Expositio super Elementationem theologicam Procli. Propositiones 160-183, hrsg. von U. R. Jeck und I. J. Tautz. Prolegomena und Indices von N. Bray, Hamburg, 2003.

LALI ZAKARADZE

Dialogue between Philosophy and Poetry: Medieval Georgian Philosophical-Theological Tradition and Davit Guramishvili's Nostalgic Poetry

Summary

Davit Guramishvili is an outstanding poet and thinker of Georgian literature of XVII-XVIII cc, i.e. the Renaissance period. Religious, philosophical and pedagogical/educational ideas became the objects of original interpretation in his rich creative activities.

Guramishvili was a philosophically thinking poet; his poetic thinking is connected with the Antique philosophy developed in the Classical period (e.g. Thales, Epicurus) as well as the Christian and Medieval theological-philosophical problematic issues (philosophical-theological teaching of Pseudo-Dionysius the Areopagite).

Davit Guramishvili was well aware of the educational aspects of the Epicurean teaching. For Epicurus is an apologist of mind. Guramishvili distinguished this great Greek philosopher, creator of the Happiness theory, the follower of the so called "negative" hedonism from his radical followers. Thus, in our opinion, he made distinction between Epicurus and Epicureism.

"Davitiani" reveals the impact of Areopagitica as well; philosophical-poetic characterization of God, usage of attributes of God established in Christian theology, perceptive peculiarities of God, "Divine Mist", "voiceless" silence in Guramishvili's poetry point to the philosophical-mystic motifs. At the same time, beauty, wisdom and truth are considered as the highest virtues that are connected to Plato's and later – Neo-Platonic and Areopagite tradition in the history of philosophy.

Poetic works permeated with the Georgian philosophical-theological tradition and infinite love of his motherland render this great Georgian poet a deserved place among the great thinkers.

დავით ბატონიშვილი – ემიგრაციაში ქართული კულტურის ამაგდარი მოღვაწე

„ჰმართებს კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან გადმოიღოს
უგბილმან და უგუნურმა ვერა რამე წამოიღოს.“
(თეიმურაზი, ვარდბულბულიანი, სტრ. 2)

XIX საუკუნის პირველ ნახევარში მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით შეწუხებული პროგრესულად მოაზროვნე ქართული საზოგადოების ცხოველი ინტერესის საგანი ეპოქის სულისკვეთების ამსახველი აქტუალური სოციალური საკითხები შეიქნა. გ. ქიქოძის თანახმად, „დიადი საკითხი, რომელიც XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისევე მწვავედ დაისვა, როგორც ის ყველგან იდგა კულტურულ კაცობრიობაში, სოციალური საკითხი იყო. ... ქართველ მკითხველს იმდენად რითმის სიმდიდრე და მეტაფორული წყობის ორიგინალურობა არ ხიბლავდა, რამდენადაც ნაციონალური და სოციალური იდეების სიმახვილე და მოქალაქეობრივი პრინციპულობა“ (ქიქოძე 1964: 223). პროგრესულად მოაზროვნე ქართველ მოღვაწეებზე იმდენად დიდი გავლენა იქონია ფრანგ განმანათლებელთა ფილოსოფიურ-პოლიტიკურმა შეხედულებებმა, რომ ჩვენში მთელი ეპოქა, კერძოდ, XVIII-XIX საუკუნეები „ვოლტერიანობის“ სახელით იხსენიება, რითაც ქართულ კულტურასა და ფილოსოფიურ აზროვნებაზე ფრანგული განმანათლებლობის ზეგავლენა მოიაზრება. მართალია, ფრანგ განმანათლებელთა თხზულებებს ქართველები ძირითადად არა დედნიდან, არამედ რუსული თარგმანებიდან თარგმნიდნენ, მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, მათ მაინც ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ: ისინი შეესაბამებოდნენ ეპოქის ძირითად ტენდენციებს და ქართველ მკითხველს მისთვის უცხო სამყაროს აცნობდნენ.

***

ამ თვალთახედვით საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ემიგრაციაში მოღვაწე ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის უფროსი ვაჟის, ტახტის მემკვიდრის, დავით ბატონიშვილის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე. გაიოზ რექტორის მეთვალყურეობითა და უცხოელ მეცნიერთა მიერ აღზრდილი დავით ბატონიშვილი (1767-1819) ჩინებულად იცნობდა დასავლეთ ევროპის დიდ მოაზროვნეთა მოძღვრებასა და პოლიტიკურ შეხედულებებს. დავით ბატონიშვილი ევროპულობისაკენ მიისწრაფვოდა, მისი მოღვაწეობით ქართულ კულტურაში გზას იკვლევდნენ მოწინავე ევროპული შეხედულებები და სოციალურ პოლიტიკური ინტერესები.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ, 1803 წელს, ოჯახის წევრებთან და სხვა მაღალი წოდების პირებთან ერთად, დავით ბატონიშვილი გადაასახლეს პეტერბურგში, სადაც გაატარა მან სიცოცხლის ბოლო წლები. დევნილ უფლისწულს მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება, უბოძეს სენატორობა (იგი იყო რუსეთის იმპერიის მმართებელი სენატის წევრი), დაუნიშნეს თვეში 500 მანეთი ხელფასი და 2 000 კაცი ყმად გადაულოცეს. ემიგრაციაში მყოფ ბატონიშვილს ფუჭი ყოფით არ უცხოვრია; სამშობლოსთან განშორების მძიმე წუხილის განელებას დავით ბატონიშვილი სამეცნიერო და სამწერლო საქმიანობით ცდილობდა; მან თავისი წვლილი შეიტანა სა-

მართლის, ისტორიის, ფილოსოფიის, ლირიკის, ესთეტიკის, ღვთისმეტყველების, ლექსიკოგრაფიის, გრამატიკის, საფორტიფიკაციო საქმიანობის და ფიზიკის განვითარების საქმეში. მისმა ორიგინალურმა თხზულებებმა და ქართულ ენაზე თარგმნილმა ევროპელ მოაზროვნეთა ეპოქალურმა ქმნილებებმა გაამდიდრეს ჩვენი კულტურის საუნჯე. დავით ბატონიშვილის ორიგინალური ქმნილებებიდან აღსანიშნავია მისი ფილოსოფიურ განსჯათა შემცველი, ასევე, სატირული და სატრფიალო ლექსები (დავითი განიცდიდა ბესიკის გავლენას). საყურადღებოა ბატონიშვილის საისტორიო ჟანრის ნაშრომები: „ნარკვევები“, „საქართველოს მოკლე ისტორია“, „ახალი ისტორია“ (გამოიცა რუსულადაც). 1818 წელს დავით ბაგრატიონმა შექმნა „შემოკლებული ფისიკა“ – სახელმძღვანელო მოსწავლეთათვის, რაშიც მას დიდად დაეხმარა ამ დარგის ცნობილ სახელმძღვანელოთა და ცალკეულ ალმოჩენათა ცოდნა. მართალია, „შემოკლებული ფისიკა“ არ არის დავით ბატონიშვილის ორიგინალური ნაშრომი, მაგრამ მასალის გადმოცემისას იგი ავლენს მისი ეპოქისათვის შესაბამისი ფიზიკისა და ქიმიის საფუძვლიან ცოდნას; გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია მისი ფილოსოფიური შეხედულებები; დავით ბატონიშვილი იძლევა ნივთის განსაზღვრებას: „ნივთნი პოებული სოფელსა შინა და ქვეშე შემვრდომი საგრძნობელთა იწოდების სხეულად, ხოლო თვისება სხეულისა არის იგი, რაისაც ამის შორის დამტკიცება ძალედების“ (ბატონიშვილი 2003: 22). ბატონიშვილი ნივთთა თვისებებს ყოფს „საზოგადოდ“ და „სათავისოდ“, საზოგადო თვისებებად მიიჩნევს იმათ, „რომელნიცა ყოველთადთა სხეულთა შინა პოებულ არიან“, სათავისოდ კი იმ თვისებებს, „რომელნიცა რომელთადმე სხეულთა შინა იპოებიან“ (ბატონიშვილი 2003: § 2). იგი მსჯელობს მატერიის ისეთ არსებით თვისებებზე, როგორიცაა განფენილობა, სიმკვირვე, ფორმა და ა.შ. და მიჯნავს მათ მატერიის არაარსებითი თვისებებისაგან (ფერი, გემო, სუნი და ა.შ.). შალვა ნუცუბიძის შეფასებით, „ბაგრატიონის ნააზრევში არიან სტიქიური ფილოსოფიური იდეები და ისინი უმთავრესად ეხებიან დიალექტიკას“ (ნუცუბიძე 1958: 485).

ვოლტერის დეისტური რელიგიისა და მონტესკიეს იდეათა გავლენა ჩანს ჟან ჟაკ რუსოს „ახალი ელოიზას“ მიხედვით შექმნილ რომანში „ახალი შიხი“ (სპარსელი ყმაწვილის – შიხისა და ქართველი გოგონას ფერიას მიმოწერა), რომელიც დავით ბატონიშვილმა „ჩვენი მწერლობის ტრადიციულ ხასიათს შეუფარდა და მას, ასე თუ ისე, ქართული ელფერი მისცა“ (ჭუმბურიძე 1955).

ემიგრაციაში მყოფმა დავით ბატონიშვილმა ინტელექტუალური მოღვაწეობით ისეთივე სამსახური გაუწია თავის ქვეყანას, როგორსაც სამშობლოში მყოფი მხედრული და სახელმწიფოებრივი საქმიანობით ეწეოდა, როდესაც 22 წლის დავითის სარდლობით ქართველთა მეწინავე ჯარმა 1789 წლის ოქტომბერში ყარსის ოლქში სასტიკი დამარცხება აგემა რიცხობრივად ბევრად აღმატებულ ოსმალთა ჯარს, ხოლო კრწანისის ომში – სპარსელთა ჯარს. დავით ბატონიშვილი 1819 წელს, პეტერბურგში გარდაიცვალა. ლ. ასათიანის თანახმად, „დავითის ცხოვრება და ლიტერატურა არის ერთი საინტერესო დასაწყისი ფურცელთაგანი დასავლეთ ევროპული იდეების გავლენათა ისტორიიდან ჩვენი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში“ (ასათიანი 1958: 76).

***

ემიგრაციაში მცხოვრები დავით ბაგრატიონის თვალთახედვის არეში იმთავითვე მოექცა ფრანგული განმანათლებლობის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, შარლ ლუი მონტესკიეს (1689-1755 წ.) ეპოქალური თხზულება „კანონთა გონი“ (De l`Esprit des Lois), რომელიც დავით ბატონიშვილმა 1815 წელს პეტერბურგში თარგმნა სათაურით „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა“ და პირველმა გააცნო ქართულ საზოგადოებას. მონტესკიეს ნაშრომი ეფუძნება ადამიანის სამოქალაქო და პოლიტიკური

თავისუფლების იდეას. ავტორი საგანგებოდ იკვლევს იმ კანონებს, რომლებიც შეადგენენ პოლიტიკურ თავისუფლებას სახელმწიფო წყობასთან მიმართებით, მსჯელობს ხელისუფლების განაწილების აუცილებლობაზე, როგორც სამართლის უზენაესობისა და ადამიანის, როგორც საზოგადოების წევრის თავისუფლების წინაპირობის შესახებ. სახელმწიფო ხელისუფლების განაწილების მონტესკიესეულ პრინციპს ვოლტერმა „გონებისა და თავისუფლების კოდექსი“ უწოდა. დავითი თეიმურაზ ბატონიშვილს წერდა: „გულისხმისყოფისათვის სჯულთასა ქმნილი უფლისა მონტესკიესაგან არს ... ერთი უმჯობესთა წერილთაგანი ევროპასა შინა“.

დავით ბაგრატიონს მონტესკიეს ნაშრომის რუსულენოვანი თარგმანი შეუდარებია დედანთან, რის შესახებაც ერთ-ერთ შენიშვნაში იგი წერს: „მთარგმნელთა არა სცოდნიათ კარგად ფრანციცული და რუსულზე ბრჯგუდ გადმოელოთ, რომელშიც ძნელად იყო მისახვედრი მრავალი აზრი“. ასეთი ადგილები დავით ბაგრატიონს ფრანგულის მიხედვით შეუსწორებია. იგი არ დასჯერდა მხოლოდ ტექსტისა და ავტორისეული შენიშვნების გადმოქართულებას, თარგმანს საკუთარი კომენტარები და კრიტიკული შენიშვნებიც დაურთო. ასე მაგალითად, ცივი და ცხელი ჰავის მკვიდრ ხალხებზე მსჯელობისას, მონტესკიე წერს: „ცხელი ქვეყნების ადამიანები მოხუცებივით გაუბედავნი არიან, ცივი კლიმატის ადამიანები კი ახალგაზრდებივით მამაცნი“ (მონტესკიე 1994: 253). ასეთი მსჯელობით უკმაყოფილო დავით ბაგრატიონი წერს: „აქა სცთების ავტორი .... არავინ არს ეგრეთ შურისმგებელ, გულმანკიერ, იჭვნეულ, მზაკვარ, მცბიერ და უყვარულ, ვითარცა ცივსა ჰაერსა შინა მცხოვრებნი ანუ ჩრდილოელნი .... სცთები, უფალო მონტესკუ! იარანალ რტიშჩევი და კნორინგი არიან მცხოვრებნი ცივისა კლიმატისანი და ბონაპარტე და მარშალ ნეი ცხელისა კლიმატისანი. ნუუმე ზემონი სჯობდნენ ქვემოთა ბიჭად და ანუ სარდლად?“ მონტესკიეს მსჯელობებისადმი ასეთი სახის კრიტიკული შენიშვნები არაერთგზის გვხვდება დავით ბაგრატიონის კომენტარებში.

დავით ბატონიშვილის სამართლებრივ და პოლიტიკურ შეხედულებებზე დიდი გავლენა იქონია განმანათლებელთა, კერძოდ, მონტესკიესა და რუსოს შრომებში გამოთქმულმა მოსაზრებებმა, რაც მკაფიოდ იკვეთება ბატონიშვილის ორ ნაშრომში: „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა“ (1813 წ.) და „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ (1811-1813 წწ.).

დავით ბატონიშვილს, როგორც სენატორს და კომისიის თავმჯდომარეს, დაევალა ვახტანგ VI-ის კრებულის თარგმნა რუსულ ენაზე, რათა ამ სამართლის ნორმებით მომხდარიყო ქართლ-კახეთში სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირება. ასე შედგა დავით ბატონიშვილის მიერ „საქართველოს სამართლისა და კანონთმდებლობის მიმოხილვა“ (აღმოაჩინა და ტექსტი დაადგინა აპოლონ როგავამ). ხსენებულ ნაშრომში დავით ბატონიშვილს მიმოხილული აქვს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მთელი მოქმედი სამართალი, ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის დროინდელი საკანონმდებლო აქტები. ეტყობა, ამ ნაშრომით დავით ბატონიშვილის სურვილი იყო რუსეთის საზოგადოებისათვის საქართველოს მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი და სამართლებრივი კულტურის გაცნობა; არც ისაა გამორიცხული, შესაძლოა, საქართველოში სამეფო ხელისუფლების აღდგენასაც იმედოვნებდა.

თავისი არსით ეს ნაშრომი ძალზე ახლოს დგას მის მიერ 1811-1813 წლებში დაწერილ „სამართალი ბატონიშვილის დავითისა-ს“ მეორე ფენასთან, ანუ C ნუსხასთან. მონტესკიეს იდეებით გატაცების მიუხედავად, რომელსაც აბსოლუტიზმი უკვე რეგრესულ მოვლენად მიაჩნდა, დავით ბატონიშვილი მხარს უჭერს აბსოლუტური მონარქიის დამკვიდრებას; იგი ნათლად აცნობიერებდა, რომ, განვითარების დონით, მისი ქვეყანა ძალზე ჩამორჩებოდა ევროპის სახელმწიფოებს; საქართველოს

იმდროინდელი რეალობის გათვალისწინებით, საქართველოს სახელმწიფოებრიობას ერთადერთ ხსნად და საქრთველოს განვითარებულ ქვეყნად ქცევის წინა პირობად დავით ბატონიშვილს მიაჩნდა აბსოლუტური მონარქიის დამკვიდრება, რომელიც წარმატებით შეძლებდა ერთიანი სახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გატარებას, ფეოდალური თვითნებობის აღკვეთასა და კანონის ფარგლებში მოქცევას, ქვეყნისათვის ძველი დიდებისა და ავტორიტეტის დაბრუნებას. ივ. სურგულაძის თანახმად, „დავითის იდეალი მტკიცე ცენტრალური ხელისუფლებაა, რომელიც განუხრელად ატარებს, მთელი სახელმწიფოს მასშტაბით ერთიან პოლიტიკას, ერთიან კანონმდებლობას“ (სურგულაძე 1955: 19). ხსენებული ორი ნაშრომით, ფაქტობრივად, დავით ბატონიშვილმა ითავა საკანონმდებლო გზით დაენერგა განმანათლებელთა იდეები, მათი შეხედულებები სახელმწიფოს, მეფის ხელისუფლების, სამოქალაქო და სისხლის სამართლის საკითხებზე; განმანათლებელთა დარად, დავით ბატონიშვილისთვისაც ნათელია, რომ კერძო საკუთრების არსებობა განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესს, შესაბამისად, სამოქალაქო კანონები იქითკენ უნდა ილტვოდნენ, რომ თითოეული ადამიანი ინარჩუნებდეს კერძო საკუთრებას. „სამართლის“ 124, 4, 11, 161, 128, 29, 121 მუხლების საფუძველზე დავით ბატონიშვილი ადგენს საკუთრების (ნასყიდობის, მემკვიდრეობით, ბეითალმანის ანუ უპატრონოდ დარჩენილი ქონების) შექმნის წესებს გარკვეული პირობების დაცვით; საკუთრების ყველაზე მყარ ფორმად ბატონიშვილს ნასყიდობის საფუძველზე შეძენილი საკუთრება მიაჩნია. მოითხოვს თანასწორობას კანონისა და სამართლის წინაშე.

შეიძლება ითქვას, რომ, ქართული რეალობის გათვალისწინებით, დავით ბატონიშვილი შეეცადა თავისი პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები შეძლებისდაგვარად დაეფუძნებინა განმანათლებელთა მოწინავე იდეებზე; რომ არა საქართველოს იმჟამინდელი მძიმე ვითარება, დავითის სამართალი ნამდვილად გახდებოდა ქვეყნის მოქმედი საკანონმდებლო აქტი.

***

დავით ბატონიშვილის მსოფლმხედველობის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის დამოკიდებულებას რელიგიის, კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ ხსენებულ საკითხში, მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, საქმე გვაქვს ერთგვარ წინააღმდეგობასთან.

დავით ბატონიშვილმა, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, დაწერა „სიმვოლო, ანუ აღსარება მართლმადიდებლობის სარწმუნოებისა“. ეს თხზულება ცალსახად მოწმობს, რომ დავითი კარგად ერკვეოდა როგორც კათოლიკური, ისე მართლმადიდებლური სარწმუნოების საკითხებში. ნაშრომმა, რომელიც მან მამას მიართვა, სასულიერო პირთა მოწონება დაიმსახურა.

მოგვიანებით, პეტერბურგში მყოფმა დავით ბატონიშვილმა, მართალია, საკუთარი კარის საყდრის „აღშენება“ ვერ შეძლო, მაგრამ იმას მიაღწია, რომ „თავის სულიერ მოძღვარს იონა ხელაშვილს წმ. ანდრიას ეკლესიაში პეტერბურგელი ქართველობისათვის წირვა ქართულ ენაზე შეესრულებინა“ (შარაძე 1971: 66). ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონიშვილი არ აკლებდა ყურადღებასა და შემწეობას საქართველოდან ჩასულ თანამემამულეებს.

ქართველ ვოლტერიანელთა პირველმა წარმომადგენელმა დავით ბაგრატიონმა 1813 წელს თარგმნა ვოლტერის დეისტური ხასიათის სტატია „შობისათვის“, რომელშიც საუბარია დიდი რელიგიური დღესასწაულის – ქრისტეს შობის თარიღის (სხვადასხვა წყაროის მიხედვით განსხვავებულ თარიღებზე) შესახებ. დავით ბაგრატიონი თხოვნით მიმართავს დავით რექტორს, შეაჯეროს ვოლტერის თხზულებაში მითითებული ადგილები წმ. წიგნე-

ბიდან ამ წიგნებს და წერს: „წარმკითხველი თვით უნდა მიიწიოს ზესმიწევნილებაზედ და ნამდვილისა ცნებაზედ“.

1815 წელს პეტერბურგში მან ქართულ ენაზე თარგმნა პრუსიელი ფილოსოფოსის, ჟან პიერ ანსილიონის (1767-1837) ნაშრომი „ესთეტიკური განსჯანი“, რომელიც უძღვნა დავით მესხიშვილს და ცალკე წიგნად გამოქვეყნებული „პაექრობა“ (ანუ „ბაასი უფლის თეოფილაქტე ექსარხოსისა და არქიერის ფილარეტისა რაოდენთამე შენიშვნათა ზედა უფლის ანსილიონისა აღნაქვსისა შინათა“). ანსილიონის ეს ნაშრომი ეძღვნება არსის თვისებებისა და საგანთა წარმოების პრობლემას. ავტორის თანახმად, ადამიანის სულისათვის ნიშანდობლივია დაუოკებელი სწრაფვა უსასრულოსადმი; ხელოვნების უდიდესი საიდუმლოება, სასრული საგნების საშუალებით, ადამიანის სულში არსებულ უსასრულობის გრძნობაზე ზემოქმედებაა, რომელიც მიიღწევა მუსიკითა და პოეზიით; ეს განაპირობებს ამ უკანასკნელთა უმჭიდროეს კავშირს რელიგიასა და ღვთისმსახურებასთან. ანსილიონის ნაშრომში არის ზოგიერთი ათეისტური აზრის მქონე მონაკვეთი, რის გამოც თხზულება აიკრძალა. მაგალითად, ავტორის აზრით, „ადამიანისათვის, ვინც თავს განათლებულად მიიჩნევს, რელიგია არის ძველი გადმოცემა, დაძველებული იარაღი, რომელიც ახლა საჭირო აღარ არის“. აღნიშნულის გამო, ნაშრომი ორი მაღალი რანგის სასულიერო პირის – თეოფილაქტე ექსარხოსისა და ფილარეტ არქიერის – პაექრობის საბაბი გახდა. თავისი დამოკიდებულება ანსილიონის მსჯელობებისადმი დავით ბაგრატიონს გამოთქმული აქვს „პაექრობის“ თარგმანის შენიშვნებში.

ეს თარგმანები შეიქნა იმის საბაბი, რომ ზოგ მკვლევარს (გ. დედაბრიშვილი, ვ. პარკაძე) ბატონიშვილი მიეჩნია ათეისტად; მათი შეხედულებით, ხსენებული თარგმანებით დავით ბატონიშვილმა ნათელყო თავისი ნამდვილი დამოკიდებულება სარწმუნოებისადმი. ჩვენი აზრით, ასეთი მტკიცება უსაფუძვლოა: მართალია, დავით ბაგრატიონი იზიარებდა ფრანგ განმანათლებელთა, განსაკუთრებით კი, ვოლტერის შეხედულებებს რელიგიის თაობაზე, მაგრამ, განმანათლებელთა დარად, როგორც ვოლტერი, ისე მისი მიმდევარი დავით ბატონიშვილი არა ათეისტები, არამედ, უმალ, დეისტები არიან. საყოველთაოდ ცნობილია პრუსიის პრინც ჰაინრიხისადმი მიწერილი ვოლტერის სიტყვები: „ღმერთი რომ არ ყოფილიყო, იგი უნდა გამოგვეგონებინა, მაგრამ მთელი ბუნება იძახის, ის არსებობს“. ასევე, მნიშვნელოვანია, სიკვდილის წინ მის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „მე ვკვდები ისე, რომ თაყვანს ვცემ ღმერთს, მიყვარს ჩემი მეგობრები და არ მძულს მტრები“. ვოლტერი ჭეშმარიტი დეისტია! მისი აზრით, ღმერთი წარმოადგენს შემოქმედ გონებას, დაუსაბამოს, სამყარო გონიერი არსების მიერაა შექმნილი.

დავით ბატონიშვილის ნაშრომებში არაფერია გამოთქმული ღმერთის ან წმინდა მამების საწინააღმდეგოდ. პირიქით, სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, დავით ბატონიშვილი ცდილობს ეკლესიისა და სამეფო ხელისუფლების ნორმალური, საზოგადოებისათვის მისაღები და სასარგებლო ურთიერთდამოკიდებულების შენარჩუნებას; ამის დასტურია თუნდაც მის მიერ ორ ნაშრომში – „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა“ და „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ – მოცემული მუხლები.

დავით ბატონიშვილი აცნობიერებდა, რომ სამეფო ხელისუფლების განმტკიცებაში მეფის რეალური საყრდენი უნდა ყოფილიყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რადგან, მისი მხარდაჭერის გარეშე, შეუძლებელი იქნებოდა აბსოლუტური მონარქიული მმართველობის დამყარება, „ვინაიდან ეკლესია არს გვირგვინი მეფისა და დიდებაი, და წყარო ყოვლისა ბედნიერებისა ვითარცა დაუსრულებელსა მას საუკუნესა, ეგრეთვე დასრულებადსაცა ამას, ამისთვის ხამს, რომელ მეფეთაგან და ერთა იყოს იგი პატივცემულ და დიდებულ“ (ბატონიშვილი 1964: 162). ეკლესიისადმი ბატონიშვილის განსაკუთრებულ

ყურადღებას მოწმობს ის სამართლებრივი რეგლამენტაციაც, რომელიც მოცემულია „საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვაში“. ბატონიშვილი შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს სხვადასხვა სარწმუნოების მიმართ, სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლებს კანონი მთელი სიმკაცრით იცავდა, რასაც მოწმობს „ბატონიშვილის სამართლის“ 143-ე მუხლი: „გარნა ვამკაცრებთ ყოველთა, რათა არცა მართლმადიდებელთა, არც კათოლიკეთა, არც სომეხთა და არც წარმართთა არა რაიმე ჰსცენ ურთიერთას შეურაცხყოფაი ჰჯულისათვის, რომლისთვისაც კეთილშობილნი პატიმრობითა, ხოლო მდაბალნი ჯოხითა დაისჯებიან და სამღვდელონიც დიკასტერიისა სამართალსა შთაცვივიან“ (ბატონიშვილი 1964: 82).

დავით ბატონიშვილის სასიქადულოდ უნდა ითქვას, რომ ქართული ტრადიციების გათვალისწინებით, მან შეძლო თავის შრომებში სათანადო ადგილი მიეჩინა როგორც სამეფო, ისე საეკლესიო ხელისუფლებისათვის და ქვეყნის სამართავად საზოგადოებისათვის პროგრესული საკანონმდებლო ნორმები შეეთავაზებინა.

დამოწმებანი

1. ასათიანი ლ. რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1958.
2. ბატონიშვილი დავით, შემოკლებული ფისიკა, თბ., 2003.
3. ბატონიშვილი დავით, სამართალი, თბ., 1964.
4. მონტესკიე შარლ, კანონთა გონი, თბ., 1994.
5. ნუცუბიძე შ. ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბ., 1958.
6. სურგულაძე ივ. საქართველოს ისტორიის იშვიათი ძეგლის აღმოჩენა, ჟურნალი „დროშა“, თბ., 1955.
7. ქიქოძე გ. ლიტერატურის ამოცანებზე, რჩეული თხზულებანი, ტ. II, თბ., 1964.
8. შარაძე გ. თეიმურაზ ბაგრატიონი, თბ., 1971.
9. ჭუმბურიძე ჯ. ერთი ნაწარმოების წყაროს შესახებ, გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 4 ივნისი, 1955.

DODO LABUCHIDZE

Davit Batonishvili (Prince David) – Caretaker of Georgian Culture in Eemigration

Summary

This article is dedicated to Georgian thinker living in eemigration Davit Batonishvili (1767-1819) who made a great contribution to Georgian culture. He is especially noted for his translations; through translating the works of French enlightenment thinkers in native language he was informing Georgian readers about actual issues reflecting the spirit of unknown world and epoch.

In the article, special attention is paid to Davit Batonishvili's legal opinions on which the leading ideas of French enlightenment thinkers are reflected. In order to clarify his relation with religion, the aspects revealing Davit Batonishvili's tolerant attitude towards confessors of other religions are identified. It must be stated that Davit Batonishvili was able to offer the country's secular and ecclesiastical authorities the progressive legislative norms for ruling of country.

ელენე ათაბაგი და დონ ქრისტოფორო დე კასტელი

XVII საუკუნის პირველი ნახევარი დასავლეთ საქართვრლოში შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც ოდიშის მძლავრი მთავრის ლევან II დადიანის (1611-1677) ბატონობის პერიოდი. მისი გავლენა იგრძნობოდა აღმოსავლეთ საქართველოშიც, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც თავისი და, სვიმონ გურიელის ნაცოლარი მარიამი ქართლის მეფე როსტომს მიათხოვა და ამ ქორწინებით შაჰ სეფის მოკავშირეც გახდა. იგი ოსმალეთისაგან დამოუკიდებლად მოქმედებდა, სულთანს არ ეპუებოდა და მხოლოდ სიმბოლურ ხარკს უხდიდა.

ლევან დადიანის მიერ სულთნის ინტერესისა და მოთხოვნის საწინააღმდეგო მოქმედების დემონსტრირების კიდევ ერთი ფაქტი იყო სამცხის ათაბაგის ასულის, სილამაზით სახელგანთქმული ელენეს ირანში გაგზავნა.

ელენე დიდი პოლიტიკის ტიპური, მორიგი მსხვერპლი იყო.

ელენეს ცხოვრების პირველი პერიოდის შესახებ საინტერესო ცნობები დაგვიტოვა იტალიელმა კათოლიკე მისიონერმა დონ ქრისტოფორო დე კასტელმა. იგი პასიური დამკვირვებელი იყო XVII საუკუნის 20-40-ან წლებში დასავლეთ საქართველოში მიმდინარე ამბებისა და საკუთარი თვალით მხილველი იმისა, როგორ გადააქციეს გურიელმა და დადიანმა უპატრონოდ დარჩენილი ათაბაგის ასული თავიანთი პოლიტიკური მიზნების განხორციელების საშუალებად.

ელენე იყო ასული სამცხის ცნობილი ათაბაგის მანუჩარ მესამისა (1614-1625). მანუჩარმა თავისი სამთავროს გადასარჩენად თავგამოდებით იბრძოლა ხან სპარსელებისა და ხან ოსმალების წინააღმდეგ. იგი ქართლ-კახელების გვერდით იბრძოდა მარაბდის ველზე (1625 წ.). ცოტა ხნის შემდეგ მანუჩარი, რომელიც სამცხეში შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ხედავდა, სტამბოლში წავიდა სულთნისაგან წყალობის სათხოვნელად. სულთანმა შეიწყნარა მისი თხოვნა და, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, „მისცა ქრისტიანობით ათაბაგობა". როდესაც მანუჩარი სამშობლოში ბრუნდებოდა, გზაში თავისი ბიძა, ბექა (შემდეგში საფარ-ფაშა) შეხვდა, რომელმაც სტუმრად მიიწვია ძმისწული და საწამლავით მოაკვლევინა. ბექა თვითონ წავიდა სტამბოლში „იქმნა მაჰმადიან, მოსცა (სულთანმა – ე. მ.) ათაბაგობა და ყოველი საზღვარი სამცხე საათაბაგოსი და უწოდეს საფარ-ფაშა... და მერე წარმოავლინეს და მოვიდა სამცხეს 1626 წელს" (ყაუხჩიშვილი 1973: 724-725).

მოვუსმინოთ დონ ქრისტოფორო დე კასტელს: „ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ ელენე, საქართველოში ერთ-ერთი ხელისუფლის – ათაბაგის ქალიშვილი... ათაბაგი თურქებმა დაამარცხეს და იძულებული გახდა ქრისტიანობაზე უარი ეთქვა, რათა თავისი სამთავროდან არ გაეძევებინათ. მიუხედავად ძალმომრეობისა, ის ჭეშმარიტი ქრისტიანი იყო და ჩვენთან ერთად პროტესტს აცხადებდა. მას ჰყავდა იშვიათი სილამაზის ქალიშვილი, რომელიც ძალიან უყვარდა და თვალისჩინივით უფრთხილდებოდა. ეშინოდა რა იგი თურქებს ხელში არ ჩაეგდოთ, ათაბაგმა ისარგებლა მომენტით და ელენე გურიის მთავარ მალაქიასთან გაგზავნა, სადაც მას შევხვდი, როდესაც ხსენებულ მთავარს, როგორც ექიმი ვემსახურებოდი... გურიის მთავარ-

მა სპარსეთის შაჰთან ელჩი გაგზავნა. მაშინ შაჰი იყო აბას დიდი, ქალებისადმი სიყვარულით განთქმული. მან ელჩს ჰკითხა: მის მხარეში არიან თუ არა ლამაზი ქალები? ელჩმა უპასუხა: როგორც მზე ვარსკვლავებს შორის, ისე ლამაზ ქალებს შორის ბრწყინავს ელენე ათაბაგი... არტაანის, სამცხის და სხვა ქვეყნის მთავრის ქალიშვილი... შაჰმა გადაწყვიტა, რომ ის შეეფერებოდა თავის შვილიშვილს შაჰ სეფის" (ლიჩინი 2009: 53-54)

მ. თამარაშვილის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით ისე გამოდის, რომ ელენე სამცხის გამაჰმადიანებული ათაბაგის ასული იყო (თამარაშვილი 1902: 161), რასაც ქრისტოფორე კასტელიც არასწორად გადმოგვცემს. ელენე უნდა ყოფილიყო ასული მანუჩარ III ათაბაგისა (1591-1625), რომელიც ქრისტიანად გარდაიცვალა, მას შემდეგ რაც იგი თავისმა ბიძამ ბექამ (შემდეგში ათაბაგი საფარ-ფაშა, 1625-1639) მოწამლა, გამაჰმადიანდა და სულთნისაგან ათაბგობაც მიიღო. ასე, რომ გამაჰმადიანებული ათაბაგი ამ დროს მხოლოდ საფარ ფაშა იყო.

დასაშვებია, რომ მანუჩარმა სტამბოლში გამგზავრების წინ ელენე, მისი უსაფრთხოების მიზნით, გურიაში თავის ბიძასთან (დედის ძმა), მალაქია კათალიკოსთან გაგზავნა. ისიც შეიძლებოდა, რომ ელენე მისი მამის მკვლელ საფარ-ფაშას გამოარიდეს.

გურიაში, მთავრის სასახლესთან მცხოვრებმა კათოლიკე პატრებმა, იმდენი მოახერხეს, რომ „ელენე ათაბაგი იესო ქრისტეს სახარებაზე მოაქციეს", ე.ი. გააკათოლიკეს (დონ 1976: 170, სურ. № 436).

ელენეს დაბადების წელი არ ვიცით. დასაშვებია, რომ მისთვის, როგორც საათაბაგოს მემკვიდრისადმი, მამის სიცოცხლეშივე, თუნდაც მისი მცირეწლოვანების ჟამს, პოლიტიკური მოსაზრებით, ყურადღება მიეპყრო შაჰ აბას დიდს და თავისი შვილიშვილის, შაჰ-სეფის საცოლედ მოეწადინებინა, როგორც კასტელი აღნიშნავს (დონ 1976: 53).

კასტელის გადმოცემით, ელენეს მშვიდ ცხოვრებაში გადატრიალება გამოიწვია ერთმა შემთხვევამ: გურიის მთავარმა მალაქია გურიელმა თავისი ელჩი იასონ ნაკაშიძე ირანის შაჰთან გაგზავნა, მაგრამ რა მიზნით, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. კასტელის მიხედვით, მაშინ ირანის მბრძანებელი შაჰ აბას I იყო. შაჰთან აუდიენციის დროს საუბარი ჩამოვარდა ქალების სილამაზეზე. გურიელის ელჩს უთქვამს „როგორც მზე ვარსკვლავებს შორის, ისე ლამაზ ქალებს შორის, ბრწყინავს ელენე ათაბაგი... სამცხის მთავრის ქალიშვილი". შაჰის აზრით, თუ ელენე ასეთი ლამაზი იყო, მაშინ იგი მის შვილიშვილს, სეფი მირზას ცოლად შეეფერებოდა და იასონ ნაკაშიძეს დაავალა გურიის მთავრისათვის გადაეცა მისი სურვილი. ელჩი გურიელთან დიდძალი საჩუქრებით დაბრუნდა და შაჰის თხოვნაც მოახსენა (ლიჩინი 2009: 53-54).

კასტელს ელენე პირველად სამეგრელოში უნახავს, როდესაც იგი გურიიდან გამოიძახეს ათაბაგის ასულის ავადმყოფობის გამო და, ამის შემდეგ იგი და ელენე ერთად იყვნენ ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში, როგორც გვაუწყებს კასტელის წარწერა მისსავე ერთ ნახატზე: „პოსკავეთი ის ადგილია, სადაც შევხვდი ელენე ათაბაგს, რომელიც შემდეგ ირანის დედოფალი გახდა. როდესაც სამეგრელოში იმყოფებოდა, მაშინ მე გურიიდან მივედი, როგორც მისი ექიმი, და ექვს წელზე მეტი ერთად ვიყავით" (დონ 1976: 458, სურ. № 458).

კასტელი, საქართველოში (გორში) ჩამოვიდა 1632 წელს სხვა შვიდ თეატინელ ბერთან ერთად. 1634 წელს კასტელი, ანტონიო ჯარდინა და კლაუდიო გურიაში გადავიდნენ და იქ დაბინავდნენ. ამ დროს ელენე ცხოვრობდა მალაქია გურიელის

სასახლეში, რომლის ბაღშიც მთავარმა პატრებს საცხოვრებელი გამოუყო. პატრები დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ელენესადმი. განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა დამყარდა ელენესა და კასტელს შორის. „ჩემ მიმართ ელენე განწყობილი იყო არა როგორც ქალბატონი მსახურისადმი, არამედ როგორც ქალიშვილი მამისადმი. სიტყვა ჩამომართვა, რომ მას არასოდეს მივატოვებდი. პირობა მივეცი, რომ როცა გათხოვდებოდა, თან გავყვებოდი, რათა მისი სულისა და სხეულისათვის მემსახურა და მემკურნალა“ – წერდა კასტელი (ლიჩინი 2009: 54-55).

სავარაუდოა, როდესაც ირანიდან ელჩი დაბრუნდა, მალაქია გურიელი უკვე ცოცხალი აღარ იყო (გარდაიცვალა 1639 წელს). მალაქიას გარდაცვალების ამბავი შეიტყო თუ არა, ოდიშის მთავარი ლევან დადიანი შეიარაღებულ ძალით შეიჭრა გურიაში და გაამთავრა მალაქიას ძმა ვახტანგი (1639-1640). ვახტანგ გურიელისათვის გასაგები იყო შაჰის ჩანაფიქრი, რომ ამ ქორწინებით იგი დაუკავშირდებოდა ათაბაგის ოჯახს, რომლის სამთავრო ოსმალეთის ბატონობის ქვეშ იყო და დასავლეთ საქართველოს მთავრების მსგავსად, ოსმალეთის ქვეშევრდომებს შორის, კიდევ ერთ მოკავშირეს შეიძენდა. მაგრამ გურიის მთავარმა ოდიშის მთავართან შეთანხმების გარეშე გადაწყვეტილება ვერ მიიღო. როგორც კასტელი წერდა, იგი იმასაც ითვალისწინებდა, რომ, სულთანი თუ შაჰის განზრახვას შეიტყობდა, ელენეს მაშინვე თვითონ წაიყვანდა (ლიჩინი 2009: 54).

დასავლეთ საქართველოში მცხოვრებმა თურქებმა გაიგეს თუ არა ელენეს ირანში გაგზავნის განზრახვის შესახებ, ყოველივე სულთანს აცნობეს. ამას შესაბამისი რეაქცია მოჰყვა. სტამბოლიდან გურიაში სულთნის ელჩი მოვიდა და ელენეს წაყვანა მოინდომა. გურიელმა (ამ დროს გურიის მთავარია ქაიხოსრო I, 1640-1658) ყოველივე ოდიშის მთავარს შეატყობინა. „მან გურიელს ურჩია, რომ ელენე მასთან გაეგზავნა, ხოლო თურქებისათვის მიეწერა, რომ ელენე გურიის სამთავროში აღარ იმყოფება. ის ახლა სამეგრელოშია. გურიელმა ეს რჩევა მაშინვე შეასრულა და ელენე დადიანთან გაგზავნა“ (ლიჩინი 2009: 55).

ათაბაგის ასული ელენე ოდიშის მთავრის ხელში გადაიქცა პოლიტიკური ინტრიგის ობიექტად.

სამეგრელოში გამგზავრების წინ ელენეს კასტელისათვის უთქვამს: „მამა დონ კრისტოფორო, რა უნდა გავაკეთო მე უთქვენოდ, თურქების ხელისუფლების ქვეშ. საწყალმა უცხომ იქ რა უნდა ვქნა დამრიგებლისა და იმ ადამიანის გარეშე, რომელიც მამშვიდებს, როგორც ამას თქვენ აკეთებთ“. პატრმა ელენე დაამშვიდა და დაპირდა, რომ ისიც მალე ჩავიდოდა სამეგრელოში. იგი ისედაც აპირებდა სამეგრელოში სამუდამოდ გადასვლას ვახტანგ გურიელთან ცუდი ურთერთობის გამო. როცა ელენე სამეგრელოში გადაიყვანეს, კასტელიც მალე იქ გადავიდა.

ლევან დადიანი გამომწვევად იქცეოდა. მან არაფრად ჩააგდო სულთნის მოთხოვნა ათაბაგის ასულის მისთვის გადაცემის შესახებ. ელენეს ირანში გაგზავნა საბოლოოდ გადაწყვეტილი ჰქონდა. ელენე ირანში წასვლის კატეგორიულად წინააღმდეგი იყო. მაგრამ ლევან დადიანმა, ელენე მოატყუა, თითქოს მას ისევ გურიაში აგზავნიდა და 1642 წლის 27 მარტს ირანის გზას გაუყენა (ლიჩინი 2009: 59-60).

ელენემ კასტელს ირანში გაყოლა სთხოვა. მაგრამ მას ამ თხოვნის დაკმაყოფილება არ შეეძლო იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამგვარი ნაბიჯის გადასადგმელად აუცილებელი იყო პაპის ნებართვა და როდესაც ნებართვას მიიღებდა მაშინვე ელენეს შეატყობინებდა. იმავე დროს კასტელმა, როგორც ელენეს სულიერმა მოძღვარმა, იგი შემდეგნაირად დაარიგა: „იცოდეთ ქალბატონო, რომ ყველა ის საგანი, რომელსაც მსოფლიო თაყვანს სცემს – იმპერია, გვირგვინი, სასიამოვნო დროს

ტარებაა და სხვა არაფერი, პატივმოყვარეობაა და უბედურება; სხვა არაფერია თუ არა ქარი და ჩრდილი, რომლის გამოჩენისას მაშინვე ქრება ყველაფერი... შეხედეთ, რამდენ წმინდან ქალწულს უყვარს ღმერთი და სარწმუნოება. ტირანის ნუ შეგეშინდებათ. მას მხოლოდ დროებითი სიკვდილი შეუძლია შენს სხეულს მიაყენოს, რომელიც მოკლე ხანში ჭიების საკვები გახდება. მხოლოდ სიკვდილი აძლევს პატივს მთელ სხეულს და თუ ეს მოხდება, ბედნიერია ის, ვინც მოკლე წამებისათვის სამუდამო ნეტარებას მიიღებს. დიახ, დიახ, ქალბატონო ემზადე ამ საქმისათვის, მიეცი სული ღმერთს და წასვლაზე მტკიცე უარი თქვი, რათა ურწმუნოთა მეფის მეუღლე არ გახდე" (ლიჩინი 2009: 56-57).

ელენე ირანის დედოფალი გახდა. ერთხელ, როგორც კასტელი გადმოგვცემს, შაჰ აბას II-მ ოდიშის მთავარს, ალბათ, ელენეს სურვილით, დესპანი გაუგზავნა და კასტელის ისპაანში გაგზავნა სთხოვა. ამის მოწმენი ყოფილან ფრანგი ექიმები, რომლებიც დადიანის სასახლესთან ცხოვრობდნენ. კასტელი, თავისი ნათქვამის დამადასტურებლად, დასახელებული ფრანგი ექიმების წერილებს იმოწმებს (ლიჩინი 2009: 61). როგორც კასტელი გადმოგვცემს, იგი ავადმყოფობის გამო, ელჩს ვერ გაჰყვა (დონ 1976: 161).

კასტელი თავისი ერთ-ერთი ნახატის წარწერაში ამბობს: „დედოფალ ელენეს მოთხოვნით ირანის ხელმწიფემ გამოგზავნა სამეგრელოს მთავართან ავთანდილ ბეი, რადგან დედოფალს სურდა, რომ მე მასთან წავსულიყავი, მაგრამ მთავარმა არ ისურვა" (დონ 1976: 98). შაჰის დესპანი, მისი სახელის მიხედვით, შეიძლება ვიფიქროთ, ქართველი იყო.

კასტელი თავის ნაწერებში წინააღმდეგობაში ვარდება. როგორც ითქვა, იგი თავის ერთ-ერთი ნახატის წარწერაში აღნიშნავს, რომ ირანში ლევან დადიანმა არ გაუშვა, ხოლო, სხვაგან პირდაპირ ამბობს, რომ ირანში წასვლის ნებართვისათვის წერილი მისწერა რომში გენერალ დონ გრეგორიო კარაფას. „მაგრამ ამჯერად არ შემეძლო ირანში წასვლა, რადგან ჯერ არ მქონდა წმ. კონგრეგაცია დე პროპაგანდა ფიდესაგან ნებართვა აღებული, რომელსაც დამპირდნენ, გამომიგზავნიდნენ და უფლება მექნებოდა ირანში გამგზავრებისა. ეს ჩანს კონგრეგაციის მაშინდელი პრეფექტის კარდინალ ონოფრიოს წერილიდან" (ლიჩინი 2009: 62).

კასტელი თავისი სურვილის საფუძვლიანობის გასამართლებლად, ოფიციალურად ირანში თეატინელთა მისიონის დაარსებას ასახელებდა, მაგრამ მის განზრახვას რომში ეწინააღმდეგებოდნენ. მისი ირანში არგაშვების მთავარი მიზეზი, როგორც კასტელის სიტყვებიდან ჩანს, იყო ის რომ პაპ ურბან VIII-ს არ უნდოდა სამეგრელოში თეატინელების მისიონი დაზარალებულიყო, რომელის საქმიანობაში კასტელი დიდ როლს თამაშობდა. ურბანი გარდაიცვალა 1644 წელს. ამის შემდეგ კონგრეგაციის პრეფექტმა კარდინალმა ონოფრიომ კასტელს ნება დართო წასულიყო ირანში, რადგან მისთვის ცნობილი იყო (მას სწერდნენ) დედოფალი ელენეს კეთილი საქმეები, „რომლებიც მიმართული იყო იქითკენ, რომ არ მიეტოვებინა ქრისტიანული სარწმუნოება". მაგრამ, სხვადასხვა ხელისშემშლელი გარემოებების გამო, კასტელი ირანში ვერ წავიდა (ლიჩინი 2009: 62-63).

როგორც ირკვევა, 1643 წლის ოქტომბერში კონგრეგაციას კასტელისთვის გაუგზავნია ირანში წასვლის ნებართვის წერილი, რომელშიც სიტყვასიტყვით ეწერა: „თქვენი მაღალღირსების წერილი ირანის კათოლიკე დედოფლის თხოვნასა და სურვილზე, რომ თან ჰყავდეს პიროვნება, რომელიც მის სულს წარმართავს, უკვე მოვახსენეთ (პაპს – ე. მ.)... შესაძლებელია, ნებართვა მანამდე გაიცეს თუ ჯუდიჩეს, რომელიც კვლავ ელოდება კონსტანტინოპოლიდან წასვლას, მამა კლემენ-

ტესაგან განსხვავებული წერილი არ ექნება, რომლითაც ხსენებული დედოფალი აჩქარებს თქვენს მაღალღირსებას სამსახურისათვის" (ლიჩინი 2009: 40). წერილმა კასტელიმდე ვერ მიაღწია.

ელენეს ირანში გადედოფლების შემდეგ, კასტელი, მასთან კავშირს, ვითომ, პრაგმატული მოსაზრებით ინარჩუნებდა: თავის სურვილს ირანში წასვლის შესახებ, ამართლებდა იმით, რომ განზრახული ჰქონდა ელენე დედოფლის დახმარებით დაეარსებინა ისპაანში კათოლიკური მისია, რომელსაც თვითონ უხელმძღვანელებდა, რაც მან, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ განახორციელა.

კასტელის ირანში გაშვება მოიწადინა ურბან VIII-ის მომდევნო პაპმა ინოჩენციო X-მ (1644-1655). მოვუსმინოთ კასტელს: „ინოჩენციო X-ს სურდა ჩემი ირანში გაგზავნა, რადგან ხელმწიფე და დედოფალი (აბას II და ელენე – ე. მ.) მთხოვდნენ იქ წასვლას, რათა დამეარსებინა ერთი რეზიდენცია. მე კარგი დამოკიდებულება მქონდა აღნიშნულ გვირგვინოსნებთან და იმ სათნოებით, რომელსაც მე ვაღიარებდი, შემეძლო მიმეღო ეკლესია, ადგილი და ცხოვრების საშუალებანი ჩვენი ძმობისათვის, და იქ რასაც ხელმწიფე იძლევა მისი მემკვიდრეებიც ადასტურებენ ხოლმე" (დონ 1976: 161).

სამეგრელოდან წამოყვანილი ელენე დიდი ამალითა და ეპისკოპოსის თანხლებით ქართლისაკენ გაისტუმრეს. როსტომ მეფე გაფრთხილებული იყო. იგი ელენეს სანახავად დიდი ძღვენით მივიდა, ზარბაზნების გრიალით გორში მიიყვანა და იქვე „უმშვენიერეს კარავში დააბინავა". ათაბაგის ასული შემდეგ თბილისში ჩაიყვანეს, სადაც ასევე დიდი პატივი მიაგეს. თბილისიდან ისპაანამდე მგზავრობას სამი თვე მოანდომეს და ყველგან დიდი ზეიმით ხვდებოდნენ (ლიჩინი 2009: 60-61).

როცა ელენე ისპაანში მიიყვანეს, შაჰ სეფი ინდოეთის ლაშქრობაში იმყოფებოდა. იგი მალე დაბრუნდა, დედოფალი სასახლეში მიიწვია და რვა დღის განმავლობაში ზეიმობდა. შაჰმა ელენეს „დიდი სიხარული მიანიჭა, რამდენიმე ქალაქის გარდა, დიდძალი თანხა უბოძა საყიდლებისა და დროს გასატარებლად... უფალმა ინება, ხელმწიფე-მეუღლე მოკლე ხანში ლოგინად ჩავარდნილიყო და სულ მალე თავის საყვარელი დედოფლის ხელში დაელია სული... **ასე მომწერა ელენემ,** – გადმოგვცემს კასტელი, – ხოლო საჭურისებმა, რომლებიც თან ახლდნენ ელენეს სასახლეში, გადმომცეს, რომ შაჰმა სიკვდილის წინ ის ისე გამოაცხადა დედოფლად, რომ ხორციელად არ შეუცვნია" (ლიჩინი 2009: 61).

ელენე შემდეგში სეფის ვაჟის, აბას II-ის, ცოლი გახდა და, როგორც მოყვანილი ამონარიდიდან ჩანს, ელენესა და კასტელს შორის, ელენეს ირანში გამგზავრების შემდეგაც, კონტაქტი მიწერ-მოწერის დონეზე მაინც, გრძელდებოდა.

კასტელის ირანში გაშვებას ელენე დაჟინებით სთხოვდა რომის პაპ ურბან VIII-ს. ამის შემდეგ დაიწყო კასტელმა რომში თავის უფროსებთან წერილების გაგზავნა ირანში წასვლი ნებართვის მოსაპოვებლად.

საინტერესო უნდა იყოს ელენეს ასაკის გარკვევა იმ დროისათვის, როდესაც იგი შაჰ აბას II-ის ცოლი გახდა. ჯერ გავიხსენოთ აბას II-ის მამის, შაჰ სეფის ასაკი: სეფი დაიბადა 1611 წელს. პაპის (შაჰ აბას I) გარდაცვალების (1629 წ.) და თავისი გამეფების დროს იგი იქნებოდა 17-18 წლის. სეფიმ იმეფა 13 წელი, იგი გარდაიცვალა 1642 წლის 12 მაისს და მაშინვე (15 მაისი) გამეფდა შაჰ აბას II, დაბადებული 1632 წლის 31 დეკემბერს. გამოდის, რომ აბასი გამეფებისას დაახლოებით 11 წლის უნდა ყოფილიყო (Sussan 2003: 104).

მამის, მანუჩარ III ათაბაგის (დაიბადა 1591 წ.) გარდაცვალებამდე (1625 წ.) დაბადებული ელენე, სავარაუდოა, გურიაში ჩაყვანის დროს მცირე ასაკის, დაახლოებით

10 წლის ან უფრო მეტის უნდა ყოფილიყო. ამას მაფიქრებინებს კასტელის მონათხრობი. 1634 წელს ახალგაცნობილ ელენეზე კასტელი ისე ლაპარაკობს, როგორც ზრდასრულ ადამიანზე. ამიტომ მგონია, რომ როდესაც იგი ისპაანში ჩაიყვანეს (1642 წ.) ოცი წლისა მაინც უნდა ყოფილიყო. გამოდის, რომ ელენესა და აბას მეორეს შორის დიდი ასაკობრივი სხვაობა იყო, მაგრამ, ხშირად, სამეფო კარზე, აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, დასაქორწინებელთა ასაკსა და გარეგნობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, თუ კი ამ საქორწინო გარიგებით ორივე მხარე, ან თუნდაც ერთი მხარე, პოლიტიკურ ან მატერიალურ სარგებელს მოელოდა. ასე, რომ გასაკვირი არ არის ასაკით უფროსი ელენე ასაკით უმცროსი აბასისათვის შეერთოთ, თუ ამით ირანი თავის გავლენას გაავრცელებდა სამცხეში და ანტიოსმალური კოალიცია კიდევ უფრო გაძლიერდებოდა.

ვიდრე ელენესა და კასტელის ამბების თხრობას დავამთავრებდეთ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ელენე დედოფლისათვის გაგზავნილი ერთი წერილი, რომელიც დაწერილი იყო ვინმე მონაზონ ქრისტინეს მიერ. წერილი შესულია ქრისტოფორო კასტელის ალბომში. წერილს მოვიყვან შემოკლებით:

„წერილი ირანის დედოფალს.

უძვირფასესო ქრისტეს რჩეულო დაო, გამარჯვება. ვფიქრობ და **ხელმეორედ გეუბნები,** რომ მხედველობაში მიგეღო, წაგეკითხა და გაგეგო თუ როგორ და რამდენი დავწერე და **დავხატე** შენი გულისათვის. მეორე, ამის დასარწმუნებლად ყველას სახე გიჩვენე, რომ დაინახო თუ რანაირად დამწუხრებულნი არიან შენზე აღმოსავლეთის დები და ძმები დემონის მსახურთა სივერაგის გამო. კვლავ მგონია და ვიმედოვნებ სრულიად, რომ ზემოთქმული მტანჯველი ლოდები დამსხვრეულია ნება-სურვილის სიმტკიცით, რომელსაც შინაგანად ატარებ თავისში და ვიმედოვნებ, რომ ეს ტანჯვა შენი მომშობიარებაა ან შემბრალებლობის წყაროს წარმომშობი, რის შედეგად ღვთის წყალობის წამლეკავი სიუხვე შენ წამოგაყენებს... ზეიმით დღესასწაულობენ იმათ დღეებს, ვინც ინანიებს ქრისტესაგან განდგომას. ასევე შენთვისაც მოიმოქმედებენ, თუ მსგავსს გააკეთებ. კარგად იყავ.

ხოლო ძალიან გაუფასურებული ხარ იმათ თვალში, ვინც შენ გიცნობს სარწმუნოებით და მოძღვრებით და შენ კი ქრისტიანობა გასცვალე არაფერში.

შენი და ქრისტინე მსახური“ (დონ 1976: 191).

დონ ქრისტოფორო დე კასტელის ცნობებისა და ალბომის მთარგმნელისა და გამომცემლის ბ. გიორგაძის მიხედვით, ქრისტინე კათოლიკობაში მოქცეული და შემონაზვნებული ქართველი ქალია (დონ 1976: 191). მაგრამ არ ჩანს, ვინ იყო იგი და როდის დაწერა ციტირებული წერილი? ქრისტინეს, როგორც იგი წერილის დასწყისში ამბობს, ელენესთვის წერილი ადრეც მიუწერია.

ვფიქრობ, ქრისტინეს სახელით დაწერილი ზემოთმოყვანილი და სხვა წერილებიც ეკუთვნის კასტელს. „ქრისტინე“ მისი ფსევდონიმია. სავარაუდოა, კასტელს ჰქონდა იმის საფუძველი, რომ ელენესთვის დაწერილ წერილებში გაესაიდუმლოებინა თავისი ავტორობა. ამას მაფიქრებინებს მთელი რიგი მომენტებისა.

ქტისტინეს და ქრისტოფორო დე კასტელის იგივეობაზე მიგვანიშნებს ზედმეტი სახელი „ინუტილე“ (იტალ. უსარგებლო, გამოსაყენებლად უვარგისი). კასტელის ზოგიერთ ნახატზე იკითხება შემდეგი წარწერები: „ძმა ინუტილე ქადაგებს წმინდა სახარებას აღმოსავლეთში“; „პაპი ურბან VIII აღაფრთოვანა მორჩილი ძმის უნიტილეს მისწრაფებამ“; „მორჩილი ძმა ინუტილე“; „წმინდა კონგრეგაცია პროპაგანდა ფიდეს განკარგულებით მორჩილი ძმის ინუტილეს მიერ დახატული ის მთავარი...“

„ინუტილე“, ამ შემთხვევაში, უნდა მიგვანიშნებდეს იმ პიროვნების თავმდაბლობაზე ვინც ამგვარ ზედმეტ სახელს ატარებს.

იქ სადაც ქრისტოფორე თავის თავს მოიხსენიებს „ინუტილედ“ ამ სიტყვას წინ უძღვის „ძმა“ (იტალ. fra), ქრისტინე კი არის „და“ (ლათ. soror — და, მონოზანი).

ჩემი აზრით, კასტელს ერთხელ წაცდა, როდესაც აღნიშნა, რომ ქრისტინე/ქრისტოფორეს „ინუტილე“ შეარქვა პაპმა ალექსანდრე VII-მ (1655-1667). „მღვდელმთავრად ეკურთხა უკვე მოხუცი და ალექსანდრე VII-ედ იწოდა. ალექსანდრე VII-ის მიერ უსარგებლოდ წოდებული მონაზონი ქრისტინა“ (დონ 1976: 160). ამ წარწერიდან კი იმას ვიგებთ, ქრისტინე/ქრისტოფორეს „ინუტილე“ შეარქვა პაპმა ალექსანდრე VII-მ.

ქრისტოფორო დე კასტელი თავის ჩანაწერებში ყოველთვის, როდესაც თავის თავზე წერს, მიმართავს მესამე პირში. „ცოდვილო დაო ქრისტინე, შენ იმდენი ბოროტება გამოიწვიე, იმდენი ცოდვა დაგიგროვდა, რომ **უსარგებლო** შეიქენი. კარგს ელტვოდი, მაგრამ მრავალი დაქცევის მიზეზი გახდი, ისე, რომ შენივე მიზეზით ღვთის მტრების ხელში ჩავარდი“ (დონ 1976: 202).

განსაკუთრებით საყურადღებოა „მტირალი და მოქვითინე და ქრისტინეს“ ხუთ მუხლად ჩამოყალიბნებული წუხილი დიდება დაკარგულ საქართველოზე, რომლიდანაც მშვენივრად ჩანს დე კასტელის დამოკიდებულება იმ ქვეყნის მიმართ, სადაც მან მეოთხედი საუკუნე გაატარა.

„ეჰ ვუმზერ საქართველოს და [გული ცრემლებით მევსება], უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კვნესის ქაოსად გადაქცეულა.

იმ ადამიანებზე ვტირი, რომლებიც ჩემი ქრისტეს დროშისათვის შეუპოვარნი და ძალიან მამაცი მებრძოლნი [წინამძღოლნი] იყვნენ და ახლა ეშმას მონებენ.

საქართველოს იმ მიწას ვტირი, რომელიც მისი ბატკნების მკვებავი, აღთქმული წმინდა ქვეყანა და ქტისტეს მიმბაძველი იყო; ახლა კი ტაძრის საძოვარზე ნარ-ეკალი გაზრდილა.

იმ ქვეყანას ვტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განანათლეს, ახლა კი სიბეცისა და ბნელეთის დასაბამი გამხდარა.

იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა, ახლა კი უვიცობის წყარო გამხდარა, სადაც თავიანთი შემეცნების სიბრმავის გამო, ბევრი სიღატაკეში ჩავარდნილა და სადაც ყველა ღმერთი მიტოვებულია“ (დონ 1976: 203, ფოტო № 570). ეს სიტყვები საქართველოზე შეიძლებოდა მხოლოდ იმას ეთქვა, ვისაც ეკუთვნის ორი საოცარი ფრაზა: „კურთხეულო უფალო, საქართველო ჩემი სატრფო იყო 26 წლის განმავლობაში, მაგრამ იძულებული გავხდი მიმეტოვებინა ჩემი მძიმე ავადმყოფობისა და მოხუცებულობის გამო“ და „მრავალი წლის განმავლობაში საქართველო ჩემი სატრფო იყო“ (დონ 1976: 203) – ეს კი ქრისტოფორე დე კასტელი იყო. მან ფსევდონიმად აიღო სახელი, რომელიც ფონეტიკურად თითქმის ისევე ჟღერდა (ქრისტინე), როგორც მისი სახელი – ქრისტოფორე.

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებასაც, რომ ორივენი, „ქრისტინე“ და ქრისტოფორო, ხატავდნენ. ელენესათვის გაგზავნილ წერილში „ქრისტინე“ წერს: მხედველობაში უნდა მიგეღო შენი გულისათვის რამდენი დავწერე და დავხატეო.

ქრისტინე/ქრისტოფორო სხვა დროს კიდევ შეგვახსენებს თავისი მხატვრული ნიჭისა და სამხატვრო საქმიანობის შესახებ. „მე, და ქრისტინე [როგორც უკვე გითხარი] ვწერ და ვხატავ ჩემს ამდენ შრომას, რათა ჩვენი სარწმუნოება მომავალი მისიონერებისათვის ცნობილი გახდეს, გაიგონ თუ რამდენი ზრუნვა გამოიჩინა ღმერთმა ყველა დიაბოლური თავდასხმისა და პერტურბაციისაგან წინასწარი

მფარველობის გასაწევად და შემდეგ რანაირად დაეხმარა [მათ], რომ ისინი უკვდავ ცხოვრებასთან მიეყვანა“ (დონ 1976: 210).

იბადება კითხვა: რატომ ცდილობდა ქრისტოფორო ის, რაც სანტიმენტალური, გადაჭარბებულ მგრძნობიარობასთან დაკავშირებული იყო, ქრისტინეს სახელით დაეწერა? ვფიქრობ, ეს იტალიელი განათლებული, ჭკვიანი სასულიერო მოღვაწე ხარკს იხდიდა უხეშ ძალაზე დამყარებული ეპოქის წინაშე. ერიდებოდა გადაჭარბებული გრძნობების გამოხატვას თუნდაც ღმერთის წინაშე. ფიქრობდა, რომ ამგვარი სისუსტე ქალისთვის უფრო შესაფერისი იყო. ამის გამო უნდა „გარდასახულიყო” ქრისტოფორო ქრისტინედ.

ამგვარად, ფსევდონიმს ამოფარებულ ქრისტოფორო კასტელს უხერხულობა ეხსნებოდა ელენესთან გაგზავნილი წერილების არასასურველი პიროვნების ხელში მოხვედრის შემთხვევაშიც.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც კასტელის სამხატვრო შემოქმედებიდან, ჩვენამდე მოღწეული მისი ნახატებიდან და მათზე მინაწერებიდან ჩანს, იგი გულგრილი არ იყო ქალის სილამაზის მიმართ (დონ 1976: ფოტოები №№132, 135-141 და სხვ.). თავის ერთ-ერთ ტრაქტატში – „დემონის სიცბიერის შესახებ“, კასტელი, ქალის სილამაზით გონებაამღვრეული, ცდილობს თავისი გრძნობები დათრგუნოს და ისინი დემონის ხრიკებს მიაწეროს. მისი აზრით, დემონი ხან გურიის და ხან ოდიშის მთავრის საშუალებით მიქმედებს. მთავარი მისიონერებს, მათი შეცდენის მიზნით, მოსამსახურეებად აძლევს კარგი მოყვანილობის ლამაზ ქალებს (პაპაშვილი 2004: 83-84). პატრებს გურიაში, 1634-1640 წლებში, ემსახურებოდა სილამაზით სახელგანთქმული ქალი ელუკა ბერია, რომლის მიმართ გულგრილი არ იყო კასტელი. იგი წერდა: „ვაღირებ: მისი დანახვისთანავე ისეთი ძლიერი თრთოლვა დამეწყო, რომ სწრაფად ლოგინისაკენ გავემართე დასაწოლად“ (ლიჩინი 2009: 84).

განსაკუთრებული იყო მისი გრძნობები თამურია–თანურიას მიმართ, რომელიც პატრებს ემსახურებოდა 1640-1644 წლებში. მისით გატაცებული კასტელი გვამცნობს: „ჩვენ დაგვითმეს ძალიან ლამაზი ქალი, რომელიც დღემდე ჩემი თვალების ობიექტი იყო. იგი ადამიანად გარდაქმნილი სერაფიმი იყო.... მისი ტანი და სახე ფრჩხილებამდე დავხატე, მაგრამ შემდეგ დამეკარგა. არ შეიძლებოდა ამ სურათს ჩემთვის აურზაური არ გამოეწვია. რაღაც გრძნობას განვიცდიდით ასეთი დიდი სილამაზისგან. მისი მარტო ერთი სახე და სიშიშვლე კაცს გონებას აკარგვინებდა“ (დონ 1976: 218-219).

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, შეიძლება ითქვას, კასტელს გაორებული გრძნობა ჰქონდა ელენე ათაბაგის მიმართ. იგი მოხიბლული იყო ათაბაგის ასულის სილამზით და სათნოებით. საყურადღებოა, რომ კასტელმა, როგორც შეიძლება ვივარაუდოთ, შექმნა ელენეს ორო პორტრეტი – ერთზე ელენე გამოსახულია ძვირფასად მორთულ ცხენზე ამხედრებული, მაგრამ არ ჩანს მისი სახის ნაკვთები. პორტრეტის მიხედვით, რაიმე გარკვეული შთაბეჭდილების შექმნა დახატულ პიროვნებაზე, შეუძლებელია.

შემორჩენილია კასტელის მიერ დახატული ერთ-ერთი სურათის მხოლოდ კვადრატული ჩარჩო და მის კიდეებზე მინაწერები: „ელენე ათაბაგი, ირანის დედოფალი... ქ. დედოფალი ელენე. ირანის დედოფალი. გურიის მშვენება, ელენე ათაბაგი. ჩვენი პატრის ქრისტოფოროს სულიერი შვილია... დროში ირანის ხელმწიფის შაჰსეფის მეუღლე გახდა“. ჩარჩოში ელენეს სურათი არ არის. ფოტოზე სრულიად გარკვევით ჩანს, რომ ელენეს პორტრეტი ვიღაცამ უხეშად წაშალა ისე, რომ მი-

ნაწერებიც დააზიანა. ამგვარად დაიკარგა ელენეს სახე, რომელიც ალბათ ფრიად საინტერესო და მრავლისმეტყველი იქნებოდა.

სურათზე წაშლილი ელენეს სახე და ზემოთ გამოთქმული ზოგიერთი ვარაუდი სხვადასხვა მოსაზრებას აღძრავს, მაგრამ მათი გამხელის საკმაო საფუძველი ჯერ-ჯერობით არ არსებობს.

დამოწმებანი

1. დონ ქრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შეახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ, თბ., 1976
2. თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ.,1902.
3. ლიჩინი პატრიცია ანა, ქრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბ., 2009.
4. პაპაშვილი მ. თეატინელ მისიონერთა ერთგულების გამოცდა მათი მსახური ქალების მეშვეობით, „საისტორიო ვერტიკალები", №6, 2004.
5. ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973.
6. Sussan Babaie and others: *Slaves of the Shah* (I.B. Tauris, 2003). http://en.wikipedia.org/wiki/Safi_of_Persia

ELDAR MAMISTVALISHVILI

Elene Atabeg and Don Cristoforo de Castelli

Summary

The first half of the 17th century in western Georgia can be regarded as the ruling period of Levan II Dadiani, the powerful principle of Odishi.

Famous for her beauty, Elene was a daughter of Manuchar III, Atabeg of Samtskhe (1614-1625). An Italian missionary and artist Don Cristoforo de Castelli left interesting information about Elene. Later she married the Shah of Iran. Elene had a strong desire to have Castelli beside her and Castelli had the same wish as well, but because of various challenges they failed to fulfill their desire though they continued keeping in touch by writing letters to each other. It is noteworthy that Castelli wrote to Elene under the pseudonym of "Christine"; he likely had a reason for keeping his name confidential.

There is a rectangular shaped frame survived up today and the inscriptions on its edges reveal that the frame should have belonged to the portrait of Elene drawn by Castelli. The photo reflects the fact that someone has roughly rubbed out the portrait and damaged the inscriptions. Consequently, Elene's face was lost which probably would be rather interesting and significant.

Though Elene's erased face brings many opinions, there is no sufficient ground for disclosing them.

შორენა მურუსიძე

კონსტანტინე კანდელაკის მიმოწერა

მასალები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის

ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ემიგრანტულ არქივებში დაცული პირადი მომოწერა, რომელიც ემიგრაციის საქმიანობის მნიშვნელოვან და საყურადღებო ფაქტებს შეიცავს.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის (1883-1958) მიმოწერა რაჟდენ არსენიძესთან (1880-1965), ალექსანდრე (სანდრო) კორძაიასთან (1888-1959), აკაკი პაპავასთან (1890-1964) და პავლე [სარჯველაძესთან] (1898-1981). წერილების შინაარსი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის საქმიანობის 1956-1958 წლებს შორის პერიოდს შეეხება. მიმოწერის გეოგრაფიული არეალია პარიზი-მიუნხენი და პარიზი-ბუენოს აირესი.

პირად წერილებში საუბარია სხვადასხვა საკითხზე, მათ შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული მთავრობის შესახებ. ნოე ჟორდანიას გარდაცვალების შემდეგ ქართველი ემიგრანტები (მთავრობის წევრები, სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და „ეროვნული საბჭოს“ წევრები) განიხილავდნენ საკითხს - თუ როგორ და რა ფორმით უნდა ეარსებება მთავრობას ემიგრაციაში შექმნილი ახალი რეალობის გათვალისწინებით. ისინი მსჯელობდნენ „კომიტეტის“ ან „მთავრობის ფუნქციების შემსრულებელი ორგანოს“ შექმნაზე, რომელიც მთავრობის პოლიტიკისა და საქმიანობის გამგრძელებელი იქნებოდა. იწერებოდა პროექტები, სადაც მთავრობის შემადგენლობის გაზრდას და მასში არასოციალისტურ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლების შეყვანასაც არ გამორიცხავდნენ. კონსტანტინე კანდელაკის აზრით, ახალი ორგანოს შექმნას შეიძლებოდა მოჰყოლოდა დაპირისპირება, რაც დასუსტებულ ემიგრაციაზე უარყოფითად აისახებოდა, წინააღმდეგობას იწვევდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში არსებული გათიშულობაც, ამიტომ პრიორიტეტად მიაჩნდა უკვე არსებული ორგანიზაციის - ეროვნული საბჭოს განმტკიცებაზე ზრუნვა. „კომიტეტის“ შექმნის და მთავრობის „გაფართოების“ წინააღმდეგი იყვნენ რაჟდენ არსენიძე და აკაკი პაპავა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჟურნალში „ჩვენი დროშა“, 1960 წლის №33-ში დაბეჭდილია მემორანდუმი, რომელიც, იქვე გაკეთებული განმარტების თანახმად, 1960 წლის 12 მაისს გადასცეს აშშ-ის პრეზიდენტს, საფრანგეთის პრეზიდენტს და დიდი-ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს. ამჯერად, ჩვენთვის საყურადღებოა, რომ მემორანდუმს ხელს აწერენ ნიკო ურუშაძე ეროვნული საბჭოს სახელით და გიორგი ერაძე „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ მთავრობის წევრთა კოლეგიის“ სახელით. როგორც ჩანს, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში მთავრობის საკითხის ირგვლივ მიმდინარე მსჯელობა დასრულდა ახალი ორგანოს - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილ მთავრობის წევრთა კოლეგიის - შექმნით. ამ საკითხის სამომავლოდ კვლევის გაგრძელება დამატებითი საარქივო მასალის გამოვლენის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

კონსტანტინე კანდელაკის მიმოწერიდან საყურადღებოა, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ნაწილი მთავრობის წევრებად კონსტანტინე კანდელაკსა და აკაკი

ჩხენკელს მიიჩნევენ, ამ აზრს ისიც ამყარებს, რომ საარქივო ფონდში არსებობს „დევნილობაში მყოფი საქართველოს მთავრობის“ (Gouvernement National de Géorgie en exil) ბლანკი, რომელსაც მთავრობის სახელით ხელს აწერენ კონსტანტინე კანდელაკი და აკაკი ჩხენკელი. ამ დროს მთავრობის წევრებიდან კვლავ აქტიურ მოღვაწეობას აგრძელებენ იუსტიციის მინისტრი რაჟდენ არსენიძე, რომელიც იმ პერიოდში რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის რედაქტორია და მიუნხენში ცხოვრობს, ასევე შრომის მინისტრი გიორგი ერაძე, განათლების მინისტრის მოადგილე ნოე ცინცაძე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტატინე გვარჯალაძე.

წერილები შეეხება ასევე სოციალ-დემოკრატიულ პარტიში არსებულ განხეთქილებას, პარტიის ორ ფრაქციად დაშლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რუსულ ემიგრაციასთან ურთიერთობის საკითხში შეუთანხმებლობა იყო. რუსული ემიგრაცია არ სცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და მხოლოდ ბოლშევიკური რეჟიმის დამარცხების შემდეგ საბჭოთა კავშირში შემავალი ერების „თვითგამორკვევის“ უფლებას აღიარებდა, თუმცა ქართველი ემიგრანტების ნაწილი მაინც თანხმდებოდა მათთან მოლაპარაკებებს, რაც ემიგრაციის მეორე ნაწილისთვის მიუღებელი იყო და დაპირისპირებას იწვევდა.

კონსტანტინე კანდელაკის მიმოწერა საყურადღებოა ემიგრაციის „ამერიკულ კომიტეტთან“ ურთიერთობის, „პარიზის ბლოკში“ ქართველების მონაწილეობის შესწავლის და „ქართული ეროვნული საბჭოს“ ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

მიმოწერის ავტორები პოლიტიკური ემიგრაციის ამოცანებზეც წერენ. მათ მიაჩნიათ, რომ ემიგრაციამ საერთაშორისო საზოგადოებას უფრო აქტიურად უნდა გააცნოს საქართველოს საკითხი, რათა დამოუკიდებლობას მეტი მხარდამჭერი და დამცველი ჰყავდეს იმ წრეში, რომელსაც სამომავლოდ საქართველოს საკითხის გადაწყვეტა შეეხება.

წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ ქართველი ემიგრანტები მათი უკვე ხანდაზმული ასაკისა და ჯამრთელობის მდგომარეობის გაუარესების მიუხედავად, კვლავ აქტიურად არიან ჩართული ემიგრაციაში მიმდინარე საკითხების გადაწყვეტაში.

- **კონსტანტინე კანდელაკისა და რაჟდენ არსენიძის მიმოწერა**

- **რაჟდენ არსენიძის წერილი კონსტანტინე კანდელაკს**

[უთარიღო]

ძმაო კოწია! გიგზავნი პაპავას ადრესს. როგორც შეიძლო ისე მიწერე. როგორც გითხარი ჩვენ საბჭოს გაეგზავნება ამ დღეებში. აკაკისათვის აღარ დამირეკია დღეს. ალბათ არც ახსოვს, როგორც მითხრა. სხვა ახალი არაფერია შენი ნახვის შემდეგ. გაზეთის გამოცემას ფიქრობენ და შენთვისაც ულაპარაკნიათ. მე მგონია რომ ნომერი გარდა ერთი-ორი წერილისა, უნდა იყოს (...) ამ რანგის საქმეებზე ქრონიკული ხასიათისა. ე. ი. რა მოხდა და რა გამოძახილი ჰქონდა მსოფლიოში და ყველა წრეებში. თუ შენც ამ აზრის იქნები – ეს მე შემიძლია გავაკეთო კარგათ, რადგან ძალიან ბევრი ფაქტიური მასალა დავაგროვე. ეს რასაკვირველია ჩვენს საქმეებს ვერ უშველებს, მარა ჩვენი აქ ყოფნის ისტორიისათვის ექნება დიდი მნიშვნელობა.

მეგობრული სალმით

შენი მიშა

- **რაჟდენ არსენიძის წერილი კონსტანტინე კანდელაკს**

[1956 წ. მიუნხენი]

ამხ. კოწია!

გამარჯობა. დიდი ხანია მინდოდა მთავრობის საკითხზე მომეწერა, მაგრამ ვერ მოვიცალე. ახლაც გწერ მოკლეთ. მე კომიტეტის შექმნის მომხრე არ ვარ. ეს ისეთი სახელია, რომ შემდეგ ყველა მოისურვებს მანდ შემოსვლას და თუ უარი უთხარით, – განზე გადგება. მთავრობაშიაც მოითხოვენ შემოსვლას – მაგრამ ეს უფრო ადვილი მოსაცილებელია. ამიტომ მე ვფიქრობ: შედგეს მთავრობის ყოფილ წევრებისაგან **„მთავრობის ფუნქციათა შემსრულებელი ორგანო“**, რომელიც უცხოელებისათვის, საჭიროების დროს, გამოვა, როგორც საქართველოს სუვერონობის გამომხატველი **მთავრობა.**_

შემადგენლობა: თავმჯდომარე კ. კადელაკი

მოადგილე: ნ. ცინცაძე.

წევრები: ჩხენკელი, ერაძე, გვარჯალაძე, მე (მგონი ყველაა).

ამ ორგანოს გარშემო იქნება საბჭო ან სათათბირო, ყოფილ დეპუტატების, ან ყველა პარტიების და პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენლებისაგან შემდგარი, განურჩევლად მიმართულებისა – პოზიცია-ოპოზიციონერობისა. ოპოზიციას შეეძლება ყველა საკითხზე თავისი აზრი სთქვას და საერთო მუშაობაზე სათანადო გავლენა მოახდინოს. ე. ი. მუშაობა საბჭოსი უნდა იყოს პარლამენტური ხასიათის, მაგრამ **არა გადამწყვეტი** უფლებით. **მის აზრს** მაინც უნდა დიდი აზრი გაეწიოს, როგორც უმრავლესობის ისე უმცირესობისას.

თუ უკეთეს რამეს შექმნით, მე იმისიც თანახმა ვიქნები. სამწუხაროთ, უშალო მონაწილეობის მიღების საშუალება არ მექნება აქაური მუშაობის გამო. ჩემი სახელი კი თქვენს განკარგულებაშია.

მაშ ასე. იყავი კარგათ.

შენი რ. არსენიძე

P.S. ამაზე ვწერ მოკლეთ ნ. ცინცაძესაც

- **კონსტანტინე კანდელაკის წერილი რაჟდენ არსენიძეს**

30 ოქტომბერი. 1956 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8e

ძმაო რაჟდენ,

შენი წერილი „მთავრობის“ საკითხის გამო მივიღე. მადლობელი ვარ შენი აზრი, რომ მაცნობე და იმისათვისაც, რომ შენ წინდაწინ ნდობას გვიცხადებ.

ველაპარაკე ნოესაც. დეტალებზე არ შემიძლია ახლა შევჩერდე; მაგრამ დარწმუნებული ვარ, ჩვენ ადვილათ შევთანხმდებით, თუმცა საკითხი არც ისე მარტივია, როგორც ზოგიერთებს აქვს წარმოდგენილი. წამოყენებული კომბინაცია უკანასკნელი ცდა იქნება კოლექტიურ მუშაობის და ცდა ემიგრაციის დიდი ნაწილის გაერთიანების ზოგ უდაო კონკრეტულ საკითხებზე მაინც.

ეს თუ არ მოხერხდა, მერე?

მეორე მხრით „ბუნება ცარიელ ადგილს არ ითმენს“. საჭიროა მომქმედი ორგანო არა მარტო საგარეო, არამედ საშიანო საქმეებისთვის, ე. ი. ყველაფერ იმისთვის, რასაც ეროვნული მთავრობა ეწეოდა უცხოეთში, სხვადასხვა ქვეყნებში (ყავდა

წარმომადგენლები, მუშაობდა ადგილობრივ საზოგადოებაში და სხვ.). ყველაფერს ამას ახალ ორგანიზაციაში ხელახლა თავის მობმა სჭირია და ამისთვის კი, საუბედუროთ, ჩემი ჯამრთელობა ჯერ კიდევ არ მაძლევს საშუალებას ცოტაოდნივ ვიმუშაო მაინც ისე, როგორც მიმუშავნია. პრინციპიალური მომხრე თითქოს ყველა ვართ, პრაქტიკულათ „თავის მომბელი“ კი არ სჩანს.

თუ რაიმე კონკრეტულს შევიმუშავებთ, გაცნობებთ (არც მე ვარ მომხრე „კომიტეტის“ და სხვ.). ამასობაში ცოტა ხნით იქნება შენც შეძლო ჩამოსვლა.

კეთილის სურვილებით

შენი კ. კანდელაკი

P.S. ჩემი ჯამრთელობის საკითხი ძალიან ნელის ნაბიჯით მიდის წინ. ექიმები მარწმუნებენ, რომ ნორმალურია იმდენიხნის ავათმყოფობის შემდეგ, მაგრამ ასეთი იმედი ჩემს მდგომარეობას არ შევლის.

- **კონსტანტინე კანდელაკისა და ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას მიმოწერა**

- **ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას წერილი კონსტანტინე კანდელაკს**

[16 აგვისტო. 1956 წ. მიუნხენი]

ძვირფასო კოწია!

აკაკი მწერს, რომ შენ უკვე პარიზში ხარ და რაც მთავარია თავს თურმე კარგათ გრძნობ. წარმოდგენილი გექნება უთუოდ თუ რა სასიამოვნოთ დაგვირჩებოდა აქ ყველა შენს მეგობარს ეს ცნობა. ნოე ჩამოვა პარიზში შაბათს ან კვირას და ის ალბათ გინახულებს და გაგაცნობს აქაურ ამბებს. შემიძლია დაგარწმუნო, რომ პარიზის ბლოკის კონფერენცია კარგ ატმოსფეროში ჩატარდა და ამას ერთი მხრივ ნოეს უნდა ვუმადლოდეთ. სომხეთის მთავარ დელეგატმა ხატანიანმაც ეს დაუდასტურა ნოეს. ეროვნულ საბჭოს წინადადება ამერიკულ კომიტეტთან თანამშრომლობის შესახებ ცოტა შესწორებით მიღებულ იქნა კონფერენციის მიერ. საერთო პოლიტიკურ მომენტზე იქნა აგრეთვე მიღებული რეზოლუცია. ამ რეზოლუციის დამამუშავებელ კომისიაში იყო ნოეც არჩეული. კომისიამ თავის მხრივ მიანდო რეზოლუციის ტექსტის შედგენა ნოეს და ნოეს წარმოდგენილი ტექსტი გაზიარებული იქნა როგორც [კომისი]ის ისე კონფერენციის მიერ. გრიშა ალბათ გაგაცნობდათ კონფერენციის მუშაობას.

ნოესთან გვქონდა აქ ლაპარაკი მთავრობის შე[...]ბის შესახებ. ჩვენ იმედი გვაქვს ეს საქმე მოგვარდება ისე როგორც ამას ჩვენი ეროვნული ინტერესი მოითხოვს. ყველას შენი იმედი აქვს... ამერიკიდანაც მწერენ ამის შესახებ. დათა ვაჩნაძემ მთხოვა რომ ამის შესახებ ჩვენც გველაპარაკა აქ ვიწრო წრეში მიხაკოს თანდასწრებით. მიხაკო წ.-ს აზრი უკვე იცი შენ ამ საკითხზე. პასუხი არ არის საჭირო... იყავი კარგათ და მხნეთ.

შენი სანდრო კორძაია

• **კონსტანტინე კანდელაკის წერილი ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას**

12 სექტემბერი. 1956 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8e

ძვირფასო სანდრო,

კონკრეტულათ არაფერი მაქვს ახალი მოსაწერი, მაგრამ მინდა გაგახსენო, რომ შენს წერილებს გულდასმით ვკითხულობ და კიდევ ამ სოფლათ ვარ.

ერთ თვეზე მეტია, რაც პარიზში დავბრუნდი; საჭირო იყო კიდევ დიდხანს დარჩენა, რომ ღონეზე მოვსულიყავი, მაგრამ ამის საშვალება აღარ მქონდა. ძალიან სუსტათ ვგრძნობ თავს და რეგულარულათ არაფრის გაკეთება არ შემიძლია.

მეგობრებმა გამაცვნეს „გაფართოების“ საკითხს, მოლაპარაკება ექნებათ სხვა ჯგუფებთანაც. ჩემი აზრი მე მათ გავაცანი: არ შევქმნათ ისეთი დაწესებულება, რაც სილაზე იქნება აშენებული და ახალი შეხლა-შემოხლის საგნათ გადაიქცევა. საკითხს კარგად დამუშავება უნდა; ამიტომ ძალიან აჩქარება არ ვარგა. ზოგი კი ჩქარობს და რაც 3-4 წლის განმავლობაში ვერ გააკეთეს, იმის გაკეთებას – სხვადასხვა გჯუფების ერთი მთავარი საკითხის ირგვლივ გაერთიანება – რამდენიმე დღეში მოითხოვენ.

პირადათ მე არ ვიცი: თუ ჩემი ჯამრთელობა არ გაუმჯობესდა, შევძლებ საჭირო მუშაობის გაწევას თუ არა. ექიმების აზრით, მე ისეთი მძიმე ავათმყოფობა გადავიტანე, რომ საჭიროა დიდი ხნის ვადა გამოჯამრთელებისთვის. როგორ მოვახერხებ ამას არ ვიცი.

შენ მაინც მომწერე, ჩემო სანდრო, დროგამოშვებით ინფორმაცია; დავალებით კი ნურაფერს დამავალებ, რადგან ჯერ კიდევ არ შემიძლია საქმეს მივდიო.

მოკითხვა მეგობრებს. ჩემი გულითადი სალამით და საუკეთესო სურვილებით

შენი კ. კანდელაკი

• **ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას წერილი კონსტანტინე კანდელაკს**

22 სექტემბერი. 1956 წ. [მიუნხენი]

ძვირფასო კოწია!

დიდათ გამიხარდა შენი წერილის მიღება. გეტყობა რომ მართლაც უკეთ გრძნობ თავს და იმედი უნდა ვიქონიოთ მომავალში სრულებით გამოჯანსაღდები, მხოლოთ – რასაკვირველია – თავს უნდა მოვლა: ყოველგვარ უსიამოვნებას და აღელვებას უნდა ერიდო. შენ კარგად გაქვს წარმოდგენილი თუ რას ნიშნავს ჩვენი ეროვნული საქმისთვის შენი ჯამრთელობა და კარგად ყოფნა. როგორც შენი პოლიტიკური მდგომარეობის ისე პირადი თვისებების მიხედვით შენ შეგიძლია ჩვენი გაბნეული ეროვნული ძალების თავის მოყრა და მათი პოლიტიკურ მუშაობაში ჩაბმა... შემიძლია დაგარწმუნო რომ ასეთი აზრი ტრიალებს თითქმის ყველა უცხოეთში არსებულ სხვა და სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა შორის... გუშინ მივიღე გიორგი ერაძის წერილი. მწერს შენზედ და საერთო მდგომარეობის შესახებაც. მაკვირვებს რომ ამ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციის გამთლიანებას საშველი არ დაადგა. გიორგი ფიქრობს, რომ შენ თუ შეძელი მთავრობის საკითხის მოგვარება, მაშინ შეიძლება ჩვენი პარტიის გაერთიანებაც მოხდესო... მწერს, რომ კარგი იქნება თუ მიშა არსენიძე ჩამოვა პარიზშიო – მას შეეძლო თავის წრეში გავლენის მოხდენაო... მიშას ჩამოსვლა სამწუხაროდ არ მოხერხდება. ის ახლა შვებულებაშია

და ალგოის მთებში არის წასული დასასვენებლათ. მისთვის ეს აუცილებელი იყო, ვინაიდან ის ძალიან ცუდათ გრძნობდა თავს. მისი მუშაობა მას ძალიან ქანცავს – მე კი ვიტყოდი – მუშაობა კი არა იმდენათ, რამდენათაც შექმნილი უწესრიგობა მის რედაქციაში. ამის გამოსწორება შეიძლებოდა მხოლოთ უფრო მეტი სიმაგრის და სიმტკიცის გამოჩენით. შენ იცი მგონი რომ მიშა აქ ირიცხება ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში. მე მას დაახლოებით გავაცანი შენი წერილის შინაარსი. გვქონდა საუბარი შენს შესახებ. და მთხოვა მოგწერო, რომ მზად არის დაბრუნდეს მთავრობაში თუ კი შენ ამას დაინახავ ჩვენი საქმისთვის საჭიროთ... ერთის სიტყვით ის მოელის შენგან ოფიციალურ ქაღალდს... მას მიაჩნია აუცილებლათ დღევანდელ ჩვენს პირობებში – მთავრობის საკითხის მოგვარება... მისი აზრით მთავრობის შევსება არ ნიშნავს რომ მთავრობა ახლავე შეუდგეს მუშაობას, საკმარისი იქნებოდა მისი აზრით დრო გამოშვებით გამოხმაურება ჩვენს ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე. მას კარგად ესმის შენი სიფრთხილე. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ნოე ცინცაძისა და მიშა არსენიძის მოწვევით მთავრობაში დაიწყება ცდა მთავრობის ძველი ხაზის გადასინჯვის – ასეთი ფიქრი, ჩემის აზრით, ყოვლად უსაფუძვლოა. რასაკვირველია ასეთი განზრახვის მქონე ადამიანის მოწვევა თავისთავად ცხადია არ შეიძლება. ვიკტორ ჟლენტის წერილი მიიღო მიშამ და ისიც თხოვდა მას – თუ კი შენგან მიიღებდა წინადადებას – დათანხმებულიყო... რასაკვირველია ზოგიერთ წრეებში დაიწყება მითქმა-მოთქმა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ **მთავრობის დეკლარაცია** გამოაცლის ნიადაგს მათ ოპოზიციას... შეიძლება ჩვენს წრეშიდაც იყვნენ მოწინააღმდეგნი. მინდა ერთი მოგაგონი: როდესაც მე პარიზში ჩვენი ორგანიზაციის კრებაზე ვიცავდი და ვამტკიცებდი ჩვენი პარტიული გაერთიანების საჭიროებას – ერთმა ამხანაგმა წამომაძახა: „ამხ. სანდრო კორძაია, იმისთვის ჩამოდით, რომ ჩვენ ნოე ჟორდანიას პოზიციების მომხრენი რუსოფილებთან მიგვიყვანოთ“... მაგრამ შემდეგ როდესაც ამ ამხანაგს დაწყნარებით ვესაუბრე ის ცოტა შეფიქრიანდა... მან ისიც განაცხადა თუ ორგანიზაცია გაიზიარებდა გაერთიანების აუცილებლობას – ის იმ შემთხვევაში ორგანიზაციას დასტოვებდა, მაგრამ, როგორც ვიცი, მას ორგანიზაცია არ დაუტოვებია. და ასევე მოიქცევიან, ჩემის აზრით, მთავრობის შევსების მოწინააღმდეგენიც... პეჩი ტოვებს მიუნხენს და გადადის ნიუ იორკში სამუშაოთ... პარიზის ბლოკის მუშაობა მიყუჩებულია. რუსებს **(სოლიდარისტებს)** ქონდათ კონფერენცია ფრანკფურტში. როგორც ამერიკელებმა გადმომცეს მათ დაუდგენიათ რევოლიუციონურ ბრძოლაზე ხელი აიღონ და გადავიდნენ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ლოიალურ ოპოზიციაზე. ამდენ ხანს უმთავრესად ეს ორგანიზაცია ეწეოდა აკტიურ ბრძოლას ბოლშევიკების წინააღმდეგ. არ ვიცი რამდენათ სწორია ეს ცნობა. ჯერ კონფერენციის ანგარიშები არ გამოქვეყნებულა.

ჩერკესმა ტრახომ გამოსცა წიგნი „Черкесы“. გადმომცა ერთი ცალი შენთვის. გიგზავნი. ათავებს თავის შრომას შენი მოხსენებიდან ამოღებული ციტატით... ის გახსოვს უთუოთ – კონფერენციაზე ილაპარაკა შენი მოხსენების გამო... მაშინ კიდევ ის იყო ცნობილი, როგორც რუსოფილი, მაგრამ ახლა სჩანს შეუცვლია აზრი...

იყავი კარგათ. როგორც ხედავ არავითარი დავალებები ჩემგან. დავალებებს მოველი მე შენგან.

შენი სანდრო კორძაია

გიგზავნი აგრეთვე ხრუშჩოვის სიტყვასაც. შეიძლება მთელი ტექსტი არ გქონდეს წაკითხული.

• ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას წერილი კონსტანტინე კანდელაკს

5 მარტი. 1957 წ. [მიუნხენი]

ძვირფასო კოწია!

დიდათ მოხარული ვარ რომ შენ კარგათ გრძნობ თავს. გიორგი მწერდა ამ ორი კვირის წინ, რომ შეგიძლია კოწიას წერილი მიწეროო. მაგრამ მე მაინც ვერიდებოდი შენს შეწუხებას. და აი თავათ დღეს მივიღე „ჩვენი დროშა“ და შენი წერილი გადავიკითხე ორჯერ – ისეთი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ნუ თუ ასეთმა დასაბუთებამ არ უნდა ჩააფიქროს ყველა ისინი ვისაც ეს ეხება? მე მინდა წარმოვიდგინო რომ როდეცას შენ ეროვნულ გაერთიანებაზე ლაპარაკობ აქ გულისხმობ ჩვენს ფრაკციებსაც უთუოთ.

ხომ დავინახეთ ახლა მაინც თუ რა ამბავი დატრიალდა გრიშა ურატაძის წიგნის გამო. მერწმუნე ჩვენი ორგანიზაციები რომ გაერთიანებული ყოფილიყვნენ და უფრო მჭიდრო კონტაქტს ჩვენ შორის ადგილი ჰქონოდა, მაშინ, ვფიქრობ, ასეთ შემოტევასაც ადგილი არ ექნებოდა. სამწუხაროთ ეს ვერ შეიგნო ვასო წულაძის ორგანიზაციამ. ჩემის ღრმა რწმენით – სანემდი ჩვენ პარტიის გაერთიანებას ვერ მოვახერხებთ – მანემდი ნაკლები იმედი უნდა გვექნეს საერთო გაერთიანების. ამისთვის ყოველ კუთხიდან, სადაც კი ჩვენი ორგანიზაციები არსებობენ, უნდა იქნეს კატეგორიულ ფორმაში მოთხოვილი ნ. ცინცაძისაგან რომ მან მხარი დაუჭიროს ჩვენი პარტიის გაერთიანებას. თუ ნოემ ამას მხარი დაუჭირა – არ ვფიქრობ, რომ მის ფრაქციაში ვინმემ შეძლოს მის წინააღმდეგ გამოსვლა.

ძალიან საინტერესოთ გაქვს საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა დახასიათებული. მე დარწმუნებული ვარ ყოველ საღ მოაზროვნე ქართველ პატრიოტზე ამ წერილმა დიდი შთაბეჭდილება უნდა დასტოვოს... თუმცა ყველა იცნობს შენს ინიციალებს, მაგრამ მე როგორც მკითხველი, ამ შემთხვევაში, ვაძლევ ჩემს თავს ერთი შენიშვნა გავაკეთო... სახელდობრ ის, რომ სრულიად შენი გვარი მოგეწერა საქმისთვის უკეთესი იქნებოდა... ეს სხვათა შორის...

არ მინდა კიდევ მთავრობის საკითხის გამო შეგაწუხო... მე ჩემ მოგზაურობის დროს, სადაც კი მომიხდა მისვლა – ყოველგან ვაცხადებდი, რომ ჩვენი მთავრობა ჯერ კიდევ იმყოფება პარიზში და ყველას სასიამოვნოთ ურჩებოდა ეს ცნობა. მე მოვიარე თითქმის დასავლეთ გერმანიის ყველა ქალაქები – ცოტა გამოკლებით – და ბერლინი... ჩემი მგზავრობის მიზანი იყო იმის გამოკვლევა, თუ რა გავლენას ახდენს ემიგრაციაზე მიხაილოვის კომიტეტის პროპაგანდა სახლში დაბრუნების შესახებ. მე მოვგზაურობდი ჯერ როგორც ქართველი და მერმედ, როგორც ლტოლვილთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი. ვიყავი ბონში სამინისტროებში პარლამენტში – ტიმემ – დიდი პატივი მცა – დეპუტატებს აცნობდა ჩემს თავს, როგორც მთავრობის წარმომადგენელს – მახსოვს – მე ჩაუფუჩინე ერთ შემთხვევაში – „ნუ ლაპარაკობ ასეთ რამეს, რომ ვინმემ საჭირო საბუთი მომთხოვოს ხომ ვერ ვაჩვენებ“ თქო... ის რასაკვირველია ასე ტრაღიკულათ ამას არ უყურებს „საქმისთვის ასე ჯობიაო“ მიპასუხა მან. სამინისტროში პასუხისმგებელ პირებთან მქონდა ლაპარაკი – რასაკვირველია უმთავრესად ემიგრაციაზე (ჯერ კიდევ არის გერმანიაში 234.000 კაცი) და ბოლშევიკების აგენტების მუშაობაზე ჩვენ შორის. ვნახე ლტოლვილთა მინისტრი პროფ. Oberländer-ი. მასთან ბერლინში ერთად ვიმგზავრე. ბერლინში მიმიღო სენატის პრეზიდენტმა და იმას კი ქართველების სახელით მივესალმე. ყოველგან პარტიულ კომიტეტებსაც ვესტუმრებოდი ხოლმე. მეორეჯერ ასეთ მგზავრობას აბა მე როგორ მოვახერხებ და ამისათვის

ვსარგებლობდი ამ შემთხვევით, რომ ყველასთვის ჩვენი თავი მომეგონებია. აგრეთვე ზოგიერთ გაზეთების რედაქციებშიაც მივდიოდი. დაწესებულებებში წინდა წინ გაფრთხილებულები იყვნენ რომ მე მივიდოდი. ამერიკული კომიტეტი ძალიან დაგვეხმარა ამ შემთხვევაში, თორემ ამდენ ხარჯებს ემიგრანტული ორგანიზაციები ვერ გაიღებდნენ. მიუნხენში დაბრუნებისას ბავარიის რადიო სადგურის რეპორტიერებმა ინტერვიუ გამიკეთეს და მე შევეცადე პოლიტიკაზეც მელაპარაკა – მოვიგონე გერმანულ ჯარების ყოფნა ჩვენში და მათი დამოკიდებულება ჩვენდამი. აგრეთვე ისიც, რომ მე ბედმა მარგუნა გენერალ კრესის დასაფლავებაზე ჩემს სიტყვაში აღმენიშნა თუ რა სამსახური გაუწია მან ქართულ საქმეს მისი საქართველოში ყოფნის დროს. მგონი ეს გადაცემული იქნება 22 ამ თვეს.

შენი სანდრო კორძაია

დანარჩენზე შემდეგ. ჩემი თხოვნაა – საპასუხო წერილისთვის თავს ნუ შეიწუხებ. ბერლინში ველაპარაკე ტელეფონით პულ ლიობეს. ძალიან ესიამოვნა და მოიგონა ჩვენები და დარჩენილებთან სალამი დამაბარა.

- **კონსტანტინე კანდელაკის წერილი ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას**

16 მარტი. 1957 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8e

ძვირფასო სანდრო,

შენმა წერილმა 5 ამ თვის თარიღით ძალიან მასიამოვნა. წელიწად-ნახევარია ახლა, ჩამოცილებული ვარ ყოველგვარ აქტიურ საქმიანობას; აქაური მეგობრები მნახულობენ, მამხნევებენ, ხოლო სხვაგან მყოფთა შესახებ ამათგან ვტყობილობ ამბავს. ჩემი ჯამრთელობის საქმე თუ წინ მიდის, მიდის ძალიან ნელის ნაბიჯებით და მეშინია ახლანდელ მდგომარეობამ სტაბილური ხასიათი არ მიიღოს: სულ ძალიან დაღლილათ ვგრძნობ თავს და ტოცათ თუ ბევრათ დამდგარი ხანგრძლივი მუშაობა არ შემიძლია, ვერ ვახერხებ.

მეგობრები მაცნობებენ ჩვენი საქმეების მდგომარეობას. ვფიქრობ რომ ეს მდგომარეობა არ არის სანატრელი. ერთად თავის მოყრისა და ერთსულოვნობის დამყარების მაგიერ, ემიგრაციის წრეები იშლება და თვით სხვადასხვა წრეებში შეთანხმების მაგიერ, გათიშვი[ს] მიმართულებანი იმარჯვებენ, ყოველ შემთხვევაში მე საქმეს ასე ვხედავ.

კარგი გიქნია, რომ გიმოგზავრია და ჩვენი საქმე და ჩვენი საკითხი ძველი და ახალი მეგობრებისთვის მოგიგონებია. აი რა გვჭირია ჩვენ, ჩვენი საკითხის ირგვლივ: ემიგრაციის დარაზმვა, ჩვენი საკითხის პროპაგანდა და პროპაგანდა. მადლობელი ვარ, ჩემო სანდრო, რომ ჩემს წერილს გამოეხმაურე. უნდა მიჩვენო თუ რამე არის შეუსაბამო, შემცდარი და სხვ. ეს მე მსიამოვნებს და არც მეწყინება თუ რამე გასაკრიტიკებელია, გააკრიტიკო. – იმ წევრებს ჩვენი „ოპოზიციისას“ შენ, რომ მისახელებ, მე ვხვდები და ერთსა და იმავეს ვეჩიჩინები; ისინი „პოზიციას“ აბრალებენ შეურიგებლობას და ამნაირათ სიტყვიერებას ერთი მეორის წინააღმდეგ არა აქვს დასასრული. ჩემი ახლანდელი ძალ-ღონე არ კმარა ამ გაორების შესარიგებლათ ჩარევისთვის და მით უფრო ჩვენი პარტიის გადაღმა მდგომთა ჩვენი პარტიის მოქმედების ხაზთან დასაახლოებლათ.

მე არ ვივიწყებ, ჩემო სანდრო, „მთავრობის საკითხსაც“, მაგრამ განა ჩემი ჯამრთელობა მაძლევს მე საშუალებას ამ საგანზე ვიზრუნო და მით უფრო ვიდავო. გარემოებამ ხელი არ შემიწყო, ჩემდა სამწუხაროთ, ამ საკითხში პოზიცია ამეღო და იგი დამეცვა; დამეცვა მეთქი, ვამბობ, რადგან მოწინააღმდეგე ამ საქმეშიც ბევრი

იქნება მარჯვნითაც და მარცხნითაც. სანამ ამის ფიზიკური საშუალება არ მექნება, თუ ამ ზაფხულში პარიზიდან ჩამოსვლა მოვახერხე და როგორც მაიმედებენ ცოტა მაინც მოვიკეთე, იქნება უფრო მეტი ენერგია გამოვიჩინო შემდეგ იმ საკითხების მოწესრიგებაში, რომელიც ახლა ყველას გვაწუხებს.

თუ არა – და რა ვქმნა? გლახა მოხუცებულობა მეწვია, გლახა.

ასე, ჩემო სანდრო, მოკითხვა და საუკეთესო სურვილები. ხანდახან ნუ დაიზარებ გამომეხმაურო.

მოკითხვა მეგობრებს.

შენი ერთგული კ. კანდელაკი

- **ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას წერილი კონსტანტინე კანდელაკს**

15 მაისი. 1957 წ. [მიუნხენი]

ძვირფასო კონია!

დიდათ მოხარული ვართ ყველა აქაური მეგობარი, რომ შენ თავს კარგად გრძნობ. იმედი გვაქვს შენ მალე სრულებით გამოჯანსაღდები და კვლავ ძველებურად შეძლებ მუშაობაში ჩაბმას და ჩვენი საქმის ხელმძღვანელობას... მე ვცდილობდი არ შემეწუხებინე ჩემი წერილებით... აკაკი მწერს, რომ შვეიცარიაში აპირებ გამგზავრებას... მიშამ მთხოვა შეგატყობინო, რომ ივნისის თვეში იქნება აქ ინსტიტუტის კონფერენცია.. თუ კი გექნება ჩამოსვლის სურვილი მაცნობე და მიშა წარგადგენს.. არ არის აუცილებელი მოხსენების გაკეთება.. ასე რომ არავითარი წინასწარი მომზადება არ დაგჭირდება და მართლაც დიდებული იქნება რომ გადაწყვეტდე აქ ჩამოსვლას. თან ამიდიც ხელს გიწყობს... ჩვენთვისაც იქნება დიდათ გასახარი შენი ნახვა და შენთან საუბარი.. პარიზში მომხდარმა ამბებმა – გითხრა სიმართლე – ძალიან დაგვაღონა.. შეიძლებოდა ყოველივე ამის თავიდან აცდენა.. რაც მოხდა-მოხდა.. ამის გამოსწორება შეიძლება მხოლოთ პარტიული მთლიანობის აღდგენით. ვინც ამას ხელს უშლის ის თავიდან უნდა მოვიშოროთ. ვინც არ უნდა იყოს და რაც დამსახურება არ უნდა მიუძღოდეს პარტიის წინაშე. გვწერენ რომ შენ და აკაკი დასწრებიხართ ცენტ. ბიუროს სხდომას... მოველით ბიუროს დადგენილებას.. აქაური ამბები გეცოდინება ნოესგან.. უთუოთ სტრასბურგის კონფერენციის მოწვევა მოხერხდება. იქაც მოგიხდება ალბათ წასვლა შენ ნოესთან ერთად... დიდი ამბების მოწმენი ვართ და ვნახოთ რით დამთავრდება ყოველივე ეს..

იყავი კარგათ

შენი სანდრო კორძაია

- **კონსტანტინე კანდელაკის წერილი ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას**

19 მაისი. 1957 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8e

ძმაო სანდრო,

ენი წერილი ყოველთვის სასიამოვნო არის ჩემთვის და ახლაც მან ძალიან მასიამოვნა.

საუბედუროთ, ჩემი მდგომარეობა არ არის ისე ვარდისფერი, როგორც აქედან უცნობებიათ, ვერ დავძლიე უკიდურესი სისუსტე, თუმცა შესახედავათ შედარებით

მოკეთებული ვარ. დღემდის მიჭირს მეტროთო ან ავტობუსით ქალაქის ერთი კუთხიდან მეორეში მარტო მისვლა, ვინმე უნდა წამყვეს.

ასეთ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, ვერავითარ კონფერენციაზე წამსვლელი მე ვერ ვიქნები. მე გთხოვ ეს გადასცე რაჟდენს, რომ არ დაბრკოლდეს და ვინმე სხვის დასახელებაზე იზრუნოს.

წელსაც მინდოდა, ცოტა ხნით მაინც, შვეიცარიაში წასვლა, – სამხრეთში მზიან ადგილებში ყველაზე უფრო ახლო პარიზთან ის არის და შედარებით ის უფრო იაფიც მიჯდებოდა, – მაგრამ ჯერ-ჯეროობით ვერ მოვახერხე.

საზრუნავი ბევრია, ბევრს არა სასიამოვნო ამბავს აქვს ადგილი, ყოველგან – პარტიაშიც და სერთოდ ემიგრაციაშიც. ყველაფერი ეს მიშლის ნერვებს. მდგომარეობის გამოსწორებისთვის ბევრი ჯაფაა საჭირო, ერთი მეორის მიყოლა, დადებითი მუშაობა. აშენებულის დაშლა უფრო ადვილია, ვიდრე დაშლილის აშენება. არის ბევრი წვრილმანიც, რომლის უყურადღებოდ დატოვება არ ვარგა. მართალი ხარ, ჩემო სანდრო, ბევრია – ბევრი გასაკეთებელი, გამკეთებელი კი ცოტა.

ჩემი ნატვრაა, რომ ცოტა მოვღონიერდებოდე, რიგებში ჩავდგე და საქმის გამოკეთებას ვემსახურო, თუმცა აღარ შემეძლება ძველი ენერგიით, ძველი ძალ-ღონით...

გთხოვ გადასცე ჩემი სალამი მაქაურ მეგობრებს და მიიღო ჩემი საუკეთეო სურვილები.

შენი კოწია კანდელაკი

- **ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას წერილი კონსტანტინე კანდელაკს**

18 დეკემბერი. 1957 წ. [მიუნხენი]

ძვირფასო ამხ. კოწია!

დიდი ხანია არ მომიწერია შენთვის – ვერიდებოდი შენ შეწუხებას... დიდათ მოხარული ვართ ყველა ჩვენი მეგობარი, რომ შენი ჯამრთელობა იმდენად გამოკეთდა, რომ ძველებურად ახერხებ კვლავ მუშაობას ჩვენი ერის და პარტიის საკეთილდღეოთ...

შენმა დიდათ საინტერესო მოხსენებამ **ყველაზე** საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა. ჩვენ წრეებ გარეშე მდგომნიც კი იმასვე აღნიშნავენ... თუკი ზოგიერთები – ჩვენი მოწინააღმდეგე ჯგუფებიდან – იქა-იქ ლაპარაკობდნენ: „სოციალ-დემოკრატები დაუბრუნდნენ ისევ თავის ძველ გზას ეროვნულ საკითხშიო“, იმის შემდეგ, რაც შენს მოხსენებას გაეცნობოდნენ – იმედია დაეკარგებათ ყოველივე სურვილი ძველებურად ინსენუაციების გავრცელებისა – ჩვენს შესახებ... მათზე უნდა ითქვას, რომ ისინი, არც ჩვენ ძველ პროგრამაზე ეროვნულ საკითხის ირგვლივ, – იყვნენ საკმარისად გაცნობილი, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ შენი მოხსენების გადაბეჭდვა და ჩვენი ემიგრაციისთვის დაგზავნა – ეს იქნებოდა მართლაც დიდი სამსახურის გაწევა ჩვენი ეროვნული საქმისადმი.. და მასთან ხელს შეუწყობდა ემიგრანტთა შორის ჩვენი პარტიის პრესტიჟის აღდგენას... მე მგონი იმის მტკიცება არ მჭირდება – რომ ზოგიერთი მოვლენების გამო – **ჩვენი პოზიციები** საგრძნობლად შესუსტებულია. ის ნაწილი შენი მოხსენებიდან, რომელიც ეხება ამერიკულ კომიტეტს, მიღებისთანავე ვთარგმნე და გადავეცი ამერიკული კომიტეტის აქაურ პოლიტიკურ განყოფილებას.. ისინი ამით ნასიამოვნები დარჩნენ და მითხრეს, რომ, ახლავე გადავგზავნით ნიუ-ორკშიო...

შენ უთუოდ მიიღებდი **მიშას** წერილს. ჩვენ გვქონდა ლაპარაკი ამ საკითხზე და ისიც დიდათ კმაყოფილია საერთოდ შენი მოხსენებით.. ჩვენში მხოლოდ ერთმა ადგილმა გამოიწვია ცოტა გაუგებრობა: შენ ლაპარაკობ „მთავრობის წარმომადგენლობაზე“

და არა თვით მთავრობაზე. ჩვენი აზრით, როდესაც შენ ლაპარაკობ მთავრობის წარმომადგენლობაზე – გინდა ვიფიქოთ – გულიხმობ შენს თავს ან და შეიძლება კიდევ აკაკი ჩხენკელს.. და აბა მთავრობა ვინ არის? თქვენ ხმარობთ გამოთქმას **„ყოფილი მთავრობა“** ჯერ კიდევ ნოე ჟორდანიას დროსაც. ჩვენის აზრით ამ შემთხვევისათვის საუკეთესო იქნებოდა: „მთავრობა ეკზილში“ (?) გვეხმარა.. სხვა არაფერი გვაქვს სადაო...

ჩვენთვის სამწუხაროა რომ **ვერ შეძელით** ჩვენი ოპოზიციის შემოერთება ამ კონფერენციის ირგვლივ. ადგილობრივ ამხანაგებში ეს გარემოება იწვევს დიდ უკმაყოფილებას. რასაკვირველია – მესმის – შორიდან არც ისე ადვილია მსჯავრის დადება რომელიმე მხარეზე. მაგრამ ჩვენთვის აშკარაა – ამ ბრძოლის პროცესში ყველა ამხანაგი უნდა გრძნობდეს პარტიის მთლიანობის აღდგენის აუცილებლობას... ჩვენ სოც. ინტერნაციონალთან დამოკიდებულების აღდგენას – ეს ჩვენი გათიშულობაც უშლის ხელს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას გადადგმული **ჩვენს მიერ** რამე ნაბიჯი **ინტერნაციონალისადმი** მანემდი, სანემდი ჩვენ ვერ გამოვნახავთ საერთო ენას – ამ შემთხვევაში მაინც ჩვენს ოპოზიციასთან..

დანარჩენებზე შემდეგ. ახლა არ მინდა თავი მოგაწყინო აქაური ამბებით.. აქაური მიტინგების შესახებ ალბათ გექნება ცნობები.. გისურვებ ჯანმრთელობას და დღესასწაულების კარგად გატარებას.

მუდამ შენი სანდრო კორძაია

ეს ერთი ხანია რაც დავიწყე მუშაობა რადიოში. მაგრამ სამწუხაროთ ეს ორი თვეა რაც სულ ავათმყოფობ და ეს რასაკვირველია დიად მიშლი ხელს.

- **კონსტანტინე კანდელაკის წერილი ალექსანდრე (სანდრო) კორძაიას**

30 დეკემბერი. 1957 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8e

ძვირფასო ძმაო სანდრო,

შენი წერილი 18. XII-ის თარიღით მივიღე. იმის საპასუხოთ ამ ძველი წლის დამლევს უნდა შემოგითვალო, უპირველეს ყოვლისა, საუკეთესო სურვილები მომავალ წლისთვის; უმთავრესად ყოვლისა ჯამრთელა[დ] ყოფნას, რადგან მე განვიცადე, რა ცუდია ავათმყოფობა. საუბედუროთ, მე ვერ დავძლიე ჩემს ავადმყოფობას იმდენათ, რომ ძველებურათ შევძლო მუშაობა; ბევრმა გარემოებამ მე ამისთვის ხელი არ შემიწყო...

ძალიან მსიამოვნებს, თუ მართლა ჩემმა მოხსენებამ – როგორც შენ იწერები – „ყველაზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა“. მე კმაყოფილი ვარ იმითაც, როგორც იმას შეხვდნენ კონფერენციაზე, ერთსულოვნათ, წარმოდგენილ ორგანიზაციების დელეგატები, თუმცა ზოგიერთი პასუხიმგებელი პირი აქ წინააღმეგი იყო ჩემი გამოსვლის კონფერენციაზე და კონფერენციის შემდეგაც არ არიან კმაყოფილი.

ჩემი მიზანი იყო: ყველა კრებაზე მე ვერ დავდივარ და კამათს ერთის მეორესთან მე ვერ ვესწრები. ამიტომ ბევრი ისეთ პოზიციებს მაწერდა თავის პოზიციის გასამაგრებლათ, რომ მე აზრათაც არ მომსვლია. ამითვის მე შევეცადე ჩემს მოხსენებაში ყველა მთავარი საკითხისთვის პასუხი გამეცა და ჩემი შეხედულება ამ საკითხებზე ყველასთვის ნათლად მეცნო.

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს სიტყვებს და მოხენებებს, თუ იგი ცხოვრებაში ვერ გატარდება, თუ არც ერთი მხარე არც ჩვენ პარტიულ დარაზმულობაში და არც სხვებთან დამოკიდებულებაში ოდნავათაც არ დასთმობს თავის პოზიციებს და ერთის მეორზე შეხედულებას, „საბუთიანათ“ თუ უსაბუთოთ. ამის მაგალითი მოგვცა

ამ მოკლე ხანში დ. ვაჩნაძის და რ. გაბაშვილის წიგნებმა; მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, თვით მათ წრეშიც ყველა არ გაიზიარებს მათ წიგნებში გამოთქმულ შეუსაბამობას.

შეუთანხმებლობა თვით სოც.-დემ. პარტიის წევრებში ასუსტებს – როგორც შენ იწერები – „ჩვენს პოზიციებს". ამაში მე ვერ დავაჯერე ვერც ერთი და ვერც მეორე მხარე. თუ ჩვენს პარტიაში არიან კაცები, რომელნიც სოციალისტურ და დემოკრატიულ ხაზს არ მიყვებოდნენ ან არ მიყვებიან, საჭიროა მათთვის სწორი ცნობებისა და ცოდნის მიწოდება და არა თავში დარტყმა; ამ უკანასკნელი წესით არავინ მორჯულდება, მტრის თუ მოწინააღმდეგის ბანაკს კი შეემატება. ის პირები, რომელნიც, მაგალ. რაჟდენ არსენიძეს უკმაყოფილო იყვნენ წინათ, როცა რაჟდენი აქ ყოფნის დროს მათ ელაპარაკა და ცოტათი დაუახლოვდა მე მეუბნებოდნენ: „არაფერი რუსოფილი რაჟდენი არ ყოფილა, ჩვენს შორის სადავო არაფერი არისო". აი ეს უკვე კარგი საქმეა: არა დატუქსვა, არამედ ერთი მეორის გაგება, რაც არ ხერხდება.

არ ვიცი, რაჟდენის რომელი წერილის შესახებ მწერ: თუ მიიღეო? მე მისგან ამ რამდენიმე თვის წინათ მივიღე წერილი ყოფ. მთავრობის წევრების კომიტეტის შედგენის შესახებ. მას პასუხი ვერ გავეცი; იმედია, გამიგებს თუ რატომ პასუხი ვერ გავეცი. სანამ ჩვენს პარტიაშიც კი ვერ მოვახერხეთ გაერთიანება, სად არის იმის გარანტია, რომ თვით „კომიტეტშიც" თავს არ იჩენს იმის გამოძახილი და მაშინ? მაშინ, ყველაფერი ჩაიშლება. ჯერ-ჯერობით საჭიროა გამა[გრ]დეს ის, რაც არსებობს: ეროვნული საბჭო. უამისოდ, ერთი ახალი შინაური ფრონტი კიდევ გაგვიჩნება და ამასთან ბრძოლა გადაგვიტანს. არის სხვა მიზეზებიც.

მე ვფიქრობ, ინტერნაციონალში წარმომადგენლების შესახებ მორიგება მოხდება და ესეც პროგრესია ჩვენს პირობებში.

გისურვებ, ჩემო სანდრო, ყოველივე კარგს და გთხოვ ხანდახან მომწერო და მაქაურ მდგომარეობის კურსში მიყოლიო.

შენი კ. კანდელაკი

P.S. შენ მწერ „ყოფილ მთავრობის წარმომადგენლებს" რატომ წერო. ამას ჩვენ თავიდანვე ხვადასხვა სახით ვწერდით და უმთავრესად იმიტომ, რომ ეს სიმართლეა და სიმართლის თქმა ყოველთვის უკეთესია. მე რომ ვთქვა „მთავრობა ვართ"ო, ამაში ბევრი წამედავება, ხოლო ვერავინ უარჰყოფს იმას, რომ მე წევრი ვიყავი იმ მთავრობის, რომელიც დამფ. კრებამ აღჭურვა თავის ნდობით და მანდატით (ეს არის საკითხის ლეგიტიმური მხარე), ეს სინამდვილეა და ამ სინამვილეს საჭიროების დროს იქნება ანგარიში გაუწიონ (და ხანდახან ახლაც უწევენ) უცხოელებმა. არის სხვა მიზეზიც, ანგარიშ გასაწევი.

- **კონსტანტინე კანდელაკისა და აკაკი პაპავას მიმოწერა**

- **აკაკი პაპავას მიმართვა ეროვნულ მთავრობას**

30 ოქტომბერი. 1956 წ. ბუენოს აირესი

[კონსტანტინე კანდელაკის მინაწერი წითელი მელნით: მივიღე 15/XI გრ. ურატაძის ხელით]

საქართველოს ეროვნულ მთავრობას პარიზში

დღევანდელი მეტად დაძაბული საერთაშორიო მდგომარეობა, და ამასთან დაკავშირებული დიდ მნიშვნელობის მოვლენათა განვითარება, მოითხოვს ჩვენი მხრი-

ვაც ეროვნულ მუშაობის გაძლიერებას და საქართველოს განთავისუფლების საკითხის უფრო გაბედვით და მეტის ენერგიით წამოყენებას.

ეს მუშაობა უნდა სწარმოებდეს იმპერიალისტურ რუსეთის მიერ დევნილ და დაპყრობილ ერთა ორგანიზაციებთან შეთანხმებით, მათ წარმომადგენლებთან მჭიდრო კავშირით.

ამ გზით უნდა ცხოველდებოდეს საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის გავრცელება.

ასეთ დროს აუცილებელია, სამხრეთ ამერიკაშიც, და განსაკუთრებით არგენტინაშიც (საცა თავს იყრიან უამრავი ორგანიზაციები სხვა და სხვა დევნილ ეროვნებათა), ქართულ ემიგრაციის მიერ გადადგმული ესა თუ ის ნაბიჯი, ან პოლიტიკურ-ეროვნული ხასიათის მოლაპარაკება განსაკუთრებულის სიფრთხილით და მიზანშეწონილობით ხდებოდეს.

უწინარეს ყოვლისა კი ეს გეზი უნდა მიიმართებოდეს იმ მიზნისათვის, რომელსაც დღემდე განუხრელად ემსახურება ჩვენი ეროვნული მთავრობა და მასთან ერთად მისი დამხმარე ორგანოები.

ამგვარ მუშაობის შესათანხმებლად საჭიროა თქვენგან ეხლავ დაინიშნოს ერთერთი პიროვნება, რომელიც ამ საქმეს ემსახურება და იქმნება ჩვენი ეროვნული მთავრობის ნდობით აღჭურვილი და მის წინაშე პასუხისმგებელი.

ამით ერთხელ და სამუდამოდ წაერთმევათ საშუალება ზოგ უპასუხიმგებლო და შემთხვევით პიროვნებებს ილაპარაკონ და იმოქმედონ ქართველი ერის სახელით და ამით ჩვენ წმინდა საქმეს და წარსულს რაიმე ჩრდილი, ან ზიანი მიაყენონ.

ეს კითხვა, შექმნილ მდგომარეობის გამო, სასწრაფო გარდაწყვეტას მოითხოვს.

დავშთ. პატივისცემით აკ. პაპავა

- **კონსტანტინე კანდელაკის წერილი აკაკი პაპავას**

18 დეკემბერი. 1956 წ. პარიზი
29 rue Daru, Paris 8e

ბ-ნ აკ. პაპავას
Alvare Thomas 125
Lomas de Zamora F. N. G. R.
Buenos Aires (Argentina)

დიდათ პატივცემულო აკაკი,

თქვენ მიღებული გექნებათ ეროვნული საბჭოს რწმუნების ქაღალდი. ახლა ამასვე გიგზავნით ეროვნულ მთავრობის წევრთა სახელით, ისე და იმ სახით, როგორც ეს უფრო მოსახერხებლათ დავინახეთ, მაგრამ სრული უფლების (pleins pouvoirs) აღნიშვნით. ამავე ქაღალდში სხვა ქვეყნების აღნიშვნა (ასე ვსთქვათ, სხვათა შორის იქნებოდა და ამიტომ) უხერხულათ დავინახეთ. გამოცდილება გვიჩვენებს, თუ როგორ აჯობებს.

თქვენ იცით ჩვენი მუშაობის ხაზი: ეროვნული საბჭო და მთავრობის წევრები შეთანხმებულათ მუშაობენ. ჩვენი მუშაობის უმთავრესი დანიშნულება ყოველგან, უცხოეთში, უნდა იყოს საქართველოს საკითხის პროპაგანდა და საზოგადოებრივი აზრის იმის სასარგებლოთ მომზადება, რათა იმ დროისათვის, როცა საკითხი დადგება, ქვეყნის ბედიღბლის გადამწყვეტთა შორის ჩვენს საკითხს დამცველები ბლომათ აღმოუჩნდეს.

ჩვენს მუშაობას ძალიან აბრკოლებს უსახსრობა და ამ პირობებში მუშაობის ფართოთ გაშლა მოუხერხებელია.

მეორეს მხრით ეროვნულ საბჭოში ერთსულოვნება, სამწუხაროთ არ აღმოჩნდა, სოც.-ფედერალისტების წამომადგენლებმა აღმასრულებელი კომიტეტი დასტოვეს. უნდა ვეცადოთ საერთო ფრონტის აღდგენას და გაფართოებას.

თქვენ იქნება იცით, რომ მე ძალიან მძიმე ავადმყოფობა გადავიტანე და ახლაც ვერ ვარ გამორჩენილი (რვა თვე ლოგინად ვიყავი ჩავარდნილი). ეს გარემოებაც აბრკოლებს ჩვენს მუშაობას, ხოლო ჩემს გამორჩენას კიდევ დრო უნდა. მე არ ვფიქრობ, რომ საჭირო იქნეს მიწერ-მოწერა საბჭოსთანაც და მთავრობასთანაც. ყოველ შემთხვევაში ჯერ-ჯერობით მიწერ-მოწერა იქონიეთ ეროვნულ საბჭოსთან, ხოლო მნიშვნელოვან წერილების პირს თუ ჩვენც გადმოგვივზავნით კარგი იქნება.

ძალიან სასიამოვნოა, რომ ინიციატივა მაქ წარმომადგენლის დანიშვნისა თქვენ აიღეთ და ჩვენი არჩევანიც, დარწმუნებული ვარ, საუკეთესო არის. – მიღება რწმუნების ქაღალდისა, გთხოვთ დამიმოწმოთ.

მიიღეთ ჩემი მეგობრული სალამი და გთხოვთ გადასცეთ ჩემი საუკეთესო სურვილები ქ-ნ თამარს.

თქვენი კ. კანდელაკი

- **აკაკი პაპავას წერილი კონსტანტინე კანდელაკს**

8 იანვარი. 1957 წ. ბუენოს აირესი

დ. პ. ბ-ნო კონსტანტინე,

მივიღე თქვენი წერილი 18 დეკემბრის 1956 წლის და მასთან დართული რწმუნება ჩემს სახელზე, რომელსაც საქართველოს ნაციონალური მთავრობის სახელით ხელს აწერთ თქვენ და ბ-ნი აკაკი ჩხენკელი.

მოგახენებთ ჩემს უღრმეს მადლობას ასეთი ნდობისათვის და ირწმუნეთ, რომ ჩემის მხრივ გარჯას და ცდას არ დავაკლებ, შეძლებისდაგვარად, ვემსახურო ჩვენი ქვეყნისა და ერის სამართლიან საქმეს, რომ ამით თქვენი ნდობაც გავამართლო...

სამწუხაროდ, საამისო ასპარეზი და საშუალება დღეს-დღეობით ფრიად შეზღუდულია და დაბრკოლება უამრავი და ძლიერი, მაგრამ ამან გული არ უნდა გაგვიტეხოს და ჩვენმა მდიდარმა ისტორიულმა წარსულმა და ბრძოლებმა მომავალი აღდგომის იმედი კვლავ უნდა გაგვიცხოველოს...

იყავით კიდევ დიდხანს მხნედ და ჯანმრთელად ბ-ნო კოწია და აკაკი და მიიღეთ აქაურ ქართველობის წრფელი სალამი და საუკეთესო სურვილები ამ წლისათვის.

თამარმა სიყვარულით მოგიკითხათ.

მარად თქვენი აკ. პაპავა

- **კონსტანტინე კანდელაკის წერილი აკაკი პაპავას**

11 მარტი. 1957 წ. [პარიზი]
29 rue Daru, Paris 8e

დიდათ პატივცემულო აკაკი,

ეს პირადი ხასიათის ბარათია და ამით მინდა დიდი მადლობა შემოგითვალო იმ დახმარებისათვის, გრ. ურატაძისთვის რომ გამოგიგზავნით ჩემთვის გადმოსაცემათ და მისგან მივიღე.

ეს ჩემთვის მით უფრო საგრძნობია, რომ ასეთი ყურადღება მე არაფრით და-

მიმსახურებია. მე ვუერთდები ამას – მეგობრულს და მეზობლურ ხელის მოცემას – ყველა ახლობელ და დაშორებულ მეგობრების იმ თბილ გრძნობებს, რაც მათ ამ ავათმყოფობის დროს მე არ დამაკლეს და გამამხნევებელია ჩემთვის. შეიძლება საჭირო ვიყო კიდევ ჩემი, უკვე დასუსტებული ძალით ყველა თქვენთან ერთად საერთო საქმეს ვემსახუროთ.

კიდევ მადლობა.

გთხოვ ჩემი სალამი და პატივისცემა გადასცეთ თამარს და მიიღოთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

კ. კანდელაკი

- **კონსტანტინე კანდელაკის წერილი აკაკი პაპავას**

20 აგვისტო. 1957 წ. პარიზი

დიდათ პატივცემულო აკაკი,

გრ. ურატაძემ გადმომცა თქვენ მიერ მისი საშუალებით ჩემთვის გადმოგზავნილი (ახლა მეორეჯერ) პირადი დახმარება.

სანამ ასეთ მგომარეობაში ვიმყოფები, ჩემთვის ძვირფასია მეგობრების ჩემდამი ასეთი ყურადღება, მეშინია კი ისინი არ შევაწუხო, რადგან ყველაფერს აქვს საზღვარი.

მიიღეთ ჩემგან დიდი გულწრფელი მეგობრული მადლობა.

გთხოვთ გადასცეთ თამარს ჩემი სალამი და მიიღოთ ჩემგან საუკეთეო სურვილები.

თქვენი კ. კანდელაკი

P.S. აქვე არის მცირე წერილიც

20 აგვისტო. 1957 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8e

ბ-ნ აკაკი პაპავას
Alvare] Thomas 125
Lomas de Zamora F. N. G. R.
Buenos Aires (Argentina)

დიდათ პატივცემულო აკაკი,

ორი თვე პარიზიდან გასული ვიყავი. დაბრუნებისას დამხვდა ცნობა, რომლის მიხედვით მტერს მოუნდომებია თქვენთვის ვითომ სახელის გატეხა.

მათი საქციელი ისეთი სუსტი ძაფებით არის გაბლანდული და თქვენ მიერ გამოგზავნილ, მისთვის დაპირდაპირებულ ცნობებს იმდენათ სააშკარაოზე გამოყავს განზრახული ფანდი, რომ იგი ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანს; ხოლო ერთხელ კიდევ საბუთს იძლევა იმისა, თუ რა ზომებს მიმართავენ ისინი თავის განზრახვების მისაღწევათ.

საზოგადოებრივი აზრი და პრესა ამ ამბავს მხოლოდ მათი მეთოდების დასაგმობათ გამოიყენებს, ხოლო იგი თქვენდამი ნდობას არავის დაუკარგავს და თქვენ სახელს ვერავითარ ჩრდილს ვერ მიაყენებს.

მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

თქვენი კ. კანდელაკი

- **აკაკი პაპავას წერილი კონსტანტინე კანდელაკს**

20 იანვარი. 1958 წ. ბუენოს აირესი

ძვირფასო ბ-ნო კონსტანტინე,

მივიღეთ თამარმა და მე თქვენი საახალწლო მოლოცვა და დიდ მადლობას მოგახსენებთ. გვიხარია, რომ საგრძნობლათ მოიკეთეთ და ძველებურათ მხნეობთ. წავიკითხე და აქაურ ქართველებსაც გავაცანი თქვენი საინტერესო და დამაჯერებელი მოხსენება. დიდათ კმაყოფილი დავრჩით, მაგრამ ამ მოხსენების ადგილი სხვაგვარი უნდა ყოფილიყო და არა პარტიული კონფერენცია. მესმის, რომ სხვა გამოსავალი არ იყო. რა ვქნათ!.. არც რამე სხვა გამოცემა გვაქვს ამჟამად. ეს მეტად სავალალოა. ძალიან საჭიროა როგორმე დაჩქარება „ეროვნ. საბჭოს“ და მისი ორგანოს განახლების საქმ[ის]. რაღაც საამისო იმედებს მწერდა გრ. ურატაძე, მაგრამ ჯერ ვერას ვბედავთ. დიდათ სამწუხაროა ამის დაგვიანება. ნუ-თუ ს.-დ. ურთიერთში ვეღარ მორიგდნენ? რა დროს „ფრაქციობა“ გვაქვს დღეს? მერმეთ ნურავის ეწყინება და პირდაპირ ანაქრონიზმია დღეს ქართ. ეროვნ. ემიგრაციის მთავარ ნაწილისთვის თავის ორგანოს ლოზუნგად აწერდე: „პროლეტარ. ყევლა ქვეყნ. შეერთდით!“ ნუ-თუ დღეს ყველაზე მეტად ეს გვტკივა? ვისჭირია ეს დღეს? ამით მხოლოდ ჩვენს ჩამორჩენილობას ვამტკიცებთ და „მიზეზების“ მაძიებელ ქართველობას უფრო ვაღიზიანებთ. აბრამოვიჩიც კი არ აწერს ამას თავის ორგანოს (სხვებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება – არც ევროპაში და არც ამერიკაში). ბ. კონსტანტინე, იმედია, სწორათ გამიგებთ ამ მეგობრულ შენიშვნას და ცუდათ არ ჩამომართმევთ.

ეხლა შემდეგი რამეც მინდა მოგახსენოთ. მივიღე მორიგი დასტა (მიუნხენიდან) რადიო გადაცემებისა, რომელთა შორის დართული ვპოვე უკომენტაროთ რაღაც პროექტი ჩვენი ეროვნ. მთავრობის კომიტეტის შექმნისა.

ეს პროექტი, მეტი რომ არ ვსთქვათ, უცნაური და სახელდახელოა. ასეთ რამეს, ვიდრე მას რადიო გამოცემებთან ერთად გაავრცელებდნენ, დიდი და ფრთხილი სამზადისი სჭირია და მე არ ვიცი, თუ ასეთ რამეს ადგილი ჰქონდა.

ჩემი აზრით პროექტს ეს აკლია და ძალიანაც აკლია... ეს ისეთი ფაქიზი და დიდი საქმეა (ერთად-ერთი ლეგალური ნაშთი, რაც ჩვენ გვაბარია), რომ მისი ასე ხელის წამოკვრა შეუძლებელია. მე პირადათ ამ კითხვაზე ჩემი ევროპაში ყოფნის დროს მოგწერეთ აზრი (1954 წ. აგვისტოში) ამის შესახებ და ამ საგანზე ჩემი აზრი არ შეცვლილა... შეუძლებლად მიმაჩნია დღესაც პარტიათა წარმომადგენლების შეყვანა მთავრობაში. ამით, ვიმეორებ, ლეგიტმ. ხასიათი ეკარგება ამ უზენაეს ორგანოს, რომელსაც ყველაზე ადრე ჩვენ თვითონ უნდა ვსცეთ პატივი. ამაზე ყოველივე მაშინ მოგახსენეთ და დღეს აღარ გავიმეორებ. ბ. კონსტანტინე, იმედია, არც ამას ჩამომართმევთ საწყენად და ჩემს მოსაზრებას ანგარიშს გაუწევთ. პარტიებზე თუ გადავედით, ძველი პარტიებით ვერ შევზღუდავთ და მოლიპულ გზით დავეშვებით. თუ რამე სხვა მოსაზრებები გაიძულებთ, გთხოვთ მაცნობოთ. მაშ, ბ. კონსტანტინე, მიიღეთ განმეორებით ჩვენი და აქაურ ქართველების დიდი მოკითხვა და საუკეთესო სურვილები.

თქვენი ერთგული აკ. პაპავა

P.S. როგორ არის ბ. აკაკი? ან მენაღარს რა მოუვიდა? იმ გაზეთში გაკვრით არის რაღაც ნათქვამი.

• კონსტანტინე კანდელაკის წერილი აკაკი პაპავას

30 იანვარი. 1958 წ. [პარიზი]
29, rue Daru, Paris 8e

ბ-ნ აკაკი პაპავას
Buenos Aires-ში (არგენტინა)

დიდად პატივცემულო აკაკი,

თქვენი წერილი 20/I-58 თარიღით მივიღე და თქვენს შენიშვნებს გულდასმით გავეცანი. ტყულა ბოდიშობთ, საქმიანი შენიშვნები ყოველთვის საჭიროა და სასარგებლოა, მხოლოდ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში იბადება სიმართლე.

1. თქვენი პირველი შენიშვნა გაზეთზე ცნობილი ლოზუნგის წარწერის შესახებ, გაუგებრობაზეა აშენებული: დიდი ხანია ამ წარწერას გაზეთი აღარ ატარებს.
2. მრავალი პროექტი იწერება ახლა, ამ ხნის განმავლობაში, ჩვენი ემიგრაციის და საქმეების „საუკეთესოდ" მოწყობისათვის. რომელი იმათგან გამოგიგზავნეს თქვენ, მე არ ვიცი, ხოლო ცხადია ვერ იქნებოდა ოფიციალური პროექტი, რადგან პასუხისმგებელ წრეებში განხილული არ ყოფილა.

„მთავრობის" საკითხი ძალიან რთული საკითხია. კარგი იქნებოდა, რომ ეს საკითხი უდავოთ მოგვარებულიყო; მას ყავს მომხრეები და მოწინააღმდეგეებიც. ბევრი ყოყმანი ამ საკითხის შესახებ მხოლოდ ზიანს მიაყენებდა იმასაც, რაც არსებობს. ასეთ ნაბიჯებს, სამწუხაროთ, ჩვენი მოწინააღმდეგენი არ ერიდებიან. ამიტომ ეს საკითხი ახლა რჩება ისე, როგორც იყო. მთელი ჩვენი ყურადღება უპირველესად უნდა მოხმარებოდა იმას, რაც არსებობდა: ეროვნულ საბჭოს გამაგრებას. ეს ის კარია, საინადან ახლა ძალები უნდა შეემატოს ჩვენს საქმიანობას, სრულიად დამოუკიდებლად „ლეგიტიმაციის" საკითხისა. სამწუხაროთ, ადვილად ვერც ეს ხერხდება. რა გვაქვს ახლა საკეთებელი? მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საკითხის პროპაგანდა, რადგან თაობა-თაობას სცვლის ამ დიდი ხნის განმავლობაში და ახლი თაობა თავისუფალ ქვეყნებში ჩვენს საკითხს ისე კარგად აღარ იცნობს, ვინემ ჩვენი თაობის სახელმწიფო მოღვაწენი იცნობდნენ. ამ თითქოს ძალიან მარტივ საკითხშიც ერთსულოვნება არ ხერხდება ისე ადვილათ, როგორც მოსალოდნელია...

ჩემი ჯამრთელობა ძალიან [შერყეულია], საუბედუროთ, საშუალებას არ მაძლევს იმ დოზით ვიმუშაო, როგორც ეს წინათ შემეძლო. მე ვფიქრობ, რომ თქვენ – და ყველა ჩვენ მეგობარს გაფანტულთ სხვადასხვა ქვეყანაში – სჭირიათ ინფორმაცია და [სა]პროპაგანდო მასალა, რომელსაც გამოიყენებდა ადგილობრივ საზოგადოების გასაცნობათ. საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს განათლებულ ქვეყნებში.

სხვათა შორის, ამ მიზნით სწორეთ ამ ერთი წლის წინად ჩვენ გამოვეცით ფრანგულ ენაზე (კერძო დახმარებით) Aide-memoire- ი ჩვენი საკითხის მოკლედ გასახსენებლად (ჩემი წიგნი ინგლისურათ – The Georgian Question before the Free World - მარაგი უკვე გამოლეულია).

დარწმუნებული ვარ ამ Aide-memoire-ის ცალი მაინც მიიღეთ მაქ გამოსაყენებლათ, რადგან ფრანგული მაქ ალბათ ბევრს ეცოდინება. არგენტინამ ხომ თითქმის პირველმა იცნო ჩვენი [დამოუკიდებლობა] [13 სეკტ. 1919] (...). ვერ ვახერხებ სამწუხაროთ, მე (...) მაგრამ ვეცდები მაინც თქვენი წერილები უპასუხოთ არ დავტოვო.

მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი და გთხოვთ გადასცეთ იგი საუკეთესო სურვილებთან ერთად ქ-ნ თამარს და მთელ თქვენს ოჯახს.

კ. კანდელაკი

• აკაკი პაპავას წერილი კონსტანტინე კანდელაკს

11 თებერვალი. 1958 წ. ბუენოს აირესი

დ. პატივც. და ძვირფაო ბ. კონსტანტინე,

თქვნი 30 იანვრის წერილი მივიღე და დიდი მადლობა საყურაღებო ცნობებისათვი. მიხარიან, რომ საგრძნობლად მოიკეთეთ და ჩვეულ მუშაობას ნელ-ნელა შეუდექით. ეს ჩემთან ერთად უხარია აქაურ ქართველობას და ყველა ჭეშმარიტ პატრიოტს, სადაც ის იმყოფება...

ეხლა ზოგ საშურ კითხვებზე:

ეროვნული მთავრობის „გაფართოების“ კითხვა, როგორც მწერთ, ჯერ შეჩერებული ყოფილა და იმედია, ამითაც არაფერი დაშავდება. მაგრამ რომ ამის ირგვლივ დაუწყნარებელი და უთავბოლო მითქმა-მოთქმა შეწყდეს, იქნებ აჯობებდა თქვენ და აკაკის თვით გადაგეჭრათ ეს კითხვა. ეს აგვაცდენდა გახმაურებას, გაცხარება-დავას, რაც საერთოდ დასუსტებულ მდგომარეობას კიდევ უფრო დააუძლურებდა და შინ და გარეთ დაგვაზიანებდა... ამისი თქვენ სამართლიანადაც გეშინიათ.

ამიტომ ვფიქრობდი და ვფიქრობ, რომ კითხვა საკამათოდ არ გახდეს – დავტოვოთ ყოველივე ძველ საფუძველზე, ე. ი. საქართველოს დატოვების შემეგ (რიცხვის შემცირების გამო) გარეთ დაშთენილი წევრები კაბინეტისა ისევ დაუბრუნდენ მას და ამით შეავსონ (რამდენიმედ მაინც) შემცირებული შემადგენლობა.

ამ მიზნით იქნებ მიზანშეწონილად დაინახოთ თქვენ და ბ. აკაკიმ მოიწვიოთ ძველი წევრებიდან ორი პიროვნება. ვინაიდან ბ. კ. გვარჯ.[ალაძე] ავადაა და რ. არსენიძე გერმანიაშია სხვა მეტად საჭირო და საპასუხისმგებლო საქმეზე, დაგვრჩენია ბ. გ. ერაძე და ბ. ნ. ცინცაძე (რამენადაც მახსოვ სხვა არავინაა ყოფ. მინისტრი, ან მინისტრის ამხ. დღეს საფრანგეთში). თუ ამათ თქვენ დასახმარებლად მიიწვევთ, ამის გამო ვერავინ აგიხირდებათ და ამ კითხვის ირგვლივ შექმნილ ვნებათა-ღელვას ნელ-ნელა დააცხრობთ. სამწუხაროდ საქმე და „საქმიანობა“ დღეს ისე ვიწროდ შემოიფარგლა, რომ ჩვენებური „პარტიობა“ ამ ერთად-ერთ ნაშთზე, წმინდა სიმბოლოზე იერიშებით მიდის და სურს ისიც არარაობამდე დაიყვანოს – რასაკვირველია, შეუგნებლად. ჩვენ კი ამისი არც უფლება გვაქვს და არც საბუთი: თუ ზოგს რწმენა დაჰკარგვია, რომ ახლო მომავალში პრაქტიკ. პოლიტიკისათვის „მთავრობა“ ზედმეტი გამხდარა (რაც მხოლოდ წინდაუხედაობის და სულმოკლეობის შედეგია), ის მაინც უნდა ესმოდეს, რომ ეს ჩვენი ეროვნული მოძრაობის და თაობის მონაპოვარი ქართული მატიანის ბოლო ფურცლების შვენება და სიამაყე, ეს განძი და საყრდენი მომავლისა, მაინც შევუნახოთ ჩვენს ისტორიას... ეს არის ჩვენი ვალი და მას უნდა ფაქიზად მოვეპყრათ. ვიცი, რომ თქვენ ამაზე გიფიქრიათ, გიმჯელიათ, მაგრამ მაინც მინდოდა ჩემი ფიქრებიც მომეწვდინა.

მიხვდებით, რომ მე მხოლოდ ეროვნ. მოვალეობა მალაპარაკებს და სურვილი – მოისპოს წლების მანძილზე ზოგ ჯგუფთა მიერ წარმოებული უსარგებლო და ხშირად მავნებელი კამათი-ჯიბრი და ალიაქოთი და სხვა და სხვა „პროექტების შემუშავება გაგზავნა“. ეს გულსაკლავი დახურდავებაა იმისა, რაც „უწყალო ხელს შემთხვევით გადარჩენია“...

შემდეგი ჩვენი საქმიანობა, როგორც თქვენ სამართლიანად აღნიშნავთ, არი ჩვენი საკითხის, რაც დღეს მრავალ მიზეზთა გამო მივიწყებულია, ხელახლა გაღვივება და მისი ახალის ენერგიით პროპაგანდა. ამაზე დიდ საქმეს ქართ. ემიგრაცია ვერ გააკეთებს. მუშაობა უნდა სწარმოებდეს თვითოეულ ქვეყანაში ად-

გილობრივ პირობებთან და საშუალებებთან შეგუებით, მაგრამ ყველგან დევნილ ერთა ძალებთან დაკავშირებით. ამ მხრივ აქ შედარებით კარგი მიღწევები გვაქვს: ჩვენები მუშაობენ მებრძოლ ეროვნებათა სხვა და სხა ცენტრებში – გამოდიან რადიოში და პრესაშიც და სრულიად უცნობ საქართვ. საკითხზე ესპან. ენაზე მოხსენებებიც იმართება, მაგრამ ესეც, რა თქმა უნდა, ცოტაა და ყველგან ასეთი მუშაობა უნდა გაძლიერდეს... „ხვალინდელ ამბავთა“ მოლოდინში ეს საქმე ყველაზე დიდ ნაყოფს მოგვიტანს. ამიტომ ყოველი შემთხვევა, ფაქტი, დატა და სხვ. მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. აი, ეხლა მოდის 26-V-ის 40 წლისთავი და აქ გვმართებს ყველგან გამოცოცხლება, თავის და ახლო ისტორიის გახსენება ყველასათვის. ჩვენ აქ ძალების და საშუალ[ების]დაგვარად ამას გავაკეთებთ: რადიოში, ადგილ[ობრივ] და ჩაგ[რულ] ერთა პრესაში გამოვალთ, გავმართავთ საზეიმო სხდომას, რომელზ[ეც] გამოვლენ საგანგებო მომართვებით ყველა დაპყრობ[ილ] ერთა დელეგაციები, გვექნება ქართ. ვოკალ. განყოფილებაც, მცირედი გამასპინძლება უცხოელთა და პრესის და სხვ. მანდ ალბათ უფრო მეტის ენერგიით ამუშავდებიან ჩვენები. იქნებ საჭირო იქნეს ეროვ. მთავრობის გამამხნევებელი მიმართვა ქართველ ერისადმი, ან ემიგრაციისადმი მაინც ამ 40 წლის თავზე. ამას თქვენ რასაკვირველია, უფრო კარგად გაზომავთ. ყველა შემთხვევაში ეს არის საუკეთესო დრო და საბაბი, რათა ყველას ჩვენი თავი გავახსენოთ და მრავალ წელთა მანძილზე ჩვენს სასარგებლოდ გაცემული ვექსილები მოვაგონოთ. თქვენ მიერ ნახსენები „aide-memoire“ აქაც ძალიან გამოდგება (ან რაიმე ახალი ამგვარი, ცოტა უფრო ვრცელი – განსაკუთრებით პირველი (ისტორიული) ნაწილით). თუ ეს ვერ მოხერხდეს 40 წლის თავთან შეფარდებით, მაშინ იგივ გამოცემა უფრო გავრცელდება და ჩვენც მოგვაწოდეთ დროზე 40 ცალი პრესა-დელეგაციებისთვის. ამას გარდა ძალიან კარგი იქნება ეროვნ. საბჭოს მიერ განზრახული გამოცემა მთლიან ემიგრაციის სახით, საცა ყველა მიმართულებანი ამ დღეს აღნიშნავენ. თუ ეროვ. საბჭოს განხეთქილების გამო ეს გაძნელდეს, იქნებ თქვენის დავალებით რომელიმე პიროვნებამ, ან დამოუკიდ. ნიადაგზე მდგომმა პარტიებმა მაინც შესძლოს ეს. საჭირო კი არა, აუცილებელია, რომ 40 წლის თავზე ჩვენი მთლიანი სახე გამოჩნდეს. ყველას აჯობებდა „ეროვნ. საბჭო“ს თაოსნობა.

ძალიან, ძალიან სამწუხაროა, რომ ს.-დ-ში განხეთქილება ასეთ დროს კიდევ უფრო გაღრმავებულა. ნუ-თუ რაიმე საგანი, აზრი აქვს ამ გათიშვას? ეს ყველაზე ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს. რაღაა დღეს სადავო ან ჩვენში, ან მათში, თუ საფრთხეს ფხიზლად შევხედავთ თვალებში? სად არის ეს რუს. დემოკრატია, რას აკეთებს და **ვისთანაა?** ჯერ ეს გამოჩნდეს და შემდეგ ვიდავოთ. არც მარჯვ., არც მარცხ. რუსეთს ჯერ დაპყრობილ ერებთან საერთო მიზანი ვერ გამოუნახავთ. ბოლშევიზმის დაცემისთვის ბრძოლა მხოლოდ საშუალებაა იმავე ბატონობისთვის – „მესიანიზმისთვის“, რომლის მოციქული მითომ **რუსის ხალხია.** ამ საფრთხემ ყველა პარტიები უნდა გაგვაერთიანოს არა თუ ფრაქციები. გამოცდილი ჭკუა სთმობს მუდამ... რაც შეეხება დევიზს: „პროლეტ...“, თქვენ მართალი ხართ. მე აქ ერთმა პირმა **განგებ** შემიყვანა შეცდომაში (ძველი ნომერი მაჩვენა). მადლობა ღმერთს, რომ ასე ყოფილა. წერილი გამიგრძელდა. მაპატიეთ. მიიღეთ გულითადი მოკითხვა თამარისა და ჩემგან. ბრძანდებოდეთ მხნედ და გამარჯვებით. მოკითხვა ბ. აკაკის

მარად თქვენი აკ. პაპავა

20 მაისი. 1957 წ. პარიზი

ძმაო პავლე,

შენთან ლაპარაკის შემდეგ გუშინ ერთი აზრი მომივიდა, მას ვატყობინებ გრიშა ურატაძეს და პირს მისდამი მიწერილისას შენ გიგზავნი. გთხოვ გააცნო გიორგი ერაძესაც.

მე ვწერ გრიშა ურატაძეს:

„საქმე შეეხება შენს შესწორებას ეროვნულ საბჭოს დებულებაში, რაც მე გავიზიარე, თუ კი ეს შესწორება უფრო მაგარ საფუძველს დაუდებს საბჭოს არსებობას და გააცოცხლებს.

ხოლო არ არის გათვალისწინებული ერთი ფრიად საყურადღებო გარემოება, რაც არ უნდა გამოგვრჩეს, თორემ ყველაფერი აირევა. ესაა ეროვნული მთავრობის წევრთა მდგომარეობა: ისინი, როგორც დამფ. კრების წევრნი შედიან საბჭოში, მაშასადამე საბჭოს დადგენილებებს ემორჩილებიან, თუ საბჭომ არ მოიწონა მათი მოქმედება, ისინი უნდა გადადგენ; ვისგან ირჩევს საბჭო მოადგილეებს? ჩვენ ვფიქრობდით, რომ ეროვნული მთავრობის წევრთა კრებული – ეს არის ინსტანცია უკვე საბოლაო, თუ ისიც ჩაინგრა ვერავითარ მომქმედ ორგანოს ჩვენ ვერ შევქმნით.

თავდაპირველ პროექტში ეს საკითხი გარკვეული იყო: მთავრობის წევრნი (ოთხი ვიყავით მაშინ) საბჭოში არ შედიოდნენ. – ამას ძალიან დაკვირვება უნდა, ძალიან აჩქარება არ ვარგა. აუცილებელ საკითხებში საბჭოს ახლაც შეუძლია გამოსვლა.

მინდოდა ეს შენც გცოდნოდა, რადგან გუშინ ეს არ გაგვითვალისწინებია.

შენი კ. კანდელაკი

SHORENA MURUSIDZE

Constantine Kandelaki's Correspondence – Materials for Research of the History of Georgian Political Eemigration

Summary

In the view of research of the history of Georgian Political Eemigration, private letters are the most interesting materials in publication.

The correspondence between Constantine Kandelaki (Minister of Finance and Trade and Industry of the Democratic Republic of Georgia) and Razhden Arsenidze, Alexander (Sandro) Kordzaia, Akaki Papava and Pavle Sarjveladze are kept in the National Centre of Manuscripts. The content of the letters refer to the activity of Georgian Political Eemigration period of 1956-1958. Geographical area of the letters is Paris, Munich and Paris-Buenos Aires.

Different issues, including the National Government of the Democratic Republic of Georgia are discussed in the private correspondence. After Noe Zhordania's death, Georgian emigrants (the members of Government, Social-Democratic Party and "National Council") were discussing the issue how and in what form should the government in exile exist, taking into consideration the new reality. They were discussing about forming "Committee" or "the Ex-

ecutive Authority of the Government's functions". However, as it could turn into a reason for confrontation, the implementation of the idea was rejected.

The letters also refer to the disagreement in the Social-Democratic Party. One of the main reasons for dividing the party into two fractions was the disagreement in the issue related to the relations with the Russian eemigration.

Constantine Kandelaki's correspondence is significant due to several facts, including the relationship of the Georgian eemigration with the "American Committee", Georgians' participation in "Paris Block" and researching the history of the "Georgian National Council".

According to the letters, it is clear that despite the elderly age and worsening of health condition, Georgian emigrants are still actively involved in solving current issues.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქართული პრესის ისტორიიდან ამერიკაში: „ქართველი ერი“ და „კრებული“

ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ამერიკაში გამოცემული ქართული პრესა ნომინალურადაც ცოტაა და ქრონოლოგიურადაც ბევრად უფრო გვიანდელი. მეტი სიცხადისათვის გავიხსენოთ ზემოთქმული თვალსაზრისით საინტერესო რამდენიმე მნიშვნელოვანი თარიღი: პირველი ქართული საზღვარგარეთული პერიოდული ორგანო – გაზეთი „დროშა“ ნიკო ნიკოლაძის რედაქტორობით 1873 წელს გამოიცა პარიზში; ქრონოლოგიურად მეორე პერიოდული ორგანო – გაზეთი „საქართველო“ (რედაქტორები: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი და თედო სახოკია) პარიზში გამოდიოდა 1903-1905 წლებში; 1913-1914 წლებში პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები ჟენევაში სცემდნენ ჟურნალ „თავისუფალ საქართველოს“; 1916-1918 წლებში კი გიორგი კერესელიძის რედაქტორობით ბერლინში გამოდიოდა „ქართული გაზეთი.“

გასული საუკუნის ოციანი წლებიდან მოყოლებული, ქართული პერიოდული ორგანოები საკმაოდ მრავლად გამოდიოდა ევროპის სხვადასხვა ქალაქში (უპირველეს ყოვლისა, პარიზში). ქართული პრესის ამგვარი სიმრავლე და მრავალფეროვნება არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჩვენი ერის ბევრი სახელოვანი წარმომადგენელი იძულებული გახდა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში გახიზნულიყო სამუდამო ემიგრაციაში.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, გასული საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან და 50-იანი წლებიდან მოყოლებული, მნიშვნელოვნად გაიზარდა ამერიკის კონტინენტზე ემიგრირებულ ქართველთა რაოდენობა. მართალია, ქართველი ემიგრანტები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში XIX საუკუნის მეორე ნახევრიდანაც იწყებენ დამკვიდრებას, მაგრამ მათი რაოდენობა იმხანად იმდენად მცირე იყო, რომ ამ ქვეყნებში ქართულენოვანი პრესის გამოცემის საკითხი მაშინ რეალურად არ დასმულა.

ამერიკის კონტინენტზე გამოცემული პირველი ქართული პერიოდული ორგანო ჟურნალი „მამული“ იყო. იგი ვიქტორ ნოზაძის რედაქტორობით გამოდიოდა არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში 1951-1953 წლებში (გამოიცა სულ ექვსი ნომერი). ქრონოლოგიურად მეორე პერიოდული ორგანო იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ საინფორმაციო ბიულეტენი „ცნობის ფურცელი“ (გამოდიოდა ნიუ-იორკში 1953 წლის თებერვლიდან 1954 წლის ნოემბრამდე. რედაქტორი გივი კობახიძე. გამოიცა სულ ექვსი ნომერი).

„ცნობის ფურცლის“ პარალელურად, 1953 წლის ივლის-აგვისტოდან „ამერიკულმა საბჭომ,“ ასევე გ. კობახიძის რედაქტორობით, მეორე პერიოდული ორგანოც გამოსცა – ჟურნალი (მთავარი რედაქტორის სახელდებით, კრებული) „ჩვენი გზა“ (გამოდიოდა ნიუ-იორკში 1961 წლამდე. გამოიცა სულ ხუთი ნომერი). მთავარი რედაქტორის ხაზგასმით, „ცნობის ფურცელი“ და „ჩვენი გზა“ „ეს იყო პირველი ნაბეჭდი, თუმცა არა სტამბური, ქართული პერიოდული ორგანოები, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოცემული“ (1, 1). ორივე მათგანი ჰექტოგრაფიული ფორმით გამრავლებულ გამოცემას წარმოადგენდა.

ზემოთ ხსენებულ პერიოდულ ორგანოებთან ერთად, 1955 წლის დეკემბერში გივი კობახიძემ საკუთარი გაზეთიც გამოსცა – „ქართველი ერი“ (გამოიცა ნიუ-იორკში, მხოლოდ ერთი, თორმეტგვერდიანი ნომერი, დიდი ფორმატისა) – ამერიკის კონტინენტზე სტამბური წესით გამოცემული მეორე („მამულის“ შემდეგ), ამერიკის შეერთებულ შტატებში კი პირველი ქართულენოვანი პერიოდული ორგანო.

გაზეთის რედაქტორის განცხადებით, „ქართველი ერი“ წელიწადში ოთხჯერ უნდა გამოსულიყო, მაგრამ ფინანსური და ტექნიკურ-საგამომცემლო კუთხით არსებული სხვა სირთულეების გამო, მან ამის გაკეთება ვერ მოახერხა. მეგობრების რჩევით, გ. კობახიძემ 1957 წელს გაზეთი ჟურნალად გადააკეთა, სახელად „კრებული“ დაარქვა და უკვე ასეთი განახლებული ფორმით მიაწოდა მკითხველს.

თავად გ. კობახიძე ჟურნალ „კრებულის“ პირველი ნომრისთვის წამძღვარებულ „წინასიტყვაობაში“ ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებით მკითხველს ასეთ განმარტებას აწვდის: „ჩვენს მიერ დაარსებული გაზეთის – „ქართველი ერი“-ს პირველი ნომრის გამოსვლას (დაარსდა 1955 წლის დეკემბერში, ქ. ნიუ-იორკში, ჩ. ა. შ. შ. – ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატები, – ავტ.). ქართული ემიგრაცია დიდი კმაყოფილებით შეხვდა. რედაქტორის და გამომცემლის სახელზე მოსულია აუარებელი წერილი, რომელთა ავტორები იწონებენ და კარგ შეფასებას აძლევენ გაზეთის როგორც იდეურ-შინაარსობრივ, ისე მის გარეგნულ მხარეს, მაგრამ, ამ უკანასკნელის თვალსაზრისით, არა ერთი და ორი მკითხველის რჩევაც მივიღეთ; ისინი გვირჩევდნენ – გაზეთი კრებულად გადაგვეკეთებინა. „ქართველი ერი“-ს ფორმატი ბევრ მკითხველს ემიგრანტულ პირობებში მოუხერხებლად ეჩვენება, რაც, შეიძლება, სიმართლეს შეეფერება. გვწერენ, რომ ასეთი დიდი გაზეთის შენახვა ძნელია, მის წასაკითხავად ხელში აღებაც არაა მარჯვეო! მივიღეთ რა მხედველობაში მკითხველთა რჩევა, დავაარსეთ **„კრებული,“** მაგრამ ამჯერად არც გაზეთის გამოშვებაზე ვიღებთ ხელს, რადგან ბევრი მასალა, თავისი ხასიათით, უფრო გაზეთს შეეფერება, ვიდრე კრებულს. გაზეთის ფორმატიც, ჯერჯერობით მაინც, უცვლელი დავტოვეთ, ხოლო 12-დან 8 გვერდზე დავიყვანეთ“ („კრებული“ 1957: 5).

სამწუხაროდ, უმთავრესად ფინანსური პრობლემების გამო, „ქართველი ერიცა“ და „კრებულიც“ მეტად დღემოკლე პერიოდული ორგანოები გამოდგა და რედაქტორ-გამომცემელმა მათი მხოლოდ თითო-თითო ნომრის გამოცემა მოახერხა.

* * *

როგორც ითქვა, გაზეთ „ქართველი ერის“ პირველი და უკანასკნელი ნომერი 1955 წლის დეკემბერში გამოიცა ნიუ-იორკში. ამერიკის შეერთებულ შტატებში სტამბური ფორმით დაბეჭდილი ამ პირველი ქართული პერიოდული ორგანოს რედაქტორ-გამომცემლის – გივი კობახიძის განმარტებით, მისი გაზეთის მიზანი იყო, ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველებისათვის მშობლიურ ენაზე მიეწოდებინა ქართული კულტურის, ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნებისა და ზნე-ჩვეულებების ამსახველი მასალები; არ დაევიწყებინა მათთვის ძველი სამშობლო, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ... თავის ფურცლებზე აესახა საქართველოს პოლიტიკური, ეროვნული და ზნეობრივი უფლებები, მისი დღევანდელი მდგომარეობა; ყოველმხრივ შეეწყო ხელი საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაციისათვის შეერთებულ შტატებში და მომსახურებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეს, გამოეკვლია ქართველთა ამერიკაში გადასახლების ისტორია.

გ. კობახიძე გაზეთის ზემოთ დამოწმებული სამოქმედო პროგრამის გამოქვეყნებას არ დასჯერდა და პირველ გვერდზე დასტამბული „მიმართვით“ მკითხველს და-

მატებით კიდევ ერთხელ განუმარტა „ქართველი ერის“ მიზანდასახულობის განმსაზღვრელი უმთავრესი პრინციპების არსი. მისი ხაზგასმით, პოლიტიკური წერილების გარდა, „გაზეთი ფართო ადგილს დაუთმობდა წერილებს ლიტერატურაზე, ისტორიაზე, ხელოვნებასა და საზოგადოებრივ თემებზე.“ იგი არ იქნებოდა არც პარტიული, არც რომელიმე ორგანიზაციის ორგანო და „მასში თანამშრომლობა შეეძლებოდა ყველას (გარდა კომუნისტებისა), ვისაც უყვარდა მშობლიური სიტყვა, სამშობლოს ისტორია, ეროვნული აზრი.“

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, გ. კობახიძე მკითხველს იქვე იმ განყოფილებათა შესახებაც აწვდიდა კონკრეტულ ინფორმაციას, რომლებიც გაზეთში უნდა ყოფილიყო გამოყოფილი. ეს განყოფილებებია: 1. საქართველო დღეს; 2. ჩვენს სამშობლოში; 3. საქართველოს ამბები. გარდა დასახელებული განყოფილებებისა, გაზეთში ასევე ცალკე უნდა ყოფილიყო გამოყოფილი ისეთი რუბრიკებიც, როგორებიცაა: ქართველობა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქართველობა სხვადასხვა ქვეყნებში, პოეზია და სხვა (5).

მიუხედავად იმისა, რომ გ. კობახიძემ გაზეთის მხოლოდ ერთადერთი ნომრის გამოცემა მოახერხა, რის გამოც ზემოთ დამოწმებული საპროგრამო განაცხადის ბოლომდე ხორცშესხმა ვერ შეძლო, როგორც მის ფურცლებზე დასტამბული მასალების გაცნობით ეჭვმიუტანლად ვრწმუნდებით, „ქართველი ერი“ მაინც უნდა ჩაითვალოს ქართული ემიგრანტული პრესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიმუშად.

„ქართველი ერის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალების უმეტესობა პირველ ყოვლისა თავად რედაქტორ-გამომცემელს ეკუთვნის. გარდა საკუთარი გვარსახელისა, ბევრი მათგანი ფსევდონიმებითაცაა დასტამბული. ეს ფსევდონიმებია: გ. მახვილაძე, ადამ იანიშვილი, მიმომხილველი, გ. კ., ახალი შეფიცული, გივი შაორელი, ომარ თალია, გიორგი ალანიძე (შარაძე 1992: 162).

მკვეთრად გამოხატული ეროვნული სულისკვეთებითა და რუსიფიკატორული კოლონიური პოლიტიკის მხილების თვალსაზრისით გ. კობახიძის მრავალრიცხოვან პუბლიკაციათაგან განსაკუთრებით საინტერესოა გაზეთის პირველ გვერდზე დასტამბული ვრცელი წერილი „საქართველო დღეს“, რომელშიც ჩვენს ქვეყანაში რუსეთის ბატონობის დამყარების დროინდელი ისტორიიდან მოხმობილ მდიდარ ფაქტობრივ მასალებზე დაყრდნობითაა მხილებული რუსული კოლონიური პოლიტიკის დამღუპველი როლი საქართველოსთვის.

ხსენებული წერილისადმი ინტერესს არსებითად ზრდის ის ფაქტი, რომ იმ დროისათვის, როცა იგი გამოქვეყნდა, ავტორის მიერ განსჯის საგნად ქცეული პრობლემა საკუთრივ საქართველოში მტკიცედ ტაბუდადებულ თემად ითვლებოდა და მასზე საუბარი მკაცრად იკრძალებოდა. გ. კობახიძის პუბლიკაციაში ნიღაბახდილი სახითაა ნაჩვენები როგორც მეფის დროინდელი რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის გასარუსებლად გატარებული ძალადობრივი პოლიტიკის დამღუპველი შედეგები, ისე საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში ზემოთ აღნიშნული მიზნის მისაღწევად გაწეული საქმიანობაც (საქართველოს შავიზღვისპირეთიდან ადგილობრივი მოსახლეობის მასობრივი გადასახლება თურქეთში და მათ ადგილზე რუსების დამკვიდრება, მესხეთ-ჯავახეთიდან გარეკილი ქართველი მუსლიმანების ნასახლარებზე სომხების, რუსების, გერმანელებისა და მალაკნების დაფუძნება, ჩვენი ქვეყნის ცალკეულ რეგიონებში (მაგალითად, რუსთავში, გურიასა და აჭარაში), ვითომცდა მუშახელის ნაკლებობის გამო, რუსებისა და უკრაინელების კომპაქტურად დასახლება, ქართველი ახალგაზრდების მასობრივი გაგზავნა ყაზახეთში ყამირი მიწების ასათვისებლად, მაშინ, როცა საკუთრივ „საქართველოში არსებული ყამირი მიწების დასამუშავებლად რუსობა ჩამოიყვანეს

და დაასახლეს! კრემლმა ეს ვერაგობა მოსახლეობის ათქვეფისა და ასიმილაციის დასაჩქარებლად იხმარა!).

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, გ. კობახიძის წერილში მკაცრი კრიტიკის საგნად საბჭოთა კავშირში აქტიურად გატარებული საკადრო პოლიტიკაცაა ქცეული, რის შედეგადაც საბჭოთა იმპერიის სხვადასხვა რეგიონში საქართველოდან ინტელიგენციისა და ტექნიკოსების გაგზავნას მეტად ფართო მასშტაბები ჰქონდა შეძენილი. 1939 წლის მოსახლეობის აღწერის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, სტატიის ავტორი მკითხველს იქვე იმასაც აუწყებს, რომ „კადრების ასეთმა „განაწილებამ" საქართველოს 200.000 ქართველი მოაცილა." მისი თქმით, ჩვენი ქვეყნიდან იძულებით გაგზავნილი ამ ადამიანების დიდი ნაწილი ნელ-ნელა და თანდათანობით „ინთქმებოდა რუსულ ოკეანეში."

იმის გამო, რომ „ქართველი ერი" უპირველეს ყოვლისა ემიგრაციაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისათვის განკუთვნილ პერიოდულ გამოცემას წარმოადგენდა, მის ფურცლებზე ყველაზე დიდი ადგილი, ბუნებრივია, საქართველოს ამბებს ჰქონდა დათმობილი. ეს მასალები პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: პირველი, ინორმაციები ჩვენს ქვეყანაში იმხანად არსებული მდგომარეობის შესახებ და მეორე, მკითხველისათვის კარგად ცნობილ ისტორიულ და თანადროულ პოლიტიკურ მოვლენათა შეფასება საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული იდეოლოგიური დოგმებისაგან მკვეთრად განსხვავებული სახით.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში იმხანად გაბატონებული პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მმართველობითი რეჟიმი აზრის თავისუფლად გამოთქმისა და მართალი ინფორმაციის გავრცელების უფლებას მაქსიმალურად ზღუდავდა, უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები საბჭოთა პრესაში დაბეჭდილი მასალებით მაინც ახერხებდნენ იმ ინფორმაციების მიღებას, რომელნიც მათ აქ არსებული მდგომარეობის მეტ-ნაკლები სიმართლით გაცნობის შესაძლებლობას აძლევდათ. „ქართველ ერში" გაზეთ „კომუნისტიდან" (საქართველოს იმჟამინდელი ხელისუფლების უპირველესი პერიოდული ორგანოდან) ინფორმაციული ხასიათის წერილების გადაბეჭდვა (აღნიშნულ პუბლიკაციებს გაზეთის დაახლოებით სამი გვერდი უჭირავს), პირველ ყოვლისა სწორედ ამ რეალობის უკეთ აღქმისა და გაცნობიერების მიზნით ხდებოდა. გარდა იმისა, რომ ამ ინფორმაციებით მკითხველს თავადაც ექმნებოდა გარკვეული წარმოდგენა ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ მდგომარეობაზე, ამ წერილების ერთი ნაწილისთვის თანდართულ კომენტარებში გაზეთის რედაქტორი თავადაც გამოდის ამ მდგომარეობის განმსჯელ-შემფასებლის როლში.

მაგალითად, „კომუნისტის" 1955 წლის 22 ნოემბრის ნომრიდან გაზეთში გადმობეჭდილი ერთ-ერთი წერილი მკითხველს კონკრეტულ ინფორმაციას აწვდის საბჭოთა იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების მიერ საქართველოში ჩატარებულ იმ რეპრესიულ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა შედეგადაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს ჩვენი ქვეყნის პარტიული ელიტის რამდენიმე წარმომადგენელს. ამ ინფორმაციისთვის თანდართულ ვრცელ კომენტარში გ. კობახიძემ (მისი ეს მასალა ადამ იანიშვილის ფსევდონიმითაა დასტამბული) ფართო განზოგადებულობით სცადა შეეფასებინა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგებლობის ის პოლიტიკა, რასაც იმპერიული ხელისუფლება ატარებდა ამ იმპერიის შემადგენლობაში შემავალ ე. წ. მოძმე რესპუბლიკებში.

გ. კობახიძე ამ შემთხვევაში იმის გამო კი არ გამოხატავს შეშფოთებას, სტალინის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლების მიერ ჩატარებული ამ „რიგით მეოთხე სისხლიანი წმენდის" შედეგად სიკვდილით დასჯილი ქართველი ჩეკისტები უცო-

დველნი რომ იყვნენ და უდანაშაულო ადამიანთა სისხლში არ ჰქონდათ ხელები გასვრილი, არამედ იმის გამო, რომ წინანდელ სადამსჯელო ღონისძიებათაგან განსხვავებით, მათ დასასჯელად მოწყობილ სასამართლო პროცესზე საქართველოს, როგორც თუნდაც ფორმალურად არსებული რესპუბლიკის, მანამდელი ფსევდოუფლებებიც კი იქნა მთლიანად უგულვებელყოფილი. კერძოდ, „თუ ოცდაათიანი წლების დიდი წმენდების დროს მოსკოვიდან სტალინ-იაგოდა-ეჟოვების ბრძანებით ქართველ კომუნისტებს მათივე ქართველი ამხანაგები ასამართლებდნენ, დღეს სულ სხვაგვარად ხდება! ქართველები გაასამართლა არა საქართველოს, არამედ სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ, რომელიც საგანგებოდ ჩამოსულა მოსკოვიდან თბილისში! ბრალდებულის როლში გამოდის რუსი!.. ირონიულობა იმაშიცაა, რომ დამცველთა როლებშიც კი რუსები გამოდიან! ქართველებს ქართველი დამცველების აყვანის უფლებაც არ მიეცათ! საქმე იმაშია, რომ ქართველ დამცველებს მოსკოვი ვერ ენდობა და სიფრთხილეს ამჯობინებს.“

სტალინის შემდგომდროინდელი იმპერიული ხელისუფლების სათავეში მოსული „ველური მინდვრის კაცების“ მიერ გატარებულ ამ ახალ პოლიტიკას გ. კობახიძე ქართველი ხალხისთვის გამოტანილ იმ სასჯელად მიიჩნევს, რომელიც სტალინისა და ბერიას ქართველობის გამო ხვდა მას წილად. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულმა პიროვნებებმა „მათი მინდვრები გააფართოვეს, გაასამკეცეს, ხოლო საკუთარი მამული კი სისხლის გუბეში აბანავეს,“ „რუსმა მათუშკამ“ (მიხაკო წერეთლის სიტყვებია) „ამ ორ ქართველ რენეგატს“ მათი ქართული წარმომავლობა მაინც არ აპატია.

„ქართველ ერში“ დასტამბული წერილებიდან რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა მიხაკო წერეთლის პუბლიკაციაზეც – „მოგონება ოცდაექვს მაისზე.“ საქართველოს ისტორიაში სანიშანსვეტო თარიღად დამკვიდრებული ამ მოვლენის შესაფასებლად დაწერილი ეს სტატია საინტერესო იმითაცაა, რომ მასში ბოლშევიკური რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შესახებაცაა საუბარი. მ. წერეთელი, როგორც ამ ტრაგიკული მოვლენის უშუალოდ თვითმხილველი, გულისტკივილით უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ამ უდიდესი ეროვნული ტრაგედიის უმთავრესი შემოქმედნი პირველ ყოვლისა საკუთარი სამშობლოს გამყიდველი ქართველები იყვნენ.

ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან: „როდესაც 1921 წელს რუსები შემოვიდნენ საქართველოში და თბილისში ახალი, ბოლშევიკური „მთავრობა“ დაჯდა, შემთხვევა მქონდა მენახა სასახლეში მამია ორახელაშვილი, ჩემი მოსამზადებელი კლასიდან ამხანაგი სკოლისა, საქართველოს ახალ ბატონად მოვლენილი რუსის წყალობით. ვკითხე, თუ რად დაეცენ თავს დამოუკიდებელ საქართველოს ქართველი ბოლშევიკები. ძალიან კარგად ვიცოდი, თუ რად, მაგრამ მისი პასუხი მაინტერესებდა. „საქართველოს თავისუფლებას კი არ შევბრძოლებივართ, არამედ „დედა-რუსეთს“ რომ მოსცილდა საქართველო, ამას ვერ შევურიგდითო,“ იყო მისი პასუხი. ჩემთვის ეს პასუხი საკმარისი იყო, დამახასიათებელი ქუთაისის „დესედნიკის“ შვილისა, რომელსაც თურმე მუდამ უტარებია გულში „მათუშკა“ რუსეთის სიყვარული.“

„ქართველ ერში“ გამოქვეყნებული წერილების ერთი ნაწილი მკითხველს ჩვენი ემიგრანტების ცხოვრებასთან დაკავშირებულ პრობლემებზეც უქმნის გარკვეულ წარმოდგენას. ამ თვალსაზრისით პირველ ყოვლისა მინდა გაზეთის რედაქტორის წერილი გავიხსენო – „ქართველობა ამერიკის შეერთებულ შტატებში“. საკმაოდ ვრცელი მოცულობის ამ პუბლიკაციაში გ. კობახიძემ ერთ-ერთმა პირველმა სცადა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით წარმოეჩინა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენი თანამემამულეების დამკვიდრების ისტორია. წერილის ავტორის აზრით, XIX საუკუნის 60-იან წლებში დაწყებულმა ამ პროცესმა შედარებით ფართო მასშტაბე-

ბი გასული საუკუნის 20-იან წლებში, საქართველოს გასაბჭოების შეეგად, შეიძინა. გ. კობახიძის მტკიცებით, თუ ამერიკაში ქართველები მანამდე ძირითადად საარსებო სახსრის საძიებლად მიდიოდნენ, XX საუკუნის 20-40-იან წლებში ამ ქვეყანაში ქართველთა მიგრაციის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად საქართველოში იმხანად არსებული უმძიმესი პოლიტიკური ვითარება იქცა.

გ. კობახიძის ხსენებული წერილისადმი ინტერესს არა მარტო ის ფაქტი განსაზღვრავს არსებითად, რომ მასში ამერიკაში ქართველთა დამკვიდრებასთან დაკავშირებული ამბებია დოკუმენტური სიმართლით მოთხრობილი, არამედ ისიც, რომ წერილის ავტორი მათ მეორე სამშობლოდ ქცეულ ქვეყანაში ჩვენი თაამემამულეების წარმატებულ საქმიანობასთან დაკავშირებითაც გვაწვდის მეტად საინტერესო ინფორმაციას და იმ ქართველთა კონკრეტულ ჩამონათვალსაც გვთავაზობს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ამერიკის ისტორიაში (საავიაციო საქმის ცნობილი სპეციალისტი ალექსანდრე ქართველიშვილი, ფართოდ სახელგანთქმული ბიზნესმენი ჯორჯ კობი (გიორგი კობახიძე), მთელს ამერიკაში პოპულარული პარფიუმერული ფირმის დამაარსებელი გიორგი მაჩაბელი, სახელოვანი მუსიკოსი ჯორჯ ბალანჩინი, ამერიკელი მკითხველისათვის კარგად ცნობილი მწერლები: გიორგი პაპაშვილი, ნიკოლოზ ჩხოტუა და სხვები).

როგორც ხსენებული პუბლიკაციით ვგებულობთ, გასული საუკუნის 30-იან წლებში ამერიკაში ქართველ ემიგრანტთა რაოდენობა იმდენად გაზრდილა, რომ 1931 წელს მათ საკუთარი სათვისტომოც შეუქმნიათ (თავმჯდომარე პავლე კვარაცხელია, მდივანი ვანო კობახიძე), 1938 წელს კი სათვისტომოს წევრთა შემოწირულობების შედეგად ნიუ-იორკიდან 60 კილომეტრში მდებარე პატარა ქალაქ აისლიპში სათვისტომოსთვის საკუთარი ეზოცა და სახლიც შეუძენიათ – ამერიკაში მცხოვრები ქართველებისათვის „პატარა საქართველოდ“ ქცეული ნავთსაყუდელი.

სამწუხაროდ, სათვისტომოს ხელმძღვანელობას ეს ქართული კერა 1951 წელს გაუყიდია, რისი მიზეზიც ნიუ-იორკიდან მისი სიშორე გამხდარა.

ამერიკაში ქართველთა დამკვიდრების ისტორიის შესწავლით გ. კობახიძის დაინტერესებამ შემდგომში იმდენად დიდი მასშტაბები შეიძინა, რომ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ წერილებს იგი ხშირად ბეჭდავდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში.

გარდა პუბლიცისტური და საინფორმაციო ხასიათის წერილებისა, „ქართველ ერში“ მხატვრული ნაწარმოებებიცაა დაბეჭდილი – პ. იაშვილის, გრ. აბაშიძის, გ. გამყრელიძისა და გ. კობახიძის ლექსები და გ. კობახიძის მემუარული ხასიათის მოთხრობა „ავადმყოფი.“ როგორც მკითხველი ამ ჩამონათვალიდანაც მიხვდება, გაზეთის რედაქტორ-გამომცემლის მიზანი იყო ემიგრაციაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებისათვის არა მარტო ემიგრანტი ქართველი მწერლების შემოქმედება გაეცნო, არამედ საქართველოში მოღვაწე პოეტების ლიტერატურულ მიღწევებზეც შეექმნა გარკვეული წარმოდგენა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გაზეთში გასული საუკუნის ქართული პოეზიის ზემოთ ხსენებულ წარმომადგენელთა პოეტური შემოქმედების რამდენიმე ნიმუშიცაა დასტამბული (პ. იაშვილის „როგორც აფრის ტკაცუნი“ და „ზემოური რთველი,“ გრ. აბაშიძის „შვიდი მეციხოვნე“ და „კაკლის ხეები“).

რაც შეეხებათ გ. გამყრელიძესა და გ. კობახიძეს, გაზეთში მათი მხოლოდ თითო-თითო ლექსია გამოქვეყნებული – გ. გამყრელიძის „საჩხერის ღამე“ და გ. კობახიძის „იესო მაცხოვარს.“ მთავარი, რითაც პოეტური ოსტატობის თვალსაზრისით არც თუ ისე გამორჩეულმა ამ ლექსებმა შეიძლება მიიქციონ მკითხველის ყურადღება, ადამიანურ გრძნობათა რომანტიკული ფორმით გამოხატვის მცდელობაა. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ ფრაგმენტს გ. გამყრელიძის ლექსიდან:

შელამდა უკვე. მთების გრეხილი
ჩამოიბურა თალხი ბინდებით.
ძირს მიწა სუნთქავს მკერდ გაღელილი,
სავსე მზის მადლით და გარინდებით.
არსით არ მოსჩანს ცეცხლის ან კვამლის
მძინარ დაბაში კრთომა, ციალი.
სიჩუმეს არღვევს ყივილი მამლის
და შორეული ურმის ჭრიალი.
მაგრამ საცაა ჩაქცეულ ხევებს
გორის თავიდან დახედავს მთვარე
და მოდინახის ციხის ნანგრევებს
ვერცხლის ფერ შუქში აელვარებს.

როგორც დამოწმებული სტრიქონებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ემიგრაციაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შემოქმედებითი შთაგონების უმთავრეს წყაროდ დაუცხრომელი ნატვრის საგნად ქცეული სამშობლოსადმი ღრმად ნოსტალგიური სიყვარულის გამოხატვა იყო ქცეული. პირველ ყოვლისა სწორედ ამ თვალსაზრისით იპყრობს მკითხველის ყურადღებას გ. კობახიძის ვრცელი მოთხრობაც – „ავადმყოფი.“ მხატვრულ სრულყოფილებას აშკარად მოკლებული ამ ნაწარმოებისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესი ორი უმთავრესი ფაქტორითაა განპირობებული – პირველი, იმ ტრაგიკული ზემოქმედების ჩვენებით, რომელიც ბოლშევიკურ ხელისუფლებას მოუხდენია მის მონურ მსახურებად ქცეულ ადამიანთა ერთი ნაწილის ცნობიერებაზე და, მეორე, მასში ეთნოგრაფიული სიზუსტითაა აღწერილი შობა-ახალი წლის დღესასწაულის აღნიშვნასთან დაკავშირებული ხალხური ტრადიცია რაჭაში (როგორც გ. კობახიძის ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, მწერლის წინაპრები ნიკორწმინდიდან იყვნენ, რის გამოც იგი ძალიან ხშირად სტუმრობდა ხოლმე მშობლიურ სოფელს. მოწაფეობის პერიოდში, საზაფხულო არდადეგებზე, აქ იგი არა მარტო უბრალოდ ატარებდა დროს, არამედ ეთნოგრაფიულ მასალებსაც აგროვებდა და ბეჭდავდა კიდეც იმდროინდელ პრესაში).

იმისათვის, რომ ნათქვამმა მეტი დამაჯერებლობა შეიძინოს, მოკლედ გავიხსენებ ნაწარმოებში მოთხრობილ ამბავს.

სოფელში შობა-ახალიწლის დღესასწაულის დადგომასთან დაკავშირებული სამზადისი იყო გაჩაღებული. სადღესასწაულო დადგომა ყველაზე მეტად ბავშვებს უხაროდათ. ერთადერთი ბავშვი, რომელიც ამ საერთო მხიარულებაში მონაწილეობას არ ღებულობდა, ბეგლარას ქეთუნა იყო. ერთ დღეს მოთხრობის მთავარმა პერსონაჟმა პატარა გიუკამ (როგორც ნაწარმოებიდან ნათლად ჩანს, თავად ავტორმა) საკუთარი თვალით ნახა, ღობესთან მარტოდმარტო ატუზული გოგონა როგორი საწყალობელი თვალებით უცქეროდა სადღესასწაულო სამზადისით გართულ ბავშვებს. ამ ამბის შეტყობით შეწუხებული გიუკა გოგონასთან მივიდა და მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

„– ახალ წელს არ უქმობთ? – ვკითხე და თოვლის გუნდა შევკუმშე.

– აჰ, არა, ჭი... არ ვუქმობთ, – სევდიანი ხმით მითხრა მან, თან შევატყვე, ტირილი წამოერია. გავშტერდი...

– იმე, ქვე რატომაო!

– იჰ, დეიწვა ჩემი გაჩენა.

– რატომ, შე ქალო, თავს რაზე იწყევლი... შენ ეს მითხარი, რატომ არ უქმობთ, – ჩავაცივდი ჩემზე ერთი წლით უმცროს ქეთუნას.

– რატომ და ჩვენ კომუნისტები ვართ...

კიდევ გავშტერდი. პირველად გავიგონე ეს სიტყვა ამ ერთი ციდა გოგოსგან. აღარ ვიცოდი რა მეთქვა. „ალბათ ავად არიან!“ გავიფიქრე ჩემთვის, ხოლო მას კი ვკითხე:

– ყველა, თუ მარტო შენ?!

– ბეჩა, ყველა, აპა რავა...“

ამ ამბით შენუხებული გიუკა დედამ და ბებიამ დაამშვიდეს, ქეთუნა პატარა ხანში უსათუოდ განიკურნებაო და მისთვის გადასაცემად ტკბილეული გაატანეს. მაგრამ გოგონამ საჩუქრის მიღებაზე უარი განაცხადა:

„– მადლობთ, გენა, მაგრამ ვერ გამოგართმევ. მამაჩემმა რომ დამინახოს, დამბურდღნის!“

მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობისა, ქეთუნას საბოლოოდ მაინც სძლია ბავშვურმა სიხარბემ და იგი მადიანად შეუდგა საახალწლო ნუგბარის ჭამას: „– ღმერთმა გიშველოს-ყე... ამბობდა პირსავსე გოგო და თან მალიმალ თავისი სახლისაკენ გაიხედავდა, ხომ არ მიყურებენო. მე ვამშვიდებდი, უფერებდი, ჩამოშლილ წაბლისფერ თმებზე ხელს უთათუნებდი.

– ჭამე, ჭამე, მალე მორჩები! – ვეუბნებოდი თანაგრძნობის ხმით.

– იიჰ?! – მაშინ ჩემთვის გაურკვეველი ღიმილით გადმომხედა მან, – ვითომ ავად როდი ვარო!

– ჰო, ჰო, ღმერთმანი, მართალს გეუბნები, მალე მორჩები, ასე მითხრა ბებიამ.“

„ქართველი ერის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალებიდან რამდენიმე სიტყვა გიორგი გამყრელიძის წერილზეც მინდა ვთქვა. იმხანად ამერიკაში მცხოვრები ამ ნიჭიერი პოეტის ხსენებულ წერილში, რომელიც თბილისში გამოცემული გრიგოლ აბაშიძის ლექსებისა და პოემების ერთტომეულის რეცენზიას წარმოადგენს, მაღალპროფესიულადაა წარმოჩენილი მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ამ ერთ-ერთი ნიჭიერი წარმომადგენლის პოეტური შემოქმედებისთვის ნიშანდობლივი ტენდენციები. გ. გამყრელიძის შეფასებით, გრ. აბაშიძე „ჭეშმარიტად მაღალი ღირსების პოეტი“ იყო, ქართული პოეტური ტრადიციების გამგრძელებელი, „მაღალი ხარისხის და ფართე მასშტაბების“ მქონე ლექსების „მეტად ნიჭიერი ავტორი.“ იმისათვის, რომ გრ. აბაშიძის პოეტური შემოქმედების მისეულ შეფასებებს მეტი სიცხადე და დამაჯერებლობა შესძინოს, რეცენზიაში კონკრეტული მაგალითებიცაა დამოწმებული პოეტის პატრიოტული ლირიკიდან.

გრ. აბაშიძის პოეზიისადმი გ. გამყრელიძის ამგვარი დამოკიდებულება შემთხვევით მოვლენას რომ არ წარმოადგენდა, ეს იმ ფაქტითაც დასტურდება, რომ 1957 წელს ჟურნალ „კრებულში“ გამოქვეყნებულ მის ერთ-ერთ ლექსში („მიწა ქართული“) აშკარად იგრძნობა გრ. აბაშიძის ქვემოთ დამოწმებული ლექსის (დაწერილია 1955 წ.) პოეტური ზეგავლენის კვალი.

თვითონ არ ვიცი, ასე რად ხდება,
სადაც კი ვნახავ ლამაზ მთა-გორებს,
სადაც ლამაზი მთა-ბარი მხვდება,
ჩემს საქართველოს რატომ მაგონებს.
მისი ხატება, როგორც ლამპარი,
მინათებს გზას და თან დავატარებ,
თუ სადმე მხვდება ტურფა მთა-ბარი,
ჩემი სამშობლოს მთა-ბარს ვადარებ.

და მე არ მინდა სხვა ნეტარება,
თუნდ დავიარო მთელი სამყარო,
ალბათ ვერ ვპოვებ სხვა შედარებას,
მხარე ლამაზი რომ შევადარო!

იმისათვის, რომ გ. აბაშიძის ციტირებულ ლექსსა და გ. გამყრელიძის ზემოთ ნახსენებ ნაწარმოებს შორის არსებული მსგავსება მკითხველს უფრო ნათლად დავანახოთ, გ. გამყრელიძის ლექსიდან აქ იმ სტრიქონებსაც გავიხსენებ, რომლებსაც, ჩემის აზრით, აშკარად ეტყობათ გრ. აბაშიძის პოეტური ზეგავლენის კვალი: „და მე ამ ქვეყნად შენი სადარი არ მეგულება სხვა კუთხე არსად;“ „მაგრამ ვერცერთი ქვეყნის მშვენება მე შენს მშვენებას ვერ დავამსგავსე;“ „მე მოვიარე ქვეყნები ბევრი, ვნახე მრავალი ჭალა და ტევრი, მაგრამ სად იყო მიწა ქართული?!“

გარდა ზემოთ ხსენებული პუბლიკაციებისა, „ქართველ ერში“ გამოქვეყნებული წერილებიდან ასევე საინტერესოა: გრიგოლ დიასამიძის „ქართული თეატრი,“ გივი კობახიძის „დავით გურამიშვილი“ და „ივანე ჯავახიშვილი“ და სხვ. ამ წერილების გამოქვეყნების უმთავრესი მიზანი იყო, საქართველოს ისტორიის დიდმნიშვნელოვანი ეპიზოდების გახსენებითა და ქართველი ხალხის უკვდავი შვილების ეროვნული ღვაწლის განდიდებით უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების გულში კიდევ უფრო მეტად გაღვივებულიყო სიყვარული მარადიული ნატვრის საგნად ქცეული სამშობლოსადმი.

* * *

ჟურნალი „კრებული,“ როგორც სათაურის ქვემოთ გაკეთებულ სარედაქციო განაცხადშია მითითებული, ქართული ლიტერატურის, ისტორიისა და ხელოვნების ყოველწლიურ ორგანოდ ჩაფიქრებულ გამოცემას წარმოადგენდა. მართალია, რედაქტორმა ხსენებული ჟურნალის მხოლოდ ერთი ნომრის დაბეჭდვა შეძლო, მაგრამ მასში გამოქვეყნებული მრავალფეროვანი მასალები ყოველგვარი დაეჭვების გარეშე ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ „კრებულის“ შემოქმედებითი კოლექტივის ეს კეთილშობილური სურვილი სტაბილურად მისი გამოცემის შემთხვევაში უსაფუძვლო ოცნების საგნად არ დარჩებოდა და იგი ნამდვილად იქცეოდა უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების შემოქმედებითი და მეცნიერული შესაძლებლობების რეალურად წარმომჩენ ერთ-ერთ საინტერესო პერიოდულ ორგანოდ. იმისათვის, რომ ნათლად დავრწმუნდეთ ყოველივე ზემოთქმულის სიმართლეში, ქვემოთ კონკრეტულად გავაანალიზებ მის ფურცლებზე გამოქვეყნებულ განსაკუთრებით საინტერესო ნაწარმოებებს.

როგორც მოსალონელი იყო, „კრებულში“ გამოქვეყნებული ყველა მასალა ქართულ თემატიკას ეძღვნება და საბჭოთა საქართველოში იმხანად გაბატონებული იდეოლოგიური დოგმატიზმისაგან თავისუფალი ფორმით გამოხატავს ემიგრაციაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების თვალთახედვას. უმთავრესი ტენდენცია, რომელიც ამ მასალებს გამჭოლ ხაზად გასდევს, ეს მათი ავტორების მძაფრად ნოსტალგიური სიყვარულია შორეული მონატრების საგნად ქცეული სამშობლოსადმი. ამ ნოსტალგიის პირველგამოვლინებას მკითხველი ჟურნალის ხელში აღებისთანავე იგრძნობს მის გარეკანზე გამოხატული ნიკორწმინდის ტაძრის ფოტოთი. ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან ნიკორწმინდის ტაძრის გამორჩევა, სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებთან ერთად, ალბათ იმ რომანტიკულმა სიყვარულმაც განაპირობა არსებითად, რითაც ბავშვობის დროიდან მოყოლებული იყო რაჭასთან დაკავშირებული თავად „კრებულის“ რედაქტორ-გამომცემელი.

იმის გამო, რომ ჟურნალის გამოსვლა ილია ჭავჭავაძის მკვლელობიდან 50 წლისთავს დაემთხვა, „კრებულის“ პირველი პუბლიკაციები სწორედ ამ ტრაგიკულ მოვლენას ეძღვნება. ესენია: გორდა მახვილაძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული თავად რედაქტორ-გამომცემლის წერილი „50 წელი ილიას გარდაცვალებიდან“ და გიორგი გამყრელიძის ლექსი „ილიას 50 წლის დაღუპვის თავზე.“ ხსენებულ პუბლიკაციათა უმთავრესი ღირსება პირველ ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მათში ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვითაა შეფასებული ჩვენი დიდი წინაპრის გამორჩეულად მნიშვნელოვანი როლი ქართველი ერის ისტორიაში.

მაგალითად, გ. გამყრელიძის შეფასებით, ილია ჭავჭავაძის ტოლი მამულიშვილი ქართველველ ერს მთელი მისი ისტორიის მანძილზე არ მოვლენია. აი, როგორ გამოხატავს პოეტი ამ აზრს ხსენებულ ლექსში ილიასადმი მიმართვის ფორმით:

ჩვენ არ ვივიწყებთ თავდადებულთ ძველსა და ახალს,
იმათ სახელებს ვინ ჩამოთვლის მრავალ წყებიანს?
მაგრამ ჯერ მებრძოლს შენზე დიადს და შენზე მაღალს
ქართლში ცხოვრება არასოდეს არ ღირსებია.

რაც შეეხება გივი კობახიძეს, მისი შეფასებით, „ილია ჭავჭავაძე საქართველოსთვის იყო იმაზე მეტი, რასაც სხვა ქვეყნებში „მეფე“ ეწოდება. იგი იყო ყველაფერი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ნამდვილი მეთაური, წინამძღოლი, მეურნე, მოჭირნახულე, მფარველი, შემნახავი მშობელი ერისა, თავისი ხალხისა, სამშობლოსი, მისი კულტურისა, მისი მეობის, მისი თავმოყვარეობის, მისი სიამაყის.“

ილიას ღვაწლისადმი გ. კობახიძის ამგვარ დამოკიდებულებას, ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად, არსებითად განაპირობებდა ის ფაქტიც, რომ, მისი შეფასებით, იგი „ქართული ნაციონალიზმის დროშა იყო,“ ჩვენი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის ბრძოლის ბელადი და წინამძღოლი. ვფიქრობ, ყოველგვარი ზედმეტი კომენტარების გარეშეც ადვილი მისახვედრია, ილია ჭავჭავაძის მამულიშვილური ღვაწლის შეაფასების დროს რატომ ანიჭებდა გ. კობახიძე ყველაზე დიდ მნიშვნელობას ჩვენი დიდი წინაპრის უდიდეს დამსახურებას სწორედ ზემოთ აღნიშნული მიმართულებით.

„კრებულის“ რედაქტორ-გამომცემელი ამ თვალსაზრისით გამონაკლისი არ არის და, როგორც უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ნააზრევიდან თვალნათლივ ჩანს, ქართველი ერის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავისუფლებისათვის აქტიურად მებრძოლი ქართველი ემიგრანტებისათვის ილია ჭავჭავაძის ღვაწლი უპირველეს ყოვლისა სწორედ იმიტომაც იყო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, რომ იგი ყველაზე მეტად შეესაბამებოდა მათ მამულიშვილურ იდეალებს.

იმის გამო, რომ „კრებული“ ქართველი ემიგრანტებისათვის გამიზნულ პერიოდულ გამოცემას წარმოადგენდა, მასში გამოქვეყნებული ყველა მასალა საქართველოს თანადროულ ყოფასთან და ისტორიასთან იყო დაკავშირებული. ამ მასალების ერთი ნაწილი საქართველოში მცხოვრებ ავტორებს ეკუთვნის. კერძოდ, ჟურნალში დაბეჭდილია: გ. ტაბიძის „ქებათა ქება ნიკორწმინდას“, ი. გრიშაშვილის „ორი სიზმარი“ და „ფიქრთა ტალღავ“, გრ. აბაშიძის „ულუ დავითის დაბრუნება“, კ. ნადირაძის „პაოლო იაშვილს“, „თუ ედემს ეძებ“ და „როცა მყინვარი დედოფალ თბილისს.“

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ამ ცნობილი ოსტატების პოეტურ ქმნილებათა გამოქვეყნებით ჟურნალის რედაქტორი შეეცადა მშობლიურ წიაღს მოწყვეტილი ჩვენი თანამემამულეებისთვის არა მარტო იმ შემოქმედებით წარმატებებზე შეექმნა გარკვეული წარმოდგენა, რასაც საბჭოთა იმპერიის ნაწილად ქცეულ საქართველოში მცხოვრები ქართველი მწერლები აღწევდნენ, არამედ კომუნისტური რეჟიმის მძვინვარების მიუხე-

დავად დაუთრგუნველ იმ პატრიოტულ სულისკვეთებაზეც, რითაც მათი შემოქმედება ხასიათდებოდა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ დასახელებული პოეტების შემოქმედებიდან „კრებულის“ რედაქტორ-გამომცემელი ემიგრანტ მკითხველს პირველ ყოვლისა სწორედ პატრიოტული სულისკვეთების მქონე ლექსებს სთავაზობდა.

ქართული ემიგრანტული პოეზია „კრებულში“ სამი ემიგრანტი ავტორის: გიორგი გამყრელიძის, გივი კობახიძისა და ლადო ბელიაშვილის ლექსებითაა წარმოდგენილი. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით, ეს ნაწარმოებები, გარდა გ. გამყრელიძის ლექსებისა, საკმაოდ სუსტ ქმნილებებს წარმოადგენენ. რაც შეეხება გ. გამყრელიძეს, მისი პოეტური პუბლიკაციებით კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით იმაში, რომ ამ ავტორის სახით ქართულ ემიგრანტულ პოეზიას უთუოდ ჰყავდა ერთ-ერთი გამორჩეულად ნიჭიერი წარმომადგენელი. ნათქვამის დასტურად, ვფიქრობ, სერვანტესის დონ-კიხოტიდან კარგად ცნობილი როსინანტისადმი მიძღვნილი მისი ლექსის გახსენებაც იქნება საკმარისი:

თქვენ ხომ იცნობდით საკვირველ მერანს,
(სადღაა ეხლა მსგავსი ცხენები?)
ჩასცქერდა მიწას ბებერს და ვერანს
და დაქანცული იყო ჭენებით.
სჭამდა დღითი დღე ნაკლებს და ნაკლებს,
საშინელ ილბალს მიანდო თავი.
ბინდი მოედო მის თვალთა კაკლებს
და როსინანტი მოკვდა უკვდავი.
მას არ ჰყოლია პატრონად სულლა,
არც კალიგულა უტარებია,
ის არ გამხდარა არსად კონსულად,
არც თავი პეგასს უდარებია.
ზარნიშთა ჯიღა არ დგმია თავზე,
ფეხზე არ ჰკვრია ოქროს ნალები,
მაგრამ ის იყო ოცნებით სავსე
და უმწვერვალეს იდეალებით.
როცა ბრწყინვალე მისი რაინდი
ქარის წისქვილთა ებრძოდა კიბეს,
ის სიკვდილებმა უცბათ მოთიბეს
და დაეუფლა მარადის ბინდი.
ეხლა ძეგლებით აღარ გვაკვირვებს
დავიწყებული მისი ცხედარი.
და დარჩა სანჩოს და იმის ვირებს
მას შემდეგ ბურთი და მოედანი.

„კრებულში“ გამოქვეყნებული გ. გამყრელიძის ლექსებიდან წარმოსახვის ორიგინალობითაც და პოეტური ოსტატობის მხრივაც ასევე საინტერესო ნაწარმოებია „მხოლოდ არასოდეს.“ მიუხედავად იმისა, რომ ლექსის რიტმულ-მუსიკალურ ჟრერადობას აშკარად ეტყობა გ. ტაბიძის პოეტური ზეგავლენის კვალი, იგი მაინც უნდა ჩაითვალოს გ. გამყრელიძი პოეზიის ერთ-ერთ საგულისხმო ნიმუშად:

მოჩანს სარკმელიდან ღრუბლით დაქარგული
დისკო გაცრეცილი მთვარის ავიონი.
იყვნენ პოეტები შენზე დაკარგულნიც:
ტერენტი გრანელი და ფრანსუა ვიიონი.

ლექსის სიხალასეს სხვისთვის იმეტებდი,
მაგრამ შეისუდრე თალხი წყვდიადებით,
ნეტავ სით გაფრინდნენ ყველა იმედები,
გუნდი ტრედებისა და განთიადები?
უკან კლდეებია, სჩანან წინ კედლები...
ხედავ კაცის მკვლელებს მრავალ კადრებიანს.
შენ გულს დაფლითავენ შავი ფრინველები,
ღამის ვამპირები სისხლით დათვრებიან.
სადღაც, დეტროიტში, კაცი საკვირველი
ხშირად ლენორაზე ბნელ ფიქრს ეძლეოდა,
შავი ნახშირივით ყვავი საშინელი
იმის სიმარტოვეს ღამით ეწეოდა.
არის სასურველი შავი ფრთოსანისთვის –
სახლის ყველა კარი მაგრად ჩარაზოდეს,
ყორნის პასუხია ობოლ მგოსნისათვის
ყველა შეკითხვაზე:
მხოლოდ „არასოდეს“...
მარტო „არასოდეს.“

„კრებულში“ გამოქვეყნებული მესამე ლექსით გ. გამყრელიძე ილია ჭავჭავაძის ტრაგიკული დაღუპვიდან 50-ე წლისთავსაც გამოეხმაურა და პოეტური ფორმით კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მის განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. კერძოდ, პოეტის შეფასებით, ილია „სიყვარულისა და შერიგების მქადაგებელი“ ის მამულიშვილი იყო, რომელმაც არა მარტო უბრალოდ „გამოაფხიზლა და გაანათა ჩვენი ქვეყანა,“ არამედ ლაზარესავითაც გააცოცხლა და აღადგინა იგი მკვდრეთით. ამიტომაცაა, რომ მისთვის წიწამურში ნასროლი სასიკვდილო ტყვია ფაქტობრივად ყოველ ქართველსაც მოხვდა გულში:

როცა გესროლეს წიწამურში მუხთალი ტყვია,
განა შენ მოგკლეს? ჩვენც დაგვკოდეს შენთან ზიარად,
ჩვენც გულში მოგვხვდა შენი ტყვია, ჩვენო ილიავ,
და გულში დაგვაქვს შენს სახელთან მწარე იარად.

რაც შეეხება „კრებულში“ დასტამბულ გ. კობახიძისა და ლ. ბელიაშვილის ლექსებს, თავიანთი პოეტური ოსტატობის ხარისხით ისინი აშკარად ჩამოუვარდებიან გ. გამყრელიძის ციტირებულ პოეტურ ნაწარმოებებს. ერთადერთი, რითაც ეს ლექსები მკითხველის დაინტერესების საგნად შეიძლება იქცნენ, მათი ავტორების ნოსტალგიურ გრძნობათა პოეტური ფორმით გამოხატვის მცდელობაა. მაგალითად, რაჭისადმი მიძღვნილ ლექსში გ. კობახიძე შემდეგნაირად გამოხატავს თავისი ბავშვობის ღვიძლ ნაწილად ქცეული კუთხისადმი სიყვარულს: „სანატრელო! ვიყო სამგზის წყეული, თუ ჩამიქრეს შენი ტრფობის ხანძარი!“

„კრებულში“ გამოქვეყნებული მასალებიდან დღევანდელი მკითხველისათვის ყველაზე მეტად საინტერესო და ფასეული პირველ ყოვლისა ის პუბლიკაციებია, რომლებშიც ახლებური თვალთახედვითაა გააზრებული ქართული მწერლობის ისეთი დიდი წარმომადგენლების ცხოვრებასთან და შემოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები, როგორებიც იყვნენ შოთა რუსთაველი, გრიგოლ ორბელიანი, აკაკი წერეთელი და ალექსანდრე ყაზბეგი.

მაგალითად, რუსთველოლოგიაში ფართოდ დამკვიდრებული შეხედულებისაგან განსხვავებით, გიორგი გამყრელიძე (იხ. მისი წერილი – „შოთას „ვეფხის ტყაოსანზე“

და მის მკვლევარებზე") ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსნის" სხვადასხვა ხელნაწერს შორის არსებული „მთავარი განსხვავებანი აუცილებლად სხვის ხელს, ესე იგი ყალბის მქნელს კი არ უნდა მიეწეროს, არამედ თვითონ რუსთაველს!"

ამგვარ ტექსტოლოგიურ განსხვავებათა განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად გ. გამყრელიძე პირველ ყოვლისა პოემის სრულსაყოფად გაწეულ იმ დიდ შემოქმედებით შრომას მიიჩნევს, რომელსაც, მისი მტკიცებით, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა პოეტი. „ასეთი ღრმა, უნივერსალური და დიადი პოემა, – წერს იგი, – არ იწერება ერთი ხელის მოსმით, ერთი საბოლოო ტექსტით, შეუსწორებლად და მოკლე დროში, არამედ ასეთ უკვდავ და დიად პოემას სჭირდება ბევრი დრო, ბევრი ფიქრი და შრომა. შემოქმედების ამ პროცესში ხდება ხანდახან დიამეტრალური ცვლილებებიც კი და რაღა თქმა უნდა პატარა და უმნიშვნელო შესწორებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია."

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მოსაზრებას გ. გამყრელიძე ზოგადად, კონკრეტული არგუმენტების მოუშველებლად, გამოთქვამს, „ვეფხისტყაოსნის" საბოლოო ტექსტის დადგენის დროს, ჩემის აზრით, არც ხსენებული თვალსაზრისი უნდა იქნეს დატოვებული უყურადღებოდ.

გ. გამყრელიძის წერილისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ ავტორი საბჭოთა პერიოდის საქართველოში თვით რუსთველოლოგებისთვისაც კი თითქმის სრულიად უცნობი და ხელმიუწვდომელი ემიგრანტული რუსთველოლოგიური ნაშრომების შესახებაც გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას. მხედველობაში მაქვს უცხოეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულეების: ვიქტორ ნოზაძისა და ლადო ბელიაშვილის ნაშრომები „ვეფხისტყაოსანზე." განსხვავებით ვ. ნოზაძისაგან, რომლის მეცნიერული მემკვიდრეობა დღეს უკვე თავისუფლად ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, ცნობილი მწერლის – აკაკი ბელიაშვილის ძმის – ლადო ბელიაშვილის მოღვაწეობის შესახებ ქართველი საზოგადოების უდიდესი ნაწილისათვის თითქმის არაფერია ცნობილი.

როგორც გ. გამყრელიძის წერილიდან ვგებულობთ, ემიგრანტობის პერიოდში გამოცემულ მის ნაშრომში – „რუსთაველისა და დანტეს იდუმალი," ფაქტობრივად, რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში პირველად, სპეციალური მსჯელობის საგნად იყო ქცეული „ვეფხისტყაოსნის" ავტორის ასტრონომიული აზროვნება. გ. გამყრელიძის მართებული ხაზგასმით, „ამ მხრივ ლ. ბელიაშვილის შრომა რუსთველოლოგიაში ახლის მთქმელად გვევლინებოდა."

მიუხედავად განხილული ნაშრომების უთუო მეცნიერული ღირსებებისა, „კრებულში" გამოქვეყნებული მასალებიდან ყველაზე მეტად საინტერესო, ჩემის აზრით, პირველ ყოვლისა მაინც გრიგოლ დიასამიძის „ჩემი მოგონებაა," რომელშიც XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენელთა ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებით არაერთი მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოწოდებული. ამ ინფორმაციებისადმი ნდობის ხარისხს არსებითად ზრდის ის ფაქტი, რომ მათ იმ პერიოდის ჩვენი კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი აქტიური და თვალსაჩინო წარმომადგენელი გვაწვდის, როგორიც გრ. დიასამიძე იყო, ფართოდ ცნობილი პერიოდული ორგანოს – გაზეთ „თემის" რედაქტორ-გამომცემელი 1911-1915 წლებში.

ნათქვამის დასტურად აღნიშნულ ინფორმაციათაგან დავიმოწმებ ორიოდე მაგალითს.

განსხვავებით ბევრი მისი თანამედროვისაგან, რომელთა აზრითაც აკაკი წერეთელს ცოლ-შვილთან ხშირ შემთხვევაში საკმაოდ გართულებული ურთიერთობა

ჰქონდა, გრ. დიასამიძე ამტკიცებს, რომ სინამდვილეში ეს სულაც არ ყოფილა ასე და „თავის დროზე გავრცელებული ხმა, თითქო გაყრილი იყვნენ აკაკი და მისი ცოლი, უნდა იქნეს უკუგდებული, როგორც ჭორი და ცილი. ისინი მუდამ მეგობრულ მიწერ-მოწერაში იყვნენ. მე, გრიგოლ დიასამიძეს, როგორც აკაკის ლიტერატურულ ანდერძის ამსრულებელს, მევალება ავწერო აკაკის და მისი ოჯახის ურთიერთობა. შვილი მისი თუმცა კურსდამთავრებული ინჟინერ-მექანიკოსი იყო, მაგრამ მიდრეკილებით ხელოვნების, მეტადრე საოპერო საქმის მოტრფიალე იყო. ქონდა განსაკუთრებული ხასიათი, კეთილი და მოსიყვარულე. ამიტომ ყველა მსახიობ-მომღერლებს უყვარდათ ის, როგორც ადამიანი და ნიჭიერი მსახური ხელოვნებისა. ბევრი წარჩინებული მომღერალი დააყენა თავის ფეხზე. მისი საქმიანობა მოითხოვდა დიდ თანხებს... მსახიობთა გარდა ალექსი წერეთელს ჰმეგობრობდნენ მხატვრები. მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ აკაკის შვილს დარჩა მეტად ძვირფასი ქონება – დეკორაციები, სურათები და სხვა სათეატრო მოწყობილება... შვილს აწუხებდა მუდამ სევდა, რომ დაშორებული იყო სამშობლო ქვეყანას. ერთხელ მოაწყო თბილისის საოპერო საქმე – მოწვეული ჰყავდა პრიმადონნა ნადეჟდა ვან-დერ-შრანდტი და მშვენიერი ტენორი ანტე ბრონაჩიჩი, მაგრამ ამ საქმემ ზარალის მეტი არა მისცა რა. მეგობრებმა შეუგროვეს ფული და ისე გაათავეს სეზონი, თორემ უსიამოვნო ბოლო მოელოდა. მე მახსოვს, როგორი შეწუხებული იყო აკაკი, რომელიც ვერ შორდებოდა სამშობლოს, ბოჰემურ ცხოვრებას ეწეოდა და ამიტომ მოგზაურობა, სტუმრობა მისთვის ერთგვარ საჭიროებას შეადგენდა.“

გრ. დიასამიძე ასევე უაღრესად საინტერესო ცნობას გვაწვდის ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ აგორებულ იმ ჭორთან დაკავშირებითაც, თითქოს მისი ავტორობით ცნობილი ნაწარმოებები სინამდვილეში ბიძამისის – დიმიტრი ყაზბეგის დაწერილი იყო. მართალია, დღეს ეს ცილისმწამებლური ბრალდება უკვე ყოველგვარი დაეჭვების გარეშეა უარყოფილი, მაგრამ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ხსენებული საკითხი არაერთგზის ქცეულა მწვავე განსჯისა და მსჯელობის საგნად.

გრ. დიასამიძის ზემოთ ხსენებული პუბლიკაცია უაღრესად საინტერესო იმითაცაა, რომ მასში ავტორი იმდროინდელ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ამ ჭორის უარსაყოფ კონკრეტულ არგუმენტებსაც გვთავაზობს საკმაოდ მრავლად. ნათქვამის დასტურად წერილიდან, ვფიქრობ, თუნდაც ამ ფრაგმენტის გახსენებაც იქნება საკმარისი: „ჩვენი ოჯახის მეგობრებიდან კარგად მახსოვს მწერალი ალექსანდრე მოჩხუბარიძე-ყაზბეგი. როცა ის გვიყვებოდა ამბავს, გაფაციცებით ვუსმენდით მე და ჩემი ძმა სანდრო მის ნაამბობს. დიდი ნიჭი ეტყობოდა მას. ამიტომ არ ვიზიარებ ზოგიერთთა მოსაზრებას, თითქოს ალ. ყაზბეგის თხზულებათა ავტორი იყო მისი ნათესავი დიმიტრი ყაზბეგი. მე თვითონ მინახავს სანდრო გაზეთ „დროების“ რედაქციაში ერთ პატარა კუნჭულში მიმჯდარი მაგიდასთან. თავისი ბეცი თვალებით, კალმით ხელში სწერდა თავის მოთხრობებს. მერე უნიჭო რომ ყოფილიყო, ისეთი მცოდნე და ნიჭიერი რედაქტორი – ვანო მაჩაბელი მიიწვევდა გამოუსადეგარ თანამშრომელს?.. ჩემ დროს კი არ იყო გავრცელებული, რომ სანდრომ დიმიტრის მოჰპარა მოთხრობები და თავისად მიიჩნია, არამედ დიმიტრის მიერ შეგროვილი მასალა სახალხო ზეპირსიტყვიერებისა... ამის მოპარვას აბრალებდა მისი ნათესავი, დიმიტრის დაი, ბებია-ქალი ელისაბედ ყაზბეგისა. ეს ადამიანი მეტად გულ-ამრეზილი იყო სანდროს მიმართ... სამწუხაროდ, ეს ადამიანი მოჩანდა მეჭორედ. ყაზბეგიანთ ოჯახში დიდი უსიამოვნება ტრიალებდა მამულების მემკვიდრეობის გამო... ელისაბედმა გამოურკვევლად პირდაპირ თავის ნათესავს დასწამა პლაგიატობა, ჯერ მცირედი რამ – შეგროვილ ზეპირ-სიტყვაობის მასალების მითვისება დასწამა, მერე გაკადნიერდა,

გაადიდა თავისი ბრალდება და სანდროს მთელი შემოქმედება წაართვა და თავის ძმას მიუთვისა... მთელი ეს ამბავი ოჯახურ უსიამოვნებაზე აგებული საზიზღარი ჭორია."

„კრებულისადმი" ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ იგი უცხოეთში მცხოვრები იმ ჩვენი თანამემამულეების შესახებაც გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას, რომლებიც ქართველი საზოგადოებისათვის დღეს ნაკლებად არიან ცნობილნი. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ფასეულია ჟურნალის რედაქტორ-გამომცემლის მიერ გ. მახვილაძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი მხატვარ ლადო სააკაძის შესახებ. იგი უცხოეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გადახვეწილი ჩვენი თანამემამულე ყოფილა. სამწუხაროდ, მის შესახებ წერილის ავტორსაც და მის ნაცნობებსაც იმხანად იმდენად მცირე ინფორმაცია ჰქონიათ, რომ არა თუ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის თაობაზე არ მოეპოვებოდათ რაიმე მნიშვნელოვანი ცნობები, არამედ დაზუსტებით იმის თქმაც კი არ შეეძლოთ, სად და რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა იგი.

გ. კობახიძის თქმით, ლადო სააკაძის სახელი პირველად მას ათიოდე წლის წინათ გაუგონია ჩვენი ემიგრანტი პოეტის – გიორგი გამყრელიძისაგან. მოგვიანებით მას მისგან დამატებით ისიც შეუტყვია, რომ ეს ნიჭიერი მხატვარი, რომელსაც თბილისის სამხატვრო აკადემია უნდა ჰქონოდა დამთავრებული, სავარაუდოდ თურმე სამხრეთ ამერიკაში ცხოვრობდა. რაიმე სხვა ცნობა ლ. სააკაძის შესახებ მას არ ჰქონია.

გ. გამყრელიძის ინფორმაციით, მისი ლექსების შინაარსის საფუძველზე ლ. სააკაძეს რამდენიმე სურათი ჰქონია დახატული. ამ ნახატებზე დაყრდნობით, გ. გამყრელიძეს რომ უსახსოვრებია გ. კობახიძისთვის, წერილის ავტორი ჩვენი საზოგადოებისათვის სრულიად უცნობი ამ ემიგრანტი ქართველი მხატვრის შემოქმედებას ასეთ შეფასებას აძლევს: „მისი სურათები თბილი, ტკბილი მშობლიური განწყობილებისაა, რომელშიც ეფექტი და ოცნება სჭარბობს მშრალ რეალიზმს. ამიტომ ლადო სააკაძის სურათები უფრო რომანტიკულია, ვიდრე რეალისტური. დეტალებში მისი სურათები შეიძლება სუსტი მოეჩვენოს მნახველის თვალს. მაგრამ რომანტიზმი დეტალებში ხომ თითქმის მუდამ სუსტია?! სიძლიერე და ღირსება ლადო სააკაძის მხატვრობისა სწორედ მისი რომანტიკულობაა. იგი უმთავრესად ხატავს რომანტიულ მშობლიურ თემებზე და არის აგრეთვე კარგი პორტრეტისტიც. სამწუხაროდ, მისი ადგილ-სამყოფელი ვერ გავარკვიეთ, რომ ხმა მიგვეწვდინა და მისგან ახალი ნახატები მიგვეღო. შესაძლებელია, როგორმე ეს კრებული მოხვდეს მის ხელში და თვით გამოგვეხმაუროს?!"

როგორც გ. შარაძემ გაარკვია, ლ. სააკაძე ფსევდონიმი ყოფილა არგენტინაში მცხოვრები ემიგრანტი ქართველი მხატვრის – ერასტი იაშვილისა, რომელიც თურმე არგენტინაში, ბუენოს-აირესთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ლომას დე ზამორაში ცხოვრობდა ცნობილი ემიგრანტი მწერლის – აკაკი პაპავას ოჯახის მეზობლად. მეორე მსოფლიო ომში წასვლამდე საქართველოში მას ჰყოლია მეუღლე და ორი შვილი, არგენტინაში დამკვიდრების შემდეგ კი იქაური ქალი შეურთავს, რომლისგანაც ერთი ქალიშვილი შესძენია (შარაძე 1993: 459).

ლ. სააკაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად აქ გ. კობახიძის დღიურიდან გ. შარაძის მიერ მოშველიებულ ამ ფრაგმენტსაც დავიმოწმებ: „1989 წლის 8 დეკემბერს... თამარ და აკაკი პაპავას უფროს ქალიშვილს დავურეკე... მე მაინტერესებდა მხატვარ ლადო სააკაძის ამბავი. თურმე ძალიან ახლოს იცნობენ და მათთან ახლოსაც ცხოვრობენ. ავადმყოფობს. დიდ გასაჭირშია. ახლა პენსიაზეა გასული, მაგრამ ნაწილობრივი დროით მაინც მუშაობს

თურმე გერმანელის შუშის ქარხანაში. შუშას მხატვრულ დეკორაციებს უკეთებს... მისი ნამდვილი გვარი იაშვილია, სახელიც მითხრა: ერასტო. ერასტო იაშვილი. მამა მღვდელი ჰყოლია. კახეთში გაუმწესებიათ მღვდლად და ერასტო იქ დაბადებულა... კახეთში ჰყოლია ცოლი, შვილები და შვილიშვილები. ბოლო დროს გაუბამს მიწერ-მოწერა საქართველოში, მაგრამ წერილებს იშვიათად იღებსო. თურმე თავს ირჩენდა დიდი, ცნობილი მხატვრების ნახატთა გადახატვით (რეპროდუქციით), მათ ჰყიდდა. თვითაც ხატავდა, უმთავრესად პეიზაჟებს, ფრანგულს (იქ ყოფილა ნამყოფი) და არგენტინისა, ასევე ქართულსაც. რამდენიმეჯერ იყო თურმე გამოფენა და კარგი გამოხმაურება მიიღო. აქვს ქართული ცხოვრებიდან სურათები. ახლა 72 წლისაა“ (შარაძე 1993: 462).

„კრებულში“ დასტამბული მასალებიდან რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა გივი კობახიძის წერილზეც – „მიხეილ წერეთლის ნაამბობი, ჩანაწერი.“ მემუარული ხასიათის ამ წერილისადმი დღევანდელი მკითხველის ინტერესს არსებითად განაპირობებს ის ფაქტი, რომ მ. წერეთლის მონათხრობზე დაყრდნობით გ. კობახიძის ჩანაწერი რამდენიმე ახალი ეპიზოდით ამდიდრებს ჩვენს ცოდნას ქართული მწერლობისა და მეცნიერების ისეთი ცნობილი წარმომადგენლების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, როგორებიც იყვნენ: იაკობ გოგებაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მარი და სხვები. გ. კობახიძის თქმით, ხსენებულ მოღვაწეებთან დაკავშირებული ეს ეპიზოდები მას მ. წერეთლისაგან პირადად ჰქონია მოსმენილი 1945 წლის ზამთარში ბოლშევიკების დევნილობისაგან თავის დახსნის მიზნით გერმანიაში, ზემო ჰესენის ერთ-ერთ პატარა სოფელში, თავშეფარების დროს. წერილის ავტორის თქმით, ერთადერთი რამ, რაც „გაურკვეველი მოლოდინით გარემოცულებსა და თანამემამულეებს მოწყვეტილთ“ ზამთრის მძიმე ღამეებში მათ სულიერად აძლებინებდათ, მხცოვანი მეცნიერის დაუსრულებელი მოგონებები იყო ჩვენი ერის სახელოვანი შვილების ცხოვრებასთან და საქმიანობასთან დაკავშირებით.

გ. კობახიძის ხაზგასმით, იგი თურმე არა მარტო უბრალოდ ისმენდა დიდი მეცნიერის ნაამბობს, არამედ ყველაფერს იწერდა კიდეც იმავე ღამეს ან მეორე დღეს, რის გამოც ხსენებულ ჩანაწერებში მ. წერეთლის „ნაამბობის პირვანდელი სახე სიზუსტითაა დაცული.“

გარდა დასახელებული მასალებისა, „კრებულში“ ასევე გამოქვეყნებულია: თამარ და აკაკი პაპავას „მოსკოვის ქართული ემიგრაცია და ბატონიშვილი დარეჯან,“ გიორგი კერესელიძის „გრიგოლ ორბელიანი,“ რევაზ გაბაშვილის „ქართული მოდგმის წვლილი მსოფლიო ცივილიზაციაში,“ ირაკლი ოთხმეზურის „შოთა რუსთაველისა და მისი პოემის გარშემო,“ გივი კობახიძის „ახალი დოკუმენტები დიასამიძეთა საგვარეულოს ისტორიისათვის,“ მისივე „ხრესილის ომი“ და „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში,“ ალექსანდრე მანველიშვილის „გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა, შრომა პ. ინგოროყვასი,“ გ. მახვილაძის „დ. მ. ლენგი და მისი კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიაში“ და მისივე „მიქელ თარხნიშვილის ღვაწლი.“

როგორც განხილული და ჟურნალში დასტამბული სხვა მასალების დასახელებითაც თვალნათლივ ჩანს, „კრებული“ მაღალი აკადემიური დონის გამოცემას წარმოადგენდა და მასში გამოქვეყნებული მასალები უაღრესად საინტერესო იყო არა მარტო ინფორმაციული თვალსაზრისით, არამედ ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისა და თანადროული ყოფის ცალკეულ საკითხთა ახლებური თვალთახედვით გააზრების მხრივაც.

ჟურნალს, რომელიც 224 გვერდისაგან შედგება, ბოლოს თან ერთვის იმ ქველმოქმედთა სია, ვისი ფინანსური შეწირულობებითაც მოხერხდა მისი გამოცემა. როგორც

ამ სიიდან ხდება ცხადი, ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის პრაქტიკული განხორციელება ამერიკასა და საფრანგეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ შეწირული თანხებით გამხდარა შესაძლებელი. ამერიკელ ემიგრანტთაგან ყველაზე დიდი თანხა თავად რედაქტორ-გამომცემელსა და მის მეუღლეს გაუღიათ (500-500 დოლარი), საფრანგეთში მცხოვრებთაგან კი აკაკი შავგულიძეს (5000 ფრანკი), ქეთევან ვაჩნაძეს, ვასილ წულუკიძეს, ლადო ბელიაშვილსა და მიხეილ ჩუბინიძეს (თითოეულს 1000-1000 ფრანკი).

სამწუხაროდ, ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელმა „ქართველი ერისა" და „კრებულის" მხოლოდ თითო-თითო ნომრების დაბეჭდვა შეძლო. ჩვენთვის დღესდღეობით ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, შეუძლებელია იმის ზუსტად გარკვევა, რა უმთავრესმა მიზეზებმა განაპირობეს ეს გულსატკენი მოვლენა; ალბათ, უპირველეს ყოვლისა ფინანსურმა პრობლემამ.

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, შემაჯამებელი დასკვნის სახით კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ გივი კობახიძის მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში სტამბურად ნაბეჭდი ფორმით გამოცემული პირველი ქართული პერიოდული ორგანოები: გაზეთი „ქართველი ერი" და ჟურნალი „კრებული", მიუხედავად მათი ხანმოკლეობისა, უსათუოდ უნდა იქნან მიჩნეულნი ქართული ემიგრანტული პრესის მეტად მნიშვნელოვან ნიმუშებად.

დამოწმებანი

1. კრებული „ჩვენი გზა," ნიუ-იორკი, 1953 წ., №1-2.
2. ჟურნალი „კრებული," წიგნი პირველი, ნიუ-იორკი, 1957.
3. შარაძე გ. ამერიკელი ქართველები, თბ., 1992.
4. შარაძე გ. უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი მეორე, თბ., 1993.
5. გაზეთი „ქართველი ერი," ნიუ-იორკი, 1955 წ.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

From the History of the Georgian Press in America: "Georgian Nation" and "Collection"

Summary

The first Georgian periodical organ which was published in the American continent was a journal "Mamuli" (Patrimony). It was edited by Viktor Nozadze in the capital of Argentina, Buenos-Aires in 1951-1953. Chronologically, the second periodical organ was the informative bulletin"American Council of Georgia's independence restoration", the so called "Tsnobis Purtseli". (It was issued in New York in 1953-1954. Editor - Givi Kobakhidze).

In 1953, from July and August simultaneously with "Tsnobis Purtseli" "American Council" established the second periodical organ-journal "Our Way" which was also established by G. Kobakhidze. (It was issued in New York until 1961).

Together with the above mentioned periodical organs, in December of 1955, Givi Kobakhidze established his own newspaper -"Georgian Nation" (issued in New York, only one,

twelve page issue, big size) -in the USA, which was printed typographically and was the first Georgian periodical organ.

"Georgian Nation" was to be issued four times a year, but due to financial difficulties the editor could not do it. In 1957, he altered a newspaper into a journal, named "Krebuli" (Collection) and offered it to readers in such a form.

According to the editor's explanation, the main aim of the above mentioned periodical organs was to provide Georgian living in the USA with the materials about Georgian culture, history, literature, art, morals and manners in the Georgian language. In order the countrymen not to forget their motherland, the editor described Georgia's political, national and moral rights, its current statement. His aim was to help the popularization of the idea of Georgia's independence in the USA and to serve the restoration of Georgia's independence, to study the history of Georgian eemigration in the USA.

Unfortunately, "Georgian Nation" and "Collection" proved to be very short-lived periodical organs and the editor and publisher managed to establish only one issue.

ქართველი გენერლების ლიტერატურული ტექსტები

XX საუკუნის ლიტერატურის ისტორიაში დრომ არაერთ შემოქმედს განუსაზღვრა შესაფერი ადგილი. ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა. მით უფრო, თუკი ქართული ემიგრაციის მოღვაწეობის შესწავლის ისტორიას გავითვალისწინებთ. ამ ადამიანებს დიდხანს არ ახსენებდნენ, როცა მათზე დაიწერა, იქვე ითქვა – გენერლები. ინტერესმოკლებელი არაა ამ პიროვნებათა ბიოგრაფიული თავგადასავალი, სამხედრო საქმიანობა, პოლიტიკური მოღვაწეობა და ამჯერად, ჩვენთვის საინტერესო – ლიტერატურული ცდები. გენერლების: ლეო კერესელიძის პროზაული ტექსტები, შაქრო ბაქრაძის ლექსები და სხვათა წერილების სერია მხატვრული ასპექტით განხილვის მნიშვნელოვან შესაძლებლობას იტოვებს.

1918 წელს ჟენევაში გამოვიდა პატარა წიგნი ფრანგულ ენაზე. აქ იყო დასტამბული ლეო კერესელიძის „თამარ მეფე და მისი მგოსანი რუსთაველი", ფრჩხილებში მითითებული ჰქონდა, რომ ეს იყო „ფანტაზია". ზემოხსენებულ კრებულში რამდენიმე ამ ყაიდის ნაწარმოებია. მწერალს ის თავად უთარგმნია. მანამდე, ქართულ ენაზე გაზეთში „ქართული გაზეთი" დაუსტამბავს. სანამ უშუალოდ ლიტერატურულ ტექსტზე ვისაუბრებ, ორიოდე სიტყვით თავად ავტორის შესახებ. „მწერალი" – ვთქვი, არადა, ლეო კერესელიძეს XX საუკუნის საქართველოს ისტორიაში დიდხანს არ ახსენებდნენ, როცა მასზე დაიწერა, იქვე ითქვა – „გენერალი ლეო კერესელიძე".

ორი მნიშვნელოვანი თარიღი:

კალისტრატე სალიას ცნობით, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს ქ. ჟენევაში დაარსდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი," რომლის წევრებიც იყვნენ: პეტრე სურგულაძე, ლეო და გიორგი კერესელიძეები, ნესტორ მაღალაშვილი. ისინი გამოსცემდნენ ჟურნალს „თავისუფალი საქართველო" (სალია 1962: 27).

და მეორე: ფრაგმენტი მიხაკო წერეთლის წერილიდან – „...დაიჭირა ლეომ გერმანელებთან საქმე 1914 წელში ომის გამოცხადებისთანავე: ჯერ ბერლინში გერმანელებთან და მერმე სტამბოლში თურქებთან... დასდვა პირობანი, რომელთა ძალითაც ქართველებს ჯარი უნდა შეედგინათ ოსმალეთის ტერიტორიაზედ და ებრძოლათ თურქებთან და გერმანელებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ; ხოლო თუ გამარჯვება რუსეთის მტერთ დარჩებოდათ, საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა ყოფილიყო ცნობილი გამარჯვებულთაგან იმ საზღვრებში, რომლებშიც სამაჰმადიანო საქართველოც შედიოდა" (წერეთელი 1944: 17).

ეს ამონარიდები იმ მასშტაბების წარმოსადგენად მოვიხმე, რომლებიც ვფიქრობ, მომავალი ქართველი გენერლის „მოთხოვნათა მასშტაბებს" გამოხატავს.

...და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თარიღი ქართული ემიგრაციის ისტორიაში:

1924 წლის 24 ოქტომბერს გენერალ ლეო კერესელიძის თაოსნობით პარიზში დაფუძნდა პატრიოტული ორგანიზაცია „თეთრი გიორგი". გამოსცემდნენ გაზეთს ამავე სახელწოდებით: „თეთრი გიორგი", დევიზით: „საქართველო უწინარეს ყოვლისა!" ლეო კერესელიძე (გარკვეული პერიოდულობით) მისი რედაქტორი გახლდათ.

ზემოხსენებულ ლიტერატურულ ტექსტს დავუბრუნდეთ: „თამარ მეფე და მისი მგოსანი რუსთაველი":

„მზე ნელ-ნელა ქრებოდა კავკასიის მწვერვალოებზე... საღამოს ფერია თეთრ ზოლს შორის მთებისას წყნარად ახვევდა თავის იდუმალ ჩადრში.

საქართველოს მდელოებზე ღამის ჩრდილნი უკვე წვებოდნენ, მაგრამ მზის უკანასკნელი სხივი ისევ კრთოდა თამარ დედოფლის სასახლის კოშკებზე.

ამ სხივით ციური მზე უგზავნიდა მშვიდობის სალამს ქვეყნიერ მზეს.

...და „ქვეყნიერი მზე" – თამარი, მჯდომარე „ვარდის სასახლის" აივანზე, სტკბებოდა თავის მშვენიერი სამფლობელოს მზერით," (კერესელიძე 1917: 3), – ამ სიტყვებით იწყება „ფანტაზია", მაგრამ სწორედ ვრცელი მწერლური ფანტაზია იშლება, როცა ამ ორ პერსონაჟს: თამარსა და რუსთაველს აალაპარაკებს, სიყვარულზე აალაპარაკებს. მეფის წინ მუხლმოყრილი მგოსანი უკანდასახევ გზას არ იტოვებს:

„ – დიდებულო მეფევ, ქვეყნის სიამაყევ, მშვენიერების ღმერთავ, მიყვარხარ... მიყვარხარ მთელის ძალით ჩემის არსებისა.

მიყვარხარ... შენ შეიქმენ ღმერთად ჩემ ფიქრთა, ჩემ აღმაფრენათა".

„მიყვარხარ" – ეს ერთი პოზიციაა, ერთი „გაბედვა", მაგრამ გრძნობას გაზიარება სჭირდება, ის უნდა განვითარდეს, ამდენად, მკითხველისათვის მოულოდნელი არაა სიტყვა: „შემიყვარე".

„შემიყვარე და მე შემოვქმედ შენთვის მას, რაიც ვერ შესძლო და ვერც შესძლებს ვერც ერთი მგოსანი, რადგან არც ერთ მგოსანს არ უგრძვნია და ვერც შესწვდება მისთანა მშვენიერებით აღსავსე სიყვარულს, როგორიც არის ჩემი სიყვარული.

შემიყვარე... და მე შევაერთებ ბუნებას პოეზიასთან... "

და ბოლოს. ეს არ არის ულტიმატუმი, ეს პოეტის, პოეტური სიყვარულია:

„ჩემი სიყვარული შენდამი იმდენად ძლიერია, რომ თვით სიკვდილისაც კი მეშინიან!..

ოჰ, მეშინიან სიკვდილისა, რათა მას შეუძლიან სამუდამოდ გამაშორის შენგან!.." (კერესელიძე 1917: 3)

ლეო კერესელიძე კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილებს ასახელებს: კავკასიონის მწვერვალი, საქართველო, არაგვის ტალღები... როცა ფრანგულენოვანი მკითხველი მოთხრობას წაიკითხავდა, მარტო სიუჟეტი არ დაამახსოვრდებოდა, არამედ ისიც, სად ხდებოდა მოქმედება. ესეც **სამშობლოს გაცნობის ერთი ხერხი გახლდათ.**

მგოსანს – შოთა რუსთაველს პასუხი უნდა გასცე; არა მხოლოდ იმიტომ, რომ რუსთაველია, არამედ იმიტომაც, რომ ის შეყვარებული მამაკაცია; პერსონაჟი, რომელიც პასუხს ელის, ხოლო მკითხველი მოქმედების განვითარებას. მას არ აინტერესებს, რომელიღაც ქვეყნის გენიალურ პოეტს ეუბნებიან თანხმობას თუ უარს. ეს ქართველი მკითხველისათვის იქნებოდა ფაქიზი წასაკითხი, უცხოელი თვალს მხოლოდ სიუჟეტის განვითარებას გაადევნებდა. არაერთი ვერსიის მოფიქრებაა შესაძლებელი, როგორ გაგრძელდეს ამბავი. გენერალი – მწერლისთვის პასუხია მნიშვნელოვანი; რა შეიძლება უპასუხოს გაერთიანებული საქართველოს ულამაზესმა მეფემ?! რაღაცამ უნდა „გაანეიტრალოს..." და პასუხიც: „და მისი ხმა იყო ნაზი ვით სუნთქვა იასამანისა, ტურფა განთიადივით და მომხიბლავი, ვით მაისის ღამე." ეს ფონია... პერსონაჟი კი იტყვის:

„ჩემო მგოსანო, – ამბობდა „ქვეყნიერი მზე" – მეც მიყვარხარ... მიყვარხარ იმ წუთიდან რა პირველად ვიხილე შენნი თვალნი იდუმალნი ვით წყვდიადი... რა აღმოვიცან შენი სული ოკეანესავით ღრმა და სიმდიდრით სავსე.....რა განვსაზღვრე სიდიადე შენის გენიოსობისა."

ბოლო ფრაზები ოდნავ პათეტიურია. ამას ალბათ, ძნელად აცდებოდა ემიგრაციაში მყოფი (არ ვამართლებ, ვხსნი). შიშიც მსგავსია:

„მეც, ვითარცა შენ, მეშინიან სიკვდილისა, რომელსაც ძალუძს ჩვენი განშორება და მსურს, ორნივ შევერთდეთ მუდმივ ბრწყინვალე და საუკუნო სიყვარულით... მსურს მთელის არსებით ჩვენი სიყვარულის უკვდავება!"

გზას მაინც მეფე-ქალი იპოვის. ხელს მოჰკიდებს რუსთაველს, „ვარდის სასახლის" აივანზე გაიყვანს, საიდანაც მთელი საქართველო მოსჩანს. მხატვრულად კარგად მიგნებული სახეა ჩაძინებული ქვეყნის სურათი:

„იგი ზაფხულის ღამეს ნდობით მიჰკვროდა გულზე და მისძინებოდა.

მთების ჩრდილნი ნაზად ეალერსებოდნენ მის ძილს და არაგვის ცელქი ტალღები იავნანას დაჰღიღინებდნენ."

და გზა=გამოსავალი:

„დედოფალმა თვისი ღვთაებრივი თითი საქართველოსკენ განიშვირა.

რუსთველო, აი, ჩვენი კავშირის უმაღლესი შემაერთებელი ძალა; შევერთდეთ მისი სიყვარულით!

მაშინ სიკვდილისაც ნუ გვეშინიან, იგი ვეღარ შესძლებს ჩვენს განშორებას!

ჩვენი სიყვარული იცოცხლებს უკუნითი უკუნისამდე, იგი არ მოკვდება, რადგან ერი ჩვენი შეგვიყვარებს ჩვენ და სიყვარული მისი საუკუნოდ შეგვაერთებს ჩვენ" (კერესელიძე 1917: 3).

იტირა დედოფალმა, „მის თვალებში ცრემლის წვეთნი მარგალიტობდნენ. ესენი იყვნენ ძვირფასნი ცრემლნი სამშობლოს სიყვარულისა."

რაღა დარჩენია მიჯნურს?! თავი დაღუნა, შებრუნდა და ღამის წყვდიადს შეერია... წლების შემდეგ დაბრუნდა; დაბრუნდა ლექსად, დაბრუნდა ბედნიერების პოეტურ თანაზიარად, დაბრუნდა სევდის შესამსუბუქებლად...

„მისი ღვთაებრივი, ზეციური სიტყვები მარგალიტებივით მოედვა მთელს საქართველოს და ხალხმა შეიყვარა იგი." მწერალი აღწევს იმას, რომ იყოს მხატვრულად დამაჯერებელი; მოთხრობის დასაწყისში, როცა პერსონაჟი = რუსთაველი საკუთარი შესაძლებლობების ხილულად გამოვლენაზე საუბრობს, ამგვარ „დაპირებებს" გასცემს:

„მე მივეპარები მთვარის შუქზე მძინარე ტბას, ჩავსწვდები აზრს მისი მდუმარებისა და გიამბობ მის საიდუმლო არაკს.

ჩემ გრძნობათ, ჩემ პოეზიას გარდავქმნი მუსიკის ოკეანედ და მისი ტალღები აღტაცებით ინავარდებენ შენ ფეხთ წინ, რათა ეამბორონ, უალერსონ მათ...

გამოვიცნობ ფიქრთ მთებისას და მდუმარე ტყეებისას; მათ ტანჯვას, მათ სევდას და სიხარულს გარდავქმნი სევდიან სიმღერებად..." ეს, ლეო კერესელიძის, ასე ვთქვათ, პირადი დამოკიდებულებაა უდიდესი ქართველი პოეტის მიმართ და ცდილობს, როგორც ავტორს, არაფერი გამორჩეს.

რა ბედი ეწია სიყვარულს?

„მას შემდეგ ბევრმა საუკუნემ განვლო: თამარ მეფე და მგოსანი რუსთაველი დიდი ხანია მიწას მიებარნენ, მაგრამ მათი სიყვარული მუდამ ცოცხალია და იცოცხლებს საუკუნეთა დამლევამდე, რადგან ისინი შეერთებულნი არიან ქართველი ერის მათდამი სიყვარულით" (კერესელიძე 1917: 3).

ზოგადად, მწერლისთვის მნიშვნელოვანია როგორც დრო, ანუ ეპოქა, ასევე, გეოგრაფიული სივრცეც. ადგილი, რომელიც არცთუ იშვიათად მიმანიშნებელი სააზროვნო ფონია, სადაც სიუჟეტურად გაიშლება მოქმედება.

სწორედ ამ რკალის ნაწარმოებებს მიეკუთვნება ლეო კერესელიძის მოთხრობა „ბაზალეთის ტბა", რომლისთვისაც ავტორს სათაურის ქვემოთ, ფრჩხილებში მიუთითებია: ქართული ლეგენდა. ფრანგულ ენაზე საქართველოს ისტორიის ერთი

პატარა ფრაგმენტის მბობას აპირებს და მკითხველს მისი არსებობის ქართულ წარმომავლობასაც შეახსენებს. ნაწარმოები ფრანგულიდან თარგმნა მათე-ლულუმ.

ისევე, როგორც მზე თავის უკანასკნელ სხივებს უგზავნის დედამიწას, ასევე, თამარ მეფემ „მოისურვა თავის სახელოვან სიცოცხლის მიწურულში" ქართველი ერისათვის მისი სიყვარულის ნიშანი დაეტოვებინა; იგი გუმანით გრძნობდა საქართველოს მომავალ სიძნელეებს, „მის ყურთა სმენამდის აღწევდა შორეულ მომავლიდან გმინვა და ტანჯულ გულთა ამონაკვნესი მისი ერის შვილებისა, მათი შვილის შვილებისა."

ყოველ ერს აქვს თავისი მისტიური, ე.წ. საიდუმლო სივრცე, მათ შორის ქართულსაც; ერთი ამათთაგანი არის „ბაზალეთის ტბა." ამ ლეგენდასთან დაკავშირებით არაერთი ნიმუში არსებობს. მათგან განსაკუთრებული ადგილი ილია ჭავჭავაძის ლექსს უჭირავს, რომლის ბოლო ვარიანტი 1883 წლის 14 ივლისს დაიწერა:

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო, წყლის ქვეშე,
უცხო წალკოტი ჰყვავისო

(ჭავჭავაძე 1985: 118)

ეს სტრიქონები საქართველოში დაწერის დღიდან ძალიან პოპულარული იყო და თითქმის ყველამ ზეპირად იცოდა. ილიას წალკოტი დროის მსვლელობას არ ემორჩილება: მარადმწვანე გარემოს ვერც სიცხე აზიანებს და ვერც სიცივე. წალკოტის შუაგულში აკვანია დასვენებული, რომელსაც გარს სირინოზები ეხვევიან, რადგან კაცს ჯერ აქ ფეხი არ დაუდგამს. ლეგენდა ამბავს მეფე თამარს უკავშირებს: „ამბობენ, - თამარ დედოფალს ის აკვანი იქ ჩაუდგამს," და „ერს თვისთა ცრემლთ ნადენით ტბა კარვად ზედ გადუხურავს." ილია თამარს და ერს ერთ მთლიანობაში კი წარმოადგენს, მაგრამ ყველას თავისი ფუნქცია აქვს განაწილებული; (ეს ერთი განსხვავება განსახილველ ტექსტთან დაკავშირებით) და მაინც, ვინ წევს აკვანში?! ილია ჭავჭავაძე იმედს ხმამაღლა გამოთქვამს:

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღე-და-ღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

კითხვის ნიშანი დასვა სტროფის ბოლოს. და იმავდროულად, ორ ადამიანს შენატრა: იმ ვაჟკაცს, ვისი ხელიც პირველად „დასწვდებოდა" აკვანს და იმ დედას, ვინც ძუძუს აწოვებდა მომავალ გმირს. ილიას ლექსში მხსნელი გაზრდილი არ ჩანს.

ყოველ ავტორს საკუთარი სათქმელი აქვს, ყოველ ტექსტს თავისი ფუნქცია (მხატვრული თუ იდეური...) შესაბამისად, იგი სხვადასხვაგვარად „იკითხება".

ერთი საინტერესო ნიმუში: გრიგოლ რობაქიძისთვის „ილიას „ბაზალეთის ტბა" „ბალლადაა". თვითონ ამგვარად მიიჩნევს, მაგრამ როცა სრულიად სხვას, ვაჟა ფშაველას მიერ ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ლექსს წაიკითხავს („ილია ჭავჭავაძის სახსოვრად"), გამორჩეულ ყურადღებას მიაქცევს გარკვეულ სტრიქონებს:

„ვინ ამოიღებს იმასა?"_ აკვანს;
„ან იმ ბალღს ვინ უპატრონებს?"

ჟენევაში, 1961 წლის მწიფობისთვეს დაასრულებს ლიტერატურული წერილის წერას (თუმცა სათაურის ქვეშ ფრჩხილებში მიუთითებს: „ბარათი სამშობლოსადმი") და სრულიად მშვიდად დაასკვნის, რომ ის და დიდი პოეტი ერთნაირად არ ფიქრობენ:

„ – ვხედავთ ნათლივ, რომ ვაჟასთვის ეს „ბალლადა" არაა" (რობაქიძე 1996: 158)

ვაჟა ფშაველას წერილი („ვერ მოჰკლენ") გაზეთმა „ისარმა" 6 სექტემბერს გამოაქვეყნა, ორი დღის შემდეგ (8 IX) ეს ლექსიც („ილია ჭავჭავაძის სახსოვრად"), რომლის ბოლო სტროფებს გაგახსენებთ:

ან იმ ცრემლის ტბას დიადსა,
ერისგან დანადინარსა,
ვინ დაჰშრეტს, ვინ ამოიყვანს
იმ უსუსურსა მტირალსა?!
ვერაფერს ვიტყვი, ენა სდუმს
თავზე დაგვჩხავის ყორანი,
გალმა გასვლისა მსურველთა
უკუღმა მიგვყავს ბორანი:
გაგვიბატონდა, მგოსანო,
სირეგვნე შეუწონარი...

(ვაჟა ფშაველა 1907: 2)

იმ მძიმე დღეებში, ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეებში მთელი საქართველო ცრემლით და ტკივილით ეთხოვებოდა ერის სწორედაც „სულიერ მამას"... და იმ უამრავ გვირგვინს შორის, ამჯერად, მინდა ერთი გამოვყო, წარწერით:

„ჯეჯილის" რედაქციისაგან: „ჯეჯილის" პირველ ნომრის დამგვირგვინებელს, „ბაზალეთის ტბის" ავტორს."

და კიდევ ერთი, საქართველოში გამოქვეყნებული პოეტური ტექსტი: გიორგი ლეონიძის პოემა „სტალინი ბავშვობა და ყრმობა". პროლოგის მეხუთე თავი „გორი – ქართლის მეთაური" ერთ საინტერესო ფრაგმენტს სთავაზობს მკითხველს. შტრიხებით იხსენიება სხვადასხვა ადგილი და სივრცე: ქალაქი, „ხერხემალგადატეხილი" ციხე, ჩუქურთმიანი აივნები, ხმაურიანი და მაძღარი ბაზარი, დაქუხებული ლიახვი... კოშკის ნანგრევებიდან კი ხმა მოისმის:

ორ ყრმას ეძახის, ორ პაწაწინას,
უპასუხობით განწირულია...
ერთს – ბაზალეთის ტბის ძირში სძინავს,
მეორე – კოშკში ჩაკირულია...

(ლეონიძე 1954: 533)

დიდი ქართველი პოეტი „სხვა" გმირებს გაიხსენებს. ლირიკული გმირის ნატვრა ამ კონტექსტში ბუნებრივად და ძალიან ლამაზად იკითხება:

– ნეტავ ნათელი კიდევ მაჩვენა.

როდის მოჰყვება გაზაფხულს წერო?

„გაზაფხული", „განახლება", „გმირები" და რასაკვირველია, ბაზალეთის ტბა...

ლოგიკურია, როცა სამხედრო, ჩინით გენერალი, გმირის = მებრძოლის დახატვას შეეცდება, მხსნელს აუცილებლად ამ ადგილიდან გამოიყვანს. ლეო კერესელიძესთან ისიცაა უჩვეულო, რომ აკვანში, რომელსაც თამარი „მზის სხივებში და მობიბინე ყვავილთა წიაღში" დაასვენებს ბაზალეთის მინდორში, უმშვენიერესი ბავშვი წევს. მეფე რამოდენიმე ვედრებას აღავლენს გარემოს (მინდორი, მთები) მიმართ; ყველას მის წილ დახმარებას შესთხოვს, რადგანაც თვლის, რომ ყრმა ერთადერთია, რომელსაც ერის განთავისუფლება შეუძლია. შესაბამისად, იგიც განსაკუთრებული უნდა იყოს: „ამაყი სული იქნება ნაზი დილის ყვავილისაებრ, უდრეკი მყინვარსავით, საშინელი და სწრაფი, ვითარცა ელვა; მას ძალუძს სიყვარული და სიძულვილი, ტანჯვა და გამარჯვება; ვინც არის აღვსილი სინაზით თავის ქვეყნისადმი, და თავზარ-დამცემი მტერთათვის". დამშ-

ვიდობებისას, თამარ მეფემ მუხლი მოიყარა აკვანთან, ბავშვს შუბლზე ემთხვია, „მის ღრმა თვალთაგან მარგალიტებად სცვივოდნენ ცრემლნი გაფითრებულ ღაწვებზე...

ერთი მათგანი დაეცა აკვანს." (კერესელიძე 1918: 4)

ცრემლს აქ შესაძლოა, სხვადასხვა ფუნქცია ჰქონდეს: სიხარულის, მერმისის გამო შეშფოთების, დამშვიდობებისაც... მაგრამ გარდა სიმბოლურისა, მას აქვს სხვა დატვირთვაც: „თამარის სპეტაკმა ცრემლმა დაჰფარა მინდორი მაღალი ბაზალეთისა, ჩასწვდა თვით კლდეთა სიმაგრეს, გადიქცა ტბად და დედურის სიყვარულით მოეფინა ოქროს აკვანსა."

ამის შემდეგ მრავალი წელი გავიდა. მეფეთ-მეფე მიიცვალა. მრავალი საუკუნეც... იმდენი დრო, რომ მეფეებიც აღარ იყვნენ; ანუ, აქ ვფიქრობ, დროზე მინიშნებაა. რაც უფრო მატულობდა ქვეყანაზე თავსდატეხილი უბედურება, მით უფრო დიდდებოდა ტბა ბაზალეთისა.

„ოჰ, რა სასტიკის სიმძიმით აწევს ბავშვის გულს ამოდენი ცრემლი!"-ეს უკვე ავტორ-პერსონაჟის ლირიკული ჩანართია. პატარას სურს, ადგეს, გაიმართოს, მაგრამ მას ეს ჯერ არ შეუძლია. რასაკვირველია, ის ჩვეულებრივი პერსონაჟი არაა; მისთვის დროისმიერი სვლა „ჩვეულებრივი წესით" არ სრულდება. ეს საიდუმლოა... მისტიფიკაცია. რომელ ეპოქასაც ეკუთვნის ავტორი, იმ ეპოქაში გამოიწვევს „ყრმას".

და აი, პირველი ნიშნები გამოჩნდა: ცაში გაკვეთილი ცეცხლი, დატრიალებული ქარიშხალი, რომელიც ხან მთებს შეეჯახა, ხან მინდვრებს მოედო, და რაც მთავარია, ამოაშრო საუკუნეების განმავლობაში ბაზალეთის ტბად დაგუბებული ცრემლები. ავტორი საგანგებო ფონს ამზადებს, რომ თქვას:

„ეს არის ის კეთილშობილი მრისხანება საქართველოსი, რომელიც ამსხვრევს სულშემხუთავ ჯაჭვებს".

თუკი წყალი დაშრება, ფსკერიც გამოჩნდება... ბუნების მთელი ეს სტიქიონი ჰარმონიაშია „დიდ მოლოდინთან":

„ტბისა სიღრმიდან გამოჩნდა რაინდი დიდი თამარის. მისი იარაღის ბრწყინვა და ხმა მისი ბუკისა მოუწოდებს საქართველოს გამარჯვებისკენ.

იგი რაინდი, მძლავრი და ამაყი, არის წარსულის თავისუფალი სული. იგი აკლდა აწმყოს."

და ბოლო ფრაზა: „დასრულდნენ დრონი ტანჯვისა" (კერესელიძე 1918: 4)

ლეო კერესელიძესთან ბაზალეთის ტბის ნანატრი გმირი მოსჩანს; არა მხოლოდ როგორც იმედი და მოლოდინი, არამედ როგორც შემდგარი გამარჯვების რეალური პერსონაჟი. ის, რაც ასე „აკლდა" კერესელიძის და დანარჩენი ქართველობის „აწმყოს," მწერლობამ მაინც მოახერხა შევსება.

მართალია, მხატვრული ნაწარმოები არაა და არც ავტორია გენერალი, მაგრამ ამ კონტექსტში მაინც მინდა ჩავრთო. ორი მიზეზის გამო: ერთი იმიტომ, რომ მისი ავტორი ლეო კერესელიძის ძმა, გიორგი კერესელიძეა (ემიგრაციაში, შვეიცარიაშია 1906 წლიდან) და რაც მნიშვნელოვანია, იგი არის ავტორი პარიზში გამოქვეყნებული წერილების სერიისა: „იესო ქრისტე და ქართველი ერი". თავისთავად უდავოდ საყურადღებო გამოკვლევიდან ერთ ფრაგმენტს დავიმოწმებ, რომელიც თამარს და მის ეპოქას ეხება:

„ – ძლიერი გორგასლანის შემდეგ, საქართველომ არა ერთხელ წაიბორძიკა სასიკვდილოდ, ხოლო მტერს არ დაჰმორჩილდა, რჯულს არ უღალატა. ამ შეუწყვეტელი ომებით, დავითის ეპოქას მიაღწია, ეპოქას ერისა და სამეფოს ძლიერებისას. იწყება ხანა ქართველთა იმპერიისა. ბაგრატიონთა ტახტზე აღმობრწყინდა ღვთაებრივი თამარის ბრწყინვალე და ძლევამოსილი გვირგვინი (1160-1212)" (კერე-

სელიძე 1949: 32). ამ სიტყვებით ამთავრებს გიორგი კერესელიძე მეოთხე წერილს. ეს ნაკვეთი დაიბეჭდა საფრანგეთში გამომავალ ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებულის, „ბედი ქართლისას" მეექვსე ნომერში, 1949 წელს.

დიდი საქართველო ეოცნებებათ, დიდი ქვეყანა და იქ აღზრდილი დიდი შვილები... დროისა და მანძილის მიღმა აფასებენ; ამ გადასახედიდან ეს მათთვის „სასურველი დროა."

კიდევ ერთი გენერალი და მისი ერთი ლექსი.

ცნობილი ქართველი ისტორიკოსის, დიმიტრი ბაქრაძის ვაჟი, გენერალი შაქრო ბაქრაძე ემიგრაციაში გარდაიცვალა. ჟურნალ „კავკასიაში" დაიბეჭდა მისი რამდენიმე ლექსი. მათგან ჩვენთვის საინტერესოა სათაურით: „საქართველო". ქართულ პოეზიაში სხვადასხვა ვარიაციითა და პერიფრაზით არაერთხელ განმეორებული ცნობილი ინტონაცია: „სხვა საქართველო სად არის..." შაქრო ბაქრაძის ლექსის დასაწყისშივეა მოცემული:

შენებრ ლამაზი სად არი
კუთხე ბარაქით, ხვავითა!

(ბაქრაძე 1937: 28)

ლექსის პერსონაჟისთვის საქართველო გმირთა აკვანია: მებრძოლების და შემოქმედი ადამიანების; მის წიაღში წარმოიშვა რუსთაველი – „მგოსანი – მღერალი „ოქროს ხანისა!" დიდი დავითი და თამარი –„ჩვენი ოცნება". დიდებული წარსული დაბრუნდება, რადგანაც მომავლისაკენ დებს ხიდს; ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველს ლირიკულ გმირს (და გენერალ პოეტსაც) აწმყო აძლევს:

ტანჯვა მოისმის გარშემო,
ერი მტერს არა ნებდება,
სისხლით იბრძვის და მის გამო _
სული დღითი-დღე მთელდება.

უმძიმესი მდგომარეობის მიუხედავად, ქართველობა იმედს არ კარგავს, მტერს არ ნებდება, იბრძვის; მხოლოდ ამ გზის გავლის შემდეგ, ამხელა თავგანწირვის გამოჩენის შემდეგ დგება ზოგადად, „ოქროს ხანა".

ამ გზით იშვა „ოქროს ხანა"
დიდებული, მშვენიერი!
ამას მომავალში განა
ვერ მიაღწევს ისევ ერი?!

ერის თავდადება სრული გამარჯვებით რომ დასრულდეს, დასტური ზეცამ უნდა მისცეს და კვლავ იმედი: „ცა რისხვით არ მოგვაქუხებს!" და ამ ჰარმონიაში „ყველაფერი გასწორდება." რა აძლევს ავტორს ასეთი დაიმედების საშუალებას? ეგებ, ეს მხოლოდ პოეზიაშია ამგვარად, მაგრამ რეალობა... რასაც მკითხველთან ერთად წარმოიდგენს, მისტიფიკაციაა, წარსულის კრებითი, „პერსონალურად გამოგონილი," ამასთან, უჩვეულო სურათი: როცა საქართველოს კვლავ აღმაშენებელი აშენებს, რუსთაველი ქმნის, თამარი?

თვით თამარი ქალთა რაზმით
წინ მიუძღვის თავის ერსა,
ჯარს ასხურებს აიაზმით
გამარჯვებულს, ბედნიერსა.
მოსჩანს სახით ჯეილითა,
ეგებება მასაც ხალხი,
სიყვარულით, ზეიმითა!

მათ შორის „პატარა კახიცაა", გმირი შამილიც თავის „არწივებთან" ერთად და მოულოდნელი კონტრასტი, აზრობრივი კონტრასტი; უკვე გასაგებია, რისთვის დასჭირდა ეს „ისტორიული ალუზია":

აქ კი... ერთმანეთს აბეზღებთ,
ერს აწუხებთ ჭორებითა,
ქართვლის სახელს შავითა ღებთ _
ტყუილების გორებითა!

„აქ" – თვალშისაცემია; „აქ" – უცხოეთია. ლირიკული გმირი შექმნილი ვითარებით უკმაყოფილოა, თუმცა გასაკეთებელი უამრავი ეგულება; მას შეუძლია „იქ" დარჩენილი საქართველო გააიდეალოს: „ყური მიეც, სამშობლოში / ყველგან გმირის ძახილია, / გაიღვიძა ერთა გულში - / ქადაგებდა რას ილია!" ეს რეალობა არაა, ეს სურვილია; მაგრამ როგორაა რეალურად „იქ," სადაც ეხლა თავადაა? როგორ ამთავრებს ლექსს, რას ამბობს ბოლოს:

აქაც გასაკეთებელი
ბევრი გქონდათ ხალხისთვისა,
მაგრამ... დასაფეთებელი
გამოდექით ამისთვისა!

დასასრულ, ლექსს აქვს საინტერესო სარედაქციო მინაწერი: „სიამოვნებით ვბეჭდავთ ჩვენი სახელოვანი მხედარის გენ. შ. ბაქრაძის გრძნობიერ და პატრიოტულ ლექსს..."

„ბაში აჩუკის" მეოთხე თავს აკაკი წერეთელი შემდეგი სიტყვებით დაიწყებს:

„კახეთის მეფე, თეიმურაზ პირველი, დავით წინასწარმეტყველს ეტოლებოდა თავის გუნებაში: „ის ჩემი წინაპარი და მე მისი ჩამომავალი, ისიც გვირგვინოსანი-მგოსანი და მეცო" (წერეთელი 1989: 137), და რაკი ქართველი მეფე „პოლიტიკაში პოეტობდა, პოეზიაში პოლიტიკობდა ის დალოცვილი... მით საზარელ მომავალს უმზადებდა სამეფოს." მისი საქციელი თანამოქალაქეთა განსჯისა და ქილიკის საგნადაც ქცეულიყო:

„... გაზაფხულზე ჩაიკეტა და „ლეილ-მეჯნუნიანი" დაგვიწერა, ერთხელაც ზაფხულში – „შამი-ფარვანიანი", მეორედ შემოდგომას – „ხილთა-ქება" და ახლაც უთუოდ ზამთრის შესაფერსა სწერს რასმე."

საქართველოში პოეზიის საწინაალმდეგო ვის ექნებოდა?! ან მეფის?! არც აკაკი შეაჩერებდა მკითხველის ყურადღებას შემთხვევით, მას ბევრად სერიოზული სათქმელი აქვს:

„მეფე და მოცლის დრო ვის გაუგონია?..

...მეფე რომ „პიიპუუ-პიიპუს" დაუკრავს, მაშინ მისი სამეფო „ვაი-ვაის" იმღერებს.

– დავით აღმაშენებელიც მწერალი იყო, მაგრამ სამეფოსთვის არა დაუკლია რა.

– აღმაშენებელი წინასწარმეტყველსა ჰბაძავდა, ადიდებდა ყოვლის შემოქმედს; მისი იამბიკო ლოცვა იყო და ამისი შაირები კი ლაზღანდარობაა!.."– (წერეთელი 1989: 138), ათქმევინებს თავის პერსონაჟს დიდი პოეტი და მოქალაქე.

სახელმწიფოს მართვას სხვა სერიოზულობა და დრო სჭირდება, „სიბრძნის" დარგს, პოეზიას თავისი კანონები აქვს... მეფეს განსხვავებულად მოეთხოვება, პოეტს – სხვაგვარად; თუმცა მხოლოდ თავ-თავის საქმეში და... გენერლებს?... რეგულარული ჯარის, სტრატეგიული ბრძოლის გეგმების, ომების გარეშე, სამშობლოს გარეთ დარჩენილი გენერლები; ერთადერთი, რაც დარჩათ, სიცოცხლის ბოლომდე (და მერეც)... სწორედ იმ სამშობლოს მიმართ თავ-განწირული, თავ-დავიწყებული სიყვარული იყო და კიდევ, ლექსებიც...

ემიგრაციაში მყოფი ქართველი გენერლების მიერ დაწერილი ლიტერატურული ტექსტები არაერთი საინტერესო გააზრების შესაძლებლობას იტოვებენ.

დამოწმებანი

1. ბაქრაძე შ. *„საქართველო"* ჟურნ. „კავკასია" №3 VIII *პარიზი*, 1937.
2. ვაჟა ფშაველა *„ილის ჭავჭავაძის სახსოვრად"*, გაზ.„ისარი" 8. IX. 1907.
3. კერესელიძე გ. *„იესო ქრისტე და ქართველი ერი"* ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული „ბედი ქართლისა"№6 პარიზი, 1949.
4. კერესელიძე ლ. *„თამარ მეფე და მისი მგოსანი რუსთაველი"*, „ქართული გაზეთი" №25 1. IV. ბერლინი 1917.
5. კერესელიძე ლ. *„ბაზალეთის ტბა"*, გაზ. „ქართული გაზეთი" №5/45 29. I. 1918.
6. ლეონიძე გ. *„სტალინი ბავშვობა და ყრმობა"*, ერთტომეული, თბ., 1954.
7. რობაქიძე გრ. *„ვაჟას ენგადი"*, კრებული „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია", თბ., 1996.
8. სალია კ. „ბედი ქართლისა" №39-40 პარიზი, 1962.
9. წერეთელი აკ. *„ბაში აჩუკი"*, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ III, თბ., 1989.
10. წერეთელი მიხ. ჟურნ. „ქართველი ერი" №6/7 ბერლინი, 1944.
11. ჭავჭავაძე ი. *„ბაზალეთის ტბა"*, რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად, ტ. I თბ., 1985.

RUSUDAN NISHNIANIDZE

Literary Texts of Georgian Generals

Summary

In the history of XX century literature the time defined suitable place for many creators. This process has not finished yet, moreover, if we take into consideration study of the history of Georgian eemigration activity. These people were not mentioned for a long time, when something was written about them, they were just mentioned as – Generals. These people's biographical adventure, military and political activities, and literary trials are rather interesting. Prosaic texts of the General Leo Kereselidze and poems of the General Shakro Bakradze and letters of others retain an important opportunity to discuss in artistic aspects.

Each nation has its own mystical, the so-called "secret space" including Georgia too; one of them is "Bazaleti Lake". There are many literary models in connection with this legend. Among them Ilia Chavchavadze's verse occupies a special place; the last version was written on July 14, 1883. Many Georgian thinkers meditated on this topic, context and perspective. Each opinion and supposition is important. In this point of view the literary opinions of Vazha Pshavela, Grigol Robakidze, Giorgi Leonidze and others are significant. In Leo Kereselidze's prose work ("Bazaleti Lake") the desired hero of Bazaleti Lake is represented not only as a hope and expectation, but also as a formed real character of victory. The Georgian literature still managed to fill that what Kereselidze's and other Georgian's "present" "lacked" so much.

The poems written by Shakro Bakradze are very important.

The literary texts written by Georgian Generals being in eemigration keep many interesting considerations.

ოთარ ჯანელიძე

გიორგი მაჩაბელი დიპლომატიურ ასპარეზზე

გიორგი მაჩაბელს ჩვენში ძირითადად საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილით იცნობენ, უცხოეთში მისი სახელი უფრო განთქმულ პარფიუმერულ ბრენდს „პრინცი მაჩაბლის“ წარმოებას უკავშირდება, მაგრამ შინ თუ გარეთ ცოტამ თუ იცის, რომ იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი იყო იტალიაში და ამ მრვალმხრივმა მოღვაწემ საკუთარი შესაძლებლობები დიპლომატიურ ასპარეზზეც მოსინჯა. წინამდებარე სტატიაში გიორგი მაჩაბლის საქმიანობის მხოლოდ ამ კონკრეტულ ასპექტს შევეხები, რისი წარმოჩენის შესაძლებლობას მისივე კორესპონდენციები იძლევა. მხედველობაში მაქვს გიორგი მაჩაბლის რამდენიმე წერილი, რომელიც მან თავის უახლოეს მეგობარს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელსა და თავმჯდომარეს, სპირიდონ კედიას იტალიიდან გაუგზავნა და დღეს პარიზში, ამ უკანასკნელის პირად არქივშია დაცული. ასევე, რომიდან პარიზში, აკაკი ჩხენკელისათვის მიწერილი გ. მაჩაბლის წერილები, რომლებიც ახლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში ინახება[2] და იტალიურ პრესაში დაბეჭდილი გ. მაჩაბლის რამდენიმე პუბლიკაცია.

საქართველოს პოლიტიკური თანამშრომლობა იტალიის სამეფოსთან შედარებით გვიან დაიწყო. თარიღად 1920 წლის 10 მარტი უნდა მივიჩნიოთ, როდესაც იტალიის მთავრობამ სამხრეთ კავკასიაში თავისი სამხედრო მისიის ნაცვლად პოლიტიკური სააგენტო ჩამოაყალიბა და მის მეთაურად მელკიადე გაბა დანიშნა (1).

რამდენიმე თვის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულად აღიარებასთან დაკავშირებით იტალიამ თბილისში მოქმედ პოლიტიკურ სააგენტოს სტატუსი აუმაღლა და იგი სრულუფლებიან დიპლომატიურ წარმომადგენლობად – საელჩოდ გრდაქმნა. იტალიის ელჩად თბილისში სრულუფლებიანი მინისტრი ვიტორიო ჩერუტი გამოიგზავნა (2). იტალია იყო პირველი სახელმწიფო, რომლის მთავრობამაც საქართველოს დე იურედ აღიარების შემდეგ ამგვარი ნაბიჯი გადადგა.

ადექვატური იყო საქართველოს ხელისუფლების საპასუხო მოქმედებაც – მთავრობამ რომში საელჩოს გახსნის გადაწყვეტილება მიიღო. იტალიაში საგანგებო დესპანად სრულუფლებიანი მინისტრის რანგში საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე კონსტანტინე საბახტარაშვილი მიავლინეს. 1921 წლის თებერვლის დასაწყისში საელჩოს პირველი მდივნობა გიორგი მაჩაბელს დაეკისრა, ხოლო კონსულად გიორგი აფხაზი დაინიშნა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული მთავრობა დიპლომატიური წარმომადგენლის მაღალ თანამდებობას უფრო თავის თანაპარტიელებს ანდობდა, თუმცა იყო რამდენიმე გამონაკლისიც, მაგალითად სვიმონ მდივანი (ფედერალისტი) ელჩად იყო ჯერ სომხეთში, შემდეგ კი თურქეთში, ხოლო გრიგოლ ალშიბაია (ეროვნულ-დემოკრატი) საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის ფუნქციებს

2 ამ წერილებს რუსუდან კობახიძის გამოკვლევითა და კომენტარებით საერდაქციო კოლეგია წინამდებარე ჟურნალის უახლოეს გამოცემაში შემოგთავაზებთ.

აზერბაიჯანში ასრულებდა). ასეთივე გამონაკლისად უნდა მივიჩნიოთ გიორგი მაჩაბლის დანიშვნაც ამ საპასუხისმგებლო პოსტზე.

როდესაც გიორგი მაჩაბელმა ეს შეთავაზება მიიღო, აკაკი ჩხენკელს აზრი გაუზიარა და განუმარტა, რომ მას უფრო წარმატებით გერმანიაში შეეძლო საქმიანობა. წერდა: „გერმანიაში უფრო დიდი ასპარეზი მექნებოდა მოქმედებისა, ... იქაურ ქვეყანას და ხალხს უფრო კარგად და ღრმად ვიცნობ და შედეგი ჩემი მუშაობისა იქ უფრო დიდი იქნებოდა“ (3), მაგრამ ხელისუფლებას თავისი გადაწყვეტილება აღარ შეუცვლია.

ამ ამბებიდან მოკლე დროში საქართველო ბოლშევიკური რუსეთის ძალმომრეობის მსხვერპლი გახდა. დამხობილი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ სამშობლო იტალიური გემით დატოვა. კონსტანტინოპოლში ჩასული ნოე ჟორდანია იტალიის ელჩმა ვიტორიო ჩერუტიმ თავისი მთავრობის სახელით რომში მიიპატიჟა. ჟორდანიამ ელჩს თავაზიანი მადლობა გადაუხადა, მიწვევა არ მიიღო და იტალიის ნაცვლად საფრანგეთში გაემგზავრა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამარცხება და ქვეყნის სრული ოკუპაცია 1921 წელს საბჭოთა რუსეთს მნიშვნელოვანწილად დასავლეთის გულგრილობამ და ჩაურევლობამაც გაუადვილა. მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა საქართველოს იმედები ვერ გაამართლეს, ნოე ჟორდანიას სიტყვით, „ხიდი ჩვენსა და ევროპას შორის გატყდა,“ ემიგრირებულ მთავრობას და მთლიანად ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას არასოდეს უთქვამს უარი დასავლურ ორიენტაციაზე. ევროპის საზოგადოებრივი აზრიც დაპყრობილი საქართველოსადმი თანაგრძნობით იყო გამსჭვალული, იგი გმობდა ბოლშევიკურ აგრესიას თავისუფლებისმოყვარე პატარა ქვეყნისა და მისი ხალხის მიმართ. ეს გარემოება ემიგრაციის ძალისხმევას საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად დამატებით სტიმულს ძენდა.

ქართულ ემიგარაციას სამშობლოს განთავისუფლებისა და სუვერენიტეტის მიღწევის ძირითად საშუალებად პოლიტიკური ბრძოლა წარმოედგინა. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ უწყებას 1921 წლის მარტში, ამ რესპუბლიკის ძალმომრეობით დამხობისთანავე საქმიანობა არ შეუწყვეტია.

ემიგრაციაში გახიზნულ ნოე ჟორდანიას მთავრობაში საგარეო საქმეთა სამინისტრო (მინისტრი ევგენი გეგეჭკორი) კვლავ მნიშვნელოვან რგოლად მიიჩნეოდა. მუშაობას განაგრძობდნენ საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლობები, რომელთა სტრუქტურა და პერსონალური შემადგენლობა რამდენადმე შეიცვალა. საკუთარ ქვეყანაზე იურისდიქციას მოკლებული ემიგრირებული მთავრობა იძულებული იყო ცალკეულ სახელმწიფოში თავისი დიპლომატიური მისიების სტატუსისათვისაც გადაეხედა და ზოგან საელჩოს ნაცვლად ლეგაციას, საკონსულოს ან კიდევ მთავრობის რწმუნებულის არსებობას დასჯერებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიურ სამსახურში ერთერთ მთავარ ფიგურად რჩებოდა სრულუფლებიანი ელჩი პარიზში აკაკი ჩხენკელი, რომელსაც რწმუნების სიგელები საფრანგეთის გარდა, ინგლისისა და იტალიისათვისაც მიეცა. მასვე მინდობილი ჰქონდა დიპლომატიური საქმიანობის ხელმძღვანელობა ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც (შვეცია, ესპანეთი, ბელგია, რუმინეთი, პორტუგალია, ნორვეგია, დანია, ჩეხოსლოვაკია, სერბია-ხორვატია-სლოვენიის ფედერაცია).

რაკი აკაკი ჩხენკელი ძირითადად პარიზში იმყოფებოდა, სხვა ევროპულ დედაქალაქებში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებს მისი შემცვლელები უძღვებოდნენ. ასე იყო იტალიაშიც, სადაც ელჩის ფუნქციები რეალურად გიორგი მაჩაბელს ებარა. იგი ამ საპატიო მოვალეობას 1921 წლის თებერვლიდან 1923 წლის ნოემბრამდე ასრულებდა. თავდაპირველად გ. მაჩაბლის სტატუსი განსაზღვრული

იყო, როგორც „წარმომადგენლობის პირველი მდივანი“, რაც მისივე დასაბუთების შემდეგ „ლეგაციის მრჩევლის“ თანამდებობით შეუცვალეს.

გიორგი მაჩაბლის იტალიაში მოღვაწეობის პერიოდში ქვეყანაში რამდენჯერმე შეიცვალა ხელისუფლება. ჯოვანი ჯოლიტის ზომიერი ლიბერალიზმის მომხრე მთავრობამ 1921 წლის ივლისში ადგილი სოციალისტ ივანოე ბონომის კოალიციურ კაბინეტს დაუთმო, რომელიც 1922 წლის თებერვალში ლუიჯი ფაქტას მთავრობამ შეცვალა, იმავე წლის ოქტომბრის ბოლოს კი ძალაუფლებას იტალიაში ბენიტო მუსოლინის მეთაურობით ფაშისტები დაეუფლნენ. თითოეული მათგანის დამოკიდებულება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და მისი წარმომადგენლობისადმი განსხვავებული იყო. ჯოლიტისა და ბონომის დროს იტალიურ-ქართული სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობები შეზღუდული ფორმით ჯერ კიდევ წარმოებდა. მართალია, საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ ამ ურთიერთობის შეწყვეტა დააჩქარა, მაგრამ იტალიის კონსული ერთხანს თბილისში რჩებოდა და ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაგრძელების გზებსა და საშუალებებს დაეძებდა. ამ პერიოდში იტალიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლობას გულისხმიერად ეპყრობოდნენ. 1921 წლის აპრილში რომში ჩასულ აკაკი ჩხენკელს საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯორჯიო სფორცამ უმასპინძლა და ქართველი დიპლომატი კერძო აუდიენციაზე იტალიის მეფე ვიქტორიო-ემანუილ III-მაც მიიღო.

იმავე წლის ზაფხულში იტალიას ევგენი გეგეჭკორი და სვიმონ მდივანი ეწვივნენ. ისინი შეხვდნენ ადგილობრივ სოციალისტთა ლიდერებს კონსტანტინო ლაზარის, დომენიკო ფიორიტოს, ფილიპო ტურატის, კამილიო პრამპოლინისა და სხვებს, რომელთაც საქართველოს მდგომარეობა გააცნეს და მის დეოკუპაციაში თანადგომა თხოვეს. სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, კერძოდ კლაუდიო თრევესი საქართველოს მხარდასაჭერად პარლამენტში სიტყვით გამოვიდა, რამაც სოციალისტ და კომუნისტ დეპუტატთა შორის დაპირისპირება გამოიწვია.

ფაქტას პრემიერ-მინისტრობის პერიოდიდან იტალიის მმართველ პოლიტიკურ წრეებს საქართველოს მიმართ გულგრილობა დაეტყო. დასავლეთის ქვეყნების, მათ შორის იტალიის უმთავრეს საზრუნავს იმხანად პირველი მსოფლიო ომის შედეგების აღმოფხვრა წარმოადგენდა. ამასთან, პრიორიტეტი ენიჭებოდა რეპარაციის, ურთიერთშორის თუ საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების მოწესრიგებას და სხვა, რის გამოც საქართველოს საკითხისათვის საერთაშორისო პოლიტიკაში ადგილი აღარ რჩებოდა.

ჩვენი ქვეყნისადმი დიდი ინტერესი არც მუსოლინის კაბინეტს გამოუჩენია, თუმცა იტალიის როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო წრეებში საქართველოს წარმომადგენლებს ბევრი მეგობარი და მხარდამჭერი ჰყავდათ, რაშიც განსაკუთრებული ღვაწლი გიორგი მაჩაბელს მიუძღოდა (დაუშვილი 2007: 37-38).

ცნობილია, როცა 1919 წელს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე მანდატის დაწესების საკითხი განიხილებოდა, ოფიციალურმა რომმა საბოლოოდ უკან დაიხია და დიდი ბრიტანეთის ამ შეთავაზებაზე უარი განაცხადა. ზურაბ ავალიშვილის სიტყვით, იტალია მაშინ იყო „მეტად მოდუნებული და შელახული, რომ „გაებედნა“ საქართველოს მანდატის აღება; შესაძლებელია, რომ მუსოლინის იტალია გაბედავდა“ (ავალიშვილი 1925: 282).

ხელისუფლების სათავეში მოსულ მუსოლინის სრულიად სხვა საერთაშორისო რეალობა დახვდა და დუჩეც საბჭოეთთან დაახლოების, სსრ კავშირის ოფიციალური აღიარების კურსს დაადგა (6). ამ ამბავს გიორგი მაჩაბელი აკაკი ჩხენკელს

ლაკონურად აცნობებდა: „იტალიელებს მაინც შეუკრავთ ხელშეკრულება ბოლშევიკებთან. სოციალისტ-კომუნისტებს ძალა დაუტანებიათ, ემუქრებოდნენ ოპოზიციის გაწვევით პარლამენტში“ (3).

ბენიტო მუსოლინის მიერ შემუშავებულ და 1921 წელს მიღებულ ფაშისტურ პოლიტიკურ პროგრამაში გათვალისწინებული იყო „მეგობრული ურთიერთობის დამყარება ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებთან, საბჭოთა მმართველობის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნების ჩათვლით“ (მუსოლინი 2012: 70). ცხადია, ამ უკანასკნელში საქართველოც იგულისხმებოდა და ეს კარგად იქნებოდა ცნობილი გიორგი მაჩაბლისათვის, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს იტალიაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. მისი საქმიანობის ერთი მიმართულება ხომ საპორტესტო ნოტების, განცხადებებისა თუ სხვ. მეშვეობით იტალიის მესვეურთა ინფორმირება იყო საბჭოური სინამდვილის შესახებ.

საქართველოს საელჩოებსა და დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს ოფიციალურ სტრუქტურებს საზღვარგარეთ, 1921 წლიდან აღარ გააჩნდათ სრული უფლებამოსილება. ამის გამო საქართველოს ინტერესების დაცვა მათ არაორდინალურ პირობებში უწევდათ. ძირითადი მოვალეობის პარალელურად ისინი საკონსულოს ფუნქციებსაც ასრულებდნენ – საქართველოს მოქალაქეებს აძლევდნენ ვიზებს, პასპორტებს, ეხმარებოდნენ ერთი სახელმწიფოდან მეორეში გადასვლაში და სხვ. მაგალითად, როდესაც იტალიის კონსულმა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ფრანზონიმ, რომელსაც ცოლად ჰყავდა მიხეილ მაჩაბლის ასული მარინე მაჩაბელი, წითელი არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის გაზაფხულზე, საგანგებოდ დაქირავებული გემით მეუღლის არაერთი ახლობელი იტალიაში წაიყვანა (დაუშვილი 2007: 21-22), ამ საქმეში მას სავარაუდოდ რომში მყოფი გიორგი მაჩაბელი უნდა დახმარებოდა. სხვა რომ არაფერი, მარინე მაჩაბელი მისი ახლო ნათესავი იყო.

„რაც შეეხება იტალიას, ჯერ აქ ძნელია მუშაობა. ჩვენმა მთავრობამ, მისმა წევრებმა და ნამეტნავად მისმა პირველმა წარმომადგენელმა ისე წაახდინეს თავის დროს აქ საქმე, რომ თითქმის არაფრის გაკეთება არ შეიძლებოდა. ... ფაშისტებმა ძალიან კარგად იციან ჩვენი მთავრობის ფიზიონომია, მათი წარსული და ბევრს არ ცდილობენ მას დაეხმარნონ“, აღნიშნავდა გიორგი მაჩაბელი (კედია 2007: 31).

საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობას რომში არც ფინანსურად ულხინდა. გიორგი მაჩაბლის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვა ასე გამოიყურება: ლეგაციის მრჩევლის ხელფასი თვეში 3 ათასი ლირა, ბინის ქირა, ორი თანამშრომლის შრომის ანაზღაურება, ასევე კანცელარიისა და პროპაგანდისათვის აუცილებელი თანხა წელიწადში 126 ათას ლირას შეადგენდა (3).

1922 წლის გაზაფხულზე იტალიის ქალაქ გენუაში ევროპის ეკონომიკური აღორძინების საკითხთა განსახილველად საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა. მასზე დასასწრებად იატლიაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციაც ჩავიდა აკაკი ჩხენკელის, ირაკლი წერეთლის, სვიმონ მდივნის, გრიგოლ ვეშაპელისა და ზურაბ ავალიშვილის შეადგენლობით. გიორგი მაჩაბელმა ყველაფერი იღონა, რომ ქართული დელეგაციის წევრები კონფერენციაზე დაეშვათ, მაგრამ ეს მის ძალებს აღემატებოდა.

საქართველოს ემიგრირებული მთავრობის წარმომადგენელთ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობაზე უარი უთხრეს. კონფერენციის სამანდატო კომისიამ ამის უფლება არც თბილისში არსებულ საქართველოს ბოლშევიკურ მთავრობას მისცა. საყურადღებოა ისიც, რომ კონფერენციაზე საქართველოს სახელით ლაპა-

რაკი აეკრძალა საბჭოთა რუსეთის დელეგატსაც, რადგან საქართველო რუსეთის ჯარების მიერ იყო ოკუპირებული.

აკაკი ჩხენკელმა კონფერენციის თავმჯდომარეს, იტალიის პრემიერ-მინისტრს ლუიჯი ფაქტას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით მემორანდუმი გადასცა, რომელშიც მოსკოვის აგრესიისაგან საქართველოს დაცვა ითხოვა (იმხანად წითელი არმიის ნაწილები ულმობლად უსწორდებოდნენ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ამბოხებულ სვანეთს). გენუის კონფერენციასვე გაეგზავნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას ცნობილი მიმართვა. ერის სულიერი მოძღვარი განათლებულ კაცობრიობას საქართველოში შექმნილ უმძიმეს ვითარებას აღუწერდა და ქვეყნიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანას მოითხოვდა. ეს მიმართვა 1922 წლის 25 მაისს იტალიურ გაზეთში „კაფარა“ გამოქვეყნდა (9). არ მოიპოვება პირდაპირი ცნობები, მაგრამ გიორგი მაჩაბლის მონაწილეობა ამ საქმეში სავსებით დასაშვებად მიმაჩნია, რადგან იტალიაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის რანგში მას მჭიდრო ურთიერთობა გააჩნდა ქვეყნის გავლენიანი გაზეთების რედაქციებთან და იტალიურ პერიოდულ პრესაში თვითონაც არაერთი პუბლიკაცია დაუბეჭდავს საქართველოს საკითხზე.

ამ დროისათვის იტალიაში რამდენიმე მრავალტირაჟიანი გაზეთი გამოიცემოდა, მათ შორის: „კორიერე დელა სერა“ („საღამოს ფოსტა“) და „სეკოლო“ („საუკუნე“) – მილანში, „მისაჯერო“ („მაცნე“) – რომში, „სტამპა“ („ბეჭდვა“) – ტურინში და სხვ. პერიოდული ორგანოები გააჩნდათ იტალიის წამყვან პოლიტიკურ ძალებს. რესპუბლიკური პარტია გამოსცემდა ორ ყოველდღიურ გაზეთს „ჯორნალე დელ პოპოლო“ („სახალხო გაზეთი“) და „იტალია დელ პოპოლო“ („სახალხო იტალია“); გამოდიოდა 50-ზე მეტი სოციალისტური გამოცემა, მათ შორის „ავანტი!“ („წინ!“) და „ტემპო“ („დრო“). ფაშისტების პოპულარული გაზეთი იყო „ილ პოპოლო დ იტალია“ („იტალიის ხალხი“) და სხვ.

მიუხედავად მრავალი სირთულისა, გიორგი მაჩაბელმა – „ძველმა ქართველმა არისტოკრატმა და განათლებულმა ევროპელმა“, როგორც გიორგის მიხაკო წერეთელი უწოდებდა, შეძლო ფაშისტური, ეროვნული და დემოკრატიული მიმართულებების პერიოდულ გამოცემებთან საერთო ენის გამონახვა და მათ ფურცლებზე სტატიების გაოქვეყნებას შეუდგა. ამის შესახებ ფართოდაა მოთხრობილი ზემოთ ხსენებულ გიორგი მაჩაბლის წერილებში სპირიდონ კედიასადმი, რომელთაც ქვემოთ დავიმოწმებ.

რომიდან პარიზში გაგზავნილ, 1923 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში გიორგი მაჩაბელი ს. კედიას წერდა: „ჩემი ჩამოსვლისთანავე აქ იტალიაში დავიწყე მუშაობა ჩვენი საკითხის გამო. ... ჩავიგდე ხელში სამი გაზეთი ყველა მიმართულებისა: ფაშისტური, ნაციონალური (დიდი დღიური–როგორც La pelisa paiso) და ოპოზიციური დემოკრატიული (ნიტისა). სოციალისტებისთვის განგებ არ მიმიმართავს. უკვე ორ გაზეთში იყო დაბეჭდილი გრძელი წერილები, ერთში ჩემის ხელმოწერით ბოლშევიკების წინააღმდეგ, მეორეში როგორც დეპეშა, თუ რა ხდება საქართველოში და ხვალ დაიწყება მთელი რიგი წერილებისა ფაშისტურ გაზეთში“ (კედია 2007: 39).

თავის საგაზეთო პუბლიკაციებში გიორგი მაჩაბელი ყურადღებას ამახვილებდა თუ რა ზარალი მოუვიდა იტალიას ბოლშევიკების დამკვიდრებით საქართველოში, რა მნიშვნელობა ჰქონდა იტალიისათვის ჩვენ ქვეყანას და როგორ უნდა გამოსწორებულიყო საქართველო-იტალიის ურთიერთობა.

ქართველი დიპლომატი ცდილობდა დაერწმუნებინა იტალიის შესაბამისი წრეები, რომ დაპირებული „კონცესიები ბოლშევიკების მხრივ არის ფიქცია, ქაღალდ-

ზედ დაწერილი ფორმულა“. გიორგი მაჩაბლის სიტყვით, იმ პირობებში, როგორშიც საქართველო იმყოფება, იტალიელები ვერავითარ კონცესიას და სერიოზულ საქმეს იქ ვერ დაიწყებენ. ბოლშევიკები მათ კონცესიებს ადვილად ვერ მისცემენ, რადგან ესწრაფვიან ისინი დაუთმონ უფრო დიდ და ძლიერ სახელმწიფოებს, იტალია კი „მეტად სუსტია დაეხმაროს რუსეთს“. ამასთან, თუ საქართველო რუსეთის ხელში დარჩება, ადგილობრივ ნედლეულს – აბრეშუმი, ბამბა, მატყლი, სპილენძი და სხვ. მოსკოვი უფრო რუსეთში გაიტანს, ვიდრე უცხოეთში.

იმ შემთხვევაში თუ საქართველო თავისუფალი იქნება, იტალიას უპრობლემოდ, ურთიერთხელსაყრელი პირობებით შეეძლება მიიღოს ჩვენგან კონცესიები და ამით ისარგებლოს. თავის მხრივ, იტალიური კაპიტალი დაეხმარება საქართველოს და ხელს შეუწყობს მის ეკონომიკურ აღორძინებას.

ერთ-ერთ სტატიაში გიორგი მაჩაბელი იტალიის ხელისუფლებას მიმართავდა, არ ეცნოთ საბჭოთა კავშირი უპირობოდ და მისთვის იურიდიული აღიარების წინაპირობად საქართველოსა და კავკასიის საკითხის გამორკვევა დაესვათ. „მოსთხოვეთ, გაიყვანონ ჯარები, ჩაატარონ თქვენი ზედამხედველობით რეფერენდუმი და მთელი კავკასიის და ცენტრალურ აზიის ხალხების თვალში თქვენი პრესტიჟი ცამდის აიწევს“, ურჩევდა მაჩაბელი იტალიელებს.

პოლიტიკაში რეალისტი გიორგი მაჩაბელი ვერ დარჩებოდა და არც დარჩენილა მხოლოდ გაზეთების იმედად. მან შეძლო კავშირის დამყარება მუსოლინის თანამოაზრეებთან და დუჩეს პოლტიკურ მეგობრებთან, რომელთაც საქართველოს განთავისუფლებში დახმარების სანაცვლოდ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოს კონცესიის განახლება აღუთქვა (1920 წლის ოქტომბერში რომში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და იტალიას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ტყვარჩელის კონცესიის ვადად 45 წელი იყო განსაზღვრული, მაგრამ 1921 წლიდან ხელშეკრულება აღარ მოქმედებდა).

გიორგი მაჩაბლის შეთავაზებაში ხაზი ესმებოდა საქართველოს ტყის კონცესიით, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურებით იტალიის დაინტერესებას, ასევე იტალიისათვის აზერბაიჯანული ნავთობით სარგებლობაში ხელშეწყობას, რასაც მუსოლინის ყურადღება გამოუწვევია. იდეა მოეწონათ, „მოლაპარაკებაა სერიოზული მუსოლინთან, ალბათ ამ დღეებში მე თვითონ მიმიწვევს და გამაგებინებს თავის აზრს“, ატყობინებდა გ. მაჩაბელი სპირიდონ კედიას 1923 წლის 20 ოქტომბერს.

იმავე წერილში გიორგი მაჩაბელი მეგობარს აღუწერდა თუ რა ძნელი იყო იტალიის ბიუროკრატიული აპარატის წინააღმდეგობის დაძლევა, მიუთითებდა: „ჩემ წინააღმდეგ მუშაობენ თვით სამინისტროში უფროსი მოხელეები, რომელნიც გავკიცხე, რაკი არ ესმით და არ უნდათ გაიგონ ჩვენი საკითხის მნიშვნელობა. მათ ეშინიათ, რომ რაკი არც ერთმა მათგანმა აქამდის არ აღძრა ეს საკითხი და არ მისცა სრული დაფასება, არ მიიღონ მუსოლინისაგან შესაფერი შენიშვნა ან დასჯა. მე მხარს მიჭერენ ფაშისტები და დემოკრატებიც, რომლებიც სრულიათ მეთანხმებიან, რომ მათი საგარეო სამინისტრო მოცულია ობით, რომ არას აკეთებენ, არაფერი ესმით, ასე გაჩაღდა ჯერ-ჯერობით ფარული ბრძოლა ჩვენი საკითხის ირგვლივ. დანამდვილებით, ან გადაწყვეტით ვერ გეტყვი რასაკვირველია, რითი გათავდება ყველა ეს, მაგრამ რომ უნაყოფოდ არ ჩაივლის ყველა ეს დემარში, ეს ცხადია“ (კედია 2007: 43).

საქმე, რომელსაც გიორგი მაჩაბელი იტალიაში აკეთებდა, რამდენიმე კაცის ძალისხმევას მოითხოვდა, საქართველოს წარმომადგენელი კი არსებითად მარტო იყო. „მაშინაზედაც გადაწერაც კი მევე მჭირდება. მოლაპარაკებები, წერილები გაზეთებისთვის, მემორანდუმები – ლამის თავი გამელაყოსო“, შესჩიოდა სპირიდონ კედიას, მაგრამ იქვე დასძენდა: „იმედი, რომ მართლაც შეიძლება რამე გამოვიდეს, რომ ერთ მშვენიერ დღეს მუსოლინს შეუძლიან დაარტყას მუშტი მაგიდას და შეუთ-

ვალოს ბოლშევიკებს, რას ჩადიხართ საქართველოშიო, აი ეს იმედი მაძლევს ძალას, ... ამოდენა ზედმეტ საქმეებს გავუძღვე და მოვუარო“ (კედია 2007: 43).

სასიამოვნო და გასახარ ინფორმაციასაც პირველად სპირიდონ კედიას უზიარებდა. „ერთი კარგი ამბავი გავიგე გუშინ. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის უფროსმა გამოუცხადა ჟურნალისტებს (დანამდვილებით გადმომცეს), ქართველი ბოლშევიკების წინააღმდეგ შეგიძლიანთ სწეროთ რამდენიც გინდათო. არაფერი მათთან არ გამოდის. ჩვენ უნდა ვეცადოთ ეს ქვეყანა ნაციონალურ მთავრობას დაუბრუნოთო, რადგან ამას მოჰყვება პრაქტიკული ნაყოფებიო“, წერდა გიორგი მაჩაბელი ერთ-ერთ წერილში. „პრესა ავალაპარაკე ჩვენი საკითხის შესახებ, გიგზავნი გაზეთების ამონაჭრებს ჩემი წერილებით“, აღნიშნავდა სხვა გზავნილში (კედია 2007: 43, 41).

სპირიდონ კედიას მეუღლის, სოფიო ჩიაჯავაძე-კედიას მოგონების თანახმად, გიორგი მაჩაბელი 1923 წლის ნოემბრის დამლევს იტალიიდან პარიზში ჩასულა და შეხვედრია სპირიდონ კედიას. მსჯელობა შემდგარა საკითხზე „თუ პოლიტიკური მუშაობისათვის როგორ იშოვონ ფული“ და შეთანხმებულან, რომ თუ რაიმეს წამოიწყებდნენ, ეს უნდა ყოფილიყო კომერციული საქმიანობა (ჩიჯავაძე 2001: 314).

რომში დაბრუნებული გიორგი მაჩაბელი ატყობინებდა სპირიდონ კედიას, რომ მან უკვე იშოვა სამუშაო ნიუ-იორკში, ერთი იტალიური საზოგადოების წარმომადგენლად მგზავნიან და ალბათ მალე ოკეანის გაღმა მომიხდება წასვლაო. მაგრამ გამგზავრებას არ ჩქარობდა: „უკანასკნელი სიტყვა არ მიმიცია, ... რადგან ჯერ მინდა მოვუცადო, თუ პოლიტიკურ ნაბიჯისაგან რა შედეგს დავინახავთ. ეჭვს გარეშეა, რომ თუ აქ ჩვენი საქმე ამოძრავდა, ამერიკას თავს დავანებებ და აქ დავრჩები. ან ერთი ან მეორე. ამნაირად თუ აქ არაფერი გამოვიდა, მაშინ მთელი ჩემი ენერგია და ყურადღება უნდა დაუპირდაპირო, ვიშოვოთ სადმე ფული“ (კედია 2007: 45).

მიუხედავად გარკვეული ძალისხმევისა, რომ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიისა თუ სხვა ქვეყნების მესვეურები საქართველოს დასახმარებლად განეწყო, საქართველოს ემიგრირებულმა მთავრობამ ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში რეალური მოკავშირე ვერ იპოვა. ისიც აღსანიშნავია, რომ მთავრობის სოციალ-დემოკრატი წევრები აქცენტს უფრო თანამოაზრე სოციალისტური პარტიებისა და მათი მეთაური ორგანიზაციის – მეორე ინტერნაციონალის მხარდაჭერაზე აკეთებდნენ, რასაც სასურველი შედეგის მოტანა ნაკლებად შეეძლო. ამაოდ ცდილობდა გიორგი მაჩაბელი შთაეგონებინა აკაკი ჩხენკელისა და მისი მეშვეობით ნოე ჟორდანიას მთავრობისათვის, რომ „მარტო მათი მეგობრობა არ კმარა, საჭიროა საქმეს უფრო ფართე, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით მივუდგეთო“, მთავრობა ემიგრაციაშიც პარტიულ ზნეს არ იცვლიდა.

გიორგი მაჩაბელი დარწმუნდა, რომ ვერაფერს გახდებოდა და მთავრობასთან ურთიერთობაზე ხელი აიღო. გადაწყვეტილების შესახებ წერილით აკაკი ჩხენკელს აცნობა, რომელშიც სოციალ-დემოკრატიისადმი არც თავისი უარყოფითი დამოკიდებულება დაუმალავს. წერდა: „უდიდესი შეცდომა ჩემს პოლიტიკურ მოღვაწეობაში ... იყო ჩემი ლოიალობა, ჩემი რწმენა, რომ წარსული საქართველოს მმართველი პარტია დაადგებოდა ნამდვილ ეროვნულ გზას, დაისახავდა მხოლოდ ქართველი ერის ინტერესების დაცვას. ... უდიდესი შეცდომა ჩავიდინე, მოვტყუვდი ჩემს რწმენაში ჩვენი მმართველებისადმიო“. თქვენზეა დამოკიდებული ძველი შეცდომების გასწორება და ახალი სწორი გზის არჩევა. „თუ არავითარი საშუალება არ იქნება შეთანხმების გამონახვისათვის, მაშინ თქვენ თქვენთვის და მე ჩემთვისო“, აღნიშნავდა წერილის დასასრულს (3).

გიორგი მაჩაბლის იტალიაში დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. მან დატოვა დიპლომატიური ასპარეზი და ბედის საძიებლად ამერიკაში გადაინაცვლა. საქართველოს თავისუფლებისათვის ამ დაუღალავი მებრძოლის მიზანი ამერიკაშიც ის იყო, რომ ქართული

ეროვნული ძალები მზადმყოფნი შეხვედროდნენ „მომენტს, რომელიც ერთხელ მაინც უნდა დადგეს და რომელიც არც ისე შორს უნდა იყვეს“ (კედია 2007: 33).

ქვემოთ ვაქვეყნებთ იტალიურ გაზეთებში დაბეჭდილ გიორგი მაჩაბლის ორ პუბლიკაციას.

საქართველოს მინისტრის პროტესტი

საბჭოთა წარმომადგენლების განცხადება სიმართლეს არ შეესაბამება

თავადი მაჩაბელი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელი გახლდათ ბოლშევიკურ ოკუპაციამდე, გვიგზავნის საპროტესტო წერილს, რომელსაც ვაქვეყნებთ. ჩვენ ასევე გამოვაქვეყნებთ ბოლშევიკების წარმომადგენლის ბატონი იორდანსკის[3] საპასუხო წერილსაც, თუ რა თქმა უნდა, პასუხის გაცემას ინებებს.

ბატონო დირექტორო,

ბოლშევიკების წარმომადგენლები უკვე კარგა ხანია ცდილობენ დაარწმუნონ იტალიელები, აღიარონ რუსეთის მთავრობის „დე იურე” დამოუკიდებლობა საქართველოში. რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება იტალიას შესაძლებლობა გააგრძელოს საქართველოში დაწყებული ეკონომიკური საქმიანობა და მიეცემა ჩადებული ინვესტიციების განხორციელების შანსი (ხორბლის, ქვანახშირისა და ხე-ტყის ექსპორტი). ბოლშევიკები ამბობენ, რომ შავი ზღვის პორტებში თავმოყრილია ნედლეულით დატვირთული გემები, რომელთაც გეზი ევროპისაკენ აქვთ აღებული და დაიძრებიან მაშინვე, როგორც კი იტალია მიიღებს რუსეთის მოთხოვნას საქართველოს „დე იურე” დამოუკიდებლობის შესახებ. გარდა ამისა, ნედლეულს შესთავაზებენ იმ ევროპულ ქალაქებს, რომლებსაც გადაკვეთენ საბჭოთა გემები.

აცხადებენ პრეტენზიას დონეცკის ოლქის ქვანახშირის საბადოზე, ისევე როგორც კავკასიის ნავთობ-საბადოებზე, სადაც ისეთი შემართებით მუშაობენ, რომ ომამდე არსებულ მაჩვენებელსაც კი მიაღწიეს.

ეს მტკიცებულებები გვიჩვენებენ, როგორ ცდილობენ ბოლშევიკები მოატყუონ იტალიელი ხალხი. ნათლად ჩანს, რომ მათ სხვა მიზნები არ აქვთ და რომ ისინი სულაც არ აპირებენ ნედლეულის ექსპორტზე გაშვებას. რადგან ძალიან კარგადაა ცნობილი, რომ დონეცკი მთლიანად იქნა პარალიზებული რევოლუციის დროს და ქვანახშირის საბადოს ასამუშავებლად საჭირო დანადგარების ნაწილი გაიძარცვა და ნაწილიც კიდევ მწყობრიდან გამოვიდა, რის შედეგადაც მაღაროები განადგურდა (ამოივსო ან დაილუქა). დონეცკის ამ ოლქს განსაკუთრებით დიდი ზიანი მიადგა დენიკინისა და ბოლშევიკების ბრძოლების შედეგად, რომლის დროსაც ოლქი ხან ერთის ხელში გადადიოდა და ხან მეორისაში. უვიცისთვისაც ადვილი გასაგებია, რამდენად ძვირად დაუჯდა დონეცკს სურვილი ხელახლა აეღორძინებინა მთლიანად დანგრეული ინდუსტრია, რომლისთვისაც საჭირო დანადგარები დასავლეთიდან შედიოდა.

იმავე ბოლშევიკური სტატისტიკის მიხედვით, შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ ამ ოლქის მხოლოდ მეათედი ნაწილი მუშაობს. ცოტა ხნის წინ გაყიდული

---

3 ნიკოლაი ივანეს ძე იორდანსკი - რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის თვალსაჩინო წევრი და ცნობილი ჟურნალისტი, 1923 წელს იტალიაში იყო საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

ქვანახშირი მხოლოდ ნარჩენებია ძველი სტოკებისა და არა დონეცკის საბადოს ახალი პროდუქცია (როგორც ამტკიცებდნენ).

ცხადია, რომ ნავთობის წარმოება ბაქოში 40%-მდე დაეცა მას შემდეგ, რაც იგი ბოლშევიკების მმართველობის ხელში გადავიდა.

ის ექსპორტირებული მილიონობით მარცვლეული, რომელზეც ბევრს ლაპარაკობენ, სულაც არ არის ექსპორტზე გატანილი, პირიქით რუსეთის სამხრეთ პროვინციაში ამერიკიდან იმპორტირებული მარცვლეულით იკვებებიან. პროდუქცია, რომელსაც მოიპოვებენ, მხოლოდ რუსეთის საჭიროებას ხმარდება. გარდა ამისა, საქმე ეხება ძირფესვიანად გადაგვარებულ ხალხს, რომელიც ძველი რეჟიმის, ცარიზმის იმპერიალისტური იდეებით არის შეპყრობილი. რაც შეეხება საქართველოს, ეს მშვიდობიანი, აღორძინების გზაზე დამდგარი ქვეყანა სულ მთლად განადგურებული და გათელილი აღმოჩნდა რუსული ოკუპაციის მიერ. მე წილად მხვდა გავახმოვანო დამოუკიდებელი კომიტეტის გამოძახილი და ქართველი ხალხის სახელით, რომელშიც ერთიანდება ყველა სოციალური კლასი, ეროვნება და პოლიტიკური პარტიები, მივმართავ ერთა ლიგას. მე ვარ იმ ჰუმანურობის მატარებელი, რომელსაც ქართული საზოგადოება ითხოვს და მაქვს ნება გადმოგცეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ფრაგმენტი იმ მიმართვიდან რასაც საქართველოს დამფუძნებელი კრება ითხოვს:

„რუსეთმა გათელა ქართველი ხალხის უფლებები: დაშალა პარლამენტი, ძალის გამოყენებით გააუქმა ქართული ფულის ერთეული და გააუქმა ეროვნული არმია, რითაც ფაქტობრივად მოშალა ქართული სახელმწიფოებრიობა. ქვეყანა მიემართება რუსული კომუნისტური პარტიისაკენ და უერთდება ოკუპანტებს. ხალხის სურვილის სააწინააღმდეგოდ, საქართველო იძულებული გახდა შეერთებოდა საბჭოთა სოციალისტური ქვეყნების კავშირს და გახდა ერთ-ერთი მათგანი. ქვეყანა სისხლისმსმელთა ხელში გადავიდა. ჩეკისტები შემსრულებლები არიან, ხოლო ჩეკა, როგორც ინსტიტუცია, ჩვენი საუკუნის სირცხვილია."

გამოძიებისა და გასამართლების გარეშე ხვრეტენ ქვეყნის საუკეთესო შვილებს, პოლიტიკოსებს, სამხედროებს, მუშებსა და გლეხებს. შიმშილისაგან დაუძლურებული, ხელ-ფეხშეკრული ხალხი გაჰყავთ ქალაქიდან, ხვრეტენ და დახოცილებს ორმოებში ყრიან. გვამებს თხლად აყრიან მიწას და მათ ცხოველთა საჭიჭნად იმეტებენ.

4000 ყველაზე უფრო მამაცი პატრიოტი იძულებული გახდა ქვეყანა დაეტოვებინა და საკუთარი სიცოცხლე ეხსნა.

მხოლოდ 13 თებერვლის საღამოს თბილისის საპყრობილედან გამოიყვანეს და დახვრიტეს 92 ადამიანი, იმის გამო რომ გურიაში ერთ-ერთმა ცნობილმა ყაჩაღმა ჩეკას უფროსი მოკლა[4].

1923 წლის 20 მაისს ჩეკისტებმა გასამართლების გარეშე დახვრიტეს 15 ქართველი ოფიციალური პირი: გენერლები და ოფიცრები. ამათგან ერთი პოლიტიკური პარტიის **ხელმძღვანელი იყო**[5]. იგი კონტრრევოლუციის მომზადებაში დაადანაშაულეს.

ყველა ეროვნული მოძრაობა უმკაცრესად ჩაახშეს. ხელოვნება, ლიტერატურა და თვით ენაც გადაგვარების გზაზე დადგა. ისინი არა მხოლოდ სიტყვის თავისუფლებას ახშობენ, არამედ სულიერებაც კი შერყვნეს, დაკეტეს ძალიან ბევრი ეკლესია-მონასტერი, მორწმუნეებს აეკრძალათ ლოცვა, დააპატიმრეს სამღვდელოება და მრევლი.

---

4 იგულისხმება გოგია ღლონტის მიერ ცნობილი ბოლშევიკი ჯალათის ალექსანდრე ობოლაძის მკვლელობა.

5 ავტორს მხედველობაში ყავს კოტე აფხაზი, რომელიც 1922 წლიდან არჩეული იყო საქართველოში არალეგალურად მოქმედი ეროვნულ-დემოკრატიული (იგივე საქართველოს დემოკრატიული) პარტიის თავმჯდომარედ.

ქარხნებსა და ფაბრიკებში მომუშავე ქართველი მუშები, რომლებიც უარს აცხადებდნენ კომუნისტურ პარტიაში გაწევრიანებაზე, სამსახურიდან გაათავისუფლეს.

ამ დროისათვის სავაჭრო ურთიერთობა საზღვარგარეთთან პარალიზებულია მოსკოვის დეკრეტის მიერ, შეწყვეტილია ყველანაირი საზღვაო ტრანზიტი პორტებში. უცხოელი კომერსანტები, რომლებსაც ხელშეკრულების დადება სურთ, მოსკოვის ზეგავლენის ქვეშ არიან მოქცეულნი და ამიტომაც ამჯობინებენ ქვეყნის დატოვებას.

ჩვენს წინადადებაზე, ჩაგვეტარებინა პლებისციტი რუსული ჯარის გასვლის შესახებ, საერთაშორისო კომისიის კონტროლით, უარყოფითად გვიპასუხეს. ყველაფერი ეს აჩვენებს მათ იმპერიალისტურ ტენდენციებს.

დღეს უკვე არავის ეპარება ეჭვი, რომ საბჭოელები დე იურე დამოუკიდებლობას ითხოვენ და ამით ცდილობენ დააკანონონ მათი კრიმინალური ქმედებები.

თავადი გიორგი მაჩაბელი
გაზეთი „L'Impero", 1923 წ. 29 სექტემბერი

საქართველო და იტალია

იტალიის ეკონომიკის განვითარება უდაოდ აღმოსავლეთისაკენ უნდა იყოს მიმართული და ამ განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი შეიძლება გახდეს საქართველო, კავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად, როგორც ბუნებრივი წიაღისეულის (ნავთობი, ქვანახშირი, სპილენძი, ხე, მატყლი, ბამბა) სიმდიდრით, ასევე ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით. კავკასია ხომ ხიდია ევროპასა და აზიას შორის. რუკაზე ერთი თვალის შევლებაც საკმარისია იმის გასაგებად, რომ კავკასია და განსაკუთრებით საქართველო წარმოადგენს ეგრეთწოდებულ გასაღებს შავი ზღვის აღმოსავლურ ბაზრებზე. ასევე ეს არის ისტორიულ-გეოგრაფიული კვანძი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

სატრანზიტო მთავარი გზები, რომლებიც ევროპას აკავშირებენ რუსეთთან და აზიასთან შავი ზღვისა და საქართველოს გავლით არიან:

- სარკინიგზო მაგისტრალი ბათუმი (ან ფოთი)-თბილისი-ბაქო. მისი სიგრძე 892 კმ-ია. გაივლის პეტროვსკს (ჩრდილოეთ კავკასიიდან რუსეთამდე). ბაქო აკავშირებს კასპიის ზღვას ასტრახანთან (რუსეთი), კრასნოვოდსკთან (თურქმენეთი), ავღანეთთან, ცენტრალურ აზიასა და ენზელთან (სპარსეთი).
- სარკინიგზო მაგისტრალი თბილისი-ერევანი-ჯულფა. მარშრუტის სიგრძეა 542 კმ, რომელიც თავრიზში სრულდება.
- სარკინიგზო მაგისტრალი თბილისი-ყარსი, სიგრძით 299 კმ, რომელიც სარაყამიშს გაივლის და სრულდება არზრუმში (თურქეთი).
- მშენებარე სარკინიგზო მაგისტრალი ფოთი-ტუაფსე (ჩრდილოეთ კავკასია და რუსეთი). მარშრუტი სიგრძით 350 კმ-ია.
- ავტობანი (სარკინიგზო პროექტით) თბილისი-ვლადიკავკაზი. მისი სიგრძე 214 კმ-ია და იგი აკავშირებს ამიერკავკასიის ცენტრს, ჩრდილო კავკასიასა და რუსეთთან.

ჩამოთვლილ სახმელეთო მაგისტრალებს აერთიანებს საქართველოს დედაქალაქი, თბილისი, რომელიც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო სტრატეგიულ ცენტრად მიიჩნევა.

იტალიამ სწორედ აღიქვა საქართველოს პოტენციალი და იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც მიიღო მონაწილეობა საქართველოს განვითარებაში, იმ მცირე ხნიანი დამოუკიდებლობის პერიოდში, სანამ ბოლშევიკური ოკუპაცია მოხდებოდა.

დამყარდა საზღვაო კავშირი იტალიასა და საქართველოს პორტებს შორის. 1920 წელს საქართველომ 3 მილიონი ფუნტი სტერლინგის ოდენობის იმპორტი და 2 მილიონის ექსპორტი განახორციელა, რომლის 65-70 %" იტალიაზე მოდიოდა.

დაარსდა ბანკი სახელწოდებით „L`Italo-Caucasica di Sconto", რომლის საწყისი კაპიტალი 32 000 000 ლირას შეადგენდა[6]. ბანკმა არსებობის პირველსავე წელს 86-მილიონიანი მოგება მოიტანა. ძირითადად, იმ ექსპორტული ნედლეულით, რომელიც იტალიაში საქართველოდან შევიდა. ამ ბანკის ფილიალები გაიხსნა ბათუმსა და ბაქოში.

იტალიელი ფინანსისტების ჯგუფმა ასევე აამუშავა საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვანახშირის საბადო ტყვარჩელში, რომელსაც წელიწადში 21 მილიონი მოგების მოტანა შეეძლო.

საქართველოში ასევე მოავლინეს კომისია სენატორ კონტის ხელმძღვანელობით, რომელსაც ახალი წარმოებების შექმნა ევალებოდა.

მაგრამ მოულოდნელად, თითქოს მიწა იძრა, ბოლშევიკური ძალების საქართველოში შემოჭრის შედეგად, ბოლო მოეღო ამ ეკონომიკურ წინსვლას. 1921 წლიდან ბოლშევიკურმა ოკუპაციამ ქვეყანა ტერორის ქვეშ მოაქცია. ამ დანაშაულის წინააღმდეგ ხმის ამოღება ვერავინ გაბედა, მიუხედავად იმისა, რომ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები, ისევე როგორც რუსეთი, აღიარებდა საქართველოს დე იურე და დე ფაქტო დამოუკიდებლობას. სამწუხაროდ, ეს აღიარება საკმარისი არ აღმოჩნდა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ხელშესაწყობად.

ბოლშევიკურმა აგრესიამ არამხოლოდ შეაჩერა საქართველოს განვითარება, არამედ სერიოზული ზიანი მიაყენა საგარეო ინტერესებსაც. განსაკუთრებით იტალიელი პიონერების მოღვაწეობას.

შექმნილი გართულებების გამო ვაჭრებმა შეწყვიტეს კომერციული საქმიანობა, დაიხურა იტალიური ბანკი, შეწყდა საზღვაო მიმოსვლა და, რაც მთავარია, ტყვარჩელის ქვანახშირის მაღარო დარჩა აუთვისებელი.

რუსეთი კავკასიას მიიჩნევდა და მიიჩნევს, როგორც მხოლოდ სტრატეგიულ ობიექტს თავისი იმპერიალისტური დაპყრობებისათვის. საქართველოს ეკონომიკური განვითარება კი მას ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა. სხვადასხვა დადგენილების საფუძველზე ნედლეული მიდოდა რუსეთში, რათა ხელი შეეშალათ კავკასიის სავაჭრო და სამრეწველო კავშირებისათვის სხვა ქვეყნებთან. ჯერ კიდევ 1880 წელს რუსეთმა საკუთარი მრეწველობის საერთაშორისო ბაზარზე დასაცავად მიმართა განსაკუთრებულ ზომებს. კერძოდ, აკრძალა საერთაშორისო გადაზიდვები საქართველოს გავლით.

---

6 სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ხსენებული შეღავათიანი „იტალია-კავკასიის გამნაღდებელი ბანკის" საწესდებო კაპიტალი 40 მილიონ იტალიურ ლირას უდრიდა. ბანკის ცენტრალური ოფისი რომში მდებარეობდა, მთავარი განყოფილება თბილისში, ხოლო ფილიალები ბათუმში, ფოთსა და სოხუმში მოქმედებდა (ჯოჯუა 1997: 226).

ამგვარად, საქართველო და კავკასიის სხვა რესპუბლიკები, ხალხის სურვილის მიუხედავად, საბჭოთა კავშირის ნაწილნი გახდნენ, რაც საქართველოში იტალიიის ინტერესების შესუსტების საფუძველი გახდა.

დიპლომატიურ ურთიერთობებსა და დაპირებებს ბოლშევიკების მხრიდან, დადებითი შედეგი არ მოუტანია. შექმნილი მძიმე სიტუაციიდან გამოსავლის ძიება სულ უფრო და უფრო რთულდება. სამწუხაროდ, საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის ფაქტი იტალიაში სწორად ვერ გაიგეს. ძნელი გახდა იტალიის დარწმუნება, რომ საქართველოში მოხდა სამხედრო ოკუპაცია ისევე, როგორც ბელგიასა და სერბეთში დიდი ომის დროს.

საქართველოში არ არსებობენ ქართველი ბოლშევიკები, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც მოღალატეები არაინ და, რომელთაც ზურგს უმაგრებს რუსული ხიშტი. რუსეთის ხელისუფლებამ იცის ეს და მართვის სადავეების ხელში უკეთ ასაღებად, საქართველოში რუსული არმია შეიყვანა. ქართველებს დამოუკიდებლობა სურთ და დღეს მათ წინააღმდეგ თვით ქალებიც და ბავშვებიც კი იბრძვიან. რუსული არმია უნდა გავიდეს საქართველოს ტერიტორიებიდან და ქვეყნის ბედის მართვის უფლება ქართველი ხალხის ხელში უნდა გადავიდეს!

თავადი გიორგი მაჩაბელი
გაზეთი „ L'Impero", 1923 წ., № 125-126.

დამოწმებანი

1. გაზეთი „სახალხო საქმე", 1920 წ., 11 მარტი.
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1921 წ., 2 თებერვალი.
3. თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. მაჩაბლის წერილები აკაკი ჩხენკელს.
4. დაუშვილი რ. ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007.
5. ავალიშვილი ზ. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1925.
6. http://www.bmussolini.net/6/90/4/0/
7. მუსოლინი, თბ., 2012.
8. სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან. შესავალი წერილი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ოთარ ჯანელიძემ, თბ., 2007.
9. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 13, ანაწ. 1, საქმ. 28, ფურც. 1.
10. ჩიჯავაძე-კედია ს. ნასმენ-ნახული, თბ., 2001.
11. ჯოჯუა დ. საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1918-1921 წლებში, თბ., 1997.

OTAR JANELIDZE

Giorgi Machabeli on the Dyplomatic Arena

Summary

In the article are discussed Giorgi Machabeli's diplomatic activities in Italy, a prominent figure in the struggle of Georgia for independence, who later became a founder of a famous perfume company.

Official representations of the Government of the Democtaric Republic of Georgia continued their activities in Western States even after the Bolshevik occupation of the country in 1921.

In 1921-1923, Giorgi Machabeli fulfilled the functions of the Ambassador of Georgia in Italy. Parallel to his basic activities, he combined responsibilities of the Consul – issued visas and passports for citizens of Georgia, assisted them to move from one country to another.

During Giorgi Machabeli's activities in Rome, several governments changed in Italy. From 1922, Georgian issue lost its actuality. Despite this fact, Giorgi Machabeli had a lot of friends and supporters both in the governmental and non-governmental circles.

Giorgi Machabeli closely observed political processes taking place in Italy, tried to make Italian public opinion interested in Georgian issues and supply Governmental leaders with true information about the Soviet reality by means of diplomatic notes, announcements, publications, etc.

The diplomatic resresentative of the Democratic Republic of Georgia was able to build relations with periodicals of facisct, national and democratic directions and published several remarkable articles about Georgian issues there. In these articles he draw attention to the extent of the loss that Italy suffered by the establishment of Bolsheviks in Georgia, to the importance of Georgia for Italy and the ways of improvement of Georgian-Italian relations.

Giorgi Machabeli promised the Italian Government to renew concession for Tkvarcheli coal mines, support them in exploitation of Georgian forests, Batumi and Poti Ports and Azerbaijani oil instead of their support in liberation of Georgia which attracted the attention of Duce-Benito Mussolini.

Despite its great efforts, the emigrated Georgian Government failed to find real allies in their struggle for independence of the country. Giorgi Machabeli left the diplomatic arena and moved to America in search of fortune.

Giorgi Machabeli's two articles published in Italian `L'Impero~ in 1923 are attached to this article.

ბადრი ქუთელია

პარადოქსული პოსტმოდერნულობა, დიასპორა და ჩვენ

შესავალი

ქართველები ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად მობილურ ერად ითვლებოდა მიგრაციის თვალსაზრისით. თუმცა, ეს მითი უფრო მეოცე საუკუნის შუა ნაწილს ეხება, როდესაც იგი შეიქმნა. შეიძლება ისიც მართალი იყოს, რომ ქართველთა ძირითადი საცხოვრისის ორ ზღვას შუა განთავსება იყო გარემოება, რაც უფრო სხვა ტერიტორიებიდან იმიგრაციას უწყობდა ხელს, ვიდრე ადგილობრივთა ემიგრაციას. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული საქართველოს სამხრეთით განსახლებული ერებიც მათსავით მიწათმოქმედთა ტიპს მიეკუთვნებოდნენ, სხვადასხვა მიზეზის გამო უფრო სამხრეთელი მეზობლები შემოდიოდნენ ისტორიული საქართველოს ფარგლებში, ვიდრე დღევანდელი ქართველების წინაპრები მათთან. რასაკვირველია, მეომარი და მომთაბარე ხასიათის ტომებიც ხშირად სტუმრობდნენ საქართველოს. შეიძლება ქართველთა გახსნილობა უცხოთა თუ მონათესავეთა მიმართ იყო მიზეზი ქართული კულტურისა და სოციო-ანთროპოლოგიური ტიპის მდგრადობისა და განვითარებისაც. თუმცა ზოგმა ეს გახსნილობა და ერთგვარი ცნობისმოყვარეობა ქართველთა რაოდენობრივი სიმცირის, სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ნაკლები წარმატებულობისა და საკმაოდ ჭირნახული ისტორიის არგუმენტადაც წარმოადგინოს. არც თუ ისე ბევრ ისტორიულად მიწათმოქმედ მცირე ერს შეუძლია ამტკიცოს თავისი სამიათასწლიანი არსებობა.

აღვნიშნოთ - კაცობრიობა, მათ შორის ქართველობაც, თავისი განვითარების ისტორიის მანძილზე უმთავრესად ბუნებრივ გარემოში ცხოვრობდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობის მიერ გავლილ ყველა ეტაპზე, - იქნებ, დღევანდელის გამოკლებით, - ადამიანი ისეთ პირობებში იყო, რომლებსაც მისი ფსიქიკასა და მოქმედების ტიპი მეტნაკლებად მორგებული იყო. ადამიანის საცხოვრისი გარემოს ბუნებრიობის მუდმივი შემცირება კი რაღაც ეტაპზე ათასწლეულობის განმავლობაში ჩამოყალიბებულ და ბუნებასთან მორგებულ ფსიქიკას „მომაკვდინებელ" მოთხოვნებს უყენებს (Alvin Toffler 1970), ხოლო ამ მოთხოვნების დაძლევის პარალელურად და მის შემდეგ - აუცილებლად ცვლის მისი მოქმედების ტიპს (Small).

1. ქართველები და მიგრაცია

დებულება, რომ ისტორიულად ქართველი ერი მიჩნეული იყო ერად, რომელსაც არ უყვარს სხვათა ქვეყნებში გადასახლება, ანუ მიგრირება, უპირველეს ყოვლისა მართებულია საბჭოთა პერიოდისათვის, როდესაც არა მხოლოდ ქართველ, არამედ სხვა ერებსაც უჭირდათ ფარდის მიღმა გასვლა. უფრო ადრეული ეტაპისათვის ასეთი მტკიცებულება ნაკლებად სარწმუნოა, თუმცა, შესაძლოა, სხვა, ისტორიულად ქართველ ერთან დაკავშირებული ერები უფრო მობილურები იყვნენ კიდეც მიგრაციის თვალსაზრისით. ქართველების, რომლებიც მიწათმოქმედი ხალხია, პროცენტულად მცირე ნაწილი მაინც არც თუ ისე იშვიათად მიდიოდა მეზობელ ქვეყნებში ბედის საცდელად, უსიამოვნებისათვის თავის ასარიდებლად, საქმიანი მოსაზრებებით, სასწავლებლად, კულტურული მოღვაწეობისათვის თუ სხვა მიზეზით. ხდებოდა ისეც, რომ თავად ადგილს არ იცვლიდნენ, მაგრამ ახალი თავსმოხვეული კულტურისა და იურისდიქციის გარემოში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. ზოგჯერ საკმაოდ დიდ პროცენტს მოსახლეობისას საკუთარი ნების წინააღმდეგ ასახლებდნენ მოძალადეები შორეულ ადგილებში, სადაც არც სამშობლოს ივიწყებდნენ და ტრადიციულ წესსაც შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად ინარჩუნებდნენ აღმსარებლობის შეცვლის შემთხვევაშიც კი. ანუ, როგორც ყველა ერი, ქართველებიც ან საკუთარი მოსაზრებებით მიდიოდნენ ბედის საძებლელად, ან იძულების წესით აღმოჩნდებოდნენ ხოლმე სხვა გარემოში.

დიასპორა, - რაც ერთი წარმოშობის, ან მონათესავე კულტურის მატარებელთა, ან წინაპართა საერთო ქვეყნიდან განბნევას ნიშნავს სხვადასხვა ადგილებში,- უმთავრესად, მაინც, სხვა ტერიტორიებზე შექმნილი არანებაყოფლობით გადასახლებულთა კულტურული მისწრაფებების მატარებელი მეტნაკლებად მტკიცე ერთობლიობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. თუმცა, ჩვენი აზრით, რიგ გლობალურ ცვლილებებთან ერთად ამ მოვლენის, თუ პროცესის, ინტერპრეტაცია, და შესაძლოა არსიც კი, **იცვლება**.

2. ქართული კულტურული ცენტრები და დიასპორები

ქართველთა ისტორიული გადასახლებების, ისევე, როგორც სხვათა ქვეყნებში კაპიტალისტური ექსპანსიის დროს შექმნილი ექსტერიტორიალური დასახლებების აღსანიშნავად, ადრე უფრო იხმარებოდა ტერმინი კოლონია. თუმცა, ქართული „კოლონიები“ კულტურული გაცვლის ან დროებითი თავშესაფრის ფუნქციებს თუ ასრულებდნენ (კულტურათა 2009: 7, 60). მათი მაგალითები ახალ დრომდე გაცილებით ადრე არსებობდა ხმელთაშუა ზღვის მიმდებარე ქვეყნებში. ახალი ისტორიის დროს ასეთები მეტწილად რუსეთსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში იყო განთავსებული, უახლესი ისტორიისას ევროპის ქვეყნებსა და რუსეთში, ხოლო ჩვენი დროისათვის, რომელიც ასევე შეიძლება უკვე მივაკუთვნოთ ისტორიას, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მეოცე საუკუნეში და 90-იანი წლების პირველ ნახევარში, - რომელ წლებზეც მოდის საქართველოს მოსახლეობის მექანიკური დანაკლისის არნახული რაოდენობა, - უფრო ხშირად გამოიყენებოდა ტერმინი „სათვისტომო“, ხოლო ოდნავ მოგვიანებით დამკვიდრდა ტერმინი „დიასპორა“. სხვათა ქვეყანაში დასახლებულთა ერთობლიობის ტერმინ „კოლონიით“ აღნიშვნას ჰქონდა თავისი სპეციფიკა: იგი აქ მიუთითებდა კომპაქტური დასახლების ამა თუ იმ მისიაზე, მაგალითად, ქართული კოლონიებისაზე - რუსეთში, რამდენადმე განსხვავებულ მისიაზე - საფრანგეთში, გერმანიაში (პოლიტიკურ მისიაზე). კოლონიებს, რომლების სამხრეთ ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში იყვნენ განთავსებულნი სამონასტრო კომპლექსებში, დაკისრებული ჰქონდათ პირველ რიგში კულტურულ-საგანმანათლებლო და ცივილიზაციური მისია. მეოცე საუკუნის 90-იანი და ოცდამეერთეს პირველ ათწლეულში „კოლონიების“ დანიშნულება შეიცვალა, - არა

იმდენად კონკრეტული ამოცანა-მისია, რამდენადაც ცხოვრების წესის გადატანა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მცდელობა უცხო გარემოში. ამიტომ - ტერმინი „სათვისტომო“, რაც სწორედ ამგვარი ამოცანის რეალიზაციის პირველხარისხოვნობაზე ამახვილებდა ყურადღებას, მალევე, ამას დაემატა კიდევ ერთი ნიშანი, რის გამოც საჭირო გახდა (ალბათ) ახალი, საერთო გავრცელების მქონე ტერმინის „დიასპორის“ დამკვიდრება. ეს ნიშანი არის ახალ, მიმღებ გარემოსთან შეთვისება (რაც ინტეგრაცია არ არის) დიასპორის / სათვისტომოს წევრთა კოლექტიური და ინდივიდუალური კულტურული და ყოფაცხოვრებითი ინტერესების უკეთ დასაცავად. ეპოქის, მისი ძირითადი მახასიათებლების, გარემოს თავისებურებების და (გა)დასახლებულთა საჭიროებებისა და მოთხოვნილებების ცვლილებების შესაბამისად ამ წარმონაქმნთა აღმნიშვნელი სახელიც იცვლებოდა. სიტყვა „დიასპორა“ ბევრისათვის საკმაოდ უცნაურ ცნებად დარჩა, მაგრამ საყოველთაო გავრცელება კი მოიპოვა ქართულ დიასპორებსა თუ ამ დიასპორების წარმომქმნელ ქვეყანაში. გამოენახება თუ არა კიდევ ერთი ახალი სახელი წარმო**მშობელი** ქვეყნის მოსახლეობის განბნევებს, ერთი საკითხია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კონკრეტულ უცხო გარემოში **შეთვისების** აქტუალიზებულ ფუნქციას ბოლოდროინდელ გლობალური ცვილებების პარალელურად დიასპორების ცხოვრების სხვა თვისობრიობებიც მიემატა.

შევეცდებით ეს ცვლილებები და თვისებრიობები გამოვყოთ და შესაბამისად გავაანალიზოთ დიასპორა - სა**მშობლ**ოს ურთიერთკავშირები.

3. ადრე და ახლა

პირველი, რაც აღსანიშნავია, არის ის, თუ რა მიზეზებით ხვდებიან დღეისდღეობით ადამიანები სხვა ქვეყნებში. ზოგადად ასეთი სამია: კულტურული, პოლიტიკური და სოციალური. კულტურული შემადგენელი თან ახლავს კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ მიზეზსაც. პოლიტიკურ მიზეზს შეიძლება თან ახლდეს სოციალური შემადგენელი (მოთხოვნა ახალ გარემოში), ხოლო სოციალურად განპირობებულ მიგრაციას შესაძლოა არც კი ახლდეს პოლიტიკური შემადგენელი. შესაძლოა, ბოლო დრომდე ყველაზე მეტი ძალისხმევა კულტურული შემადგენლის შენარჩუნებას ესაჭიროებოდეს. სოციალური შემადგენლის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად საკმაოდ იოლად ზიანდება პოლიტიკური შემადგენელიც. კულტურული და პოლიტიკური შემადგენლების მოთხოვნებზე უარის თქმა, თავის მხრივ, ხელს უწყობს სოციალურ მოთხოვნილებათა, - როგორც უფრო ვიტალურის, - დაკმაყოფილებას და ამდენად, ინდივიდის ინტეგრაციასა და ასიმილაციასაც კი ახალ გარემოში. შესაბამისად, პირველ რიგში, დიასპორის კულტურული შენარჩუნება/განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოციალური ინდივიდის კავშირს ფიზიკურად და არაფიზიკურადაც დისტანცირებულ სა**მშობლ**ოსთან. ზოგი ერი საუკუნეების განმავლობაში ახერხებდა წმინდად ვირტუალური საშუალებებით მუდმივი კავშირი ჰქონოდა „წარმოსახვაში არსებულ“ (კვესელავა 1977) **მშობლ**იურ რეალობასთან.

უკვე რეალიზებული ინფორმაციული მსოფლიო რევოლუციის შედეგად დიასპორები და მათი წარმო**მშობელ**ი კულტურებიც სხვაგვარ სიტუაციაში აღმოჩნდენ. ვირტუალურად, ანუ წარმოსახვაში არსებული, რეალობის ონლაინ ფორმის წყალობით არაფიზიკური დისტანციის ფაქტობრივად გაქრობამ საჭირო გახადა დიასპორებისა და სამშობლოების ურთიერთობების ახლებური გააზრება.

ჩვენი აზრით, იზრდება დიასპორების მნიშვნელობა გლობალიზებული საზოგადოებების ფუნქციონირებაში. დღეისათვის დიასპორა არა თუ მხოლოდ ეძებს კონტაქტებს სამშობლოსთან კულტურული მყოფადობის გასაგრძელებლად, ანუ იმი-

სათვის, რომ ისეთი იყოს, როგორიც სამშობლოა, არამედ აქტიურ მონაწილეობას ღებულობს იმაში, თუ როგორ განისაზღვრება სამშობლოში მიმდინარე პროცესები. ანუ, შეიძლება ითქვას - ეს ნიშნავს დიასპორების თანდათან სამშობლოს ნაწილად გადაქცევას. ბოლო წლებში აღნიშნული პროცესი სულ უფრო და უფრო მკვეთრად ისახებოდა, ერთის მხრივ, საქართველოს დამოკიდებულებაში განბნეული დიასპორების მიმართ, - თანამემამულის ინსტიტუტის ინიცირება დიასპორების სამინისტროს მიერ, უცხოეთში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობის გააქტიურება სპეციალისტთა გადამზადების სახით და სხვა (3), ხოლო მეორეს მხრივ, სხვადასხვა ქვეყნების ქართული დიასპორების მხრიდან არა მხოლოდ დაინტერესება, არამედ ორგანიზაციულად აქტიური ჩართულობა ქვეყნის საქმეებში. თუ ადრე დიასპორის დანიშნულება იყო უცხო გარემოში დიასპორის წევრების კორპორატიული ინტერესების დაცვა, კულტურული თვითშენარჩუნება და ერთგვარი კავშირი წარმომავლობის ქვეყანასთან, დღეისათვის საცნაური ხდება დიასპორათა ფაქტობრივად გა**უ**უშუალოებ**ელ**ი პირდაპირი მონაწილეობა ქვეყნისა და საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრების განსჯაში (მაგ. 4 და სხვები), ისევე, როგორც ამას აკეთებენ თბილისის ან საქართველოს ნებისმიერი სხვა ქალაქის თუ სოფლის მაცხოვრებლები. მომავალში ეს პროცესი უფრო საგრძნობი მნიშვნელობის მატარებელი გახდება. მოსალოდნელია სულ უფრო მეტი ჩართულობა, მათ შორის ქართული და ან საქართველოსმიერი წარმოშობის უცხოქვეყნელი მოქალაქეების მხრიდანაც. რა თქმა უნდა, დღეს შეიძლება ეს ჯერ კიდევ პარადოქსულად ჟღერდეს.

4. პოსტთანამედროვეობის თავისებურებანი, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ დიასპორების დღევანდელ სპეციფიკაზე

ვნახოთ, თუ რამ გახადა შესაძლებელი, ან პერსპექტივაში რა ხდის შესაძლებელს დიასპორებისა და წარმო**მშობ**ი ქვეყნების, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის მოქმედებას. ამის უძირითადესი პირობაა გლობალიზაციის პროცესი, რომელმაც დააახლოვა არა მხოლოდ ადრე ერთმანეთისათვის სრულიად უცნობი კულტურები, არამედ ცალკეული კულტურების გაბნეული ნაწილებიც. ამასთან ერთად, სულ უფრო საცნაური ხდება ისიც, რომ რომელიმე კულტურის სამშობლო ქვეყანა, თუ გეოგრაფიული მნიშვნელობით არა, ვირტუალურად მაინც, გლობალური მასშტაბის სუბიექტად იქცევა. თავის მხრივ, ახალი მდგომარეობა გაბნეულ დიასპორებთან ერთად გაზრდილ მოთხოვნებს და რისკებს უყენებს კულტურულ ცენტრსაც. ამიტომ სრულიად აუცილებელია დიასპორების ფუნქციონირებაში მათ ძირითად კულტურასთან კავშირსა და თვით წარმომშობი ქვეყნის სხვა დიასპორებთან ურთიერთობაში, გათვალისწინებულ იქნას თანამედროვეობის (პოსტთანამედროვეობის) უმთავრასი ტენდენციები.

5. დიასპორა და ადგილმონაცვლეობა გლობალიზებულ მსოფლიოში. სივრცული ჩართულობა (CRUNCH). ახალი მიგრანტები

ამ ტენდენციებიდან სხვებზე მეტად თვალსაჩინოა გლობალიზაციის საკმაოდ ძალამოკრებილი პროცესი, ის, რომ გაადვილებულია ყველა სახის გადაადგილება-ტრანზიციები. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოს მოქალაქეებისა და მათ შორის ეთნიკური ქართველების გასვლა საქართველოდან უკავშირდება შიდა, უმთავრესად სოციო-პოლიტიკურ პროცესებს (ქართველები 1995) და დღემდე ნაკლებ ყურადღებას ვუთმობდით ანალიზისას ისეთ ზოგად ტენდენციებს, როგორიცაა, მაგალითად, „ახალი ნომადების“ ფენომენი, რომელთა გადაადგილების

ძირითადი მიმართულებები მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან სამხრეთიდან ჩრდილოეთით და აღმოსავლეთიდან დასავლეთითაა. მიგრანტები ყოველთვის დიდ როლს ასრულებდნენ ამა თუ იმ ქვეყნის განვითარებაში. დღევანდელი ძლიერი კაპიტალისტური სახელმწიფოები სწორედ მიგრაციების შედეგად გახდნენ ძლიერები. პროტესტანტული ეთიკის პურიტანული ვარიანტის ძლიერი ევროპიდან ჩრდილოეთ ამერიკაში „ექსპორტმა“ დღევანდელობის უძლიერესი სახელმწიფო წარმოქმნა. იმდროინდელი ადგილმონაცვლეობის ერთ-ერთი პრინციპი იყო უფრო განვითარებული ინგლისიდან, პორტუგალიიდან და ესპანეთიდან სამუშაო ძალის მიგრაცია დასავლეთით (ამერიკა) და სამხრეთით - განუვითარებელი რეგიონებისაკენ (ბრაზილია, ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა). აღნიშნულ პროცესს არც ქართველი მიგრანტები გამოკლებიან მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში - სოციალური მიგრანტი გურული ცხენოსნები შეერთებულ შტატებში და პოლიტიკური მიგრანტები სამხრეთ ამერიკაში. დღეისათვის მიგრაცია უფრო ნაკლებად განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებული ამერიკისა და ევროპისაკენ ხდება. ლათინური ამერიკიდან შეერთებულ შტატებში, აფრიკიდან და აზიიდან შტატებსა და ევროპაში. 90-იანი წლების პოლიტიკური ძვრებით გამოწვეული ქართული მიგრაცია სხვა ქვეყნებში, რომელიც შესაძლოა, შემდეგ სოციალურ მიგრაციად გადაიქცა, ამავე მიმართულებებს მიჰყვება - თავდაპირველად, უმთავრესად რუსეთი, როგორც შედარებით იოლად მისაწვდომი ჩრდილოეთის ქვეყანა, ხოლო შემდეგ - სულ უფრო და უფრო მეტად - ევროპა და აშშ. საქართველოდან გასვლა არა მხოლოდ მსოფლიოს მასშტაბით პოლიტიკური პრიორიტეტებისა და ცენტრების ახლებური წარმოდგენებითაა განპირობებული, არამედ პირველ რიგში იმით, რომ გლობალიზაციის პროცესმა მსოფლიო „დააპატარავა“. ამ „დაპატარავებას“ ერთი თავისებურებაც ახლავს, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი თემისათვის. კულტურულად გახსნილი და ტოლერანტული ქართველები იოლად ასიმილირდებოდნენ ახალ გარემოებში სწორედ სამშობლოში დარჩენილ ახლობლებთან კავშირის ხანგრძლივი უქონლობის გამო. გლობალიზაციამ და ინფორმაციული საზოგადოების წარმოქმნამ კი ეს კავშირები გააიოლა როგორც ფიზიკური გადაადგილების, ასევე ვირტუალური, ონლაინ ურთიერთობის თვალსაზრისით. აქედან - გააქტიურება დიასპორის ისეთი ფუნქციებისა, რომლებიც ადრე ქართველი მიგრანტებისა და არა მხოლოდ მათთვის შედარებით ძნელად განსახორციელებელი იყო. რაც შეეხება უშუალო ჩართულობას წარმო**მშობელი** ქვეყნისა და საზოგადოების ყოველდღიურობაში, ეს ჩვენთვის სრულიად ახალი რეალობაა. პარადოქსულად, ჩვენი მიგრაციული დინებები ჩრდილოეთითა და დასავლეთით უკან - აღმოსავლეთით და სამხრეთით, ჩვენსკენ მომართული დინებებით გვიბრუნდება და ჩვენს სწრაფ ცვლილებას განაპირობებს.

გლობალიზაციისა და ინფორმაციული, და არა სამრეწველო, გაცვლის პირობებში მსოფლიოს „დაპატარავება“ სოციალური სივრცის „შეკუმშვას“, ადამიანთა საცხოვრისის გამრავალფეროვნებას, განსხვავებულ კულტურათა ერთ ადგილას თავმოყრას გულისხმობს, რაც ასევე ახალ პირობებში გვაყენებს. საქართველო ყოველთვის იყო მრავალი კულტურის შეხვედრის ადგილი როგორც ეთნიკური, ასევე აღმსარებლობის ნიშნითაც, მიუხედავად იმისა, რომ იგი ნაციონალურობით ქართული და სარწმუნოებით ქრისტიანული ქვეყანა და სახელმწიფო იყო. თუ ეს ასეა, გამოდის, რომ მულტიკულტურალიზმის თვალსაზრისით საქართველო, როგორც სოციალური სივრცე, ყოველთვის „შეკუმშულ“ მდგომარეობაში არსებობდა. ალბათ, კი, მაგრამ მსოფლიო კულტურების ერთ, ჩვენს შემთხვევაში ქართული სივრცეში, „შეკუმშვის“ ხარისხობრივად ახალ მოვლენასთან გვაქვს საქმე. აქ რა თქმა უნდა, „სოციალურ სივრცეში“

არ უნდა მოვიაზროთ მხოლოდ ფიზიკური, გეოგრაფიული ან ნივთიერ-კულტურული რეალობა, არამედ მისი ვირტუალური ვარიანტი, რის გამოც „შეკუმშული სოციალური სივრცე" საერთოდ კულტურული მრავალფეროვნების უსასრული სივრცედ გადაიქცევა. მაგრამ არა საზღვრებისგარეშედ, თუ გავითვალისწინებთ ბოლო წლების ისეთ მოვლენას, როგორიცაა „სოციალური ქსელები. აქ ადმინები და იუზერები თავიანთ საზღვრებს უჩენენ მათ „წარმოსახვებში არსებულ", ხშირად გაურკვეველი მნიშვნელობის და ენერგეტიკის აზრობრივ სივრცეებს. შეკუმშული განფენილი სოციალური სივრცეების რეფორმატირება და ნაკადების სახით წარმოდგენილი სოციალური ქსელების ფორმირებაც ახალ მოთხოვნებს უყენებს დიასპორებსა და მათ წარმომშობელ სოციალურ ერთობლიობებს.

6. სოციალური დროითი ჩართულობა (crunch). მიგრაცია დროში(?). სოციალური დროის აჩქარება. სოციალური დროის უკუსვლა

სოციალური სივრცის შეკუმშვის გარდა ყურადსაღებია ორი ურთიერთ დაკავშირებული პროცესი: სოციალური დროის შეკუმშვა და სოციალური დროის აჩქარება. ესეც გლობალიზაციისა და ინფორმატიზაციის თანმხლები მოვლენებია (თუ პროცესები). ნამყო, აწმყო და მყოობადი ერთგვარად დღევანდელობაშია მოცემული,- ისევე როგორც სოციალური სივრცის დავიწროების შედეგად ერთ ადგილას მოიყარა თავი ადრე ერთმანეთისათვის სრულიად უცნობმა კულტურებმა, ხშირად ურთიერთ გამომრიცხავმა სოციალურმა, პოლიტიკურმა თუ იდეოლოგიურმა პოზიციებმა, ან სხვადასხვა ხალხთა მიერ სხვადასხვა დროს შექმნილმა დიდმა თუ მცირე მონათხრობებმა, ნარატივებმა, ზღაპრებმა, ნამდვილმა თუ გამოგონილმა ამბებმა. შედეგად არა მხოლოდ საზოგადოებებია პოლიპარადიგმალური, არამედ პიროვნებებიც მულტიკულტურული და მულტიიდენტურები არიან (რუსი სოციოლოგი ჟან ტერენტის ძე ტოშჩენკო დაპირისპირებული იდენტურობების მატარებელ ადამიანს „პარადოქსულ ადამიანს" უწოდებს. პოსტმოდერნულობა მოდერნულობასაც და პრე-მოდერნულობასაც გუობს, ამიტომ იგი ამ ნიშნით პარადოქსულია (7).

სოციალური დროის შეკუმშვა პარადოქსულად მომავლის დღეს „არსებობასაც" გულისხმობს, ისევე, როგორც ჩვენს მიერ ყოველთვის მოიაზრებოდა წარსულის დღეს „არსებობა". თუ ადრე წარსული ჰქმნიდა ჩვენს დღევანდელობას და მომავალსაც, პარადოქსულ თანამედროვეობაში დღევანდელობა სავსებით შესაძლებელია მომავლით განისაზღვროს (გუშინდელი კი დღევანდლით?!), ვინაიდან სოციალური დროის აჩქარების გამო ხვალინდელსაც ისევე აქვს ან არ აქვს არსებობა, როგორც გუშინდელს. გუშინდელი უფრო დაგვშორდა - დრო აჩქარდა, მომავალი კი უფრო ახლობელი გახდა. ადრე ვიცოდით, რომ ჩვენი შთამომავლები ჩვენსავე სოციალურ დროში, ანუ მათთვის წარსულში იცხოვრებდნენ. ახლა ვიცით, რომ ჩვენ ვიდრე ცოცხლები ვართ, ნამდვილად მოვასწრებთ ჩვენი შვილების დროში, ანუ ჩვენთვის მომავალ დროში ყოფნას. ამიტომ არა წარსული უნდა გადავუტანოთ ჩვენს მემკვიდრეებს, არამედ ჩვენი მემკვიდრეების მომავალში უნდა გავერკვეთ.

როგორ შეიძლება დიალოგის ერთ დროს დადგენილი სქემებით იურთიერთონ ერთმანეთთან ასე გარდაქმნილმა და კიდევ უფრო სწრაფად გარდაქმნადმა დიასპორებმა და მათმა გარემოცვებმა? მაგალითად, თუ სიტუაციის ანალიზისათვის დრო აღარ რჩება, გამოგვადგება ის ლოგიკურ-რაციონალური ან ტრადიციულ-რაციონალური პრინციპები, რომლებითაც ინდუსტრიული ევროპის ან არაინდუსტრიული აღმოსავლეთის საზოგადოებების წევრები ურთიერთობდნენ? (მ.კვესელავა ხმარობს ტერმინებს „ლოგიკურ-რაციონალური და ესთეტიკურ-ემოციური" (კვე-

სელავა 1977: 17). იქნებ უფრო გამოსადეგი იყოს პირველყოფილი ემოციურ-ირაციონალური“ და გრძნობისმიერ-არატრადიციული რეაქციები დღევანდელობების პოსტთანამედროვეულ გამოწვევებზე, „და მერე თუნდაც მოგვიგვიანდეს, ჩვენ ამისთვის არა დავღონდეთ“?

სოციალური სივრცის დაპატარავებამ, სოციალური დროის შეკუმშვამ, ანუ იმან, რომ ჩვენი სივრცული და დროითი თვალსაწიერის არეალში პოტენციურად შესაძლებელია უსასრულო მნიშვნელობების მატარებელი მანიშნებლების შემოსვლა, და მათი იქამდე შეცვლა, ვიდრე ტრადიციულად ჩამოყალიბებული ადამიანური ფსიქიკა და ცნობიერება მათ აღიქვამდეს, ჩვენი ყოფის მატერიალურ განმსაზღვრელებს მატერიალურობა დააკარგვინა.

7. დიასპორა და ინფორმაციული საზოგადოება

თანამედროვეობის სოციოლოგიური თეორიები და დღევანდელობა

ინდუსტრიული საზოგადოებების ქარხნები, დაზგები, წარმოებული პროდუქტი დღესაც ისეთივე რეალურები არიან, როგორც ინდუსტრიულ ეპოქაში და უფრო ადრეც. იგივეს ვერ ვიტყვით ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელ იდეებზე, აზრებზე, შეხედულებებსა და მათ მნიშვნელობებზე. როცა მარქსისეული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების შეცვლას ათეულობით თაობა ესაჭიროებოდა, ამ ფორმაციების ასახვებიც ქარხნის დაზგასავით ან მამა-პაპისეული ხმალივით მატერიალისტური სახით წარმოგვედგინა. ახლა კი, როცა ერთი თაობა განიცდის რამდენიმე ისტორიული ეპოქის ცვლილებას, დაზგაც, კაპიტალიც და ფოლადის ხმალიც, როგორც ღირებულებები, აღარ არიან მუდმივნი, - მათი მნიშვნელობა და შინაარსი ყოველდროს ახლებურად აისახება. ანუ მდგრადი და დროში გაჭიმული საზოგადოებრივი და ეკონომიკური წარმონაქმნის ნაცვლად გვაქვს დისკურსიული ანუ მათზე განსჯითი ფორმები (მიშელ ფუკო 2004), ეკონომიკურის ნაცვლად კულტურული კაპიტალიზმი (ბურდიე) (Уэбстер 2004). მოდერნისტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებიც იმ დროის დისკურსი იყო, მონათხრობი, მაგრამ ბოლო დრომდე თეორიების უნრავლესობა, და მათ შორის სოციალური თეორიებიც, მდგრად ხასიათს ატარებდა. ობიექტივისტური მიდგომის მიხედვით ეს თეორიები ლამის საკუთრივ ასასახი რეალობა იყო. სოციალურ მეცნიერებებში პრაქტიკული მხარე, განსხვავებით ბუნებისმეცნიერებებისაგან, ნაკლებად თვალნათელი, უფრო შემეცნებითი იყო, წარმოსახვითი, მაგრამ ისინიც მატერიის, - სოციალური ფიზიკის, - ობიექტურ სურათად აღიქმებოდა დროში ხანგრძლივობის გამო. სოციალური რეალობის სურათიც ისეთივე „ფიზიკურ” მასივად აღიქმებოდა, როგორც, ვთქვათ პლანეტა, მთა, ქვა, კლდე, წყალი, ჰაერი, ანუ ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებლად არსებული რეალობა. ეს ფორმაციები და სოციალური წარმონაქმნები უცვლელნი რჩებოდნენ, ისე, როგორც მთათა რიგი, მთვარისა და დედამიწის ურთიერთკავშირი და სხვა. პირველყოფილი საზოგადოება, მისი შემგროვებლური ფორმა ალბათ მილიონ წლამდე გაგრძელდა (თუმცა ზოგ ხახლხში შემგროვებლური ინსტინქტი დღემდე არსებობს), მონათმფლობელობა რამდენიმე ათასი წელი, ფეოდალური ურთიერთობა იმის ნახევარი დრო, კაპიტალიზმი აგერ უკვე სამასი წელია არსებობს, თუმცა დღეს მასაც ზოგიერთი ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობების მარადიულ და ერთადერთ მართებულ ფორმად აღარ მიიჩნევს. სულ ცოტა 5 თაობამდე იყო საჭირო, რომ ადამიანს „მყარ” სოციალურ წარმონაქმნში ცვლილება შეემჩნია. მეოცე საუკუნე კი ფორმაციათა ისეთი სწრაფი შეცვლით ხასიათდება, რომ ჭირს მათი მონოლითურ წარმონაქმნებად აღქმა, ამიტომ უფრო ადვილია, ისინი ვიღაცისეულ

ინტერპრეტაციებად წარმოიდგინო, ვიდრე მონო-ლით-ად. — სხვათაშორის, დღეს ასეა ბუნებისა და ზუსტ მეცნიერებებშიც, სადაც თეორიები არათუ საუკუნეების, ან ათწლეულების შემდეგ ენაცვლება ერთმანეთს, არამედ წლიურად და შეიძლება დღიურადაც კი. ფიზიკური თეორიებიც დისკურსი არის — ინტერპრეტაცია, რომლის გატანასაც ესა თუ ის ჯგუფი ცდილობს. მით უფრო საზოგადოებრივ წარმონაქმნთა ინტერპრეტაცია არის ჯგუფური ან ინდივიდუალური დისკურსი, რომელმაც ჩაანაცვლა სოციალური თუ ეკონომიკური ურთიერთობების ობიექტური ფორმები. ადრე ფიზიკური დისკურსი მალე პოულობდა ტექნიკურ გადაწყვეტასა და პრაქტიკულ გამოსავალს. დღესაც ასეა, ფიზიკური რეალობა ჩვენს გარშემო წამიერად იცვლება. სოციალური და ჰუმანური დისკურსები კი ტექნიკურ (საზოგადოებრივ) გადაწყვეტას და პრაქტიკულ გამოსავალს ძნელად პოულობდა და წინასწარმეტყველებად რჩებოდა. სოციალისტურმა და ფაშისტურმა საშუალო სიდიდის თეორია-დისკურსებმა ტექნიკური გადაწყვეტა 70-30 წელიწადში ჰპოვეს, არა იმდენად საზოგადოების შინაგანი მზადყოფნის საფუძველზე, რამდენადას ცვლილების მოთხოვნის აუცილებლობის მიზეზით, რის გამოც „წარმოსახვის მცდარმა რეალობებმა“ რეალიზაცია მაინც ჰპოვეს გარკვეული დროით. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნიდან (ან უფრო ადრიდანაც) ადამიანთა ურთიერთობებისა და განცდათა თეორიები მისტიურ წინასწარმეტყველებად აღარ აღიქმებოდა. ისინი პრაქტიკული მოქმედებების საფუძველი გახდნენ სხვადასხვა ჯგუფებისათვის, იდეოლიგიებად იქცნენ. თუმცა ესეც დროებით აღმოჩნდა. იდეოლოგიათა (იდეოლოგიურ დისკურსთა) დრო მოდერნიტისთან ერთად მთავრდება და „იქნებ-ასე-სჯობდეს“, დისკურსულ სიმრავლედ იქცევა. მართალია, ამ დისკურსული ფორმაციების უკან მისი აღმომცენებელი კულტურა დგას, მაგრამ მას აღარ აქვს უნივერსალური ხასიათი. არსებითია მხოლოდ კონკრეტული სიტუაციისათვის, აქ და ახლა; დისკურსიულ ფორმაციათა ჯაჭვზე უფრო შეიძლება საუბარი, უფრო სწორად, ჯაჭვებზე, ვინაიდან ისინი მათ მიერვე შეცვლილი მდგომარეობის კვალად თავადვე იცვლებიან. დიდი მონათხრობები - ნარატივები გაქრა, აღარ „მუშაობენ“, ჯაჭვების სწრაფმონაცვლეობა კი უფრო შეიძლება ერთ „მუდმივ“ ჯანყად წარმოვიდგინოთ (ლიოტარი) (თევზაძე 2004), ან სინამდვილის სიმულაციად (ბოდრიარი) (Уэбстер 2004). თუ ადრე ხუთი თაობა ერთ სოციალურ კონტექსტში ცხოვრობდა, დღეს ერთ თაობას უხდება (სოციალური დროის შეკუმშვის გამო) ერთდროულად რამდენიმე კონტექსტში იარსებოს (ლუმანი) (თევზაძე 2004), რის გამოც გარემო უფრო განსჯის პროდუქად, გონების კონსტრუქტად წარმოესახება. ასეთი „გამალებული“ ცვლა ადამიანთა საზოგადოების სრულიად ახლებური თვისობრიობის მოახლოებული დაბადებით არის გამოწვეული, ხოლო თვისობრივი გადასვლის შემდეგ ფორმაციათა ცვლის ტემპი შეიძლება შენელდეს (იხ. გვ 122 – გრაფიკი, ეპოქებს შორის „მანძილი“ ერთნაირია, მაგრამ მათი მონაცვლეობის ტემპი აჩქარებით ხასიათდება. უახლესი სამი ეპოქა ფაქტობრივად ერთი თაობის განმავლობაში გადის).

პოსტინდუსტრიულ, პოსტმოდერნულ, ინფორმაციულ საზოგადოებას მრავალგვარად ახასიათებენ, მისი უკეთ გაგების, მიზნით. ინფორმაციული საზოგადოება განიხილება არა როგორც საზოგადოება, რომელშიც ბევრია ინფორმაცია (თუმცა ეს ასეა), არამედ როგორც საზოგადოება, რომლისათვისაც მთავარია კომუნიკაციის პროცესში გაზიარებული ცოდნის აქტუალიზაცია. კომუნიკაციაში იგულისხმება არა სხვადასხვა სოციალური სფეროდან ან სფეროების შესახებ მიღებული ინფორმაციის და მიღწეული ცოდნის გაცვლა, არამედ სოციალური აგენტების აქტიური, რეფლექსიური ურთიერთობა. ხოლო, ურთიერთობის შედეგად ახალი ცოდნის და/ან

ახალი მნიშვნელობის შექმნა. ინფორმაციული საზოგადოების ერთი სახელია „ცოდნის საზოგადოება“ (Ионин 2007). პოსტმოდერნული **პარადოქსულობის** თვალსაზრისით ამგვარ ინტერპრეტაციას თავისი მნიშვნელობა აქვს. ცოდნის საზოგადოება სულაც არ ნიშნავს, რომ მის წევრებს მეტი ცოდნა გააჩნიათ, ვიდრე ინფორმაცია. ინფორმაცია მეტი აქვთ, მაგრამ ცოდნა ნაკლებად - „ცოდნა“ ინფორმაციის გარეშე და ინფორმაცია ცოდნის გარეშე (ტ.ს.ელიოტი). „ინფორმაციის ძებნაში დავკარგეთ ცოდნა“. ცოდნის საზოგადოება იმას მიგვანიშნებს, რომ კაცობრიობის დაგროვილი ცოდნა ახალ ტექნოლოგიებად გარდაიქმნება, რაც ნიშნავს, რომ ამგვარი საზოგადოებების კეთილდღეობის საფუძველია ტექნოლოგია და არა მანქანები (ბელი, ტურენი (Уэбстер 2004). ცოდნის, როგორც პოსტმოდერნული საზოგადოების პარადოქსულობა კი იმაში მდგომარეობს, რომ მის წევრს სულაც არ ესაჭიროება ცოდნის ფლობა, იგი ამის გარეშე უკეთესადაც კი ახერხებს ცხოვრებით ტკბობას. ან კი რაში ესაჭიროება ცოდნა, თუკი „გადაწყვეტილებას“ მაინც გრძნობისმიერ-ირაციონალურად იღებს. მით უფრო პარადოქსულად ჟღერს აბსტრაქტულ-ემპირიული და დიდი თეორიების მოდელიდან მოდერნული საზოგადოების გადასვლა „გონიერებაზე გონის გარეშე“ (უოლერსტაინი 1968). რადგან რაციონალური განსჯისათვის დრო არ რჩება (ზემოთ ვთქვით, რომ ჩვენი რეალობა განსჯითია და არა ბუნებრივი, ე.ი. დისკურსიც ირაციონალურია თავისი ბუნებით?), იძულებულია გარისკოს, მიენდოს გაუმჭვირვალ გარემოებებს (გიდენსი, ბეკი (Antony Giddens 1990) და გამოუცნობში შეაბიჯოს. არჩევანის ასეთი ინდივიდუალიზაცია დომინანტ კულტურებთან შედარებით სუბკულტურებს ანიჭებს მოქმედების თავისუფლებას ხელისუფლების წინაშე და იწვევს „პოლიტიკის აშვებას“ (უ.ბეკი, (თევზაძე 2002), რათა „უსაფრთხოება“ მოიპოვონ, რომელიც ახალ გარდუვალ საფრთხეებს წარმოშობს.

სოციალური აჩქარების შედეგად სოციალური კომუნიკაციის, ურთიერთობის ლოგიკურ-სემანტიკური მოდელის შეცვლა ესთეტიკურ-ემოციურით ერთგვარ „ახალი მომთაბარობის“ „ახალ ველურობაზე“ მიგვანიშნებს (რომლის უკეთესი ფორმაა მულტიმედიური თაობა, უარესი „მაუგლისმსგავსთა“ თაობა; ან ბერჯესის „Easy Rider“, რუსულად Беспечный ездок, ქართულად „ლაღი მოჯირითე“). დღევანდელობის პარადოქსულობა ასევე გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ, ან ჩვენი მომავალი თაობა, ვმოქმედებთ არა ჩვენს გარშემო არსებული შეგრძნებადი და აღქმადი რეალობით, არამედ მათ შესახებ ჩვენს მიერვე განუწყვეტლად ქმნილი მნიშვნელობებით. ანუ არა იმით, რაც არის, არამედ იმით, რასაც ვიჯერებთ.

სოციალური სივრცე-დროის ცვლილებას აქვს შედეგი პიროვნების, როგორც სოციალური აგენტის შიდა „გარემოს“ დრამატული ცვლის სახითაც, რომელიც ასევე არსებითია დიასპორებისა და შინ დარჩენილთათვის. ეს შიდა „გარემოს“ ცვლილებანი გულისხმობს ინდივიდის, სუბიექტის, პიროვნების შემადგენელ ახალ მახასიათებლებს, რომლებსაც ერთის მხრივ შეუძლიათ გაამდიდრონ როგორც პიროვნების, ასევე საზოგადოების ცხოვრება, მაგრამ მეორეს მხრივ, შუძლიათ პიროვნებასა და მის „მშობელ“ საზოგადოებას შორის მტკივნეული კონფლიქტის წარმოშობა ან კავშირების მთლიანი გაწყვეტა.

8. რა შეიძლება გავითვალისწინოთ

სიტუაცია შეიძლება ასე აღიწეროს:

ა) გლობალიზაცია გულისხმობს სოციალური ინდივიდის მოქმედების არეალის გაფართოებას, რაც ამავე დროს იგივეა, რაც სოციალური სივრცის შევიწროება, ვინაიდან სოციალური ინდივიდის მოქმედების არეალში ჩართულნი აღმოჩნდნენ

სხვა ლოკალების სოციალური ინდივიდებიც, რომლებიც ადრე ძალიან შორს იყვნენ, ახლა კი ძალიან ახლოს არიან. ამ პირობებში მულტი ან პოლი-კულტურალიზმს ვერავინ „გადაურჩება“.

ბ) იგივე შეიძლება ითქვას დროის შემჭიდროებაზეც. ერთის მხრივ, დროის არეალი გაფართოვდა, იმ გაგებით, რომ წარსული, აწმყო და მომავალიც უფრო „ახლობელი“ გახდა. მეორეს მხრივ, დროის არეალი შემჭიდროვდა, ვინაიდან წარსულიც, აწმყოც და მომავალიც დროის ერთ „არეალში“ მოექცა.

ამის გამო, შეუძლებელია ახალდამეზობლებული კომპონენტების უგულვებელყოფა.

გ) არსებითია ასევე სოციალური ინდივიდის მიერ კომუნიკაციის საშუალებათა ხასიათისა და მოხმარებით რაოდენობრივი მაჩვენებლების გათვალისწინება. ამ მაჩვენებლებზე აქ არ გვისაუბრია, მაგრამ ისინი თვისობრივადაც ცვლიან მათ მომხმარებელს და ამავე დროს უყალიბებენ მოქმედების ადეკვატურ ტიპს:

1. კომუნიკაციის საშუალებათა მოხმარების ინტენსივობა (მაგ. დროის 80%) Никогда – не частотой – достаточно часто – часто - постоянно;
2. კომუნიკაციის საშუალებათა მოხმარების ექსტენსიური მაჩვენებელი (მაგ. 7 სხვადასხვა საშუალების)
3. მოხმარებული კომუნიკაციის საშუალებათა ხასიათი (ტრად. ელ. ციფრ. ვირტ.)

ამიტომ, დიასპორა - წარმომშობი ქვეყნის ურთიერთობების ანალიზისათვის გამოვყოფთ მაჩვენებლებს:

1. სოციალური ინდვიდის სოციალური გარემოს ცვლილება;
2. სოციალური ინდივიდის შიდა სოციალური „გარემოს“ ცვლილება;
3. სოციალური ინდივიდის კომუნიკაციური ტიპი.

სოციალური გარემოს ცვლილება ნიშნავს ინდივიდის უშუალო კონტაქტს გლობალურ ახალმეზობლობასთან;

შიდა სოციალური „გარემოს“ ცვლილება - ინდივიდის შიდა, სუბიექტური სამყაროს ცვლილებას ახალმეზობლობის კომპონენტების გათავისების გზით;

სოციალური სუბიექტის კომუნიკაციური ტიპი განისაზღვრება მის მიერ მოხმარებული კომუნიკაციის საშუალებების მახასიათებლებით.

9. დიასპორისა და სამშობლოს მიმართება

თუ სოციალურის გლობალიზაციამ გარკვეული ადრე არარსებული შესაძლებლობები მიანიჭა დიასპორა - სამშობლო ქვეყნის ურთიერთობებს კავშირის გაადვილების სახით, სოციალური დროის აჩქარებამ იგივე ურთიერთობები გაუმჭვირვალობის, გაზრდილი რისკებისა და მოვლენათა სპონტანურობით გამოწვეული საფრთხეების წინაშე დააყენა.

პერსპექტივაში დიასპორებსა და მათ წარმომშობ ქვეყანას შორის საზღვრების გაფერმკრთალება, მიგრანტისა და არამიგრანტის შიდა სამყაროს გამრავალფეროვნება და განსჯის ნაცვლად „აყოლაზე“ ორიენტირება საჭიროს ხდის ამ ფაქტორების გათვალისწინებას დიასპორა - სამშობლოს ურთიერთობებში. ახლო მომავალში მათ ერთ მთლიანობად აღქმას და მსჯელობის უნარის გაძლიერებას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს, მით უფრო, თუ ადამიანთა საცხოვრისი ბუნებრივობას ჰკარგავს და სულ უფრო ხელოვნური ხდება.

დამოწმებანი

1. კულტურათა დიალოგი და დიასპორა, თბ., 2009.
2. კვესელავა მ. პოეტური ინტეგრალები, 1977;
3. http://www.diaspora.gov.ge; http://intpass.cra.ge/ComPatriotPassportDefault.aspx
4. http://www.geo-diaspora.nl; www.babajana.com; www.georgians.ru; www.mgz.ru http://civiclab.narod.ru და სხვები.
5. ქართველები მოსკოვში 1995 წ. (ინტერნეტ რესურსი) http://civiclab.narod.ru/civic/c4_resea/qarTvelebi_moskovSi_1995.htm
6. Тощенко Ж.Т. Парадоксальный человек, М. 2008.
7. მიშელ ფუკო, სიტყვები და საგნები, 2004 (Michel Foucault, Les Mots et les Choses).
8. Уэбстер Ф. Теории информационного общества, М., 2004.
9. თევზაძე გ. ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია, თბ., 2002.
10. Ионин Л.Г. Социология в обществе знания, М., 2007.
11. ი. უოლერსტეინის 1968 წლის სტატია ჩ.რ.მილსის ინტელექტუალურ ტრაექტორიაზე *International Encyclopedia of the Social Sciences* -ში. <http://www.irows.ucr.edu/cd/books/c-p/chap7.htm>
12. Antony Giddens, The Concequences of Modernity, Stanford University Press, 1990;
13. Alvin Toffler, Future Shock, 1970.
14. G.Small, G.Vorgan, I-Brain. ...
15. Кутелия Б. Виртуальная терра-инкогнита //..

BADRI KUTELIA

Paradox Postmodernity, Diasporas and Native Land

Summary

The existence of humanity during its development mostly proceeded under natural conditions. Continuously lessening natural living environment poses deadly demands to the human psyche that had been adjusted to the nature for thousands of years. Consequently, the type of social communications alters significantly. The assertion that Georgians are people who do not like to migrate does not seem correct. They used to move to neighboring countries in search for better luck, to avoid troubles, for business considerations, educational purposes, cultural activities, after worsening geopolitical patterns, by their own or forcedly they might turn up in the environment of other cultures. The term diaspora denotes unity of bearers of similar cultural aspirations. It interacts with native culture. Though, their community might take another interpretation or change its essence.


As a result of informational revolution, Diasporas and their native cultures found themselves in a different situation. Actual disappearance of imaginary distance between them requires rethinking of their relations. The meaning of diasporas for functioning of globalized societies is becoming more significant. Nowadays, a dispora does not simply seek links to continue cultural existance but actively interferes in the processes of the country of origin. That is to say – diasporas become parts of native lands.

Under the conditions of globalization and information exchange, "crunching" of social space means coming together of diferrent cultures and "squeezing" social time paradoxically means the actual being of Future today. As a result of social time acceleration, the rational mode of social communication is changed into emotional pointing to "new

migrants". We already act not according to what already exists, but react to what we believe.

Immidiate contacts of an individual with new nieghbourhoods, corresponding transformation of his/her personal world and the change of communication mode restructures a person's inner "environment" that is significant for diasporas and those who remained at home. It may enrich a person's and societie's life or cause a painful conflict between them.

Globalization made it easier to connect diaspora and native land, though social accelleration posed their relations before intransparency, risks and threats caused by spontaniousness of phenomena. Turning pale boundaries between migrants and non-migrants, iridescence of one's inner realm and the orientation to "playing up" instead of reasoning makes the factors to be encountered in diaspora – native contry relations. Percieving them as single and paying more attention to discoursive judgements acquire more importance, alongside the growing artificialness of human abodes.



იოსებ ჟორდანია

ქართველები და ქართული მუსიკა ემიგრაციაში

არ იქნება შეცდომა ვთქვათ, რომ ქართული ხალხური სიმღერა ჩავიდა ავსტრალიაში 1995 წლის 2 ნოემბრის საღამოს, მოსკოვი-სიდნეის საერთაშორისო რეისით. ამ დღეს ავსტრალიას ეწვია ორი ქართველი ეთნომუსიკოლოგი, ნინო ციციშვილი და ამ სტატიის ავტორი, თავის შვილთან, სანდრო ჟორდანიასთან ერთად. მათი ჩასვლის მომენტში, რამდენადაც მე ვიცი, ავსტრალიაში არ იყო ქართული ხალხური სიმღერის არც ერთი ანსამბლი, და მხოლოდ ერთ ქართულ სიმღერას მღეროდა სიდნეიში არსებული ანსამბლი „ვოისეს ოფ ზი ვეიქენთ ლოთ" (მათ ეს სიმღერა ანსამბლი „ქართული ხმების" გასტროლების დროს ჰქონდათ ნასწავლი). დღეისათვის ავსტრალიაში არსებობს ექვსი ანსამბლი, რომლებიც მხოლოდ ქართულ სიმღერებს მღერის, ოთხი მელბურნში და ორი პერტში (დასავლეთ ავსტრალიაში). ამათ გარდა, არის მთელი რიგი ანსამბლებისა, რომლებიც მღერიან რამოდენიმე ქართულ სიმღერას. ასეთი ანსამბლები არის ვიქტორიაში, ახალ სამხრეთ უელსში (ამ სახელით არის ცნობილი სიდნეის რეგიონი, საიდანაც დაიწყო ავსტრალიის დასახლება მე-18 საუკუნის ბოლო წლებში), ქუინსლედნში, ტასმანიაში. 1996 წლის მერე ქართული სიმღერების მოსმენა ავსტრალიაში შეიძლება უამრავ ფესტივალზე, საკონცერტო ესტრადებზე, რადიო და სატელევიზიო პროგრამებში. მსურველებს შეუძლიათ დაესწრონ ქართული სიმღერის გაკვეთილებს (რომელსაც დასავლეთში „ვორქშოფებს" ეძახიან). ქართული სიმღერა შორეული ავსტრალიის მუსიკალური ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა და ახალ ზელანდიაშიც გადავიდა. ამ სტატიის ავტორის მიერ მიღებული სპეციალური სახელმწიფო მედალი, რომელიც ცნობილია ავსტრალიაში, როგორც „საუკუნის მედალი," და რომელიც გადაეცემათ ავსტრალიის მოქალაქეებს ავსტრალიის განვითარებაში საუკუნის განმავლობაში შეტანილი გამორჩეული წვლილისათვის, ალბათ ამ მოღვაწეობით იყო ნაწილობრივ მაინც განპირობებული.

ახლა მინდა ჩემი საკუთარი სიტყვები გავაკრიტიკო, რაც ამ სტატიის დასაწყისში ვთქვი, რადგან ჭეშმარიტება არასოდეს არის ესოდენ სწორხაზოვანი. ნუთუ მართლა შეიძლება ითქვას, რომ ქართული სიმღერის ჩამოსვლა ავსტრალიაში დაემთხვა ორი ქართველი ეთნომუსიკოლოგის ჩამოსვლას? ჩვენთვის ცნობილია, რომ 1995 წლამდე

ავსტრალიაში უკვე იყვნენ ჩამოსულები ქართველი ემიგრანტები, მაშ რატომ არ გახდა ქართული მუსიკა ავსტრალიური მუსიკალური ცხოვრების ნაწილი 1995 წლამდე?

წინამდებარე სტატიაში შევეცდები განვიხილო ქართული ემიგრაციის მუსიკა (და თანაც, არა მარტო ავსტრალიაში, არამედ უფრო ფართოდ. სამწუხაროდ, ეს საკითხი არასოდეს გამხდარა მეცნიერული კვლევის საგანი, და როგორც მოსალოდნელი იყო, მასალები ამ სფეროში ძალიან ცოტაა, შესაბამისად, რამდენადაც ვიცი, ეს სტატია არის ამ სფეროს განხილვის პირველი მცდელობა და ამიტომაც შეუძლებელიცაა სრულყოფილი იყოს. იმედია მომავალში ვინმე დაინტერესდება ამ პრობლემის უფრო ღრმა გამოკვლევით.

მთავარი მოსაზრება, რომელიც მინდა ამ სტატიაში ჩამოვაყალიბო არის ის, რომ რომელიმე ერის ტრადიციული მუსიკისა და ამ მუსიკის მატარებელი ხალხის მიგრაცია ახალ ქვეყნებში ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მიგრაციული პროცესების შესწავლისათვის აუცილებლად გასათვალისწინებელი ისიც, რომ თითქოსდა მარტივი ტერმინი „ტრადიციული მუსიკა" არ არის ერთგანზომილებიანი მოვლენა, და როცა ემიგრაციის საკითხებს ვსწავლობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ერთის მხრივ ამ ერის მუსიკალური კულტურის სხვადასხვა შრეები, და მეორეს მხრივ, ემიგრაციაში წასული მოსახლეობის სოციალური ფენა და კულტურული ტრადიციები, რომლებიც მათ მიაქვთ ახალ ქვეყანაში. და კიდევ ერთი რამ: ერთია ქართული ემიგრაციის მუსიკალური ცხოვრების შესწავლა და მეორეა ქართული მუსიკის გავრცელების შესწავლა მსოფლიოში. ზოგიერთს შეიძლება პირდაპირ დაკავშირებულად მოეჩვენოს ეს ორი საკითხი, მაგრამ სტატიაში დავინახავთ, რომ ეს არაა ყოველთვის ასე. მე მეტნაკლებად შევეხები ამ ორივე საკითხს.

ეს სტატია, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა ქართული მუსიკის ავსტრალიაში გავრცელებას შეეხება, რადგან ავტორმა ავსტრალიაში გაატარა ცხოვრების ბოლო 17 წელი, მაგრამ ასევე მიმოვიხილავ ქართული მუსიკის გავრცელებას ევროპაში (განსაკუთრებით საფრანგეთში, სადაც ისტორიული მიზეზების გამო ყველაზე დიდი იყო ქართული ემიგრაცია) და ასევე ჩრდილოეთ ამერიკაში.

სტატია სამი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი ეძღვნება უშუალოდ ქართულ ტრადიციულ მუსიკას, და იმ შემადგენელ ელემენტებს, რომლებიც ამ ცნების ქვეშ ერთიანდება. მეორე ნაწილი ეხება ქართველებსა და ქართული მუსიკის საქართველოს ფარგლებს გარეთ გასვლას. მესამე ნაწილში უფრო დაწვრილებით განვიხილავ ქართულ ემიგრაციას და ქართული მუსიკის გავრცელებას ავსტრალიაში.

ნაწილი პირველი

ქართული ტრადიციული მუსიკის მოკლე მიმოხილვა და რამოდენიმე ემიგრანტული მოგონება

მრავალხმიანობა ქართული მუსიკის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი დამახასიათებელი მოვლენაა. შეუძლებელია ილაპარაკო საქართველოს მუსიკაზე და არ ახსენო მრავალხმიანობა, ისევე, როგორც შეუძლებელია ილაპარაკო ხალხურ მრავალხმიანობაზე და არ ახსენო საქართველო. სანამ ქართული მრავალხმიანობას მოკლედ დავახასიათებ, მინდა ორიოდე ზოგადი ფაქტი გავიხსენო, რაც ძირითადად ჩვენს, როგორც ემიგრანტების გამოცდილებას ეყრდნობა.

საქართველოს რუსეთსა და საბჭოთა კავშირთან ხანგრძლივი კავშირის გამო ხშირად გვეკითხებოდნენ ავსტრალიაში, თუ როგორ შევეგუეთ „გაყინული საქართ-

ველოს" მერე მცხუნვარე ავსტრალიას. როდესაც შემკითხველს ავუხსნიდით, რომ საქართველოს კლიმატი ძალიან განსხვავებულია რუსული კლიმატისაგან და რუსული ზამთრისაგან და რომ საქართველოს კლიმატი გაცილებით უფრო ახლოსაა თურქეთის ან იტალიის კლიმატთან, ისინი ხშირად გაკვირვებულები რჩებოდნენ. ასევე თითქმის არავინ იცოდა, რომ ბერძენი არგონავტების „კოლხიდა" ძველი დასავლეთ საქართველო იყო. მახსოვს, ერთ-ერთი ფესტივალის (მალდონის ხალხური მუსიკის ფესტივალის) პროგრამაშიც კი ეწერა, იქნებ ვინმემ აგვიხსნას თუ რატომ ეწოდებათ სახელი „ოქროს საწმისი" ანსამბლს, რომლებიც ქართულ სიმღერებს მღერისო. მართლაც ავუხსენით ერთ-ერთი კონცერტის დროს და ისე გაუკვირდათ, რომ შემდეგი წლის ფესტივალზე ეს ახსნა-განმარტებაც დაბეჭდეს პროგრამაში! ოქროს საწმისი აქ ძალიან ბევრს ჰქონდა გაგებული, მაგრამ ძალიან ცოტამ იცოდა ამ ლეგენდის კავშირის შესახებ საქართველოსთან.

ასევე დიდი ლინგვისტური სიზუსტით არ გამოირჩეოდა ავსტრალიელების ცოდნა ქართული ენის შესახებ. მაგალითად, ხშირად გვეკითხებოდნენ, „გვითხარით, ქართული ენა რუსული ენის დიალექტია?" როცა ვპასუხობდით, რომ რუსული და ქართული ენები სრულებით სხვადასხვა ენებია, იმისათვის, რომ ჩვენი პასუხი ვიწრო ნაციონალიზმისათვის არ მიეწერათ, უფრო მეცნიერულ ინფორმაციასაც ვაძლევდით და ვუხსნიდით, რომ რუსული ენა გაცილებით უფრო ახლოსაა ინგლისურ ენასთან (ერთ ენობრივ ოჯახში მაინც არიან), ვიდრე ქართულ ენასთან. რა თქმა უნდა, არც ქართველური ენების ოჯახის არსებობის შესახებ იცოდა ავსტრალიელთა უმეტესობამ არაფერი. ხანდახან ბასკურ ენასთან შესაძლო ნათესაობის ჰიპოთეზასაც ვახსენებდით ხოლმე, რაც დიდ შთაბეჭდილებასაც ახდენდა განათლებულ მსმენელებზე. ის, რომ ქარულ ენას საკუთარი დამწერლობაც გააჩნია და ის, რომ საქართველო ერთ-ერთი პირველი ქრისტიანული ქვეყანა იყო მსოფლიოში, კიდევ უფრო მეტ გაკვირვებასა და აღტაცებას იწვევდა მსმენელებში. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ქართულ ენაში არის უამრავი „ენისმოსამტვრევი" ბგერა, უკვე კარგად იციას ყველამ, ვინც ქართული სიმღერების შესწავლას ცდილობს.

რაც შეეხება ქართულ ტრადიციულ მუსიკას, ჩემი სტატიის მოთხოვნებიდან გამომდინარე, მინდა მკითხველს მოკლედ შევახსენო, რომ ქართული ტრადიციული მუსიკა, რაც ამჟამად ვრცელდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, სამი დიდი სფეროსაგან შედგება. ესენია (1) უშუალოდ ქართული ხალხური მრავალხმიანი მუსიკა, (2) ძველი ქართული პროფესიული მუსიკა, ანდა მოკლედ – ქართული საგალობლები, და (3) ქალაქური მუსიკა. ეს სამივე დიდი სფერო თავისთავად კიდევ იყოფა რამოდენიმა შემადგენელ ნაწილად.

ქართული ხალხური მრავალხმიანი მუსიკა, როგორც წესი, იყოფა 15 (ზოგჯერ 16) მუსიკალურ დიალექტად (გარაყანიძე 2007: 83-93). ზოგჯერ დიალექტებს აერთიანებენ ორ დიდ ჯგუფში: აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართულ ჯგუფებში. მიუხედავად მუსიკალური ენის აშკარა ერთობისა, აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური დიალექტების ენა საკმაოდ განსხვავდება დასავლეთ საქართველოს მუსიკალური დიალექტების მუსიკალური ენისაგან. კერძოდ, გრძელი სუფრული სიმღერები, გაბმული ბანით, მელიზმატური მელოდიკით და თავისუფალი მეტრით მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება, თანაც მხოლოდ ქართლსა და განსაკუთრებით – კახეთში, ხოლო კრიმანჭულის გამოყენება და ოთხხმიანი ნადური სიმღერები მხოლ დასავლეთ საქართველოში, კერძოდ გურიასა და აჭარაში გვხვდება. აქ მინდა აღვიშნო, რომ უცხოეთში დღეისათვის მოღვაწე ქართული სიმღერის ანსამბლებში უფრო მცირეა ისეთი მომღერლების რიცხვი, რომლებსაც შეუძლიათ

აღმოსავლურ ქართული გრძელი სუფრული სიმღერების, ანდა რთული გურული კრიმანჭულიანი სიმღერების შესრულება. ასევე უნდა ითქვას, რომ ყველაზე უფრო ფართოდ სრულდება დასავლეთ საქართველოს საშუალო სირთულის სიმღერები.

მრავალხმიანობის ტიპების მიხედვით, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული მუსიკა დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. შალვა ასლანიშვილისა (1954) და გრიგოლ ჩხიკვაძის (1964) შრომების მიხედვით, აქ გამოიყოფა მრავალხმიანობის ბურდონული, კომპლექსური, და პოლიფონიური ტიპები. უფრო მოგვიანებით თამაზ გაბისონიამ დაადასტურა ოსტინატური მრავალხმიანობის არსებობაც და რაც ყველაზე მნისვნელოვანია, მანვე გამოიკვლია მრავალხმიანობის უამრავი სინთეზური ტიპის არსებობა საქართველოში (ესაა ტიპები, სადაც შერწყმულია მრავალხმიანობის სხვადასხვა ფორმათა ელემენტები, (გაბისონია 1990: 3-17). მრავალხმიანობის ერთადერთი ტიპი, რომელიც საქართველოში არ გვხვდება, არის ჰეტეროფონია, რომელიც საერთოდ საეჭვოა, არის თუ არ მრავალხმიანობა. თანამედროვეობის ერთ-ერთმა უდიდესმა ეთნომუსიკოლოგმა, იზალი ზემცოვსკიმ (ამჟამად სტანფორდის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა) ავტორიტეტულად განაცხადა, რომ საქართველოში მოიპოვება მსოფლიოში არსებული მრავალხმიანობის ყველა ტიპი და თუ რაიმე ტიპი არ არის საქართველოში, ეს ნიშნავს რომ, ეს არ არის მრავალხმიანობაო (ზემცოვსკი 2010: 254). მეცნიერის ამ თამამ აზრს ჰეტეროფონიის მაგალითი კარგად ადასტურებს.

პოეტური და მუსიკალური ტექსტის ურთიერთობა ერთ-ერთი ძალიან აქტუალური საკითხია, რადგან ქართულ ხალხურ სიმღერებში ამ მხრივ დიდ მრავალფეროვნებას ვხვდებით. ზოგადად, მუსიკალური კომპონენტი ბატონობს ტექსტზე რეგიონების უდიდეს ნაწილში. ძალიან ხშირია შინაარსდაკარგული სიტყვების გამოყენება. ასეთი სიტყვები ქართულ ფოლკლორისტიკაში ცნობილია, როგორც „გლოსოლალიები", თუმცა ამ ტერმინს ცოტა განსხვავებული საერთაშორისო შინაარსი აქვს (გაუგებარ ენებზე ლაპარაკს ნიშნავს). საქართველოში ასევე არის მთელი რიგი სიმღერები, რომლებშიც ჩვეულებრივი სიტყვიერი ტექსტი საერთოდ არ არის გამოყენებული (მაგალითად, გურიასა და სვანეთში). ქართველი ფოლკლორისტების (მაგალითად, ჯონდო ბარდაველიძის) მიხედვით, სვანეთში პოეზია ჯერ არ არის გამოყოფილი სიმღერიდან და რითმული პოეზია ჯერ არც არის ჩამოყალიბებული. მეორეს მხრივ, ასევე მთიან ხევსურეთში პოეზია განვითარების უმაღლეს დონეს აღწევდა და აქ ფაქტობრივად არ ვხვდებით შინაარსდაკარგული სიტყვების გამოყენებას (განსაკუთრებით მამაკაცების ფოლკლორში). ყველა, ვისაც ქართული სიმღერა უსწავლებია უცხოელებისათვის, ადვილად შეატყობდა თუ როგორ უჭირთ მათ რთული ქართული ბგერების გამოცემა.

მეტრო-რიტმის მხრივ ასევე მრავალფეროვანია ქართული მრავალხმიანი სიმღერა, თუმცა მუსიკალური მეტრის ისეთ სირთულეს, როგორსაც ვხვდებით მაგალითად ბულგარეთში, საქარველოში არ ვხვდებით. საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული ორწილადი და სამწილადი მუსიკალური მეტრი. თანაც საინტერესოა, რომ დასავლეთ საქართველოში ძირითადად ბატონობს ორწილადი მეტრი (რომლებიც აგებულია ორ ან ოთხ თვლაზე), ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ორწილადის გარდა ფართოდ არის გავრცელებული სამწილადი მუსიკალური მეტრიც (მკითხველს შევახსენებ ასეთ სიმღერებს, მაგალითად, „შავლეგო" და „ცანგალა და გოგონა"). იშვიათ ხუთწილად მეტრში არის აჭარული საბრძოლო ცეკვა ხორუმი. საინტერესოა, რომ ძველბერძნული ცეკვა „პირიხეა" ასევე ხუთწილადი და საბრძოლო იყო. სხვათა შორის, ტერმინებს „პირიხეა" და „ფერხული" შორისაც

აშკარად შეიმჩნევა ფონეტიკური მსგავსება, რომელზეც, რამდენადაც ვიცი, მეცნიერებს ჯერ არ მიუქცევიათ ყურადღება. გარდა ორ, სამ, ოთხ და ხუთწილადი მუსიკალური მეტრისა, აღმოსავლეთ საქართველოს სუფრულ სიმღერებში (და ასევე ერთხმიან შრომის სიმღერებში „ოროველა" და „ურმული") მეტრი თავისუფალია (ამ მოვლენის სესახებ იხ. ციციშვილი 2010: 195-214). თავისუფალი მეტრი დასავლურ ქართულ სიმღერებში საერთოდ არ გვხვდება.

ძალიან საინტერესოა ქართული სიმღერების კილოური წყობა. კილოები მუსიკალური ენის უფრო ტექნიკური მხარეა, ამიტომ ბევრს არ ვილაპარაკებ ამაზე, იმას კი ვიტყვი, რომ ქართულ კილოებს რამოდენიმე უნიკალური თვისება აქვთ. მახსოვს, იაპონიაში ლექციის დროს, როცა ვახსენე, ქართული ხალხური მუსიკა არ ემყარება ზოგადად მიღებულ ოქტავური კილოების პრინციპს მეთქი, ერთმა დამსწრე პროფესორმა ლექციის დასრულების მერე მთხოვა, იქნებ გაიმეოროთ რა თქვით ოქტავების შესახებო. მართლაც გავუმეორე, რომ საქართველოში კვინტის სისუფთავეს უფრო იცავენ და ამიტომ ზოგჯერ ოქტავა გადიდებული არის მეთქი. ამ ინფორმაციამ, როგორც ჩანს, იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იაპონელ კოლეგაზე, რომ მაშინვე მთხოვა, მესამედ გამემეორებინა ეს ინფორმაცია. გაგიკვირდებათ ალბათ, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. იაპონიიდან ჩამოსვლის მერე ელექტრონული ფოსტით მივიღე ამ კოლეგის წერილი, იქნებ წერილობითაც მომწეროთ, რაც ლექციაზე თქვით ოქტავების შესახებო. მოკლედ, ქართული მუსიკის ორიგინალობამ კიდევ ერთ პროფესორს გაუჩინა დიდი საფიქრალი... მე როგორც მახსოვს, ქართული კილოების ეს თავისებურება ჯერ კიდევ ქართული გალობის სპეციალისტებმა შეამჩნიესმე-19 საუკუნის ბოლო წლებში და დაწერეს, რომ როდესაც ევროპულ ნოტაციაზე იწერ ქართულ საგალობელს, ბანის ხმაში ერთი ბემოლით მეტი უნდა იყოსო. ამ კილოების ბუნების მეცნიერული ახსნა ქართველ მუსიკის თეორეტიკოსს, ვლადიმერ (ჭუკა) გოგოტიშვილს ეკუთვნის (გოგოტიშვილი 2010: 147-156).

რაც შეეხება ქართული ჰარმონიის თავისებურებს, ის დიდი სიმრავლე დისონანსური აკორდებისა, რაც ქართულ ხალხურ მრავალხმიან მუსიკას ახასიათებს, დიდი ხანია უკვე შემჩნეულია არაყიშვილიდან დაწყებული ყველა ქართველი მკვლევრის და ლახის, ნადელის და შნაიდერიდან მოყოლებული ყველა ევროპელი მკვლევრის მიერ. სწორედ ქართული აკორდიკის თავისებურების გამოა, რომ ქართულ სიმღერას, როგორც, წესი, პირველივე აკორდიდან ადვილად გამოარჩევ სხვა ხალხების მუსიკისაგან. ჩვენთან აკორდების ფუნქციონალური დამოკიდებულებებიც სულ სხვა პრინციპებს ემყარება, თუმცა ამის განხილვას აღარ დავიწყებ, რომ მკითხველს თეორიული ტერმინოლოგიით თავი არ მოვაბეზრო.

გარდა ქართული მჭექარე დისონანსური აკორდებისა, ქართული კადანსებიც ძალიან ორიგინალურია. კადანსი მუსიკალური აზრის დამასრულებელი ნაგებობაა. კადანსირების ზოგადი თვისებურება საქართველოში ისაა, რომ მუსიკალური ფრაზა შეიძლება სხვადასხვა საფეხურზე დასრულდეს. არც მუსიკოსებისათვის კარგად ცნობილი ტერმინის „ტონიკის" გამოყენება არის გამართლებული ქართულ ხალხურ სიმღერასთან მიმართებაში (ამის შესახებ იხ. ჟორდანია 1989: 47-70).

მოდულაციებს რაც შეეხება, ამ მხრივ კიდევ უფრო უნიკალურია ქართული მუსიკის მდგომარეობა, რადგან მოდულაციები საერთოდ ძალიან იშვიათია ხალხურ სიმღერებში, მითუმეტეს, ისეთი რთული მოდულაციები, რასაც მაგალითად სიმღერებში „ჩაკრულო" ან „გრძელი კახური მრავალჟამიერი" ვხვდებით.

მოკლედ, ქართულ ხალხურ მრავალხმიანი სიმღერის რომელ ელემენტსაც არ უნდა შეეხო, თითქმის ყველგან შეხვდები უნიკალურ მახასიათებლებს. უცხოელი

მუსიკის მოყვარულები, როგორც წესი, ამ პროფესიულ დეტალებს არ იცნობენ, მაგრამ სწორედ ამ დეტალების გამოა, რომ ქართულ ხალხურ მრავალხმიანობას ასეთი ორიგინალური ხმოვანება აქვს და ასე მოსწონთ მსოფლიოში.

ხალხური მრავალხმიანობის მიმოხილვის მერე მოკლედ მინდა დავახასიათო ქართული მუსიკალური კულტურის მეორე დიდი სფერო – ქართული საგალობლები. რა თქმა უნდა, საგალობლები შექმნილია პროფესიონალი მუსიკოსების მიერ და ისინი არ შეიძლება ჩაითვალონ ხალხური მუსიკის ქმნილებებად, მაგრამ მათი მუსიკალური ენის სიახლოვე ქართულ ხალხურ სიმღერასთან უამრავ ქართველ და უცხოელ მკვლევარს აქვს აღნიშნული.

ორიგინალური საგალობლების გაჩენა საქართველოში, როგორც ჩანს, მე-7 მე-8 საუკუნეებს უკავშირდება, თუმცა რაიმეს გადაჭრით მტკიცება შეუძლებელია. მიღებულად ითვლება, რომ საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართულ ეკლესიებში წირვა და სიმღერა ჯერ მიმდინარეობდა ბერძნულ ენაზე. ძნელია ვივარაუდოთ თუ რამდენი ხანი გაგრძელდებოდა ეს სიტუაცია, როდესაც მრევლის დიდ ნაწილს არ ესმოდა არც წირვა და არც საგალობლის სიტყვები, მაგრამ მე-9 საუკუნის მერე ვიცით რომ ჩამოყალიბდა პროფესიონალ მთარგმნელთა და კომპოზიტორთა ჯგუფი, რომლებიც ბერძნულ კანონიკურ ტექსტებს თარგმნიდნენ. მუსიკას რაც შეეხება, აქაც ხდებოდა „თარგმანი", მხოლოდ ეს თარგმანი სულ სხვა ბუნების იყო. შეიძლება მკითველმა იკითხოს, მუსიკას რა თარგმანი ჭირდებაო. როგორც ტრაგიკულად დაღუპულმა ზურაბ ჭავჭავაძემ დაადგინა, როგორც ჩანს, ქართველი პროფესიონალი კომპოზიტორების, ანუ „ხელოვანთმთავრების" მოვალეობა იყო რომ ბერძნული კანონიკური მელოდიებისათვის მეორე და მესამე ხმა შეეწყოთ, ანუ მრავალხმიანი გაეხადათ, რადგან მრავალხმაინობას შეჩვეული ქართველი მსმენელისათვის ქრისტიანული საგალობლები უფრო ახლობელი გამხდარიყო (ჭავჭავაძე 1986). ასეა დღესაც, საგალობლის მელოდია (მაღალი ხმა) არ შეიძლება დიდად შეიცვალოს, რადგან ის კანონიკურია, მაგრამ მეორე ხმა და ბანი უფრო თავისუფლები არიან იმპროვიზაციებისათვის და შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენისათვის. როგორც ქართული საგალობლების ერთ-ერთი წამყვანი მეცნიერის, დავით შუღლიაშვილის კვლევამ გვიჩვენა, სწორედ ამიტომაა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ ქართულ კანონიკურ საგალობლებში მაღალი ხმები ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ მეორე და მესამე ხმის პარტიები განსხვავებულია (შუღლიაშვილი 1991: 23-33).

სხვათა შორის, დღემდე გაუშიფრავი ქართული ნევმირებული კრებულები, როგორც ჩანს, მხოლოდ მაღალი, კანონიკური ხმის ფიქსაციას ემსახურებოდა და მათი გაშიფვრა ვერ შექმნის იმის სრულ შთაბეჭდილებას თუ როგორი მრავალხმიანი ხმოვანება ჰქონდა ამ მუსიკას მე-11 თუ მე-12 საუკუნეში. როგორც ჩანს, და როგორც ამას არტემ ერქომაიშვილი აკეთებდა, მომღერლებს მხოლოდ კანონიკური ხმის ჩანაწერი ჰქონდათ და მეორე და მესამე ხმების შეწყობის ზოგად პრინციპებს ისინი გალობის მასწავლებლებთან სწავლობდნენ. სხვათა შორის, ერთი საინტერესო განსხვავება ქართულ ხალხურ და პროფესიულ მუსიკას შორის არის ის, რომ ხალხურ სიმღერაში მთავარი, წამყვანი არის შუა ხმა, რომელსაც ხალხში „პირველ ხმას" უწოდებდნენ (ამაზე მინდია ჟორდანიას ჰქონდა გახმაურებული გამოკვლევა. ჟორდანია მ. 1972: 103-126), ხოლო საგალობელში, როგორც ირკვევა, წამყვანი იყო ყველაზე მაღალი ხმა.

საგალობლებში, გასაგები მიზეზების გამო, არ იყო ჟანრებისა და მუსიკალური განწყობის ის მრავალფეროვნება, რასაც ხალხურ სიმღერაში ვხვდებით. აქ შეუძლებელი იყო „ხასანბეგურას" ან „იმერული ცხენოსნურის" დინამიკის სიმღერების

შესრულება, ან „შავლეგოს" შემართებითი ხმოვანება, ანდა ფერხულების და საცეკვაოების აქცენტირებული რითმიკა. აქ უფრო თავშეკავებული, ამაღლებული, თითქოსდა ამ ქვეყნიერებას მოცილებული ხმოვანება ბატონობდა. კრიმანჭულის გამოყენება საგალობელში ხომ თავშიც არავის მოუვიდოდა. ის კი არა და, რითმიც კი, როგორც წესი, არ უნდა ყოფილიყო აშკარად გამოხატული და აქცენტირებული.

თუ ხასიათებისა და მეტრო-მიტმიკის სიმდიდრის კუთხით ქართული საგალობლები ვერ უწევდნენ კონკურენციას ხალხურ სიმღერებს, ჰარმონიის, აკორდიკის, კადანსირებისა და მოდულაციების მხრივ ქართული საგალობლები საოცარი მრავალფეროვნებით გამოირჩეოდნენ. ჩემის აზრით, ქართული საგალობლების შესწავლა და კარგი შესრულება უფრო ძნელიც კია, ვიდრე საკმაოდ რთული ხალხური სიმღერების შესრულება, როგორც ქართველი, ისე არაქართველი მომღერლებისათვის.

მუსიკალური ენის მხრივ ქართულ საგალობლებში გამოირჩევა ორი დიდი რეგიონალური სტილი – აღმოსავლურ ქართული და დასავლურ ქართული. ისევე, როგორც ხალხურ სიმღერაში, დასავლეთ საქართველოს ხალხურ სიმღერებში მეტია ხმათა რთული ურთიერთშეთანხმებები, მჭახე დისონანსური აკორდები და მოულოდნელი საკადანსო სვლები, თუმცა ისიც არაერთხელ აღნიშნულა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ე. წ. „სადა კილოს" საგალობლების მუსიკალური ენები ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან.

კიდევ ერთი დიდ სფერო დაგვრჩა მოკლედ დასახათიათებელი. ესაა ქართული ქალაქური სიმღერა. როგორც ცნობილია, ქალაქები ყოველთვის წარმოადგენდა სხვადასხვა ერებისა და კულტურების ერთად თავმოყრის ადგილს, ამიტომაც ბუნებრივია, რომ საქართველოშიც ქალაქური სიმღერა უპირველეს ყოვლისა ცნობილია როგორც ქართული და არაქართული მუსიკალური კულტურების შერწყმის სფერო. საქართველოში, სადაც ძლიერია პატივისცემა არქაული და აუთენტური მოვლენების მიმართ, შედარებით გვიან გაჩენილი ქალაქური მუსიკის მიმართ დღემდე არსებობს არაერთგვაროვანი და ცოტა ორჭოფული დამოკიდებულება. ზოგი საერთოდ თვლის, რომ ქალაქური მუსიკა მხოლოდ პირობითად და ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს ქართული მუსიკალური კულტურის ნაწილად. საბედნიეროდ, ყველა არ ეთანხმება ამ აზრს. მიუხედავად ასეთი არასახარბიელო სტატუსისა, საინტერესოა, რომ სწორედ ქალაქურმა მუსიკამ ითამაშა ქართული ემიგრაციის მუსიკალურ ცხოვრებაში წამყვანი როლი. მაგრამ ამაზე ცოტა მოგვიანებით – ჯერ მოკლედ დავახასიათოდ ქართული ქალაქური მუსიკა.

დიდი ხანია ცნობილია ქართული ქალაქური მუსიკის ორ დიდ შტოდ დაყოფის ტრადიცია. ე. წ. „აღმოსავლური" შტო მოიცავს აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქების (განსაკუთრებით თბილისის) წვრილი მეწარმეების მუსიკას, რომელთა შორის როგორც წესი, დიდი იყო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლების რიცხვი. კინტოების და ყარაჩოღელების თემატიკა, დუდუკის და ზურნას ხმოვანება, მდიდრულად მელიზმატური სიმღერის სტილი, გადამეტებულად სენტიმენტალური და სენსუალური თემატიკის სასიყვარულო სიმღერები ძალიან პოპულარული იყო თბილისში და აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ სხვა ქალაქებში. ამ სტილის მუსიკამ განიცადა ძლიან საინტერესო მეტამორფიზა საქართველოში. ის ერთხმიანი მელოდიები, რომლებიც შემოვიდა საქართველოში სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, სპარსეთიდან ანდა ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან, ქართულ ყოფაში გამრავალხმიანდა. მე არაერთხელ შევსწრებივარ, როგორც წესი, სუფრაზე თუ როგორ იწყებენ ხოლმე ქართველები მათთვის უცნობი, ახალი მელოდიისადმი ჰარმონიელი ხმების შეწყობას და მელოდიის გამრავალხმიანებას.

ქალაქური სიმღერის მეორე, ე. წ. დასავლური შტოს, სულ სხვა ისტორია და წარმოშობის გზა აქვს. თვით შტოს სახელწოდება „დასავლური" ორმხრივად არის გამართლებული, ერთი იმიტომ, რომ ეს სასიმღერო ტრადიცია ამოიზარდა დასავლეთ ევროპული მუსიკის გავლენით, და მეორე იმიტომ, რომ იგი უფრო გავრცელდა დასავლეთ საქართველოში. ამ შტოს ცენტრად ტრადიციულად ითვლება ქუთაისი. ამ შტოს ორი სტილი ახასიათებს: (1) გიტარის ან ფორტეპიანოს თანხლებით შესრულებული სოლო ან მრავალხმიანი სიმღერა (ამ სტილის ყველაზე ცნობილი სიმღერა ალბათ არის „სულიკო") და (2) მხოლოდ ვოკალური, საკრავიერი თანხლების გარეშე შესრულებული საგუნდო სიმღერები (ამ სტილს მიეკუთვნება ქალაქური „მრავალჟამიერები"). მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ქალაქური მუსიკის დასავლური შტოს სიმღერებში შემოვიდა არა მარტო ევროპული მელოდიები, არამედ ევროპული კლასიკური ჰარმონია, აკორდები, კადანსები და მოდულაციებიც. ქართული ხალხური მუსიკის გავლენა ქალაქური სიმღერის დასავლური შტოს სიმღერებში ვლინდება რამოდენიმე ფაქტორში: (1) წამყვანი მელოდია არის მოთავსებული შუა ხმაში, (2) აკორდებში (განსაკუთრებით სეპტაკორდებში) ხშირად გამოიტოვება ტერციული ბგერა, და (3) ჰარმონიის განვითარებაში ხშირად გამოიყენება ბანის ბგერების სეკუნდური მოძრაობები. ეს საკითხები სპეციალურად შეისწავლა ქართველმა მუსიკის თეორეტიკოსმა ივანე (ვანო) ჟღენტმა.

ყველა მუსიკოსს გაუგია გამოთქმა, ნებისმიერი მელოდია თავისთავად ჰარმონიასაც შეიცავსო. ეს გამოთქმა განსაკუთრებით გამართლებულია ქართველებთან მიმართებაში, რადგან ქართველებისათვის ერთ ხმაში სიმღერა ისევე ძნელი წარმოსადგენი და არაბუნებრივია, როგორც ერთი ადამიანის მიერ წარმოებული დიალოგი. ანზორ ერქომაიშვილს მოჰყავს შესანიშნავი მაგალითი იმისა თუ როგორ ააყოლეს გურულმა მომღერლებმა ილარიონ სიხარულიძემ (რომლის სიმღერის მოსმენის პრივილეგია მეც მქონდა გურიაში ექსპედიციის დროს) და ტელე იობიშვილმა ხმა საოპერო მომღერლის მიერ სუფრაზე შესრულებულ საოპერო არიას. ილარიონმა პირველად გაიგო აბდულ არაბის არია არაყიშვილის ოპერიდან „ამბავი რუსთაველისა" ფილარმონიის არტისტების გურიაში სტუმრობის დროს სუფრაზე და როცა შეატყო, მომღერალი თავისივე მეგობრებმა „მიატოვეს" და ხმა არ ააყოლესო, ილარიონმა თვითონ შეაშველა წვრილი, მერე ბანიც „წააშველა" ტელე იობიშვილმა. როდესაც საოპერო მომღერალმა სიმღერის შემდეგ ოდნავ განაწყენებით თქვა, ეს არია არის და ერთმა ადამიანმა უნდა იმღეროსიო, ილარიონმა გაკვირვებით ჩაილაპარაკა, „მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვაა, და მითუმეტეს სიმღერაში. მარტო სიმღერა არ გამიგია მე, ბიჭოს!" (ერქომაიშვილი 1988: 56). დამეთანხმებით ალბათ, ამ პასუხში ქართველი კაცის დამოკიდებულება სიმღერისადმი და ერთმანეთისადმი შესანიშნავად ჩანს. ქართველებს უჭირთ ერთმანეთის გარეშე გაძლება და ამიტომაც არ უყვართ ცალფა სიმღერა, თუმცა ერთად სიმღერის დროსაც არ უყვართ, რომ ყველამ ერთ ხმაში იმღეროს, ცდილობენ თავისი თავი გამოხატონ სხვა ხმებთან ერთად, ერთიან ჰარმონიაში.

ნაწილი 2

ქართველები და ქართული მუსიკა საქართველოს ფარგლებს გარეთ

მიუხედავად უამრავი ძნელბედობისა და გამუდმებული ომებისა, ქართველებს ისტორიულად არ ახასიათებდათ სხვა ქვეყნებში ემიგრაციაში მასობრივად წასვლა. სწორედ ამიტომაა, რომ თუ რომელიმე ქვეყანაში ასობით ათასი ქართველი ცხოვ-

რობს, ეს უფრო იძულების და ისტორიული ძნელბედობის ბრალი იყო, ვიდრე უკეთესი პირობების ძებნის შედეგი. ასე მოხდა მაგალითად, ირანში, სადაც ქართველები შაჰ-აბასმა მასობრივად გადაასახლა აღმოსავლეთ საქართველოდან. ასევეა თურქთში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილიც – ისინი არსად წასულან, მაგრამ მათი საცხოვრებელი თანდათან აღმოჩნდა მეზობელი თურქეთის მფლობელობაში.

როგორც წესი, ქართველების ამ ამოუცნობ სიყვარულს თავისი სამშობლოსადმი ხსნიან ხოლმე საქართველოში მიწათმოქმედების ტრადიციების სიღრმითა და ძლიერებით. მშობლიური მიწა ყოველთვის განსაკუთრებით იზიდავდა ქართველებს. ზღვის ნაპირას ცხოვრებამაც ვერ აქცია ქართველები დიდ მეზღვაურებად და მსოფლიო მოგზაურებად. ეს სიტუაცია ნაწილობრივ მაინც შეიცვალა მეოცე საუკუნის მიწურულს. მეოცე საუკუნის ბოლო დეკადის დროს წარმოქმნილი პოლიტიკური არასტაბილურობა, ომი და უაღრესი გაჭირვება გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველოდან მნიშვნელოვნად გაიზარდა ემიგრანტების რაოდენობა. განსაკუთრებით დიდია ქართული მოსახლეობა რუსეთში, თუმცა მათმა რიცხვმა ევროპასა და ამერიკაშიც იმატა. ისიც უნდა ითქვას, რომ ემიგრანტთა საკმაოდ დიდი ნაწილი წასულია საქართველოდან დროებით, სამუშაოსათვის და იმედი აქვს, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გაუმჯობესების შემთხვევაში ისევ დაბრუნდება საქართველოში.

ალბათ ყველაზე ცნობილი და ისტორიულად ჩამოყალიბებული ქართული ემიგრაცია იყო 1921 წელს საქართველოდან წასული სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, სხვა პოლიტიკოსები, სამხედროები და მათი ოჯახები. სხვათა შორის, საფრანგეთს გარდა ქართველ ემიგრანტთა ასევე დიდი ნაკადი 1921 წელს წავიდა პოლონეთში, რაც შედარებით ნაკლებად არის ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. ბევრი პოლონეთში ჩასული ქართველი, როგორც მებრძოლი, ერთგულად ემსახურა პოლონეთის ინტერესებს (რომელიც, როგორც ცნობილია, უმეტესად მათი საერთო მტრის, რუსეთის დამყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ იყო მიმართული). საინტერესოა, რომ როგორც ფრანგული, ისე პოლონური პოლიტიკური ემიგრაცია სულ რამდენიმე ასეული ქართველისაგან შედგებოდა, თუმცა ისინი საკმაოდ აქტიურები იყვნენ ორივე ქვეყნის ცხოვრებაში.

პოლონეთის ემიგრაციის მუსიკალური ცხოვრების შესახებ, სამწუხაროდ, ჩემთვის არაფრია ცნობილი. სიტუაცია გაცილებით უკეთესია ქართული ემიგრაციის პარიზში ცხოვრების შესახებ.

პარიზის ქართული ემიგრაციის მუსიკალური ცხოვრების შესახებ ინფორმაცია მომაწოდა სამმა ადამიანმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ. ესენია (1) ნოე ჟორდანიას პირველი ვაჟიშვილი, პარიზში 1922 წელს დაბადებული რეჯებ ჟორდანია, (2) პარიზში დასახლებული ქართული სიმღერის ამერიკელი ქომაგი და ექსპერტი ფრენკ კეინი და (3) პარიზის ქართული ემიგრაციის შედარებით ახალი თაობის წარმომადგენელი ოთარ პატარიძე.

როგორც ირკვევა, პარიზის ქართულ ემიგრაციის მუსიკალური მეობა გამოხატული იყო ქართული ქალაქური სიმღერებით. ეს შეიძლება მკითხველს უცნაურად მოეჩვენოს, რადგან საქართველო ცნობილია უპირველეს ყოვლისა თავისი უნიკალური ხალხური მრავალხმიანობით და არა გვიან შემოსული და ევროპული სიმღერის გავლენით შექმნილი ქალაქური სიმღერის ტრადიციებით. მაშ რატომ უნდა გამხდარიყო ქართული ემიგრაციის მუსიკალური სიმბოლო ქართული ქალაქური სიმღერა და არა უნიკალური და ორიგინალური სოფლური მრავალხმიანობა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ, თუ რომელი წრეებიდან

იყვნენ გამოსულები 1921 წლის ქართული ემიგრაციის წევრები. მიუხედავად იმისა, რომ მათ მეტ-ნაკლებად განხვავებული სოციალური და ოჯახური ძირები ჰქონდათ, მათი დიდი ნაწილი ეკუთვნოდა საზოგადოების მაღალ და საშუალო ფენებს. ძნელი წარმოსადგენია, რომ მათ შორის ყოფილიყო ნამდვილი გლეხი, სოფლური სიმღერის ტრადიციების უშუალო მატარებელი. სწორედ ამისი ბრალი იყო, რომ პატრიოტულად განწყობილი ქართული ემიგრაციის მუსიკალური მეობა გამოიხატებოდა არა უნიკალურ ქართულ მრავალხმიან სიმღერაში, არამედ გვიანდელი და სხვადასხვა კულტურის შეზავების შედეგად მიღებულ ქალაქურ სიმღერაში. ამ სიმღერებს ისინი საკუთარ ოჯახურ სუფრებზე მღეროდნენ ჯერ კიდევ საქართველოდან იძულებით წასვლამდე.

ბატონი რეჯებ ჟორდანიას მოგონებების მიხედვითაც, ქართველი ემიგრანტების სოციალურ შეხვედრებზე მღეროდნენ მრავალრიცხოვან ქალაქურ სიმღერებს. აქ მკითხველს მინდა შევახსენო, რომ ბატონი რეჯები არის პროფესიონალი მუსიკოსი, რომელმაც პარიზის კონსერვატორიაში გაიარა ფორტეპიანოსა და კომპოზიციის კურსები და გამოცემული აქვს საკუთარი კომპოზიციების ჩანაწერები. ასე რომ მის მუსიკალურ მოგონებებს ნამდვილად შეიძლება ვენდოთ. მისივე მოგონებით, ძალიან მიღებული იყო ემიგრაციის წევრებს შორის ბავშვებისათვის ქართული ცეკვების სწავლება. ცეკვებს თანხლებას უწევდა არა საცეკვაო ან საფერხულო სიმღერა, არამედ ფორტეპიანოზე შესრულებული საცეკვაო მელოდიები.

ბატონი რეჯების სიტყვების მიხედვით, ძალიან იშვიათად, მაგრამ ხანდახან მაინც გაიჟღერებდა სოფლური სიმღერები, თუმცა უფრო „გაქალაქურებული" ვარიანტები, ზოგჯერ კრიმანჭულიც კი ისმოდა. დამოუკიდებელი საქართველოს არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, ვალოდია (ვლადიმერ) გოგუაძე იყო ასეთ შემთხვევებში კრიმანჭულის შემსრულებელი.

ქალაქური სიმღერები შეადგენდა ქართული ემიგრაციის შეხვედრების მუსიკალურ ფონს. სწორედ ამიტომ იყო, რომ პარიზის ქართული ემიგრაციის ანსამბლში, რომელსაც „მერანი" ეწოდებოდა, თითქმის მხოლოდ ქართული ქალაქური სიმღერები სრულდებოდა. ბატონ ოთარ პატარიძის მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით, ანსამბლ „მერანის" მიერ ჩატარებულ ყველაზე მნიშვნელოვან კონცერტში, რომელიც 1970-იან წლებში შედგა პარიზის ელისეის ცნობილ მინდვრებზე, თითქმის მთელი პროგრამა შედგებოდა ქართული ქალაქური სიმღერებისა და ფორტეპიანოს თანხლებით შესრულებული ქართული ცეკვებისაგან.

რაც შეეხება ქართული ხალხური სიმღერების ანუ გლეხური მრავალხმიანი სიმღერების გამოჩენას პარიზის ქართულ ემიგრანტთა შორის, ეს მოხდა ძალიან უცნაური გზით. ქართული ხალხური სიმღერა „ჩამოვიდა" პარიზში არა საქართველოდან, არამედ ამერიკიდან! ამ უცნაური ფაქტის ასახსნელად ჯერ მოკლედ მაინც უნდა მიმოვიხილო ქართული ხალხური სიმღერის გამოჩენა ევროპასა და ამერიკაში. ამ მიმოხილვის შემდეგ დავუბრუნდებით ქართველი ემიგრანტების მუსიკალურ ცხოვრებას პარიზში.

ქართული ხალხური სიმღერის „ჩასვლა" უცხოეთში არ იყო დაკავშირებული ქართველების ემიგრაციასთან. ყველაზე დიდი წვლილი ამ საქმეში ალბათ შეიტანა ქართული ხალხური სიმღერის ჩანაწერების მსოფლიოში გავრცელებამ, რაშიც განსაკუთრებული როლი ითამაშა ანსამბლ „რუსთავის" საკონცერტო და სტუდიურმა მოღვაწეობამ. „რუსთავის" ფირფიტა მოხვდა იაპონიაში და დიდი ინტერესი გამოიწვია იქაურ მუსიკოსებში, თუმცა კიდევ უფრო დიდი საერთაშორისო რეზონანსი მიიღო ამერიკიდან წამოსულმა ინიციატივამ. იელის უნივერსიტეტში არსებობდა

ე. წ. „რუსული გუნდი", რომელსაც რეპერტუარში ჰქონდა ორიოდე ქართულ სიმღერა. ის, რომ ქართული კულტურისა და სპორტის წარმომადგენლებს „საბჭოელებად" ან „რუსებად" აცხადებდნენ, საბჭოთა კავშირში ვინც ვცხოვრობდით, ალბათ ყველას კარგად გვახსოვს. იელის უნივერსიტეტის გუნდის რამდენიმე მომღერალს ისე შეუყვარდა ქართული სიმღერები, რომ გადაწყვიტეს, სადმე მოეძიებინათ ქართული ხალხური სიმღერის ნოტები, ესწავლათ და ემღერათ. ასე გაჩნდა „ქართული ანსამბლის" შექმნის იდეა, რომლის დამაარსებლები და ხელმძღვანელები გახდნენ ფრენკ კეინი და გრეგორი სალმონი. ეს იყო 1985 წელს. მასალების მოძიება მაშინ, ინტერნეტის გამოჩენამდე და ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, ძალზე რთული იყო. ფრენკ კეინმა გამოაგზავნა წერილი საქართველოს კულტურის სამინისტროს სახელზე, სადაც მოკრძალებულად ითხოვდა ორიოდე ქართული სიმღერის სანოტო ჩანაწერების გაგზავნას. თბილიში ჩამოსვლის მერე ფრენკ კეინის წერილმა იმოგზაურა კულტურის სამინისტროდან კონსერვატორიაში, მერე კი მოხვდა ქართული ხალხური სიმღერის კათედრაზე, სადაც, როგორც კათედრის ერთადერთ ინგლისურად მოლაპარაკე წევრს, ეს წერილი გადმომცეს მე. მახსოვს, დიდი ენთუზიაზმით დავუწერე პასუხი ჩემთვის უცნობ „მისტერ ფრენკ კეინს", უფრო მეტიც, სპეციალური მიმოხილვითი სტატიაც დევუწერე, სადაც ქართული ხალხური მრავალხმაინობის სხვადასხვა ელემენტებზე მქონდა საუბარი და რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერის სანოტო ჩანაწერებიც ჩავრთე გზავნილში, როგორც ამას ფრენკ კეინი ითხოვდა თავის წერილში. ეს წერილი ფრენკს დღესაც შენახული აქვს. ამერიკული „ქართული ანსამბლის" ზრდა და წარმატებები დღეს უკვე საყოველთაოდ არის ცნობილი. 1997 წელს მათ საქართველოს სახელმწიფო პრემიაც მიიღეს ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისათვის. 1988-1990 წლებში ანსამბლმა ორი დარტყმა განიცადა, ჯერ ანსამბლის ერთერთი დამაარსებელი, ფრენკ კეინი გადავიდა საცხოვრებლად პარიზში, ხოლო ორი წლის მერე ანსამბლის მეორე დამაარსებელი, გრეგორი სალმონი ტრაგიკულად დაიღუპა საგზაო ავარიაში. საბედნიეროდ, ანსამბლის წევრები ამ მძიმე დარტყმებმა ვერ შეაჩერა და „ქართული ანსამბლი" დღესაც აგრძელებს მოღვაწეობას, ამჟამად შესანიშნავი მომღერლის, გლენ კნიკერბოკერის ხელმძღვანელობით.

„ქართული ანსამბლი" ამერიკაში, კანადასა და ევროპაში შექმნილი მრავალი სხვა ქართული სიმღერის ანსამბლის „მშობელი" და „ბაბუა" გახდა. მაგალითად, „ქართული ანსამბლის" ყოფილმა წევრმა, ალან გასერმა კანადაში შექმნა ანსამბლი „დარბაზი," რომელიც ასევე დღემდე აგრძელებს მოღვაწეობას. ბოლო ათი წელია ანსამბლის ხელმძღვანელია კანადაში ჩასული ქართველი ემიგრანტი შალვა (ბაჩი) მახარაშვილი. „დარბაზის" უშუალო გავლენით და ხშირად მისი წევრების მონაწილეობით შეიქმნა აგრეთვე კანადაში სხვადასხვა პერიოდში არსებული ანსამბლები „აისი," „მაჭარი," „მეგობრები," „კუნძული", „ზარი" და „ვოისა." ამათ გარდა მთელი რიგი გუნდების და ანსამბლების რეპერტუარში მძლავრად შევიდა ქართული სიმღერები, მაგალითად, ანდრეა კუზმიჩს ჰყავდა ბავშვების გუნდი, რომლების უამრავ ქართულ სიმღერას მღეროდნენ, ტორონტოს უზარმაზარი გუნდი „ვივა ახალგაზრდა მომღერლებს" ასევე მღერის ქართულ სიმღერებს და ჩაატარა ერთობლივი კონცერტი „დარბაზთან" ერთად. ტორონტოში ჯაზ-ფესტივალზეც კი აჟღერდა ქართული სიმღერების ჯაზური ვარიანტები. როგორც ვხედავთ, „ქართული ანსამბლის" და ალან გასერის მემკვიდრეობა ჭეშმარიტად ყვავის კანადაში.

ახლა დავბრუნდეთ საფრანგეთში. ფრენკ კეინის პარიზში გადასვლას მოჰყვა უაღრესად საინტერესო ცვლილებები ქართული ემიგრაციის მუსიკალურ ცხოვრება-

ში. ყველაზე საინტერესო იყო ის, რომ ფრენკმა დაიწყო ანსამბლის წევრებისათვის, ქართველი ემიგრანტების შთამომავლებისათვის ქართული გლეხური და არა ქალაქური სიმღერების სწავლება. სამწუხაროდ, ეს პერიოდი – 80-იანი წლების ბოლო და განსაკუთრებით 90-იანი წლების დასაწყისი – დაემთხვა ქართული საზოგადოებრივი აზრის პოლარიზაციას ზვიად გამსახურდიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის (როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში მცხოვრებ ქართველებში). სამწუხაროდ, დაპირისპირება შეეხო ანსამბლ „მერანის" წევრებსაც და ბევრმა მათგანმა შეწყვიტა ანსამბლის რეპეტიციებზე სიარული იმის გამო, რომ „მოწინააღმდეგე ბანაკის" წარმომადგენლებთან შეხვედრა და კამათი აეცილებინა თავიდან. ასე თანდათან შეიცვალა „მერანის" არა მარტო რეპერტუარი, არამედ მონაწილეების ნაწილიც და მალე მიზანშეწონილი გახდა ანსამბლის სახელის შეცვლაც. მართლაც, მალე რომანტიკული „მერანის" ნაცვლად ანსამბლს ეწოდა გაცილებით უფრო მიწასთან ახლოს (უფრო ზუსტად, ნაწილობრივ მიწაში მყოფი) სახელი – „მარანი." ახალ სახელს ქართული სოფლის სურნელი დაჰკრავდა და უკეთ შეეფერებოდა ანსამბლის ახალ რეპერტუარს. 1996 წელს კეინმა ასოციაცია „მარანი" ჩამოაყალიბა, 1998 წელს ანსამბლის კომპაქტ-დისკი გამოვიდა. გარდა ამისა, კეინი ფართო საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა ევროპისა და ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში, ქართული სიმღერის სწავლების ახალ მეთოდებს იკვლევს და მუშაობაში შემოქმედებითად იყენებს თამამ ექსპერიმენტებს. ასოციაცია „მარანი" ასევე აქტიურია საქართველოდან სიმღერისა და გალობის ექსპერტების საფრანგეთში ჩაყვანაში.

თავისთავად „მარანსაც" გაუჩნდა ფრანგი „შთამომავლები," რომელთა შორისაც არიან ქალთა ანსამბლი „ირინოლა" და შერეული ტრიო „მზეშინა" (ამ უკანასკნელს სამი კომპაქტ-დისკი აქვს გამოშვებული).

ალბათ „ქართული ანსამბლის" ყველაზე უფრო დახვეწილი „შთამომავალია" ამერიკულ-კანადური ტრიო „კავკასია." ეს ტრიო იმსახურებს სახელწოდებას „სუპერ-ანსამბლი", რადგან მასში სამი უაღრესად მაღალპროფესიული მომღერალი არის გაერთიანებული – უკვე ნახსენები ალან გასერი კანადიდან, სტუარტ გელზერი ამერიკიდან, რომელიც სერიოზულად იკვლევს ქართული კილოური სისტემის საფუძვლებს და ბოლოს საოცარი ნიჭით დაჯილდოებული კარლ ლინიკი, რომელმაც თავისი სასიმღერო ხელოვნებით ქართული სიმღერის (როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს სიმღერის) ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებლის სახელი დაიმკვიდრა. აქ ისიც უნდა დავამატოთ, რომ კარლი უკვე შესანიშნავად ფლობს ქართულ ენასაც.

ქართული ხალხური სიმღერის ერთ-ერთი უძლიერესი კერა გახდა ინგლისი. აქ, კერძოდ კარდიფში, 1994 წელს ჩატარდა ერთკვირიანი ინტენსიური სწავლების კურსი, რომელმაც უელსელ და ინგლისელ მუსიკის მოყვარულებში დიდი ინტერესი გამოიწვია. ამის შემდეგ ინგლისში არ შეწყვეტილა ქართული სიმღერისადმი ინტერესი, რაშიც ყველაზე დიდ წვლილი ედიშერ გარაყანიძეს მიუძღვის. ადრე ჩამოყალიბებულ „კარდიფის ქართულ გუნდს" მოჰყვა ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლის „მასპინძელის" შექმნა, რომელიც ყოველთვის საოცარი ენთუზიაზმით მოდის ხოლმე საქართველოში მრავალხმიანობის სიპოზიუმებზე დასასწრებად და საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სანახავად. ელენ ჩედვიკმა, ანსამბლის ერთ-ერთმა პირველმა ხემძღვანელმა, ქართული სიმღერა მიიტანა ლონდონის ნაციონალური თატრის გუნდში. მაიკლ ბლუმმა ჩამოაყალიბა ასოციაცია „ქართული ჰარმონია", რომელმაც ქართული ხალხური სიმღერის შესანიშნავი მცოდნის ედიშერ გარაყანიძის ტრაგიკულად დაღუპვის მერე თავი მოუყარა ამ სფეროში წარმოებულ მრავალ ინიციატივას. ასევე ინგლისში (უფრო ზუსტად, უელსში) გამოვიდა ქარ-

თული ხალხური სიმღერების ყველაზე სრული კრებული, „99 ქართული სიმღერა," რომლის მეორე, შევსებული გამოცემა ახლა მზადდება. ამ კრებულის გამოცემის ინიციატორი უკვე ნახსენები ედიშერ გარაყანიძე იყო.

1997 წელს ნორვეგიაში შეიქმნა ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი, „ტრიო გიორგი." ეს ტრიო შესანიშნავი ქართველი მომღერლის გიორგი უშიკიშვილის უშუალო ძალისხმევით ჩამოყალიბდა და ტრიოს სახელწოდებაც აქედან იღებს სათავეს. შვედეთში არსებობს ქართული სიმღერების ანსამბლი „დოლური," რომელსაც ქართულ სიმღერაზე შეყვარებული შვედი ეთნომუსიკოლოგი იოჰან ვესტმანი ხელმძღვანელობს.

მე ზემოთ მხოლოდ ის ანსამბლები დავასახელე, რომლების მხოლოდ ქართულ ხალხურ სიმღერებს მღერიან. ამათ გარდა არის კიდევ მთლი რიგი ანსამბლებისა, რომლებსაც რეპერტუარში რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერა მაინც აქვს. ყველა ასეთ ანსამბლს, რა თქმა უნდა, ვერ დავასახელებ (და არც ვიცნობ ყველას, იმდენია უკვე), მაგრამ მინდა სპეციალურად აღვნიშნო იაპონიაში არსებული შესანიშნავი პროფესიული და ფართოდ ცნობილი გუნდი, რომელიც ცნობილია მისი დამაარსებლის, შოჯი იამაშიროს სახელით, როგორც „იამაშიროგუმი" (ანუ „იამაშიროს გუნდი"). იამაშიროგუმი პირველი უცხოური ანსამბლი იყო, ვინც ქართული ხალხური სიმღერები იმღერა. ისიც საოცარი იყო, რომ ერთ-ერთი პირველი სიმღერა, რაც მათ იმღერეს, იყო „ხასანბეგურა"! ეს სიმღერა მათ ადრე დასახელებული ანსამბლ „რუსთავის" ფირფიტიდან გადაიღეს.

როგორც ვხედავთ, ქართული ხალხური სიმღერა მისთვის დამახასიათებელი მადლიანი დისონანსებით და ფერადოვანი მოდულაციებით უკვე იქცა თანამედროვე დასავლური სასიმღერო კულტურის განუყრელ ნაწილად. ახლა კი განვიხილოთ ქართული მუსიკა ავსტრალიაში და ქართველ ემიგრანტთა შორის.

ნაწილი მესამე
ქართული სიმღერა ავსტრალიაში

გრანტ მეტიუზი იხსენებს: „1995 წლის ზამთარი იყო [ავსტრალიაში ზამთრის თვეებია ივნისი, ივლისი და აგვისტო]. რეპეტიცია გვქონდა ფიცროიში და მე ვუთხარი ანსამბლ „გორანის" წევრებს: „ეჰ, რა კარგი იქნებოდა რომ მელბურნში ემიგრაციაში ჩამოსულიყო ვინმე ქართველი გლეხი სოფლიდან, რომელსაც ქართული სიმღერები ეცოდინებოდა და ესწავლებინა ჩვენთვის ერთი-ორი ქართული სიმღერა." გრანტის სიტყვებში კარგად ჩანს ის, რომ ქართულ სიმღერას ჩვენს ჩასვლამდეც ყავდა გულშემატკივრები შორეულ ავსტრალიაში. როგორც უკვე ვახსენეთ ზევით, გრანტის ამ სიტყვებს ასრულება არ ეწერათ, რადგან ქართველი გლეხები, თუ ძალით არ გადაასახლე, საქართველოდან ემიგრაციაში არ მიდიან. და მაინც, მართალია, ქართველი გლეხი არ ჩასულა ავსტრალიაში, მაგრამ გრანტს და გორანის მაინც ბედმა გაუღიმათ, რადგან როცა გრანტი ამ სიტყვებს ამბობდა, ორ ქართელ ეთნომუსიკოლოგს უკვე ავსტრალიის ბილეთები ჰქონდა აღებული.

ჩვენი გამოცდილება როგორც ქართველი ემიგრანტებისა, 1995 წლის ნოემბერშივე დაიწყო. ბედმა გაგვიღიმა და ავსტრალიელებმა ძალიან კარგად მიგვიღეს, ხშირად გვპატიჟებდნენ, გვეცნობოდნენ და სხვებს გვაცნობდნენ. შეხვედრები, ბუნებრივია, ადგილობრივ ქართველებთანაც გვქონდა. განსხვავებები ამ შეხვედრების დინამიკაში ადვილი შესატყობი იყო. ავსტრალიური შეხვედრებისაგან განსხვავებით, ქარ-

თველებთან შეხვედრები, როგორც წესი, ხშირად ძალიან ხანგრძლივი იყო, თანაც დროის უდიდესი ნაწილი ტარდებოდა სუფრასთან. მართალია ალკოჰოლის სმას არ ეჭირა ისეთი მნიშვნელოვანი ადგილი როგორც ეს საქართველოდან მახსოვდა (თანაც ამ სტატიის ავტორმა ავსტრალიაში ჩასვლის მერე საერთოდ დაანება თავი ალკოჰოლის სმას), მაგრამ სადღეგრძელოებს დღემდე მაინც საკმაოდ ტრადიციულად წარმოვთქვამთ. შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ სადღეგრძელოების თქმის ტრადიცია უფრო ძლიერია აღმოჩნდა, ვიდრე სმის ტრადიცია. ვადღეგრძელებთ ერთმანეთს, მშობლებს, საქართველოს, ჩვენს ნათესავებს, მეგობრებს. რა თქმა უნდა ბევრს ვლაპარაკობთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე, პოლიტიკაზე და ასე შემდეგ.

და რა თქმა უნდა, ჩვენს შეხვედრებზე ხშირად ვმღერით კიდეც. საინტერესოა, რომ სიმღერას მაინც უფრო ქალაქურს ვამჯობინებთ, გიტარის თანხლებით, მიუხედავად იმისა რომ ნინომ[1] და მე უამრავი ქართული ხალხური სიმღერა ვიცით და ვასწავლით კიდეც. რევაზ ლალიძის რომანტიკული სიმღერა „საბუდარელი ჭაბუკიდან" ერთ-ერთი ჩვენი ფავორიტია, ასევე ჯანო კახიძის სიცოცხლით სავსე „მზის სიმღერა". ნამდვილი ხალხური სიმღერის შესრულებას მხოლოდ მაშინ ვახერხებთ, თუ ჩვენი თათარი მეგობარი, ზულია კამალოვა ესწრება შეხვედრას. ზულია შესანიშნავი მომღერალია, პრესტიჟული ავსტრალიური ჯილდოც აქვს მიღებული სიმღერისათვის. ის ერთხელ დაესწრო ჩვენს მიერ ჩატარებულ ქართული ხალხური სიმღერის გაკვეთილს (ეს იყო 1996 წელს), რომელშიც ჩვენ „ასლანურ მრავალჟამიერს" ვასწავლიდით მონაწილეებს და ისე მოიხიბლა, რომ დღემდე ახსოვს ეს სიმღერა. მართალია, ხალხური სიმღერების შესრულებას ხშირად ვერ ვახერხებთ, მაგრამ ყველას საოცრად უყვარს და აფასებს ნამდვილ ხალხურ სიმღერას.

როცა ჩვენი რუსულენოვანი მეგობრებიც არიან სუფრაზე, ხშირად ვმღერით ბოშურ სიმღერებს და საბჭოთა პერიოდის პოპულარულ სიმღერებსაც. საინტერესოა, რომ გინდაც ყველამ არ იცოდეს ეს სიმღერები, სიმღერის დაწყების მერე ბევრი აყვება ხოლმე მოღერალს. ხშირად მიფიქრია, თუკი ასე შეუძლიათ სუფრის წევრებს ხმის აყოლება ბოშურ და სხვა თანამედროვე სიმღერებში, რატომ ვერ ახერხებენ ამას ქართულ სოფლურ სიმღერებში მეთქი? როგორც ჩანს, ამისი მიზეზია სწორედ ის უნიკალური ელემენტები, რომლითაც ასე მდიდარია ქართული მრავალხმიანი სიმღერა. ბოშური სიმღერები და საბჭოთა პერიოდის პოპულარული სიმღერები ორივე მსგავს, ევროპულ მაჟორ-მინორულ სისტემას ემყარება, სისტემას, რომელსაც ჩვენ ყველნი კარგად ვიცნობთ, რადგან მუსიკალური განათლება სწორედ ამ სისტემაში გვაქვს მიღებული. რაც შეეხება ქართული სიმღერას, ის სულ სხვა სისტემას ემორჩილება და თუ გინდა, რომ ქართულ სოფლურ სიმღერას აყვე, ან კონკრეტულად ეს სიმღერა უნდა იცოდე, ანდა ძალიან კარგად უნდა იცნობდე და გათავისებული გქონდეს ქართული მრავალხმიანობის შინაგანი ბუნება.

ავსტრალიაში ჩვენი ჩამოსვლის მერე სულ მალე შევხვდით კრისტოფ მოუბახს, შესანიშნავ გერმანელ მომღერალს და მუსიკოსს, ორფის სისტემის ერთ-ერთ წამყვან სპეციალისტს კათოლიკური უნივერსიტეტიდან. კრისტოფი ისე დაინტერესდა ორიოდე ქართული ხალხური დისონანტური აკორდის მოსმენისთანავე, რომ მეორე დილას მოვიდა ჩვენთან სიმღერების შესასწავლად. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ერთ კვირაში ოფიციალური კონცერტიც კი ჩავატარეთ, სადაც სამი საკმაოდ რთული სიმღერა შევასრულეთ. ჩვენს ტრიოს ეწოდა სწორედ „ოქროს საწმისი", ასე რომ საგონებელში ჩააგდო მალდონის ფესტივალის ორგანიზატორები. მალე კრისტოფმა

1 ნინო ციციშვილი, ფილოსოფიის დოქტორი, ეთნომუსიკოლოგი, მუსიკის სკოლა/კონსერვატორია, მონაშის უნივერსიტეტი, ავსტრალია, ავტორის მეუღლე.

მიგვიყვანა ანსამბლ „გორანისთან", იმ ანსამბლთან, რომლის წევრი გრანტ მეტიუზი ასე ნატრულობდა ქართველი გლეხის ჩამოსვლას ავსტრალიაში. „გორანი" მხოლოდ მამაკაცთა ანსამბლი იყო ყოველთვის, ამიტომაც ამ სტატიის ავტორი მიწვეულ იქნა ანსამბლში, რის მერეც დაიწყო მის რეპერტუარში ქართული სიმღერების გაჩენა და თანდათანობითი ზრდა (1996 წლამდე „გორანი" ბულგარულ და სხვა ქვეყნების სიმღერებს ასრულებდა). ასევე რამდენიმე წლის განმავლობაში არსებობდა ქალთა ანსამბლი „ნანა", რომელსაც ნინო ხელმძღვანელობდა. მასში ნინოს გარდა ლატვიური წარმოშობის სილვია სტროდე და ავსტრალიელი სტელა მალდერი მღეროდნენ. „ოქროს საწმისიც", " და „ნანაც" გამოსულან მრავალრიცხოვან ეროვნულ ფესტივალებსა და კონცერტებზე. გორანი" თბილისში ჩატარებული მრავალხმიანობის სიმპოზიუმების უცვლელი მონაწილე გასდა. სულ ახლახან ჩამოყალიბდა ასევე „მელბურნის ქართული გუნდი", რომელშიც გაერთიანდნენ სხვადასხვა ქართული ანსამბლის მომღერლები. გარდა მელბურნში არსებული ქართული გუნდებისა, დასავლეთ ავსტრალიაში, პერტში, ამ სტატიის ავტორის მიერ ჩატარებული ქართული სიმღერის გაკვეთილების შემდეგ შეიქმნა ორი ქართული ანსამლბი – „ლილე" და „შალვა."

სამი საინტერესო განსხვავება შევამჩნიეთ ნინომ და მე ავსტრალიაში და სხვა ქვეყნებში არსებულ ქართულ ანსამბლებს შორის. პირველი არის ის, რომ ავსტრალია ალბათ ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ქართული ხალხური სიმღერა ქართველ ემიგრანტებტან ერთად „ჩამოვიდა". მეორე არის ის, რომ მხოლოდ ავსტრალიაში არსებული ანსამბლები შეიქმნა ქართველი ხელმძღვანელების მიერ (თუმცა კანადურ „დარბაზს" ბოლო წლებში ასევე ქართველი ხელმძღვანელი ჰყავს). მესამე თავისუბურება ალბათ ყველაზე საინტერესოა, რადგან ის ქართული ხალხური სიმღერის შესრულებას შეეხება: თუ ამერიკული და ევროპული ანსამბლები ცდილობენ წმინდად დაიცვან ქართული ხალხური სიმღერის საშემსრულებლო ტრადიციები, ავსტრალიური ანსამბლები უფრო მეტ „შემოქმებედით თავისუფლებას" იჩენენ ქართული სიმღერების მიმართ. ალბათ, ქართველი ხელმძღვანელების ყოლა იწვევს ასეთ თავისუფლებას. სულ ახლახან, 2012 წლის სექტემბერში ჩატარებულ მრავალხმიანობის მეექვსე სიმპოზიუმზე, რომელზეც ორ ათეულზე მეტი ავსტრალიელი მომღერალი იყო ჩამოსული, ავსტრალიელებმა (რა თქმა უნდა მათი ხელმძღვანელების „დალოცვით") გადაწყვიტეს შეესრულებინათ ქართული სიმღერისა და პოპ-სიმღერის ნინოს მიერ შესანიშნავად არანჟირებული შერწყმა. საინტერესოა, რომ ასეთი სიმღერის შესრულებამ ოფიციალურ დასკვნით კონცერტზე ზოგიერთ უცხოელ ქართული სიმღერის შემსრულებელში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია (ჩვენდა საამაყოდ, ქართველი მსმენელებისაგან განსხვავებით).

ჩემის აზრით, ეს გამოწვეულია იმით, რომ არაქართველი შემსრულებლები ქართულ სიმღერას უყურებენ როგორც საუკუნეების წინ შექმნილ ხელუხლებელ კულტურულ ტრადიციას და უაღრესად ფრთხილად ეკიდებინა ნებისმიერი ცვლილებების შეტანას მასში. ჩვენთვის კი ქართული ხალხური სიმღერა არის ჩვენი საკუთარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც დღესაც ცოცხალია, ცვლილებებს განიცდის, ვითარდება და ჩვენც ვმონაწილეობთ ამ ცვლილებებში. საინტერესოა, რომ ისევ კანადაში, სადაც ერთ-ერთ გუნდს ქართველი მომღერალი ხელმძღვანელობს, შეიძლება მოინახოს ასეთი თავისუფალი დამოკიდებულების ფაქტები (ზემოთ ნახსენები ტორონტოს ჯაზ ფესტივალი შეიძლება გავიხსენოთ).

ცნობილია, რომ როცა რომელიმე კულტურის წარმომადგენელთა ჯგუფი სხვადასხვა მიზეზის გამო ხვდება სამშობლოს გარეთ, ისინი უფრო უცვლელად ინახავენ ეროვნული კულტურის და ენის ადრეულ შრეებს, მაშინ როდესაც მათ სამშობლოში

ენაც და კულტურაც უფრო დინამიურად ვითარდება. საინტერესოა, რომ უცხოეთში არსებული ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლების დიდი ნაწილი თავისი დამოკიდებულებით ახლოს არიან სამშობლოს მოწყვეტილი ჯგუფის ყოფაქცევასთან. რაც შეეხება ავსტრალიურ (და ნაწილობრივ კანადურ) ანსამბლებს, შესაძლოა მათი ქართველი ხელმძღვანელების გამო, ისინი კულტურული კონსერვატულობისადმი ნაკლებ მიდრეკილებას იჩენენ.

დროა გავაკეთოდ დასკვნები. ქართული ხალხური მუსიკის პოპულარობა თანდათან იზრდება მსოფლიოში. რა თქმა უნდა, ამ პროცესებს ხელი შეუწყო საქართველოს მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღებამ, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ ქართულმა ხალხურმა სიმღერამ ნაკლებად გამოიყენა ქართული ემიგრაციის „ფრთები" ახალ კულტურებში ჩასასვლელად. ქართულ სიმღერას „საკუთარი ფრთები" აღმოაჩნდა, და ის ფაქტი, რომ დღეს ის იმღერება დასავლური სამყაროს მრავალ ქვეყანაში, ძირითადად მისი „საკუთარი დამსახურებაა". ამ სტატიაში მე, რა თქმა უნდა, სრულად ვერ განვიხილავდი ქართული ემიგრაციის მუსიკალურ ტრადიციებს და ასევე ვერც ქართული სიმღერის მსოფლიოში გავრცელების ამომწურავ სურათს წარმოვადგენდი. სტატიის მიზანი იყო ამ საინტერესო და ამოუწურავ თემაზე საუბრის წამოწყება. იმედია ეს საუბარი გაგრძელდება და მასში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტული დღევანდელი ქართული ემიგრაციის წევრებიც ჩაერთვებიან.

დამოწმებანი

1. ასლანიშვლი შ. ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერის შესახებ, ტ. I, თბ., 1954.
2. გაბისონია თ. ქართული ხალხური მრავალხმიანობის კომპოზიციური პრინციპები და ტიპები. კრებულში: ქართული სიმღერის პოლიფონიის პრობლემები, თბ., 1990. პასუხისმგ. რედ. რუსუდან წურწუმია.
3. გარაყანიძე ე. ზოგიერთი ქართული მუსიკალური დიალექტის დადგენისთვის. წიგნში: ედიშერ გარაყანიძე: რჩეული წერილები, თბ., 2007, საქართველოს მუსიკალური საზოგადოება (პირველად დაიბეჭდა ჟურნალში "საბჭოთა ხელოვნება", 1987, №6)
4. გოგოტიშვილი ვ. Gogotishvili, Vladimer. On Authentic and Plagal Types of Monotonic (Non-Octave) Scales in Georgian Traditional Vocal Polyphony. წიგნში: Echoes From Georgia: Seventeen Arguments on Georgian Polyphony. New York: Nova Science, 2010. რედაქტორები რუსუდან წურწუმია და იოსებ ჟორდანია.
5. ერქომაიშვილი ა. შავი შაშვი ჩიოდა. თბ., 1988.
6. ზემცოვსკი ი. Zemtsovsky, Izaly. The Georgian Model: Towards the Ethnogeomusical Approach to the World of Oral Polyphony. წიგნში: Echoes From Georgia: Seventeen Arguments on Georgian Polyphony. New York: Nova Science. 2010. რედაქტორები რუსუდან წურწუმია და იოსებ ჟორდანია.
7. ჟორდანია ი. ქართული ტრადიციული მრავალხმიანობა მრავალხმიან კულტურათა საერთაშორისო კონტექსტში (მრავალხმიანობის გენეზისის საკითხისათვის). თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989. (რუსულ ენაზე).
8. ჟორდანია მ. მოძახილი-მაღალი ბანის საკითხისათვის. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თანამშრომელთა შრომების კრებული, თბ., 1972, პ/მ რედაქტორი ალექსანდრე შავერზაშვილი.
9. ჩხიკვაძე გ. ქართული მრავალხმიანობის ძირითადი ტიპები. მე-7 ანთროპოლოგიური და ეთნოლოგიური კონგრესის მასალები. 1964 წლის აგვისტო. მოსკოვი.
10. შუღლიაშვილი დ. ქართული გალობის შტოთა ერთობისათვის. თბილისის სახ. კონსერვატორიის სამეცნიერო შრომათა კრებული "ძველი ქართული პროფესიული მუსიკა: ისტორიისა და თეორიის საკითხები", თბ., 1991, რედ. რუსუდან წურწუმია.

11. ციციშვილი ნ. Tsitsishvili, Nino. A Historical Examination of the Links Between Georgian Polyphony and Central Asian-Transcaucasian Monophony. წიგნში: Echoes From Georgia: Seventeen Arguments on Georgian Polyphony. New York: Nova Science. 2010. რედაქტორები რუსუდან წურწუმია და იოსებ ჟორდანია.
12. ჭავჭავაძე ზ. მე-12 საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფია. დისერტაცია. თბ., 1986. საქართველოს მეცნერებათა აკადემია.

JOSEPH JORDANIA

Georgians and Georgian Music in Eemigration

Summary

The article by the Georgian-Australian ethnomusicologist Joseph Jordania (from the University of Melbourne) discusses musical traditions of Georgian emigrants. It also presents general picture of proliferation of Georgian traditional music outside of Georgia. It is suggested that in order to study this topic, we should take into consideration the actual social origin of the migrating population. It is proposed that the spread of Georgian traditional (village) polyphony was not connected to Georgian emigrant populations as they mostly represented middle class urban population and took with them the urban traditions of singing. The awareness and interest towards Georgian traditional music was initially raised by the recordings of Georgian traditional polyphony ("Rustavi" choir was paramount in this process). Musical life of 1921 Georgian emigration in Paris and recent emigration to Australia are analyzed in more detail. The author hopes that Georgian emigrants in different countries will help to collect a data in order to study this topic. The article consists of three parts. The first part is dedicated to the characteristics of different layers of Georgian music (folk, church-songs, urban songs). The second part is dedicated to the history of proliferation of Georgian music and Georgian populations outside of Georgia. The third part discusses different aspects of musical life of Georgian emigrants in Australia.

გიორგი კერესელიძე

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914–1918 წწ.)

ახლადაღმოჩენილი მოგონებები საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შესახებ

ვუძღვნი დიდი ომის ქართველ ლეგიონერთა ნათელ ხსოვნას

2009 წლის ზაფხულის ივნისის დასაწყისში, როდესაც პარიზელთა უმეტესობა დასასვენებლად ქალაქგარეთ მიემგზავრება, გადავწყვიტე მეც მიმებაძა მათი მაგალითისთვის და ერთი კვირით მაინც დამესვენა საფრანგეთის ხმელთაშუა რივიერის ზღაპრულ სანაპიროზე. მითუმეტეს, რომ უკვე ორი წლის განმავლობაში პარიზიდან არსად გავსულვარ და საკმაოდ გადავიღალე კიდეც (აბა, რა დამასვენებდა 2008 წლის აგვისტოში, როცა რუს ოკუპანტთა ბომბები ანადგურებდნენ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს?!)

ამასთან ერთად, გადავწყვიტე დრო ტყუილუბრალოდ არ დამეკარგა, მესარგებლა ადგილის სიახლოვით და რამდენიმე საათით მაინც ვწვეოდი ჩემი კარგი ნაცნობის, ქ-ნ. ნინო ბადუალ-კერესელიძის ოჯახს, მარსელთან ახლოს მდებარე პატარა ქალაქ ექს-ან-პროვანსში.

ერთ-ერთ წინა პუბლიკაციაში ჩვენ უკვე ვაცნობეთ ქართველ მკითხველს, რომ ქ-ნი ნინო მე-20 საუკუნის ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ფუძემდებლის, გიორგი კერესელიძის (1885-1960) შვილიშვილია, რომელიც, ისევე როგორც მისი ძმა ლეო კერესელიძე, სათავეში ედგნენ პირველი მსოფლიო ომის წლებში გერმანიის ეგიდით არსებულ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს (1914–1918). 2006 წელს ქ-ნ ნინოსთან ჩემი სტუმრობისას, რომლის დროსაც მასპინძლებმა ყოველმხრივი საშუალება მომცეს შემესწავლა მათ ოჯახში დაცული გიორგი კერესელიძის უმდიდრესი არქივი, ყურადღება მივაქციე გ. კერესელიძის ხელით დაწერილ რამდენიმე რვეულს. რვეულები, ისევე როგორც აქა-იქ მიმობნეული ცალკე ფურცლები, შეიცავდნენ გ. კერესელიძის მოგონებებს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შესახებ,

რომლის ნაწილიც ჩვენს მიერ უკვე გამოქვეყნებულ იქნა „თანამემამულე"-ში[1]. რადგან იმ დროს აღმოჩენილ რვეულებში აღწერილი ამბები და მოვლენები ქრონოლოგიურად არ სცილდებოდნენ 1915 წელს, გადავწყვიტე გამომექვეყნებინა ჩვემს ხელთ არსებული ტექსტის ის ნაწილი, რომელიც, ძირითადად, ეხებოდა „ქართველ სეპარატისტთა კომიტეტის" საქმიანობას, რომლისგანაც, 1914 წელს, იშვა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი.

ამავე დროს, არ ვკარგავდი იმედს, რომ როდესმე შევძლებდი გ. კერესელიძის მოგონებების ტექსტის დანარჩენი ნაწილის მოძიებასაც. მითუმეტეს, რომ არქივში მიმობნეული ზოგი ფურცელი ქრონოლოგიურად აშკარად სცილდებოდა 1915 წელს.

სწორედ ამ იმედით ვესტუმრე 2009 წლის ზაფხულს ქ-ნ ნინოს ოჯახს, რომელმაც მისთვის ჩვეული ქართული მასპინძლობით მიმიღო და საშუალება მომცა კიდევ ერთხელ გადამეთვალიერებინა მასთან დაცული ისტორიული დოკუმენტები. ჩემს, როგორც ისტორიკოსის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა არქივის გულდასმით გადათვალიერებისას შევძელი აღმომეჩინა გ. კერესელიძის მოგონებების ახალი, მანამდე ჩემთვის უცნობი რვეული, რომელიც შეიცავდა ამბებს ქრონოლოგიურად მიყვანილს 1917 წლამდე. ამავე დროს, იქვე მივაგენი ფრანგულ ენაზე საბეჭდ მანქანაზე აკრეფილ გ. კერესელიძის ავტობიოგრაფიული ხასიათის ვრცელ ტექსტს, რომელიც ქრონოლოგიური თვალსაზრისით აგრძელებდა ქართულ ენაზე შემონახულ მოგონებებს გასული საუკუნის 50-იან წლებამდე. ამრიგად, ახლადმოძიებულ ტექსტთა კრიტიკული შედარება საშუალებას მაძლევდა მათი რედაქციული დამუშავებისა და შესაბამისი ნაწილის თარგმნის საფუძველზე, მეტ-ნაკლებად კოერანტურად და სრულად მომეწოდებინა ქართველი მკითხველისათვის მე-20 საუკუნის საქართველოს ისტორიის მემუარული ლიტერატურის ეს მნიშვნელოვანი წყარო.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია მოგონებებში აღწერილი ის მოვლენები, რომლებშიც პირად მონაწილეობას იღებდა თავად გ. კერესელიძე. კერძოდ, 1914 წელს ოსმალეთის ტერიტორიაზე გერმანული არმიის ეგიდით ქართული ლეგიონის დაარსებისა და რუს ოკუპანტთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველ ლეგიონერთა მონაწილეობის ამბები. როგორც შემდგომში საგანგებოდ აღნიშნავდა ამის შესახებ ქართული ლეგიონის მეთაური ლეო კერესელიძე, მისმა შენაერთმა „პირველათ დაამარცხა რუსები მურღულსა და აჭარაში, [...]...პირველათ საქართველოს დამოუკიდებლობის სახელით დაღვარა მტრის სისხლი"[2]. ამასთან ერთად, ხსენებული მოვლენები მხოლოდ გაკვრით არის აღწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ისტორიისადმი მიძღვნილ კალისტრატე სალიას წერილში, რომელიც, თავისმხრივ, ემყარება ხსენებული კომიტეტის სხვა თვალსაჩინო წევრის, მიხეილ წერეთლის მოგონებებს[3]. თუმცა, ამის მიზეზის ასახსნელად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად მ. წერეთელი, რომელსაც დამოუკიდებლობის კომიტეტში ძირითადად დიპლომატიურ და სადაზვერვო საქმიანობის წარმართვა ევალებოდა, პირადად არ მონაწილეობდა სამხედრო მოქმედებებში ოსმალეთ-რუსეთის ფრონტზე.

მოგონებები დაწერილია გ. კერესელიძის მიერ გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ცნობილი ქართველი ემიგრანტი ისტორიკოსის, ალექსანდრე მანველიშვილის თხოვნით, რომელიც, როგორც ჩანს, აპირებდა მათ გამოქვეყნებას ჟურნალ „ერის დიდება"-ში. ხსენებული ჟურნალი, მისი რედაქციით, იმ დროს იბეჭდებოდა პარიზში. სამწუხაროდ, სიცოცხლის ბოლოს მძიმე სენით შეპყრობილმა გ. კერესელიძემ ვერ მოასწრო მოგონებათა ფორმალური დასრულება. დარჩა მხოლოდ მემუარების შავ ნაწერთა რამოდენიმე ვერსია, რომელთა კრიტიკულ შედარებასაც ემყარება წინამდებარე პუბლიკაცია. შეძლებისდაგვარად, ჩვენ შევეცადეთ შეგვენარჩუნებინა ავტორის ქართული ტექსტის თხრობის სტილი. თუმცა, ამავე დროს, ობიექტურ მიზეზთა გამო იძულებულნი გავხდით საკუთარ თავზე აგვეღო ალაგ-ალაგ ტექსტის გამართვა,

---

1 გ. მამულია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სათავეებთან (1914-1918). თანამემამულე, უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ცენტრალური პერიოდული გამოცემა, თბილისი, 2007-2008, N°N1 (27), გვ. 26-30.

2 გ. მამულია, უცნობი ფაქტები საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან. თანამემამულე, თბილისი, 2009, N° 1 (32), გვ. 23.

3 კ. სალია, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს (მასალა ისტორიისათვის). ბედი ქართლისა, ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო კრებული, პარიზი, 1962, N° 39-40, გვ. 18.

მისი საერთო რედაქციული დამუშავება და ნაწილობრივი თარგმნა. ტექსტს თან ვურთავთ ისტორიული ხასიათის კომენტარებს.

ტექსტის კითხვისას, თანამედროვე ქართველი მკითხველის თვალწინ კიდევ ერთხელ გაიელვებენ ჩვენ წინაპართა უკვდავი სახეები, რომლებმაც, ისევე როგორც ჩვენი დროის ქართველმა მეომრებმა, იარაღი აღმართეს რუსული იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ერის თაობათა ცვლას, როგორც წესი, თან სდევს თაობათა მემკვიდრეობაც. ამავე ფენომენთან პირდაპირ არის დაკავშირებული ერის გენეტიკური ხსოვნაც...

გიორგი მამულია

ბატონმა ალექსანდრე მანველიშვილმა მთხოვა მისი ჟურნალისათვის 1914 წელს, ქალაქ ჟენევაში დაარსებული საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ამბები აღმეწერა. სიამოვნებით ვუსრულებ სურვილს. მით უფრო, რომ ამ კომიტეტმა ბევრად უფრო დიდი ღვაწლი დასდო ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეს, ვიდრე ეს ქართველთა ფართო წრეებსა ჰგონიათ და იციან.

კომიტეტს მდიდარი და რთული ისტორია აქვს. ჟურნალის ფურცლები ვერ დაიტევენ. იძულებული ვარ დიდი შემოკლებით აღვწერო.

საერთოდ კი განზრახული მაქვს, თუ უფალმა ამისათვის საჭირო დრო და უნარი მომმადლა, ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების თავგადასავალი დავწერო მომავალი თაობებისათვის. მთლიანად მათი გამოქვეყნება ნაადრევია. ცალკე ეპიზოდებს კი მკითხველს შემდეგშიც მივაწოდებ.

ყოველი მოგონებანი, ნაწილობრივ მაინც, ავტორის ბიოგრაფიაა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი აღწერს მოვლენებს, რომელთა მომქმედი პირი თვითონაც იყო. ჩემი მოგონებაც ამ ხასიათისა იქნება.

საქართველოდან დაწერილი არა წამომიღია რა. ჩემი დღიურები, ჩემი მრავალრიცხოვანი მოგზაურობების დროს ჯიბის წიგნაკებში ჩაწერილი შთაბეჭდილებანი, შენიშვნები, ამონაწერები და სხვა დამხმარე მასალა 52 წლის მანძილზე ერთი უცხო ქვეყნიდან მეორეში ხეტიალის დროს დამეკარგნენ.

ოქმები, მიწერ-მოწერა, ხელშეკრულებანი და სხვა დოკუმენტები ქალაქ ჟენევაში ჩვენს მიერ დაარსებული „ქართველ სეპარატისტთა პარტიის უცხოეთში მომქმედი კომიტეტისა" და 1914 წელს მისი წიაღიდან წარმოშობილ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა, 1918 წელს ჩემ ბიბლიოთეკასთან და სხვა საგნებთან ერთად საქართველოში გავგზავნე იმ გემით, რომლითაც ჩვენი მრავალრიცხოვანი ტყვეები და ქართული ლეგიონი სამშობლოს დავუბრუნე. რა ბედი ეწვია მთელ ამ მდიდარ მასალას, არ ვიცი.[4]

ხელთა მაქვს, ისიც შემთხვევით, მხოლოდ პირველი 50 ნომერი „ქართული გაზეთისა", რომელსაც შემდეგ შევეხები, ერთი მოკლე ბარათი გენერალ ლუდენდორფისა, რომლითაც შეხვედრის დღეს და ადგილს მინიშნავს, ორიოდე წერილი გენერალ ფრიდრიხ კრეს ფონ კრესენშტაინისა, ასლები ჩემი ამ გენერლების მიმართ გაგზავნილი ორი დეპეშისა და რამდენიმე ჩვენი კომიტეტის მიერ უცხოენებზე გამოცემული წიგნაკი, მიხეილ წერეთლის ავტორობით. ორი ქართული ბროშურა პეტრე სურგულაძისა და სოლომონ ვადაჭკორიასი.

---

4 ამ მასალის ერთი ნაწილი „ქართული გაზეთის" არქივი და ზოგი სხვა დოკუმენტი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ფონდში ინახება, ხოლო მეორე ნაწილი საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივშია დაცული (რედ.)

ამიტომ ეს მოგონებანი, უმთავრესად, ჩემს ცოდვილ მეხსიერებას დაემყარებიან. ამით განისაზღვრებიან ისტორიისა და ისტორიკოსისათვის მათი წონა და ღირებულობა.

* * *

ბევრი რამ უფრო გასაგები იქნება, თუ ჩემს მოგონებებს ცოტა უფრო ადრინდელი დროიდან დავიწყებ.

ჩვენმა დიდად პატივცემულმა მოღვაწემ, ბატონ გრიგოლ დიასამიძემ, ბატონ კობახიძის „კრებულის" პირველ ნომერში აგვიწერა წარსული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის ქართული საზოგადოება გორში[5]. სამწუხაროდ მოკლედ. სასურველია უფრო ფართოდ შეეხოს როგორც ეპოქას, ისე მომქმედ პიროვნებებს. ვიცი, რომ ბატონ გრიგოლს იმ დროის შესახებ საბუთებიც და მოგონებანიც ბევრად უფრო მდიდარი აქვს, ვიდრე მე და ბევრ სხვას. მაშინდელ გორს და იქ თავმოყრილ ქართველ ინტელექტუალურ ძალებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და აქვს დღესაც ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრების განვითარებაში.

მეც გორით უნდა დავიწყო ეს მოთხრობა, რადგან იქა ვარ დაბადებული და იმავე ეპოქაში.

მამაჩემი, მათე კერესელიძე, დასახლდა გორში ილიასი და ანტონ ფურცელაძის თხოვნით, დაახლოვებით 1873 თუ 1874 წელს. მალე დაქორწინდა. შეირთო ყანჩელის ასული მარიამი, დედაჩემი, სოფლის აზნაურის ოჯახისა, სადაც ქართული ტრადიციები თითქმის უცვლელად იყვნენ დაცულნი: – რწმენა, რომ რუსი, ერთი საუკუნის ბატონობის შემდეგ, საქართველოდან უნდა წავიდეს. სამი განუყრელი ძმანი: ივანე, – პაპაჩემი, რომელიც ესოდენ ლამაზი ყოფილა, რომ კაკოს უწოდებდნენ, ბიძინა და დიმიტრი მათი ცილშვილით და შვილიშვილებით შეადგენდნენ ამ მრავალრიცხოვან ოჯახს. დედაჩემი, მისი და დარიკო, ნესტორ მაღალაშვილის დედა და ძმა მათი სოლომონი (ჩიტო) – ადრე დაობლდნენ. დაობლებულები ბიძებმა და ბიცოლებმა ისე აღზარდეს, როგორც საკუთარი შვილები. თითქმის ყველა ზაფხულს, ჩვენ დედაჩემის ოჯახში ვატარებდით. ორი უმთავრესი ბურჯი, ბიძინა და დიმიტრი, მართლაც ძმურად უვლიდნენ ოჯახს. საკუთარი მამულით მდიდრები არ იყვნენ, მაგრამ მიშო ბაგრატიონის, პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის ძმის, უფრო სწორედ კი მისი მეუღლის, სუმბათაშვილის ასულის, მამულები იჯარით ჰქონდათ აღებული. მათი მოვლა დიდ შრომას მოითხოვდა.

ბიძინა შინაგან საქმეებს უვლიდა, დიმიტრი – საგარეოს. არ მახსოვს, მათ შორის რაიმე უსიამოვნება ან გაუგებრობა მომხდარიყოს. მხოლოდ ჩვენი ოჯახი და ნაწილობრივ რევაზ ყანჩელისა შედარებით შეძლებულნი იყვნენ. ე.ი. ხშირსა და მრავალრიცხოვან სტუმრებს ხელგაშლით დახვდებოდნენ, თუნდაც ერთ კვირაზე მეტს დარჩენილიყვნენ. გორის მაზრაში იშვიათი იყო ისეთი თავადი თუ აზნაური, რომელიც ჩვენი ოჯახისოდენა ძნას დასდგამდა. ჩვენი დიდი კალო, ხარის ოთხი და ცხენის ოთხი კევრი არა ჰყოფნიდა გალეწვას. ამიტომ, როდესაც ერთ-ერთი გლეხის კალო თავისუფლდებოდა, იქაც ვალეწვინებდით ჩვენი საქონლით ძნასა. ყოველთვის ორ გუთნეულზე მეტი ხარ-კამეჩი (ე.ი. 36 სული), თხუთმეტამდე სამუშაო და ოთხი თუ ხუთი საუნაგირო ცხენი, ბევრი ცხვარი, ძროხა და თხა. ხოლო, მიუხედავად ყველა ამ დოვლათისა, ნაღდი ფული ცოტა ტრიალებდა ოჯახში. მიზეზი ბევრია და ცნობილი. აი რამდენიმე: – ხილს არ გაჰყიდნენ, – სომხები ხომ

5 იგულისხმება გ. დიასამიძის წერილი „ჩემი მოგონება". იხ.: კრებული, ქართული ლიტერატურისა, ისტორიისა და ხელოვნების ყოველწლიური ორგანო. რედაქტორი და გამომცემელი ექიმი გ. კობახიძე,ჩნიუ-იორკი, 1957, წიგნი I, გვ. 36-51.

არა ვართო და აუარებელი ხილი იკარგებოდა. მიზეზი ამისა მარტო ვაჭრობის უკადრისობა არ იყო. ხორბლეულობას ჰყიდნენ. ღვინოსაც, თუ მოსავალი კარგი იყო. ნამდვილი მიზეზი კი შემდეგი უნდა ყოფილიყო. ჩვენი სოფლიდან რკინის გზამდე, ე.ი. გორამდე დაახლოებით 18 კილომეტრია. ჩვენი საძნე ურემიც კი, თუ არ ვცდები, 40 ფუტზე, ე.ი. 640 კილოგრამზე მეტს ვერ ატარებდა. ესე დატვირთული ურემი მოითხოვდა ყვარს, – ანუ ორ უღელი ხარ-კამეჩს და ერთ მეურმეს მაინც. რიჟრაზზე გასული ურმები, საღამომდე უკან ვერ დაბრუნდებოდნენ და ისიც, თუ ცუდი გზებისა გამო, ურემს გზაში რაიმე არ გაუტყდებოდა. გაზაფხულზე ხომ საშიშიც იყო წყალდიდობის დროს. ხილი, ქართლის ზაფხულის პაპანაქება სიცხის დროს, ნაწილობრივ მაინც დალპებოდა. საღი ხილის ფასიც კი იმდენად დაბალი იყო, რომ კილოგრამზედ ერთი კაპიკის მოგებაც ძნელი იყო. ჩემ დროს, თბილისში მშვენიერი განჯის ყურძენი 6-7 კაპიკად იყიდებოდა და გორში ჩვენებული პულემური ამაზე კიდევ იაფი იყო. ამიტომ, მეხილეობა მხოლოდ გორთან სულ ახლოს თუ იკიდებდა ფეხს. 10 კილომეტრის იქით ხელსაყრელი აღარ იყო. ხორბლეულობაც დიდ მოგებას არა სტოვებდა, მაგრამ სიცხე ვერ წაახდენდა და არც დროსი ეშინოდა.

ჩვენი სოფელი, ახრისი, მეჯვრისხევთან ახლოს, ღარიბი სოფელი იყო. შეძლებულ გლეხობას, რომელსაც ორ უღელ ხარ-კამეჩზე მეტი ჰყოლოდა, იქ ვერა ნახავდით. ზოგ აზნაურისშვილს ესეც არ გააჩნდა. აზნაურთა და გლეხთა შორის კეთილი განწყობილება ღრმა იყო.

ხუთი წლისა ვიყავი, როდესაც გორიდან თბილისს გადავსახლდით. მაინც ბევრი მოგონებები მაქვს და ბუნებრივია პოეზიით მდიდარი. ვცხოვრობდით ერთ „ვილაში“ დიდი ეზოთი და ბაღით, იქ სადაც მეჯუდას ერთი ფშანი უერთდება, მეჯუდა ლიახვსა და ლიახვი მტკვარს. ამ ფშანის ნაპირებზე თითქმის ყოველდღე ვთამაშობდით სოფრონ მგალობლიშვილის ჩვენი ხნის ორი ვაჟი ლეო და გოგი და ჩემი ორი წლით უფროსი ძმა ლეო და მე. ე.ი. ისინიც იმავე სახელებს ატარებდნენ, როგორც ჩვენ. ხშირად ჩვენს თამაშს უერთდებოდნენ ნიკო ლომაურის შვილები. ხშირი სტუმარნი იყვნენ ჩემი ნათლიის, ექიმ ქაიხოსრო ფურცელაძის ორი ასული: – თამარი და ელენე და სხვანი. აღარ მახსოვს, მგალობლიშვილის უმცროსი ვაჟი და მე რად მოგვნათლეს გიორგის სახელწოდებით, მაგრამ ჩემს ძმას და ლეო მგალობლიშვილს კი ლეონ გამბეტას პატივსაცემად ეწოდათ ლეო. ჩემი ძმის ნათლულები იყვნენ ანტონ ფურცელაძე და შერვაშიძის ასული, შემდეგ ყიფიანის მეუღლე. მაშინდელ ქართულ საზოგადოებაში დიდის სახელი ჰქონდათ ჯუზეპე გარიბალდის და ლეონ გამბეტას – ამ ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს. მამაჩემის სამუშაო ოთახის კედელზე, რაც მე ჩემი თავი მახსოვს, ყოველთვის ეკიდა გარიბალდის დიდი სურათი, თავის ცნობილ წითელ პერანგში, წელზე შემორტყმული მახვილით. ვსარგებლობ შემთხვევით აქვე ავღნიშნო: ჩვენში ილიას „მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“ სხვა და სხვა მოვლენას მიაწერდნენ. ან, პარიზის კომუნას, ან გლეხთა განთავისუფლებას, ანდა გარიბალდის გამარჯვებულ ბრძოლას იტალიის განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის. მამაჩემისაგან და ანტონ ფურცელაძისაგანაც გამეგონა, რომ ილიამ ეს ლექსი გარიბალდის ბრძოლას უძღვნა. 1918 წელს ნიკო ნიკოლაძეს ვკითხე, თუ რა იცოდა ამ ლექსის შესახებ. ნიკომ შემდეგი მიამბო: „ერთხელ ილიკოს (ასე ეძახდა ნიკო ილიას) ვკითხე: ახალი რა დასწერე? მიპასუხა: ახალი არაფერი მაქვს. ხოლო ერთი ლექსი დავწერე, რომელიც ცენზურამ არ მიიღო, აკრძალა მისი გამოქვეყნება. ვთხოვე წაეკითხა. წამიკითხა და მითხრა, გარიბალდი მყავს მხედველობაში და იტალიის განთავისუფლებას ვუძღვნიო. მე გამოვართვი ეს ლექსი, უმალ ვინახულე ცენზორი და ვუთხარი; როგორ შეგიძლიათ ეს ლექსი დაჰგმოთ?

რუსეთში იმპერატორის ბრძანებით გლეხები განთავისუფლდნენ, ჭავჭავაძე ესალმება იმპერატორის ამ დიად აქტს და ნატრულობს, რომ მის სამშობლოსაც ეწვიოს ეს ბედნიერება! ამაზე ცენზორმა ვერა მითხრა რა – ლექსი დაიბეჭდა.

თავისუფლება იყო იდეალი და სადაც კი მისთვის ბრძოლა იჩენდა თავს, ქართველი პატრიოტები სასოებით აღივსებოდნენ. აქ ცოტა წინ წავუსწრებ ქრონოლოგიურ მსვლელობას და მოვიგონებ: დრეიფუსის საქმემაც ააღელვა ქართველობა. არა მატო ქალაქებში, არამედ დაბებსა და სოფლებშიც კი. მაგალითად, ცხინვალის ხიდი „დრეიფუსისტების“ ტრიბუნად შეიქნა. უსამართლობა აღელვებდა ჩვენს საზოგადოებას. როდესაც ინგლისმა ბურების წინააღმდეგ გაილაშქრა, არაერთი ახალგაზრდა ქართველი ოცნებობდა ბურთა ლეგიონებში ჩაწერილიყო.

დავიწყებ იმ დროიდან, როდესაც მესამე დასი გარდაიქმნა სოციალ-დემოკრატიულ პარტიად და ვალერიან გუნიამ „ცნობის ფურცელი“ გადასცა ქართველ პატრიოტთა წრეს: – გიორგი ლასხიშვილს, სამსონ ფირცხალავას, არჩილ ჯორჯაძეს, გიორგი დეკანოზიშვილს და სხვებს. ქართული საზოგადოება, თანდათანობით მეტ აქტივობას, მეტ მღელვარებას იჩენდა. ეს, რასაკვირველია, ახალგაზრდობას უფრო ამოქმედებდა, იმედს უღვიძებდა, ბრძოლის უნარს და სურვილს უათკეცებდა. ახალგაზრდობა, მსგავსად უფროსი თაობისა, ორ ბანაკად ირაზმებოდა: – სოციალ-დემოკრატიის მიმდევართა და „ცნობის ფურცელის“ მომხრეთა. ამ უკანასკნელთა რიცხვს ვეკუთვნოდი მეც. შევქმენით სხვადასვა წრეები: – ლიტერატურული, პოლიტიკური, მებრძოლი (ვგულისხმობდით იარაღით). შალვა ამირეჯიბმა და მე დავაარსეთ „რაინდთა წრე“-ც კი, რომლიც წევრნი ფიცსა სდებდნენ, რომ სასტიკად დასჯიდნენ, თუ საჭიროა, იარაღითაც კი, მას ვინც უდიერად შეეხებოდა საქართველოს, მანდილოსანს და ჩვენს წრეს. ეს წრე მალე წაშალეს მოვლენებმა, რათგან მათი სწრაფი განვითარების ტემპი მეტ სერიოზულობას მოითხოვდა.

დავუბრუნდეთ ჩვენს ახალგაზრდობას, „ცნობის ფურცლის“ ირგვლივ რომ ირაზმებოდა. ეს ახალგაზრდობა სხადასხვა პოლიტიკური იდეალებისა იყო. ჩემი ძმა, შალვა ამირეჯიბი, ვახტანგ ქართველიშვილი და მე მომხრე ვიყავით საქართველოს მეფობის აღდგენისა, ზოგი რესპუბლიკისა, ზოგი ანარქისტი. უმთავრესი კი საერთო გვქონდა: საქართველოს დამოუკიდებლობა და რუსთა განდევნა ჩვენი ქვეყნიდან.

დიდის იმედით მოველოდით უცხოეთში „ცნობის ფურცლის“ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების კონფერენციის დადგენილებებს. ვიცოდით, რომ „ცნობის ფურცლის“ გარშემო თავმოყრილი პატრიოტები რწმენით და მისწრაფებებით სეპარატისტები იყვნენ. ან როგორც წარმოვიდგენდით, რომ გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, „კალამისა“ და „სიტყვის“ ფსევდონიმით რომ ჩვენს ეროვნულ გრძნობებს აღვივებდა, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, შიო ჩიტაძე, გიორგი დეკანოზიშვილი და სხვანი საქართველოს რუსეთიდან გამოყოფას არ მოითხოვდნენ! და, აი, 1904 წელს შესდგა ქალაქ ჟენევაში კონფერენცია[6]. მივიღეთ ოქმები. ავღელდით და მათ ავტორებს ღალატი შევწამეთ. თავ-გზა აგვერია და პროტესტი განვუცხადეთ „ცნობის ფურცელის“ მეთაურებს. სამსონ ფირცხალავა და ორიოდე სხვა გვარწმუნებდნენ: – სახელწოდება „საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტია“, ავტონომიისა და ფედერალიზმის აღნიშვნა ჩვენს პროგრამაში, ორი მოსაზრებით არის მიღებული. 1.

6 იგულისხმება ქ. ჟენევაში 1904 წლის 1-7 აპრილს ა. ჯორჯაძის და გ. დეკანოზიშვილის ინიციატივით შემდგარი პირველი ქართული ინტერპარტიული კონფერენცია, სადაც ოფიციალურად გამოცხადდა საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური რევოლუციური პარტიის შექმნა. დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: დ. შველიძე, გ. გაფრინდაშვილი, გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება. თბილისი, „უნივერსალი“, 2010, გვ. 52-73.

სოციალისტობა დღეს აუცილებელია, რადგან აქეთკენ მიდის განათლებული კაცობრიობა. გარდა ამისა, ეს გვიღებს სოციალისტური ინტერნაციონალის კარს. ინტერნაციონალი კი ძლიერი ორგანიზაციაა და ჩვენთვის მის დახმარებას დიდი ინტერესი აქვს. 2. ავტონომია ჩვენი მოთხოვნილებების მინიმუმია. ასე ვთქვათ, აუცილებელი საფეხური დამოუკიდებლობისკენ მსვლელობაში, რაც ჩვენ საბოლოო იდეალად რჩება.

* * *

1906 წლის აპრილს, დუშეთის საქმის გამო,[7] ჩემი უფროსი ძმა ლეო კერესელიძე, ჩემი დეიდაშვილი ნესტორ მაღალაშვილი და მე სამშობლოდან შვეიცარიაში გავიხიზნეთ. თბილისიდან ვარშავაში მივდიოდი. როსტოვის სადგურზედ ვხედავ შალვა ამირეჯიბს. ვეკითხები: – რა გინდა აქა მეთქი? მიპასუხა: – შენ გელოდი. გუშინ ჩამოვედი აქ. პარიზში მივდივარ და ველოდი, რომ შენც აქეთკენ გამოივლიო.

ვარშავაში, „ბრისტოლის“ ოტელში, ჩავრჩით, ვგონებ, ორი დღე. არც ერთ მოსამსახურეს და არც ერთ დირექციის წევრს რუსული არ ესმოდა. ვერა გავაგებინეთ რა და ვერც მათი გავიგეთ. ხოლო როცა გაიგეს, რომ ქართველები ვიყავით, უეცრად რუსულად ამეტყველდნენ. ეს იყო 1906 წელს, როცა რუსები პოლონეთში ბატონობდნენ. და აქვე უნდა ავღნიშნო: 1944 წელს ჩავედი ვარშავაში. ვცხოვრობდი იმავე სასტუმრო „ბრისტოლში“. პოლონეთში ეხლა გერმანელები ბატონობდნენ. ვატყობდი: ოტელის მოსამსახურეები სიამოვნებით არ მპასუხობდნენ გერმანულად, – ერჩივნათ რუსულად ლაპარაკი. ერთ მაღაზიაში შევედი „კულიჩისა“ და შოკოლადის საყიდლად. პატრონი მოხუცებული ქალი იყო. გერმანულად დაუწყე ლაპარაკი. არ ესიამოვნა. რუსულ ენაზე რომ მივმართე, ხალისით მიპასუხა.

პარიზში ლეო დაგვხვდა. ცოტა ხნის შემდეგ, ჩემი მეუღლე სამი თვის ჩვენი შვილი მათეთი ნესტორმა ჩამოიყვანა. პარიზში ხშირად ვხვდებოდით გიორგი დეკანოზიშვილს. ვუამბეთ დუშეთის საქმის ამბავი და ვაცნობეთ პირობა, რომლის ძალით მთელი თანხა მისთვის უნდა გადმოეგზავნათ, უცხოეთში ეროვნული ფონდის შესაქმნელად. გვიპასუხა: – არაფერი ცნობა მაქვსო.

ვიცოდით, რომ რუსეთის მთავრობა ლეოსა და ჩემს გაცემას მოითხოვდა. გადავწყვიტეთ, რომ შვეიცარია უფრო საიმედო იქნებოდა, რადგან საფრანგეთი მოკავშირე იყო რუსეთისა და ჩვენს გაცემაზე იქნებ უარი ვერ ეთქვა. ლეო, ნესტორი და მე ცოლშვილით გავემგზავრეთ ჟენევისკენ. შალვა გასაცილებლად სადგურამდის წამოგვყვა. სადგურზედ ვხედამთ ერთ ქართველს, ჩოხაში გამოწყობილს, ბარგის პატარა ხურჯინით. მივესალმეთ. გაუხარდა ქართველების ნახვა. ვკითხეთ ვინაობა. გურული ვარ, მივდივარ ამერიკაშიო. იქ ჩვენებურები ცხენოსნები ჯირითით ბევრ ფულს იგებენ და მეც მათთან მივდივარო. არც ერთი სიტყვა უცხო ენებისა არ იცოდა და საქართველოს გარაშე ეს მისი პირველი მოგზაურობა იყო. თავი კი ისე ეჭირა, თითქოს ეს მოგზაურობა მისთვის ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილიყო.

ჩავედით ჟენევაში და იქ დავსახლდით. ლეო ავადმყოფობდა. წავიდა ნესტორთან ერთად მთებში დასასვენებლად. იქ გაიცნო თავისი მომავალი მეუღლის ოჯახი. ორიოდე კვირის განმავლობაში ლეომ ისე მოხიბლა თავისი საცოლის მამა, კოლონელი[8] ლეკულტრი, რომ საქართველო და ქართველობა საოცნებო საგნად გაუხადა.

---

7 იგილისხმება ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მიერ, რომელთა შორის იმყოფებოდნენ ასევე ლეო და გიორგი კერესელიძეები, დუშეთის ხაზინის ექსპროპრიაცია. ხსენებული ოპერაციის შედეგად მეამბოხეებს ხელში ჩაუვარდათ 315 000 მანეთი. იხ.: გ. მამულია, გენერალი ლეო კერესელიძე. ის უანგაროდ ემსახურებოდა სამშობლოს. თანამემამულე, თბილისი, 2007, N° 3 (24), გვ. 14.

8 Colonel (ფრ) – პოლკოვნიკი.

მალე ცხოვრება საშინლად გაგვიჭირდა. იძულებული ვიყავი ჩემი მეუღლე თამარი, ოთხი თვის მათეთი, საქართველოში უკან გამესტუმრებინა რათა თავისი მამულების ნაწილი მაინც გაეყიდა და ჟენევაში დაბრუნებულიყო. ამ დროს ჟენევაში ჩემთან ჩამოვიდნენ ჩემი და ელენე (აკაკი წერეთლის ნათლული) და თამარ თაქთაქიშვილი. საწოლ ოთახში ისინი მოვაწყე და სასტუმრო-სასადილო ოთახში მეძინა. იმავე სახლში სცხოვრობდნენ ერთ ოთახში ლეო და ნესტორი. ერთ დღეს, დილით ადრე, პოლიცია გვესტუმრა და დაგვატყვევა. მე სულ 125 ფრანკი მქონდა. აქედან 100 ფრანკი თამარ თაქთაქიშვილს მივეცი. ვიცოდი, ისიც და ჩემი დაც უფულოდ იყვნენ. წაგვიყვანეს კომისარიატში და გამოგვიცხადეს: რუსეთის მთავრობამ თქვენი გაცემა მოსთხოვა შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობას და იძულებული ვართ დაგატყვევოთო. ჩაგვსვეს ჟენევის საპყრობილეში. თითო ცალ-ცალკე საკნებში. ჩემი საკანი კარგა მოზრდილი და სუფთა ოთახი იყო. საწოლი სუფთა ზეწრებით. ესეთივენი იყვნენ ლეოსი და ნესტორისა. სასეირნოდ ეზოში ცალ-ცალკე გავყავდით. ჩემმა მეუღლემ, თამარმა, გაიგო ჩვენი დატუსაღება, სულ მცირედ ფასებში გაჰყიდა მოზრდილი ნაწილი თავისი მამულებისა და ხუთი თვის მათეთი სწრაფ ჟენევაში დაბრუნდა. თამარს გაუჭირდებოდა იმ თანხით, რომელიც ჩამოიტანა, დამცველები აეყვანა და ყველა საჭირო ხარჯები გაეწია. მაგრამ კოლონელ ლეკულტრმა უმალ მიიღო ზომები. ჩააბარა ჩვენი დაცვის საქმე შვეიცარიის უდიდეს ადვოკატებს: ჟენევის „ბაროს“[9] ორ ადვოკატს: ადრიან ლაშენალს და ცეზარ ჰიუდრის და ნოვშატელის „ბაროსისა“: – სტრიტმატერს. ლაშენალი იყო ყოფილი პრეზიდენტი შვეიცარიის კონფედერაციისა და სტრიტმატერი ყოფილი პროკურორი ფედერაციულ სასამართლოსი. კვლავ უფრო დაწვრილებით ავწერ ამ ამბავს. ახლა კი აღვნიშნავ, რომ ჩვენმა საქმემე მიიღო ძალიან ფართო ხასიათი. დასავლეთის თითქმის მთელი პრესა ალაპარაკდა. წამოიჭრა საქართველოს ეროვნული უფლებების საკითხი. ჩვენმა დამცველებმა ინახულეს სხვა მცოდნე იურისტთა შორის, საერთაშორისო უფლების უდავო ავტრიტეტი ბელგიელი პროფესორი ნისი. თავის მოხსენებაში ნისმა აღნიშნა: საქართველოს დაპყრობა რუსეთის მიერ სრულიად უკანონოა, რადგან ტრაქტატები ცალმხვრივ და ძალმომრეობით იყვნენ დარღვეულნი რუსეთის მიერ. ერთ საღამოს მცველი შემოვიდა ჩემთან და მითხრა: დირექტორს სურს თქვენი ნახვა, – წამომყევითო. დირექტორი ფეხზე წამოდგომით მომეგება, ხელი ჩამომართვა, კონიაკით სავსე ჭიქა მომცა, თვითონაც აიღო და დიდის სიხარულით მომილოცა: – ლოზანიდან ფედერაციული სასამართლოს პირველმა „გრეფიემ“[10] ტელეფონით მაცნობა: – რუსეთს უარი უთხრა სასამართლომ. ხვალ მომივა საჭირო ქაღალდი და გაგანთავისუფლებთო. ესევე მოექცა დირექტორი ლეოსა და ნესტორს. დაღამდა. კიდევ გამიწვიეს. ვხედავ ადვოკატთა ოთახში ჰიუდრი და სტრიტმატერი. ვიდრე მივესალმებოდი, – შემოიყვანეს ლეოც და ნესტორიც. მოგვილოცეს: – ლოზანიდან მოვდივართ. დასრულდა საქმე გამარჯვებით. რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა საპყრობილეს დირექტორიც. დალიეს შამპანურით ჩვენი და საქართველოს სადღეგრძელო. დირექტორმა განაცხადა: ჯერ საჭირო ქარალდი არ მიმიღია, მაგრამ ჩემის პასუხისმგებლობით ბრძანება მივეცი, – ახლავე გაგანთავისუფლონო. ესეც მოხდა. პრესამაც არ იცოდა, რომ იმ ღამეს გაგვანთავისუფლებდნენ და აპირებდნენ მეორე დღეს ციხის კარებთან დაგვხვედროდნენ.

თამარის და ჩემი დის ელენეს მისამართი ვიცოდით. მივედით. სახლში არ დაგვხვდნენ, ხოლო მალე დაბრუნდნენ და რომ დაგვინახეს დიდად გაოცდნენ. არ გველოდნენ. არ იცოდნენ სასამართლოს გადაწყვეტილება. სასამართლოს ხარჯე-

9 Barreau (ფრ.) – ადვოკატურა.

10 Greffier (ფრ.) – სასამართლოს მდივანი.

ბის გასტუმრება თვით სასამართლომ იკისრა. ადვოკატთა მოგზაურობებისა და ზოგიერთი სხვა ხარჯები, – კოლონელ ლეკულტრმა გაისტუმრა. ჰონორარი კი ადვოკატებმა არ მოითხოვეს, თუმცა დიდი დრო და შრომა მოანდომეს.

ფედერაციული სასამართლოს მსაჯულებმა, რიცხვით თხუთმეტმა, რუსეთის მთავრობას, რომლის სათავეში იმ დროს დიდად ენერგიული სტოლოპინი იდგა, ჩვენს გაცემაზე ერთხმად უარი უთხრეს. გამოქვეყნდა დიდი ფორმატის 28-გვერდიანი წიგნაკი, იმ მოტივების აღნიშვნით, რომელთა ძალით რუსეთის მოთხოვნა უკუაგდეს. მისი სათაურია, ქართული თარგმანით: „დადგენილება შვეიცარიის ფედერაციული სასამართლოსი, გამოტანილი 1907 წლის 12 თებერვალს პლენარულ სხდომაზე, შესახებ რუსეთის საიმპერატორო ლეგაციის მოთხოვნისა გადაეცნენ მას ძმანი ლეო და გიორგი კერესელიძე, ნესტორ მაღალაშვილი.....ლოზანა, სტამბა ჟორჟ ბრიდელ და კომპ. 1907 წ."

ამ დოკუმენტს ოდესმე ან მთლიანად, ან მის უმთავრეს ნაწილს გამოვაქვეყნებ.

ეს იყო ერთად-ერთი შემთხვევა, როდესაც შვეიცარიამ რუსეთს უარი უთხრა მათ გაცემაზე, ვისაც იარაღიანი თავდასხმა ბრალდებოდათ. რუსეთსა და შვეიცარიას შორის დადებული ხელშეკრულების ძალით, უნდა გაეცათ ესეთი ბრალდებულნი ერთის პირობით: გაცემულნი ჩვეულებრივ და არაჩვეულებრივ სასამართლოს უნდა განესაჯა.

ჩვენმა პროცესმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა დასავლეთის პრესაში, ევროპასა თუ ამერიკაში. ეხებოდნენ საქართველოს ისტორიას, მის უფლებებს, რუსეთის მიერ „ტრაქტატების" ვერაგულ დარღვევას და სხვა. ყველა სცნობდა საქართველოს უფლებას იარაღით და ყველა სხვა საშუალებებით ებრძოლოს რუსეთს დამოუკიდებლობის აღსადგენად.

პირველი შეხედვით, ჩვენს პროცესს თითქოს პირდაპირი კავშირი არა აქვს დღევანდელ ჩემს თემასთან. მაგრამ ვინც საკითხს იცნობს, იცის რომ ამ პროცესმა, უცხოეთში საქართველოს საკითხს ცოტად თუ ბევრად ნიადაგი განუწმინდა. იმ დროს, დასავლეთის ქვეყნებში, საქართველოს არსებობაც კი იყო დავიწყებული. ჩვენმა პროცესმა პრესა აამეტყველა. საგანგებო დაწესებულება გვიგზავნიდა ჟურნალ-გაზეთებიდან ამოჭრილ იმ წერილებს, რომელნიც საქართველოს ან ჩვენ გვეხებოდნენ. ამ ამონაჭრებმა ორი მოზრდილი უჯრა გაავსეს. ესენიც დავკარგე.

პროცესის დამთავრების შემდეგ ჟენევის ფრანკ-მასონთა ლოჟამ ჟენევის უკეთეს დარბაზში „ვიქტორია ჰალში" ბანკეტი მოგვიწყო. საქართველო, მისი უფლებები, იყო მთავარი თემა ყველა სადღეგრძელოებისა. გვითხრეს, შვეიცარიას რუსეთისათვის უარი რომ არ ეთქვა, ჩვენ ვენის სადგურიდან მოგიტაცებდით და საფრანგეთში ჩაგიყვანდით. იქ ხელს ვერავინ გახლებდათ. ამ „შეთქმულებაში" თქვენი ციხის დირექტორიც იღებდა მონაწილეობასაო. ამისათვის საჭირო თანხა ჰქონიათ შეგროვილი და გვკითხრეს, რა ვუყოთ ამ ფულსო? ჩვენ ვურჩიეთ რუსეთში პოლიტიკურ პატიმართათვის მოეხმარათ.

ორიოდე თვის შემდეგ ფრანგთა დიდი ტრიბუნი, ჟან ჟორესი ჟან-ჟაკ რუსოს შესახებ „ვიქტორია ჰალის" დარბაზში მოხსენებას კითხულობდა. ჩვენი გაცნობა მოისურვა და გვითხრა: საფრანგეთში თქვენს გაცემაზე უპროცესოდ ეტყოდნენ უარს. ვერ ნახავდნენ ისეთ მოსამართლეს, რომელიც თქვენი დატყვევების ბრძანებას გასცემდა. საქართველოს საკითხმა ჟორესიც დააინტერესა, თუმცა საკითხს კარგად ვერ იცნობდა.

მალე ისევ ისეთ გაჭირვებაში ჩავვარდით, რომ რამდენჯერმე ბავშვებით ღამე ქუჩაში უნდა გაგვეტარებინა. ახლად უნდა გამესტუმრებინა თამარი ბავშვით, რათა

მამულის დანარჩენი ნაწილიც გაეყიდა. გზის ფული არა მქონდა. ჟენევაში სცხოვრობდა ერთი ძველი არისტოკრატი, მშვენიერი შესახედის მოხუცი ფავრი. მასესხა 200 თუ 300 (სწორედ აღარ მახსოვს) ოქროს ფრანკი. ამითი გავისტუმრე. ფავრმა ეს სესხი უკან აღარ მიიღო. დაბრუნდა თამარი. ცოტა თანხით. ჩავეწერე უნივერსიტეტში, ქიმიის უმაღლეს სკოლაში. მეყოლა მეორე ვაჟი ლეო. მალე კიდევ უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში თამარი მათეთი. პატარა ლეო კი ჩემთან დარჩა. მივაბარეთ ერთ შვეიცარიელ ქალს დროებით მოსავლელათ. ერთ დღეს ჩემთან მოვიდა ჩვენი ადვოკატი ჰიუდრი და მითხრა: გიშოვნე თვეში 100 ფრანკი ერთი წლის ვადით. პატარა თანხა ლეოსაც ერგებაო. არ ველოდი, რადგან არ მომითხოვია. განვაგრძე სწავლა. დაბრუნდა თამარი.

* * *

1909 წელს, ჟენევა კალვინის ხსოვნას და ჟენევის უნივერსიტეტის დაარსების 350 წლის თავს დღესასწაულობდა. დიდი მზადება იყო. ქართველ სტუდენტთა კორპორაცია „ივერიის" თავმჯდომარე ლეო კერესელიძემ დღესასწაულის მომწყობ საგანგებო კომისიას შემდეგი გეგმა წარუდგინა: ქართველები ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილნი და ეროვნული დროშით მივიღებთ მონაწილეობასო. ყველას მოეწონა. ჩემი ნახატებით შევაკერვინეთ ქულაჯები, ერთი გურული ტანისამოსი ლეო კერესელიძესათვის. ქ. ბერნიდან ჩამოგვიყვანეს კავალერიის ცხენები. შევაკერვინეთ და მოვაქარგვინეთ ქართული დროშა: ორ-ფეროვანი – შვინდისფერი და შავი ოქრომკელის არშიით და ფოჩებით.

დღესასწაული ერთ კვირაზე მეტი გრძელდებოდა. დღესასწაული კორტეჟით გაიხსნა. მიუხედავად წვიმისა, ქუჩები, სადაც კორტეჟს უნდა გაევლო და მოედანი „პლას ნოვ", სადაც რექტორ შოტას თავმჯდომარეობით უმთავრეს ცერემონიალს ჰქონდა ადგილი, ხალხით გაჭედილი იყვნენ. მთელი კაცობრიობის უნივერსიტეტების, სამეცნიერო დაწესებულებების, კალვინისტთა მრევლების წარმომადგენლების, და, რასაკვირველია, ჟურნალისტებმა, ფოტოგრაფებმა მოიყარეს თავი. კორტეჟის სათავეში ჩვენ, ქართველები ვიყავით, და რექტორს მხოლოდ ჩვენ ვაძლევდით სალამს ჩვენი დროშის ოდნავ დახრით. სადაც გავივლიდით – ხალხი აღფრთოვანებული ტაშის ცემით გვხვდებოდა და ათასგვარ ენაზე გაისმოდა: „გაუმარჯოს ქართველებს, საქართველოს!" მხოლოდ ერთი ჯგუფიდან გაისმა: „Наши казаки!". ნესტორ მაღალაშვილმა ერთი კარგად მოქნილი მათრახი გადაჰკრა და მისძახა: „Вот ваши казаки!". შემდეგ, სადაც კი გამოვჩნდებოდით, კონცერტი იქნებოდა, ბანკეტი, ბალი თუ კონფერენცია, იგივე ტაში და „გაუმარჯოს საქართველოს!". პრესა ალაპარაკდა, სინემა[11] ამუშავდა. მრავალთა შეგნებაში საქართველოს სახელმა ფეხი მოიკიდა. ნაწილობრივ ამითიც აიხსნება, რომ ჟენევაში ჩვენ მიერ მოწყობის წარმოდგენებს, ცოცხალ სურათებს, ცეკვებს, დიდძალი საზოგადოება ესწრებოდა ხოლმე.

* * *

ჟენევის ხშირად მრავალრიცხოვანი ქართველობა მარტო ემიგრანტებისგან არ შესდგებოდა. იყვნენ თავისუფლად ჩასული სტუდენტები, არასტუდენტებიც. იმ დროს, რუსეთიდან ლეგალურად გამოსულს, დანაშაულად არ ეთვლებოდა ემიგრანტებთან კეთილი განწყობილება და თანამშრომლობა. ჟენევის ქართველობა, პოლიტიკურად ორ ბანაკად ვიყოფოდით: სოციალ-დემოკრატები და ნაციონალისტები.

11 Cinema (ფრ.) – კინო.

პირველნი შედგებოდნენ „მენშევიკებისგან" და „ბოლშევიკებისგან". მენშევიკები, წინააღმდეგ სახელწოდებისა, უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ბოლშევიკები – უმცირესობას. ორივე ჯგუფს სოციალისტებისას ჰქონდათ თითოს თავისი დარაზმულობა, პარტიული დისციპლინა. ჩვენ, – „ნაციონალისტებს" არც ერთი გაგვაჩნდა და არც მეორე. ჩვენ შორის იყვნენ მონარქისტები, სოციალისტ-ფედერალისტები, დემოკრატ-რესპუბლიკელები, ანარქისტები და სხვანი. გვაერთიანებდა ერთი საერთო იდეალი-მიზანი: საქართველოს სრული დამოუკიდებლობა.

მიუხედავად პოლიტიკური სხვადასხვაობისა და ამ ნიადაგზე ხშირი და მკაცრი დავისა, ჩვენსა და სოციალ-დემოკრატებს შორის განწყობილება ძმური სუფევდა. უსიამოვნება, პოლიტიკურ თუ პირად ნიადაგზე, მენშევიკ-ბოლშევიკთა შორის უფრო ხშირი იყო, ვიდრე ჩვენსა და სოციალისტებს. მაგალითად, მე თითქმის ყოველთვის ერთხმად მირჩევდნენ კოლონიის თავმჯდომარედ. მახსოვს, რუსის სოციალ-დემოკრატების ერთი დიდი კრებულის დროს ჩხუბი ასტყდა ჩვენსა – ქართველ ნაციონალისტებსა და რუსებს შორის. გაჩაღდა კრივი. „მენშევიკმა" დავით (დათიკო) შარაშიძემ ჩააქრო ელექტრონის სინათლე, ამოგვიდგა გვერდით და ჩვენზე არა ნაკლები სისასტიკით ეძგერა თავის რუს პარტიულ „ამხანაგებს". გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

კოლონიის კრებებზე თუ კერძო საუბრისას, რუსულად მსჯელობა ხშირი იყო ქართველთა შორის. ჩვენ – „ნაციონალისტები" ქართული ენის გაბატონებისათვის თავს, მაინც და მაინც არ ვიმტვრევდით.

და, აი, ერთ მშვენიერ დღეს, აღარ მახსოვს 1910 თუ 1911 წელს, ჟენევაში გაჩნდა პეტრე სურგულაძე. მოხდა საკვირველება: რუსულად მსჯელობა ქართველთა შორის უმალ მოისპო და მოკლე ხანში, პეტრეს თაოსნობით ჩამოყალიბდა „ქართველ სეპარატისტთა პარტიის უცხოეთში მომქმედი კომიტეტი."

პეტრეს სახელი გამეგონა, პირადად არ ვიცნობდი. მხოლოდ ერთხელ ვნახე 1906 წლის დასაწყისში. პართენ გოთუას თავის გაზეთ: „Возрождение"-სათვის ცოტა ფული სჭირდებოდა. მის ბინაზე მივუტანე. პართენი და მე დარბაზში ვისხედით და ვსაუბრობდით. უეცრივ კარი გაიღო, შემოვიდა პეტრე და უკმეხად მიაძახა გოთუას: „რა ეშმაკად გინდათ რუსული გაზეთები! ქართული საქმე ქართულად აკეთეთ!". (იმ დროს პეტრე პართენის ბინაზე ემალებოდა რუსის ჟანდარმერიას). გოთუამ, თავისი ჩვეულებრივი, მომხიბლავი ღიმილით უპასუხა. მე კი პეტრეს სიტყვები გულში ღრმად ჩამრჩნენ.

ჟენევის „ქართველ სეპარატისტთა პარტიის უცხოეთში მომქმედი კომიტეტი" დიდი წრე იყო. ყველა „ნაციონალისტებმა" თავი აქ მოვიყარეთ. ავირჩიეთ ხელმძღვანელი ორგანო შემდეგ პირთაგან: თავმჯდომარე – პეტრე სურგულაძე, მდივანი – გიორგი კერესელიძე, წევრები: ლეო კერესელიძე, ნესტორ მაღალაშვილი და სამი სხვა, რომელთა სახელებს ვერ დავასახელებ, რადგან არ ვიცი რა ბედი ეწვიათ საქართველოში. ნესტორი და მისი ძმა, კონსტანტინე (კოსტა) მაღალაშვილები ბოლშევიკებმა სიკვდილს მისცეს.

საჭირო იყო ბეჭდვითი ორგანოს დაარსება. ამისათვის სახსარი არ მოგვეპოვებოდა, – ყველა დიდი გაჭირვებით ვცხოვრობდით. მივმართეთ ერთ კარგად შეძლებულ ქართველს ნ. ფ-ს თხოვნით 500 ფრანკი (დაახლოებით დღევანდელი 100 000) ესესხებინა. ცივი უარი მივიღეთ. პეტრემ გული არ გაიტეხა. სთქვა: ლოზანაში სცხოვრობს ერთი ხნიერი პოლონელი მანდილოსანი ტხორჟევსკა, საქართველო უყვარს, მას მივწერ საჭირო თანხა გვასესხოსო (ერთი ბაასის დროს, რეზო გაბაშვილმა მომაგონა, რომ ეს მანდილოსანი და მისი მეუღლე იყვნენ „ივან და მარია":

– მთარგმნელი ქართული ლექსებისა). მისწერა პეტრემ და რამდენიმე დღის შემდეგ მიიღო მისი ლოცვა-კურთხევა და 500 ფრანკი არა სესხად, არამედ შემოწირულობად. თბილისში შევუკვეთეთ სტამბის ქართული ასოები, საჭირო ასაწყობ[ი] მასალით. მოკლე ხანში მივიღეთ. ბინად ერთი სამაღაზიო დარბაზი ვიქირავეთ, სადაც ასაწყობი მასალა მოვათავსეთ და ბიბლიოთეკა დავაარსეთ. შევუდექით ჩვენი ჟურნალის „თავისუფალი საქართველოს“[12] გამოცემას. შვეიცარიის კანონის ძალით ყველა ჟურნალის თუ გაზეთის ჟერანი[13] შვეიცარიის მოქალაქე უნდა იყვეს. მივმართეთ ერთ ანარქისტ მუშას, რომელიც არც კი გვიცნობდა, და ვთხოვეთ ჟერანობა ეკისრა. ერთ წუთსაც არ დაფიქრებულა, ისე დაგვთანხმდა. მისი სახელი აღარ მახსოვს. ვიცი კი, რომ ცნობილი მუშა-ანარქისტის, – ბერტონის ჯგუფს ეკუთვნოდა.

ჟენევაში, ერთ მოხუცებულ უკრაინელს, კუზმას (მისი გვარი არავინ იცოდა) უკრაინულ-რუსული სტამბა ჰქონდა. მან გვასწავლა ნესტორ მაღალაშვილს და მე ასოების აწყობა და აწყობილის გვერდებად შეკვრა. ნესტორს ეძნელებოდა, – მე კი მალე დავხელოვანდი და მარდად ვაწყობდი. ხშირად მთელი ღამეები ვმუშაობდით. პეტრეს სიხარულს და ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა. გვერდიდან არა გვშორდებოდა. ხუმრობდა, იცინოდა. ჩვენი წრის ერთი წევრი, ამბაკო ბაღათურია გემრიელ ლობიოს მოგვიხარშამდა, ვიყიდი[დი]თ ორიოდე ლიტრა ღვინოს და 6-7 დღეში ჟურნალი აწყობილი იყო ხოლმე. წავუღებდით კუზმას და ის გვიბეჭდავდა. გასამრჯელოს არ იღებდა. ხოლო, როცა ჟურნალი მზად იყო, მივიწვევდით ჩვენს ბიბლიოთეკაში, გავუმასპინძლდებოდით. კუზმა და მისი თანაშემწე, გრიშა უგოლოვნი (ესე უწოდებდა თავის თავს) ორ ლიტრა არაყს გამოსცლიდნენ, მიწვებოდნენ იქვე ერთ პატარა ტახტზე, ერთი მეორის ფეხებს ჩაუხატავდა და ესე გამოიძინებდნენ. დილით, ერთ ბოთლ არაყს კიდევ გადაჰკრავდნენ „ნა პოხმელიე” და წავიდოდნენ.

„თავისუფალ საქართველოს” ვბეჭდავდით „პაპიროსის” ქაღალდის სითხის ისეთ კარგი ხარისხის ქაღალდზე, რომ ფურცლის ორივე გვერდი ისევე ადვილად იკითხებოდა, როგორც სქელ ქაღალდზედ დასტამბული. წვრილი ასოები დიდ მასალას ათავსებდნენ ჟურნალის, თუ კარგად მახსოვს, 32 გვერდზედ[14]. ტანით, „თავისუფალი საქართველო” წერილის ქაღალდს არ აღემატებოდა. ესეთი ფორმატი და თხელი ქაღალდი საშუალებას გვაძლევდა ორად შეკეცილი ჟურნალი წერილის უბრალო „კონვერტში” ჩაგვედო და საქართველოში ფოსტით გაგვეგზავნა. ვგზავნიდით სამასს, თუ მეტ ცალს. იმ დროს, მიმღებისათვის ეს სახიფათო არ იყო, რადგან ჟურნალს სათაურის ზევით ეწერა: „თქვენი მისამართი შემთხვევით გავიგეთ. გიგზავნით დაუკითხავად.”

ჩვენ ჩვენს თავს ჩვენი ქვეყნიდან მოწყვეტილად არა ვგრძნობდით. სეპარატისტთა პარტია საქართველოში დაარსდა. ვიცოდით, რომ მას მრავლად მრავალი მომხრე ჰყავდა, ხელმძღვანელებად კი უკეთესი ინტელექტუალური ძალები. გვწამდა, რომ ქართველო ერი, გულის სიღრმეში „სეპარატისტი” იყო. არ ვცდებოდით: – 26-მა მაისმა დაამტკიცა.

ქართველთა სურვილი რუსეთის მონობის დამსხვრევისა, მთავრობამაც კარგად იცოდა. ბატონ გივი კობახიძეს თავისი „კრებულის” პირველი ნომრის 70-ე გვერდზე მოჰყავს კავკასიის მეფისნაცვლის, – გრაფ ვორონცოვ-დაშკოვის იმპერატორისადმი მიმართული მოხსენების შინაარსი: „[...]...ყველაზე (სხვა პარტიებზე, – გ. კ.)

12 ტექსტში შეცდომით, – „დამოუკიდებელი საქართველოს“.

13 Gérant (ფრ.) – განმგებელი, იურიდიულად პასუხისმგებელი პირი.

14 ჟურნალი 24 გვერდს შეიცავდა (რედ.).

საშიშნი არიან ჩვენთვის ნაციონალისტები, ე.წ. სეპარატისტები, რომელნიც სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვენ თავიანთი ერებისათვის. მათთან ერთად „ფედერალისტებიც" ნაციონალური იდეებით და დამოუკიდებლობის ქადაგებით გამოდიან. კავკასიაში ეს მოძრაობა ყველაზე მძლავრია საქართველოში. ქართველი ნაციონალისტები მეტად მძლავრი გავლენისანი არიან და დიდ საშიშროებას წარმოადგენენ იმპერიის მშვიდობიანობისათვის. [...]...ამიტომ საჭიროა ამ ძალების სასტიკი განადგურება საქართველოში."[15]

ამ მოხსენებას ჩვენც ვიცნობდით, ჟენევაში. ვიცოდით ისიც, რომ არა მარტო „სეპარატისტები" არიან სეპარატისტები, არამედ ფედერალისტებიც სრული დამოუკიდებლობის მომხრენი იყვნენ. თუ ბევრი მათგანი, მაშინდელ პირობებში, ამგვარი დამოუკიდებლობის შესაძლებლობას ვერა ხედავდა, მათი მიზანი, უეჭველად, რუსეთისაგან სრული გამოყოფა იყო. ხოლო ამ სეპარაციის განსახორციელებლად, წინსვლა საფეხურებით მიაჩნდათ საჭიროდ. გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი დეკანოზიშვილი, შიო ჩიტაძე, სანდრო დიასამიძე, ლადო ცაგარელი სხვანი და სხვანი, განა ერთი ამათგან რუსეთის იმპერიის მთლიანობას ქართველთა სისხლის ერთ წვეთს გასწირავდა?

მახსოვს სოციალისტ-ფედერალისტების კონგრესი 1904 წლის მიწურულში თუ 1905 წლის დასაწყისს, სოლო ზალდასტანიშვილის მშობლების ბინაზე (თუმანოვის ქუჩაზე). ყველა, ვინც სიტყვა წარმოსთქვა, მოითხოვდა რუსთა იმპერიის დარღვევას ავტონომიურ ერთეულებად. ხოლო საქართველოს ეს ფართო ავტონომია, მათთვის გარდამავალი ხანა უნდა ყოფილიყო, ნიადაგი, სრული დამოუკიდებლობის აღსადგენად. სტუდენტთა დელეგატმა ნესტორ კლიმიაშვილმა განაცხადა: „ვინც ჩვენ ეროვნულ ტერიტორიაზედ ჩვენს სრულ სუვერენობას არ დაემორჩილება, აიკრას გუდა-ნაბადი და საიდანაც მოხეტებულა, იქვე წაეხეტოსო". – ამ სიტყვებს, თითქმის ყველა დამსწრე ტაშის გრიალით დახვდა.

ჩვენ, ახლგაზრდა სეპარატისტები, რომელნიც 1904-1905 წლებში ფედერალისტებთან ვთანამშრომლობდით, აღფრთოვანებით ვკითხულობდით „სიტყვასი" და „კალამის" (სამსონ ფირცხალავას ფსევდონიმები) წერილებს „ცნობის ფურცელში". ეს წერილები აღვივებდნენ ჩვენ ეროვნულ გრძნობებს, აორკეცებდნენ ჩვენ იმედებს. მიხა წერეთელის „ერი და კაცობრიობა", რომელმაც უდიდესი გამოძახილი ჰპოვა ქართველთა სულში, განა სეპარატისტთა კრედო არ იყო? ილია, ავტორი „აჩრდილისა", „ქართვლის დედასი", „მგზავრის წერილებისა" – ხომ საქართველოს უგვირგვინო მეფე იყო! აკაკის ლექსები, მთელი ერი რომ იმღერდა, თითქმის ყველა დამოუკიდებლობის ჰიმნია. ანტონ ფურცელაძის „ბრძოლას", „დიდ-მოურავიანს", „მაცი-ხვიტიას" გულმოდგინეთ ეწაფებოდა ქართველი და განსაკუთრებით მუშა თუ ხელოსანი. ერისთავის „სამშობლო", ვალერიან გუნიას „და-ძმა" ქართველთათვის უსაყვარლესი დრამები იყვნენ. სუმბათაშვილის „ღალატში" ჩვენმა საზოგადოებამ სეპარაციის ქადაგება ამოიკითხა. რაფიელ ერისთავის „სამშობლო ხევსურისა", – ყოველ შეგირდს ესმოდა რის მთქმელი იყო. პოეტი ხომ გულთამხილავია, წინასწარმეტყველი, ერის აღმზრდელი (.....ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღე წინა ერსა).

ნიკო ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი რას გვასწავლიდნენ, თუ არა თავისუფლებისათვის თავის განწირვასა? ხალხმა შეჰქმნა:

---

15 იხ.: მ. წერეთლის ნაამბობი [ჩაწერილი გ. კობახიძის მიერ 1945-46 წ. ზამთარში]. კრებული, ქართული ლიტერატურისა, ისტორიისა და ხელოვნების ყოველწლიური ორგანო, ნიუ-იორკი, 1957, წიგნი I, გვ. 70.

„ვერ გაიგენით ქართველნო,
შეგვეხსნა რკინის კარია,
მეფე აღარ გვყავს ერეკლე
ბაგრატოვანთა გვარია...”

ანდა:

„აღსდექ თამარ დედოფალო,
სტირის შენთვის საქართველო...”

სოფლად თავადი, აზნაური, გლეხი, მღვდელი თუ ბერი რუსის სახელს ზიზღით იხსენებდა. ვინ ჩამოსთვლის ყველა იმ დემონსტრაციას, რომელითაც ქართველის „სეპარატისტობა” მჟღავნდებოდა.

ყოველი ესე გვაძლევდა ურყევ რწმენას, რომ ქართველი ერი, თავის გულის სიღრმეში ჩვენთან იყო და დაინახავდა რა განთავისუფლების შესაძლებლობას, მტერს ძველებურად შეებრძოლებოდა.

აღჭურვილნი ამ რწმენით, მთელი ჩვენი ენერგიით, ნიჭით და გრძნობებით შევუდექით ეროვნული მოვალეობის შესრულებას.

ბევრი სოციალ-დემოკრატი და მათ შორის უმთავრესად ნიკოლოზ (კოლა) ქარცივაძე, – იმ დროს ბოლშევიკი, – კაცი ბუნებით რაინდი, გულით სრული ქართველი, სიმპატიებით იყვნენ ჩვენდამი გამსჭვალულნი, თუმცა ჩვენი გეგმები და იმედები „რომანტიკოსობად“ მიაჩნდათ.

ვიყავით ჩვენ „რომანტიკოსები” და სოციალ-დემოკრატები ესე წოდებული „რეალისტები”? ამ საკითხს 26 მაისმა გადამწყვეტი პასუხი მისცა.

თუ რომანტიზმს განვსინჯავთ მისი ნამდვილი და არა ვულგარული შინაარსით, ის ჩვენს პოლიტიკას არ აკლდა. რომანტიზმმა, მეცხრამეტე საუკუნეში განაახლა და ააყვავა ისტორია, ფილოსოფია, მწერლობა, პოეზია, მუსიკა, ხელოვნება და რაც ჩვენთვის უმთავრესია, დამონავებულ სიკვდილის პირზე მისულ ერებს განუახლა, გაუასკეცა სიყვარული მათი ისტორიისა, დაუბადა იმედი მომავლისა, აჩვენა გზა თავისუფლებისა და მისცა უდიდესი იმპულსი მათ ბრძოლას თავისუფლების მოსაპოვებლად. და ბევრმა მათგანმა ამ რომანტიზმით „რეალურად” დაამსხვრია მონობის ბორკილი. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისშიც კი, იტალიის განთავისუფლება და ერთ ერად გაერთება იტალიელებისა, მავნე ოცნებად მიაჩნდათ მაშინდელ „რეალისტ” პოლიტიკოსებს, რასაკვირველია, გარდა ნაპოლეონისა. ლეოპარდი, ალესანდრო მანძინი, ჯუზეპე ვერდი თავისი ოპერებით და სხვანი სულიერ უტეხ ძალას უქმნიან მეფე ვიტორიო ემანუელე მეორეს, ჯუზეპე მაცინის, ჯუზეპე გარიბალდის და სხვებს. კავური გამარჯვებას აგვირგვინებს. მოკლედ: იტალიამ რეალისტურად ისარგებლა განთავისუფლების შესაძლებლობის პირველი შემთხვევით, ანუ ნაპოლეონ მესამისა და ავსტრიას შორის არსებული მეტოქეობით და ბისმარკის სურვილით, ავსტრია გერმანიის კონფედერაციიდან განდევნოს.

ჩვენი „რომანტიზმის” მიზანი ესეთივე იყო: ვისარგებლოთ განთავისუფლების შესაძლებლობის პირველივე შემთხვევით. ეს შესაძლებლობა, ჩვენი რწმენით, წარმოიშობოდა გერმანიასა და რუსეთის შორის მოსალოდნელი ომით. ამ შემთხვევაში, გერმანია ქართული საკითხით უსათუოდ დაინტერესდებოდა. საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა და მისი დამოუკიდებლობა გერმანიისათვის ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ეკონომიურად და პოლიტიკურად, რაც ჩვენთვის მაშინდელი ოსმალეთის საშიშროებას აქარწყლებდა.

ყველა ამ მოსაზრებებით ჩვენ გადავწყვიტეთ: თუ ომი მოხდა, გერმანიის მთავრობასთან მოლაპარაკებები დავიწყოთ თანამშრომლობის პირობების ჩამოსაყალიბებლად.

* * *

1914 წლის მარიამობის თვის დასაწყისში, ომმა იფეთქა. მობილიზაცია რომ გამოცხადდა, მე გერმანიაში ვიყავი. დავრწმუნდი, – ისე საოცნებოდ მოწყობილი სახელმწიფო, როგორც იმპერატორ ვილჰელმ მეორის გერმანია იყო, რუსეთს მალე მილეწავდა. ჟენევისაკენ გავეშურე. იოსებ სალაყაიაც ჩემთან ერთად იყო მატარებელში. საზღვარზედ ვისაც შვეიცარიაში გასვლა სურდა, გერმანელები ეროვნებასა ჰკითხავდნენ. მე ვუპასუხე: ქართველი ვარ მეთქი. გამიშვეს. უკან იოსები მომდევდა. არ ვიცი რა დაემართა, არასოდეს მას თავი რუსეთის ქვეშევრდომად არ უცვნია და აქ კი მიახალა: რუსი ვარო. არ გაუშვეს. მეც უკან დავბრუნდი, იოსებს მარტოდ ვერ დავტოვებდი. გავიყოლიე იოსები და მივედი სადგურის კომენდანტთან, – მშვენიერი ტანისა და სახის ახალგაზრდა ოფიცერთან. მივმართე მას: ჩვენ ქართველები ვართ და შვეიცარიაში მივდივართ მეთქი. ქუსლი ქუსლს შეაჯახა, სამხედრო სალამი მომცა და ერთ იქ მდგომ ჯარისკაცს უბრძანა: წაუღე ამ ბატონებს მათი ბარგი და მესაზღვრეს უთხარი გაუშვას. ამ უმნიშვნელო შემთხვევამ კარგი წინაგრძნობა დამიბადა. ვიფიქრე: ამ ოფიცერმა უსათუოდ იცის, რომ საქართველო რუსეთის ნაწილია და თუ ესე ადვილად გაგვიშვა, უეჭველად ისიც იცის, რომ ქართველი რუსი არ არის.

ომის დაწყების პირველივე დღეს დავიწყეთ მოლაპარაკება გერმანიის წარმომადგენელთან. შევიმუშავეთ ჩვენი მოთხოვნილებანი. მოლაპარაკების წარმოება დავავალეთ ჩემს ძმას, – ლეო კერესელიძეს. მრჩევლებად გვყავდნენ ჟენევის ადვოკატები ადრიენ ლაშენალი, შვეიცარიის კონფედერაციის ყოფილი თავმჯდომარე და მისი თანამშრომელი ცეზარ ჰიუდრი. ეს ის ადვოკატები იყვნენ, ვინც ჩვენ დაგვიცვეს 1906-1907 წელს, როდესაც რუსეთის მთავრობამ ჩემი ძმის, ჩემი დეიდაშვილის ნესტორ მაღალაშვილისა და ჩემი გაცემა მოითხოვა. ამიტომ ქართულ საკითხს კარგად იცნობდნენ. როგორც მაშინ, ისე ეხლა ჩვენთვის გასამრჯელო არ მოუთხოვიათ.

სულ მოკლე ხანში შევთანხმდით და ხელშეკრულება დავდეთ, რომლითაც გერმანია წინასწარ სცნობდა საქართველოს სუვერენულ უფლებებს მთელ მის იმ ტერიტორიაზედ, რომელიც რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი. აღგვითქვამდა მილიტარულ, დიპლომატიურ და მატერიალურ დახმარებას ჩვენი სახელმწიფოს აღსადგენად და მისი სუვერენობისა და საზღვრების დასაცავად. ეს პუნქტი საქართველოს ტერიტორიის მთლიანობას უზრუნველჰყოფდა მაშინდელი ოსმალეთის შესაძლებელი ანექსისტური განზრახვებიდან. შემდეგში თუ ომის მსვლელობა მოითხოვდა გერმანიის ჯარის გაგზავნას საქართველოში, ეს ჯარი შევიდოდა როგორც მოკავშირე მეგობარი. ჩვენს კომიტეტს ეძლეოდა სრული თავისუფლება მოქმედებისა გერმანიის ტერიტორიაზედ თავისი ეროვნული საქმეების საწარმოებლად: პროპაგანდა, პრესა, ტყვეების მოვლა და სხვა.

ესეთივე ხელშეკრულება დავდეთ, გერმანიის დახმარებით, ავსტრო-უნგრეთთან.

ამ ორ იმპერიასთან დადებული ხელშეკრულებანი ჰქმნიდნენ ახალ ვითარებას. ჩვენ აღარ შეგვეძლო ერთი პარტიის (ქართველ სეპარატისტთა) სახელით გვემოქმედა. საჭირო იყო ყველა ქართულ პარტიებთან, გავლენიან პირებთან თუ წრეებთან თანამშრომლობა. ამ მოსაზრებით დავშალეთ ძველი კომიტეტი და დავაარსეთ ახალი: – საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. ახალი არჩევნები მოვახდინეთ. კომიტეტის შემადგენლობა ცოტა შეიცვალა: თავმჯდომარე – პეტრე სურგულაძე; წევრები: ლეო კერესელიძე, მიხეილ წერეთელი, ნესტორ მაღალაშვილი და მე. მიხეილი ჰაიდელბერგში იყო. ვაცნობეთ, რომ იგი კომიტეტის წევრია. ვიცოდით, უარს არ გვეტყოდა. კომიტეტს გერმანიამ აღუთქვა დახმარება ფინანსიური და პო-

ლიტიკური. მიანიჭა უფლებები თანასწორი დიპლომატიური წარმომადგენლობისა. გერმანიის მთავრობამ ლაღედ გაგვიხსნა კრედიტი. პრინციპში, ეს იყო სესხი, რომელსაც საქართველო გადაიხდიდა თუ კი ეროვნულ სახელმწიფოდ აღსდგებოდა.

ჩვენ გადავწყვიტეთ, მინიმუმამდე დაგვეყვანა პირადი ხარჯები. მაგალითად, მე ჩემ ცოლს და ორ შვილს 100 ოქრის ფრანკის მეტი ვერ დავუტოვე, თუმცა ვიცოდი, რომ საქართველოდან ფულს ვეღარ მიიღებდნენ.

ის ხელშეკრულებანი, რომელნიც ჩვენ ზემოაღნიშნულ ორ ომპერიასთან დავდეთ, საკმარისი არ იყო ჩვენი საქმიანობისთვის. საჭირო იყო ოსმალეთთან შეთანხმებაც, რადგან ჩვენი გეგმა მოქმედებისა მარტო პოლიტიკით და დიპლომატიით არ განისაზღვრებოდა. ჩვენი მიზანი იყო სამხედრო ასპარეზიც: შექმნა ქართული ლეგიონის, ქართული სამხედრო ფორმით, ქართული დროშით, ქართული შემადგენლობით და ხელმძღვანელობით. ამასთან, ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ჩვენი მომავალი ლეგიონი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს საზღვართან ან საქართველოს ტერიტორიაზედ იბრძოლებდა და სხვაგან არსად. ევროპელთა შორის არსებულ კონფლიქტში ჩვენ მონაწილეობას ვერ მივიღებდით. საფრანგეთს, ინგლისს თუ სხვა ერს ჩვენი ქვეყნის მტრად ვერ ვიცნობდით. ამას არც ჩვენი ერის ინტერესები, არც სამართალი არ მოითხოვდნენ. მტერი იყო რუსეთი და მხოლოდ რუსეთი. ჩვენს სამშობლოს საზღვრავდა ოსმალეთი და ჩვენი ლეგიონის სამოქმედო ასპარეზიც ოსმალეთის ტერიტორია უნდა ყოფილიყო. მართალია, ჩვენთვის უმთავრესი ღირებულება ჰქონდა გერმანიის დაპირებას, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას და მისი ტერიტორიის მთლიანობას დაიცავდა, საჭიროდ მიგვაჩნდა ოსმალეთის წერილობითი გარანტიაც, რომ იგი საქართველოს არ განიხილავდა როგორც რუსეთის, ანუ მტრის ნაწილს, არამედ სცნობდა მას მეგობარ ერად. გერმანიის მთავრობაც ამ აზრისა იყო და გვირჩია უმალ შევუდგეთ თურქთა მთავრობასთან მოლაპარაკებას. მოლაპარაკების წარმოებაც ლეო კერესელიძეს დავავალეთ და სტამბოლს გავისტუმრეთ. ათიოდე დღის შემდეგ მივიღეთ დეპეშა: „ვაჟი დაიბადა". ეს ნიშნავდა, რომ ოსმალეთის მთავრობამ მომავალ ხელშეკრულების ფუძედ ჩვენი მოთხოვნილებანი მიიღო. ჩვენც აღარ დავაყოვნეთ და სტამბოლს ჩავედით. მივწერეთ მიხეილ წერეთელს ჩვენსკენ წამოსულიყო.

თალაათ ფაშას და ენვერ ფაშას მთავრობასთან მოლაპარაკების დროს, გერმანელთა საელჩო სტამბოლში, რომლის სათავეში იდგა დიდი დიპლომატი ბარონ ფონ ვანგენჰაიმი, მთელი თავისი თითქმის განუსაზღვრელი ავტორიტეტით ჩვენ გვფარველობდა. დიდ აქტივობას იჩენდა ჩვენს სასარგებლოდ ამ საელჩოს პირველი დროგმანი, – ვებერი. ოსმალეთთანაც, დაახლოებით იგივე პირობები დავდეთ, რაც გერმანიასთან: – ოსმალეთი სცნობს საქართველოს სრულ სუვერენობას მის მთელ იმ ტერიტორიაზედ, რომელიც იმ დროს რუსეთის იმპერიაში იმყოფება. თუ ოსმალთა ჯარი საქართველოში შევა, შევა როგორც მეგობარი და მოკავშირე. რეკვიზიცია, გადასახადების აკრეფა, ჯარში ხალხის გაწვევა, პოლიცია, რკინის გზა და სხვა და სხვა, ომის დროს, ისევე როგორც ომის შემდეგ, საქართველოს მთავრობის უდავო პრეროგატივებს შეადგენენ. საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც კი ოსმალთა ჯარი შევიდოდა, მთავრობის უფლებებს აღასრულებდა ან ჩვენი კომიტეტი, ანდა, თუ კომიტეტი უმჯობესად სცნობდა, ადგილობრივ არჩეულ პირთა კოლეგია.

შევთანხმდით, ხოლო ოსმალეთმა თუმც სრული თავისუფლება მოგვცა მის ტერიტორიაზე გვემოქმედა, მაგრამ, რადგან ჯერ ომში არ იყო ჩარეული, ჩვენ პირობებზე ხელის მოწერა გადასდო. აღგვითქვა კი, რომ ომის დაწყებისთანავე ხელშეკრულებას დააკანონებდა.

ჩვენი მისწრაფება იყო საქართველოს საზღვრებთან ახლო მოგვეწყო ჩვენი შტაბი. ამ მიზნით გავემგზავრეთ ტრაპიზონისაკენ. ქ. სამსუნთან რომ გავჩერდით, ჩვენ გემზე ამოვიდა ადგილობრივ მცხოვრებთა ერთი ჯგუფი. მოგვესალმნენ ქართულად. გვესიამოვნა. ვკითხეთ ვინაობა. ერთმა მათგანმა, რომელიც, ყველაფრიდან სჩანდა, სხვების „ბატონი" უნდა ყოფილიყო, მოგვხიბლა თავისი არაჩვეულებრივი ზრდილობით, მანერების ბუნებრივი ელეგანსით და არისტოკრატობით. საშუალოზე ცოტა უფროსი წერწეტი ტანი, მშვენივრად მოყვანილი თხელი პირისახე, სიცოცხლით სავსე შავი თვალები, პირისახის მუქი კანი, მაყვალის ფერის თხელი ტუჩებით, მომხიბლავი ღიმილი სპეტაკი კბილებით. ამ კეთილშობილ რასიულ სილამაზეს აგვირგვინებდა თეთრი თმა. 24 წლის ახალგაზრდას ეს კონტრასტი განსაკუთრებით ამშვენებდა. მან გვითხრა: „მე ვარ ქიამილ ბეი, უმცროსი შვილი ალი ფაშა თავდგირიძისა. სხვები, მე რომ მახლავენ, ყველა ჩვენი „ჩვენებურები" არიან". გვიამბეს: სამსუნის ირგვლივ, თავდგირიძეებს დიდი მამულები ჰქონიათ, სულ ქართველებით დასახლებული. ქართული ენა, მათი დედა ენა იყო. ქართული ლაპარაკი ბუნებრივი, გურულ-ქობულეთური გამოთქმით და ოდნავ თურქული აქცენტით. ქიამილ ბეიც, თავისი მხლებლებით, ტრაპიზონს მიდიოდა. ვფიქრობ, მას ბრძანება ჰქონდა სტამბოლიდან ჩვენ გემზე ამოსულიყო, გაგვცნობოდა, დაგვახლოვებოდა და ცნობები მიეცა. ქიამილი, როგორც თითქმის ყველა ახალგაზრდა ოსმალო იმ ხანისა, ახალგაზრდა თურქთა პარტიის წევრი იყო. სინამდვილეში კი, ქიამილი სულ არ ცდილობდა ჩვეგნან რამე გაეგო. უყვარდა ქართველობა და დიდი პატივისცემით და თავმდაბლობით იყო ჩვენდამი განწყობილი.

ტრაპიზონს მოადგა ჩვენი გემი. ნავებით გადავსხედით. ზღვის ნაპირზედ აუარებელ ხალხს მოეყარა თავი და აღტაცებული ვაშას ძახილით დაგვხვდნენ. გვესმოდა ყვირილი: „გურჯი! გურჯისტან! გურჯი-ზაბიდ! გურჯი კომიტაჯ" (ქართველი, საქართველო, ქართველი ოფიცრები! ქართული კომიტეტი!). ოსმალეთის მთავრობისა და ახალგაზრდა თურქების ყოვლად შემძლე პარტია „უნიონ ე პროგრე"-ს[16] სახელით მოგვესალმა ამ პარტიის დიდგავლენიანი წევრი რიზა ბეი. ტრაპიზონის ვილაიეთის ვალიმ (გუბერნატორმა) გვისურვა კეთილი ყოფა მის საბრძანებელში. მათ ახლდნენ ქალაქის თავი, კაი-მაკამი (მაზრის უფროსი), მუდირი (პოლიციის უფროსი), მოლა, პარტიის ადგილობრივი კომიტეტის წევრები და სხვა გავლენიანი პიროვნებები. მოგვესალმა და გაგვეცნო მელიტონ ქარცივაძე, ოსმალეთში ოსმან ბეი გურჯი-ზადეთ ცნობილი. მელიტონის მამულიშვილობას შემდეგშიც შევეხები. აქ კი, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მას რჯული არ შეუცვლია: – იყო და დარჩა ქრისტიანი. ტრაპიზონში დიდი პატივისცემა ჰქონდა, როგორც კავკასიელ მოჰაჯირთა (ემიგრანტთა) შორის, ისე ოსმალთა საზოგადოებაში. მელიტონს ახლდა ერთი ახალგაზრდა, ოსმალთა ჟანდარმერიის უნტერ-ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი. არაჩვეულებრივ აღფრთოვანებას გამოხატავდა მისი სახის გამომეტყველება და ბედნიერების ცრემლით სავსე თვალები. ისეთი სიყვარულით გვიმზერდა, თითქოს ჩვენ ვახორციელებდით მის უდიდეს ბედნიერებას. მისი გვარი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს. ცნობილი კი იყო ფაიკ-ჩაუშის სახელით. აქვე მოვიყვან მის მოკლე ბიოგრაფიას, რადგან ჩემ მოვალეობად მიმაჩნია, ვეცადო, მისი ხსოვნა უკვალოდ არ განჰქრეს. ფაიკი იყო იმერელი. ჯერ კიდევ ბავშვი, თურმე მხოლოდ იმას ოცნებობდა, თუ რითი შეუძლიან ემსახუროს თავის სამშობლოს-საქართველოს. გადასწყვიტა: საქართველოს სამხედრო საქმის მცოდნე მებრძოლი დასჭირდება როცა

16 იგულისხმება ოსმალეთის იმპერიის მმართველობის სათავეში იმ დროს მყოფი ახალგაზრდა თურქთა პარტია „კავშირი და პროგრესი".

ბრძოლის ზარი დაჰკრავსო. რუსთა ჯარში სამსახური მას არა სურდა. ჯერ ისევ ბავშვი გაიქცა ოსმალეთში. იქ, საქართველოს საზღვართან ახლო მდებარე სოფელ ესკი-ტრაპიზონში ერთი ქართველი მუსულმანის ოჯახს შეაფარა თავი. ოჯახის უფროსს, მოხუცებულ ქართველ მოჰაჯირს მთელი თავისი გულის ნადები გადაუშალა და დაუმატა: ოსმალეთის ჯარში მინდა ვიმსახურო, ხოლო რჯულს ვერ გამოვიცვლი. კეთილმა მოხუცმა იშვილა და ოსმალები დაარწმუნა: ჩემი შვილი, ფაიკი, მუსულმანიაო. ჩაეწერა ჯარში და მალე მიიღო ჩაუშობა (უნტერ-ოფიცრობა) და გახდა ინსტრუქტორი. გამოცხადდა პირველი ბალკანეთის ომი. ფაიკმა უფროსებს სთხოვა ომში გაეგზავნა. არ გაუშვეს: – კარგი ინსტრუქტორები გვჭირდება ჯარის მოსამზადებლადაო. ფაიკი გაიქცა და ბრძოლის ველზედ მყოფ ერთ პოლკს შეაფარა თავი. ოსმალეთში თურმე ძველი ტრადიცია იყო: ვინც ბრძოლის ველზედ მყოფ სამხედრო ერთეულს მიუდგება, მას სხვა ერთეულს არ დაუთმობენ. ფაიკმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. მალე ბალკანეთის მეორე ომმა იფეთქა. ფაიკმა თავისი პირველი საქციელი გაიმეორა. სახელმოხვეჭილი ფაიკი განამწესეს ტრაპიზონის ჟანდარმერიის უფროს ჩაუშ-ინსტრუქტორად. ჟანდარმერია, როგორც ყველგან, ოსმალეთშიც ჯარის პრივილეგიური ნაწილი იყო. და, აი, ფაიკი მოესწრო ბედნიერებას: – ქართველები ბრძოლას აპირებენ, ჰხედავს საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს თავისი თვალითა. შეგვევედრა ჩვენ სამსახურში მიგველო, თუნდ უბრალო ჯარისკაცად, ანდა მსახურად. ჩვენთვის ფაიკის თანამშრომლობა დიდი საუნჯეს შეძენა იქნებოდა, ხოლო ამისთვის ოსმალთა თანხმობა იყო საჭირო. მივმართეთ – უარი არ გვითხრეს, ხოლო საქმეს აჭიანურებდნენ. ფაიკი წარუდგა თავის უფროსებს და უთხრა: ორი წლის ჯამაგირი არ მიმიღია, რაც მერგება წითელ ნახევარ-მთვარესა ვწირავ, ოღონდ ქართველთა კომიტეტთან თანამშრომლობის ნება დამრთეთო. ჩვენი მხრივ, ჩვენც მთელი ჩვენი გავლენა მოვიხმარეთ და ფაიკი ჩვენს სამსახურში გადმოვიდა. მის ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა. როდესაც საქართველოს თავისუფლებაზე ჩამოვარდებოდა ბაასი, ამ ვაჟკაცს თვალი ცრემლით აევსებოდა და ნათლადა სჩანდა, რომ მისი ერთად-ერთი იდეალი იყო თავისი სიცოცხლე შესწიროს საქართველოს თავისუფლებას. იშვიათად შემხვედრია ჩემს სიცოცხლეში ფაიკისთანა პატრიოტი, გულკეთილი, პატიოსანი და უებარი ვაჟკაცი ახალგაზრდა.

შემდეგშიც შევეხები ფაიკს. ეხლა კი დაუბრუნდები მოთხრობის ქრონოლოგიურ მსვლელობას.

ტრაპიზონის ვალის და რიზა ბეის ჩვენთვის ბინა მოემზადებინა ქალაქის უკეთეს სასტუმროში, რომლის პატრონი ერთი მშვენიერი მზარეული სომეხი იყო. ამავე სასტუმროში ცხოვრობდა მელიტონ ქარცივაძე. კომიტეტმა თავის პირველ კრებაზე დაადგინა მელიტონი თავის სრულუფლებიან წევრად მიეღო. მელიტონი სიხარულით დათანხმდა. გადავწყვიტეთ ლეგიონის შედგენა. ქართველი მუსულმანები და უფრო მეტი ჩრდილო კავკასიელები, ზოგი ლაზიც, უმალ ჩაეწერნენ ლეგიონში. ლეგიონის ხელმძღვანელად ლეო კერესელიძე ავირჩიეთ, ნესტორ მაღალაშვილი და მე, – ოფიცრებად. ცხადია, ეს მხოლოდ დასაწყისი იყო და დრო იყო საჭირო გაწვრთნილი ლეგიონის ჩამოსაყალიბებლად. ვიმეორებ: ოსმალეთს ჯერ ომი გამოცხადებული არ ხქონდა და ახდილად მოქმედება სასურველად არ მიგვაჩნდა. თუმც რუსის კონსულს უკვე ბევრი რამ უეჭველად ეცოდინებოდა. მალე თურქებმა რუსის კონსული განდევნეს. მშვენიერი ოქროსფერი სამაგალითო ცხენი ჰყავდა. თურქებმა წაართვეს რეკვიზიციის ძალით, რადგან კონსულს დიპლომატიური იმუნიტეტი აჰყარეს. კონსულმა თქვა: – ნეტა ისეთი კაცის ხელში ჩავარდეს, ვინც კარგად

მოუვლისო. ცხენი მე ვირგუნე და მართლაც მისთვის არა დამიკლია რა. ვუვლიდი როგორც ცხენის მოყვარული მოუვლის საყვარელ ცხენს.

ცოტა ხნის შემდეგ, ფრონტთან დაახლოებისათვის არხოვეში გადავსახლდით. იქ თურქებმა ბინად მოგვცეს ერთი მდიდარი ბეგის ჰარამ-ხანის შენობა. ცოტა ხნით ადრე მივიღეთ გერმანელებისგან იარაღი და ამუნიცია. ამავე დროს ენვერ ფაშამ პირადად საჩუქრად გამოგვიგზავნა ასიოდე იაპონური კავალერიის მშვენიერი კარაბინი. რასაკვირველია, თავისი ამუნიციით. არხოვეში გავნაგრძეთ წვრთნა იმ ელემენტისა, რომლისაგანაც შესდგა შემდეგ უკვე ჩამოყალიბებული ქართული ლეგიონი. მოვაწყეთ მანიოვრები. ერთ ნაწილს მე ვხელმძღვანელობდი, მეორეს არ მახსოვს ვინ, ხოლო მისი ჯარის ერთ გუნდს უფროსობდა ფაიკი. ჩემი ამოცანა იყო გამემაგრებინა ერთი დიდი, მაღალღობიანი ბაღი. ჩემი წარმოდგენით, მშვენივრად გავანაწილე ჩემი ჯარი. დავაყენე, სადაც საჭირო იყო გუშაგები, მცველები, და ის იყო ვაპირებდი მოწინააღმდეგისათვის მარჯვენა ფრთიდან მომეარა და ტყვეთ მეგდო ხელში, როცა, უეცრივ ფაიკი აიტუზა ჩემს უკან და გამიცხადა: ბატონო გიორგი, ტყვეთა მყეხართო. დავმარცხდი. ვაკოცე ფაიკს.

ცოტას წინ წავუსწრებ მოთხრობის მსვლელობას და დავასრულებ ფაიკის თავგადასავალს. ამ ამბის რამდენიმე თვის შემდეგ, როდესაც ჩვენ ფრონტიდან ტრაპიზონში დავბრუნდით და მე კონსტანტინოპოლისკენ მივემგზავრებოდი, რუსთა ფლოტი მიადგა ტრაპიზონს და დაუწყო სროლა. ეს რუსის ფლოტმა გაბედა, რადგან გემები „გებენ" და „ბრესლაუ" იცავდნენ დარდანელს და შავ ზღვაზე ოსმალთა ფლოტი ამით დაუძლურდა. ამ სროლის დროს დაიჭრა ლეო. წაიყვანეს სასტუმროში. ჭრილობა არა საშიში გამოდგა. ხოლო ვერ შეამჩნიეს, რომ ფაიკიც დაჭრილ იყო და ყუმბარის ნამსხვრევს მუცელი გაეხსნა. მკვდარი იპოვეს. ოსმალებმა სხვა დახოცილებთან ერთად მისი ცხედარიც დაასვენეს ერთ შებობაში და მეორე დღეს აპირებდნენ თურმე მათ დასაფლავებას მუსულმანური წესით. მელიტონ ქარცივაძემ ეს ვერ მოითმინა: როგორ შეიძლება, ქრისტიანი კაცი სხვა რელიგიის წესით დასაფლავდესო. და ღამით მოაპარვინა ფაიკის ცხედარი და ქრისტიანული წესით დაასამარა. ოსმალებს ეს რომ შეეტყოთ, მელიტონს უეჭველად დიდი ხიფათი დაემართებოდა. თვითონ ნეტარხსენებული მელიტონი კი, ქართველთა დაუდევრობის გამო, თათრული წესით მიაბარეს მიწას.

გიორგი მაჩაბლის ევროპაში ყოფნისა ჩვენ არა ვიცოდით რა. და ამიტომ ის ჩვენი წევრი არ იყო. ყოფილა ბრიუსელში, როდესაც იქ გერმანიის ჯარი შევიდა. შემთხვევით შეხვედრია ერთ თავისი ახლონაცნობი გერმანიის ჯარის შტაბის ოფიცერი. ამ ოფიცრისაგან გაიგო, რომ ქართველთა კომიტეტი არსებობს, გერმანიასთან და ავსტრო-უნგრეთთან დადებული ხელშეკრულებების შინაარსი და რომ ჩვენ უკვე ოსმალეთში ვიმყოფებით. გიორგი უმალ ჰაიდელბერგში გაჩნდა, იქ შეხვდა მიხეილ წერეთელს და ერთად ჩამოვიდნენ ტრაპიზონში. გიორგიც კომიტეტის წევრად მივიღეთ. ამრიგად კომიტეტის საბოლოო შემადგენლობა შემდეგი იყო: პეტრე სურგულაძე, მიხეილ წერეთელი, ლეო კერესელიძე, გიორგი მაჩაბელი, მელიტონ ქარცივაძე, ნესტორ მაღალაშვილი, შალვა ვარდიძე (რომელიც ჯერ კიდევ სტამბოლში მივიღეთ წევრად) და მე.

ოსმალებმა გვთხოვეს კომიტეტის წევრად მიგვეღო აგრეთვე ნიკოლოზ ბერი, მათი სანდო პირი. მისი გვარი აღარ მახსოვს, ეს კი ვიცოდით, რომ მას ბრალდებოდა არქიელის მკვლელობაში მონაწილეობის მიღება და ამიტომ ოსმალეთს შეაფარა თავი. ჩვენ მას ვერ ვენდობოდით, რადგან არ ვიცნობდით მის წარსულს. გარდა ამისა სიმპატიურ შთაბეჭდილებას ვერა სტოვებდა ჩვენზე. ოსმალებს ვერ

ვეტყოდით, რომ მათი ნდობით აღჭურვილ ნიკოლოზს, ყოფილ არქიმანდრიტს, ჩვენ ვერ ვენდობით. ფორმალურად მივიღეთ, მაგრამ უმთავრეს საკითხებს იმის არა დასწრებით ვწყვეტავდით. მას თურქებმა მიუჩინეს ერთი ქართველი მუსულმანი, ფოსტის მოხელე, გვარად ჯაყელი. ცხადი იყო ჩვენთვის, რომ ამ თარჯიმანს განსაკუთრებული დავალება უნდა ჰქონოდა ოსმალთა მთავრობისაგან. ნიკოლოზს ყურთ ძალიან აკლდა. ჯაყელმა ქართული იცოდა, მაგრამ ღარიბი ლექსიკონისა. პეტრეს კრებების ხელმძღვანელობა არ ეხერხებოდა, ამიტომ მე ვთავჯდომარეობდი ხოლმე. როდესაც სხდომას ნიკოლოზი და ჯაყელი ესწრებოდნენ, დაბალი ხმით გვქონდა მსჯელობა. ჯაყელს ჩვენი ნათქვამის ნახევარიც არ ესმოდა და ნიკოლოზის გასაგონებლად კი მე მაღალი ხმით ნათქვამის ისეთ რეზუმეს ვაწვდიდი, როგორსაც საჭიროდ ვცნობდი.

ჩვენი ხშირი სტუმარი იყო ზევით ხსენებული რიზა ბეი, „უნიონ და პროგრესის" კომიტეტის ერთი უმთავრეს წევრთაგანი. მას ემორჩილებოდა შავიზღვის ნაპირის მთელი ეს მხარე, ტრაპიზონის ვილაიეთით. თვით ვალიც, მისი ხელქვეითი იყო. ხშირად გვეწვეოდა ხოლმე და ზრდილობა გვაიძულებდა ჩვენც ხშირად ვწვეოდით. მას ყოველთვის თარჯიმნად თან ახლდა ოსმალეთში დაბადებული და თალაათ ფაშას პარტიის წევრი, ჩრდილო-კავკასიელი ბაჰრი ბეი, რომლის ცოდნა ფრანგული ენისა, **le petit négre**-ს ბევრად არ აღემატებოდა. რიზა ბეი გვარწმუნებდა, რომ გარდა ოსმალურისა, არც ერთი უცხო ენა არ ესმოდა, გარდა ფრანგული ორიოდე სიტყვისა. ჩვენ ერთმანეთში რიზა ბეის სტუმრობის დროს, ან ქართულად ან და ფრანგულად ვლაპარაკობდით. ბევრი ხნის შემდეგ დარწმუნებით გვითხრეს: რიზა ბეიმ კარგად იცოდა ფრანგულიც, გერმანულიც და, განსაკუთრებით, ქართული, რადგან ქართველი იყო ჩამომავლობით, გვარად ჩხეიძე. გვიმალავდა ენების ცოდნას ალბად იმიტომ, რომ გაეგო ჩვენი შეხედულებანი სხვადასხვა მოვლენებზე.

რიზა ბეი ფრონტზედ არ წამოგვყვა. ხოლო როცა გაიგო რომ ჩვენ უკვე ვიხედვით, მან, თურმე, საჩქაროდ სანდო ხალხი გააგზავნა ართვინში, თავის დის წამოსაყვანად. მისი და ართვინში ყოფილა გათხოვებული და რიზას არა სურდა, მისი და რუსებს ხელთ ჩავარდნოდა. ჩვენც მაშინ გავიგეთ რიზა ბეის ქართველობა. რიზა ბეი ყოველთვის დიდი პატივისცემით გვეპყრობოდა და კეთილი განწყობილება ჩვენს შორის არასოდეს დარღვეულა. რიზა უშიშარი ვაჟკაცი იყო, გამბედავი, დიდი და სწრაფი ინიციატივის და უდავო ავტორიტეტისა. კიდევ წინ გავუსწარი მოთხრობის მსვლელობას. ისევე უკან უნდა დავიხიო.

დაუბრუნდეთ ტრაპიზონს. ვიცოდით, რომ სოლომონ მეორე იმერეთისა, ბერძნების ეკლესიის სასაფლაოზე განისვენებდა. მივედით, კომიტეტის მთელი შემადგენლობა თაყვანსაცემად. იმ დროს კარგად იყო მოვლილი მისი საფლავი. დიდ საკლდამო ლოდს დაკრული ჰქონდა მარმარილოს მოზრდილი ფიცარი და ზედ მშვენიერი სიტყვები სოლომონისა იყო ამოჭრილი. სამწუხაროდ, ისინი აღარ მახსოვს. ხოლო ანდერძად გვეუბნებოდა, რომ მტრისაგან გაძარცვული ჩადიოდა სამარეს.

და ჩვენ შევფიცეთ ქართველთა მეფეს, რომლის:

„უცხოსა ცის ქვეშ მარტოობს
მისი საფლავი ობოლი,
დაუტირავი ჩვენგან,
ჩვენთვის კი დამიწებული".

შევფიცეთ, რომ მისებრ თავგანწირულად ვიბრძოლებთ სამშობლოდან მტრის განსადევნად და თუ მოვესწარით ამ ბედნიერ დღეს, მის წმინდა ნაშთს თავისუფალ საქართველოში მივასვენებთ და მის სატახტო მიწას მივაბარებთ. ვერ შევუსრულეთ

ნეტარ სახსენებელ მებრძოლ მეფეს მიცემული სიტყვა, და დღეს, თურმე, გადახნულია მისი სამარე და მის ძვლებსაც ვეღარ ვნახავთ, ბევრიც რომ ვეძებოთ[17]. ჩვენს დანაშაულს მეფის წინაშე, ოდნავ მაინც, შემდეგი გვინელებს. მისმა სამარემ ნახა, ერთი საუკუნის წყვეტილის შემდეგ, მისი ხსოვნის პატივსაცემად ქედმოხრილი ქართველი მხედრები, ქართულ სამხედრო ფორმაში გამოწყობილნი, ქართული ეპოლეტებით, ქართული დროშით.

განვაგრძეთ მომავალი ლეგიონის წევრთა რიცხვის ზრდა და მათი წვრთნა.

ოსმალებისგან ვიცოდით, რომ დღე-დღეზე ომში ჩაერევიან. ლეო, რამდენიმე კაცით საზღვრის დასაზვერად წავიდა. ნესტორს და მე საზღვრის სხვა ნაწილი უნდა დაგვეზვერა ორიოდე დღის შემდეგ. იმ ღამეს, ლეო რომ საზღვარზედ იყო (ლეოს და მე ერთ ოთახში გვეძინა), ძილში მესმის საშინელი სროლა. გავახილე თვალები და ვხედავ: – ცეცხლიანი ყუმბარა მოექანება ჩემსკენ. სროლაც გრძელდება. ვიფიქრე: – რუსებმა ჯარი გადმოსხეს და დაგვეცნენ თავზე. წამოვვარდი ფეხზედ, საჩქაროდ ჩავიცვი შარვალი და მუნდირი. ფეხსაცმელის ჩაცმა ვერ მოვასწარი. დავავლე გატენილ თოფს ხელი, ვეცი სასადილო ოთახის კარებს და გავაღე. ვხედავ ცეცხლი უკიდია და მთელი ოთახი იწვის. მივხვდი სროლის ხმის მიზეზი: – ეს ჩვენი ტყვიები იწვიან და ფეთქდებიან. იმ კედლის ზევით, ჩვენ ოთახს სასადილო ოთახისგან რომ ჰყოფდა, მრგვალი ნახვრეტი ჰქონდა, ბუხრის ანუ ღუმლის მილის გასატარებლად. ამ ნახვრეტიდან დანახული ცეცხლი ყუმბარად მომეჩვენა. ვიცოდი, რომ ლეოს „ჩემოდანში" ჰქონდა 20 000 ოქროს ფრანკი. საცოლემ მისცა ყოველ გასაჭირ შემთხვევისათვის. დავავლე ხელი, – მინდოდა მათი გადარჩენა. ამავე დროს ვიფიქრე, – ვაი თუ სხვანი განსაცდელში არიან ჩავარდნილი მეთქი. დავაგდე „ჩემოდანი", გავიარე ცეცხლიანი სასადილო ოთახი და დავუარე ყველას, მაგრამ ვერავინ ვნახე. დაუბრუნდი ჩემს ოთახს. ლეოს „ჩემოდანს" ცეცხლი მოსდებოდა. ჩვენი ოთახის, როგორც ჰარემის ყველა ოთახების სარკმელი, რკინის ცხრილით იყო დაცული. ფანჯარა გავაღე, მაგრამ გადასვლა ვერ შევძელი. თურმე ყველა გარედ გასულა და მე დავვიწყებოდი. ფაიკს და ერთ ჩვენ ლეკს შეუმჩნევიათ ჩემი გარედ არყოფნა, მოადგეს სარკმელს კიბე და ამოვიდნენ, მაგრამ უბრალო ჩაქუჩით რას დააკლებდნენ მსხვილი რკინიდან ჩამოსხმულ ცხრილს? ჩემი ოთახი უკვე ცეცხლით იყო მოცული. ისევ ცეცხლით სავსე სასადილო ოთახიდან უნდა გავსულიყავი გარედ. ესეც მოვიქეცი და ღვთის წყალობით უმნიშვნელო დაზიანებით გადავრჩი. რა, ან ვინ იყო მიზეზი ამ ცეცხლისა, – აქამდის არ ვიცი. ოსმალები ფიქრობდნენ, რომ ჩვენ მსახურთა შორის ერია ერთი ან რამდენიმე რუსის აგენტი. დაატყვევეს კიდეც ბევრი მათგანი, ხოლო ჩვენი მოთხოვნით, ყველა გაანთავისუფლეს.

მეორე დღეს დაბრუნდა ლეოც. უკვე ახალ ბინაზე. ძველი ბინის მხოლოდ კედლებიღა დარჩა. დანარჩენი ნაცრად იქცა. ნესტორმა და მე ცოტა გავქექეთ და ვიპოვეთ ოქროს 20 თუ 30 ფრანკიანი. ეს ფული, იტალიის კონსულის საშუალებით ჩემს ოჯახს გავუგზავნე ჟენევაში. ორიოდე თვის შემდეგ კი მოვაწყეთ ისე, რომ ჩემს მეუღლეს კომიტეტის ანგარიშზე ეძლეოდა თვეში 250 ფრანკი, რაც, დაახლოებით, უდრის დღევანდელ 50 თუ 60 000 ფრანკს.

აქ ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. როდესაც ტრაპიზონში ჩავედი, ჟენევაში ფულის გასაგზავნად, იტალიის კონსულის შემდეგ ვინახულე გერმანიის ვიცე-

17 დაწვრილებით სოლომონ მეფის საფლავის შესახებ იხ.: ს. სალია, სოლომონ მეორის საფლავის დანგრევა თურქეთში. ბედი ქართლისა, პარიზი, 1950, N° 8, გვ. 1-3; ი. გოგოლაშვილი, სოლომონ მეფის საფლავის შესახებ, ბედი ქართლისა, პარიზი, 1951, N° 9, გვ. 27-29; გ. კერსელიძე, სოლომონ მეფის ნეშტის შესახებ, იქვე, გვ. 29.

კონსული. ვიღაცას მოუჭორნია მისთვის, ვგონებ, ერთ ბალტიელ ფონ შმიდტს, რომ კომიტეტის ზოგ წევრებს გერმანელ ოფიცრებად მოაქვთ თავი და მან ეს მისაყვედურა ჩემთვის მიუღებელ ფორმაში. ფონ შმიდტიც იქ იყო. მე მკაცრად ვუპასუხე, ვინც თუ ეგ ჭორი გითხრათ, პირში უკან ჩასჩარედ. არ მეგულება ისეთი ქართველი, ვინც ქართველობას სხვა ეროვნებებზე მაღლა არ აყენებდეს, თუნდ ეს სხვა ეროვნება გერმანელიც იყოს. ვიცე-კონსული გაჩუმდა, ფონ შმიდტს შეხედა, რაღაც წაიბუდბუტა. ავდექი, ოდნავ თავი დავიხარე ნიშნად გამოთხოვებისა და ხელჩამოურთმევლად დავტოვე მისი ბინა.

დავბრუნდი არხოვეში. მეორე დღეს ომი უნდა დაწყებულიყო. ლეო თავისი ხალხით წავიდა პატაჯურის მთისაკენ, – იქ, სადაც საზღვარი გადიოდა. ნესტორს და მე სხვა გზით, – ზღვის ნაპირიდან ღამით უნდა გადაგველახა საზღვარი და დაგვეზვერა. ჩვენი ჯარისკაცების გარდა, თან გვახლდა თურქის არმიის ერთი არაბი ოფიცერი. ვაჟკაცობის სახელი ჰქონდა. ოსმალებმა მოგვცეს გამოცდილი გზის მაჩვენებელი. ღამე გაფანტულად, უხმოდ უნდა გვეევლო ტყით ბნელეთში. გათენდა, ვხედავთ, ჩვენი მეგზე გაპარულა და წარმოდგენაც აღარა გვაქვს, სადა ვართ. არც რაიმე შენობა და არც სულიერი ვინმე არ მოსჩანს. უკან დასაბრუნებელი გზაც არ ვიცით. როგორც იყო, ჩავაღწიეთ ესევე ზღვის ნაპირს, ვიპოვეთ ჩვენი ნავი და დავბრუნდით გაუმარჯვებლივ არხოვეში.

მე, ერთი დღის დასვენების შემდეგ, შევჯექ ჩემს ცხენზე, წავიყვანე თან ერთი ვაჟკაცობით გამორჩეული ქართველი, რომელიც ოსმალთა ციხიდან დავიხსენით და წავედი პატაჯურის მთით საზღვრისაკენ. მიახლოებისას გვესმის ზარბაზნის ხმა. ავაჩქარეთ ცხენები და მოუსწარით ბრძოლის დასაწყისს. ლეოს, წინაღამეს რუსთა საზღვრის სამხედრო პოსტი აუღია, ხელთიგდო რამდენიმე ტყვე და პატაჯურის მთის ქართულ ფერდობზე მდებარე მუსულმან ქართველთა სოფელი ბაშკოი დაუჭერია. ამ სოფლის მდებარეობა სტრატეგიულად ჩვენთვის დიდად ხელსაყრელი იყო, მაღლობიდან გადასცქეროდა მურღულის ვაკეს, სადაც ბრძოლა იწყებოდა. ამ ვაკეს ორი მხრიდან სიმაღლეები ერტყმოდნენ. ვაკეზედ რუსები გაიშალნენ. ვხედავდით საკუთარი თვალებით, როგორ დაგვიწყეს ზარბაზნებით, ტყვიის მფრქვევლებით და თოფებით სროლა. მხოლოდ ჩვენი ძალებით ვერას გავაწყობდით. გვეხმარებოდნენ ოსმალების ჩეთები (არარეგულარული ჯარი) ქიამილ ბეი თავდგირიძის, ოსმალთა ოფიცრის, ქართველ მუსულმან გოგიტიძის და ორიოდე სხვა ოფიცრის უფროსობით. ჩვენს ჯარს, თუ ესე ითქმის ჩვენი ჯერ კიდევ არასაკმარისად გაწვრთნილი მებრძოლების შესახებ, ვხელმძღვანელობდით ლეო, მელიტონ ქარცივაძე და მე. თან გვახლდნენ გერმანიის ემისარი მოზელი და ფონ შმიდტი. მოკლე ბჭობის შემდეგ გამოვიმუშავეთ შემდეგი გეგმა: ბაშკოის და მის ფერდობებს ლეო და მელიტონი დაიცავენ. მე საჩქაროდ გავამაგრებ ბაშკოიდან მარცხენა მთას, რუსების მარჯვენა ფრთის პირისპირ, ხოლო გოგიტიძე შეეცდება შორიდან მაინც რუსების ზურგს შეეპაროს. უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ იმ დროს არც ზარბაზანი და არც ტყვიის მფრქვეველი არა გვქონდა. თოფებიც სხვა და სხვა წარმოების: – ოსმალების, გერმანელების და რუსების. ჩვენი იაპონური კარაბინები არხოვეში დაიწვნენ. ტყვიაც მხოლოდ იმდენი გვქონდა, რამდენის ტარებაც შეეძლო მთებში თითო მებრძოლს. ტყვიებს გვაწვდიდნენ, გახურებული ბრძოლის დროს, ადგილობრივი ქალები. მე, ჩემი ხალხით, საჩქაროდ გავეშურე ჩემი პოზიციის გასამაგრებლად. ატყდა საშინელი სროლა. გადავხედე ბრძოლის ველს და შემდეგი გადავწყვიტე: – მტერს არ ვაცნო, რომ ჩემს მთაზე შეირაღებული ძალები იმყოფებიან. რუსებს იერიში მოჰქონდათ უმთავრესად სოფელ ბაშკოის უკან ასაღებად. ვფიქრობდი: თუ დავინახე, რომ ლეო ვერ უძლებს და უკან დახევას იწყებს, მთელი ჩემი პატარა

ძალებით გვერდიდან შევეჭრები რუსთა ჯარის რიგებს, რითაც ლეოს მივცემ თავისუფალი დახევის საშუალებას. ჩემს ხალხს ბრძანება მივეცი: ბუჩქებს უკან დაწოლილიყვნენ, რუსებმა რომ ვერ დაგვინახონ და არავითარ შემთხვევაში ჩემს ბრძანებამდე არ ესროლათ. თურქთა ერთი გამოცდილი უნტერ-ოფიცერი წავიყვანე და ცოტა წინ წავიწიე, რომ რუსთა მოძრაობისთვის თვალი მედევნა. დურბინტი არა მქონია, თუმცა შორმსჭვრეტელი ვიყავი და ბრძოლის მსვლელობას კარგად ვხედავდი. რუსებმა ჩემს პოზიციას ტყვიის მფრქვეველები დაუშინეს. ჩემმა მებრძოლებმა ვერ მოითმინეს და სროლითვე უპასუხეს. გავგზავნე თურქი ბრძანებით: – სროლა შეეწყვიტათ. ვერას გახდა. მითხრა: ბატონო, ეს შიშით მოსდით. ადგა, გაიმართა მთელი თავისი სიმაღლით, გაშალა გვერდით მკლავები და დაიძახა: – „ხომ ხედავთ, საშიში არა არის რა!" ამან უკეთ იმოქმედა ლეგიონერებზე, ვიდრე ჩემმა ბრძანებამ და უნტერ-ოფიცრების მათრახებმა. სროლა ჩვენი მხრიდან შეწყდა. რუსები წინ იწევდნენ, მიუახლოვდნენ ბაშკოის და შეჩერდნენ. გადავწყვიტე: ეხლა დროა გვერდიდან გავუხსნათ ცეცხლიჲ და ცოტა ხნის შემდეგ იერიშზე გადავიდეთ. გავეცი ბრძანება ლეგიონერებს დიდი სროლა და ყიჟინი აეტეხათ. ამავე დროს ბაშკოიდან და ქიამილ ბეის მიერ დაკავებული მთიდანაც სროლის კორიანტელი ატყდა. გოგიტიძესაც მოუხერხებია რამდენიმე მებრძოლით რუსებს ზურგში მოჰქცეოდა. დავეშვი ჩემი ხალხით ფერდობზე იერიშისათვის. ქვევით ერთი ბილიკი იყო. ჩავედით რა ამ ბილიკზე, ვხედავ ლეოც, თავის მებრძოლთა ნაწილით, ამავე ბილიკით მოდის. შევჯგუფდით, შევჩერდით ცოტა და სროლას ვუმატეთ. ლეო და მე ერთ პატარა კლდის ლოდს ამოვეფარეთ და იქედან ცეცხლი გავუხსენით მტერს. თხუთმეტიოდე წუთის სროლის შემდეგ, გადავწყვიტეთ სირბილით გადავიდეთ ჩვენი ხალხით საბოლოო იერიშზედ. ის იყო ფეხზედ ავდექით, რომ რუსის ტყვიის მფრქვეველმა ქვის ნამსხვრევებად აქცია ლოდი, რომელსაც ვეფარებოდით. შევუტიეთ მტერს. მეორე მხრიდან ქიამილ ბეიმაც შეტევა მიატანა რუსის ჯარს. აირივნენ რუსთა რიგები და გაქცევა განიზრახეს, მაგრამ გზა მოჭრილი ჰქონდათ. ააფრიალეს რამდენიმე დიდი თეთრი ბაირაღი. თითქმის მთელი რუსთა ჯარი, ოფიცრებით და მათ უფროსთან, ართვინის გუბერნატორ ლავროვთან ერთად ტყვედ ჩაგვბარდნენ. ხელთ ვიგდეთ ზარბაზანი, რამდენიმე ტყვიის მფრქვეველი და სხვა იარაღი.

შიგ მურღულში რომ შევდიოდით, დავინახე ერთი თურქის ახალგაზრდა მომაკვდავი ოფიცერი. ტყვია მკერდში მოხვედროდა: – მკერდიდან ჰქონდა პატარა ჭრილობა, მაგრამ ზურგის ერთი ბეჭი თითქმის სულ გაგლეჯილი ჰქონდა დუმ-დუმითა[18]. ახლოს ფონ შმიდტი იდგა, რევოლვერი ხელში ეჭირა და მითხრა: სჯობს მოვკლა, დიდად იტანჯვის და გადარჩენის არავითარი იმედი არ არის, მით უმეტეს, რომ ექიმსაც ვერსად სიახლოვეს ვერა ვნახავთ. ვუპასუხე, თუ თქვენ ამ კაცს მოკლავთ, მე თქვენ, როგორც მკვლელს, თავად გამოგასალმებთ ამ წუთისოფელს. ღმერთს ეკუთვნის ამ კაცის სიცოცხლეც და სიკვდილიც! შმიდტმა რევოლვერი ჯიბეში ჩაიდო და კვლავ გაიმეორა: – მადლსა ვიზამდი, რომ მომეკლაო. შემდეგ ეგ მომაკვდავი ოფიცერი ბერლინში ვნახე. მორჩენილიყო. ცხვირი და ლოყა კი საშინლად დამახინჯებული ჰქონდა. მიხა წერეთელმა მითხრა, ამ უბედურს უეჭველად ცუდი ავადმყოფობა ღრღნისო. გამეცინა და ვუამბე ამ საწყალი ოფიცრის ისტორია. შემდეგში ოსმალებს ვუთხარი: – რუსები დუმ-დუმსა ხმარობენ მეთქი. მიპასუხეს: არა, რუსები დუმ-დუმს არ ხმარობენ. თუ თქვენ დუმ-დუმით დაჭრილი ნახეთ, უეჭველად რუსის ჯარში მყოფი სომხის ჩეტეს (არარეგულარული ჯარის) ნასროლი იქნებაო.

---

18 დუმ-დუმი (ინგლ. **Dum-Dum Bullets**) – ფეთქებადი ტყვიები, რომელთა გამოყენება, ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომამდე იკრძალებოდა მთელ რიგ საერთაშორისო კონვენციათა მიერ.

მურღული პატარა, მაგრამ სუფთა ქალაქი იყო. ამერიკელების საზოგადოებას იქ სპილენძის მაღაროების კონცესია გაეხსნა. ამ საზოგადოების მშვენიერ ვილაში დავბანაკდით. მე კომენდანტად დავინიშნე. ტყვექმნილი ლავროვიც იქ მოვათავსე. მცველებს განკარგულება მივეცი კარგად მოპყრობოდნენ. დავამშვიდე ლავროვი. ვუთხარი, რომ ჩვენი მფარველობის ქვეშ იქნება და თუ რაიმე სურვილი აქვს, საკმარისია ჩემ მიერ მიჩნეულ მსახურს უბრძანოს და აუსრულებს. ტირილი აუტყდა, ჩემი ცოლი ართვინში დავტოვე და ალბათ დაიღუპაო. სწორედ ამ დროს მოვიდა რამდენიმე ართვინელი და მითხრეს, – ლავროვის ცოლი ღამე ჭოროხით გაიქცა და ვიცით, გადარჩაო. სიხარულით ტირილისაგან ლავროვს გული კინაღამ შეუწუხდა. დავამშვიდე. ვუთხარი, ნუ გეშინია, მე ჩემს მეუღლეს ვთხოვ, რომ ჟენევიდან წერილით აცნობს თქვენებს, რომ თქვენ ცოცხალი და ჯანმრთელი ხართ, რაც მართლა ავუსრულე. წავედი ოფიცერთა კლუბში. იქ მოეყარათ რუსის ყველა ოფიცრებს თავი. გამოვეცნაურე და დავამშვიდე, – ჩვენი ქართველების მფარველობის ქვეშ იქნებით, და, მართალია, თურქებს უნდა გადაქცეთ, რადგან ჩვენ ჯერ მოწყობილი არა ვართ ტყვეები შევინახოთ, ვთხოვ კარგად მოგეპყრონ. დამშვიდნენ. დავალევინე ღვინო. საჭმელიც და ღვინოც კლუბში საკმარისი იყო.

დავუბრუნდი ამერიკელების ვილას. შევადგინე სია ჭურჭლისა, ვერცხლეულობისა, ავეჯისა, ტანსაცმელისა, ფულისა და სხვა ყველა საგნებისა. მოვაწერე ხელი, ჩავკეტე კარადებში და დავლუქე. გავეცი ბრძანება: – ხელი არავინ ახლოს, – ომის შემდგომ ეს ქონება პატრონს დაუბრუნდება მეთქი. ერთი კვირის შემდეგ, ხოპედან მურღულში რომ დავბრუნდი, მთლად გაძარცვული დამხვდა მთელი ეს სიმდიდრე. ქალაქში პირველივე დღეს დაიწყო ძარცვა უპატრონოდ დარჩენილი სახლების, ფოსტისა და სხვა დაწესებულებისა. დავაყენებდი ამა თუ იმ სახლის წინ მცველებს, და ეს მცველები თავად ძარცვავდნენ. ვერაფერს გავხდი. დავინახე შორს, ვაკეზე, ერთი გუნდი ოსმალთა ჟანდარმერიის მიდიოდა. დავაწიე კაცი, თხოვნით მურღულს დარჩენილიყვნენ რამდენიმე საათით. მოვიდნენ დაღლილნი, დამშეულნი. ვაჭამე პური, დავასვენე ცოტაოდენი და მივეცი განკარგულება ძარცვა შეეჩერებინათ. ორიოდე საათში მართლაც წესრიგი დაამყარეს. ვუთხარი მადლობა და გავისტუმრე. ცხადია, ვერც ამან უშველა. ჩვენ სამი თუ ოთხი დღე დავრჩით მურღულში. დავტოვეთ თუ არა ქალაქი, უმალვე განახლდა ძარცვა.

მარადიდამდის თითქმის უბრძოლველად ვიკაფავდით გზას. მარადიდში მოწინავე პოსტი დავამყარე და ბინად ხოპე მივიჩინეთ. გვიხდებოდა ხშირი სროლა. ჩვენი სუსტი ძალებით, რასაკვირველია, ბათუმზე გალაშქრება შეუძლებელი იყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ხოპეში მოვიდა ერთი მშვენიერი პოლკი თურქების ჯარისა. ამ პოლკის უფროსი იყო ობერსტი (პოლკოვნიკი) ფონ შტანგე, სამაგალითო ტიპი გერმანელი ოფიცრისა. რამდენიმე ზარბაზანი თან ახლდა. მისი ჯარი გავლით იყო ხოპეში. სხვა ფრონტი იყო მისი დანიშნულება. გავაცანით ფონ შტანგეს ჩვენი მდგომარეობა. მოისურვა ჩვენთან ერთად გასცნობოდა ადგილობრივ სამხედრო ვითარებას. შტანგე თავისი შტაბის ორი ოფიცრით, ლეო და მე წავედით სულ წინა პოსტებზედ. ცხენები თან გვახლდნენ, – ჯარისკაცებს მოჰყავდათ, ჩვენ კი ამერიკელების ავტომობილით (მე ვატარებდი) მივედით ერთი მთის გზაზე წამოწეულ ცხვირთან. იმის იქით საშიში იყო ავტომობილით სვლა, რადგან რუსთა ფრონტთან სულ ახლოს ვიყავით. აქ მინდა ავღნიშნო ერთი ეპიზოდი. საქართველო რომ განთავისუფლდა, ლეოსთვის უამბნიათ ძმებს თარხნიშვილებს. ერთის სახელი მიტო იყო, მეორესი კი არ მახსოვს. რუსთა ჯარში მოხალისედ ყოფილან. დაგინახეთო, – უთქვამთ მათ, – რამდენიმე ოფიცერი. ოსმალები გვეგონეთ და მიზანში ამოგიღეთ. ის იყო სროლა უნდა აგვეტეხა, რომ დურბინდში გიცანით და

ერთმანეთს ვუთხარით: ძმანი კერესელიძეები არიან, ღმერთი არ გაგვიწყრეს და არ დავხოცოთო. გიცანით, მით უმეტეს ადვილად, რომ თქვენი ამბავი ვიცოდითო.

ფონ შტანგემ გამართა თათბირი. გამოგვკითხა, თუ რა სტრატეგიული პუნქტები გვეჭირა მარადიდის გარდა. ავუხსენით. გვითხრა: – მივიტანოთ საერთო ძალებით იერიში. იმედი მაქვს, თუ ბათუმში ვერ შევიჭრებით, რუსებს დიდ ზიანს მაინც მივაყენებთ. მარადიდში დააყენა თავისი ჯარის ნაწილი. ჩვენ ჩვენი ნაწილი ქალაქიდან გამოვიყვანეთ, რადგან მთელი ჩვენი ძალები დამხმარე ფორმაციაში უნდა მოგვექცია და ამისათვის დაგვერაზმა. შტანგემ ენვერ ფაშას (ოსმალთა სამხედრო მინისტრს) დეპეშით აცნობა თავისი გადაწყვეტილება და ნებართვას სთხოვდა, რამდენიმე დღით ჩვენთან დარჩენილიყო. უარი მიიღო. განმეორებით მოითხოვა შტანგემ ნებართვა. მიიღო კატეგორიული უარი და ბრძანება, დაუყოვნებლივ წასულიყო იქ, სადაც ენვერ ფაშა უბრძანებდა. მოგვშორდა ეს მშვენიერი პოლკი. დავრჩით ისევ ურეგულარო ჯარით. კარგა ხანს ვუძლებდით. ფრონტიდან ხალხსა ვგზავნიდით საქართველოში. საქართველოდანაც გადმოდიოდნენ ჩვენთან თავგანწირული პატრიოტები. მალე, უმთავრეს ფრონტზედ ოსმალები იძულებულნი იყვნენ უკან დაეხიათ და დაპყრობილი ადგილები დაეტოვებინათ. ჩვენ თითქმის სრულიად მოჭრილი დავრჩით. ბოლოს, იძულებული ვიყავით ჩვენც დაგვეხია. დავბრუნდით ვიწეს. ვიწედან მალე ჩავედით ტრაპიზონში.

ტრაპიზონში თურქებმა გვითხრეს, ფოთში ჯარის გადასხმას ვამზადებთ. მიიღეთ თქვენც მონაწილეობაო. ჩვენ სამზადისს შევუდექით, რადგან არაგვსურდა საქართველოს მიწა-წყალზე თურქები უჩვენოდ შესულიყვნენ. ხელშეკრულების მიხედვით, ჩვენ კონტროლის უფლება გვქონდა. ჩვენი მოვალეობა იყო, დაგვეცვა ჩვენი ხალხის ინტერესები. ვიცოდით, გერმანელები მხარს დაგვიჭერდნენ. ხოლო ამ სამზადისმა უნაყოფოდ ჩაიარა. ორი თურქის ფლოტის უძლიერესი გემი „გებენ" და „ბრესლაუ" იძულებულნი იყვნენ თვალყური ედევნათ დარდანელისათვის. ამ გემების დაუხმარებლივ, ფოთის ოპერაცია საშიში იყო. ეს ორი გემი გერმანელებისა იყო. ომის დასაწყისში ინგლისის ფლოტი დაედევნა მათ მოსასპობად. გერმანულმა გემებმა გზა ოსმალეთის წყლებისაკენ აიღეს და რადგან სიმარდით და შორს მსროლელობით ინგლისელებს აღემატებოდნენ, უვნებლად მიაღწიეს დარდანელს. რუსის ფლოტი, მათი შიშით პორტებიდან გასვლას ვერ ბედავდა.

ამ დროს მიხეილ წერეთელი სტამბოლში გავგზავნეთ, გერმანელთა საელჩოსთვის ორი რამე ემცნო: ჩვენი უკმაყოფილება თურქების მიმართ და მოთხოვნა ვინმე მოზელი, გერმანელების წარმომადგენელი ჩვენ კომიტეტთან, უკან გაეწვიათ. მიხეილი დავტოვეთ სტამბოლში კომიტეტის წარმომადგენლად საელჩოსთან. დამახასიათებელი გერმანელების ჩვენდამი კეთილი განწყობილებისა შემდეგიც არის: საელჩოში მიხეილი შეხვდა ფონ დერ გოლცს, ანუ გოლც ფაშას. ფონ დერ გოლცმა გადაახალისა, ახლად მოაწყო ოსმალთა ჯარი და ომის დროს უფროსობდა ოსმალთა პირველ და მეექვსე არმიებს. მან მეგობრულად ურჩია მიხეილს: – თქვენი ერი არ ააჯანყოთ. თქვენი აჯანყების მოსასპობად ორიოდე დივიზიაა საკმარისი. ჩვენთვის ორიოდე დივიზიით მეტი იქნება რუსის ჯარი, თუ ნაკლები, – დიდი მნიშვნელობა არა აქვსო.

რასაკვირველია, მიხეილმა მადლობა გადაუხადა და უთხრა: კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს, არათუ აჯანყებას ხელი არ შეუწყოს, არამედ მიიღოს ყველა ზომა, რომ ის არ მოხდეს. ეს იციან გერმანელებმაც და ოსმალებმაც. და თუ აჭარაში აჯანყება მოხდა, – ეს იქნება კომიტეტის სურვილის წინააღმდეგო.

კომიტეტს კარგად ესმოდა თავისი პასუხისმგებლობა ერისა და ისტორიის წინაშე. უცილებელი იყო საქართველოსთან უშუალო კავშირის გაბმა. ამისათვის კომიტეტის ერთ-ერთი წევრი უნდა გაგვეგზავნა ჩვენს ქვეყანაში. გიორგი მაჩაბელს ლეგალური

პასპორტი ჰქონდა და როდესაც ოსმალეთი ჯერ კიდევ არამეომარი სახელმწიფო იყო, მას შეეძლო ნაკლები რისკით ჩასულიყო საქართველოში და იქ ემოქმედა. ცხონებული გიორგი ჭკუით, ნიჭით, ენერგიით და ცოცხალი ინიციატივით იყო ბუნებისაგან აღჭურვილი, ამასთან გამბედავი და დიდი მამულიშვილი. დავავალეთ ქართველთა ყველა პარტიების ხელმძღვანელები, გავლენიანი პირნი, გაზეთების რედაქტორები, და, საერთოდ, ვისაც საჭიროდ ჩათვლიდა, ენახა და მათთვის გაეცნო ჩვენ მიერ დადებულ ხელშეკრულებათა ტექსტები, ჩვენი მიზნები, იმედები, ნამოქმედარი და მომავალი საქმიანობის გეგმები.

აქ მოთხრობის მსვლელობას უნდა გავუსწრო და დავამთავრო გიორგის საქართველოში პირველი ჩასვლის შედეგების აღწერა.

ყველამ, გარდა ორის გამოკლებით, რომელთაც არ სჯეროდათ ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების შესაძლებლობა, დიდად მოიწონა ჩვენი ინიციატივა და საქმიანობა. ნოე ჟორდანიამ შემოგვითვალა: ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. თქვენ მანდ იმოქმედეთ, ჩვენ აქ ვიმოქმედებთ, – თუ გერმანიამ გაიმარჯვა, – საქართველოს თქვენ მოუარეთ, თუ რუსეთი გამოვიდა გამარჯვებული, – ჩვენ ვეცდებით ჩვენი ერის ბედი გავაუმჯობესოთო. ევგენი გეგეჭკორიმ განაცხადა: წამიყვანეთ თქვენთან სამოქმედოთ, მზადა ვარ ეხლავე წამოვიდეო. გენერალ გაბაშვილმაც იგივე სურვილი გამოსთქვა. სპირიდონ კედია, დათა ვაჩნაძე, რეზო გაბაშვილი და სხვანი მათი ჯგუფისა, ჩვენ სავსებით შემოგვიერთდნენ და იკისრეს მოაწყონ მომავალში ჩვენ მიერ საქართველოში, ზღვის ქვეშ მავალი ნავებით თუ სხვა საშუალებებით გაგზავნილი იარაღის, ხალხის, ლიტერატურის თუ სხვა საგნის მიღების საქმე, და ეს პირნათლად შეასრულეს.

ამ რიგად ჩვენს კომიტეტს საქართველოში არა მარტო იდეური მომხრეები ყავდა, არამედ კიდევ, რაც უმთავრესია, ცოცხალი, მომქმედი ორგანიზაცია უმაგრებდა ზურგს, საქმიანობას უადვილებდა. და როდესაც ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაარსდა, საქართველოსთან ჩვენი კავშირი სავსებით უშუალო შეიქმნა. ნაციონალ-დემოკრატია უკვე საქართველოში მომქმედი ჩვენი ნაწილი იყო. ეს გვიადვილებდა საქართველოსთან მიმოსვლას ზღვის ქვეშ მავალი ნავებით. ვიცოდით ფრონტიდან გაგზავნილ ხალხს ვისთვის უნდა მიემართა, ვისთვის მიეტანა ჩვენი ამბები და ვისგან მოეტანათ ჩვენთვის საქართველოში მომქმედ ძალის საქმიანობა. ნაციონალ-დემოკრატია, ან მის დაარსებამდე ჟურნალ „კლდეს" ხელმძღვანელნი ავალებდნენ სანდო ხალხს გერმანელებთან ტყვედ გადასულიყვნენ და ჩვენთან ეთანამშრომლად. ბევრი თავგანწირული ვაჟკაცი პატრიოტი მოგვემატა.

გიორგი მაჩაბელმა, გერმანიაში დაბრუნებამდე, ინახულა პეტერბურგში თავისი ძველი მეგობარი ვასილ დუმბაძე. რუსეთის სამხედრო მონისტრის, გენერალ სუხომლინოვის ახლო მეგობარი იყო ვასილი, და, ამბობენ, დიდი გავლენა ჰქონდა მინისტრზედ. გიორგიმ გააცნო დუმბაძეს ჩვენი მიზნები, იმედები, ჩვენ მიერ დადებული ხელშეკრულებანი, რომელთა ძალით გერმანია, ავსტრია და ოსმალეთი წინასწარ სცნობდნენ ჩვენი ქვეყნის სრულ სუვერენობას, აღუთქვამდნენ მეგობრობას და ყოველნაირ დახმარებას ეროვნული საზღვრების დასაცავად. ვასილი დაჰპირდა: მე თქვენ სრულ განკარგულებაში ვიქნებიო. შემდეგში დუმბაძე მიემგზავრებოდა ჩრდილო ამერიკაში, რუსის არტილერიისათვის ყუმბარების შესაკვეთად. სტოკჰოლმში, გიორგიმ შეახვედრა ვასილს გერმანიის სამხედრო ატაშე. ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ, დუმბაძე გვარწმუნებდა: მე ყუმბარების ყალბი კალიბრი მივეციო. არ ვიცი თუ მართლა ესე მოიქცა, ხოლო ერთი კი უეჭველად ცხადია: სუხომლინოვიც და დუმბაძეც სამართალს მისცეს ღალატისათვის და სიკვდილი გადაუწყვიტეს. ბოლშევიკების რევოლუციამ გადაარჩინა. პირადად მე, დუმბაძე მხო-

ლოდ ომის შემდეგ გავიცანი. ნამდვილი პატრიოტის შთაბეჭდილებას ახდენდა და საერთოდ, ყველას სიმპატიებს იწვევდა. ვინც მას დაახლოებით იცნობდა, აქებდა. შემდეგ შეერთებულ შტატებში ცხოვრობდა და, რამდენადაც ვიცი, ჩვენს მთავრობას დიდი სამსახური გაუწია[19].

* * *

1915 წლის ბოლოს, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და მიხეილ წერეთელმა, ბერლინში ჩვენი კომიტეტის წარმომადგენელმა, მთხოვეს ჩავსულიყავი ამ დედაქალაქში, რათა საკუთარ თავზე ამეღო გერმანიის და ავსტრო-უნგრეთის ტყვეთა ბანაკებში მყოფი ჩვენი სამხედრო ტყვეების მოვლა. ჩემი კომპეტენციის სფეროში შედიოდა პროპაგანდა და ზოგადად პოლიტიკური საკითხები. ვეწვიე თითქმის ყველა ტყვეთა ბანაკს. დავაარსე ყოველკვირეული „ქართული გაზეთი", რომელიც ომის დასასრულამდე იბეჭდებოდა. ამ გაზეთს უზარმაზარი წარმატება ჰქონდა. ამას ადასტურებს ათასობით წერილი, გამოგზავნილი ჩემს სახელზე. ზოგიერთი მათგანი ამ გაზეთში დაიბეჭდა კიდეც. გაზეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანი, გერმანიის მიმართ ქართველი ხალხის სიყვარულის გრძნობის გაღვივება გახლდათ.

უნდა ვთქვა, რომ გაზეთმა მნიშვნელოვანწილად ხელი შეუწყო ამ გრძნობის ზრდას. ამას სრულიად ადასტურებს ჩვენი კომიტეტის წარმატებითი მოღვაწეობაც, რომელსაც ზურგს უმაგრებდნენ ფელდმარშალ ჰინდენბურგის ბრწყინვალე გამარჯვებები რუსულ ფრონტზე. ჰინდენბურგი, ლუდენდორფი, მაკენზენი და კრესს ფონ კრესსენშტაინი, ქართველი ხალხის ლეგენდარულ გმირებად იქცნენ. საქართველოში ითხზებოდნენ მათი და გერმანიის განმადიდებელი სახალხო სიმღერებიც კი. ზოგი ამ სიმღერებიდან, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს, დაბეჭდილ იქნენ „ქართულ გაზეთში". ეს გაზეთი ვრცელდებოდა საქართველოშიც, ან ჟენევის გავლით, ან წყალქვეშა ნავების მეშვეობით.

გაზეთი გამოდიოდა ცენზურის გარეშე და თავისუფლად ვრცელდებოდა ტყვეთა ბანაკებში. ასეთი იყო გერმანული მთავრობის ნდობა ჩვენს მიმართ.

ვბეჭდავდით მრავალ პროპაგანდისტულ მასალას გერმანულად, ფრანგულად, ინგლისურად და ესპანურად. ვაწყობდით დამონებულ ერთა კონფერენციებსა და კონგრესებს, რომლებისგანაც ცნობილი იყო სტოკჰოლმის[20], და, განსაკუთრებით, ლოზანის კონფერენცია[21].

---

19 ამ ადგილას სრულდება გიორგი კერესელიძის მემუარების ქართული ტექსტი. მოგონებათა შემდგომი და ბოლო ნაკვეთი თარგმნილია ფრანგული ენიდან გ. კერესელიძის არქივში დაცული ავტობიოგრაფიული ხასიათის ნარკვევიდან, რომელიც მან 1958 წლის მარტში გაუგზავნა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს. იხ.: G. Keresselidzé, A Monsieur le directeur du ministère des Affaires étrangères, Bonn, 25. 3. 1958. G

20 იგულისხმება 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს ქ. სტოკჰოლმში (შვედეთი) შემდგარი ევროპელი სოციალისტების თათბირი, სადაც მ. წერეთელმა და გ. მაჩაბელმა გადასცეს სოციალისტთა ლიდერებს მემორანდუმი „საქართველოს უფლება დამოუკიდებლობაზე" (Le droit de la Géorgie à l'indépendance). ხსენებული მემორანდუმის ფრანგული ტექსტი დაცულია გ. კერესელიძის არქივში.

21 იგულისხმება რუსეთის იმპერიაში ძალდატანებით ინკორპორირებულ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მოქმედების კოორდინაციის მიზნით გერმანელთა დაფინანსებით შექმნილი „რუსეთის დაჩაგრულ ერთა ლიგის" მიერ ქ. ლოზანაში (შვეიცარია) 1916 წლის 27-29 ივნისს მოწყობილი „ერთა კავშირის" მესამე კონფერენცია. ხსენებულ კონფერენციაზე, საქართველოს შესახებ საანგებო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი მ. წერეთელი. იხ.: ლ. ბაქრაძე, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წწ. თბილისი, „პეგასი", 2009, გვ. 113-132.

რუსეთის თებერვლის რევოლუციის დროს, ჟენევიდან გავუგზავნეთ ტელეგრამები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ვილსონს, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს ლოიდ ჯორჯს, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს პუანკარეს და რუსეთის დროებითი მთავრობის თავმჯდომარეს თავად ლვოვს[22], რომლებშიც ვახსენებდით მათ საქართველოს უცილობელ უფლებებს დამოუკიდებლობაზე. საქართველოში გაგზავნილი ტელეგრამების, წერილებისა და ადამიანთა მეშვეობით, ვარწმუნებდით ჩვენს ხალხს გამოჰყოფოდნენ რუსეთს.

1917 წელს[23], გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გვაცნობა, რომ გენერალ-ფელდმარშალ ჰინდენბურგს სურს ჩვენი შეხვედრა გენერალ კრესს ფონ კრესსენშტაინთან, რომელიც მან დანიშნა საქართველოში გასაგზავნი ჯარების მეთაურად. შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა ფონ ნადოლნი, შედგა მთავარ გენერალურ შტაბში. გენერლის დიდსულოვნებამ, მისმა კეთილმა განწყობამ ჩვენი საქმის მიმართ, ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს. მან ეს დაგვიმტკიცა საკუთარი ქმედებებით საქართველოში. ჩვენი ხალხი გენერალს „ჩვენს კრესს" უწოდებდა.

ინგლისელთა საქართველოში შემოსვლის შემდეგ, მათ მოსთხოვეს ჩვენს მთავრობას გადაეცათ მათთვის ყველა გერმანელი, რაზეც კატეგორიული უარი მოუვიდათ. ქართველებმა შეადგინეს შეიარაღებული დაცვის რაზმი, თავად დ. ვაჩნაძის მეთაურობით, რომელიც მზად იყო ცეცხლი გაეხსნა ნებისმიერი პირისთვის, ვინც კი შეეცდებოდა ცუდად მოპყრობოდა გერმანელებს, და ასე მიაცილეს გენერალი და მისი ჯარი საზღვრამდე. როდესაც ინგლისელთა ტყვეობაში ყოფნის შემდეგ, კრესს ფონ კრესსენშტაინი დაბრუნდა თავის ქვეყანაში, დოქტორ კინდს მის საპატივსაცემოდ ვახშამი გაუმართავს.

მისი სადღეგრძელოს შესმისას, მივმართე მას შემდეგი შინაარსის სიტყვით: „გენერალო, თქვენ გულუხვათ სთესეთ მეგობრობის კეთილი თესლი საქართველოს დალოცვილ მიწაზე. თქვენმა სამშობლომ, მისდა საუბედუროდ, წააგო ომი და ვშიშობ, რომ ეს მისი უბედურება არ აღმოჩნდეს უფრო დიდ უბედურებად ჩემი სამშობლოსთვის. ომში გამარჯვებულებმა გაიძულეს მოშორებულიყავით ხალხს, რომელიც თქვენ უკვე გიწოდებდათ „ჩვენს კრესს", რაც დიდი სიყვარულის ნიშანია. მაგრამ თქვენმა თესვამ უკვე მოიტანა მდიდარი მოსავალი. შევთხოვ ყოვლისშემძლე ღმერთს, რომ ჩვენ ხალხთა ეს მეგობრობა სამარადისოდ დარჩეს შეურყეველი. შევსვამ, გენერალო, თქვენი და თქვენი დიადი სამშობლოს სადღეგრძელოს. მწამს, რომ მისი სიდიადე იქნება გარანტი ჩემი სამშობლოს თავისუფლებისა".

გენერალმა მიპასუხა, რომ საქართველოსთან არის დაკავშირებული მისი გრძელი ცხოვრების საუკეთესო დღეები და მის უდიდეს სურვილს შეადგენს, იხილოს ის თავისუფალი და ბედნიერი.

---

22 იგულისხმება 1917 წლის თებერვალში რუსეთში მონარქიის დამხობის შემდეგ პეტროგრადის დროებითი მთავრობის სახელზე მიხეილ წერეთლის, გიორგი და ლეო კერესელიძეების მიერ გაგზავნილი ტელეგრამა, სადაც ისინი, ქართული ეროვნული პარტიის ევროპული კომიტეტის სახელით, ითხოვდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას 1783 წლის რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ტრაქტატის თანახმად, რომლის მიხედვით, რუსული პროტექტორატის ქვეშ, საქართველოს უნდა განეგრძო არსებობა როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამ მიზნით, საქრთველოში უნდა მოეწვიათ დამფუძნებელი კრება, რომელსაც უნდა მოეგვარებინა ურთიერთობა რუსეთთან. გარდა ამისა, რუსეთის მთავრობას უნდა გაეწვია საქართველოდან რუსი ეგზარქოსი და აღედგინა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია. ტელეგრამის სრული ტექსტი იხ.: Les Annales des nationalités. Bulletin de l'Union des nationalités, Lausanne, 1917, n° 3-4, p. 82-83.

23 შეცდომაა. უნდა იყოს 1918 წელი.

1919 წელს, თუ კი მეხსიერება არ მღალატობს, ბატონი რაუშერი დანიშნულ იქნა გერმანიის ელჩად საქართველოში. საქართველოს ლეგაციამ მის საპატივცემლოდ ვახშამი გამართა, რომელსაც ესწრებოდა ბატონი მიულერი, – გერმანიის მთავრობის თავმჯდომარე, ბატონი ჰანნიში, – განათლების მინისტრი, დოქტორი პარვუსი, რომელმაც უზრუნველყო რუსეთში ლენინისა და მისი ბანდის გამგზავრება და სხვები. საქართველოს ხალხისა და მთავრობის სახელით მე გამოვხატე ჩვენი რწმენა, რომ ის გააგრძელებს იმ წარმატებულ პოლიტიკას, რომელსაც საქართველოში საფუძველი ჩაუყარა გერმანიის იმპერიის მთავრობამ. კერძოდ კი, მეგობრობისა და კეთილი ურთიერთობების პოლიტიკას. შესაძლოა, საქართველო არ არის საკმარისად დიდი იმისათვის, რომ მნიშვნელოვანი წონა ჰქონდეს მსოფლიო პოლიტიკაში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ კი მას მიეცემა საკმარისი დრო, ის შეძლებს კავკასიის ხალხთა გაერთიანებას ერთ პოლიტიკურ წარმონაქმნში და მოლაპარაკებას უკრაინასთან და სხვა მის მეზობლებთან. ასეთ შემთხვევაში, მისი პოლიტიკური წონა მნიშვნელოვნად გაიზრდება. საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები, მისი ტყეები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, შესაძლოა გაიცვალოს გერმანულ ინდუსტრიულ ნაწარმზე. ქართველ ხალხს ურჩევნია, უპირველეს ყოვლისა ივაჭროს გერმანიასთან, რომელსაც ის თვლის ნამდვილ მეგობრად, რომელიც მას უყვარს და რომლითაც აღტაცებულია.

თუ კი მე აქ მომყავს ნაწყვეტები ჩემს მიერ წარმოთქმული სიტყვებიდან, რომლებიც ერთი იდეით არიან გამსჭვალულნი, ამას ვაკეთებ იმიტომ, რომ მას შემდეგ არაფერი შეცვლილა ჩემს აზროვნებაში, ჩემს იმედებში, ეროვნულ-პოლიტიკურ მიზნებში, საგანთა და მოვლენათა შეფასებებში.

აქ, იძულებული ვარ, ისევ დავბრუნდე უკან. ცოტა ხნით ადრე ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციამდე, ფონ ვეზენდონკმა კონფიდენციალურად მაცნობა, რომ ბერლინში ჩამოვიდა თურქული დელეგაცია, რომელმაც აუდიენცია თხოვა იმპერატორს, რათა თურქეთმა ხელში ჩაიგდოს ქართული პორტი ბათუმი, ზოგიერთ სხვა ტერიტორიასთან ერთად. ხსენებული დელაგაციის ხელმძღვანელი ყოფილა შეიხ-ულ-ისლამი, რომელსაც ქართული წარმომავლობა ჰქონდა. აჰმედ ფაშა, დელეგაციის სხვა ფრიად გავლენიანი წევრი, ასევე წარმოშობით ქართველი იყო. ფონ ვეზენდონკმა შემომთავაზა: „აუცილებელია, რომ თქვენმა კომიტეტმა მიიღოს ზომები ამ გაუმართლებელი პრეტენზიების წინააღმდეგ". იმ დღესვე მე, თავად მაჩაბელთან ერთად, გავეშურე შეიხ-ულ-ისლამის სანახავად, რომლის ქართული გვარი ირემაძე იყო და რომელიც ცხოვრობდა „ცენტრალოტელში". მან ყველაფერი გააკეთა, რათა დავერწმუნეთ, რომ თურქეთს საქართველოსგან მეგობრობის მეტი არაფერი უნდა. შემდეგ დღეს ვივახშმეთ აჰმედ ფაშასთან, ძალზედ ცნობილ მაჰმუდ ფაშას უმცროს ძმასთან, რომლის ქართული გვარი თავდგირიძე იყო. აჰმედ ფაშა ამტკიცებდა, რომ ის ბერლინში საკუთარი ქალიშვილის სანახავად-ღა იყო ჩამოსული და მას არ სწამდა, რომ თურქეთს რაიმე ზრახვები ჰქონდა ბათუმის, ან მისი მეგობარი ქვეყნის, საქართველოს რომელიმე სხვა ტერიტორიების მიმართ.

ვინაიდან ამ მხვრივ არაფრის იმედი არ უნდა გვქონოდა, გავაგზავნეთ ტელეგრამები თბილისში. მოვითხოვეთ სასწრაფოდ გამოეგზავნათ ბრესტ-ლიტოვსკში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი. ამის შეუძლებლობის შემთხვევაში, – მიენიჭებინათ ჩვენთვის ეს უფლებები. ჩვენმა გარჯამ უნაყოფოდ ჩაიარა. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ჩვენი მცდელობის მიუხედავად, თურქებმა მიიღეს ლენინისგან და ტროცკისგან ყველაფერი ის, რაც მოითხოვეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, ფონ ვეზენდონკთან მიღების დროს, მე მწარედ ვუსაყვედურე ფონ ნადოლნის ის ზიანი, რაც მიაყენეს ჩემს ქვეყანას ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე. ბატონმა ნადოლნიმ მიპასუხა ხმამაღალი ხმით, როგორც ჩანს იმ

მიზნით, რათა ყველას გაეგო მისი პასუხი, რომ მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდნენ, იმ შემთხვევაში, თუ კი ის დაესწრებოდა ამ საკითხის განხილვას. ამის შემდეგ, მან ასწია მაღლა საკუთარი მუშტი და განაცხადა უფრო ხმამაღალი ხმით: „უჩვენეთ თურქებს რაც შეიძლება ძლიერი მუშტი და ბათუმი დაგრჩებათ თქვენ". და წარმადგინა თურქეთის გენერალურ კონსულს, რომელიც იდგა ჩვენს გვერდით.

როდესაც ჩვენი სრულუფლებიანი მინისტრი, ბატონი ა. ჩხენკელი ჩამოვიდა ბერლინში ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული აღიარების მიზნით, რაიხსკანცლერმა ბეტმან-ჰოლვეგმა უთხრა, რომ იმ შემთხვევაში, თუ კი ქართველი ერის დელეგაცია წარდგენილი იქნებოდა ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციაზე, საქართველო მიიღებდა იმაზე მეტს, რისი იმედიც შეეძლო ჰქონოდა.

ჩვენი მინისტრის და ფონ ვეზენდონკის თხოვნით, დავთანხმდი დამეკავებინა სამხედრო ატაშეს თანამდებობა პოლკოვნიკის ჩინით და ჩვენი ლეგაციის მრჩევლის პოსტი. აუცილებელი იყო, რაც შეიძლება მოკლე ვადებში დამებრუნებინა საქართველოში ჩვენი სამხედრო ტყვეები და ლეგიონი, რომელიც ამ დროისთვის რუმინეთში იმყოფებოდა, რაც შევასრულე კიდეც.

ომის დასასრულს, სასტუმრო „ადლონში" გერმანიის ყოფილი სამხედრო ატაშეს, გენერალ ფონ ლოსსოვის პატივსაცემად გამართული ვახშმის შემდეგ, გენერალმა მიმიყვანა ფანჯარასთან და მითხრა: „ჩვენთვის ამ ომის მოგება უკვე შეუძლებელია. გვაკლია ნავთობი. ურჩიეთ თქვენს მთავრობას დაამყაროს ურთიერთობები ჩვენს მოწინააღმდეგებთან, თქვენი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გადარჩენის მიზნით".

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, გადავწყვიტედ გამოგვეცა ქართულ ენაზე ყოველთვიური ჟურნალი „ევროპის მოამბე", დოქტორ მეკელაინის და ჩემი რედაქტორობით. ომში დამარცხების გამო, ჟურნალის გამოცემა ვერ განხორციელდა.

როდესაც გენერალ ფონ დერ გოლცის (რომელიც, როგორც ამბობენ, გენერალ გოლც ფაშას ნათესავი იყო) „რკინის დივიზიის" ნაწილებმა, ბერლინის მცირე ხნით ოკუპაციის შემდეგ დაიხიეს ქალაქიდან[24], ბატონმა მიულერმა, მთავრობის მაშინდელმა თავმჯდომარემ, მითხრა, რომ არ იცოდა რა სახის ზომები მიეღო მათ მიმართ: „სისხლისმღვრელი ბრძოლების გარეშე, ისინი არასდროს არ გადმოგვცემენ საკუთარ ოფიცრებს და თანამებრძოლებს". მე მას შევთავაზე დაეთმო ისინი ჩვენთვის: „ჩვენ მათ ვუზრუნველყოფთ მიწით, რომელიც საკმარისი იქნება მათი ოჯახების შესანახად, იმ პირობით, რომ ისინი იბრძოლებდნენ ჩვენი ჯარის რიგებში, თუ რუსები შეუტევენ ჩვენს საზღვრებს". – „ამის სურვილი მეც მაქვს, მიპასუხა მინისტრმა, – მაგრამ ინგლისელები არ დაგვრთავენ ამის ნებას".

1922 წლის აპრილის რაპალლოს ხელშეკრულების შედეგად, გერმანულმა მთავრობამ შეგვატყობინა, რომ თავისდა სამწუხაროდ, იძულებულია უარი თქვას საქართველოს რესპუბლიკის აღიარებაზე. მე მივმართე თხოვნით გენერლებს ლუდენდორფს და კრესს ფონ კრესსენშტაინს, მხარი დაეჭირათ ჩვენი პროტესტისათვის. თავის პასუხში, გენერალი კრესსი მწუხარებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ არ შეეძლო ჩვენი დახმარება, რადგან ამ სფეროში არავითარი გავლენა არ ჰქონდა[25].

---

24 ავტორი გულისხმობს 1920 წლის მარტში გერმანიაში მომხდარი ე.წ. „კაპპის პუტჩის" ამბებს, რომლის დროსაც, გერმანიის სოციალ-დემოკრატიული მთავრობის კაპიტულანტური პოლიტიკით უკმაყოფილო უმაღლესი სარდლობისა და ქვეყნის მემარჯვენე-კონსერვატიული წრეების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, მათ მიმართ ერთგული სამხედრო ნაწილების მეშვეობით მცირე ხნით შეძლეს დაეკავებინათ ბერლინი და იქედან განედევნათ ქვეყნის სოციალისტური მთავრობა.

25 დაწვრილებით ამის შესახებ იხ. წინამდებარე პუბლიკაციის დანართში გამოქვეყნებული დოკუმენტები.

გენერალმა ლუდენდორფმა, 1922 წლის 26 დეკემბრის წერილით, დამინიშნა მიუნხენში თავის ვილაზე ჩვენი შეხვედრის დღედ 1923 წლის 20 თებერვალი. მე მას მოვახსენე ჩვენი საქმე და თხოვნა, რათა ფელდმარშალი ფონ ჰინდენბურგი და ის, გამოსულიყვნენ მთავრობის წინაშე ჩვენს სასარგებლოდ. რა თქმა უნდა, მე კარგად მესმოდა, რომ საქმეში მათი ჩარევაც კი, ვერ მოახდენდა გავლენას მთავრობის გადაწყვეტილებაზე. თუმცა, საქმეში მათი ჩარევის ფაქტს, ჩვენი ქვეყნისთვის შეეძლო ჰქონოდა დიდი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა. გენერალმა გამოთქვა თავისი ღრმა მწუხარება: არც ფელდმარშალ ჰინდენბურგს, არც მას, არა აქვთ არავითარი გავლენა რესპუბლიკის მთავრობაზე. „საქართველოს დამოუკიდებლობა, – მითხრა მან, – არ შეიძლება არ აინტერესებდეს გერმანულ მთავრობას, მიუხედავად იმისა, რესპუბლიკური თუ იმპერიული რეჟიმი იქნება გერმანიაში. მაგრამ ომი ჩვენს მიერ წაგებულია და გერმანია ჯერ კიდევ არ არის თავისუფალი საკუთარ მოქმედებებში".

წლების განმავლობაში მე ვხელმძღვანელობდი ქართველ ემიგრანტთა გაერთიანებას გერმანიაში.

1932 წელს, ჩემდა სამწუხაროდ, იძულებული ვიყავი დამეტოვებია გერმანია და საცხოვრებლად გადმოვსულიყავი საფრანგეთში, – ქართველთა ეროვნული აქტიურობის ცენტრში.

დანართი N°1

მიხეილ წერეთელი და გიორგი კერესელიძე – ერიხ ფონ ლუდენდორფს

Berlin W. Brücken – Allee 30B
30. 11. 1922.

მის აღმატებულებას, ბატონ გენერალ-კვარტირმაისტერ ლუდენდორფს

თქვენო აღმატებულებავ,

თქვენი აღმატებულებისთვის რა თქმა უნდა ცნობილია, რომ რუსი ბოლშევიკების წარმომადგენელთა გერმანულ მთავრობასთან მოლაპარაკების შედეგად, უკანასკნელი დათანხმდა რაპალლოს ხელშეკრულების გავრცელებაზე საქართველოზეც, რის გამო იძულებული იქნა ქართული სახელმწიფოს იურიდიულ ცნობაზე უარი ეთქვა. საქართველის საელჩომ ბერლინში, რომელსაც 1918 წლიდან დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის მთავრობასთან, უკვე მიიღო ბერლინის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ნოტა, რომელშიც დიპლომატიურ ურთიერთობათა შეწყვეტა გერმანიის მთავრობასა და ძველ, ევროპის ყველა სახელმწიფოს მიერ, რუსეთის ჩათვლით, იურიდიულად ცნობილ საქართველოს მთავრობას შორის, განმარტებულია როგორც რაპალლოს ხელშეკრულების რატიფიკაციის გარდაუვალი შედეგი.

სადღეისოდ, საქართველო რუსული ჯარის მიერ ოკუპირებული ქვეყანაა, რომელსაც მხოლოდ ერთი, ქვეყნის უცხო ძალების ოკუპაციის შედეგად ამჟამად პარიზში გადახვეწილი ძველი მთავრობა ჰყავს. რადგან „საბჭოთა" საქართველოს ე.წ. დამოუკიდებლობა, თავად ბოლშევიკების მიერ მათვე საკუთარ ინტერესებში შე-

თხზული ფიქცია გახლავთ, საქართველო, გერმანიის რაიხსტაგის მიერ რაპალლოს ხელშეკრულების რატიფიცირების შემთხვევაში, გერმანული მხარის მიერ ამოღებული უნდა იყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სიიდან.

ჩვენთვის, ქართული ეროვნული კომიტეტის ხელმომწერი წევრებისათვის, რომლებიც ომის მძიმე წლების დროს ვთანამშრომლობდით გერმანიასთან და ვსარგებლობდით მისი დახმარებით, ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების მიზნით, ცნობილია, რომ თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, ბრძანდებოდით საქართველოს და კავკასიის დამოუკიდებლობის იდეის უგონიერესი და უგულწრფელესი დამცველი. ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენმა აღმატებულებამ, ომის დროს დაარწმუნა გერმანიის მთავრობა საფუძვლიანად და სერიოზულად განეხილა ეს იდეა; – 1918 წელს ბერლინში ჩამოსული საქართველოს დელეგაციის სურვილის თანახმად, –ეღიარებინა საქართველოს უკვე გამოცხადებული დამოუკიდებლობა. ჩვენთვის ისიც არის ცნობილი, რომ გერმანულმა ჯარებმა სწორედ თქვენი აღმატებულების ინიციატივის წყალობით გაანთავისუფლეს საქართველო რუსებისგან და თურქული საფრთხისაგან, დაამყარეს ქვეყნის შიგნით წესრიგი და დაიცვეს მტრის შემოტევისაგან ახლადშექმნილი ქვეყნის საზღვრები. ჩვენი ახალი სახელმწიფოებრიობა, შეიქმნა გერმანული დახმარებისა და რჩევის საფუძველზე. ქართველი ხალხი, რომელმაც მხოლოდ ერთხელ თავისი ორიათასწლიანი ისტორიის განმავლობაში მიიღო დახმარება და თანაგრძნობა დიდი დასავლეთევროპელი ერისაგან, იყო და მუდმივად დარჩება გერმანიის მადლიერი. საქართველოში შემოსვლის დროს გერმანული ჯარები, ბატონ გენერალ კრესსის მეთაურობით, მადლიერების და აღტაცების გრძნობით იქნენ მიღებულნი. თავად ამგვარი მიღება, სავსებით ადასტურებს გრძნობებს, რომლებიც ქართველ ხალხს გააჩნდა გერმანელთა მიმართ.

ჩვენ დღესაც ვართ დარწმუნებულნი, რომ პოლიტიკურ მოვლენათა არასასურველი მიმართულებით მსვლელობის მიუხედავად, კეთილშობილი გერმანელი, და, უპირველესყოვლისა, თქვენი აღმატებულება, არ განიხილავს მისი მოკავშირე ერის პოლიტიკურ კატასტროფას, როგორც გერმანიისთვის რაიმე უმნიშვნელო პოლიტიკურ მოვლენას. ვინაიდან იმედი გვაქვს, რომ ნაციონალურად განწყობილმა გერმანელმა პოლიტიკოსებმა არ თქვეს უარი საერთო მუშაობის გეგმაზე კავკასიაში და საერთო მიზნების განხორციელებაზე ახლო აღმოსავლეთში, რისთვისაც საქართველოს დამოუკიდებლობა აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ამიტომაც თავს უფლებას ვაძლევთ, თხოვნით მივმართოთ თქვენს აღმატებულებას, რათა თქვენ, თქვენთვის ახლო მდგომ პოლიტიკურ წრეებში, აღიმაღლოთ ხმა იმ ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად, რომელმაც მოიპოვა თავისი დამოუკიდებლობა თქვენივე პოლიტიკური სიბრძნის მეშვეობით. თუ კი თქვენ, ჩვენი სურვილისამებრ, რაიჰსტაგში რატიფიკაციის თაობაზე მოლაპარაკებების დროს, წინაღუდგებით რაპალლოს ხელშეკრულების საქართველოზე გავრცელების შედეგად ქართული სახელმწიფოს მოსპობას, დეპუტატები, თქვენი აღმატებულების გავლენის ქვეშ, დათანხმდებიან თქვენს წინადადებაზე.

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მოკლე აუდიენციას, რათა ამით საშუალება მოგვეცეს მოვისმინოთ თქვენი აღმატებულების აზრი და რჩევა ჩვენი სამშობლოს მდგომარეობის შესახებ.

დოქტორი მიხეილ ფონ წერეთელი
პოლკოვნიკი გეორგ ფონ კერესელიძე

დანართი N°2

მიხეილ წერეთელი და გიორგი კერესელიძე – კრესს ფონ კრესსენშტაინს

M Berlin W. Brücken – Allee 30B
21. 12. 1922.

მის აღმატებულებას,
ბატონ გენერალ
ფრიდრიჰ ფონ კრესს

თქვენო კეთილშობილებავ, პატივცემულო ბატონო გენარალო,

ჩვენ, წინამდებარე წერილის ხელმომწერნი ქართული ეროვნული კომიტეტის წევრები, თავს უფლებას მივცემთ რამდენიმე წუთით მოვიპყროთ თქვენი აღმატებულების ყურადღება.

როგორც სავარაუდოდ უკვე ეცნობა თქვენს აღმატებულებას, რაიხსტაგის კომისიის მიერ რაპალლოს ხელშეკრულების რატიფიკაციის შედეგად, რომელიც ასევე ვრცელდება საქართველოზეც, გაუქმებულ იქნა გერმანიის მიერ ჩვენი სამშობლოს იურიდიული ცნობა. გერმანიის თვალსაზრისით, ამით, ამავე დროს, ანულირებულ იქნა მისი არსებობა როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოსი.

თქვენს აღმატებულებას არ შეიძლება არ ესმოდეს სხვებზე უკეთესად, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩვენ ორთავენი ვიყავით და ვართ გერმანულ-ქართული დაახლოების და მეგობრობის პოლიტიკის მხურვალე მომხრენი და მხარდამჭერები, რამდენად იზარალებს ამის შედეგად ის საქმე, რომელიც დაფუძნებულია ჩვენს საერთო მუშაობასა და ინტერესებზე. ჩვენ, ქართველებმა, მოვიპოვეთ ჩვენი სამშობლოს თავისუფლება მნიშვნელოვანწილად თქვენი აღმატებულების ჩარევით და დახმარებით. ამას ჩვენ არასდროს დავივიწყებთ. ჩვენ ასევე დარწმუნებულნი ვართ, რომ დღესაც კი, მომენტის არასასურველი პოლიტიკური გარემოებების მიუხედავად, გერმანიაში მოიპოვება ბევრი საუკეთესო პიროვნება, რომელთა გული საქართველოსადმი მეგობრობით არის გამსჭვალული.

იმ მეგობრობის და სიმპატიის სახელით, რომელიც თქვენ, თქვენო აღმატებულებავ, დაუმტკიცეთ ჩვენ ქვეყანას და ხალხს, იმ აღტაცებული სიყვარულის და ლტოლვის სახელით, რომელიც თქვენს მიმართ გამოიჩინა ქართველმა ხალხმა, თავს უფლებას ვაძლევთ, თქვენო აღმატებულებავ, გთხოვოთ, რომ თქვენ, რამდენადაც თქვენი მდგომარეობა ამის საშუალებას მოგცემთ, აღიმაღლოთ ხმა თქვენი აღმატებულების გარშემო მყოფ წრეში საქართველოს და მისი თავისუფლების დასაცავად. თქვენი აღმატებულება შეიძლება დარწმუნებული იყოს ჩვენი და ჩვენი ერის გულმხურვალე მადლიერების გრძნობაში.

დარწმუნებულნი იმაში, რომ კვლავ შეუცვლელად არსებობს ის კეთილი ნება, რომელსაც თქვენი აღმატებულება იჩენდა ჩვენი უბედური ერის მიმართ, თავს უფლებას ვაძლევთ გთხოვოთ, გადასცეთ თქვენი აღმატებულებისადმი გაგზავნილ წერილისადმი თან დართული წერილი ბატონ გენერალ-კვარტირმაისტერ ლუდენდორფს. ის შეიცავს დაწვრილებით დასაბუთებას იმავე თხოვნისა, რომლითაც ჩვენ წინამდებარე წერილში მოგმართეთ თქვენ. ამის გარდა, ჩვენ დავრჩებით მეტად მადლიერნი თქვენი აღმატებულებისადმი, თუ კი თქვენ შეგვატყობინებთ თქვენს

აზრს იმის შესახებ, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ ჩვენი მხრიდან იმავე თხოვნით მივმართოთ მის აღმატებულებას, გენერალ-ფელდმარშალ ფონ ჰინდენბურგს.

მიიღეთ, თქვენო აღმატებულებავ, ჩვენი გულითადი მადლობა, უდიდეს პატივისცემასთან და უერთგულეს მოკითხვასთან ერთად.

ქართული ეროვნული კომიტეტის წევრები:

დოქტორი მიხეილ ფონ წერეთელი
პოლკოვნიკი გეორგ ფონ კერესელიძე

დანართი N°3

კრესს ფონ კრესსენშტაინი – გიორგი კერესელიძეს

München
28. 12. 1922.

დიდად პატივცემულო ბატონო ფონ კერესელიძე,

უდიდესი მადლიერების გრძნობით ვადასტურებ თქვენი მხოლოდ გუშინ მოსული 1922 წლის 21 დეკემბრის წერილის მიღებას.

ჩემს წმინდა სამხედრო პოსტზე მიუნხენში, მე იმდენად განზე ვდგევარ ყოველგვარი პოლიტიკური მოვლენისგან, რომ ჩემთვის სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა თქვენი ცნობა იმის შესახებ, რომ რაპალლოს ხელშეკრულების გავრცელება საქართველოზე, გერმანიის მხრიდან საქართველოს დე იურედ აღიარებაზე უარის თქმის ტოლფასია.

მე არ მჭირდება აგიხსნათ თქვენ და ბატონ ფონ წერეთელს, რამდენად ძლიერად განვიცდი მე მოვლენათა მსგავს განვითარებას. ჩემთვის სრულებით უცნობია მიზეზი, რომლითაც ხელმძღვანელობდა საგარეო საქმეთა სამინისტრო თავისი ამგვარი ნაბიჯის დროს. შევეცდები მოვიპოვო განმარტებები ამის შესახებ.

ყოველივე ამის მიუხედავად, მე არ ვკარგავ იმედს, რომ მომავალში მოვლენები კარგად განვითარდება როგორც საქართველოსთვის, ისე ჩემი საყვარელი სამშობლოსათვის. ერი, რომელსაც ქართველი ერის მსგავსად ესოდენ მტკიცედ აქვს განვითარებული ნება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი, ადრე თუ გვიან განახორციელებს თავის წადილს და მიაღწევს საკუთარ მიზნებს. ჩემი აზრით, თურქული განმანთავისუფლებელი მოძრაობა, გვაძლევს ჩვენ ამ თვალსაზრისით მშვენიერ მაგალითს. რა თქმა უნდა, ჩვენ მოგვიწევს ბევრი ტანჯვის გადატანა და ფრიად შესაძლებელია, რომ მხოლოდ ჩვენი შვილები მოესწრებიან მოვლენათა უკეთესობისკენ შემობრუნებას. ქართველები დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ საქართველოს გერმანიაში ჯერ კიდევ ძალზედ ბევრი მეგობარი ჰყავს. რომ უპირველეს ყოვლისა, ყველა გერმანელს, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება გაეცნო და შეეყვარა თქვენი ლამაზი ქვეყანა და მისი რაინდი ხალხი, საქართველოს ბედი ისევე ახლოს მოაქვს გულთან, როგორც საკუთარი სამშობლოსი. სამწუხაროდ, თქვენ თავად იცით, რომ ეს წრე, სადღეისოდ, მოკლებულია რაიმე პოლიტიკურ გავლენას

და იძულებულია დაუცადოს იმ დროს, როცა მოვლენათა დღევანდელი ეტაპი დასრულდება და ისევ დადგება მისი შესაფერი დრო. ის, რომ ადრე თუ გვიან ეს ესე მოხდება, – ამაში მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული.

ჩგენერალ ლუდენდორფისადმი გადასაგზავნი წერილის თაობაზე, ჩემს მიერ უკვე მიღებულია ზომები. ამავე დროს, მე არ ვურჩევდი ბატონებს მიემართად გენერალ-ფელდმარშალ ფონ ჰინდენბურგისთვის. გასაგებ მიზეზთა გამო, ფელდმარშალი განზე დგას ყიველგვარი პოლიტიკისაგან, რის შედეგადაც არ გააჩნია პოლიტიკურ სფეროში სულ მცირე გავლენაც კი. გარდა ამისა, ის მეტად მხცოვანია იმისათვის, რომ აღფრთოვანებულ იქნას რაიმე ახალი სახის იდეებით.

საუკეთესო სურვილებით დამდეგი ახალი წლის გამო და უგულითადესი მოკითხვით თქვენდამი და ბატონ ფონ წერეთელისადმი, ისევე როგორც ქართული სათვისტომოს დანარჩენი წევრებისადმი, ვრჩები თქვენდამი ჭეშმარიტი პატივისმცემის და ძველი ერთგულების გრძნობით გამსჭვალული,

უერთგულესად თქვენი,

ფრიდრიჰ ფონ კრესსი

GIORGI KERESELIDZE

Committee for the Georgian Independence (1914-1918)

Annotation

Giorgi Kereselidze was an outstanding fighter for the freedom of Georgia. He was a member of the group of Georgian separatists that transformed to the Committee for the Georgian Independence before WWI. The Committee made a lot to introduce Georgian Question to Europe and prepared the basement for the Georgian state independence.

Giorgi Kereselidze's memoirs show the activities of the Committee for the Georgian Independence more completely than any other source known for today.

The text of memoirs is found, commented and edited for the publication by Giorgi Mamoulia.

ელიზბარ მაყაშვილი

გაქცევა

ფრაგმენტი ელიზბარ მაყაშვილის მოგონებებიდან

ეს ამბავი ჩემთვის გასული საუკუნის 60-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო. 5-6 წლის ვიქნებოდი. მაშინ პირველად გავიგე ორი რამ: რომ თურმე ადამიანები ხანდახან სიხარულისგანაც ტირიან და რომ მყავს წინაპარი, პაპაჩემის ძმა, საფრანგეთში მცხოვრები ელიზბარ მაყაშვილი.

ერთ დილას მშობლების ოთახში შევდივარ და რას ვხედავ?! საწოლზე წამომჯდარ დედამამას ხელში წერილი უჭირავთ და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდით. ჩემს დანახვაზე თავს მოერივნენ და შეძლებისდაგვარად ამიხსნეს, რომ კარგი ამბის გამო ტირიან. აღმოჩნდა, რომ 30-იანი წლების ბოლოდან ელიზბარის შესახებ საქართველოში არავინ არაფერი იცოდა. ეს კი მისი პირველი წერილი იყო ამ პერიოდის განმავლობაში. თურმე საფრანგეთში გასტროლებზე მყოფი „სუხიშვილების“ მოცეკვავეების მეშვეობით მიაკვლია თავისი ძმისშვილის (მამაჩემის), მიხეილ მაყაშვილის კვალს, რომელიც მისი ერთადერთი ნათესავი იყო საქართველოში.

პაპაჩემს, რომლის სახელიც დამარქვეს, ვერ მოვესწარი. ანდა როგორ მოვესწრებოდი, როცა ფაქტობრივად, მამაჩემიც ვერ მოესწრო. 21 წლის იყო, როცა 1924 წელს ბოლშევიკებმა მამამისთან ერთად დახვრიტეს. ეგ კი არა, აკვანში მყოფმა ექვსი თვის მამაჩემმაც გაატარა დედამისთან ერთად რაღაც ხანი მეტეხში.

ძმისა და მამის ამბავი ელიზბარმა თელავის ციხეში შეიტყო, სადაც ის ქაქუცა ჩოლოყაშვილის ავჯანყების ჩახშობის შემდეგ მოხვდა. ის თვითონ სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ამის შესახებ საუბარია ე. მაყაშვილის მოგონების იმ ფრაგმენტში, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „ახალი ეპოქას“ 2003 წლის 29 აგვისტოს ნომერში.

1927 წელს ელიზბარ მაყაშვილი იძულებული გახდა, გაქცეულიყო სამშობლოდან. მას შემდეგ მისი ოცნება – ენახა თავისუფალი საქართველო, ოცნებად დარჩა. ოცნებადვე დარჩა იმედი, შეხვედროდა თავის ძმისშვილს, რომელიც უკანასკნელად 3 წლისა ჰყავდა ნანახი.

მაშინ საფრანგეთი ძალიან შორს იყო საქართველოდან, ბევრად შორს, ვიდრე დღეს არის. საზღვარგარეთ წასასვლელად მარტო ფული და სურვილი არ იყო საკმარისი. კაპიტალისტურ ქვეყნებში მოსახვედრად საჭირო იყო საბჭოთა უშიშროების სამსახურების კეთილგანწყობა. მაგრამ ელიზბარ მაყაშვილის პიროვნება ამ კეთილგანწყობას ვერ იმსახურებდა. კარგად მახსოვს, რა შესაშური ინტენსივობით უგზავნიდა ელიზბარი მამაჩემს ოფიციალურ მიწვევებს, რა გულმოდგინებით აგროვებდა მამაჩემი საბუთებს და შესაბამის დაწესებულებებში დაჰქონდა და რა ადეკვატური ერთფეროვნებით ვერ ღებულობდა ვიზას. ალბათ არავინ დარჩა საქართველოში, თავის ემიგრირებულ ნათესავს რომ არ შეხვედროდა. მხოლოდ ელიზბარს და მამაჩემს არ დაადგათ საშველი. „პერესტროიკამაც“ კი არ უშველათ.

მერე ელიზბარი გარდაიცვალა. თითქმის 65 წელი გაატარა ემიგრაციაში, მაგრამ ერთი დღესაც არ უცხოვრია საქართველოს გარეშე. შეიძლება ეს ბოლო წინადადება პათეტიკურად ჟღერს, შეიძლება ვინმესთვის ყალბადაც კი, მაგრამ, მერწმუნეთ, ამ სიტყვებში არაფერი გადაჭარბებული არ არის. ამაზე მეტყველებს იმ ადამიანების მონათხრობი და შთაბეჭდილება,

რომლებიც პირადად შეხვედრიან ელიზბარს. ამაზე მეტყველებს მისი მოგონებანი, რომლის ფრაგმენტსაც ქვევით შემოგთავაზებთ და რომლის ხელნაწერიც საქართველოში ბატონ რეზო ნიკოლაძის მეცადინეობით მოხვდა.

მაგრამ, სანამ მის ემოციურ მონათხრობს შემოგთავაზებთ, პორტრეტის სისრულისათვის, გაეცანით მის მშრალ ბიოგრაფიულ მონაცემებს.

დაიბადა სოფელ იყალთოში 1905 წელს. 1922-1927 წლებში იგი მონაწილეობას ღებულობდა ბოლშევიკური ოკუპაციის წინააღმდეგ მიმართულ პარტიზანულ ბრძოლებსა და არალეგალურ მუშაობაში. ელიზბარი ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცული იყო, ოღონდ უშუალოდ მის რაზმში კი არ იბრძოდა, არამედ „ზურგში“ მუშაობდა. მისთვის და მისი ძმა ბიძინასათვის ქაქუცას უთქვამს: „თქვენც რომ ტყეში წამოხვიდეთ, უზურგოდ რა მეშველებაო“. ასე რომ, ელიზბარს და მის ძმას სახიფათო საქმე დაევალათ: მეკავშირეობა და ტყეში გასულ შეფიცულთა მომარაგება სანოვაგითა თუ ტყვია-წამლით.

1927 წელს ელიზბარი ოსმალეთში გაიქცა, საიდანაც საფრანგეთს მიაშურა. ის სამხრეთ საფრანგეთში დაფუძნდა. იქვე დაქორწინდა და ფრანგი მეუღლისგან ეყოლა ქალიშვილი ანა. ანას, თავის მხრივ, ორი შვილი ჰყავს – ფილიპი და სესილი.

ელიზბარმა რამდენიმე პროფესია გამოიცვალა: იყო კომივოიაჟერი, მისდევდა მევენახეობას, ამზადებდა მაწონს. პერიოდულად ჩადიოდა პარიზში, რათა მონაწილეობა მიეღო ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

80-იანი წლებიდან განმარტოებულად ცხოვრობდა მონპელიეს მახლობლად, ფრანგ მევენახეთა სოფელში. ცოლი გარდაცვლილი ჰყავდა, ქალიშვილი –გათხოვილი. სწორედ აქ დაუახლოვდა მას რეზო ნიკოლაძე, რომელმაც ელიზბარის მარტოობა რომ გაექარვებინა, წესად აქცია მისი ყოველკვირეული მონახულება.

1989 წლიდან ელიზბარის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. მას თავის მოვლა აღარ შეეძლო და ქალიშვილის ოჯახმა იგი მოხუცთა თავშესაფარში გადაიყვანა, ქალაქ ნიმში. იქვე გარდაიცვალა 1991 წლის 6 ივნისს და დასაფლავებულია კალვისონში.

ბიძინა მაყაშვილი

P.S. ამბავი იწყება თბილისში, 1927 წელს

ერთ დილას, დაახლოებით შვიდ საათზე ჩვეულებრივ სამუშაოზე ვიყავი, სახლის ახლად ნაშენებ კედელზე ვიდექი და თვალყურს ვადევნებდი მუშაობას. ამ დროს დაბლიდან უფროსი მუშის ხმა შემომესმა: „ამხანაგო ელიზბარ, დაბლა ჩამოდით, ვიღაც ორ უცნობს უნდა თქვენი ნახვა.“ მე საჩქაროდ ჩავედი. ჩემს წინ ორი მთლად ახალგაზრდა კაცი იდგა, 18 თუ 19 წლის. „თქვენ მაყაშვილი ხართ?“ „დიახ.“ „ჩვენ გპუ-ს წარმომადგენლები ვართ და თქვენ გაპატიმრებთ, დაუყოვნებლივ მოგვყევით!“ „რისთვის მაპატიმრებთ?“, შევეკითხე მე. „მაგას იქ გაიგებთ“, მიპასუხა ერთმა. „ამას იცნობთ?“, შემეკითხა კვლავ და ამოღებული სურათი თვალებთან მომიტანა. დავხედე და ვიცანი ალექსანდროვის ბაღში გადაღებული იაფფასიანი სურათი: შუაში გამოჭიმული სულხანი, მარჯვნივ და მარცხნივ – მე და შალიკო, უკანა მხარეს კი სულხანის ხელით ხუმრობით წარწერილი სამი მუშკეტერი და ჩვენი გვარები. საწყალ სულხანს ალბათ დაპატიმრების დროს ეს სურათი ჯიბეში ედო და, რასაკვირველია, ჩეკას ენახა.

მალე ამ ორ ჩეკისტს შუა ჩამდგარი ჩეკას გზას ვადექი. „გზაზე აქეთ-იქით ყურება აკრძალული გაქვთ, არც ხმის ამოღება შეიძლება. თუ ვინმე ნაცნობი შეგხვდათ,

არ შეხედოთ. ჩვენ ორივენი შეიარაღებულნი ვართ (ამ სიტყვებზე მათ დამანახეს ხალათის ქვეშ ჩამოკიდებული რევოლვერები) და ნაბრძანები გვაქვს გესროლოთ, თუ რამე საეჭვო შეგატყეთ", მითხრა ერთმა და ფეხით გავაგრძელეთ გზა. ავცდით თათრის მოედანს, ავედით თავისუფლების მოედანზე (ყოფილი ერევნის მოედანი). მივაბიჯებდი ავტომატურად. თავში ათასი აზრი ირეოდა, ფიქრი ფიქრს მისდევდა და ყველაფერი თვალწინ მიდგებოდა. ჩეკას შენობამდე კიდევ დიდი მანძილი იყო. უცებ შემაჩერეს, ერთი მათგანი ჩამომშორდა და სადღაც წავიდა. მე ერთი მცველიღა მომდევდა. „იარე პირდაპირ, მითხრა მან, ფრთხილად, ორ ნაბიჯზე ჩემი რევოლვერი გითვალთვალებს!" მივდიოდი და ვფიქრობდი: „ამ ძუძუმწოვარამ უნდა მატაროს თავის ნებაზე!" მივედით პეტრე დიდის ქუჩაზე, რომელზეც აღმართული იყო „გრუზჩეკა", ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზია. გამოჩნდა ჩეკას დიდი თეთრი შენობა. მის დანახვაზე გულმა საშინელი ძგერა დამიწყო. ვიცოდი, რომ ამ სახლში შესვლა ადვილი იყო, გამოსვლა კი თითქმის შეუძლებელი, შემსვლელები ბევრნი იყვნენ, გამომსვლელები კი ცოტანი. რამდენიმე წუთის შემდეგ მეც ამ საშიში და ყველასთვის თავზარდამცემი შენობის ნაძალადევი სტუმარი ვიქნებოდი. უცებ თავში რაღაც აზრმა გამიელვა, შევჩერდი ჯიბიდან ამოღებული პაპიროზით ხელში. „უკაცრავად, წუმწუმა ხომ არ გაქვთ?", შევეკითხე ჩემს მცველს. მან უპასუხოდ ჩაიყო ჯიბეში ხელი, ალბათ, წუმწუმას ამოსაღებად, მაგრამ ვეღარ მოასწრო: მხარი მძლავრად გავკარი მხარში, იგი ტროტუარიდან გადავარდა, წაბარბაცდა და მიწაზე გაიშხლართა. მე ბევრი აღარ მიფიქრია, ეზოს დიდ კარებში შევვარდი და შესასვლელში მარცხენა მხარეს აშენებულ პატარა ფიცრულ შენობას უკან მოვეფარე. ჩემს მცველს არ დაუგვიანია, სირბილით უკან შემომყვა ამოღებული რევოლვერით ხელში, ჩემი საფარისკენ არც კი მოუხედია, გიჟივით პირდაპირ გააგრძელა გზა და წინ მდგარ სახლში შევარდა. მე ამას ყველაფერს ვხედავდი და რაწამს სახლის აივანზე ავიდა, საჩქაროდ კვლავ ქუჩაში გამოვვარდი და სირბილით ვუშველე თავს. გეზი მთაწმინდის მიმართულებით ავიღე. თითქმის მამადავითის ძირში ერთი კარგი მეგობრის ბინა მეგულებოდა, ვიცოდი, რომ იგი იმ ხანებში მარტოკა ცხოვრობდა და მისკენ გავეშურე. იღბალზე სახლში დამხვდა. კარი გამიღო. მე გიჟივით შევვარდი. დაღლილობისგან ხმას ვეღარ ვიღებდი და ულონოდ დავეცი ლოგინზე. იგი სწრაფად და უსიტყვოდ გატრიალდა, განჯინიდან ბოთლი გამოიღო (ალბათ შემატყო, რომ რაღაც სახიფათო საქმე შემემთხვა, თვითონაც გამოცდილი იყო ამ საქმეში და უკვე დიდი ხანია მიცნობდა) და ღვინით სავსე ჭიქა მომიტანა. „დაისვენე ცოტა და ეს დალიე, ჯანზე მოგიყვანს." მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე გაცილებით უკეთ ვიყავი და ჩემს მასპინძელ ვ.გ.-ს მოუვყევი ჩემს თავზე გადამხდარი ამბავი. „აქ დარჩი, დაისვენე. ჩემი ბინა შენიშნული არ არის, არა მგონია აქ ვინმემ მოგაგნოს. შეგიძლია ორ-სამ დღეს დარჩე, მერე კი ბინას გამოგიცვლით. ეს პირველი შემთხვევა არ არის და შენც ამის გამოცდილება გაქვს", მითხრა მან. „მართალი ხარ, ჩემო ვალიკო, და დიდი მადლობელი ვარ შენი. მაგრამ დარჩენა არ შემიძლია, ვიდრე არ გავიგებ შალიკოს და იოსების ამბავს. იქნებ ისინიც დაიჭირეს." „ბავშვივით ნუ მსჯელობ, შემაწყვეტინა ვალიკომ, მე წავალ, შალიკო მიცნობს, მენდობა, ყველაფერს გავიგებ და ამბავს მოგიტან. შენ აქედან ფეხი არ მოიცვალო!" აღარც დაუგვიანია, ქუდი აიღო და ამბის გასაგებად წავიდა. მე კარი დავკეტე, განჯინიდან ცოტაოდენი საჭმელი გამოვიღე (ამ დავიდარაბაში მადა არ დამკარგოდა და მომშივნოდა) და შევექეცი. ერთი ჭიქა ღვინო კიდევ დავაყოლე, გული მოვიმაგრე, წამოვწექი და გულიანად ჩავიძინე ჯერ კიდევ ახალგაზრდული ძილით. ალბათ კიდევ კარგა ხანს მეძინებოდა, რომ ვალიკომ კარი მიაჯახუნა და გამაღვიძა. შალიკოც და იოსებიც ენახა. შალიკოს საქმე დასამალად ჰქონოდა.

იმავე ღამეს ნაძალადევში წავედი. იქაც მყავდა საიმედო მეგობარი. შალიკოც იქ მოვიდა. იქ დავრჩი რამდენიმე ღამეს. მდგომარეობა თანდათან მძიმდებოდა. ჩეკას აგენტებს გეში აღებული ჰქონდათ და გამალებული დაგვეძებდნენ. იძულებული ვიყავი ხშირ-ხშირად მეცვალა ბინა. სამუშაოდ გასვლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ყოველ წამს და წუთს ველოდით დაპატიმრებას, ეს კი აუცილებლად ნიშნავდა ჩვენს სიკვდილს. ერთხელ კიდევ მოვახერხე არალეგალური კომიტეტის ერთი წევრის ნახვა. მდგომარეობა მან უკვე იცოდა: „ელიზბარ, შენი აქ დარჩენა უკვე შეუძლებელია, ისევე როგორც შენი მეგობრების. აქაურობა უნდა დასტოვო და დროებით მაინც წახვიდე.“ „წავიდე, მერე სად?“, შევეკითხე მე. „საზღვარგარეთ“, მიპასუხა მან. „საზღვარგარეთ? დავტოვო საქართველო, ჩემი კუთხე, ჩემი არემარე, უცხო მიწაზე გავიხიზნო? უნუგეშოდ დავტოვო ბებერი მამიდა? მე მისი უკანასკნელი იმედიღა ვარ. არ ვიცი, ვნახოთ...“ „მოიფიქრე, ელიზბარ. შენი და შენი მეგობრების მდგომარეობა დღითიდღე მწვავდება. ყოველდღე მოგელის პატიმრობა, რასაც მოჰყვება წვალება. ყოველ ღონეს იხმარენ, რომ საიდუმლო ამოგგლიჯონ. ერთ დღეს აიტან, ორ დღეს, მერე კი, გაწამებული, ველარ აიტან და რამეს იტყვი“, მითხრა ლ.გ.-მ.

როგორც შენი ლაპარაკიდან ირკვევა, მაინც და მაინც აღარ მენდობით, ჩემს ერთგულებაში ეჭვი გეპარებათ“, ვუთხარი მე ცოტა არ იყოს ნაწყენმა. „ნუ ბავშვობ, ელიზბარ! შენს ერთგულებაში ეჭვი არავის შეჰპარვია. ეს საერთო წესია თავის გადასარჩენად. აქ პატიმრობა და სიკვდილი მოგელის, უცხოეთში კი სიცოხლე და თავისუფლება. ბრძოლა არ წყდება, პირიქით – გრძელდება, მის გასაგრძელებლად საჭიროა სიცოცხლე. შენი წასვლა აქედან დროებითი იქნება“, მიპასუხა ლევანმა. „ვნახოთ, მოვიფიქრებ, შალიკოს და იოსებს მოველაპარაკები.“ ამ სიტყვების შემდეგ მე და ლევანი ერთმანეთს დავშორდით.

მდგომარეობა მართლაც მწვავდებოდა. ჩემს ძველ ბინას რამდენიმეჯერ ჩეკა ეწვია. შალიკო კიდევ ერთხელ დაუძვრა ჩეკას მოხელეებს, რომლებიც მას სადგურზე აედევნენ. იოსებზეც აშკარა ეჭვი ჰქონდათ. გამუდმებით მალვაში და შიშში გვიწევდა ყოფნა. ის მეგობრებიც, ვისთანაც ვიმალებოდით, ნელ-ნელა შიშს იწყებდნენ, თავიანთ თავზე ფიქრობდნენ.

გადავწყვიტეთ საქართველოს დატოვება. ჩვენი თხოვნით ვალიკო ბათუმში გაემგზავრა. ორი დღის შემდეგ იგი დაბრუნდა და პასუხი მოგვიტანა. საჭირო იყო ჩვენი ჩასვლა ბათუმამდე, იქ დაგვხვდებოდა საზღვარზე გამცილებელი. ღამე იგი ოსმალეთის საზღვარზე გადაგვიყვანდა.

მოახლოვდა წასვლის დრო. სამნი შევიკრიბეთ ჩვენი საუკეთესო და სანდო მეგობრის ს.ბ.-ს ბინაზე. დაგვესწრო ოთხი სხვა მეგობარიც. გაგვამხნევეს, გზა დაგვილოცეს. გულზე დარდი მეწვა. ვგრძნობდი, რომ საქართველოს ვშორდებოდი არა დროებით, როგორც ბევრს ეგონა, არამედ დიდი ხნით, თუ სამუდამოდ არა. ახლოვდებოდა წასვლის საათი. „განშორების საათმა დაჰკრა. მშვიდობით, ძმებო, გემშვიდობებით!“, წამოიწყო შალიკომ თავისი წკრიალა ხმით, ჩვენც ნაღვლიანად მივეცით ბანი. კარგა შეღამებული იყო, როდესაც დიდი სიფრთხილით სადგურში მივედით. ბათუმამდე მხოლოდ ვალიკო გვაცილებდა. როგორც იქნა, ვაგონებში დავბინავდით. მატარებელი დაიძრა.

არაფერი არაჩვეულებრივი გზაზე არ მომხდარა. რამდენჯერმე აგვიარ-ჩაგვიარეს რკინისგზის ჩეკას მოხელეებმა (დეტა-ჩეკამ). გული მიბაგუნებდა. მათ ჩვენთვის ყურადღება არ მოუქცევით და ბათუმამდე უხიფათოდ ჩავედით.

ფრთხილად ჩავედით ბათუმის სადგურზეც. ვალიკომ ჩვენი გამცილებელი ინახულა. მან დაგვინიშნა დრო და ალაგი. ღამის ცხრა საათზე გზას გაუდექით. ჩვენი

გამცილებელი ხანში შესული აჭარელი კაცი იყო, გამოცდილი კონტრაბანდისტი. ზეპირად იცოდა თითოეული ქვა, ხე და ბილიკი. იგი ფეხშიშველა სიაულს არჩევდა, არავითარი ქვა-ლოდი და ეკალი მას არ აშინებდა და ღამეც კატასავით ხედავდა.

მალე ბათუმს გავშორდით. ქურდულად მივიპარებოდით, ჩუმად გაურბოდით ჩვენს ლამაზ ქვეყანას, მივდიოდით სადღაც უცნობ ქვეყანაში. რომელში? ვერცერთი ჩვენთაგანი პასუხს ვერ მოგცემდათ. მივდიოდით იქ, სადაც ბედი წაგვიყვანდა. გავურბოდით ტანჯვა-წამებას და სიკვდილს. ვტოვებდით ჩვენს ერს, ჩვენს მშობელ-ნათესავ-მეგობრებს. დიახ, ჩვენ გავრბოდით.

კარგა გვიანი იყო, რომ მდინარე ჭოროხს მივადექით. იღრუბლებოდა, გაწვიმებას აპირებდა. ჭოროხი გიჟივით მოქაქანებდა. მის ნაპირთან შევდექით. მეგზურმა ცას აჰხედა და შემდეგ ჩვენ მოგვიბრუნდა: „არ ვიცი როგორ მოვიქცეთ: ჭოროხზე გადასვლა ჯერ ადრეა, რუსების სადარაჯო შეგვნიშნავს, უსათუოდ სროლას აგვიტეხს და ალბათ წყალში ჩაგვხოცავენ. დარაჯები დილით ადრე იცვლებიან, ამ დროს ყველაზე ადვილი გადასასვლელია და მათ რკალში გასვლა შეიძლება. მაგრამ თუ აქ დავრჩებით, უსათუოდ გაავდრდება, ისედაც უკვე ადიდებული ჭოროხი კიდევ უფრო ადიდდება და ჩვენი გასვლა მეორე ნაპირზე შეუძლებელი გახდება. ისე მოვიქცეთ, როგორც თქვენ გადაწყვეტთ.“

ორ ცეცხლს შუა ვიყავით: აღვარებული წყალი ან რუსის ტყვია. ცა თანდათან უფრო იღუშებოდა. ერთმანეთს შევხედეთ. ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც შალიკომ დაარღვია: „ძმაო, წყალში დახრჩობას ან უკან დაბუნებას ტყვიით სიკვდილი მირჩევნია. ვცადოთ გასვლა, მოსახდენი მოხდეს.“ პატარა ყოყმანის შემდეგ გაღმა გადასვლა გადავწყვიტეთ. აჭარელმა ტანთ გაიხდა ჩვენც იგივე გვირჩია. იგი მთლად გაშიშვლდა, ტანისამოსი კოხტად დაკეცა და თავზე დაიბა ქამრით. ჩვენ მხოლოდ წელს ქვემოთ გავიხადეთ და ჭოროხს შევერიეთ. ცოტა არი იყოს მეშინოდა. საუბედუროდ, მოცურავე ჩემს დღეში არ ვყოფილვარ. წყალს და განსაკუთებით ჩვენებურ ადიდებულ გიჟ მდინარეს ვერიდებოდი. წინ აჭარელი მიგვიძღოდა, მის უკან შალიკო, მე და იოსები. ეს უკანასკნელი კარგი მოცურავე იყო და ბოლოში მოექცა, რომ მე და შალიკოს გაჭირვებში მოგვშველებოდა. წყალი ცივი იყო და ბინდბუნდში რაღაც საშინელ მხეცს მიაგავდა. მდინარე უფრო ღრმა გამოდგა, ვიდრე გვეგონა. ტალღები გულისპირზე მირტყამდა, ჩემზე პატარა ტანის შალიკოს კი ყელამდე სწვდებოდა და ხშირად თავზედაც უვლიდა. აჭარელი ჩუმი და გარკვეული ხმით გვამხნევებდა. „წინ, არ შეგეშინდეთ, მაგრად იყავით!“, გაისმოდა მისი ხმა.

როგორც იქნა, მეორე ნაპირზე ავედით. სირბილით გავყევით ჩვენს გამცილებელს და ტყეს შევერიეთ. „უუჰ, ამოისუნთქა აჭარელმა, გადავრჩით!“, თავზე დაკრული ტანსაცმელი ჩამოიღო და ჩაცმა დაიწყო. ჩვენც მის მაგალითს მივბაძეთ. აჭარელის ტანსაცმელი მშრალი დარჩა, ჩვენი კი მთლად დასველებულიყო. საბედნიეროდ, თუთუნი და წუმწუმა მშრალად შენახულიყო. აჩქარებულებს მეორე ნაპირზე ერთი პური დაგვრჩენოდა. ცოტა შევისვენეთ და გზას გაუდექით.

აჭარელი არ მოტყუებულა: მცირე ხნის შემდეგ მაგარმა წვიმამ დაუშვა. თანდათან ძნელდებოდა ტყეში სიარული, თვალით ველარაფერს ვარჩევდი, ვხედავდი მხოლოდ ჩემს წინ მიმავალი აჭარელის ჩრდილს და მას მივსდევდი. პატარა მანძილის გავლის შემდეგ აჭარელი შეჩერდა, თითი გაიშვირა და გვითხრა: „აქ ავიდეთ.“ კარგად დაკვირვების შემდეგ სამ ბოძზე წამოდგმული პატარა საფუჩეჩე შევამჩნიე. მიყუდებულ კიბეზე ავედით და ფიცრით შემოკრულ ოთახის მაგვარ სადგომში აღმოვჩნდით. „დაისვენეთ“, მოგვმართა მან. დიდის სიამოვნებით გავაბოლეთ თუთუნი. ეხლა უკვე თავიდან ფეხებამდე დასველებულები ვიყავით. მივწექით. მე მალე

ჩამეძინა. გათენებისას კვლავ გზას გაუდექით. დიდის სიფრთხილით მივდიოდით, ვცდილობდით რაც შეიძლება ნაკლებად გვეხმაურა. აჭარელი მუდამ წინ იყო, ხან ჩაცუცქდებოდა, ხან უცებ გაჩერდებოდა და რაღაცას აყურადებდა, ხან დაწვებოდა. ჩვენ ვიმეორებდით ყველა მის მოქმედებას. წვიმა არ შეჩერებულიყო, პირიქით, მოემატნა და მისი ნამი ჩქარი სიარულის დროს გამოსულ ოფლს უერთდებოდა.

ჩვენ მთაზე ავდიოდით. აჭარელი შეჩერდა, თითი ტუჩებთან მიიდო და ხელით გვანიშნა ახლოს მივსულიყავით. მან მაღლიდან გადაგვახედა: დაბლობში, დაახლოებით ოცი მეტრის დაშორებით, რუსის ძაბრიანი ქუდი გამოჩნდა: ორი ჯარისკაცი პატარა თავშესაფარს შეჰფარვოდა. მოგვიანებით მივხვდით, რომ წვიმამ თუმცა საშინლად დაგვასველა, მაგრამ იმავე დროს ძალიან გვიშველა: რუსის ჯარისკაცებმა არჩიეს შეფარუყლიყვნენ და ჩვეულებრივი თვალთვალი დაევიწყებინათ. ჩვენ თითქმის ცოცვით განვაგრძეთ სვლა ამ საშიშ გზაზე, სიფრთხილე გავაათკეცეთ. თითოეულ ჩვენს ხმას, მოძრაობას, ნაბიჯს შეიძლებოდა ხმაური გამოეღო და მესაზღვრე ჯარისკაცების ყურადღება მიეპყრო. ეს კი ჩვენთვის აშკარა სიკვდილს ნიშნავდა.

როგორც იქნა, ამ ალაგს გავცდით. ჩვენც წელში გავიმართეთ. უკვე დიდ აღმართს შეუდექით. კვლავ შევჩერდით. დავისვენეთ. „ყველაზე უფრო საშიში ადგილი გამოვიარეთ, გვითხრა აჭარელმა, წვიმამ გვიშველა, ეს ვიცოდი და ძალიან მოკლეზე მოვჭერით. თუ ყველაფერი რიგზე იქნა, საღამომდე ოსმალეთის საზღვარზე ვიქნებით. წვიმა რომ არ ყოფილიყო, სხვა გზით წავიდოდით, უფრო შორით და ნაკლებ საშიშით, მაგრამ საზღვარზე გადასვლას სამ დღეს მაინც მოვუნდებოდით. ეხლა ერთ პატარა სოფელს ჩავუვლით. მოსახლეობის არ მეშინია, მაგრამ ძაღლები აგვედევნებიან და ფრთხილად ვიყოთ, რომ იმათ ყეფამ მესაზღვრეების ყურადღება არ მიიქციოს. მადლობა ღმერთს, რომ რუსის ჯარისკაცებს დღეს აქ დაგეშილი ძაღლები არ ჰყავთ“, დაუმატა მან. ცოტა შევნაყრდით და კვლავ გზას გაუდექით. მახლობელი სოფლიდან ძაღლის ყეფა შემოგვესმა. „ფრთხილად!“, გვითხრა აჭარელმა და ჩაცუცქდა, ჩვენც ჩვეულებრივად გავიმეორეთ მისი მოძრაობა. ყეფა გვიახლოვდებოდა. მალე უშველებელი ძაღლიც გამოჩნდა, სულ ახლოს იყო, განძრევას ვერ ვბედავდით, პირუტყვის არ გვეშინოდა, ყველაზე საშიში იყო ადამიანი, რუსის ჯარისკაცი. მდგომარეობიდან ისევ შალიკომ გამოგვიყვანა, ძაღლს ერთი მთელი პური გადაუგდო. ძაღლმა პურს პირი დაავლო და სირბილით მოგვშორდა. ჩვენ გზა განვაგრძეთ. ძაღლი კი მოგვშორდა, მაგრამ უპუროდ დავრჩით. მალე მთლად დავშორდით დასახლებულ ადგილს. მთაზე, უფრო სწორედ კი – კლდეზე ავდიოდით. მივბობღავდით, ბუჩქებს და კლდის შვერილებს ვებღაუჭებოდით. საშინელ დაღლილობას ვგრძნობდი, წყურვილიც მაწუხებდა და მშიოდა კიდეც. მივდიოდით ჩუმად, ხმის ამოუღებლად. მხოლოდ აჭარელმა დაარღვია ერთი-ორჯერ სიჩუმე: „აი, ამ წვერზე რომ ავალთ, სამშვიდობოს ვიქნებით. იმის იქით უკვე ოსმალეთის საზღვრები იწყება.“

საღამოს დაახლოებით ხუთ საათზე მთის წვერზე ვიყავით. შევჩერდით. მეტი აღარ შემეძლო და სველ მიწაზე დავეცი. შალიკო და იოსებიც ჩამოსხდნენ. ხელები საშინლად მიხურდა, რამდენიმე ფრჩხილიდან სისხლი დაძრულიყო. „ეხლა სამშვიდობოს ვართ. აი, დაბლა ოსმალეთი მოჩანს. დაისვენეთ და შემდეგ პირდაპირ თავქვე დაეშვით. ჩემი მოვალეობა აქ თავდება, ამაზე შორს ვერ წამოგყვებით, ოსმალეთის პოლიციას ხელში ვერ ჩავუვარდები, გარდაუვალი სიკვდილი მელის. თქვენთვის კი რაც უფრო მალე შეხვდებით მათ, მით უკეთესია. დაისვენეთ და გაუდექით გზას, მეც ცოტა შევისვენებ და უკან დავბრუნდები.“ მართლაც, პატარა ხნის შემდეგ მან მხურვალედ ჩამოგვართვა ხელი, ერთხელ კიდევ დაგვარიგა,

გამოგვეთხოვა და საიდანაც მოვედით, იმავე გზით წავიდა. თვალი გავაყოლე, გულზე კვლავ ნაღველმა გადამიარა: მისი წასვლა რატომღაც გულს მიკლავდა. მალე იგი თვალს მიეფარა. წავიდა აჭარელი და წაიღო საქართველოს სურნელი. სამნი დავრჩით. კვლავ უკან გადავიხედე: იქ საქართველოს არემარე მრჩებოდა, წინ უცხო მიწა მოჩანდა. უკან სამშობლო, მაგრამ უბედურება, წინ უცხოეთი და თავისუფლება.

„წავიდეთ“, ვთქვი მე და ფეხზე წამოვდექი. შალიკო და იოსებიც ჩემს გვერდით იდგნენ. ერთხელ კიდევ მოვიხედეთ უკან. „მშვიდობით საქართველოვ! მშვიდობით სამშობლოვ!“, უხმოდ დავიძახე მე და უცხო ქვეყნისკენ დავეშვი.

არც თავქვე სიარული იყო მაინცდამაინც ადვილი. მივექანებოდით დამრეც ბილიკზე, დასველებულ მიწაზე ფეხი გვიცურდებოდა. ხშირად ვეცემოდით და ლაფში ვისვრებოდით. როგორც იქნა, დაბლობში გავჩნდით. გზამ ოსმალეთის პატარა სოფელში ჩაგვიყვანა. გზაზე არავინ შეგვხვედრია. სოფელში პირველად ერთი ახალგაზრდა ოსმალო შეგვხვდა. „დაელაპარაკე“, მითხრა იოსებმა. „კი მაგრამ რა ენაზე?“ მივუახლოვდით ოსმალოს. იგი გაკვირვებული თვალებით გვიყურებდა. „გამარჯვება“, მივმართე ქართულად. „ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგაკლოთ“, გვიპასუხა მშვენიერი და ლამაზი ქართულით. „ქართულს ლაპარაკობთ?“, შევეკითხე კვლავ გაკვირვებული. „ქართველი ვარ და ქართულს ვლაპარაკობ. თქვენ ვინ ხართ? გამოქცეულები?“, შეგვეკითხა იგი. „დიახ და თუ შეიძლება წყალი დაგვალევინე“. „მობრძანდით“ და მან იქვე მდგარ სახლში შეგვიყვანა. წყალი დაგვალევინა, პირი დაგვაბანინა.

ჩვენს მოულოდნელ მასპინძელთან ლაპარაკის დროს გაირკვა, რომ სოფელს მარადეთი ერქვა და დასახლებული იყო ქართველებით. რჯული მაჰმადიანური ჰქონდათ, მაგრამ ენა შეენარჩუნებინათ და ოჯახში ქართულად ლაპარაკობდნენ, მშვენიერ ძველებურ და სუფთა კილოზე. გავიგეთ, აგრეთვე, რომ გადმოხვეწილი ქართველების უკვე შესამჩნევ ნაწილს ამ სოფელზე გამოევლო და, მათ შორის, ქაქუცას შეფიცულებსაც. ცოტა შევნაყრდით. „ეხლა უნდა წახვიდეთ. არ ივარგებს არც ჩემთვის და არც თქვენთვის, რომ აქ პოლიციამ გნახოთ. აქვე ახლოს სადარაჯოა და იქ მიხვალთ, მე წინ წავალ და შევატყობინებ, რომ გამოქცეულები ხართ“, გვითხრა ჩვენმა კეთილმა მასპინძელმა. გარეთ გამოვედით. მალე ოსმალეთის პოლიციის ერთ პატარა ოთახში ვიყავით. დაიწყო ჩვენი დაკითხვა. გაგვჩხრიკეს. იმავე დღეს ორი დარაჯის თანხლებით, მახლობელ, უფრო მოზრდილ სოფელში ბორჩხაში მიგვიყვანეს. იმ ღამეს იქ მოვთავსდით, ერთ პატარა ოთახში. მთლად დასველებულები ვიყავით. როგორც იქნა, ჩვენი ტანსაცმელი გავაშრეთ და გავასუფთავეთ. მეორე დღეს დასვენებულნი და ცოტა უფრო სუფთები გარეთ გამოვედით და არემარეს გადავხედეთ. სხვა ფერი ედო, სულ სხვა სუნი ტრიალებდა, სხვა ენა ისმოდა. „აქ სადა ვართ კაცო?“, წამოიძახა შალიკომ. ცოტაოდენი ფული გამოგვყოლოდა. გადავახურდავეთ, რაღაც საჭმელი ვიყიდეთ. „რა იაფობაა!“, ვფიქრობდი მე. მართლაც, ყველაფერი შედარებით იაფი და ადვილი საშოვნელი იყო. დაახლოებით ორ საათზე ერთი ასკერი (ჯარისკაცი) მოვიდა. რუსულს ლაპარაკობდა. მან გვითხრა, რომ წავყოლოდით და ერთ ბინას მიგვაყენა. კარზე დაკაკუნების შემდეგ ვიღაც ახალგაზრდა ტიპი გამოვიდა, ზედგამოჭრილი რუსი. ჯარისკაცმა მას რაღაც უთხრა თათრულად. მან შემოგვხედა, ხელი გამოგვიწოდა და სუფთა რუსულით მოგვმართა (იგი მართლაც გადმოხვეწილი რუსი აღმოჩნდა). „ნახევარ საათში მანქანა მზად იქნება, ართვინში უნდა წაგიყვანოთ, სადაც დანარჩენი თქვენსავით გადმოხვეწილი ქართველები არიან“. ნახევარი საათის

შემდეგ ჩვენ მანქანაში ვისხედით. მივდიოდით ოღრო-ჩოღრო, მიხვეულ-მოხვეულ, აღმართ-დაღმართ გზაზე ფორდის ძველი მანქანით. გზაზე გამოირკვა, რომ ჩვენი მძღოლის მამა რუსულ ბოლშევიკურ რევოლუციას გამოჰქცეოდა, ოსმალეთში გადმოსულიყო და აქ დასახლებულიყო. მის შვილს მანქანის მართვა შეესწავლა და თავისი ძველი მანქანით მგზავრები დაჰყავდა. ოსმალეთის მმართველობა ქემალ ფაშას ჩაეგდო ხელში და აქ ბევრი რამ იცვლებოდა: მრავალცოლიანობა მოესპო, თათრული ქუდი (ჩაფხა) აეკრძალა, ჯარში დიდი დისციპლინა შემოეღო და სწავლა-განათლების გზაზე დაეყენებინა ჩამორჩენილი ოსმალეთი. მაგრამ გზები ოსმალეთში ჯერ ისევ საშინელ მდგომარეობაში იყო.

შუადღე კარგად გადასული იქნებოდა, რომ ართვინი გამოჩნდა. თამარის ციხე ამაყად გადასცქეროდა ოსმალეთის არემარეს. დიახ, ეს იყო ჩვენი დედოფლის, ოქროს ხანის ციხე. მის დანახვაზე მღელვარება ვიგრძენი. ჩემი თავი ჯერ სამშობლოსგან მთლად მოწყვეტილი არ მეგონა. ჩვენი ძველი მანქანა საცოდავი ოხვრით და ხვნეშით აღმართს შეუდგა. ქალაქის შესასვლელში პატარა ჯგუფი შევნიშნე. მანქანიდან გადავიხარე. გამოჩნდა ჩვენებური ფაფახი ქუდები. „ნეტა ვინ არიან?“, ვფიქრობდი ჩემთვის. მალე მივუახლოლვდით. რა სასიხარულო იყო, რომ ეს იყო ქართველების ჯგუფი და მათში თითქმის ყველა ნაცნობი და მეგობარი. მათაც გვიცნეს, გაჩერებულ მანქანას მისცვივდნენ და თითქმის გადმოგვიტაცეს იქიდან. შეიქმნა ერთი მისალმება და ხვევნა-კოცნა, მშვიდობით ჩასვლის მილოცვა. საბჭოთა მმართველობას ისინიც იძულებული გაეხადა დაეტოვებინათ თავიანთი მიწა-წყალი და, უცხოეთში გადმოხვეწილნი, თავიანთ მომავალ ბედ-იღბალს ელოდნენ. გულზე მოგვეშვა, კვლავ ქართული სუნი დატრიალდა, ქართული ენა ისმოდა.

მალე დავბინავდით მათთან ერთად სასტუმროში (ვითომ სასტუმროში). ყოველ შემთხვევაში, ბედს არ ვემდუროდით. მალე გამოჩნდა ქართველ გადმოხვეწილთა დანიშნული საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი, მაჰმადიანი ქართველი, რომელსაც სახელად იობ-ეფენდის (ანუ ბატონ ეფენდის) ეძახდნენ. მან ჩაიწერა ჩვენი სახელები, გვკითხა გამოქცევის მიზეზი და, როგორც უკვე გითხარით, სხვებთან ერთად მოგვაწყო. სულ თხუტმეტამდე ქართველი ვიყავით. ართვინი ჩვენთვის დროებითი თავშესაფარი იყო და ადგილობრივი ხელისუფლება ელოდა ბრძანებას ჩვენი გზის გასაგრძელებლად ხოფისკენ, სადაც იმყოფებოდა ოფიციალური წარმომადგენელი იოსებ კეჭაყმაძე, რომელიც გადმოხვეწილებს უცხოეთისკენ ამგზავრებდა. ჩვენ ყველანი ძმურად და მეგობრულად ვცხოვრობდით ართვინში. გვქონდა თავისუფალი სიარულის ნებართვა და გზის გაგრძელების მოლოდინში მყოფნი, ჩვენ ართვინის გარშემო დავიარებოდით. ვინახულეთ თამარის ციხე. მხიარული სიცილი და ხუმრობა, ლამაზი ხმებით შეწყობილი ქართული მამაპაპური სიმღერა ჩვენს გადმოხვეწილობას გვავიწყებდა. საღამოთი კი, ოთახში შეკრებილნი, ვიგონებდით ჩვენს თავზე გადახდენილ ამბებს, ციხეს, ჩეკას, წამებას, აჯანყებას, საკუთარ მიწა-წყალზე დახოცილ ქართველებს, და მაშინ კი ყველას სახე უნაღვლიანდებოდა. თვალწინ გვიდგებოდა ჩვენი სამშობლო... მაგრამ უიმედობას არავინ ვეძლეოდით, თითოეული ჩვენგანის გული იმედებით სცემდა და კვლავ იწყებოდა მოსწრებული სიტყვა და ლამაზი სიმღერები.

ერთ დღეს მოხდა პატარა ტრაღი-კომიკური შემთხვევა. თბილი დღე იყო. თითქმის ყველანი შეგროვილნი ვიყავით სასტუმროს წინ. ვიღაც გამოჩნდა რუსულ ფორმაში. ჩვენ ვიცოდით, რომ ართვინში იმყოფებოდა საბჭოთა კონსული და უცებ მივხვდით, რომ ეს კაცი იყო კონსული. „სიმღერა, ჩქარა ქართული სიმღერა!“, დაიძახა

ერთ-ერთმა ჩვენგანმა და იმწამსვე სიმღერა შემოვძახეთ. კონსულმა გვერდზე ჩაგვიარა. სიმღერამ უფრო იმატა და მას მიემატა რამდენიმე მოსწრებული რეპლიკა რუსულად კონსულის გასაგონად: „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“, „ძირს რუსეთი!“, „სიკვდილი რუსის ჯალათებს!“ და სხვა. კონსულმა შემოგვხედა სიბრაზისგან გაფითრებული სახით. ჩვენ კვლავ სიცილი დავაყარეთ... მაგრამ იმავე საღამოს გიჟივით მოვარდა იობ-ეფენდი და გაბრაზებულმა გვითხრა: „ხომ არ გადაირიეთ! გინდათ ციხეში ჩაგყარონ? იქნებ არ იცით, რომ თქვენი აქ თავისუფლად გაჩერების ნება არა გვაქვს და ამას უჩუმრად ვაკეთებთ. რუსეთის კონსულმა საჩივარი შემოიტანა. როგორც იქნა ოსმალეთის პოლიციასთან საქმე ჩავფარცხე, მაგრამ თუ კიდევ გაიმეორებთ, მე ველარას გიშველით.“ ჩვენ პირობა მივეცით, რომ ჭკვიანად მოვიქცეოდით და შემდეგში არამც თუ სიმღერებს, კონსულს თვალითაც არ დავენახვებოდით.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენ კიდევ ერთი ჯგუფი შემოგვემატა. ისინი დიდხანს არ გაჩერებულან ართვინში, რამდენიმე დღის შემდეგ მათი ვიზები მოვიდა და ისინი გაემგზავრნენ ქალაქ ხოფისკენ, სადაც, როგორც უკვე ვთქვი, იმყოფებოდა საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი იოსებ კეჭაყმაძე. ჩვენი ართვინში ყოფნის დროს კიდევ ერთმა ჯგუფმა გადმოლახა საზღვარი და ჩვენ შემოგვიერთდა.

ერთ დღეს მოვიდნენ იობ-ეფენდი და ორი ოსმალო. დაგვიძახეს მე, შალიკოს და იოსებს: „თქვენი ვიზები მოსულია და შეგიძლიათ გზას გაუდგეთ“. ჩვენ საჩქაროდ მოვემზადეთ, მეგობრებს გამოვეთხოვეთ და ერთი ასკერის თანხლებით გზას ფეხით გაუდექით. მალე მდინარის პირას ვიყავით და პატარა ნავში ჩავსხედით. მდინარემ სწრაფად გაგვაქანა. მენავეები ჩამომავლობით ქართველები იყვნენ, გამაჰმადიანებულნი, და ერთმანეთშიც სუფთა ძველებური ქართულით ლაპარაკობდნენ. კარგა მანძილის გავლის შემდეგ თათრის სხვა სოფელს მივადექით. აქედან კი ორი ოსმალო ასკერის თანხლებით გაუდექით გზას. უკვე დაღამებული იყო, როდესაც კარგა დაღლილები ასკერებმა ერთ სადარაჯოს მიგვაყენეს. იმ ღამეს იქ დავრჩით, გვეძინა ხის საწოლებზე. მეორე დილას გარიჟრაჟზე კვლავ ფეხზე ვიყავით. მოგზაურობა ჩვეულებრივი და დამღლელი იყო. რაც უფრო წინ მივიწევდით, მით უფრო ვშორდებოდით ჩვენს საყვარელ სამშობლოს. სამივეს დარდი გვეწვა. ხმის ამოუღებლივ მივაბიჯებდით, ყოველთვის მხიარული შალიკოც კი ხმას არ იღებდა.

როგორც იქნა, ხოფას მივადექით. ჩვენზე ადრე წამოსული ჯგუფი ჯერ კიდევ იქ იმყოფებოდა. სიხარულით შეგვხვდნენ. ძალიან კარგად და ტკბილად მიგვიღო ბატონმა კეჭაყმაძემ. შეგვატყობინა, რომ ყველა ფორმალობა შესრულებული იყო და ორი დღის შემდეგ გემით გავუდგებოდით გზას სტამბოლისკენ. თვით ხოფა პატარა დაბა იყო, გაშენებული შავი ზღვის პირას, ლამაზი ბუნებით. ახალ მეგობრებთან ერთად ჩვენ ერთ შედარებით სუფთა პატარა სასტუმროში მოვთავსდით. ისინი ათნი იყვნენ, ცხრა ქართველი და ერთი რუსი წითელარმიელი, რომელსაც, როგორც შემდეგ გავიგეთ, ვერ აეტანა თავის კომისრის უკანონობა, მოთმინებიდან გამოსულს ერთხელ კარგად ეცემა და გამოქცეულიყო. მას სახელად მირონა ერქვა. სამნიც ჩვენ მივემატეთ.

მართლაც, სამი დღის შემდეგ ბ-ნ კეჭაყმაძეს გამოვეთხოვეთ, ნავში ჩავსხედით ცამეტივე და მენავეებმა კარგა მოშორებით ზღვაში მდგარ გემს მიგვაყენეს. გემი მეტისმეტად ძველი და მოდიდან გადასული იყო და უფრო ვეება ნავს მოგაგონებდათ, ვიდრე გემს. სადღაც ქვევით ჩაგვიყვანეს. გემის ერთი ზემო ნაწილი ცხვრით იყო სავსე, ისმოდა მათი ბღავილი. სხვაგან ფქვილის და ვგონებ კარტოფილის

ტომრები ეწყო. ძირს დაყრილ ჩალაზე მოვეწყვეთ. გემი ჯერ არ დაძრულიყო და ნელ-ნელა ტოკავდა. ჩვენი მცირე ხაბაგი დავყარეთ და თივაზე წამოვწექით. საშინელი სულისშემხუთავი ჰაერი იდგა. „უჰ, რა ცუდად ვარ!“, წარმოთქვა თომა ბ-მა. თომა სოფლელი კაცი იყო, უსწავლელი, მაგრამ ნამდვილი ქართველი და ერის მოყვარული, დინჯი და აუჩქარებელი მთიული. გულადი და პატიოსანი, იგი ქაქუცას ნაწილიდან იყო. საქართველოდან შეფიცულების წამოსვლის დროს იგი რაღაც მიზეზით ვერ წამოჰყოლოდა. მას შემდეგ თურმე მარტოკა დაიარებოდა ტყეში. „ეჰ, მეც შემეძლო ოცდაოთხში ბელადთან ერთად წამოსვლა, მაგრამ დინჯი სიარული მიყვარს და სირბილის თავი სად მქონდა. თანაც ერთი სამიოდე კაცთან მქონდა ძველი ანგარიშები. ბელადს დავპირდი: წადი ბელადო, ანგარიშებს გავასწორებ და დაგეწევი-მეთქი. ჰოდა, გავასწორე ანგარიშები და ეხლა დავეწევი, პირობა მიცემული მაქვს“, ასე ამბობდა თომა. თომა მართლა დაეწია ბელადს დაგვიანებით, სამი წლის შემდეგ, მაგრამ პირობა მაინც შეასრულა. და ეს მთის შვილი დღეს პირველად ხედავდა ზღვას და გემს. „გულ რამ მელევის“, წარმოთქვა კვლავ თომამ და მიწვა „ეგ არაფერია, არაფერი“, ამხნევებდნენ სხვები.

დათიკო ხ-ი და ლუარსაბ ს-ე საექიმო დარგის სტუდენტები იყვნენ, ჩაბმულნი არალეგალურ მუშაობაში. ჩეკას მათი სუნი აელო, ორივენი უნივერსიტეტიდან გამოერიცხათ, ჩეკას კლანჭებს რაღაც მანქანებით გადარჩენილები იძულებულნი იყვნენ საქართველო დაეტოვებინათ. ორი ძმა, გიორგი და ალექსანდრე ფ-ბი მრავალჯერ ნაწამები და ნატანჯნი, დღეს აქ გამოხიზნულიყვნენ. მათე ქ-ძე თუში იყო, უმაღლესი განათლებით და ამავე დროს კინომსახიობი. ვერც მას აეტანა რუსეთის უსამართლობა და გამოქცეულიყო. დანარჩენებიც: ვასო, დავითი, ვანო და მირონი – ყველა უსამართლობის მსხვერპლნი იყვნენ. ამ ჯგუფს მივემატეთ ჩვენ სამნიც.

ძველი გემი ნელი ქანაობით დაიძრა. ჩემთვის ეს პირველი მგზავრობა იყო გემით. ირგვლივ თვალუწვდენელი ზღვა გადაშლილიყო. მალე გემი ხოფის ნაპირებს მოშორდა და ხმელეთიც თვალს მიგვეფარა. ირგვლივ მხოლოდ ზღვა იყო, ოდნავ ღელავდა. ძველი გემი ოდნავ ირხეოდა. თომა იწვა და ჩუმად კვნესოდა. დანარჩენები ჯერჯერობით კარგად ვიყავით, თუმცა ცოტა დაღონებულნი. მაგრამ მალე დაიწყო სიმღერები და ოხუნჯობა. ჩვენი გემი ყველგან ჩერდებოდა, სადაც კი ნავს დაინახავდა, და იტვირთებოდა. გზაზე რამდენიმე გემი კიდევ შეგვხვდა. გემები ერთმანეთს მაღალი ხმით ესალმებოდნენ. ჩვენთან გემის კაპიტნის თანაშემწე ჩამოვიდა და თარჯიმანის პირით გვკითხა, ხომ არ სურდა რომელიმე ჩვენგანს ცხვრის მოვლა და დილა-საღამოს თივის მიცემა და წყლის დალევინება. დანარჩენებისთვის გემზე სხვა სამუშაოებიც იყო, დატვირთვა-გადატვითვა და სხვა. დაგვპირდნენ საჭმელს და დღეში რამოდენიმე ლირას. დავთანხმდით და საერთო კავშირით მუშაობას შეუდექით ყველანი, გარდა თომასი, რომელზეც ზღვას საშინლად ემოქმედა და ადგილიდან ვეღარ იძვროდა. სამი დღის შემდეგ ღელვამ იმატა. აქ ცოტა არ იყოს მეც ვეღარ ვგრძნობდი თავს კარგად. თომა ხომ ნახევრად მკვდარი იყო. მთელ დღეს დაწოლილი კვნესოდა და ოხრავდა: „ვაიმე, სადა ვკვდები! ის არ მერჩივნა რუსის ტყვიას მოვეკალ, მიწაში მაინც დამმარხავდნენ, აქ კი თევზების საჭმელი ვხდებიო“. ჩვენ ცოტა არ იყოს გვეცინებოდა, ვიცოდით, რომ თომას ზღვის ავადმყოფობა არ მოკლავდა, მაგრამ მტერთან უშიშარი მთიული დღეს ზღვას დაეჩაგრა.

ღელვამ იმატა და გემს მაღლა ისროდა. ეხლა უკვე თითქმის ყველანი მიწოლილნი ვიყავით, უმეტესობას ზღვის ავადმყოფობა შეგვყროდა და თავს ცუდად

ვგრძნობდით. თომაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ზღვას პირუტყვებზეც ემოქმედა. საბრალო ცხვრები საცოდავი ბღავილით პირს აღებინებდნენ. მეზღვაურებმა გვითხრეს, რომ ვისაც შეგვეძლო დავხმარებოდით გემზე მუშაობაში, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ გემი ცალ გვერდზე უფრო დატვირთული იყო და საჭირო იყო მისი გაწონასწორება. ფეხზე წამოვდექით. მე ორი ნაბიჯი გადავდგი, თავბრუ მეხვეოდა, ვერ შევძელი და ისევ მივწექი. რამდენიმე კაცს ჩემსავით დაემართა, რამდენიმე კი ფეხზე დარჩა, მათ შორის შალიკო და იოსები. ესენი სამუშაოდ წავიდნენ. ზღვა თანდათან უფრო ღელავდა, შავი ზღვის ტალღები გიჟივით ღრიალებდნენ. არ გასულა დიდი ხანი, რომ ჩვენი მომუშავე ამხანაგები დაბრუნდნენ, მთვრალებივით ბარბაცებდნენ და კედელს ეყუდებოდნენ. შალიკო და იოსები ჩემს გვერდით დაეშვნენ. „უჰ, მოვკვდი კაცი“, ჩაილაპარაკა შალიკომ და დაუმატა: „ნეტა ვიცოდე, გემის შემსუბუქება რომ გახდეს საჭირო, ვის გადაჰყრიან თათრები ზღვაში – ჩვენ თუ ცხვრებს! ალბათ ჩვენ“. მე მისვენებული ვიყავ და სიცილის თავიც აღარ მქონდა. მთელ ღამეს ზღვა საშინლად ღელავდა, ჩვენი ძველი გემი ჭრიალებდა და მარჯვნივ-მარცხნივ გადადიოდა. როგორც იქნა, მეორე დღეს ღელვამ იკლო და თავი უკეთესად ვიგრძენით. „როგორა ხარ თომა?“, შეეკითხა შალიკო. „უკეთ, ჩემო შალიკო, გიშველოს ღმერთმა, ნუ მოგაკლოს უკეთობა და ჯანმრთელობა“, დაიწყო თომამ დასუსტებული ხმით. „როგორა ხარ თომა?“, ვკითხე მეც. „მადლობთ ძმაო ელიზბარ, ღმერთმა გიშველოს, ჯანმრთელობა ნუ მოგაკლოს“, დამლოცა მეც. იოსებს და სხვებს თვალი ჩავუკარი. „როგორა ხარ თომა?“, შეეკითხა თავის მხრივ იოსები. თომამ ისიც დალოცა, მაგრამ უფრო მოკლედ. იოსებს მიჰყვა დათიკო, ლუარსაბი, მათე, ალექსანდრე და გიორგი, ვახო და ვანო. სულ „როგორა ხარ თომა“ ისმოდა. თომაც ყველას ლოცავდა, მაგრამ თანდათან ამოკლებდა დალოცვას, ეტყობოდა უკვე ეშლებოდა ნერვები და ზრდილობის გამო აღარაფერს ამბობდა. „სპროსი, კაკ პოჟივაეტ ტომა“, ჩაულაპარაკა შალიკომ მირონას. „კაკ პოჟივაეშ ტომა?“, შეეკითხა მირონაც. აქ კი თომამ ველარ მოითმინა და გაბრაზებულმა სუსტი ხმით შეუტია მირონას: „რუსო, შე მამაძაღლო, შენი მასხრად ასაგდებიც გავხდი, ერთი ესე გაფუჭებული არ ვიყო, გაგიხეთქამდი მაგ მოტვლეპილ გოგრას!“ ჩვენ ყველანი გულიანად ვიცინოდით, საცოდავი მირონა კი ვერ მიხვედრილიყო, თუ ესე ძალიან რამ ააღელვა და გააჯავრა დინჯი თომა.

გავიარეთ ვიწრო და ლამაზი ბოსფორის სრუტე. აუჩქარებლად მივცურავდით. ვუახლოვდებოდით კონსტანტინოპოლს. ყველას გამოცოცხლება ეტყობოდა.

შეღამებული იყო, როდესაც შორიდან გამოჩნდა გაჩირაღდნებული სტამბოლი. რაც უფრო ვუახლოვდებოდით, მით უფრო ლამაზდებოდა და ბოლოს ყველას მშვენივრად მოგვეჩვენა. თვალი ვერ მომეშორებინა მისთვის. ნამდვილი მწერალი მას აღწერდა და მკითხველსაც ცოცხლად დაანახვებდა მის მშვენიერებას. სამწუხაროდ, მე ამის ძალა არ შემწევს. შევედით ნავსადგურში. უკვე გვიან იყო. გემი ნაპირიდან კარგა მოშორებით შეჩერდა. მეორე დილას მოტორიანი ნავი მოგვადგა თათრის პოლიციით. ყველა ლტოლვილი გემიდან ნავში ჩამოგვსხეს და რამდენიმე წუთში ნაპირზე ვიყავით. ვერ წარმოიდგენთ, რა სიამოვნება იყო ჩემთვის, როცა ჩემს ფეხქვეშ მყარი მიწა ვიგრძენი. თომა მთვრალივით ლასლასებდა. თითქმის ყველას სახეზე დაღლილობა აჩნდა. ზღვის სანაპიროს პოლიციაში ვიყავით. პოლიციის უფროსი რუსულს ლაპარაკობდა. „თქვენ ქართველი ლტოლვილები ხართ? გვკითხა მან, უქაღალდოდ ჩვენ თქვენი გაშვების ნება არა გვაქვს. ვიდრე თქვენი ქაღალდები წესრიგში არ მოვა, თქვენ აქ დარჩებით, გემზე. როდესაც ერთი წავა, მეორეზე გადაგსხამთ. ხვალ ალბათ თქვენი წარმომადგენლები მოვლენ თქვენს სანახავად“,

გვითხრა მან. ამის შემდეგ სურათები გადაგვიღეს და ერთ დიდ გემზე აგვიყვანეს. გემი საფრანგეთის გამოდგა, ლამაზი და სუფთა. მეზღვაურები შემოგვეხვივნენ. ერთი ჩვენგანი, ლუარსაბ ს-ძე ცოტა ფრანგულს ლაპარაკობდა. გამოგვკითხეს თუ ვინ ვიყავით და შემდეგ ერთ სუფთა და დიდ ოთახში ჩაგვიყვანეს და ბინად მოგვცეს. ჩვენც, როგორც შეგვეძლო, მოვეწყვეთ. მცირე ხნის შემდეგ შალიკომ სევდიანი ჩვენებური სიმღერა წამოიწყო: „ძლიერ სტიროდა ორივ დიელო, ძლიერ სტიროდა“. შალიკო მღეროდა და ჩვენც ვეხმარებოდით. მალე სიმღერის ხმაზე ოთახი ფრანგი მეზღვაურებით გაივსო. დიდის ყურადღებით ისმენდნენ ჩვენს სიმღერას, დამთავრებისას ტაშით და „ბრავოს“ ძახილით დაგვაჯილდოვეს და გვთხოვეს კიდევ რამე გვემღერა. თხოვნა შეუსრულეთ. მათ ერთმანეთს წაულაპარაკეს და ძალიან მალე თეთრი პური, რამდენიმე ნაჭერი ძეხვი და ერთი დიდი კოკურით მშვენიერი ღვინო მოგვიტანეს, რამაც დიდად გვასიამოვნა. ღვინო გამოვწრიტეთ, ყველა კარგ ხასიათზე დაგვაყენა. ავედით მაღლა, გემის აივანი პორტს დაჰყურებდა, დავუწყეთ ცქერა, გაიმართა ბაასი. მოგვწონდნენ სუფთად ჩაცმული ფრანგი მეზღვაურები. ღვინომ გამოგვაცოცხლა. „ზიარება იყო ჩვენთვის. ღმერთმა უშველოს ფრანგებს!“, იძახდა სახეგაბრწყინებული თომა. ბაქანზე ხალხი ირეოდა. გემიდან ჩასვლა ჩვენთვის აკრძალული იყო, გემის ხიდზე მდგარი ასკერი თოფით ხელში გვდარაჯობდა. დილის 11 საათი იქნებოდა, როდესაც გემზე საკონსულოს წარმომადგენელი ნ. მასხარაშვილი ამოვიდა. ჩვენ მას ირგვლივ შემოვეხვიეთ. იგი მოგვესალმა და გვითხრა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს კონსული ი. მდივანი ზრუნავდა ჩვენზე და, ვიდრე ჩვენი საბუთები და ვიზები მომზადდებოდა, ალბათ რამდენიმე დღე სტამბოლში მოგვიწევდა დარჩენა. სურსათი მოგვიტანა: პური, ძეხვი და ბლომად ჰალვა და დაგვპირდა, რომ თვით კონსულიც მოვიდოდა ჩვენს სანახავად და თვითონ კი ხშირად გვინახულებდა.. მართლაც, ვიდრე სტამბოლში ვიყავით, მასხარაშვილი ყოველდღიურად გვნახულობდა და სურსათს გვაწვდიდა. გაჩერებულ გემებს ნავსადგურში პატარა ნავები ეხვეოდნენ, ესენი იყვნენ ფეხზე მოვაჭრე თათრები, რომელნიც მოგზაურებს ასყიდებდნენ სასმელ-საჭმელს და სხვა ნივთებს. იგი საქონელს დაბლიდან გვიჩვენებდა და ჩვენ მაღლიდან ვევაჭრებოდით. ამოგვიგდებდნენ თოკზე შებმულ პატარა კალათას, რომელშიც ჩვენ ფულს ვდებდით, უკან ვუშვებდით და თოკითვე ამოვწევდით ნაყიდ საქონელს. ამ საშუალებით ჩვენ ვიყიდეთ სამართებელი თავის მოწყობილობით, დიდი ხნის მოუპარსავი პირი მოვიპარსეთ, დავიბანეთ და ცოტა ადამიანებს დავემსგავსეთ.

გემის აივნიდან გადავყურებდით კონსტანტინოპოლის ნავსადგურს. იქ დიდძალი ხალხი ირეოდა. ჩვენ ქართულ ენაზე ხმამაღლა ვოხუნჯობდით. „ქართველები ხააართ, ქართველებიიი?“, შემოგვესმა დაბლიდან ხმა. ჩვენი თვალები მსწრაფლ ხმის მიმართულებით გაქანდნენ. დაბლა შევამჩნიეთ ორი ევროპულად ჩაცმული ადამიანი. „ქართველები ვართ, ქართველები!“, მივაყვირეთ ჩვენც სიხარულით. „გამარჯობააათ, გამარჯობააათ!“ ისინი გემს უფრო მოუახლოვდნენ და ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. „ფოთელი ურიები როგორ არიან, ფოთელი ურიები?“, შეგვეკითხა ერთი მათგანი ურიული კილოთი. „კარგად არიან, კარგად, კოცნას და მოკითხვას გითვლიან!“, უპასუხა შალიკომ ურიული კილოთი. ყველას გულიანად გაგვეცინა. „თქვენ რას შვრებით, აქ რას აკეთებთ?“ „სილამერს ვამუშავებ, სილამერს (რუსული სიტყვიდან „ღონის სასინჯი“)“, გვითხრა ერთმა და რაღაც დაგრეხილი რკინა დაგვანახა. „ხეირი თუ გაქვთ რამე?“, შევეკითხე მე. „ხეირი, ჩემო ძმაო, კი გვაქვს. კონსტანტინოპოლს ფრაერები არ აკლია“, იყო პასუხი. ქართველ ურიებთან პატარა ლაპარაკმა ყველა გაგვამხიარულა. იმავე დღეს გვეწვია თვით მაშინდელი

დამოუკიდებელი საქართველოს კონსული სოსიკო მდივანი. გემზე ამოსვლა ვერ შეძლო, ჩვენი მიწაზე ჩასვლა კი არ შეიძლებოდა, ვიდრე ჩვენი მდგომარეობა არ გაირკვეოდა. მაგრამ ორ კაცს მაინც მოგვცეს დაბლა ჩასვლის და ბ-ნ მდივანთან ლაპარაკის ნება. ჩავედით დავით ხ-ი და მე. ძალიან ტკბილად და მეგობრულად გვესაუბრა ბ-ნი სოსიკო, არ დაგვიმალა სამშობლოს მოშორებული ქართველების სიძნელეები და დარდი. „ალბათ რამდენიმე დღეში თქვენი ვიზები საფრანგეთისთვის მზად იქნება. იქ ცოტა არ იყოს უმუშევრობა იწყება და იცოდეთ, რომ უბრალო მუშებად მოგიხდებათ მუშაობა“. „ვიმუშავებთ, ბატონო, მუშაობის არ გვეშინია“, ვუპასუხეთ ჩვენ. მან საქართველოს ამბები გამომგვკითხა, ჩვენ მოვუყევით. ბ-ნ სოსიკოს თვალში ცრემლი მოერია. დაგვპირდა, რომ შუამდგომლობას აღძრავდა, რომ ჩვენი პასპორტები რაც შეიძლება სწრაფად გაკეთებულიყო; ეცდებოდა, ცოტაოდენი ტანსაცმელი ეშოვა ჩვენთვის, თუ არ ვცდები, მგონი უკრაინული კომიტეტის საშუალებით. მართლაც, მეორე დღეს მივიღეთ რამდენიმე წყვილი ფეხსაცმელი, ორი თუ სამი პალტო და საცვალი, რომელიც მეტისმეტად გვჭირდებოდა. განსაკუთრებით გაგვახარა და გვასიამოვნა ქართველ კათოლიკეთა მოძღვრის მამაო შალვას და ქართველის მოლოზნების ნახვამ. ისინი სხვადასხვა საჭმელებით გვეწვივნენ. ჩვენი გული ხარობდა, ისევ გვესმოდა ლმობიერებით და სიკეთით სავსე ქართული მეტყველება. ამის შეგრძნება შეუძლია მხოლოდ საბრალო ლტოლვილს, რომელსაც მუხთალმა ბედმა სამშობლოს დატოვება არგუნა წილად და რომელიც ბრმად მიდიოდა შორს, უცხო ქვეყანაში. სად? არ ვიცოდით. თითოეული ჩვენგანის ფიქრი სამშობლოსკენ მიმართულიყო. თითოეული ჩვენგანის სევდით და ნაღველით მოცული გული ჩუმად, ხმის ამოუღებლად იტანჯებოდა, მაგრამ თითოეული ჩვენგანი ცდილობდა რაც შეიძლება დიდი მანძილი დაედო საქართველოსა და უცხო მიწას შორის. მოლოზნები კიდევ რამდენიმეჯერ გვეწვივნენ ჩვენი იქ ყოფნის დროს და ყოველი მათი ვიზიტი დიდი შვება იყო ჩვენთვის. გემის აივნიდან გადავყურებდი სტამბულის მაცხოვრებლებს, ხალხი ბუზივით ირეოდა. „რა ბედნიერნი არიან თავის მშობელ მიწაზე!“, ვფიქრობდი ჩემთვის. აგერ, ზურგზე წყლის დიდ თუნგაკიდებული ოსმალო ყველას ჭიქა წყალს სთავაზობს სულ რაღაც ერთ ყურუშად; აგერ, ფეხსაცმლის მწმენდავი ხელგაშავებული პატარა თათარი; აგერ, მდიდრულად ჩაცმული ფეხზე მოვაჭრენი, – ყველა ესენი ჩვენზე ბედნიერნი არიან. იქნებ ეს გულგაღეღილი და მზისგან დამწვარი მათხოვარიც ჩვენზე ბედნიერია, რომელიც ხელგაშვერილი დგას და მოწყალებას თხოულობს. ღარიბები არიან, მაგრამ თავის ქვეყანაში არიან. ზოგიერთისგან გამიგია: „მირჩევნია ვიყო კაცი პირველი უცხოეთში, ვიდრე უკანასკნელი ჩემს ქვეყანაშიო“. არა, პირიქით (ამას თანდათან უფრო ვგრძნობ), ჩემს ქვეყანაში, სადაც მე მესმის ჩემი ენა, ფეხი მიდგია ჩემს მიწაზე, ვხედავ ჩემთან ერთად გაზრდილთ, ჩვენს ადათ-წესებს, მე სიღარიბე მირჩევნია უცხოეთში სიმდიდრეს. ვინც პირიქით აზროვნებს, ალბათ მას ლტოლვილობა არ უგრძვნია, ან თუ უგრძვნია, გული არა ჰქონია“.

ორი დღის შემდეგ ფრანგული გემი, რომელზეც ასე კარგად მიგვიღეს, წასასვლელად მოემზადა. ჩვენ კვლავ ჩამოგვსხეს და სხვა გემზე აგვიყვანეს. ეს გემიც ლამაზი იყო. იგი იტალიელების გამოდგა. იტალიელები გაკვირვებით შეგვხვდნენ, მაგრამ ბინა მოგვცეს. იატაკზე კი მოვეწყვეთ, მაგრამ ბედს მაინც არ ვემდუროდით. აქაც კვლავ ცნობისმოყვარეობით გვიყურებდნენ. „რუსკი, რუსკი?“, გვეკითხებოდნენ მეზღვაურები. როგორც იქნა, გავაგებინეთ, რომ ქართველი ლტოლვილები ვიყავით. არ გასულა დიდი ხანი, რომ გიტარა და მანდოლინა მოგვიტანეს და გვთხოვეს რამე ჩვენებური დაგვეკრა. „ეჰ, რა გვემღერება და გვეკვრება!“, წარმოსთქვა ნაღვლიანად

თომამ, რომელიც მთელი დღის განმავლობაში გაჰყურებდა ჩვენს უკან მდგარ ლურჯ ზღვას, თითქოს ცდილობდა სადღაც შორს დატოვებული მთები შეემჩნია. ჩვენში გამოჩნდნენ დამკვრელები ძმები ფა-ები. მალე გაისმა ჩვენებური მუსიკის ხმები. მუსიკას სიმღერა ავაყოლეთ, ნაღვლიანად, მაგრამ ტკბილად. გაშტერებული იტალიელები ხმის ამოუღებლად შემოგვყურებდნენ, ემჩნეოდათ, რომ ჩვენი სიმღერები მოსწონდათ. სევდიანი მუსიკა და სიმღერა შეწყდა. უცებ გიორგიმ მარდად ჩამოჰკრა მანდოლინის სიმებს, მას გიტარაც აჰყვა და გაისმა მამა-პაპური ლეკური. „აბა კურკა, კურკა!“, დავიძახეთ ჩვენ. „ეხ, ჯანდაბას, თუ ვიღუპებით, მხიარულად მაინც დავიღუპოთ!“, შესძახა მხიარულად შალიკომ და პატარა წრეში ლამაზად დაუარა ლეკური. როცა ლეკურიც ჩათავდა, იტალიელებმა ტაშით დაგვაჯილდოვეს, ხელი ჩამოგვართვეს და ღვინოც დაგვალევინეს. მასხარაშვილმა კვლავ მოგვაშველა ჩვეულებრივი ყოველდღიური სანოვაგე: თეთრი პური და ჰალვა. იტალიელების გემზე ორი დღე გავატარეთ. მერე ისიც წასასვლელად მოემზადა. ჩვენ ისევ სხვა გემზე გადავედით. ახლა ჩვენ ინგლისის მდიდრულად და სუფთად აშენებულ გემზე ვიყავით. ასვლისთანავე დავინახეთ ცივი და მკაცრი ინგლისელების სახეები. ახლო არავინ მოგვკარებია, ხმა არავის გაუცია, ყველა შორს გვივლიდა, თითქოს ეშინოდათ ჩვენთან მოახლოებით თავიანთ ბრჭყვიალა ტანსაცმელზე დაკერებული ნიშნები არ გაესვარათ. ვიდექით დაბლა ბაქანზე, ჩუმად და ნაღვლიანად. შემდეგ, როგორც იქნა, ჩამოვსხედით. შეღამდა. დასაწოლი ადგილი არსად იყო. ზღვის გრილი ნიავი გვივლიდა ტანში, ყველას გვციოდა და შევუდექით დასაძინებელი ალაგის ძებნას, ზოგი სად და ზოგი სად. მე და მათე ქ-ძე მოვხვდით ერთად გემის უკანა ნაწილზე, სადაც რამდენიმე მშვენიერი ჯიშის ძროხა მიწოლილიყო ჯაჭვით გადაბმული. „აქ დავწვეთ, სთქვა მათემ, ცოტა სითბო ჩანს“. იქვე ვიპოვეთ ალბათ ძროხებისთვის განკუთვნილი ჭუჭყიანი ბრეზენტი და შიგ გავეხვიეთ. ძროხის შარდის და სასუქის სუნი გვახრჩობდა, მაგრამ ცოტა სიცივისგან გვიცავდა და ბოლოს ჩაგვეძინა. რაღაც სასიამოვნო სიზმარში ვიყავი, რომ უცებ გვერდში მუჯლუგუნი ვიგრძენ და ტკივილმა გამომაღვიძა: თავზე მაღალი ინგლისელი გვედგა და რაღაცას გვიყვიროდა ინგლისურ ენაზე. სიტყვები არ გვესმოდა, მაგრამ მივხვდი, რომ იგი აქედან გვერეკებოდა. მან ჭუჭყიანი ბრეზენტი აგვაცალა. მათემაც გაიღვიძა, წამოჯდა, ორივენი წამოვდექით და იმ ალაგს მოვშორდით. „ალბათ არ უნდა, რომ ძროხები გავაჭუჭყიანოთ. აი დედასა, რას მოვესწარით!“, წარმოთქვა მათემ ნაღვლიანად. მე მას მხოლოდ ოხვრით ვუპასუხე. საშინლად გაბრაზებული ვიყავი და თავმოყვარეობაშელახულად ვგრძნობდი თავს. „აი, რა არის ლტოლვილობა: პირუტყვნი (თითი ძროხებისკენ გავიშვირე) ჩვენზე ბედნიერნი არიან. მაგრამ რას ვიზამთ!“, წარმოვთქვი მე და შუაღამისას კვლავ გემზე წანწალს შეუდექი. ჩვენებს ზოგს სკამზე ეძინა, ზოგს სკამის ქვეშ. შალიკოც ვიპოვე გემის ცხვირზე, მოტორის ოთახის წინ პატარა ფეხსაწმენდ ხალიჩაზე მიწოლილიყო, თუ იმას მიწოლას დაუძახებთ, რომ კისრიდან მუცლამდე რაღაცაზე იწვა, დანარჩენი კი იატაკზე. მიუახლოვდი. „ცოტა მიიწი შალიკო, მეც დამაწვინე“, უთხარი მე. შალიკომ თვალები გაახილა, შემომხედა და გაიღიმა: „შენა ხარ, შე დალოცვილო? სად მივიწიო, ვერა ხედავ რაზე ვწევარ?“ და თან მაინც მიიწია და ის ფეხსაწმენდი ხალიჩაც მე დამითმო. ვცადე ძილი, მაგრამ ვერ შევძელ. შალიკოს კვლავ ჩასძინებოდა. ავდექი და აივანზე გამოვედი. დათიკოს და იოსებსაც არ ეძინათ, მოაჯირზე გადამდგარნი ჩუმად ბასობდნენ. მეც მათ გვერდზე დავდექი და ზღვას დაუწყე ყურება.

როგორც იქნა გათენდა. ყველა მხრიდან ჩვენები გამოძვრნენ. საშინლად დაღლილი ვიყავი, თავი მტკიოდა, მეძინებოდა, „ოხ, ერთი ლოგინი“, ვნატრულობდი. ხალისი არაფრის და არავისი არ მქონდა. ყველას განერვიულება ეტყობოდა

და ერთმანეთში ლაპარაკს ვერიდებოდით. ინგლისელი მეზღვაურები გვერდზე გაგვივლიდნენ, აგვხედ-ჩაგვხედავდნენ და უსიტყვოდ გვცილდებოდნენ. მთელი დღე გემის მოაჯირზე მიყუდებულებმა და ჩაცუცქულებმა გავატარეთ. მეზღვაურებიც აღარსად ჩანდნენ, ალბათ მიწაზე ჩავიდნენ. საღამო ხანი იყო, როცა უცბად რუსულ ენაზე სალამი შემოგვესმა. ჩვენს წინ უცნობი იდგა ლმობიერი და მომღიმარი სახით. პატარა ტანის გასუქებული და ჩამრგვალებული კაცი იყო, ხუჭუჭა თმით და გვერდზე დადებული ქუდით.

მალე მის გარშემო წრე გაკეთდა, ბევრ ჩვენგანს სახე გაუნათდა. როგორ გამოირჩეოდა მისი მოღიმარი სახე მკაცრი და გამხდარი ინგლისელების სახეებისგან! მან ყველას ხელი ჩამოგვართვა, ბაასი გაგვიბა, ამბავი გამოგვკითხა, ისიც გვითხრა, რომ ინგლისელი იყო და ამ გემზე მუშაობდა. მშვენივრად ლაპარაკობდა რუსულად და ბევრ სხვა ენაზეც. „რა ვქნა, ეს ინგლისელს არა ჰგავს“, ჩაილაპარაკა დათიკომ ქართულად. უცნობი თითქოს მიხვდა მის ნათქვამს და გვითხრა: „თუმცა ინგლისელი ვარ, მაგრამ დაბადებით და ჩამომავლობით ინგლისში გაზრდილი რუსი ვარ“. ბაასი გაგრძელდა. მან გვკითხა, თუ როგორ ვგრძნობდით თავს. „ცუდად ბატონო, უპასუხა მათემ, მთელი ღამე არ გვიძინია და არც პირი დაგვიბანია ამ დილით“ და მოუყვა ძროხებთან წოლისა და ჩვენი იქიდან გამორეკვის ამბავს. უცხოელმა თავი გააქნ-გამოიქნია: „თქვე საწყლებო, არ გძინებიათ!“ ცოტა ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ გვითხრა: „მე შემიძლია დაგეხმაროთ. გემზე თავისუფალი ოთახებიც გვაქვს. რამდენი ხართ?“ „ცამეტნი“, ვუპასუხეთ ჩვენ. „დიახ, როგორც გითხარით, ყველაფერში დაგეხმარებით, თუმცა მე გემის უფროსი არა ვარ. თუ შეგიძლიათ თითომ ნახევარი ლირა გადაიხადეთ, კაპიტანს მივცემ და ვიდრე გემზე ხართ, სუფთა ოთახებში იცხოვრებთ.“ ჩვენ ერთმანეთს გადავხედეთ. ნახევარი ლირა ჩვენთვის ფული იყო, მაგრამ სუფთა ოთახი და ლოგინი ისე სანატრელად გადაგვქცეოდა, რომ დავთანხმდით. როგორც იქნა, ნახევარ-ნახევარი ლირა მოვაგროვეთ. უცხოელი გაგვიძღვა და პატარა ყოყმანის შემდეგ გემის მეორე მხარეს გაგვიყვანა და ოთახები გვანახა. „აი სამი ოთახი. მოეწყვეთ.“ უჰ, რა მშვენიერება იყო პატარა სუფთა ოთახები საწოლებით, პირსაბანით, საპონითა და პირასხოცით. ყველა გახარებულები ვიყავით, ყველა მოვეწყვეთ. დაღამდა. ვიწექით პატარა, მაგრამ რბილ საწოლებზე. „უჰ, რას დავიძინებ!“, ვფიქრობდი ჩემთვის. ვიწექი, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა, რაღაც ეჭვები მიპყრობდა: ვინ იყო ის კაცი? რად ყოყმანობდა, როცა ოთახებს ეძებდა? ჩემს გვერდით შალიკო ხვრინავდა, იოსებს და მათესაც ეძინათ. როგორც იქნა, გათენდა. შალიკო გავაღვიძე, სხვებიც. გარეთ გამოვედით. მათე ოთახში დარჩა, ერთი მამა-პაპურად პირი უნდა დავიბანოვო. ცოტა ხნის შემდეგ ვიღაც მაღალმა, გამხდარმა, მკაცრსახიანმა და ბრჭყვიალაპაგონებიანმა ინგლისელმა გვერდით ჩაგვიარა და იმ ოთახში შევიდა, სადაც ჩვენ გვეძინა. უცებ რაღაც რახუნის ხმა გაისმა და სახეზე საპონწასმული მათე ბურთივით გარეთ გამოვარდა. „ეს ვინა ყოფილა, ეს ოხერ-ტიალი“, იძახდა მათე და ხალათის ბოლოთი სახეს იწმენდდა. მალე გამოჩნდნენ ინგლისელი მეზღვაურები და ხმამაღალი ბურტყუნით გემის ბოლოსკენ გაგვრეკეს. მივხვდით, რომ ჩვენი „კეთილისმყოფელი“ უცხოელი ვიღაც შარლატანი იყო და ამ გემზე ისეთივე უცხო, როგორც ჩვენ. მან სხვისი ოთახები მოგვაქირავა და ექვსლირანახევარი გააკეთა. შემდეგში, საფრანგეთში, ერთმანეთთან შეხვედრის დროს ხშირად ვიგონებდით ამ შემთხვევას და გულიანად ვიცინოდით.

ინგლისელების გემიდანაც მალე მოგვიწია ჩამოსვლამ. კვლავ გამოვიცვალეთ ბინა. პატარა ნავით ზღვაში შეგვაცურეს და ნაპირიდან მოშორებულ ერთ

საბარგო, მაგრამ სუფთა და თანამედროვე გემზე აღმოვჩნდით. გემი გერმანელებს ეკუთვნოდათ. „გემიდან გემზე სიარულით მგონი მთელი მსოფლიოს ერებს გავიცნობთ“, ჩავილაპარაკე ჩემთვის. გერმანელი მეზღვაურები კარგად შეგვხვდნენ. აქ ცოტაოდენი გერმანული ცოდნა გიორგი ფ-მა გამოიჩინა და საუბარი გაიბა. „გეორგიენ, გეორგიენ“, „ია, ია“ გვესმოდა გამუდმებით. უშველებელი ბრეზენტი მოგვიტანეს, თვითონაც დაგვეხმარნენ, ლამაზი კარავი წამოვჭიმეთ და შიგ მოვეწყვეთ. არ გასულა დიდი ხანი, რომ ყველას გვერდზე კარტოფილით სავსე ტოპრაკი გვედგა. დანებით შეუდექით კარტოფილის ფრცქვნას. მუშაობამ გაგვართო, ისმოდა სიცილი და ოხუნჯობა, მალე სიმღერებიც დაიწყო „გუტ, გუტ“, გაისმოდა გერმანელი მეზღვაურების ხმა. კარტოფილის ფრცქვნა დამთავრდა. იგი გერმანელებმა წაიღეს და რამდენიმე ხნის შემდეგ თითოეულს მოგვცეს ცოტაოდენი შემწვარი კარტოფილი და შავი პური. ამ გემზეც რამდენიმე დღეს დავყავით. ყოველდღიურად კარტოფილს ვფრცქვნიდით და ჩვენი წილი შემწვარი კარტოფილი რეგულარულად გვეძლეოდა.

ერთ დღეს კვლავ ნავით მოგვაკითხეს და კვლავ ხმელეთზე გადაგვსხეს. ბ-ნი მასხარაშვილი და ბ-ნი მდივანი იქ დაგვხვდნენ. „თქვენი ვიზები და პასპორტები მზად არის, თქვენ დღესვე მიემგზავრებით საფრანგეთს. მარსელში დაგხვდებათ წარმომადგენელი, ქართველი არ არის, მაგრამ მას ევალება ქართველების სამუშაოზე მოწყობა. აბა თქვენ იცით, მოიქეცით ქართველურად, არ შეგვარცხვინოთ!“ ამ სიტყვებით მოგვმართა ბ-ნმა მდივანმა, სათითაოდ დაგვირიგა ჩვენი საბუთები, ას-ასი ფრანკი მოგვცა და გამოგვემშვიდობა, ჩვენ კი ბ-ნი მასხარაშვილის თანხლებით გემზე ავედით, იმ გემზე, რომელსაც ევროპის დიდ ქვეყანაში უნდა წავეყვანეთ. გემი ბერძნების იყო. მასხარაშვილი კაპიტანთან მოლაპარაკების შემდეგ გამოგვეთხოვა. ჩვენ დაბლა ჩაგვრეკეს. ორსართულიან საწოლებზე მოვეწყვეთ. ძალიან ბევრნი იყვნენ მესამე კლასის მგზავრები, თათრები და ბერძნები, სომხები და ურიები, – ყველა ჯურის ხალხი, ქალები, კაცები, ბავშვები. საშინლად შეხუთული ჰაერი იდგა, მაგრამ ჩვენ მაინც კმაყოფილნი ვიყავით. თითოეულ ჩვენგანს ჩალით გატენილი ლეიბი ჰქონდა. ეს დიდი რამე იყო ჩვენთვის, თანაც ვიცოდით, რომ მივდიოდით თავისუფალ და განათლებულ ქვეყანაში. მალე ჩვენი გემი დაიძრა, მისი სახელი იყო „ანდროსი“. დაიძრა გემი და მიწვა თომაც და კვნესა დაიწყო. მეც წამოვწექი. მარჯვნივ შალიკო იწვა, მარცხნივ იოსები. „ეხლა კი მივდივარ“, თქვა შალიკომ. უცბად ჩემი ფიქრი ჩემი ძმა დათასკენ წავიდა: „ნეტა თუ ვნახავ დათას ნეტა თუ ცოცხალია“. უკანასკნელ წლებში საქართველოში მასზე სხვადასხვანაირი ხმები დადიოდა, ცოცხლად აღარ თვლიდნენ, მე იმედი არასოდეს დამიკარგავს და დარწმუნებული ვიყავი, რომ იგი ცოცხალი და ჯანმრთელი დამიხვდებოდა. ამ ფიქრზე გული სიხარულით მიცემდა. აგერ უკვე ცხრა წელი სრულდებოდა მე და ჩემს ძმას ერთმანეთი არ გვენახა. ჩემი ფიქრი შალიკოს და იოსებს გავუზიარე, თან დავუმატე: ნეტა თუ ვნახავ მას კიდევ-მეთქი. „რასაკვირველია ვნახავთ და ერთი კარგადაც გადავკრავთ“, თქვა შალიკომ. პირველ ორ დღეს ხმელთაშუა ზღვა მშვიდი იყო და ჩვენ ყველანი თითქმის მთელ დღეს გემბანზე ვატარებდით. ისმოდა ჩვენი გამუდმებული სიმღერა და ცეკვა, მეგობარი მეზღვაურებიც გავიჩინეთ. გემზე პატარა დუქანიც იყო. მეზღვაურებმა დაიწყეს საჭმლის მოცემა, რასაკვირველია ფასით. ბერძნები მოვაჭრე ხალხია.

კარგი ამინდი იყო, ყველანი ლურჯად მოლივლივე ზღვას გადავყურებდით, გარდა თომასი, რომელიც თავის ლოგინზე იჯდა და ჩუმად კვნესოდა. მაგრამ კარგი

ამინდი დიდხანს არ გაგრძელებულა. ზღვამ ღელვა იწყო და გემი აქანავდა. ჩვენ ჯერ კიდევ თავს ვიმაგრებდით. მეორე დღეს ღელვამ იმატა. აქ კი მეც იძულებული გავხდი დავწოლილიყავი. ვისაც არ გამოუცდია ზღვის ავადმყოფობა, ძნელია იმის დაჯერება, თუ რა სიცარიელეს, სისუსტეს და სულით დაცემას გრძნობს კაცი. ღელვა არ წყდებოდა, მე ლოგინიდან თითქმის აღარ ვდგებოდი. „მე მგონი, თავის დღეში არ ვიქნები ჭეშმარიტად კარგი მეზღვაური“, ვფიქრობდი ჩემთვის. მარტო მე არ ვიყავი ასე, მესამე და მეოთხე კლასის მგზავრების უმეტესობა ჩემსავით იყო. გაისმოდა ოხვრა და „ამანე, ამანეს“ ძახილი (თათრულად ნიშნავს ჩვენებურ „ვაიმეს“). საშინელი უჰაერობა და უსუფთაობა იყო და მკბენარმა იწყო დაბუდება ჩვენს სხეულზე. გემი მიირხეოდა, ტალღებს მიარღვევდა, ზღვა ღელავდა და ზღვის ავადმყოფობაც თანდათან მატულობდა. ხმელეთს ისე ვნატრულობდი, როგორც დამშეული ინატრებს პურის ნატეხს და დიდი ხნის მწყურვალი – წყალს. ზოგიერთი ჩვენგანი უკეთ იტანდა ზღვას და შეეძლო მაღლა ასვლა. „მარსელს ვუახლოვდებით, უკვე მოჩანს“, გვითხრა ლუარსაბმა. გემმაც თითქოს რყევას უკლო. ზღვა დამშვიდდა, მეც უკეთესობა ვიგრძენი, ნელა ფეხზე წამოვდექი და ლასლასით ზევით ავედი. მოჩანდა უშველებელი ქალაქი უშველებელი პორტით. გემი ეხლა უკვე გაუნძრევლად მისრიალებდა. გაისმა მუხრუჭების ხმა, გემი გაჩერდა. ჩვენ მარსელის პორტში ვიყავით. მე შვებით ამოვისუნთქე.

ELIZBAR MAKASHVILI

Escape. Fragment of memoir

Annotation

Elizbar Makashvili was a political emigrant from Georgia who spent the last 64 years of his life in France. He was born in Eastern Georgia in 1905. During1922-1927, he participated in partisan fights against Bolsheviks and illegal activities against the Soviet power. To save himself, he left Georgia in 1927 and settled in Southern France. He married the French lady and had a daughter. He often visited Paris to participate in political life of Georgian emigrants. Due to the health problems, in 1989, he was moved to retirement home in Nimes where he died on June 6, 1991.

The story below is a fragment from his memoires where he describes how he left Georgia and reached France. This manuscript was brought in Georgia by Mr. Rezo Nikoladze. It was edited for the publication by Bidzina Makashvili.

თამარ პაპავა

ჩემი კრიალოსანი

თამარ პაპავას მემუარები –
ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლის
უმნიშვნელოვანესი წყარო

თამარ და აკაკი პაპავების უმდიდრესი არქივი, რომელიც დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული და რომლის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ ამ 15 წლის წინათ, 1997 წელს ჩამოვიტანე საქართველოში, მრავალ საინტერესო მასალას შეიცავს. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თამარ პაპავას მემუარები, რომლებშიც გასული საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი ქართველი ქალი თავისი დიდი, ფუძეძლიერი და ტოტებმრავალი ოჯახის ამბავს მოგვითხრობს. მემუარების დროითი ფარგლები თითქმის 60-წლიან პერიოდს მოიცავს – გასული საუკუნის 10-იანი წლებიდან მოყოლებული, ვიდრე ავტორის გარდაცვალებამდე 1976 წელს. მემუარების გეოგრაფიული არეალი კი – ათზე მეტ ქვეყანას ფარავს: საქართველო, რუსეთი, ესტონეთი, ლატვია, თურქეთი, გერმანია, ჩეხია, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი, არგენტინა, ურუგვაი...

ქართული მემუარული ლიტერატურა საკმაოდ ღარიბია, კიდევ უფრო ღარიბია ქართული ემიგრანტული მემუარული ლიტერატურა. თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს ქართველ ემიგრანტთა მოგონებები, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი, რომელთა შორის თამარ პაპავას „ჩემი კრიალოსანი“ ერთი ყველაზე გამორჩეულია თავისი მასშტაბით, თავისი ინფორმაციულობითა და თავისი გულწრფელობით. ცალკე უნდა აღინიშნოს მემუარების სტილი და მისი ავტორის მწერლური ღირსებები. „ჩემი კრიალოსანი“ ერთი ამოსუნთქვით, სათავგადასავლო რომანივით იკითხება.

ეს ჩანაწერები იმ შემთხვევაშიც კი უაღრესად საინტერესო იქნებოდა, ისინი ერთ ჩვეულებრივ ოჯახს რომ ეხებოდეს. მაგრამ საქმე ის არის, პაპავების ოჯახი არ იყო ჩვეულებრივი ოჯახი და არც მისი გარემოცვა იყო ჩვეულებრივი. აკაკი პაპავა თვალსაჩინო პუბლიცისტი და მწერალი, გემოჩენილი პარტიული და პოლიტიკური მოღვაწე იყო ჯერ კიდევ ემიგრაციამდე. იგი გახლდათ თბილისის საკრებულოს ხმოსანი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის მეორე თავმჯდომარე, გაზეთ „ხელოვნების“ რედაქტორი. მისი ოჯახის ისტორია ვითარდება საქვეყნო მნიშვნელობის უდიდესი პოლიტიკური მოვლენების ფონზე, ხოლო ზოგიერთ ამ მოვლენაში პაპავები უშუალოდ იყვნენ ჩართული და ბევრი რამ, რაც ჩვენ მხოლოდ ისტორიის წიგნებიდან ვიცით, მათი ცხოვრების ნაწილი იყო. თამარ პაპავას მემუარებში მკითხველი მსხვილი პლანით დაინახავს ბევრ ასეთ მოვლენას და კიდევ უფრო მსხვილი პლანით გაეცნობა ისეთ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ ექვთიმე თაყაიშვილი, მიხაკო წერეთელი, გრიგოლ რობაქიძე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ზურაბ ავალიშვილი, ვიქტორ ნოზაძე, ნოე ჟორდანია, კიტა ჩხენკელი, შალვა ამირეჯიბი, გიორგი კვინიტაძე, ილია ზდანევიჩი და მრავალი სხვა.

თამარ პაპავას მემუარების ორი ფრაგმენტი სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ემიგრანტულ პრესაში. პირველი თავი – „ორი კვირა ვირთხებთან“, რომელშიც თამარის და მისი ორი მცირეწლოვანი გოგონას საქართველოდან წასვლა და მოსკოვში გერმანიის ვიზის მიღების სირთულეებია აღწერილი, ჟურნალ „კავკასიონში“ დაიბეჭდა, ხოლო მოგონება ქაქუცა ჩოლოყაშვილზე თამარ პაპავამ შეიტანა თავის წიგნში „გაბნეული საფლავები“. მემუარების კიდევ ერთი ფრაგმენტი, რომელიც, ნოე რამიშვილს ეხებოდა, როგორც ჩანს, ასევე დასაბეჭდად, თავის დროზე ავტორს პარიზს გაუგზავნია და რვეულში ასეც ჩაუწერია: „აქ ამოღებულია 5 ფურცელი, ნ. რამიშვილის შესახებ ნაწერი. იგზავნება პარიზში.“ მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ფრაგმენტი არც ხელნაწერის სახით ჩანს სადმე და არც დაბეჭდილი, არც პარიზში და არც სხვაგან. იმედია, – ჯერჯერობით. მემუარების პირველ რვეულს აკლია კიდევ შვიდი ფურცელი, რომელთა ადგილას ავტორს ჩაუწერია: „კონა ქინძი და ქოჩორა ქონდარი“. ამოღებულია ფურცლები 66-72. „ჩვენი ბალის ამბავი.“

მაგრამ ამ ორი ფრაგმენტის დაკარგვა რა სათქმელია! თავის დროზე თამარ პაპავას უნიკალური მემუარული ჩანაწერებით სავსე ეს რვა მოზრდილი რვეული ბეწვზე გადაურჩა სრულ განადგურებას. 1997 წელს, პაპავების შთამომავალთა ოჯახში ჩემი პირველი სტუმრობისას, თამარ და აკაკი პაპავების ქალიშვილმა, მზია პაპავა-ჭეიშვილმა მიამბო, რომ სიცოცხლის მიწურულს, როცა დედამისმა არაერთი მისი ჩანაწერი და საოჯახო არქივში დაცული მრავალი პირადი წერილი დაწვა, დიდხანს უტრიალებდა ამ ჩანაწერებსაც, ვერ გადაეწყვიტა, რა ექნა მათთვის. ბოლოს, როგორც ჩანს, მაინც ვერ გაიმეტა და მისმა ქალიშვილებმა ეს ძვირფასი რვეულები თბილისში გამომატანეს.

თამარ და აკაკი პაპავების ძვირფასი არქივიდან ზოგიერთი რამ უკვე გამოქვეყნდა. თუ ცალკეული საარქივო ერთეულების პუბლიკაციებს არ ჩავთვლით, ჩემს მიერ უკვე გამოცემულია ხუთი წიგნი: გრიგოლ რობაქიძის უცნობი ეროტიკული ნოველა „ყაფლან ქვემოკლიძის მინაწერი კვატატი პიტნავას“ (1999), ექვთიმე თაყაიშვილის წერილები თამარ და აკაკი პაპავებს (1999, 2009), გრიგოლ რობაქიძის (2009), მიხაკო წერეთლისა და სამსონ ფირცხალავას (ორივე – 2012) წერილები თამარ და აკაკი პაპავებს. არადა, პირველი, რის გამოცემასაც თამარ და აკაკი პაპავების არქივიდან ვაპირებდი, სწორედ თამარ პაპავას მემუარები იყო. ავაკრეფინე კიდეც ტექსტი და ანაბეჭდები თბილისში სტუმრად ჩამოსულ გულნარა ჭეიშვილს გავატანე არგენტინაში, დედამისთან – მზია პაპავა-ჭეიშვილთან. მან კი, იმის მომიზეზებით, ზოგი რამ გასასწორებელია, ზოგი რამ ნაადრევიაო, გამოქვეყნებისაგან თავის შეკავება მირჩია. მეტიც, მან რვეულები უკან გაითხოვა და მე ისინი ბუენოს-აირესში მცხოვრები ჩვენი საერთო მეგობრის, გოჩა შათირიშვილის ხელით არგენტინაში დავაბრუნე. თუმცა მასალაზე მუშაობა არ შემიწყვეტია, მით უმეტეს, რომ მზია პაპავა-ჭეიშვილისგან ასე თუ ისე ვიცოდი, რა და რატომ არ მოეწონა მას დედამისის მემუარებში.

და აი, წელს, მაისში მე ეს რვა რვეული მეორედ ჩამოვიტანე არგენტინიდან საქართველოში. ამჯერად უკვე გამოქვეყნების უფლებით. გარკვეული რედაქტირების შემდეგ, რასაკვირველია. თამარ პაპავას მემუარები ახლა გამოსაცემად მზადდება. არ არის გამორიცხული, მემუარებს დაერთოს თამარ პაპავას მიმოწერა ოჯახის წევრებთან, რაც კიდევ უფრო საინტერესოს გახდის მის ჩანაწერებს. ვცდილობ, მემუარები მოვამზადო და გამოვცე ისე, როგორც ამას მზია პაპავა-ჭეიშვილი მოიწონებდა.

ხოლო ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ მკითხველს მინდა შევთავაზო რამდენიმე ფრაგმენტი მომავალი წიგნიდან. შეგნებულად შევარჩიე დროით და სივრცით ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებული სამი ეპიზოდი: 1924-1925 წლების ჰამბურგი და პარიზი; 1945 წლის გერმანია; 1949-1952 წლების საფრანგეთი და არგენტინა. აქვეა ერთი ჩართული ეპიზოდიც „ჩვენი ცხოვრებიდან“. მემუარების ქრონოლოგიურ რიგს ხშირად წყვეტს ასეთი ჩანართები.

ვფიქრობ, საქმეში ჩახედული მკითხველისთვის ამ ორიოდე ფრაგმენტიდანაც აშკარა უნდა იყოს, რომ თამარ პაპავას „ჩემი კრიალოსანი“ უმნიშვნელოვანესი წყაროა XX საუკუნის ქართული ემიგრაციის ისტორიის შესწავლისათვის.

ავტორისეული სტილი დაცულია. ტექსტში გასწორებულია მხოლოდ ორთოგრაფია და პუნქტუაცია, ისიც – ძალზე ფაქიზად. უნიფიცირებულია ქვესათაურები, რომლებიც დედანში სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარად წერია, რაკი ტექსტი ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა და ივსებოდა. მემუარების სათაური ავტორისეულია. სწორედ ასეა დასათაურებული მემუარების ერთი რვეული და მე იგი წიგნის სახელწოდებადაც შევიგულე.

რამდენიმე შენიშვნა ტექსტის უკეთ გაგებისათვის: მემუარებში ნახსენები „კაკიჩი“ აკაკი პაპავაა. ცოლ-ქმარი ყველაზე ხშირად ასე მიმართავდა ერთმანეთს. ტურფა და მზია მათი ქალიშვილები არიან, ლეო ჭეიშვილი და საშა ჭეიშვილი – სიძეები, ხოლო ნინო (ფიქრია), ტურფა-მარია (პუსი), მზიკუნა, მაყვალა, გულნარა და სალომე (სინდუხელა) – შვილიშვილები. ტექსტში ნახსენები „ირო“ საიმიგრაციო ორგანიზაციაა, რომელიც ევროპიდან ემიგრანტთა სამხრეთ ამერიკაში გამგზავრების საკითხებით იყო დაკავებული.

იმედი მაქვს, ამ საჟურნალო პუბლიკაციით საზოგადოებაში თამარ პაპავას წიგნის მოლოდინი გაჩნდება და იგი – თამარ პაპავას „ჩემი კრიალოსანი“ – გამოცემისთანავე დაიკავებს ერთ-ერთ ყველაზე საპატიო ადგილს ქართულ მემუარულ ლიტერატურაში.

პაატა ნაცვლიშვილი

ჰამბურგი, 1924

[ჩასვლიდან] ცხრა თვის შემდეგ, მარტში, ჩვენ დავტოვეთ ბერლინი და გადავედით საცხოვრებლათ ჰამბურგში. ჩვენი ბინა ჰამბურგში შესდგებოდა მეორე სართულზე მდებარე ხუთი დიდი და ნათელი ოთახისგან. მშვენიერი, ხალისიანი ბინა იყო, მოწყობილი მთელი კომფორტით, ევროპიულის წესით. ბინა ეკუთვნოდა ერთ მდიდარ შვედელ ვაჭარს – რამფელდს. ამ რამფელდს ჰყავდა ორი ვაჟი და შესანიშნავი ცოლი – მეტად ლამაზი, ჭკვიანი და დარბაისელი. ის გახლდათ საქსონიის უნივერსიტეტის გამოჩენილი პროფესორის ქალიშვილი, განათლებული ქალი, მშვენიერი სახის, ხასიათის, და თან კეთილი და სათნო. მათი შვილები შვეციაში, უნივერსიტეტში სწავლობდენ. ცოლ-ქმარმა ამჯობინეს ჰამბურგის განაპირა მიდამოებში ერთ პანსიონში გადასულიყვნენ საცხოვრებლად; თავისი ბინა კი მშვენიერის ავეჯით ჩვენ მოგვაქირავეს. ქალბატონი რამფელდი ბოლოს ჩვენი ოჯახის დიდი მეგობარი გახდა და ჩემს გოგოებს დიდ სამსახურს უწევდა თავისი ცოდნით, მაღალი ზნეობით და კულტურით. ასე და ამნაირად, დავსახლდით ჰამბურგში და დაიწყო აქ ჩვენი ოჯახის მოწყობა და ბავშვების სწავლის კითხვის მოგვარება...

ჩვენმა მშვენიერმა ბინამ ძალიან შეგვაყვარა წვიმიანი და გარეგნულათ თითქოს მკაცრი, მოღუშული და მოწყენილი ჰამბურგი. თუ ოდესმე გამოანათებდა, მზე ჩვენს მრავალ ფანჯრებს მოადგებოდა და ჩემი გოგოები და ჩვენც, საქართველოს მზეს მოწყურებულნი, ამ ჩრდილოეთის მზის პატარა შუქით ვიბრუნებდით სულს.

მართლაც საოცარი იყო მზის წყურვილი მთელს ჩვენს ოჯახში... მაგალითად, მზია ხანდახან უცებ ატრიდებოდა უმიზეზოდ და რომ ვკითხავდი მიზეზს, მეტყოდა, „მზე მინდა, დედაო“. მთელი ის ხანა, რაც ჩვენ ჰამბურგში ვცხოვრობდით, ორთავე ბავშვს უგუნებობა, უხალისობა ემჩნეოდა, რაიც უეჭველად გამაცხოვე-

ლებელ მზის ნაკლულოვანებით და მისი ჩვენთვის უცხო სიმკრთალით და სიძუნწით იყო გამოწვეული...

ასე გავყევით ჩვენს ახალ ცხოვრებას და ნელ-ნელა ვეწყობოდით. კაკიჩი ბევრს მუშაობდა, ჯამაგირიც კარგი ჰქონდა, მაგრამ პირადათ ჩვენ ამ ჯამაგირიდან მინიმუმი თუ გვრჩებოდა... გაშლილ ცხოვრებას მაინცდამაინც არ ვეტანებოდით, არც დიდი კომფორტის მოყვარულები ვიყავით. ჩვენს ბედნიერებას ჩვენი ოჯახური ცხოვრებით, წიგნებით და ჩვენი ბავშვების ზრდით ვავსებდით. ისინი მალე კერძო ლიცეუმში შევიყვანეთ, რომელსაც ჰამბურგში დიდი სახელი ჰქონდა, რადგან იყო მეტად ტრადიციული, წესიერი პროტესტანტული გიმნაზია, საუკეთესო მასწავლებლებით. ეს სასწავლებელი ეკუთვნოდა ჰამბურგის პატრიციების კლასს. ჩვენი გოგოები ამ სკოლაში ჰამბურგის ერთი მწერლის და თვალსაჩინო ვექილის დახმარებით მოხვდნენ.

რასაკვირველია, ბავშვებს პირველ ხანებში გერმანული ენის სრული დაუფლება გაუჭირდათ, მარა მალე ყველაფერი ნორმალურად წავიდა. ამ დროს ჩემთვის ყველაზე დიდი პრობლემა იყო, რომ ბავშვებს დედა ენა არ დავიწყებოდათ. ეს იყო ძალიან მძიმე საქმე და ამ სიძნელეს უნდა მოვრეოდი პირადად მე, რადგან კაკიჩს ამისთვის დრო არ ჰქონდა... მაგრამ ერთი იყო ჩემი იმედი: ჩემი გოგოები იყვნენ დაწურული ქართული ბუნების და სისხლის და მათ ქართული სიამაყე თან ჰქონდათ დაყოლილი... ამ სიამაყეს ჩვენც ძალიან სათუთად ვუვლიდით. ჩვენი ოჯახი ხომ ქართული ოჯახი იყო; ამის გამო ჩვენი სუფრა მუდამ ქართული იყო, ჩვენს ოჯახში ყველაფერი ქართულად და ქართული კეთდებოდა.

ამნაირად ვუფრთხილდებოდი, რომ ბავშვებს პირი გემო არ დაკარგოდათ, იმიტომ რომ ეს გადაგვარების დასაწყისს მოასწავებდა... ქალაქის ხასიათიც ხელს გვიწყობდა: ჰამბურგი ხომ ძველი სანაპირო ქალაქი იყო, დიდი ნავთსადგურით. ის უცხოელებით იყო სავსე და ნამდვილი ინტერნაციანალური ხასიათი ჰქონდა. ამიტომ აქ ცხოვრება ჩემთვისაც უფრო ადვილი იყო – ჩემი „გერმანულით“ ყველაფრის ყიდვას ვახერხებდი ბაზარში. აქ ყოველი მხრიდან შემოდიოდა უცხო ხილი, მწვანილი და სხვა... რაც ჩვენს სუფრას და ხასიათს ძალიან უხგებოდა.

ჩვენს სახლში ნამდვილი კულტურის კერა გავაჩაღეთ. თანდათანობით ვიძენდით წიგნებს, მოგვდიოდა მრავლად ქართული წიგნები, ჟურნალები და ფირფიტები საქართველოდან. საყვარელი დედაჩემი, ჩემი დები, კაკიჩის და-ძმაც გვიგზავნიდნენ ჩურჩხელებს, ნიგვზის მურაბას, სულგუნებს და რა ვიცი, რაღას არა. ძალიან ხშირად გვახარებდენ ამანათებით... სახლიდან მოსული წერილები მუდამ სიყვარულით სავსე, გამამხნევებელი და იმედის მომცემი იყო. მალე მათ გამოგვიგზავნეს თარი, ჩონგური, დაირა და ქართული ნოტები. ეს ყველაფერი ალამაზებდა ჩვენს დაობლებულ და მოწყენილ სულს უცხოეთში.

მოვიდგით ცოტა ფეხი თუ არა, ჩვენი მეგობრებიც – ყველაფერს მშობლიურს მოწყურებულნი – ჩვენსკენ მოისწრაფოდენ. ვინმე ქართველთაგანი გამუდმებით სტუმრობდა ჩვენსა. ის ისვენებდა ჩვენს ქართულ ოჯახში, ეზიარებოდა ქართულ წიგნს, სტკბებოდა მშობლიური მუსაიფით, სუფრით და წავიდოდა იმ იმედით, რომ ისევ მალე გვინახულებდა; ასე მიდიოდა ჩვენი ცხოვრება წლიდან წლამდე.

საქართველოდანაც ხშირად გვსტუმრობდენ იქიდან მეცნიერული მუშაობისთვის მოვლინებულნი. ასეთები იყვნენ: ექიმი მინა მარუაშვილი, შესანიშნავი ადამიანი, დიდად საყვარელი პიროვნება, რომელიც ჰამბურგის ტროპიკულ ინსტიტუტში მუშაობდა მალარიაზე; აგრეთვე ექიმი ნიკო მახვილაძე – მშვენიერი და საყვარელი ქართველი კაცი; ექიმი, პროფესორი ვირსალაძე; არქეოლოგი, დოქტორი ნიორაძე; ალექსანდრე ჯანელიძე; ჯვებე იოსელიანი და სხვები; ყველა ისინიც, ვინც ბერლინ-

ში ჩამოდიოდენ სამუშაოდ, ჩვენც გვინახულებდენ ხოლმე. მათ შორის იყვნენ: პროფესორი ჟლენტი, ნ. რუხაძე, ექიმი თევზაძე, ექიმი მჭედლიშვილი, ექიმი კონიაშვილი, ექიმი ფრანგიშვილი, პროფესორი მანსვეტაშვილი და სხვები. დიდხანს იყო ჰამბურგში და იქ რუსების წარმომადგენლობაში მსახურობდა სანდრო კოპალაძე, ჩემი მეგობარი, რომელთან ერთადაც ვმსახურებდი თბილისის აფთიაქში. ის იყო დიდად ნიჭიერი კაცი, მშვენიერი ქართველი, ზრდილი და თავაზიანი – საყვარელი, გამტანი და დამხმარე მეგობარი. საქართველოში რომ დაბრუნდა, ხმა მოვიდა – დახვრიტესო...

ყველა ესენი გვიამბობდენ ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამს და ამნაირად კავშირი ჩვენსა და სამშობლოს შორის არასდროს არ შეწყვეტილა. ასე მიდიოდა ჩვენი ცხოვრება წყნარად და ტკბილად: რასაკვირველია, ამ ხანებში ბევრი იყო ავადმყოფობა. ჯახირი და უსიამოვნება, ყოველ ადგილას და ყოველ ცხოვრებას თან სდევს, მაგრამ ყველა ეს მხნედ ავიტანეთ. ყველაზე ძნელი იყო უცხო ხალხის და მათი ცხოვრების შეჩვევა. შევეჩვიეთ ყველაფერს, მარა სამშობლოს მოშორებას, მასზე სევდას კი ვერ მოვცილდით და ჩვენს გულში ეს იყო ყველაზე მძიმე, დიდი სევდა...

ბავშვები, როგორც ვთქვი, ლიცეუმში სწავლობდენ და ამის გარდა მათ ჰქონდათ მუსიკის, ტანთვარჯიშობის, ფრანგულ-ინგლისურის გაკვეთილები; ძალიან იყვნენ დატვირთულები ამდენი გაკვეთილებით, მარა ყველაფერს ადვილად ითვისებდენ.

ლიცეუმის დირექტორის რჩევით ბავშვებს არდადეგებზე, რომელიც 6 კვირა გრძელდებოდა, ერთ მონასტერში ვგზავნიდით. ეს იყო ჰანოვერის მახლობლად, სოფელ ხანველ-ბუტელში, სადაც იყო ძველი დიდი ეკლესია ანუ სასახლე ეკლესიით. იქ ცხოვრობდენ უკვე ხანდაზმული და სიწყნარეს და მყუდროებას მონატრული, მარტოდ დაშთენილი ქალები; ყველანი გერმანიის მაღალი წრეებიდან, წარჩინებული ოჯახებიდან იყვნენ გამოსული. მათი წინამძღოლი, „აბატისინი“, იყო ერთი თავადის ქალი, უაღრესად განათლებული და კულტურული ადამიანი. მას თავისი მეურნეობა ჰქონდა ძველ სასახლეში და თან ამ ქალთა ჯგუფს უძღვებოდა. აქ ჩვენი ბავშვები ეცნობოდენ გერმანიის მაღალი ოჯახის კულტურას, ვითარდებოდენ გერმანულ ენაში, ცხოვრობდენ და ლაღობდენ თავიანთი ბავშვური გატაცებით. სახლში მუდამ კმაყოფილი და დასვენებული ჩამოდიოდენ. ჩვენ კი, მე და კაკიჩი, ამ დროით ვსარგებლობდით და ბევრს დავდიოდით, ვათვალიერებდით გერმანიის ქალაქებს და ყველა ღირსშესანიშნავ ადგილებს ჰამბურგის მიდამოებში. იმ ხანს ეკუთვნის ჩემი წერილები „თეატრი და ცხოვრება“ში, რომელიც თფილისში იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა. ბერლინში იშვიათად ჩავდიოდი, იქიდან კი მამულიშვილები თავიანთ სტუმრობას არ გვაკლებდენ.

ბერლინში იმ ხანებში უკვე გამართულად მოეწყვენ „ემიგრანტული“ ოჯახები. იქ ცხოვრობდენ სვ. გეგელაშვილის ოჯახი, რომან მკურნალის, გ. ალშიბაიას, საშა ქორქიას, გრ. დიასამიძის, ალ. ფაჩულიას, დ. საღირაშვილის, მიშა ყაუხჩიშვილისა და სხვათა ოჯახები... ახალგაზრდობიდან ბევრი სწავლობდა, ბევრიც სხვადასხვა სამუშაოზე იყვნენ მოწყობილი. იმართებოდა მოხსენებები, საღამოები, კონცერტები. დაარსდა მრავალი კომიტეტი, ეწყობოდა კრებები, სათვისტომოში როგორც და რითაც მოუხერხდებოდათ, გულწრფელად ემსახურებოდენ ქართულ საქმეს. ყველა ესენი მალე შეეთვისენ გერმანულ ოჯახებს, გაიჩინეს მეგობრები – ნაცნობები და ბევრმა მეტი გაგება ჰპოვეს გერმანელებთან, ვიდრე ეს შესძლეს საფრანგეთში ჩვენმა ემიგრანტებმა.

პარიზი, 1925

პარიზში მე პირველად 1925 წელს ჩავედი. იქ მყავდა ბიძაჩემი ვლადიმერ გამრეკლიძე, ჩემი დეიდაშვილი ილია ზდანევიჩი და სხვა ბევრი კარგი ნანობი და მეგობარი. ბიძაჩემი დედაჩემის უმცროსი ძმა იყო. ბაბუაჩემს ლუკას და ბებია თეკლეს ოთხი შვილი ჰყავდათ: მათში უფროსი იყო ვარდენი, შემდეგ დედაჩემი ალექსანდრა, მერე მარიამი (ვალია) და ბოლოს – უმცროსი ვაჟი ვლადიმერი.

ვარდენი კადეტთა კორპუსში სწავლობდა, რის შემდეგ მან განათლება სამხედრო სკოლაში მიიღო; შემდეგ მსახურობდა რუსეთში, ხოლო ჩემს დროს ჟანდარმთა პოლკოვნიკად იყო რკინის გზის სამმართველოში. თუმცა ის, როგორც ამბობდენ, იყო ფიცხი, მაგრამ ამავე დროს – კეთილი, ჭკვიანი და, მიუხედავად რუსული აღზრდისა და სამსახურისა, – ნამდვილი ქართველი. მან დიდი სამსახური გაუწია ქართველ მოწინავეებს, რასაკვირველია, – საიდუმლოდ. მას ჰყავდა სამი ქალი და ერთი ვაჟი. რევოლუციის შემდეგ ცხოვრობდა ქუთაისში, თავის ოჯახში, ყოველ სამსახურს თავდანებებული. ქალები დათხოვდენ, ერთადერთი ვაჟი კი, 17 წლისა, უბედურად დაიღუპა – 1921 წელს წყალწითელაში ბანაობის დროს ამხანაგებთან ერთად შემთხვევით თუ განზრახ მორევში მოხვდა და დაიხრჩო. 1924 წლის აჯანყების შემდეგ ბიძაჩემიც მოჰყვა საშინელი ტერორის ტალღაში. ეპისკოპოს ნაზართან, არქიდიაკონ კუხალეიშვილთან და სხვებთან ერთად ისიც დასახვრეტად მიჰყავდათ ციხიდან და რაკი საბარგო ავტომობილში ყველანი ველარ ჩატიეს, ზოგი ჩამოსვეს, რათა შემდეგი ავტომობილისთვის დაეცადათ; და სწორედ ამ დროს მოხდა სასწაული: მოვიდა თბილისიდან მოსკოვის ბრძანება დახვრეტების შეჩერების შესახებ და ამით საბრალო ბიძაჩემი გადარჩა; მაგრამ სრულიად გათეთრდა და საშინელის დარდით მალე დაბრმავდა. დღედაღამ ევედრებოდა ღმერთს, ებოძებინა მისთვის „წყალობა“, რათა ისიც მის ერთათერთ ვაჟს გაჰყოლოდა; ეს მისი ნატვრა 1932 წელს ასრულდა... მარტოობაში დალია სული ამ პატიოსანმა ქართველმა კაცმა.

დეიდაჩემი ვალია (მარიამი) იყო მეუღლე მიხეილ ანდრიას ძის ზდანევიჩის, გაქართველებული პოლონელისა, რომლის მშობლები ძველი დროიდან იყვნენ საქართველოში გადმოსახლებულები. მათ ჰყავდათ ორი ვაჟი – კირილე და ილია – თავის დროზე თბილისში კარგად ცნობილი ახალგაზრდები. კირილე მხატვარი იყო, ხოლო ილია, რომელიც დღესაც პარიზშია – მწიგნობარი და მწერალი; ამ ორთავეს დიდი ღვაწლი მიუძღვით ნიკო ფიროსმანის აღმოჩენაში და მისი სურათების და აბრების მოძებნა-შესყიდვაში.

ჩემი საყვარელი დედიკოს მომტანი იყო ჩემი ბიძია ვალოდია. როგორც ბიძია ვარდენმა, ვლადიმერმაც სამხედრო განათლება მიიღო, იყო ერთ დროს რუსული ჯარის ოფიცერი, მერე ადმინისტრატიულ სამსახურში გადავიდა საქართველოში. ომის და რევოლუციის შემდეგ მსახურობდა ბაქოს პოლიცმეისტრად. სამოქალაქო ომის დროს იყო იალტის გუბერნატორის მოადგილე. შემდეგ შეირთო ლამაზ ყაზახის ქალი, რომელსაც მოჰყვა მთელი ჯალაბობა და ყველანი ესენი მოაწყდენ სტამბოლს... შემდეგ გადასახლდენ საფრანგეთს. ბევრი ჯახირი და გაჭირვება გამოიარეს, მაგრამ ბოლოს მაინც მოეწყო ბიძაჩემი მოლარედ ერთ ქარხანაში; შედარებით კარგ ჯამაგირს იღებდა და ასე მიჰყვებოდა ცხოვრებას...

აი, ამ ბიძიასთან, ჩემს დეიდაშვილ ილიასთან და სხვა მეგობარ-ახლობლებთან გავსწიე პარიზისაკენ...

X X X

იმ დროს პარიზში მართლაც დიდძალი ქართველობა იყო თავმოყრილი; ჩვენს ეროვნულ მთავრობასთან და ცნობილ პატრიოტებთან ერთად საქართველოდან მრავალი ქართული ოჯახი წამოვიდა. ამის გარდა წელთა მანძილზე ახალგაზრდებიც ხან თითო-ოროლად, ხან ჯგუფ-ჯგუფად გადმოდიოდენ ფარულად საზღვარს...

რამდენადაც საბჭოთა ჯალათები საქართველოში ტერორს და დევნას აძლიერებდენ, იმდენად კალაპოტიდან ამოვარდნილი დევნილი და ეროვნულად დამცირებული ქართველი ახალგაზრდობა თავგანწირვით იბრძოდა და ბევრი მათგანი ბოლოს, ათასი უბედურების გავლით, საფრანგეთს ჩადიოდა, სადაც თავისი ეროვნული მთავრობა ეგულებოდათ. აქ მათ ვინ იცის რამდენი განსაცდელი და უბედურება ელოდათ... წინ ეშლებოდათ გიჟი პარიზი, მისი ბრჭყვიალა ქუჩებით, ლამაზი ქალებით და ღამის აფორიაქებული ცხოვრებით... ყველა ეს თუმცა თვალს სჭრიდა ახალ ჩამოსულთ, მარა მათ გულს და გონებას საიმედოს არას ეუბნებოდა...

პარიზი და მისი ბრწყინვალება თავისთვის რჩებოდა, ხოლო გადმოხვეწილი ქართველი ახალგაზრდის გული, სევდით და მწუხარებით სავსე, – თავისთვის... და ამ დიდ მორევში ჩავარდნილი სწავლას მოწყურებული ახალგაზრდობა ცივ კედელს ეჯახებოდა; უსაზღვრო გაჭირვებაში ჩავარდნილი, ბევრი შრომის უჩვეულო უღელში ებმებოდა – მუშაობდა და თან სწავლობდა, მაგრამ ასეთები ჩვენს ემიგრაციაში არც ისე ბლომად იყვნენ...

იმ იმედით, რომ სამშობლოში მალე დაბრუნდებოდენ, რომ ევროპაში ვიღაცა ჩვენთვის ცდილობდა, რომ ეს „ვიღაცა“ და „დიდი“ საქართველოს ბედზე იყო შეწუხებული და მას ბოლოს მაინც შველას არ დააკლებდა, – მრავალი ახალგაზრდა არავითარ შრომას აღარ თაკილობდა. ისინი წყებად შედიოდენ ქარხნებში, სხდებოდენ ავტომობილებზე წამყვანად და ასე ღამეებს ათენებდენ პარიზის თვალუწვდენელ ქუჩებზე... აი, რა მძიმე ბედი ხვდა ამ ფაქიზ ახალგაზრდობას, რომელიც სამშობლოზე მწუხარებამ დაფერფლა. იმ მრავალ ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც მაშინ პარიზის ემიგრანტები სცემდენ, თანდათან მატულობდა შავარშიიანი განცხადებები ჭლექით გარდაცვალებულ ახალგაზრდების სახელებით. აი, ზოგი მათგანის გვარები, რომლებიც ჩემს დღიურში შემთხვევით შემიტანია იმხანად:

კოლია თაყაიშვილი – გარდაიცვალა ჭლექით სოშოში, დაასაფლავეს ქალაქ მონბელიარის სასაფლაოზე, სადაც მაშინ დაახლოებით ათი სხვა ქართველი განისვენებდა (ნეკროლოგიდან);

გრიგოლ კიკიანი – გარდაიცვალა ჭლექით;

მიხეილ ბილანაშვილი, ნიჭიერი მხატვარი – გარდაიცვალა ჭლექით;

გრიგოლ კობახიძე, ბიჭიკო ჟღენტი, იოსებ კოსტავა – გარდაიცვალენ ჭლექით;

ალექსანდრე გასიტაშვილი, ახალგაზრდა პოეტი – გარდაიცვალა ჭლექით ბერლინის საავადმყოფოში; გულსაკლავ ამბებს გვაცნობს მის გარდაცვალებაზე იქ დამსწრე: თურმე ღამით, სიკვდილის წინ, ალექსანდრემ მოწყალე დას სთხოვა, მოეყვანა მის ლოგინთან სხვა დები და ექიმები, რათა მომაკვდავს უკანასკნელად საყურადღებო რამ ემხილა მათთვის. და როცა ესენი მოვიდენ, მან განუცხადა, რომ სურდა ეცნობებინა მათთვის, თუ რა მშვენიერია და შეუდარებელი მისი ქვეყანა, რა ნამდვილი ფირუზია მისი ცა, რა გიჟმაჟი მდინარეებია საქართველოში, რა ტურფაა მისი ველები, გორაკები და ბაღები, რომ მართლაც სამოთხეა იქაურობა და რომ, საუბედუროდ, ეს ბევრმა არ იცის... და აი, ამ ამბების მოყოლაში დალია მან სული.

ვაგრძელებ ჩამოთვლას:

სტუდენტი გიორგი ნაცვლიშვილი – გარდაიცვალა ჭლექით, ის საქართველოდან იყო გამოქცეული და საფრანგეთში მუშაობდა ქარხანაში;

ისიდორე ზარიძე, თუში სტუდენტი ალვანიდან, მუშაობდა მონპელიეში, რათა სწავლის დასამთავრებლად ფული დაეგროვებია, – გარდაიცვალა ჭლექით.

ვასიკო კაკაბაძე, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, – გარდაიცვალა ჭლექით;

ასევე – შოთა სარჯველაძე;

ასევე – ჯოტო ემუხვარი, ერთი საუკეთესო მამულიშვილი, სამხედრო საკავალერიო სასწავლებელდამთავრებული;

ასევე – ნ. ჭუმბურიძე, ჟურნალისტი;

ასევე – სოლომონ ალიმბარაშვილი...

ერთი ქართველი ექიმის მოწოდებაში „მივეშველოთ“, ვკითხულობთ: „ხუთი თვის განმავლობაში 9 კაცი დავასაფლავეთ ჭლექით დაავადებულები. ზოგიც თავს იკლავს“. მოწოდებაში იგი ქართველი საზოგადოებისგან დახმარებას ითხოვს, „სასწრაფოდ, თორემ მთელი ახალგაზრდობა ამოგვიწყდება ჭლექითო“...

მაგრამ აბა, რა შეეძლო ქართულ ემიგრაციას? სად იყო ამდენი დახმარების საშუალება? თუმცა ესენი ცდას არ აკლებდენ, ყოველ ღონეს აძლევდენ, უნდოდათ, უკანასკნელი ულუფაც მათთვის გაეყოთ და ამ ახალგაზრდობას დახმარებოდენ, მაგრამ ეს მაინც წვეთი იყო დიდ გაჭირვების ზღვაში. დაუღალავად მუშაობდენ ქართველი ქალები, მართავდენ საღამოებს, ლექციებს, აგროვებდენ ყოველ გროშს, რათა დახმარებოდენ ამ დაავადებულ ახალგაზრდობას. მაგრამ სამშობლოდან, დედის ბუდიდან ამოვარდნილ ახალგაზრდობას რა ამოუშრობდა ნაღველს და მწუხარებას! და დიდ გაჭივრებასთან ერთად სწორედ ეს სევდა ხრავდა მათ ნაზ სხეულს... ეჭიდებოდნენ ბედს ეს ჭაბუკები მაგრამ მძიმე შრომას და დარდს ვერ უძლებდნენ. ვერ უძლებდნენ სამშობლოს მზისა და მიწის წყურვილს. ყველას „დედა“ ეკერა პირზე. უკანასკნელ სულის ამოსვლამდე მას უხმობდენ და მისკენ იწვდიდენ ხელებს, მათი თვალები შორეულ ქუჩებში მშობლიურ კერას ეძიებდენ და მათი გული ბოლომდის მათი საყვარელი საქართველოსთვის სცემდა...

XXX

იმ დროში პოლიტიკური ემიგრაცია მეტად ინტენსიურად მუშაობდა; თითქმის ყველა პარტიულ ორგანიზაციას თავისი ორგანო ჰქონდა.

ჩვენი ყოფილი მოღვაწეები შედარებით უკეთ იყვნენ მოწყობილი: ჰქონდათ კარგი ბინები; მათ ოჯახებში ქართული სული ტრიალებდა – ქართული სუფრა, სტუმართმოყვარეობა, ჩვენი ტრადიციები, ყველა ეს მათ ჯერ კიდევ შენახული ჰქონდათ; მათი ახალგაზრდობა ფრანგულთან ერთად ქართულს მაინც ლაპარაკობდა. დანარჩენებიდან ზოგი ქართველი ემიგრანტი ძალიან მხნეობდა; დაიწყეს ვაჭრობა, შინაური მრეწველობა, განსაკუთრებით – მაწვნის წარმოება, რომელსაც თვითონ ჩაუყარეს საძირკველი, და ამით კარგადაც გაჰქონდათ თავი.

განსაკუთრებულის თავდადებით და სრულის ეროვნულის შეგნებით იტანდენ მხნედ ემიგრანტულ ცხოვრების ყოველგვარ გასაჭირს ქართველი ქალები. იმათ არასდროს არ უღალატნიათ იმ ტრადიციულ კეთილშობილ ღვაწლისათვის, რასაც თავიდანვე ასე უმწიკვლოდ ემსახურებოდა ქართველი ქალი. ქართველი ქალები კერავდენ, ქარგავდენ, ქსოვდენ და არავითარ შრომას არ თაკილობდენ ოჯახისთვის და გაჭივრებულ მოძმეთა დახმარებისათვის. ზრდიდენ ქართულ ატმოსფეროში თავის შვილებს და ოჯახს ქართულ ლაზათს არ აკლებდენ. ეროვნული მთავრობის

წევრები კი დაუღალავად, სადაც და როგორც გაუვიდოდათ, საქართველოს მწუხარებას აცნობდენ უცხოეთს; ყოველგვარ პოლიტიკურ კონფერენციებს, საერთაშორისო ხასიათის გამოსვლებს ესწრებოდენ და საქართველოს შელახულ უფლებებზე ლაპარაკობდენ; გზავნიდენ ყველგან „ნოტებს“, „მემორანდუმებს“, სწერდენ უცხო პრესაში, სცემდენ წიგნებს საქართველოზე და სხვა. დაუღალავად იბძროდენ ნაციათა ლიგის ირგვლივ, რათა ამას საქართველოს საკითხისათვის ღირსეული ყურადღება მიექცია და ჩვენი შელახული უფლება დაეცვა. მართლაც, მიაღწიეს იმას, რომ ნაციათა ლიგამ „თანაგრძნობა“ გამოუცხადა ქართველ ერს და მოსთხოვა რუსეთს რეფერენდუმის ჩატარება, რათა ქართველ ხალხს თავისუფლად ეთქვა, სურდა თუ არა მას რუსეთის ოკუპაციის ქვეშ დარჩენა. ამ დროს ყველგან, ევროპაში აუარებელი წერილები იბეჭდებოდა საქართველოზე და ქვეყანა ეცნობოდა იმ საშინელ უსამართლობას, რაც რუსეთმა პატარა საქართველოს 1921 წელს თავს დაატეხა.

XXX

ამ ხანებში ჩვენმა ეროვნულმა მთავრობამ შეიძინა ლოვილის შატო. ეს იყო პარიზის მახლობლათ (30 კილომეტრის მანძილზე) მდებარე ერთი ძველი სასახლე, რომელსაც წარსულის ბრწყინვალების და გალაღებული ცხოვრების კვალი შერჩენოდა მისი შესანიშნავი ბაღით და ბაღნარებით. აქ თავშეფარებული იყო ის ნაწილი ქართველი ემიგრაციისა, რომელსაც სასოფლო მეურნეობა იზიდავდა; მათთან ერთად აქ იყვნენ მოხუცებულები, რომელთაც პარიზის ჟრიამული მეტად უცხოდ და აუტანლად ეჩვენებოდათ... აქ ჩვენს მამულიშვილებს მშვენიერი ბაღ-ბოსტნები გაეშენებინათ და ამით თავს ირჩენდენ. ამ სოფელს, სადაც ეს ძველი სასახლე შეეძინა ჩვენს ეროვნულ მთავრობას, ერქვა ლოვილი და ეს ლოვილი, თავისი ცნობილი სასახლით, ბოლოს საქართველოს კუთხედ გადაიქცა; იქ ყოველი ქართველი პოულობდა წუთიერ ნეტარებას: ისვენებდა, ეზიარებოდა მადლიერი ქართველი ქალის ხელით გაკეთებულ საჭმელს, მოისმენდა ჩვენებურ სიმღერას, გამამხნევებელ ქართულ სიტყვას, ჩაილბობდა ყელს წითელი ღვინით – და ისევ იმედიანათ გაუდგებოდა პარიზის ფოლორც ქუჩებს და მის უძირო აღრევას და ფეროვანობას... ხშირად იმართებოდა შეხვედრები ფრანგებთან; ამ „შეხვედრებით“, „საღამოებით“ ქართველობა აცნობდა ფრანგებს თავის მდიდარ წარსულს, ვინაობას, ცეკვას, სიმღერას და მუსიკას, და ასე, ფრანგულ ბრწყინვალე დარბაზებში დაცურავდა ჰაეროვანი ჩვენი ეროვნული ცეკვა: „ქართული“. იყო ხმაური, აბრეშუმის სამოსლების ბრწყინვალე შრიალი, ვაჟკაცური კახური მრავალჟამიერი, მოძახილი, ძველი ოხუნჯობა, ღიმილი, და სიცილი... იყო ჯანყი და აღტაცება... ხოლო სანთლების ჩაქრობის შემდეგ კი რჩებოდა ისევ ძველი სიცივე, ჭუჭყიანი „ოტელები“, დაკარგული ქართული მზის გამო გაციებული გული და იგივე ღრმა, ძველი სევდა... დაგვდევდა აჩრდილად ეს სევდა, მძიმე და უძირო: სახლზე, სამშობლოზე, ახლობლებზე და იმ შორეულ ნექტარზე, რომელიც ასე უწყალოდ მოჰგლიჯეს მას გულიდან.

ის ორი კვირა პარიზში გატარებული, მის ქართველების წრეში, იყო ტკბილიც და მტკივნეულიც... ეს მწვავე გრძნობა დამრჩა საწყალ ბიძაჩემისგანაც: პარიზის შორეულ უბნის ერთი სახლის მეექვსე სართულზე, ერთ პატარა ოთახში ღარიბად და ობლად შემწყვდეული, „იბრძვის“ საწყალი ჩემი ბიძაც.

ვისაც სურს გაეცნოს ჩვენს ემიგრანტულ ცხოვრებას საფრანგეთში, მან უნდა იცოდეს, თუ რა არის ის „ოტელები“ ანუ მითომ „სასტუმროები“, სადაც ქართველები უმთავრესად ცხოვრობენ. ასეთსავე მითომ „ოტელებში“ ცხოვრობენ ყველა სხვა რჯულის გადმოხვეწილები. ამა ქვეყნიური ნამდვილი საშინელებაა ეს „სასტუმრო-

ები“ თავის უსაზღვრო სიბინძურით, პრიმიტიულობით და უიმედობით... არა მგონია, თუ რომელიმე ევროპიულ ქვეყანაში რაიმე ამის მსგავსი მოიპოებოდეს... და მერე რამდენ საწყალ ქართველს დაულევია სული ამ „ოტელის“ დამჯღვლეულ და ჭუჭყიან ლოგინზე?! ვინ მოსთვლის მათ ტკივილს და მწუხარებას?..

ფლადუნგენი, 1945

თებერვალი.

საფრთხემ, რომელსაც გამოვექეცით, აქამდისაც მოაღწია. აქაც გახშირდა თვითმფრინავების თავდასხმები, ცეცხლი და სიკვდილი რომ მოაქვთ... ღმერთო, გადაგვარჩინე! ლოცვის მეტი არა დაგვრჩენია რა. ადამიანებს ხომ გამხეცება დაეუფლა და ვერას შეასმენ. სისხლი და ცრემლებია ირგვლივ... იმედი მხოლოდ ღმერთია. გადაგვარჩინე, ღმერთო, გევედრები გულმხურვალედ! რა ამბავია?! ყველას ყველაფერი დაავიწყდა და მხოლოდ სატანა ბატონობს ქვეყნად. იწვის ქვეყნები, ნადგურდება ხალხი, დოვლათი, ნანგრევებად იქცა ქალაქები. თითქმის ყოველდღე ათასობით გადაუვლიან სამხედრო თვითმფრინავები ამ ჩვენს მიდამოებს... ანადგურებენ ახლომდებარე ინდუსტრიალურ ადგილებს. ისმის ყუმბარების ხმა. სიკვდილი, ცეცხლი, კვნესა და ვაება მოაქვთ ამ ფრინავებს... დაგვიფარე, ღმერთო, ამ უდიდესი უბედურებისაგან, დაიფარე ჩვენი პატარა, სპეტაკი გოგოები... დაიფარე მიმობნეული, ცეცხლში გახვეული ქართველობა. ჩვენ აღარ ვიცით, სადაა ჩვენი ქართველობა, ან რას აკეთებენ ამ საშინელ დროში. ძნელია ამ საკითხზე პასუხის გაცემა.

ყველას და ყველაფერს დავცილდით და ამ მიყრუებულ სოფელში ვცხოვრობთ. ამ საშინელ დროში ზოგის ამბები წერილებიდან ვიცით, ზოგისა – ჩვენი მეგობრებიდან. ამ რვეულში ვწერ იმ ცნობებს, რომელთაც ჩვენამდე მოაღწიეს. საამაყო და სანუგეშო, საუბედუროდ, ცოტაა. მოვიგონოთ ეს არასასიამოვნო გასახსენებელიც, მოვიგონოთ ჩვენი მოხუცები და ქართული საქმის დღევანდელი მესვეურნი, ჩვენი ახალი თაობა, ეს ახალი სტილის და მორალის პოლიტიკური მოღვაწენი...

ყველაზე უწინ უნდა მოვიხსენიო ძველი პატრიოტი და დღეს ახალი ფორმაციის მოღვაწე, „თეთრი გიორგის“ დამაარსებელი, პროფესორი მიხეილ წერეთელი. ბატონმა მიხეილმა ბევრი იწვალა, ბევრი იმოღვაწა. ის ხომ მუდამ დიდი გერმანოფილი იყო. დღესაც დიდი მოტრფიალე გახდა ახალი გერმანული მიმართულებისა და ცდილობდა, როგორმე ჩვენი ბედი და ქართული პოლიტიკური საქმე ამ ახალწარმოშობილ გერმანულ მოძრაობასთან გადაება... მაგრამ „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა“ ეს გადაბმა ვერ იქმნა, თავი ვერ მოება...

ბატონო მიხეილ, განა ღირდა მაგისთვის შეგეწირათ თქვენი ცოდნა, ნიჭი და გამოცდილება? განა გეპატიებათ, რომ ამ უკუღმართი გზით გაიტაცეთ ჩვენი ახალგაზდობა და ნაციზმისათვის თავდადება მითომ ჩვენი ერისთვის სამსახურად დაუხატეთ? აი, ამ გატაცებამ, მაღალმა გრძნობამ აიყოლია შენი საყვარელი, ერთად-ერთი ნუგეში ოთარიც და უფსკრულში გადაუშვა ისე, რომ ვერვინ გაიგო მისი გზა-კვალი და მის ცხედარს საყვარელი მამის ცრემლი არ დასცემია. დაიღუპა და მინდა ძველი კითხვით მეც მოგმართოთ: „ბატონო მიხეილ, რისთვის? ვისთვის?“ მაგრამ მე ამას ვერ ვკადრებ... გული მიდუღს მისი საცოდაობით, ვიწვი და მისთვის ნუგეშის სიტყვას ვეძებ და ვეძებ...

მიხეილ წერეთლის გახსენებაზე მაგონდება მარად ჩვენი ძველი მეგობარი, ნიჭიერი მწერალი გრიგოლი.

ნეტავ სად არის ახლა პატივცემული გრიგოლ რობაქიძე? ამასაც, საუბედუროდ, აერია და ბოლოს სულ გაუბრუნდა გზები. ბატონი გრიგოლი გახდა თაყვანისმცემელი აქაური „ახალი დროის და ამბების“. ხანდაზმულმა მწერალმა ბევრი ლამაზი, თავისებურად გამოკვანძული და გამოჭედილი, უცხოდ ჩაჭიკჭიკებული სიტყვები და ხოტბები უძღვნა თავის უკანასკნელ წიგნში ჰიტლერს და მის საქმიანობას... და შემდეგ სურათის გასადიდებლად მუსოლინისაც... ეხლა კი ამ ლამაზმა ნაქუხმა სიტყვებმა ისე დაშალა და მოშალა ჩვენი მგოსანი, რომ სულ ყველაფერს მოწყდა, წავიდა სადღაც, შვეიცარიის საზღვართან პატარა ქალაქში და იქ გული ელევა შიშით და მწუხარებით... თუ გადავრჩით ამ დროს და მრავალ ხიფათს, ალბათ კიდევ ბევრს ვინმეს უგალობს ჩვენი გრიგოლი აღგზნებულ ოდებს...

მასაც მინდა ვუთხრა ცოტაოდენი საყვედური... რად შეიჭრა ასე მაღალ და უკუღმართ ტალღებში? რისი და ვისი იმედით და რომელი მარაგით? პირადმა პატივმოყვარეობამ და ტალღის ყველაზე მაღალ მწვერვალზე, გამოსაჩენ ადგილას გაბრწყინების ჟინმა ისე გაიტაცა ჩვენი გრიგოლი, რომ დაავიწყა არათუ ძველი, არამედ გუშინდელი ამბებიც და მეგობრებიც, რომელთა დახმარებით მან გერმანიას თავი შეაფარა, მის კულტურულ წრეებში მიღებულ იქმნა და მრავალი წიგნის გამოცემაც მოახერხა, მწერლის სახელი და პატივი მოიხვეჭა. ესენი ხომ ებრაელი მწერლები იყვნენ უმთავრესად (მ. ბუბერი, სტ. ცვაიგი და სხვა). რად უღალატა მათ ასე უგულოდ და ცივად? მაგრამ არც ამ დასჯილ ძველ მეგობარს, ნიჭიერ ქართველ მწერალს და ოქროპირს მინდა ვკადრო საყვედური და მისთვისაც ვეძიებ სანუგეშო სიტყვებს...

X X X

ამ მწარე დღეებში მინდა მოვიგონო ჩვენი მუდამ აღფრთოვანებული საზოგადო მოღვაწე გრიგოლ დიასამიძე. როგორც გავიგე, ბატონი გრიგოლ დიასამიძე თავისი ქალით ლოლათი და შვილის-შვილით ნინოთი ჯერჯერობით ბერლინში ჩარჩა და იქ დაუღალავად განაგრძობს წერილების წერას აკაკი წერეთელზე სამხედრო გაზეთში და „შტაბის“ გამოცემაში – „ქართველი ერი“. ის სადღაც მსახურებს... სად? სადაც ძველ მოღვაწეს არ ეკადრება... ძველებურად ბევრს ღელავს და თავისი ძველი გაზეთების და ჟურნალების არხივს დღითი-დღე ზრდის. რასაკვირველია, ემიგრანტული და რუსული გაზეთების. მინდა მარტო ვკითხო: ნეტავ ვისთვის-რისთვის, ბატონო გრიგოლ? ემიგრანტებიდან ბერლინში დარჩენ კიდევ რამოდენიმე კაცი; მათ შორის – ტიტე მარგველაშვილი, უკვე დიდი ხნიდან ქართულ ახალშენის თავმჯდომარე. რას აკეთებს ამ საშინელ ომის დროს ეს ჩვენი ახალშენი? ან ვინ მისცემს მას დღეს რამეს გაკეთების საშუალებას?.. მაგრამ ბ. ტიტეს, როგორც მუდამ, მითომ მაინც „ბევრი საქმე აქვს“, ისვრის მაღალფარდოვან სიტყვებს, ტრიალებს და ფუსფუსებს ამ ალიაქოთში...

გადაარჩინოს ღმერთმა!

ბერლინშივე დარჩენ ჩვენი ძველი მეგობრები გიორგი საჯაია და დათიკო ბერძენიშვილი. ესენი ამ ჯოჯოხეთურ პირობებშიაც დარჩენ ძველებურათდ სვინდისიერად, დინჯად და გამართულად თავიანთი რწმენით და პატიოსანი მუშაობით, ურყევად მდგარნი ჩვენს ეროვნულ სადარაჯოზე. ამათ ბერლინის განადგურების პროცესში დაკარგეს თითქმის ყველაფერი, რაც კი რამ გააჩნდათ.

ღმერთმა გადაარჩინოს და მშვიდობით ამყოფოს ჭეშმარიტი ქართველები!

ძალიან მაწუხებს ს. გეგელაშვილის ოჯახის ბედი. საცოდავთ ბინა დაეღუპათ და ყველაფერი დაეწვათ. დღეს თავშეფარებული არიან სადღაც, ბერლინის ახლოს. მათ უმცროს ქალს, ლილის, ქმარი – გერმანიის არმიის ოფიცერი ომში დაეღუპა;

დაწვრილებით არაფერი ვიცი მათ შესახებ. მის სიძეზე ვ. ტოლონიძეზე კი ლეგენდარული ამბები დადის. „პატრიოტული ეკონომიკის ფრონტზე“ მას დიდი მიღწევები ჰქონია; ოქროში ცურავსო.

ძველებიდან ბერლინში სხვა თითქმის აღარავინ დაგვრჩა. ძია ლადო კაი ხანია, გარდაიცვალა. გარდაიცვალა საშა მკურნალი, ხოლო მისი ქმარი რომან მკურნალი კი რა საკითხავია... ჩვენგან ის დიდი ხანია ჯვარდასმულია, ყველაფრისგან გამორიცხული. ამბობენ ისიც გამდიდრდა შავი ვაჭრობით და „მილიონერი“ გახდაო. რათ უნდა ამ „ეშმაკს“ (ასე ეძახოდა მას ძია ლადო) რამე. საწყალი საშა, მას კი არაფერი ეღირსა თავის გაჯახირებულ სიცოცხლის გზაზე.

ბერლინშივე დარჩენ კ. ვეკუა და მ. წულუკიძის ქვრივი ექიმი და მისი ვაჟი გოგი. პირველმა ალბათ ეს-ესის ფორმა გაიხადა და მის „თანამებრძოლ“ ნ. იმნაიშვილთან ერთად საქართველოში ფოსტა-ტელეგრაფის კომისრობაზე ოცნებას სამუდამოდ გამოეთხოვა. როგორც ჩვენი მიხაკო წერეთელი სიცილით იტყოდა, ამ „ტარიელ-ავთანდილს“ არცთუ ისე უხდებოდათ „ეს-ესტყაოსნობა“... მათ შარვალი კისერთან ჰქონდათ მიტანილიო, ასე რომ, ორივენი ჩქარა გამოძვრებოდენ ეს-ესების ტანისამოსიდან. ღმერთმა ქნას, რომ ამ მდგომარეობიდან უვნებლად გამოძვრენ. ბადუ წულუკიძის ქალი ხომ ექიმია და ყოველის მხრივ მოხერხებული, ყოველ წრეში და პირობებში კარგი და ძლიერი მფარველის აღმომჩენი. იმედი მაქვს, ეხლაც ყოჩაღად და მხნედ შეხვდება ყოველ გარემოებას.

სხვანი ძველ ნაცნობ-მეგობრებიდან ბერლინის რკალში არავინ მეგულება. სამაგიეროდ, დღეს იქ მრავლად არიან პარიზიდან ჩამოსული ე. წ. ახალგაზრდები... ეს „ახალგაზრდები“ არანაკლებ 45 წლისანი არიან... ესენია: მიშა კედია, საშა ცომაია, კალე სალია, მიტო სინჯიკაშვილი, მიშა ქავთარაძე და ძმანი მათნი ათასნი. [...]

4 მარტი, კვირა

დღეს ჩვენი გულნარა 8 თვის გახდა, ხვალ კი მზიკუნა 1 წლის გოგონა იქნება.

შარშან, სწორედ ამ დროს, თოვდა, საშინელი ქარიშხალი იყო და დღესაც ასეა. ჩვენი მზიკუნა მშვენიერი, ჯანმრთელი გოგოა წითელლოყა და ჩასკვნილი... უკვე დადის ნელის ნაბიჯით... „დედას“ და „ფაფას“ იძახის. ისე კი წყნარი და მშვიდია.

ლეო და მამა „ბუნკერს“ სთხრიან სკოლის სარდაფის ქვეშ თავშესაფრად. აი, ამ მიწის ქვეშ ღრმად უნდა შევძვრეთ თხუნელებივით და მითომ ამით დავიფაროთ თავი თვითმფრინავებისაგან, რომლებიც უკვე ურიცხვი დაფრენენ აქ, ჩვენს თავზე... ჩვენს შიშს არ აქვს საზღვარი. ჩვენი ბინა კიდევ გავყავით და ორი ოთახი დავუთმეთ ბერლინიდან ჩამოსულ პროფესორ ბადურავის ოჯახს. ასე რომ, ეხლა სასადილო, საწოლი და ბავშების სათამაშო ერთ ოთახში მოექცა.

დღეს ვიყავი ეკლესიაში. მღვდელმა განაცხადა ქადაგებაში: მოემზადეთ სასიკვდილოდ, უკვე დადგა აღსასრული, ჩვენი ცოდვებისათვის პასუხი უნდა ვაგოთო... გაემზადეთ, მოაწესრიგეთ ყველა თქვენი საქმეები და წყნარად და მშვიდობით შეხვდით აღსასრულსო...

მღვდელი, ერი და ყველა მარტო ჩვენს მოსპობაზე ფიქრობს და ლაპარაკობს... ამდენი განა მისთვის ვიჯახირეთ, რომ ნანგრევებქვეშ გავისრისოთ და ამას „მშვიდად“ შევხვდეთ?.. ეს არის მოძღვრის უკანასკნელი ნუგეში? არა, არ მინდა არც მღვდელი და არ ერი! არ მინდა, მათი რჩევა-ნუგეში ვისმინო, არ მინდა, ვინმე ვნახო. სჯობს ამ სარდაფში შევძვრე, არაფერს ვხედავდე და არაფერს ვისმენდე. დღესაც არასგზით არ მინდოდა აქედან გამოსვლა. აკაკიმ და ლეომ დიდის ჩხუბით და თხოვნით ძალით გამომიყვანეს სარდაფიდან.

გაზაფხული

საშინელ დღეში ვართ. ყველას თავი გასჭირვებია. ბერლინი საშინელ დღეშიაო, სწერენ გაზეთები. იქაურ ქართველობას თავისთვის უშველიათ, ე. ი. შტაბებს და მათდაგვარ კომიტეტებს გასვლა ურჩევიათ და ბერლინიდან ვენისკენ დაძრულან. ზოგ ქართველს კი სადღაც სოფელში შეუფარებია თავი.

დღეს ამერიკელმა მფრინავებმა მაგრათ დაგვცხეს ბომბები... სანდრო კორძაია მისი მეუღლით მეორე თვეა ჩვენთან არის შეხიზნული. ბერლინში ყველაფერი დაეწვათ. ქუჩაში დარჩენ შეშინებულნი და მშიერ-მწყურვალნი. ხან ერთ მეგობართან ათევდნენ ღამეს და ხან მეორესთან. მეტად გაუძნელდათ ასეთი ყოფა. ამას დაერთო საშინელი ნერვიულობა სანდროსი და უძილობა. აუტყდა შიშის მანია, ვერსად ვეღარ ჩერდებოდა. ბოლოს მეგობრებმა ურჩიეს, ბერლინს გაცლოდა და ჩვენთან წამოსულიყო. ასე, ერთ დილას მოგვადგა გაფითრებული და დაშინებული ცოლ-ქმარი... ფიქრობდენ ცოტა ხნით აქ მოსვენებას, მაგრამ მდგომარეობა უფრო და უფრო გამწვავდა, არსად წასვლის საშუალება აღარ იყო და აი, ორი თვე იქნება ჩვენთან არიან. ვუყოფთ ლუკმას, მივეცით ერთი ოთახი და ასე ერთად გაგვაქვს თავი და ველით... რას?.. „მეორედ მოსვლას“, ან სასწაულს...

6 აპრილი

საღამოს 7 საათზე ჩვენი სოფლის ეკლესიამ თეთრი ბაირაღი ააფრიალა და ჩვენი სოფელი ამნაირად გადარჩა ამერიკელების მიერ დაბომბვას... დღეიდან ჩვენ უკვე მშვიდობადამყარებულ კუთხეში ვიმყოფებით...

სიხარულით ვტირით ყველანი – ცრემლებით ვიღვრებით... ნუთუ გათავდა ჩვენთვის ომი? თამამად ვიხილეთ სინათლის შუქი... სინათლე შინ და გარეთ... 6 წლის უკუნეთის შემდეგ...

დღეს პირველად, ხუთნახევარი წლის შემდეგ, მშვიდათ დავიძინებთ. ღმერთო, ეს რა სასწაულია! რა ბედნიერება მოგვანიჭე ამ დღეს!.. ზავი, ზავი! და კაცთა შორის მშვიდობა!.. გმადლობთ შენ, უფალო, რამეთუ გადმოგვხედე ჩვენ... იყავ ღმობიერი და ასევე გადახედე ჩვენს ტანჯულ ქვეყანას...

7 აპრილი

დღეს ფლადუნგენს ეწვიენ ამერიკელი ჯარისკაცები. სწორედ ჩვენს სახლში (სკოლაში) დაიჭირეს ორი დიდი დარბაზი – სამზარეულო-სასადილოდ და ორი ოთახი ჩვენს ზევით – დასაძინებლად.

გულს ლოდი მოეშვა... ეს ჯარისკაცები არიან ფრიად კორეკტულნი, არავის არაფრით არ გვაწუხებენ და ხალხიც ირგვლივ ბედნიერია. ყველას ერთბაშად გაუარა სიკვდილის შიშმა.

ომი ჩვენთვის გათავდა. ეს ქვეყანა დაამარცხა თავისმა აუწერელმა ყოყოჩობამ და მთავრობის ვერაგულმა მოპყრობამ ყველა ერებისადმი და, კერძოდ, დაპყრობილ ქვეყნებისადმი. დიდ ხანს ვეღარ მოიშუშებს საშინელ ტკივილებს ევროპა და უფრო მეტად კი საწყალი გერმანია, რომელმაც ძალით ამოშალა თავისი თავი დიდი იმპერიების სიიდან...

ჩვენ რა გვეთქმის... მეტათ ძნელია დამარცხებულ ქვეყანაში ცხოვრება, გასრესილ, გატეხილ ხალხში ტრიალი, მაგრამ... რა ვქნათ, ესეც უნდა ავიტანოთ, ვიდრე აქ ვრჩებით. ვინ იცის, როდის გაგვეხსნება სანატრელი გზა ჩვენი ქვეყნისკენ.

მარტო იქ თუ ვიპოვით სიმშვიდეს ამ 25-წლიანი ვაების შემდეგ... მაგრამ დღეს ამაზე ვინღა ოცნებობს! ჯერ იმითიც ბედნიერი ვართ, რომ ომის საშინელება ჩვენ-

თვის განელდა და გაჰქრა... ეს 6 წელია, სიკვდილი სხვადასხვა სახით დაგვდევდა ფეხდაფეხ ყველგან და ყოველწუთს და სატანიურად დაგვცინოდა, რომ ვერსად დავემალებოდით, ვერსად და სულ მალე ან გაგვჭყლეტდა ნანგრევებშუა, ან ცოცხლად შეგვწვავდა, ან გაზებით მოგვახჩობდა... და ამას გვიქადდა ან ჩვენ, ან რომელიმეს ჩვენი საყვარელი წრიდან და ან ყველას ერთად ან ცალ-ცალკე. ეხლა კი ყველაფერი ეს, ეს საშინელი აჩრდილი სიკვდილისა ერთბაშად გაჰქრა.

ჩვენ გვძინავს მშვიდად და ვიღვიძებთ განცხრომით... იყოს წყეული სამარდისოდ ყოველი ომი!..

15 აპრილი

დღეს მეცხრე დღეა, რაც ჩვენ ამერიკელების ბაირაღის ქვეშ ვცხოვრობთ. ჩვენს სოფელში სრული სიწყნარეა – ცხოვრება მიმდინარეობს ნორმალურად. გლეხები მინდორში გუთანგამბულნი გადიან, ხნავენ და თესვენ... მხოლოდ, თუ კარგად დააკვირდები, მათ დანაოჭებულ და დაღვრემილ სახეზე დიდ მწუხარებას, გალახულ თავმოყვარეობის, გლოვას ამოიკითხავ... 6 წლის სისხლის, ცრემლის და ოფლის ღვრა... ტკივილების, შიშის, სიმშილ-სიცივის და სნეულებების ატანა... 6 წლის წყვდიადი და ბოლოს ასეთი გაუგონარი დამცირება, განადგურება, ბორკილები, გაკიცხვა და სრული უიმედობა... რათა, რისთვის? ვინ უყო ეს და რად? ვინ გასცემს მათ ამის პასუხს...

აპრილის დამლევი

ხვალ 1 მაისია.

გარეთ თოვს და ცივა. ფიფქია ხეხილის ყვავილებს მძიმედ აწვება თოვლის მტვერი.

ცივა, მაგრამ სად წაუვა ეს მწარე ამინდი გაზაფხულს. ჩვენი სულიერი განწყობილება ამ ამინდს ჰგავს – მიდის ომის აღსასრულის დღე, თავდება უსაშინლესი ომის კოშმარი – მაგრამ როგორ?.. სიხარული დაფარულია სიმწარით და დიდი წუხილით... რადიოს მოაქვს საშინელი ამბები. ბერლინი ინგრევა და იწვის. იწვის ეს უზარმაზარი ქალაქი და ნაცარტუ-ტად იქცევა. რუსებს კიდევ დიდ წინააღმდეგობას უწევენ დარჩენილი ჯარი, ბავშები და ბებრები. დღეს თუ ხვალ მაინც ჩაიბარებენ რუსები. რადიოში სთქვეს, რომ მილანოში ბენიტო მუსოლინი აჯანყებულმა ბრბომ დახვრიტა მისი 17 მხლებლით და მისი გვამი მილანოს მოედანზე ფეხებით დაჰკიდესო, რათა მის სიკვდილში ხალხი დარწმუნდეს...

დღეს რადიომ გადმოსცა, რომ ვიღაც იტალიელ ქალს მუსოლინის გვამისთვის 5 ტყვია დაუცია, მითომდა მისი დაღუპული 5 შვილის სამაგიერო, რომლებიც მუსოლინის განკარგულებით დაუხვრეტიათ. ხმებია თითქოს ჰიტლერი კვდებაო, დამბლა დაცემიაო, გეორენგი ეს-ესებმა დახვრიტაო. ასეთია ხმები ათასნაირი და შემზარავი. უკვე მიუნხენიც აიღეს და ხმებია – ბავარია დამოუკიდულებას აცხადებსო...

ჰიმლერი, ჰიტლერის დღევანდელი მოადგილე, წინადადებას აძლევს ომის შეწყვეტის შესახებ ამერიკას და ინგლისს...

ამერიკა და ინგლისი კი არ იღებენ ამ წინადადებას...

ალბათ ამ დღეებში ესეც გადაწყდება... თავდება ომი, ხალხო, თავდება საშინელი ომი...

ჰამბურგს ალყა აქვს შემორტყმული. ირგვლივ არტილერიის ცეცხლია. ქალაქის განაპირა უბნებში შეტაკებები დაწყებულია.

ჩემი ჰამბურგი...

1 მაისი

22 საათი 26 წუთი.

აცხადებს რადიო:

გარდაიცვალა ა. ჰიტლერი ბერლინში, რაიხსკანცელარიის შენობაში.

ღამის 11 საათია.

აცხადებს რადიო:

ადმირალმა კ. დონიცმა გერმანიის ერს მოწოდებით მიმართა, რომ ჰიტლერი გარდაიცვალა და მის მაგიერ ის იქნება წინამძღოლი გერმანიის ერის.

ალბათ ამით ყველაფერი გათავდა... უაზრო და უმიზნო წინააღმდეგობა შეწყდა... მაგრამ ვაითუ, გვიან, ძალიან გვიან ხდება ეს და უბედურებაში ჩაცვენილ ხალხს მაინც ვეღარ უშველოს. ღმერთო, რა გვიან იწყება აღდგომა და გაზაფხული! გავიხარებთ კიდევ? დაგვრჩა ამის ძალა?..

მაისი

ჩვენს სოფელში უცნაური სიწყნარეა, თითქოს არაფერი შეცვლილიყოს. უკვე 1 თვეა, ამერიკელების ბაირაღის ქვეშ ვცხოვრობთ. ცაზე აეროპლანები აღარ სჩანან ღამეები მშვიდია. გაზაფხული თავის ძალაში შედის... მაგრამ დამარცხებული ერის დიდი მწუხარება ჩუმად ფლობს ყველაფერს. ჩვენები მუშაობენ, ხან ბოსტანში, ხან მინდორში და ხან ტყეში ზამთრისთვის შეშის დასამზადებლათ. მომავალი ზამთარი ყველას აშინებს...

გერმანიის ნანგრევებს შორის შიმშილის აჩრდილი უკვე სჩანს. ვინ იცის, კიდევ რას გვიმზადებს ბედი...

7 მაისი

ამ დღეს კაკიჩმა მისი გულის ნადები ჩემს რვეულში ასე ჩასწერა: დღეს მოხდა გერმანული ჯარების „უპირობო კაპიტულაცია“. ომი გათავდა. გამარჯვებულნი ხვალ მშვიდობიანობის დამყარებას იდღესასწაულებენ.

დღეს შეწყდა სისხლისღვრა და მთელ ქვეყანას ტუჩებზე „მშვიდობიანება“, ახალ ცხოვრების დაწყების იმედი აწერია. დღეს – ქართული პოეზიის დღეს, შვიდმაისობას – მოხდა ეს „განახლება“ და გახარება, თითქოს მომაკვდავმა კაცობრიობამ განკურნებისკენ იბრუნა პირი, თითქოს ეს ვერაგობის და ველურობის ხანა სისხლით, ცრემლებით და გლოვით სავსე სამარეში ჩაწვა, დასტოვა უსაშინელესი მემკვიდრეობა და უმძიმესი წამების ჯვარი აჰკიდა გერმანიის ერს...

ერთხელ კიდევ გაიელვა ცაში სახარების სიტყვებმა. მისმა სადა და უკვდავმა ჭეშმარიტებამ:

„მახვილის ამღები მახვილითვე განიკვეთება“

მაგრამ მე მჯერა ახალი ქვეყანა, უბრალო, პატიოსანი და მშრომელი ხალხის ქვეყანა ნელნელა გაუკვლევს გზას ქრისტეს უფრო მაღალ მცნებას:

„გიყვარდეს მოყვასი შენი... გიყვარდეს და შეიბრალებდე მტერსაც შენსას“...

იქნება ამან, ქრისტეს უმაღლესმა მცნებამ, ზოგი რამ მაინც აპატიოს გაყოყოჩებულ, თავდავიწყებას მიცემულ ქვეყანას, რომელიც უმაღლეს მწვერვალიდან დღეს უძირო უფსკრულში ენარცხება...

იქნებ ამ გზით მის გულში ბატონობის და ძალადობის ნაცვლად სიყვარულმა და სათნოებამ დაისადგუროს.

ეს იქნებოდა ნამდვილი მშვიდობიანობა, რაიც ასე სწყურია ყველას და რასაც ამდენი მსხვერპლი შეეწირა...

მინდა ვსთქვა:
„გაუმარჯოს ამ რწმენას და ლმობიერების გზას“.

კვირიკობისთვე

დაუჯერებელი ამბავია, ხანდახან ზღაპრად გეჩვენება ყველაფერი, რაც ჩვენს ირგვლივ მოხდა. გათავდა ომი, აღარ მოდის ციდან ცეცხლი, აღარ ისმის შემზარავი გუგუნი თავდასხმის სირენისა... მშვიდობიანობა დამყარდა.

მშვიდობიანობა – ეს სანატრელი და სანუკვარი სიტყვა მთელის თავის აზრით.

მადლობა ღმერთს!..

მოვესწარით ამ დღეს. ყველანი ცოცხლები გადურჩით ამ ცეცხლს და სისხლის წვიმებს... და ჩვენ ისევ აქ ვზივართ, ამ პატარა სოფელში. ყველაფერს მოვწყდით, წერილები არ მოდის მოგზაურობის საშუალება არაა...

მხოლოდ ფეხით სიარულის ნებაა და ვისაც შეუძლიან, მიდი-მოდიან ამ შარაზე თავიანთ დანგრეულ სახლებისაკენ, მიათრევენ პაწია ურმით ან ზურგით თავიანთ ბარგი-ბარხანას დიდნი და პატარანი... ჩვენ კი ისევ აქ ვზივართ და ვუცდით მატარებელს, რომ როგორმე ჰამბურგისკენ გავსწიოთ, ჩვენი დანგრეული ბუდე ისევ მოვაწყოთ. რასაკვირველია, თუ ჩვენი ბინა ისევ სდგას. ჩვენ ხომ აგერ, თითქმის 4 თვე არაფერი ცნობა გვაქვს ჰამბურგიდან. და ასე ლოდინში ვცხოვრობთ ჩვენი პატარა ცხოვრებით. ლეოს ინსტიტუტი უფულობის გამო დაიხურა. სანდრო, მამა და ლეო მუშაობენ, სოფლელებს ეხმარებიან. ჩვენი იმედი ეს პატარა ბაღია. გვყავს 6 ბატი და 6 ქათამი, ერთი ძაღლი მურია, ეშმაკი, და ცუღლუტი პატარა მურია, ეხლახან შემოხიზნული. და კიდევ ერთი კატა „სულიკა“, ესეც დიდი თვალთმაქცი...

ტურფა და ბავშვები კარგად არიან...

საჭმელი ჯერ არ გვაკლია – მაგრამ ცოტა კია. საერთოდ, შიმშილის აჩრდილი უკვე მზაკრულათ დარაჯობს ხალხს...

ყველა ჭამაზე ლაპარაკობს. მადლობა ღმერთს, სოფლის მოსავალს კარგი პირი უჩანს. მართალია, სოფელი ეხლა კარგად გვიყურებს – იმედი გვაქვს არ დაგვამშევენ. მაგრამ სიმშილის შიში ჩვენცა გვაქვს. ზამთრისთვის შეშა და ნახშირი საკმაოდ გვაქვს დამზადებული. ერთი ცხვარიც გვყავს „იალაღზე გაგზავნილი“. ვაშლის მოსავალი, იმედია, კარგი იქნება შაქარი არ გვაქვს, სხვაც მრავალი რამ გვაკლია, მაგრამ ამას ვინღა ჩივის, ოღონდ თავი კი გავიტანოთ. პური, პური არ დაგვაკლდეს... ბავშვები არ მოგვიმშივდეს.

მიუხედავად სურსათის ამ ნაკლებულებისა, ჩვენს დიდ ქუჩაზე ზოგი საით და ზოგი საით მიმავალნი ხშირად ჩვენსა პოულობენ თავშესაფარს ხან და ხან კვირაობით და თვეობითაც. მაგალითად, შემთხვევით ჩვენს სოფელზე გამოიარა და ჩვენი სკოლის ოთახში დაიდო ბინა ცოლთან ერთად დიუსელდორფელმა მხატვარმა ვუნდერვალდმა. მდიდარი, განათლებული და უაღრესად საინტერესო პიროვნებები არიან.

ველოსიპედით დაღლილნი ქუჩაში დადგნენ და შემთხვევით აკაკის გამოელაპარაკნენ. კაკიჩმა სახლში შემოიყვანა, გაგვეცნენ, დაგვიახლოვდენ და აგერ, მთელი თვეა, ჩვენსა ცხოვრობენ... რადგან სასტუმრო და სასადილოები დღეს აქ არ არის, ამიტომ ჩვენსა სჭამენ და სვამენ და ვუყოფთ ჩვენს კერძს მეგობრულად. ასევე რამოდენიმე დღით, გისენისკენ გზათ მიმავალი (ფეხით) გვეწვია ჩვენი მეგობარი ვილი კაუხჩიშვილი. აღარ გავუშვით და 2 კვირით ჩვენთან სადგურობდა და შემდეგ ლოცვა-კურთხევით ფეხით გავისტუმრეთ.

ასევ გავაცილეთ სოსო ჟორჟოლიანი და მისი ახლად შერთული გერმანელი ქალი, შემდეგ ერთი ახალგაზრდა ქართველი, რომელმაც ფეხით პარიზისაკენ გასწია. ასე, რაც კი შეგვეძლო, მრავალს გავუთბეთ გული ამ ჩვენს პატარა, ღარიბ ოჯახში...

თვითონ კი ვრჩებით აქ ჩაკეტილი – არსად რომ ამბის გაგება, არც ფოსტა, არაფერი მზიასაგან არა ისმის რა და ეს ჩვენს ოჯახს ძალიან აღონებს. გუშინ ჩვენი კვირიკობა იყო...

„ჩემი კვირიკობა“ – 15 კვირიკობისთვე. მრავალმა ახალგაზდობის ამბებმა და მოგონებებმა გაირბინეს გუშინ ჩემს თავში. ეხ, დროებავ!

დღეს ერთ გლეხის ოჯახს ვახლდით მე და კაკიჩი თივის მკაში... შორს სოფლიდან, „მაღალ რუნზე“ იმ მაღალ მთების გულში იალაღებია მოქცეული, ტიურინგიის საზღვარზე, მშვენიერი საბალახოებია. ადგილობრივი გლეხობა იქ თივას მკის ზამთრისთვის, ჩამოაქვთ საქონლისთვის. ჩვენი ოჯახი ეხლა მთელ დროს გლეხებთან მუშაობას ანდომებს. ჩვენი ოჯახის მეურნეობაც თითქოს გაიზარდა. ეხლა უკვე კრუხიც გვყავს 16 წიწილით.

დღეს ორი კვირის არიან მალხაზები.

ქალბატონმა კრუხმა ჩუმათ დასდო 2 კვერცხი, დაჯდა ზედა და მოინამუსა, გამოიყვანა 18 წიწილი. ქალბატონ კრუხის გმირობით ბევრია გაკვირვებული.

ესეც ჩვენი დღიური თუ თვიური ცნობები.

შემოდგომა

აგერ, 2 წელზე მეტია, ჩემი მზია არ გვინახავს... რაც რომ ამერიკელების შემოტევა დაიწყო საფრანგეთზე, მას შემდეგ აღარც წერილები მოგვსვლია ეს ერთნახევარი წელი. რა გულმა უნდა გაძლოს? რა ნერვები უნდა ჰქონდეს დედაშენს, შვილო? აქამდის არსაიდან ერთი ხმაც არაა. დღემდე არც ფოსტაა გერმანიაში. ეს ორი დღეა, რაც წერილების გზავნა შეიძლება თვით გერმანიაში, მარა უცხოეთთან კავშირს როდის ველირსებით? როდის იქნება, მზიას წერილს მივიღებთ, მისი ხელით დაწერილს?..

ჩვენი ცხოვრება ამ სოფელში სავსე იყო ყოველგვარი წვრიმალებით, რამაც ეს გრძელი თვეები ამოსწურა. ამ ხნის განმავლობაში დავაგროვეთ და დავამზადეთ ზამთრის მარაგი: წნილები, აქაური „მარმალადი“ ჭარხლის წვენიდან, სტაფილო და კართოფილი. ეს აქაური დოვლათი, უგემური და უფერული. ეხ, ნეტა მეღირსოს ეს ჩემი მოკლე სიცოცხლე ჩემს სამშობლოში მივიტანო და იქ დავათავო.

ნოემბრის ბოლო

კურთხეულ იყოს, ღმერთო, დიდება შენი. გმადლობ შენს ახალ მოწყალებას ჩემდამი. მივიღეთ მზიას წერილი. მომასწრო ღმერთმა მზიას მშვიდობის ამბების გაგება. მის ქმარშვილით, ჩვენი ბიძია ვალოდიათი.

გადარჩენ დიდ ცეცხლს და ქარიშხალს. იმედია, აწი ჩვენი ცხოვრება წინ წავა, მდგომარეობაც გამოკეთდება. გმადლობთ, უფალო, გამკითხავო და დიდო იმედო.

21დეკემბერი

გვიახლოვდება შობა. გაირბინა წელმა საშინელმა და უმაგალითომ... ეს პირველი შობაა ომის შემდეგ, რამაც დაგვიტოვა შიმშილი, სიცივე. უბინაობა, უპატრონობა ნანგრევები და ნანგრევები... უნუგეშოა მდგომარეობა. სიხარულს მოკლებულია ეს ცივი დღეები... დიდი უბედურება დატეხეს თავს ამ ერს და მთელ კაცობრიობას. კვნესა გოდება, სიღარიბე, ვით უკუნეთი, დაფრიალებს დღეს გერმანიის მიწაზე.

შობა, ჩვენი ძველი ნუგეში. ზამთრის ლამაზი სიხარული კარზე დგას... გინდა მოიგონო, როგორი იყო ის წინათ, რა სიხარული იყო ბავშების – მათი აღტაცება და ჟრიამული, შობის გალობა და საჩუქრების დარიგება ჩვენი ადათის მიხედვით, სუფრის გაშლა ჩვენებურად, ოჯახში მყუდროება და სიყვარული და ასე, ხალისით ჩვენი შობის შეხვედრა. დღეს კი შეუძლებელი გახდა ამის წარმოდგენაც კი. თითქოს გათავდა ის დრო და დავიწყებას მიეცა.

დღევანდელი ჩვენი შობა სულ სხვაა, სულ უცნობი. მართალია, ციდან ბომბები აღარ ცივა, იარაღის ჩხარუნი აღარ ისმის, მარა, სამაგიეროდ, ამ ბომბების ნანგრევებიდან დიდი ვაება ისმის, ხალხს შია და სცივა... და მართლაც, შია ყველას, დიდს და პატარას. სულ მუდამ შიათ. შეუძლებელია ამის ატანა, ამ უბედურების, რაც დღეს ყურებს ესმის...

ჩვენ ამ სოფელში შედარებით უზრუნველყოფილი ვართ მხოლოდ პურით და კართოფილით. სხვა კი ყველაფერი ცოტა გვაქვს. ეს „სხვა“ განაწილებულია და გაანგარიშებული; შეშაც კი გვაქვს ზამთრისთვის, ცოტა ვაშლიც. მთელი ჩვენი გონება იმისკენ არის მიმართული, თუ როგორ გამოვკვებოთ 3 პატარა ბავშვი და 6 ადამიანი. (სანდრო კორძაია ჩვენთანაა ცოლით) ჯერ შედარებით კარგად ვიკვებებით, მაგრამ ყველას მაინც შია, მუდამ შიათ დიდსა და პატარას...

როცა ბედს შევჩივლებ, ყველა საყვედურს მეტყვიან – „დედა, რას ამბობ? გაიხედე ირგვლივ რა ამბავიაო“ და მეც გავჩუმდები და ამ სიჩუმეში ვიბრძვი, რაც ძალა შემრჩენია რომ კიდევ გადავატანინო ეს ზამთარი. და აი, მოგვადგა ჩვენი შობა და ჩვენც დარცხვენით, ღარიბად დავხვდით სრულიათ გაკოტრებული შობის ბაბუას. რა ვქნათ? ცეცხლმა შთანთქა ჩვენი ავლა- დიდება, მარა ჩვენ ყველა ხომ შევრჩით ამ ცხოვრებას, ამ დიდ ღელვაში გამოვინაპირეთ და ამ შობას ეს სასწაულით გადარჩენილი სიცოცხლე გვინდა ერთმანეთს მივულოცოთ და ვახაროთ და განა ეს ცოტაა?

თუმცა წინ ჯერ ყველაფერი ბუნდოვანია, მაგრამ გულში იმედის შუქი მაინც ღვივის. და ამ მკრთალი შუქით ვეგებებით წელს შობას. ჩემს წინ საბა ბერის აჩრდილი დგას, ის მიშუქებს ამ ხრიოკ გზას ახალ ცხოვრებისას. ახალი იმედით... მაშ, მოდი, ჩემო ტკბილო შობავ, მოდი შენი სიყვარულით და სამართლიანობით, გააშუქე ეს წყვდიადი დღეს, რომ დაპატრონებია ამ ცოდვილ დედამიწას.

შობა

მოვიდა აი, შობაც და ეს ჩვენი შობა წელს უმზეოდ გათენდა. ყველანი ერთად ვართ, გარდა მზიასი. რომელიც ქმარ-შვილით და ბიძია ვალოდიათი პარიზში არიან.

მარტო დიდი ნაძვის ხე (მამამ და ლეომ ტყეში მოსჭრეს და ძლივს მოიტანეს სახლში) და ბავშვების ჟრიამული ამხელს შობას. ირგვლივ კი დიდი მწუხარებაა და ეს ფარავს ღიმილსაც ყველას სახეზე.

ჩემი პატარა გოგოები კი ცქრიალებენ, ხმაურობენ და ჟივილ-კივილია მთელს სახლში. უხარიათ, რომ შობის ხე აქვთ და სანთლებიც ასე ჩახჩახებენ სულ მაღლა, ნაძვის ტოტებშუა...

ჩემი ფიქრია ეხლა 6 წლისა და 10 თვისაა, ჩემი პუსი-ტურფა – 3 წლისა და 2 თვის, ჩემი მზიკუნა, ენაცვალოს თავისი ბებო, – 1 წლისა და 9 თვის. კარგი და გონიერი მალხაზები არიან და მეც მათვის ვაკეთებ ყველაფერს, რათა მათი ბავშური სურვილები და ოცნება ოდნავ შეგვესრულებინა. შობის ბაბუას და ხის ზეიმი გვეჩვენებინა.

ისე კი, ჩვენ ყველანი დატვირთული ვართ ფიქრებით და კიდევ რა ვიცი რით.

შობის „ზეიმის“ შემდეგ

ახალი წელიც მოვაწყვეთ, როგორც შეგვეძლო. ერთი სასიხარულო შუქი იყო ჩვენთვის, ჩვენი საყვარელი ბიძინა აბულაძის ჩამოსვლა და ბევრი ახალი ამბების ჩამოტანა ბერლინიდან... მერე კიდევ ერთი ამბავიც მოხდა... კაკიჩს თავის სკივრში აღმოაჩნდა შარშანდლიდან შენახული 50 ცალი ნიგოზი. ბევრი თათბირის შემდეგ გადაწყდა, გაგვეკეთებია საცივი. ასე, დიდის ამბით ჩვენი ჩასუქებული ბატიც ჩავასაცივეთ. ახალი წლის სუფრა გავალამაზეთ, ჩვენებური ლაზათი მივეცით. 50 ცალმა ნიგოზმა სასწაული მოახდინა. მოგვაგონა სამშობლო, ახლობლები. იქაური სუფრა და ლხინი. ამას მოჰყვა იმედიანი სიტყვები და ლექსებით შეჯიბრება აკაკის და ბიძინასი.

ეს იყო წუთიერი თბილი სიო ჩვენს გულში, ჩვენებური ქარის მინაქროლი.

სხვა არაფერი.

ხვალ კი იწყება ისევ სიცხადე. ერთფეროვანი გაჯახირება-მოწყენა.

გოზინაყი და ტკბილეულობა აკლდა ჩვენს გოგონებს. ისე საჭმელი კი გვქონდა საკმაოდ. უმთავრესად – პური და კართოფილი. ვაშლიც.

სხვა არაფერი.

29 დეკემბერი

ვზივარ რადიოსთან და ვისმენ ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერს“, მოსკოვის დიდი თეატრიდან გადმოცემულს...

რა მშვენიერია ეს ჰანგები, გული მელევა და ნაღველი ეუფლება ჩემს სულს...

რად დაგვტანჯა ადამიანმა, რად არ შეგვიძლია ეს მშობლიური ჰანგები ჩემს სამშობლოში გავიგონოთ? ნუთუ აღარ კმარა ეს 25-წლიანი ტყვეობა უცხოეთში? განა აქვს ვისმეს უფლება ასეთის სასჯელით დასაჯოს ადამიანი, რომელსაც ასეთი ხანმოკლე სიცოცხლე აქვს? რისთვის, რატომ სად და რაში ვეძიოთ ამის აზრი? მეოთხედი საუკუნეა, ვკითხულობთ ამას და პასუხი ვერ მივიღეთ. კიდევ რამდენი ვიცადოთ? განა გვაქვს ამდენი დრო?

რადიო კი განაგრძობს... ისმის აბესალომის და მურმანის არიები... ეს ხმები გადის მთელ სხეულში, როგორც ტკბილი ნექტარი. ისმის ლეკური, შესანიშნავი ფალიაშვილის ლეკური...

მინდა წამოვდგე, ხელები გავშალო, ავყვე ამ ჰანგებს და დავუარო...

მაგრამ ცრემლები მახჩობენ...

მინდა ვიყვირო: აღარ კმარა 25 წელი?..

ჩვენი ცხოვრებიდან

დღეს შესრულდა 40 წ. რაც კაკიჩი უცხოეთშია. კარგად მახსოვს ის დღე, ის პირველი ენკენისთვე 1921 წელი, როცა კაკიჩი თბილისის სადგურზე გამოვაცილე. ის ბათუმის მატარებელში ჩაჯდა. ეს იყო დღის 12 საათი. გამოვემშვიდობე, ჩავიკარ გულში და დავულოცე გზა...

მაშინ კაკიჩი ბათუმიდან სტამბოლს მიდიოდა და იქიდან გერმანიაში, რომ განსვენებულ ბარნაბის (კაკიჩის უფროსი ძმა, სამთო ინჟინერი, მარგანეცის საზოგ. „კარუტის“ ხელმძღვანელი) საქმეები ჩაებარებინა და წესრიგში მოეყვანა საზოგადოების საქმეები ბარნაბის უეცრივ და მოულოდნელად გარდაცვალების გამო (ბარნაბი, 42 წლისა, გულის სიგანივრით გარდაიცვალა) ბერლინში.

ჩემი კაკიჩი მაშინ იყო 32 წლის, ახალგაზრდა, ნიჭიერი მწერალი, ცოცხალი, შრომისმოყვარე, მხატვრული მწერლობის მწიგნობარი და მოყვარული. ჰქონდა

წარჩინებით დამთავრებული უნივერსიტეტი, იყო ჩაბმული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იყო თავისუფალ საქართველოს პარლამენტის წევრი, ქალაქის გამგეობის წევრი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე და მრავალი სხვა. ყველგან ცეცხლივით აღზნებული შრომობდა და თავს ევლებოდა საყვარელ სამშობლოს და მის მწუხრს და სიხარულს...

დაუდგა მწუხრი სამშობლოს.

მოვიდა ისევ რუსი.

გარდაიცვალა ძმა ბარნაბი სამშობლოს სევდით ბერლინში და კაკიჩი უნდა წამოსულიყო საზღვარგარეთ. წამოვიდა კიდეც 1921 წლის 1 ენკენისთვეს. სტამბოლში ჩასვლისას ავად გახდა ფილტვების ანთებით... გადურჩა, მისმა ახალგაზრდა ჯანმა გაუძლო დიდ სნეულებას. იმავე წელს ნოემბერში მეც წავედი სტამბოლს. კაკიჩი ჯერ კიდევ ავადმყოფი ლოგინად იყო.

მოიკეთა თუ არა, წავედით გერმანიაში. მე 22 წელს დავბრუნდი უკან საქართველოში ბავშვების წამოსაყვანად.

როგორც იქნა, მოვახერხე და 1923 წელს მაისში სამუდამოდ დავსტოვე თბილისი.

[მას] მერე აქ სხვის კარზე ვდგევართ, ათასი ვაი-ვაგლახი გვაცვივა თავს. რამდენი რამ გამოვიარეთ ამ 40 წლის მანძილზე უცხოეთში!

ჩემი კაკიჩი ეხლა 72 წლის არის. მისი ნიჭი, მისი ანთებული სიტყვები, მისი შრომა, მისი სურვილი, დიდი სურვილი მოქმედებისა საზოგადო საქმეებში, ემიგრაციაში მეტად უფერულად და ულაზათოდ გაჰყვა წლეებს... ჩვენი საწყალი ემიგრაცია... ვის ვუნდივართ, ვინ იტკიებს ჩვენთვის თავს?.. მაინც ცოტა რამ გავაკეთეთ და ამ ცოტათი ვიწმენდთ ნამუსს სამშობლოს წინაშე... ჩვენ მოვხუცდით, მაგრამ ჯერ კიდევ მხნეთ ვდგავართ სადარაჯოზე.

გერმანია, 1949
6 ენკენისთვე

ვიყავით ფრანკფურტში და იქ მივიღეთ არგენტინის ვიზები. როგორც იქნა, ვეღირსეთ ამ დიდი ხნით ნანატრ ვიზებს. ეხლა კი ველოდებით გემს. ამბობენ დაახლოებით ორ კვირაში გავალთ გერმანიიდანო.

დღეს 15 ენკენისთვეს მივიღეთ ცნობა, რომ ჩვენი გემი გადის 30 ამ თვეს მარსელიდან არგენტინაში. შეიძლება გული გასკდეს სიხარულით. ნუთუ ვნახავთ ჩვენს შვილებს.

24 ენკენისთვე

დღეს გამოგვიცხადეს, რომ ხვალ მივდივართ ამ „ლაგერიდან" სამუდამოდ. ლაგერის მართველობამ გზა მშვიდობისა გვისურვა და გზისთვის „საჩუქრები" გვიწყალობა – თითოს 200 ღერი პაპიროსი, 2 ნაჭერი ხელის საპონი, 4 ცალი ასანთი, 2 ცალი ფეხსალაგის ქაღალდი...

25 ენკენისთვე

10 საათზე და 10 წუთზე დავსტოვეთ ჰანოვერი და მივდივართ პარიზისაკენ.

26 ენკენისთვე

ამ დილით უკვე ბელგიაში ვართ და ყავახანაში ყავას ვსვამთ გაიოზ ბერიკაშვილთან, რომელიც აქ შეგვხვდა. წესიერად და მშვიდობით გადმოვედით გერმანი-

იდან – იქნება სამუდამოდ. ყველა ომის დროის ტანჯვა, ცხოვრების ჯახირი უკან დარჩა, წინ რა გველის? ვინ იცის...

მარა დღეიდან არას ვნანობ...

პარიზი, 1949

27 ენკენისთვე

პარიზი. დამათრობელი, გიჟი, მოუსვენარი, მღელვარე, მეფუსფუსე... გერმანიის შემდეგ და განსაკუთრებით ჩვენი უკანასკნელი ეტაპის, ბუხოლცის შემდეგ – რაღაც აუწერელ შთაბეჭდილებას ახდენს ეს ხმაური, ფერადობა და ტკბილი აურზაური... სადგურზე არავინ დაგვხვდა, რადგან ჩვენმა მატარებელმა 3 საათით დაიგვიანა. ჩამოვედით საღამოს 7 საათზე, დავბინავდით სადგურთან ახლოს პატარა, სუფთა სასტუმროში. მაშინათვე გავსწიეთ ბიძია ვალოდის სანახავათ. სამწუხაროდ, შინ არ დაგვხვდა. მაგრამ ბიძიას მდგმურმა, სიმპატიურმა სომხის ოჯახმა თბილად მიგვიღო და ცოტა ხნის შემდეგ ბიძიაც შემოვიდა. ლოცვიდან მოდიოდა. ძალიან გამიხარდა მისი ნახვა. შეგვხვდა კმაყოფილის სახით, დამშვიდებული, კარგათ ჩაცმული, სუფთა ოთახში... ამან კარგ ხასიათზე დამაყენა...

ბიძაჩემს დედასთან საოცარი მსგავსება აქვს. დედას გამოხედვა, მისი მოცინარე თვალები, და ჰუმორით სავსე ღიმილი... ყველა ამან თითქოს დედასთან მიმიყვანა და მასთან ყოფნით და მისი სიყვარულით დავსტკბი... ამ დროს გულნარას ნათლია, პავლე ვაშაძე შემოვიდა და გვიამბო ჩვენი შვილების ყოფა პარიზში...

28 ენკენისთვე

მთელი დღე ვუნდებით იროსთან ქაღალდების მოგვარებას. ვსადილობთ მიშა ცაგარელის რესტორანში. ელენე – მიშას მეუღლე – შესანიშნავი მასპინძელია. იმერეთი გაგვიცოცხლა. აქ შევხვდით ბევრ ქართველს. ვნახე სიმპატიური ქართველი ქალი მარუსია ღოღობერიძე. ჩქარა მისმა ლაპარაკმა ცოტა არ იყოს დამღალა... საღამოს ბ. კალე სალიას ოჯახში ვატარებთ... ვვახშმობთ მშვენიერ მის სახლში, სასახლეს რომ გავს... ქ. ნინო სალია ეტყობა ნიჭიერი ქალია – მაგრამ მასთან რომ დავყავი 2-3 საათი, პირდაპირ დავიღალე და თავში გამიელვა სადღაც გაგონილმა სიტყვებმა „ღმერთო გადამატარე მშვიდობით“ – „Проноси, господи“.

ვახშმის შემდეგ ორი ავტომობილით, ერთი – კალეს და მეორე ბ. ტატიშვილის მანქანით, გავეშურეთ ჩვენი ძველი მეგობრების სანახავად. პირველი დარბაზობა იყო ბ. გ. კერესელიძესთან. ბ. გიორგი არ მომეჩვენა შეცვლილი. სასიამოვნო ოჯახი და გიორგის რძლის – მაიას მშვენიერი სუფრა მეტად საამო იყო. მერე გავეშურეთ ჩვენი ძვირფასი მეგობრის ბ. ღერენალ კვინიტაძის ოჯახში. დიდი იყო სიხარული ჩვენი შეხვედრისას.

ლაპარაკს და ალერსს აღარ უჩანდა ბოლო... მაგრამ საშინელმა დაღლილობამ დამძლია და უკანასკნელად ჩავეხვიე ყველას ცრემლებით და წამოვედით ისევ პარიზში. ჩვენს პატარა სასტუმროში...

29 ენკენისთვე

ეს უკანასკნელი დღეა პარიზში ჩვენი ყოფნის. ყველას ნახვა გვინდა, მაგრამ დრო ცოტაა და ბევრი რამ არის მოსაგვარებელი და ბევრი ნათესავი და მეგობარი კი მყავს სანახავი. დილამ გაირბინა ჩქარა და უნაყოფოდ. სადილად ისევ ელენესთან და მიშასთან ვარ დაპატიჟებული გულით. ელენეს დუქანს დატყობია კრიზისი...

ქართველებს ფული არ აქვთო. სადილი იყო უხვი და სამაგალითო გემრიელი. ამას ელენეს და მიშას არ დაუვიწყებთ... უკვე 3 საათი იყო, რვის ნახევარზე კი უნდა სასტუმროში ვყოფილიყავით, რათა უკვე მარსელისკენ გავყოლოდით მატარებელს. ძალიან კი მწყდებოდა გული, რომ ლოვილში ვერ ავედი და ჩვენს ძველ მეგობრებს უკანასკნელად არ შევავლე თვალი. ჩემა კეთილმა პავლემ გაიგო ჩემი გულისთქმა და გამოვედით თუ არა ელენედან, ჩაგვსვა ავტომობილში და გაგვაქანა ლოვილისკენ... მე კი სხვა განზრახვა მქონდა – მისვლა ლოვილში, ნახვა ყველასი, მერე სასაფლაოზე მისვლა და მათთანაც გამომშვიდობება, მარა არ იყო დრო და რა უნდა მექნა. პავლემ მაინც არ დაიშალა და მიგვიყვანა შატუში.

ლოვილი

ლოვილში შემოდგომა უფრო სჩანს, ვიდრე სხვაგან პარიზში...

დამდგარა ღრმა შემოდგომა ლოვილის მინგრეულ-მონგრეულ შატუშიც. ამდენ რევოლუციებს, ომებს, ლტოლვილობას ველარ გაუძლეს ჩვენმა მოხუცებმაც – 26 მაისის დროშა რომ გამოიტანეს პარიზში... ეხლა ამ გუნდს ბევრი გამოაკლდა და ლოვილის სასაფლაოს მიაბარა საქართველოს სიყვარული. დარჩენ ზოგი „კერპები“, ოდესღაც ქედმაღალნი და ეხლა კი ლანდებად ქცეულნი „წარსულ დიდებისა“, მათ შორის პრეზიდენტი[1] ნ. ჟორდანია. ამ კაცმა გასაოცრად შეინახა ამ ღრმა მოხუცებულებამდე ფხიზელი გონება, გამართული მხარ-ბეჭი და ჭკვიანი – მოციმციმე თვალები. მსჯელობა მისი ისევ ფრთხილი და სადად დალაგებულია. ფიქრი საქართველოს ფიზიკურ გადარჩენაზე მას არ ასვენებს... ეშინიან ამ ხალხთა აყრის დროში ქართველობაც არ მოჰგლიჯონ თვის უძველეს ბინადრობის მხარეს. სხვა კიდევ გაძლებს, შეეგუება ახალ ადგილებს, ქართველი კი უიმისოდ გაქრება... იმდენად გამჯდარია მის სულში და ტვინში ქართული მიწა და მის ძარღვებში ქართული მდინარეები გადიან... თითქმის მთელი საათი დავყავით ნოესთან (გაგვიმასპინძლდა ჩვენებურ ადესის ყურძნით).

ვნახეთ ჩონჩხი, გახვეული „ყოფილ კოსტუმში“, რომელმაც გადაგვკოცნა... ეს იყო ჩემი ძველი მეგობარი ზაქარია ჩიჩუა, ამას მოყვა ერაძე და სხვანი. ეხლა კიტრის მოსავალს აგროვებდენ... შევიარეთ გოგვაძის ოჯახში, სადა სვიმონ წერეთელი თვისის მოძახილის ხმით და მუდმივი ღიმილით დაგვიხვდა. ისიც მოტეხილი, მაგრამ ძველებურად სხვების მომვლელი და ჭირისუფალი. მოსავლელი კი ეხლა ბევრი ჰყავს. თვით გოგვაძის ოჯახშიც... საწყალი ნამეტია მარტოა და მძიმეთ ავადმყოფი – მუდამ სხვათა გამკითხავი და მომვლელი. იშვიათი ქართველი ქალი... ეხლა უძლური გამხდარა... ძლივს დადის ჯოხით. ვალოდია, ეს ქართველი „ბრანევიკი“ დადგა და ჩაქრა... რაღაც შიშმა შეიპყრო, „იდეე ფიქსები“ არ ასვენებენ და სულიერად დაავადდა. ყველაფერი, მრავალ წლობით, მძიმე შრომით ნაშენი და ნაშოვნი, ნამეტიას ავადმყოფობის დროს, თურმე გასცა და გააჩუქა ფრანგებზე ან დასწვა და მოსპო. ეხლა საავადმყოფოშია. მძიმე საათი გავატარეთ აქ, რომელიც დასაფლავების და ტირილის საათს უფრო ჰგავდა. მხოლოდ ჩვენი სვიმონი „უბერავდა“ ამ ჩამქრალ მუგუზალს და შოთას სიბრძნით ყველაფერს ანელებდა და მალამოს სდებდა. კიდევ ვიღაცეები ვინახულეთ და ბოლოს გულმოკლულნი წამოვედით ავტოთი. სადგურთან ჩვენ უკვე გვიცდიდენ ძია ვალოდია და სხვები.

საყვარელმა ბიძია ვალოდიმ დაგვილოცა გზა და დაიძრა ჩვენი მატარებელი მარსელისკენ... დავსტოვეთ პარიზი და ჩვენი ძველი და საყვარელი მეგობრები...

---

1 ემიგრანტულ ლიტერატურაში ნოე ჟორდანიას ზოგჯერ პრეზიდენტად მოიხსენიებენ. სინამდვილეში იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იყო (რედ.).

ღამემ მარდად გაიარა და დილის რიჟრაჟზე პატარა სასტუმრო „ევროპა“-ში მოგვათავსა იროს მმართველობამ. ეს სასტუმრო ეკუთნოდა ერთ სომეხს და სომხური მოხერხებით მთელი ოჯახი უძღოდა მას. საჭმელ სასმელი უხვად იყო...

მარსელი: დიდი ქალაქი ფერადი, ჭრელი, ჭუჭყიანი, ნაღვინევი და ყველაფრით ყელამდე სავსე. ქუჩაში საშინელი ყვირილი გაისმის – შავი, სქელ-სქელი დედა კატები ამკობენ თვის სანოვაგეს. ბევრი ხეტიალის შემდეგ შემთხვევით ერთ-ერთ დიდ ყავახანაში გარეთ დავსხედით და ნაყივნს და ყავას შევექეცით. ვართ სრულიად „თავისუფალნი“ ყველაფრისაგან, არავინ გვაწუხებს, არავინ გვიცნობს ამ დიდ, უცხო ქალაქში. და უცებ – საკვირველება, ჩვენს გვერდით, მაგიდას უზის ორი კაცი, ერთი ჩვენს ლაპარაკზე ხშირად ყურებს აცქვეტს, გვათვალიერებს, რა უნდა? ბოლოს ორ სიტყვას რუსულად გვეტყვის (რაკი რაიუშა კალხეცს, ჩემი თანამგზავრს, რუსულად ველაპარაკებოდი). საიდან, როგორ? მე აქ ვარ უკვე 30 წელიაო. მაშ, ძველი ემიგრანტი? დიახ, საიდან? თბილისიდან... გული აგვიძგერდა; ალბათ სომეხი იქნებით. არა, მე ქართველი ვარ. როგორ?!. აქ ქართველს შევხვდით, ღმერთო, და ორივენი უდიდეს სიხარულს განვიცდით. ვიწყებთ ქართულ ლაპარაკს... ის ბედნიერია, არის სოხუმელი, გვარად – ნინუა. ნიკოლოზი. მის მშობლები სამეგრელოდან არიან. ის სავაჭროთ გამოსულა ამ 20 წლის წინ და კარგი ქონება შეუძენია. ჩვენებური დარდიმანდობით ყველაფრის, რაც კი ჩვენს სუფრაზეა მოტანილი, ლაქიას განმეორებით უკვეთავს. და ყველაფერს ისტუმრებს გულუხვი საჩუქრით... ბოლოს მე და კაკიჩს ვახშმად ერთ შესანიშნავ რესტორანში მიგვიწვევს... უნდა არაჩვეულებრივი პატივი გვცეს. მართლაც გასაოცარი შემთხვევაა. მთელი ამ ვეებერთელა ქალაქში ცხოვრობს ერთადერთი ქართველი და განგებამ ევროპის დატოვებისას სწორედ მას შეგვახვედრა. თითქოს დანიშნულ დროს დანიშნულ ადგილას შევიყარენით... ვინ განაგო ეს, ვინ განარიგა? საქართველოს მადლმა და მისმა სიყვარულმა. მაშ რით ავხსნათ ასეთი სასწაული, რომ იმ ყავახანაში, ამდენ ათას ხალხში იმ მაგიდის გვერდით დავჯექით ორივენი? Iამწუხაროდ, ჩვენი ნიკოლოზი ავადმყოფია. ძლიერი „ასტმა“ ახრჩობს. განუწყვეტლივ ახველებს, ჰაერს ვერ პოულობს. ჩვენთან შეხვედრამ მეტათ აღელვა და ამან კი მეტისმეტი ხველა გამოიწვია... გული ხშირად უღონდებოდა. გვეთხოვება და გვპირდება დილას გვეწვიოს და „პატივი გვცეს“ გაგვისტუმროს ღირსეულად.

მეორე დღეს საშინელი წვიმა ასხამდა. ნიკოლოზს ველოდებოდით ამაოდ. ლაქიამ გადმოგვცა რომ ძალიან ცუდად გამხდარა და ლოგინად ჩავარდნილა. თუ წამოვდექი, თქვენს გემზე ამოვალო. ჩვენმა შეხვედრამ, ეტყობა, ძალზე იმოქმედა მასზე. ის „კამპანაზე“ ველარ მოვიდა.

ჩვენ კი: ჩაგვაყენეს რიგებში. გემზე ასვლის უმალ გაგვიშინჯეს ქაღალდები, რაც ორ საათს გაგრძელდა და მერე თვალები, ხელები გაგვიშინჯეს. მერე განგვარიგეს ქალები ცალკე, კაცები ცალკე. და დაიძრა გემი და დავტოვეთ ევროპა საღამოს 9 საათზე, 1949 წლის 30 ენკენისთვეს.

გემზე „კამპანა“, 1949

ამ გემზე ნამდვილი მეორედ მოსვლაა... აქ ირევა რა ხალხი, რა რჯულის, რა ჯანყი, რა სუნი, რა ყვირილი და აურზაურია... იქ, სადღაც გემის ბოლოში, ჩვენი საწოლია ერთ დიდ ტრიუმში. რამოდენიმე ასეული ქალი და ბავშვია. კაკიჩი კი მეორე ტრიუმშია, კაცებთან... ღმერთო, აგვატანინე ეს სამი კვირა ეს დიდი განსაცდელი.

განა შეიძლებოდა ოდესმე წარმომედგინა, რომ ამ ყოფაში ჩავვარდებოდით? მაგრამ აქ ასობით არიან დიდი და პატარა, ქალი და კაცი ჩვენზე ბევრად უარეს

მდგომარეობაში. ისინი უსახსროდ და უპატრონოდ მიჰყვებიან ამ გემის იალქანს. წარმოდგენა არა აქვთ – სად და ვისთან მიდიან. ჩვენ კი იქ გველოდებიან ყველა ჩვენები, გვაქვს ბინა და იქ გვხვდება მთელი ჩვენი ავეჯი და ბიბლიოთეკა. ამის მოგვარება და გამოგზავნა დროზე მოვაგვარეთ. ეს ხომ დიდი ბედნიერებაა ამ დროში... და ამ იმედებმა უნდა მოგვცეს ძალა და ეს სამი კვირა აგვატანინოს.

ამ დაღლეტილ, ჭუჭყიან ხალხში, ამ განაწამებ ლტოლვილთა შორის უნდა აგვატანინოს ღმერთმა ეს გზა. ჩვენ დღეს ხალხთა დიდი აყრის ხანაში ვართ და არავინ იცის, სად და როდის დაგვხვდება სანატრელი „ნავთსადგური“.

გაჩერდა გემი და დავდგით ფეხი არგენტინის მიწაზე.

არგენტინა, 1950

1 იანვარი

უკვე ჩვენს შვილებთან ვართ და მათთან ერთად ვეგებებით ამ დღეს. შორს არის სამშობლო და ევროპაც. ცხელა, ძალიან ცხელა. სულის თქმა შეხუთულია. ვიწურებით ოფლად. ესეც შენი არგენტინა.

არგენტინა, 1951

1 იანვარი

უკვე მეორე ახალი წელია არგენტინაში, ჩვენს მრავალრიცხოვან ოჯახში. ცხელა მარა „გოზინაყი“ მაინც გვაქვს და ჩვენი ცუგრუმელა გოგოების პატარა ბასრი კბილები გემრიელად ხრავენ. მადლობა წარსულ წელს. მან ჩემს შვილებს მისცა სინდუხელა და მაყვალა. მშვენიერი პატარა გოგონები, ერთი მზიასი და მეორე ტურფასი. სადაც ექვსი პატარა ბავშვია, იქ არის სიხარულთან ერთად მწუხარებაც. ბავშვებმა გამოიარეს ძალიან მძიმე ფორმის ყივანახველა, რომელიც 6 თვე გრძელდებოდა. ყველამ ძნელად გამოიარა, განსაკუთრებით ჩვენმა გულნარამ... ძალიან დაღალა ბავშვი და ძლივს გამოვაბრუნეთ.

1950 წლის 23 თებერვალს მშვიდობით და კარგად ჩამოვიდა იმავე გემით „კამპანათი“ ბიძაჩემი ვალოდი პარიზიდან. მიუხედავად იმისა, რომ 76 წლისაა, ძალიან მხნედ გამოიყურება ეს ძველი ქართული ბუნების ადამიანი... ამნაირად, ჩვენი შედარებით დიდი ოჯახი ცხოვრობს თავისი პატარა ცხოვრებით, შრომით და მუყაითი გარჯით. ჩვენ სულ 13 სული ვართ, დიდნი და პატარანი. რასაკვირველია, ამოდენა ჯალაბობას თავისი მრავალი გაჭირვება და ზრუნვა თან ახლავს. ძნელია უცხო კარზე სულ სხვა ტომის ხალხში ხელმოკლე კაცმა ქართული კერა შექმნას, მაგრამ საშას, ლეოს და მამას ერთსულოვნობით გარჯამ მაინც გადმოგვიყვანეს არგენტინის ახალ ლიანდაგზე.

ბავშვებს მეტი რა ხელობა აქვთ – ცელქობენ, ჯიუტობენ, ყვირიან. ნინო იზრდება ტანით მაღალი, სწავლობს წარჩინებით... ნიჭიერი გოგოა. პუსი ნამდვილი ყაჩაღია, ცელქი და უსაზღროთ ნიჭიერი ბავშვია, ცელქობს, ცეკვავს და ხტის დილიდან საღამომდე. მზიკუნა ნიჭიერი გოგოა და დიდი ეშმაკი, მოხერხებული, სწავლობს კარგად. სინდუხა და მაყვალა ჯერ პატარა კუდრაჭები არიან. მარტო ყვირიან რძე... ძე და ძე – ესაა მათი ასპარეზი დღეს.

რამ ჩამოგვაგდო ამ ცის კიდეს ასე შორს! ხანდახან ვფიქრობ და ვერ გამიგია, რატომ მოვასკდით ამ არგენტინას?! აღარ იყო ჩვენთვის ქვეყანაზე პატარა მიწის ნაკვეთი ევროპაში?

ეხ, ალბათ არ იყო...

ვინ წაიღო?..

არგენტინა, 1952

ვცხოვრობთ ისე, როგორც შეფერის შორიდან გადმოხვეწილთ, სხვა ქვეყანაში, სხვის მიწაზე ცხრა მთის იქეთ... ვეჩვევით ხალხს, ჰავას რომელიც პირდაპირ საშინელია ჩვენთვის – დიდი სიცხეები და წარმოუდგენელი ნოტიო. ზაფხულში ოფლი და ბუზი, კოღოები. ზამთარში სიცივე და ნოტიო, უსაშველო, ისეთი, რომ კედლებიდან წურწურით ჩამოდის წყალი... საჭმელი უგემური და ხილი უარომატო და უგემური. არ ამწიფებენ ხილს, ისე კრეფენ და მერე ყინულიან საწყობებში ალაგებენ და ნელა-ნელა ყიდიან... რა ვქნათ, სხვაგან წასასვლელი აღარსად გვაქვს...

მაგრამ რაც არის ამ ქვეყანაში შესანიშნავი, ეს არის სრული თავისუფლება.

ასეთი თავისუფალი ქვეყანა არა მგონია იყვეს სადმე. ეს გვარიგებს ყველაფერზე და ჩვენც ვდგევართ მხნედ ფეხში. საშა და ლეო მუშაობენ. მამაც მათან არის და უდგას გვერდით. ვზრდით ექვს გოგონას. თუმცა ცოტა გაჭირდა ამ ბოლო დროს, ცხოვრება მეტათ გაძვირდა. მაგრამ არა უშავს. დღეს ლობიოს გიახლებით, ხვალ სუკის მწვადებს...

ესაა მოკლედ ჩვენი ამბავი.

TAMAR PAPAVA

My Rosary (Memoires)

Annotation

Tamar Papava's memoires, which until the recent period was kept in Argentina, in the family of her daughter Mzia Papava-Cheishvili, and which is now kept in the National Center of Manuscripts in Tbilisi, contain many interesting materials for the study of the Georgian emigration. The time boundaries of the memoires are almost 60 years, from the 1910's until her death in 1976. The Geographic area of the memoirs covers more than ten countries: Georgia, Russia, Estonia, Latvia, Turkey, Germany, Czechia, Austria, Italy, France, Argentina, Uruguay...

In the journal, we are publishing several parts of the memoirs: from Hamburg 1924 until Argentina 1952.

The memoires for publication are edited by Paata Natsvlishvili.

ზაზა შათირიშვილი

უხერხული კლასიკოსი?

გრიგოლ რობაქიძის 5-ტომეულის გამო

ამ ბრწყინვალე და მეტად საშური გამოცემისათვის აწ გარდაცვლილი იზა ორჯონიკიძის შემდეგ მადლობა უნდა გადავუხადოთ ლიტერატურის მუზეუმის ამჟამინდელ ხელმძღვანელს – ლაშა ბაქრაძეს, აგრეთვე, პაატა ნაცვლიშვილს, რომელიც წინამდებარე გამოცემის კონსულტანტი გახლავთ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა – ლალი ცომაიას, რომელმაც შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა რობაქიძის ეს მონუმენტური 5-ტომეული.

ცხადია, საგანგებოდ უნდა დავასახელოთ „მაგთისა“ და გია ჯოხთაბერიძის წვლილი, რომლის გარეშეც ეს პროექტი არ განხორციელდებოდა.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ გამოცემა კომენტირებულია – მითითებულია, თუ პირველად სად და როდის დაიბეჭდა ესა თუ ის ნაწარმოები. ხანდახან კომენტარში წარმოდგენილია პირველი რეზენციაზაც ამ თუ იმ ტექსტზე. ყველა ტომს ერთვის ენციკლოპედიური ხასიათის ვრცელი საძიებლები.

ამასთანავე, თითოეულ ტომს თან ახლავს რობაქიძის ბიოგრაფიისა და შემოქმედების ამსახველი დოკუმენტების ფოტომასალაც – სამეტრიკო საბუთები, ამა თუ იმ უნივერსიტეტის დამთავრების ცნობა, დიპლომები, პირველ გამოცემათა ტიტულები, თეატრალურ დადგმათა ესკიზები და ა.შ.

მაგრამ, მოდით, გადავიდეთ უმთავრეს საკითხზე – როდესაც რობაქიძის თზულებათა გამოცემაზეა საუბარი, მთავარი პრობლემა ისაა, რომ ეს ავტორი სამ ენაზე სრულფასოვნად წერდა და შესაბამისი მემკვიდრეობაც დაგვიტოვა. რა პრინციპით უნდა იხელმძღვანელოს გამომცემელმა? ყველაფერი ერთ ენაზე უნდა დაბეჭდოს, თუ სხვადასხვა ენაზე?

ლალი ცომაიამ ეს პრობლემა შემდეგნაირად გადაწყიტა – 5-ტომეულში მოათავსა, ძირითადად, ქართული და რუსული ტექსტების ორიგინალები, ხოლო გერმანული ტექსტების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი (რომანები – „ჩაკლული სული“, „მეგი – ქართველი ქალი“, „წმინდა გრაალის მცველნი“, ესეები ჰიტლერისა და მუსოლინის შესახებ, კულტურულ-თეორიული წიგნი „დემონი და მითოსი“, წერილების გარკვეული ნაწილი) თარგმანების სახით წარმოადგინა. თუმცა, გერმანულად დაწერილი და გამოცემული

„კავკასიური მოთხრობების“ რობაქიძისეული წინასიტყვაობა და, ასევე, გერმანულენოვანი ლექსები გამომცემელმა ორიგინალის ენაზე შეიტანა წინამდებარე 5-ტომეულში.

ცხადია, ნებისმიერი ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური სტრატეგია, როცა საქმე მრავალენოვან ავტორს ეხება, საკამათოა და წლების განმავლობაში გადასახედი ხდება კიდეც; მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ცომაიასეული მიდგომა მოცემულ სიტუაციაში სავსებით ადეკვატურია, ხოლო დანარჩენი – დაე უკვე მომდევნო თაობის ფილოლოგ-ტექსოლოგებმა გააკეთონ.

ტექსტები 5-ტომეულში ჟანრულ-ქრონოლოგიურ პრონციპითაა დალაგებული: პირველ ტომში განთავსებულია რობაქიძის ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე დაწერილი ლექსები, ქართულენოვანი და რუსულენოვანი მცირე პროზა, ქართულ ენაზევე დაწერილი ორი რომანი – „გველის პერანგი“ და დაუმთავრებული „ფალესტრა“ და გერმანულ ენაზე დაწერილი „ჩაკლული სულის“ თარგმანი.

საგულისხმოა, რომ შემდგენელ-გამოცემელმა „გველის პერანგის“ გრძელ საჟურნალო ვერსიას (1925 წ., „მნათობი“) მიანიჭა უპირატესობა 1926 წლის მოკლე საწიგნო ვერსიასთან შედარებით. მიზეზი თანამედროვე მკითხველისათვის სავსებით ნათელია – მოკლე ვერსია უკვე კარგა ხანია, რაც გამოიცა, 1988 წლის „მერნისეული“ გამოცემა ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის ხელმისაწვდომია, რასაც ვერ ვიტყვით “მნათობისეულ” ვერსიაზე.

მეორე ტომში განთავსებულია რობაქიძის პიესები („ლონდა“, „მალშტრემ“, „ლამარა“, ორი ფრაგმენტი „კარდუდან“ და „უდეგა“) და 1902-1914 წლების ესეისტიკა და პუბლიცისტიკა ქართულ და რუსულ ენებზე.

მესამე ტომი მთლიანად 1914-1930 წლების ესეისტიკასა და პუბლიცისტიკას შეიცავს. რამდენიმე შინაარსობრივად ერთგვაროვანი ტექსტი ყველა ენობრივი ვერსიითაა მოხმობილი: მაგალითად, ფიროსმანის შესახებ ნარკვევის კომენტარში შემდეგენელს მოყვანილი აქვს ამ ტექსტის რუსული და ფრანგული ვარიანტებიც.

მეოთხე ტომი უკვე რობაქიძის გერმანულ-შვეიცარიულ პერიოდს წარმოგვიდგენს. აქ მოთავსებულია მისი წიგნები ჰიტლერსა და მუსოლინიზე, ქართულენოვან ემიგრანტულ პრესაში დაბეჭდილი ესეები და წერილები და ეპისტოლარული მიკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

მეხუთე ტომი შეიცავს თარგმანებს და რუსულ ენაზე ნათარგმნ თხზულებებს.


რა შეიძლება ითქვას ამ ყველაფერზე ჩვენი თანამედროვის თვალით?

ცხადია, ის, რომ ისტორიულ-ფილოლოგიური თვალსაზრისით, ამოივსო მნიშვნელოვანი ლაკუნა, რომელიც წლების განმავლობაში აწუხებდა ქართული „ვერცხლის საუკუნის“ ნებისმიერ მკლევარსა თუ დაინტერესებულ მკითხველს.

მაგრამ, მოდით, დავსვათ ასეთი საკითხი – რას გვეუბნება რობაქიძის ეს მოცულობითი თვალსაზისით, გიგანტური მემკვიდრეობა დღეს ჩვენ – თანამედროვე მკითხველს?

შორეულ 1970-1980-იან წლებში, როცა რობაქიძის სახელს ტაბუ ედო საბჭოთა ოფიციალურ კულტურაში, ის ნამდვილი ლეგენდა იყო. 1987 წლამდე ბევრს, ალბათ, მოსმენილი ჰქონდა მისი რამდენიმე რადიოგამოსვლა „თავისუფლების“ ეთერში; ზოგიერთს წაკითხული ჰქონდა „გველის პერანგი“ ან „ლამარა“, ან ნანახი ჰქონდა „ლამარას“ ესკიზები და დადგმის ამსახველი ფოტომასალა ასეთი მუდმივი წარწერით – „ლამარა“ ვაჟა-ფშაველას მოტივების მიხედვით.

მაშინ – იმ შორეულ წლებში – რობაქიძის „ნაციზმი“ სავსებით ბუნებრივად აღიქმებოდა, როგორც, საზოგადოდ, ქართველი ემიგრანტის ანტიბოლშევიზმისა და ანტიკომუნიზმის ლოგიკური საპირწონე.



დღეს ეს ყველაფერი – კომუნიზმის კრახისა და ჰოლოკოსტის სრულფასოვანი გააზრების შემდეგ – რობაქიძის მემკვიდრეობის გარკვეულ ნაწილსა და თვითონ მწერლის მთლიან ხატს, რბილად რომ ვთქვათ, საკმაოდ პრობლემურად წარმოგვიჩენს.

მაგრამ ერთი რამ მაინც უდავოა: ის, ვინც გაეცნობა რობაქიძის თითქმის 30-წლიან ქართულსა და რუსულენოვან ესეისტიკასა და პუბლიცისტიკას (1902-1930 წწ.), დაინახავს, რომ საქმე გვაქვს იშვიათი ერუდიციისა და ბასრი კრიტიკული ალღოს მქონე მოაზროვნესთან. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს: უკვე ვაჟა-ფშაველას სიცოცხლეში რობქიძე ვაჟას უნიკალურ შემოქმედად მიიჩნევს, რაც იმ პერიოდისათვის სრულიადაც არ იყო ასე ცალსახა და ცხადი. მეორე მაგალითი – უკვე 1928 წელს რობაქიძე საუბრობს მარსელ პრუსტისა და მისი მემკვიდრეობის შესახებ. ქართველ მკითხველს შევახსენებ, რომ მე-20 საუკუნის უკვე კლასიკოსად აღიარებულმა გერმანელმა ლიტერატურადმცოდნემ და კრიტიკოსმა ერნსტ რობერტ კურციუსმა პირველი ფუძემდებლური სტატია პრუსტზე სწორედ 1928 წელს დაწერა. მესამე მაგალითი – თავის ერთ-ერთ უკანასკნელ პირად წერილში რობაქიძე ახსენებს ხორხე ლუის ბორხესის წიგნს – „ალეფს“...

თუკი თემატური თვალსაზრისით გადავხედავთ რობაქიძის 30-წლიან ესეისტიკას (1902-1930 წწ.), დავინახავთ, რომ ის წერს თითქმის ყველასა და ყველაფერზე – კონტით და მარქსით დაწყებული რუსული სიმბოლიზმითა თუ გერმანული ექსპრესიონიზმით გაგრძელებული და კლოდ დებიუსითა და მიგელ დე უნამუნოთი დამთავრებული. რობაქიძე წერს თეატრსა და კინოზე, ოპერასა და ბალეტზე, ეხმიანება ანა ახმატოვას პირველ პოეტურ კრებულს, აანალიზებს ვალერი ბრიუსოვის შემაჯამებელ კრებულს, წერს თითქმის ყველა ცნობილი თუ უცნობი ქართველი ავტორის ახლად გამოსულ წიგნზე თავის რეცენზიას...

მაგრამ რა ღირებულება აქვს დღეს მის შემოქმედებას – მის პროზას, დრამატურგიასა თუ პოეზიას? – იკითხავს ამ რეცენზიის მკითხველი და მართალიც იქნება. არის კი ეს ყველაფერი ცოცხალი? არის კი ისეთივე ან თითქმის ისეთივე მუხტის შემცველი, როგორც გალაკტიონისა თუ ციფერყანწელების, გიორგი ლეონიძისა თუ მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება?

თავის დროზე გრიგოლ რობაქიძეს აღფრთოვანებით შეეგებნენ რომენ როლანი, შტეფან ცვაიგი, ნიკოს კაზანძაკისი... მაგრამ დღეს?

ზოგისთვის რობაქიძის ქართულენოვანი პროზა ხელოვნური და ღვარჭნილი არქაული სტილისა და ენის თითქმის უგემოვნო ნაირსახეობაა; მრავალთათავის პრობლემურია მისი „რომანი“ ნაციზმთან და ფაშიზმთან. თუმცა, აქვე იმასაც შევნიშნავ რომ ნაცისტი სელინი დღეს უპირობო კლასიკოსია მისი უბადლო პროზის გამო.

როცა რობაქიძე გარდაიცვალა, ის უხერხული ფიგურა იყო ემიგრაციისათვის (მის დასაფლავებას მხოლოდ რვა ადამიანი დაესწრო), ხოლო ტაბუდადებული – მის სამშობლოში. 70-80-იანი წლების ეიფორია დასრულდა. დღევანდელი ქართველი მკითხველი ბევრად უფრო კრიტიკული და პოლიტიკურად ანგაჟირებულია – არც პოსტმოდერნიზმი, არც ფემინისტური თუ გენდერული კრიტიკა და არც ლგბტ-კვლევები ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო ხილი აღარ არის: არსებობს არცთუ დიდი, მაგრამ აქტიური სეგმენტი ქართული საზოგადოებისა, რომელიც სწორედ ამ თვალთახედვითა და იდენტობით განიხილავს ნებისმიერ პოლიტიკურსა თუ კულტურულ მოვლენას. მოცემული სეგმენტისათვის ამ 5-ტომეულის გაცნობის შემდეგ რობაქიძე კიდევ უფრო მიუღებელი აღმოჩნდება.

როგორ შეხედავს მწერლის მემკვიდრეობას მკითხველი, რომელსაც მკაცრად ქართული იდენტობა აქვს? ამგვარი მკითხველისათვის, უხერხული აღმოჩნდება არა მხოლოდ ის, რომ რობაქიძის შემოქმდების მნიშვნელოვანი ნაწილი რუსულადაა დაწერილი, არამედ კიდევ უფრო ის, რომ ჩვენი ქართველი ავტორი ისე გრძნობს თავს რუსული „ვერცხლის საუკუნის“ კონტექსტში, როგორც თევზი – წყალში. რობაქიძისათვის ანდრეი ბელი თუ ალეკსანდრ ბლოკი ისეთივე ახლობელია, როგორც აკაკი და ვაჟა. საგულისხმოა, ისიც, რომ ის დიდი რუსი სიმბოლისტის ვიაჩესლავ ივანოვის (აქვე შევნიშნავ, რომ რობაქიძის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში შემონახულია წერილები ვიაჩესლავ იავანოვისა და ანდრეი ბელისადმი) ცნობილ „ოთხშაბათობების“ ხშირი სტუმარი იყო. ანდრეი ბელის მემუარებში ამგვარი ეპიზოდი გვხვდება: ერთ ასეთ „ოთხშაბათობაზე“ ზინაიდა გიპიუსმა ყურადღება მიაქცია შთაგონებულ ახალგაზრდა კაცს და ანდრეი ბელის კითხა, თუ ვინ იყო ეს ახლგაზრდა. ბელიმ მიუგო – „ესაა ქართველი ფილოსოფოსი გერმანიიდან“.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ რობაქიძის ესე პუშკინის ეპოქის დიდ რუს მოაზროვნესა და ფილოსოფოს პიოტრ ჩაადაევზე, რომლის შემოქმედებას სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო, რუსულენოვანი მკითხველი მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში გაეცნო, სრულიად პიონერულია თვით რუსული კულტურისთვისაც კი.

ამასთანავე, რობაქიძე ყოველთვის გახაზავდა ხოლმე, რომ მისი „გველის პერანგი“ ანდრეი ბელის ავანგარდისტული რომანის „პეტერბურგის“ ზემოქმდებით იყო დაწერილი.

ამგვარად, მკაცრად ქართული იდენტობის მატარებელი მკითხველისათვის გრიგოლ რობაქიძის შემოქმდების ეს მხარე საკმაოდ პრობლემური აღმოჩნდება.

დაბოლოს, როგორ შეხედავს მის შემოქმედებასა და მემკვიდრეობას მკითხველი, რომლიც, პირობითად, „ინტელიგენტური კულტურის“ მემკვიდრე თუ რელიქტია? ცხადია, ამგვარი მკითხველისათვის რობაქიძის „ნაციზმი“ საკმაოდ საჩოთირო

და უხერხული ფენომენია. მას, ამასთანავე, აფრთხობს რობაქიძის კიჩამდე მისული სინტაქსი, რომელსაც ევფემისტურად „ორნამენტალიზმს“ უწოდებენ ხოლმე. მაგრამ, ამავე დროს, ამგვარი მკითხველისათვის, უცხო არაა შეხედოს ამა თუ იმ მოვლენას, როგორც მიხაილ ბახტინი იტყოდა, „დიდ დროში, სადაც და როცა არც ერთი საზრისი არ კვდება და სადაც ტექსტებს შორის მუდმივი დიალოგია“.

ერთხელ მწერალი და ლიტერატორი ზურაბ ქარუმიძე და ამ რეცენზიის ავტორი საქართველოსა და ირლანდიას ვადარებდით და ასეთ დასკვნამდე მივედით: XX საუკუნის ირლანდიურ კულტურას ორი მთავარი სახელი განსაზღვრავს – უილიამ ბატლერ იეიტსი და ჯეიმს ჯოისი. პირველი იყო არქაისტი, ოკულტისტი-მისტიკოსი და ნაციონალისტი, კელტური წარსულისა და ფოლკლორის ერთ-ერთი ამაღორძინებელი. ჯოისი კი ლიბერალი და კოსმოპოლიტი გახლდათ. იეიტსი, უპირატესად, იყო პოეტი, ხოლო ჯოისი – პროზაიკოსი. ჯოისი წავიდა ირლანდიიდან და არასდროს დაბრუნებულა, ხოლო იეიტსი სამუდამოდ ირლანდიაში დარჩა.

ქართულ კულტურაში ამის სარკისებურ ანალოგიას გალაკტიონისა და რობაქიძის წყვილი წარმოადგენს. ოღონდ აქ მისტიკოსი და ოკულტისტი, ასევე, არქაისტი და ნაციონალისტი პროზაიკოსი რობაქიძეა, ხოლო ლიბერალი და კოსმოპოლიტი – პოეტი გალაკტიონი. სარკისებური ინვერსიის ლოგიკის თანახმად, ემიგრაციაში ნაციონალისტი პროზაიკოსი წავიდა, ხოლო კოსმოპოლიტი პოეტი სამშობლოში დარჩა...

ZAZA SHATIRISHVILI

Awkward Classic?

The revue sums up the five-volume edition of Grigol Robakidze's works, a Georgian writer whom many people consider as quite an awkward classic. The book in published by the Museum of Georgian Literature with the financial support of Magti Company. It compiled by Laly Tsomaia who researched many unknown writings of Robakidze for this edition. The book contains Robakidze's texts on Georgian as well as writings on Russian and German Languages and includes his works before and after the emigration. Nowadays, this five-volume book is the most complete edition of Robakidze's works.

ემიგრანტული ლიტერატურა
2012 წლის ბიბლიოგრაფია

1. გრძელიძე, გიორგი. ქართველები ბაქოში. რედაქტორი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი რუსუდან დაუშვილი; რეცენზენტი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი მურმან პაპაშვილი. თბილისი, 2012.
2. დაუშვილი, რუსუდან; კალანდაძე, გრიგოლ; კობახიძე, რუსუდან; ჯაფარიძე გოჩა; ტარტარაშვილი, თემურ. ქართველები უცხოეთში. წიგნი I. დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის გამოცემა. თბილისი, 2012.
3. მამულია, გიორგი. ბრძოლა კავკასიის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის (1921-1945). რუსულ ენაზე. „კავკასიის ფონდის“ გამოცემა. გამომცემლობა „მერიდიანი“. თბილისი-პარიზი, 2012.
4. მარშანია, ნატო. ქედუხრელი რაინდი (არზაყან ემუხვარი). გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი, 2012.
5. მაღლაკელიძე, შალვა. მოგონებები. სერიიდან „ილუსტრირებული ბიგრაფიები“ (6).
6. ოქროცვარიძე, ნინო. ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში (ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მოსახლეობის მაგალითზე), თბილისი, 2012.
7. რობაქიძე, გრიგოლ. ერთტომეული. სერიიდან „ქართული სიტყვიერება“ (ტ. 10). საქპრესა. თბილისი, 2012.
8. რობაქიძე, გრიგოლ. კავკასიური ნოველები. სერიიდან „უცნობი რობაქიძე“. გერმანულიდან თარგმნა თამარ უოტრიკაძემ. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2012.
9. რობაქიძე, გრიგოლ. დემონი და მითოსი. სერიიდან „უცნობი რობაქიძე“. გერმანულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2012.
10. რობაქიძე, გრიგოლ. პორტრეტები. სერიიდან „უცნობი რობაქიძე“. რუსულიდან თარგმნა მანანა კვატაიამ. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2012.
11. რობაქიძე, გრიგოლ. პირადი მიმოწერა. სერიიდან „უცნობი რობაქიძე“. მოამზადა ეთერ ქავთარაძემ. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2012.
12. რობაქიძე, გრიგოლ. მეგი ქართველი გოგონა. სერიიდან „უცნობი რობაქიძე“. გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2012.
13. რობაქიძე, გრიგოლ. მცველნი გრაალისა. სერიიდან „უცნობი რობაქიძე“. გერმანულიდან თარგმნა თამარ უოტრიკაძემ. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2012.
14. საითიძე, გოჩა. ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილი (დოკუმენტური თხრობა). სერია: „დიდი ქართველები“. პროგრამის ხელმძღვანელი და მთავარი რედაქტორი ზაზა აბზიანიძე. საქპრესა. თბილისი, 2012.
15. ფირცხალავა, სამსონ. წერილები თამარ და აკაკი პაპავებს. თამარ და აკაკი პაპავების არქივი. პაატა ნაცვლიშვილი წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი, პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა. თბილისი, 2012.
16. ფერაძე, გრიგოლ. თხზულებათა კრებული, წიგნი პირველი. ვარშავის უნივერსიტეტი, ვარშავა, 2012.
17. ფუტკარაძე, შუშანა. სტამბოლის ქართული სავანე. სერიდანი „სამხრეთ კავკასია და ანატოლია“ (7). გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი, 2012.
18. წერეთელი, მიხაკო. წერილები თამარ და აკაკი პაპავებს. თამარ და აკაკი პაპავების არქივი. პაატა ნაცვლიშვილი წინასიტყვაობით, რედაქციითა და შენიშვნებით. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი, პაატა ნაცვლიშვილის გამომცემლობა. თბილისი, 2012.
19. ჯანელიძე, იუსტინე. გახსენება მოგონებებში (წინათქმა ცინუკი ჯანელიძე), თბილისი, 2012.

ჟურნალის ავტორები

რუსუდან დაუშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

მანანა დარჩაშვილი – ისტორიის დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.

ლალი ზაქარაძე – შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი (ბათუმი), ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის კულტურის განყოფილების გამგე (თბილისი).

დოდო ლაბუჩიძე – ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის თარგმანის განყოფილების გამგე

ელდარ მამისთვალიშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, სრული პროფესორი.

შორენა მურუსიძე – საქართველო ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რუსუდან ნიშნიანიძე – ფილოლოგიის დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

იოსებ ჟორდანია – ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი. მელბურნის უნივერსიტეტი, ავ სტრალია.

ბადრი ქუთელია – ფილოსოფიის დოქტორი, სოციოლოგი.საქართველოს საზოგადოებრივი აზრის შესწავლისა და მარკეტინგული კვლევების საერთაშორისო ცენტრი „GORBI".

ზაზა შათირიშვილი – ფილოსოფიის დოქტორი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ინსტიტუტის (GIPA) მოწვეული პროფესორი

ოთარ ჯანელიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ასოცირებული მკვლევარი.

შეიქმნა ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ქართული ემიგრაციის ისტორიისა და თანამედროვეობის შესწავლისა და მისი გამოცდილების გათვალისწინების გარეშე დღეს უკვე შეუძლებელია საქართველოს ისტორიის სრულყოფილი გააზრება. ათწლეულების განმავლობაში ქართული ემიგრაცია რკინის ფარდით იყო გამიჯნული ქართული სინამდვილისაგან და მისი შესწავლის პროცესი, რომელიც ოციოდე წლის წინათ დაიწყო, დღესაც მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული, აშკარად იგრძნობა ამ პროცესის გეგმაზომიერად წარმართვისა და კოორდინაციის აუცილებლობა.

ამ სირთულეთა დაძლევის ხელშეწყობას, ქართული ემიგრაციის მეცნიერული შესწავლით დაინტერესებულ მკვლევართა გაერთიანებასა და მათი კვლევის შედეგების სამეცნიერო მიმოქცევაში აქტიურად ჩართვას ისახავს მიზნად ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც გასულ ზაფხულს შეიქმნა გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში.

ამგვარი ინსტიტუციის აუცილებლობის საკითხი არაერთხელ დასმულა სამეცნიერო კონფერენციებსა თუ სხვა სახის შეკრებებზე, მეცნიერთა თუ ქართული ემიგრაციის წარმომადგენელთა პირადი საუბრებისას, საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ. იყო რამდენიმე მოკრძალებული ცდაც, ხოლო იდეის სრულფასოვანი ხორცშესხმა შესაძლებელი გახდა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერითა და თანადგომით.

ინსტიტუტის მიზნებს შორის არის საქართველოსა თუ უცხოეთში ჩატარებული სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგების კოორდინაცია და ამ მიმართულებებით ფართო სამეცნიერო მუშაობის გაშლა; ქართული ემიგრაციის პოლიტიკური, სამეცნიერო თუ კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა, გაანალიზება და ჩართვა თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში; ქართული ემიგრანტული ბეჭდური პროდუქციის შესწავლა, სისტემატიზაცია და მეცნიერული ანალიზი; უცხოეთში დაცული ემიგრანტული არქივების გამოვლენა, შესწავლა და ზრუნვა მათი საქართველოში ჩამოტანის, დაბინავებისა და პოპულარიზაციისათვის; ქართული ემიგრაციის განფენილობის, ქართული დიასპორების, უახლესი ქართული ემიგრაციის მიზეზებისა და შედეგების შესწავლა-გაანალიზება გლობალიზაციის თანამედროვე პროცესის კონტექსტში; ემიგრაციის ისტორიისა და თანამედროვეობის შესწავლის კუთხით ახალი სასწავლო-საკვლევი მეთოდოლოგიის შემუშავება და ინსტიტუტში წარმართული კვლევის შედეგების დანერგვა საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესში; საზოგადოებრივ მოთხოვნილებებზე პირდაპირ თუ ირიბად ორიენტირებული სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული პროდუქციის შექმნა; ემიგრაციის ისტორიისა და თანამედროვეობის შესწავლის კუთხით წარმატებული კვლევებისთვის ოპტიმალური პირობების შექმნა და სტიმულირება; ემიგრაციის ისტორიისა და თანამედროვეობის შესწავლის სფეროში მკვლევართა მომზა-

დება, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სამაგისტრო, სადოქტორო პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

დასახული მიზნების განსახორციელებლად ინსტიტუტი მჭიდროდ ითანამშრომლებს სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სასწავლო, სამეცნიერო და კულტურულ დაწესებულებებთან როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, ქართულ დიასპორებთან და სათვისტომოებთან, საზღვარგარეთის სასწავლო-კვლევით ინსტიტუციებთან, უცხოეთში მცხოვრებ ქართველ მეცნიერებთან, და ქართული ემიგრაციის საკითხებით დაინტერესებულ იურიდიულ თუ კერძო პირებთან. გათვალისწინებულია ინსტიტუტის პროფილთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის არაერთი ღონისძიებისა და პროექტის განხორციელება, მონაწილეობა ეროვნულ თუ საერთაშორისო პროექტებში, საერთაშორისო და ეროვნული კონფერენციების, სემინარებისა თუ სამუშაო შეხვედრების ჩატარება, სამეცნიერო ექსპედიციების, გამოფენებისა თუ პრეზენტაციების მოწყობა და მრავალფეროვანი სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობა.

ინსტიტუტს ექნება პერიოდული გამოცემები: სამეცნიერო ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, რომელიც გიორგი მაჩაბლის ფონდთან ერთად წელიწადში ორჯერ გამოვა და ქართული ემიგრაციის საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო და ლიტერატურულ-პუბლიცისტური ალმანახი „სამშობლო“.

ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი. საბჭოს წევრები მასთან ერთად არიან: რუსუდან დაუშვილი, თენგიზ ირემაძე, ალექსანდრე კარტოზია (ოდერის ფრანკფურტი, გერმანია), ხათუნა კაჭარავა, ბუბა კუდავა, გიორგი ლობჟანიძე, გიორგი მამულია (პარიზი, საფრანგეთი), ავთანდილ მიქაბერიძე (ათენი, საბერძნეთი), იოსებ ნანობაშვილი (ვენა, ავსტრია), რუსუდან ნიშნიანიძე, იოსებ ჟორდანია (მელბურნი, ასვტრალია), გოჩა საითიძე, პაატა სურგულაძე, ნინო ქემერტელიძე, ბადრი ქუთელია, დავით ყოლბაია (ვარშავა, პოლონეთი), გოჩა შათირიშვილი (ბუენოს-აირესი, არგენტინა), რაულ ჩილაჩავა (კიევი, უკრაინა), როსტომ ჩხეიძე, ოთარ ჯანელიძე.

ინსტიტუტის პრეზენტაცია შედგა 2012 წლის 21 დეკემბერს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში. შესავალი სიტყვა წარმოთქვა გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მამუკა თავხელიძემ; ინსტიტუტის მიზნები და გეგმები საზოგადოებას გააცნო ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა პაატა ნაცვლიშვილმა; დამსწრეთ მიესალმა და ინსტიტუტის შექმნა მიულოცა ოდერის ფრანკფურტის ევროპული უნივერსიტეტის პროფესორმა ალექსანდრე კარტოზიამ.

ინსტიტუტის პრეზენტაციასთან დაკავშირებით 21-22 დეკემბერს გაიმართა ინსტიტუტის მიერ ორგანიზებული პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „ქართული ემიგრაციის წარსული და დღევანდელობა“. კონფერენციის მონაწილეებსა და სტუმრებს საჩუქრად გადაეცათ ინსტიტუტის ეგიდით გამოცემული ორი წიგნი „მიხაკო წერეთლის წერილები თამარ და აკაკი პაპავებს“ და „სამსონ ფირცხალავას წერილები თამარ და აკაკი პაპავებს“. დასაბეჭდად მზადდება და მალე გამოვა პირველი საერთაშორისო კონფერენციის მასალები.